TOP თრილერი



ტუნა ფრეზერი

უდრეს ტყეში

ტანა ფრენჩი

ულრან ტყეში

პროლოგი

წარმოიდგინეთ ზაფხული გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს პატარა ქალაქში გადაღებული საბავშვო ფილმიდან. არა უხალისო ირლანდიური ზაფხული ნაგლეჯ-ნაგლეჯი ღრუბლებითა და წვრილი წვიმით, რაც ასე ხიბლავთ ადგილობრივი კოლორიტის მოყვარულებს, არამედ სიცოცხლით სავსე და ლაჟვარდოვანი ცით მოკეკლუცე. პირში ხასხასა ბალახისა და მარილიანი ოფლის მწკლარტე გემოს გრძნობთ, ახალგამომცხვარი ბისკვიტიდან ყოველ მხარეს გადმოდის ვანილიანი კრემი, შეჯანჯღარებული ბოთლებიდან აქაფებული წითელი ლიმონათი ასხამს, ველომოტოკროსის დროს კანზე ნიავი გელამუნებათ, ფეხზე აცოცებული ჭიამაია გიღიტინებთ, ფილტვები მოთიბული მდელოსა და ეზოში გასაშრობად გაფენილი სარეცხის სურნელით გევსებათ, ყოველი მხრიდან ისმის ჩიტების, ფუტკრებისა და ფოთლების - ჟღურტული, ბზუილი და შრიალი, ფრენბურთის ბურთზე ხელების ტყაპატყუპი და წკრიალა შეძახილები: "ერთი, ორი, სამი!" ეს ზაფხული არასდროს მთავრდება. დილა მოსალოცი ღია ბარათებითა და კარზე კაკუნით გეგებებათ - იქ, ზღურბლზე, თქვენი მეგობარი დგას, - საღამო კი ხანგრძლივი ბინდბუნდით გაცილებთ, როდესაც კარის ღიობში დედის სილუეტი მოჩანს, რომელიც შინ გიხმობთ, ხის ნაირგვარ ჩრდილში შავი ღამურები დაფრთხიალებენ. ერთი სიტყვით, მარადიული ზაფხული თავისი გაფურჩქნის ზენიტში.

წარმოიდგინეთ დუბლინიდან რამდენიმე მილით დაშორებული, გორაკზე ლაბირინთივით განფენილი ეს პატარა ქალაქი.

ხელისუფლების განცხადებით, ოდესღაც აქ ახალი, საუცხოო გარეუბანი გაჩნდება და წამსვე გადაწყვეტს ჭარბად დასახლებული მეგაპოლისის ყველა პრობლემას, ჯერჯერობით კი მხოლოდ მდელოებზე უწესრიგოდ განლაგებული უგემოვნო, ერთმანეთის მსგავსი სახლები მოჩანს. სანამ ჩინოვნიკები ქება-დიდებას ასხამენ მომავალ "მაკდონალდსებსა" და მულტიპლექსებს, რამდენიმე ახალგაზრდა ოჯახს ყელში ამოუვიდა თაგვის სოროსავით ვიწრო, კეთილმოუწყობელი ბინები ეზოში განლაგებული ელემენტარული ჰიგიენური საშუალებებით, შეუმჩნევლად რომ მომრავლდა მთელ ირლანდიაში 70-იან წლებში. მათ, როგორც ჩანს, ლამაზი ბაღი და ფართო ტროტუარი მოენატრათ, სადაც მათი შვილები კლასობანას ითამაშებენ, ან გადაწყვიტეს, რომ სახლის მსგავსი მაინც შეეძინათ და ამისთვის ავტობუსის მძღოლის ან სკოლის მასწავლებლის ხელფასის უდიდესი ნაწილი შეეწირათ. ამიტომ ნივთები ნაგვისთვის განკუთვნილ პარკებში ჩაუწყვიათ და გზის პირას შეგროვილან, საიდანაც ისეთივე სუფთა და ახალი მომავლისკენ სვლა სურთ, როგორიც ორზოლიანი გზატკეცილის შუაში ამოსული ბალახი და ზიზილების ყვავილნარებია.

მოქმედება მრავალი წლის წინათ ხდება, როდესაც ქალაქში ჯერ ვერც მომაბეზრებელ რეკლამებს მოეკიდა ფეხი, ვერც სუპერმარკეტების მყვირალა აბრებსა და ვერც სხვა "ინფრასტრუქტურას" (ადგილობრივ "დეილში" გამოქვეყნებული პოლიტიკოსების მინიშნებით - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ფარული გარიგებების გამო). ფერმერები საქონელს კვლავაც გზის პირას აძოვებენ, ახლომდებარე ბორცვებზე საღამოობით აქა-იქ შუქი ინთება, დასახლების მიღმა კი, - იქ, სადაც მომავალში, გეგმის მიხედვით, სავაჭრო ცენტრი და პატარა, მაგრამ კოხტა პარკი განთავსდება, - რამდენიმე მილის მანძილზე მრავალსაუკუნოვანი უღრანი ტყე გადაჭიმულა.

თუ ახლოდან დააკვირდებით, დაინახავთ, როგორ მიძვრება სახლებსა და ამ უღრან ტყეს შორის ამოყვანილ აგურის კედელზე სამი ბავშვი. სწრაფად და თავდაჯერებულად მოძრაობენ, პატარა საფრენი აპარატებივით მიზანმიმართულად და მსუბუქად გადაადგილდებიან. სხეულზე ალაგ-ალაგ მწებვარე ქაღალდისგან გამოჭრილი ვარსკვლავი, ელვა თუ ასო "A" მიუკრავთ, რათა ეს თვითნაკეთი ტატუ დროთა განმავლობაში მიღებულმა ნამზეურმა უკეთ გამოაჩინოს. წამით კედლის თავზე დროშასავით გაფრიალდება ქერა თმის კულული, შემდეგ - იდაყვი, ტერფი, შიშველი მუხლი და ყველაფერი ქრება.

ტყეში სიჩუმე, ძილი და ბინდბუნდი სუფევს. სიჩუმე მატყუარაა - სინამდვილეში იგი ათასგვარი ხმისგან, შრიალისგან, ფაჩუნისა თუ წრიპინისგან შედგება. ასევე ილუზორულია სიცარიელეც - მას იდუმალი, ფარული, ყველგან და ყოველთვის მოძრავი სიცოცხლე ავსებს. აქ სიფრთხილეა საჭირო: შესაძლოა, წაქცეული მუხიდან ფუტკრების გუნდი გამოფრინდეს, გადაყირავებული ქვის ადგილას, ჩაღრმავებაში, უცნაურად დაკლაკნილი ჭიაყელა გამოჩნდეს, ფეხზე კი შეუმჩნევლად წითური ჭიანჭველების რაზმმა გადაგიაროთ. კოშკის ნანგრევებში, ოდესღაც ციხესიმაგრის ნაწილს რომ შეადგენდა, სახეზე აბლაბუდა მოგეკრობათ. განთიადზე სარდაფებიდან დედა კურდღლებს თავიანთი შვილები გამოჰყავთ მიტოვებული საფლავების ქვებზე სათამაშოდ.

ზაფხულის ჭეშმარიტი მბრძანებელი ის სამი ბავშვია. ამ ველურ ტყეს ისევე კარგად იცნობენ, როგორც ნაკაწრებსა და ჩალურჯებებს საკუთარ მუხლებზე - სადაც უნდა მოხვდნენ, თვალდახუჭული მიაგნებენ შინისკენ მიმავალ გზას. ამ მწვანე სამეფოში ახალგაზრდა მხეცებივით ამაყად, გაბედულად და თავდაჯერებულად მოქმედებენ. დილიდან დაღამებამდე, ღამით კი ძილ-

შიც, დიდრონ ხეებს შორის დაქრიან, ბალახსა და ფუღუროებში იმალებიან.

ბავშვები ჯადოსნურ ზღაპრებსა და საშინელ მითებში ცხოვრობენ, რომელთა შესახებაც მშობლებმა არაფერი იციან. ისინი უცხო თვალისთვის შეუმჩნეველ, დახლართულ და საიდუმლო ბილიკებზე დადიან, ხავსმოდებული კედლების ნანგრევებზე დაძვრებიან, ტყის სიღრმეში წკრიალა ხმით გასძახიან ერთმანეთს, ზონრები კომეტის კუდივით გასდევთ უკან. ვინ მოკალათებულა მდინარის ნაპირზე ამოსული ტირიფის ტოტებში, ვისი სიცილიც წყლის ჩუხჩუხს ერწყმის, სახე კი ბარდებში გაკრთა და მზის ათინათებით აჭრელებულ მერხევ ჩრდილ-ნათელში მიიმალა?

ეს ბავშვები აღარასოდეს გაიზრდებიან - არც ამ და არც სხვა ზაფხულში. აგვისტოს მიწურულს მათ აღარ მოუწევთ მოზრდილთა სასტიკ სამყაროსთან შეგუება, რათა მოგვიანებით, როდესაც გამოცდილებითა და სიმწრით გაჯერდებიან, ცხოვრების ათასგვარ სირთულეს შეებრძოლონ. ზაფხულმა მათთვის სხვა გამოცდა შემოინახა.

1 თავი

არ დაგავიწყდეთ, რომ დეტექტივი ვარ, ჩემისთანებს კი სიმართლესთან თავისებური დამოკიდებულება აქვთ: მტკიცე, ოღონდ დამახინჯებული, მრუდე სარკესავით, რომელშიც ყველაფერი შეცვლილი სახით მოჩანს. დღედაღამ სიმართლისთვის ვიღვწით, ის არის ჩვენი ყოველი ნაბიჯის მიზანი და აზრი, მას დავდევთ გამეტებითა და თავგამოდებით ჯაჭვით დაბმული ძაღლებივით, რისთვისაც ტყუილსა და სიცრუეზეც არ ვამბობთ უარს. ჩვენთვის სიმართლე ამქვეყნად ყველაზე სასურველი ქალია, თვითონ კი ეჭვიანი საყვარლები ვართ და გაბოროტებით ვიცილებთ ყველას, ვინც კი გაბედავს და მას თავხედურად შეხედავს. უღმერთოდ ვღალატობთ დილიდან დაღამებამდე, ყელამდე ტყუილში ვართ ჩაფლული, შემდეგ კი მივუბრუნდებით და გაბრწყინებული სახით ჩავჩურჩულებთ: "ძვირფასო, ამ ყველაფერს მხოლოდ შენი სიყვარულით ვაკეთებ".

ოღონდ ნუ დამძრახავთ: ყოველთვის მომწონდა ლამაზი, მათ შორის, უხამსი და გაცვეთილი ფრაზები. სულაც არ მინდა, ჩვენი თავი კეთილშობილ რაინდებად წარმოვაჩინო, მუდამ ერთგულად რომ დაჰყვებიან თან თეთრ ცხენზე ამხედრებულ, თოხარიკით მონავარდე ქალბატონ ჭეშმარიტებას. ყოველდღიურ საქმიანობაში უხეშ, ზოგჯერ საკმაოდ ბინძურ და საზიზღარ მეთოდებსაც კი ვიყენებთ. აი, მაგალითად, ქალიშვილი ალიბის უქმნის ახალგაზრდა კაცს, რომელმაც, ეჭვი გვაქვს, რომ სავაჭრო ცენტრი გაძარცვა და დანით ერთი თანამშრომელი მოკლა. თავდაპირველად, გოგონას ვეარშიყები, ვარწმუნებ, რომ შესანიშნავად მესმის, რატომ არჩია ჭაბუკმა იმ საღამოს სახლში მასთან ერთად დარჩენა. თუმცა, სინამდვილეში, ჩემ წინ ფეთხუმი, პერჰიდროლით შეღებილი, სახედაქანცული არსება დგას და, სიმართლე გითხრათ, იმ კაცის ადგილას მას სიამოვნებით ვამჯო-

ბინებდი ნებისმიერ ადამიანს, თუნდაც ბანჯგვლიან თანამესაკნეს, მეტსახელად "სამართებელს". გაკვ რით ვეუბნები, რომ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილ მის ბიჭს გაძარცული სალაროდან წამოღებული კუპიურები აღმოვუჩინეთ, რომლებიც, მისი თქმით, მან, ქალიშვილმა, მოუტანა ამ საღამოს სახლიდან გასვლის შემდეგ.

საკუთარ როლს ისე ოსტატურად ვთამაშობ, ისე მარჯვედ ვაზავებ ერთმანეთში მისი მეგობრის ღალატით გამოწვეულ თანაგრძნობას, ურთიერთგაგებასა და უხერხულობის განცდას, რომ მათი ერთობლივი, ოთხწლიანი ცხოვრების განმავლობაში აგებული შენობა ხუხულასავით ინგრევა. და სანამ მისი მეგობარი მეზობელ ოთახში ზის და ჩემი მეწყვილის ყოველ შეკითხვაზე ბურტყუნით პასუხობს: "შემეშვით, ჯეკისთან ვიყავი სახლშიო", ქალიშვილი ცრემლად იღვრება და ყველაფერს დეტალურად მიყვება სახლიდან კაცის გასვლის ზუსტი დროით დაწყებული და მათი სექსუალური ცხოვრების პიკანტური წვრილმანებით დასრულებული. მხარზე ხელს მსუბუქად ვუთათუნებ, ცხვირსახოცსა და ფინჯან ჩაის ვთავაზობ და ფურცელს ვაპარებ, რომელზეც მისი ჩვენება წერია.

აი, ასეთი სამუშაო მაქვს და თუ მის ნიუანსებში ვერ ერკვევით, ვეჭვობ, რამეს მაინც მიხვდეთ. მოკლედ, სანამ ამბის მოყოლას შევუდგები, გაფრთხილებთ: ყველაზე მეტად სიმართლე მიყვარს. და ვცრუობ.

აი, რა წავიკითხე გამოძიების მასალებში, როგორც კი დეტექტივად დამნიშნეს. ამ საქმეს მოგვიანებითაც დავუბრუნდები და სხვადასხვა კუთხით განვიხილავ. ზოგს ის ნაკლებად დააინტერესებს, მაგრამ ერთადერთი ამბავია, რომელსაც ამქვეყნად ჩემ გარდა ვერავინ მოჰყვება.

სამშაბათს, 1984 წლის 14 აგვისტოს, თორმეტი წლის სამი ბავ-

შვი: ჯერმინა (ჯემი) ელინორ როუენი, ადამ რობერტ რაიანი და პიტერ ჯოზეფ სევიჯი, დუბლინის საგრაფოს პატარა ქალაქ ნოკნარიში გზის პირას თამაშობდნენ. მზიანი და ცხელი დღე იდგა. მცხოვრებლები გარეთ გამოსულიყვნენ, თავ-თავიანთ ბაღებში ისხდნენ და ხედავდნენ, როგორ დაქროდნენ პატარები ველოსიპედებით, საბურავისგან გაკეთებულ საქანელაზე ქანაობდნენ ან ხელებგაშლილნი ქვის კედლის თავზე დადიოდნენ.

იმ დროს ნოკნარი პატარა ქალაქი იყო და მის განაპირა სახლებს დიდი ტყე ესაზღვრებოდა, რომელსაც მათგან ხუთი ფუტის სიმაღლის კედელი ყოფდა. დაახლოებით დღის სამ საათზე ბავშვებმა ველოსიპედები მისის ენჯელა სევიჯის ბაღში დატოვეს - ქალი ეზოში სარეცხს ფენდა - და უთხრეს, ტყეში მივდივართ სათამაშოდო. ამას ადრეც ხშირად აკეთებდნენ და ტყის ახლომდებარე ნაწილსაც კარგად იცნობდნენ, ამიტომ მისის სევიჯი არ შეშფოთებულა. მან პიტერს, რომელსაც საათი ეკეთა, შეახსენა, რომ შინ შვიდის ნახევრისთვის უნდა დაბრუნებულიყო, რათა საღამოს ჩაისთვის მოესწრო. ეს საუბარი მისმა მეზობელმა, მისის მერი-ტერეზა კორიმაც მოისმინა, რამდენიმე მოწმემ კი დაინახა, როგორ გადაძვრნენ ბავშვები გზის ბოლოს მდებარე ღობეზე და ტყეში გაუჩინარდნენ.

როდესაც თვრამეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე პიტერი არ გამოჩნდა, მისის სევიჯმა ორი დანარჩენი ბავშვის დედებს შეუარა - ეგონა, რომ მისი შვილი მათ ესტუმრა. აღმოჩნდა, რომ არც ისინი დაბრუნებულიყვნენ. ჩვეულებრივ, პიტერი არასდროს აგვიანებდა, მაგრამ მისი მშობლები ძალიანაც არ შეწუხებულან - იფიქრეს, რომ ბავშვები თამაშს შეჰყვნენ და დრო გადაავიწყდათ. შვიდს რომ ხუთი წუთი აკლდა, მისის სევიჯი გზას გაუდგა, ტყეში შევიდა და ძახილს შეუდგა. არავინ გამოპასუხებია. ვერც რამე ნიშანს მიაგნო, რაც ბავშვების იქ ყოფნაზე მიანიშნებდა.

იგი შინ დაბრუნდა და ჩაი დალია ქმართან, მისტერ ჯოზეფ სევიჯსა და ოთხ უმცროს შვილთან ერთად, რის შემდეგაც მისტერ სევიჯი და მისტერ ჯონ რაიანი, ადამ რაიანის მამა, კვლავ ტყისკენ გაემართნენ ბავშვების მოსაძებნად. ცხრის ოცდახუთ წუთზე, როდესაც საკმაოდ ჩამობნელდა, მშობლები შეშფოთდნენ, ვაითუ პატარებს გზა აებნათო, და მის ალისია როუენმა (ჯერმინას დედამ, მას ქმარი არ ჰყავდა), რომელსაც სახლში ტელეფონი ჰქონდა, პოლიციაში დარეკა.

დაიწყო ძებნა. ვიღაცამ მოისაზრა, ბავშვები, შესაძლოა, შინიდან გაიქცნენო. მის როუენი ქალიშვილის სკოლა--ინტერნატში გაგზავნას აპირებდა, საიდანაც იგი ნოკნარიში მხოლოდ უიკენდებზე მოახერხებდა ჩამოსვლას. გამგზავრება სამი კვირის თავზე დანიშნეს და პატარების სამეული ძალიან განაწყენდა, რომ ისინი ერთმანეთისთვის უნდა დაეშორებინათ. ოთახები სწრაფად დაათვალიერეს და დაადგინეს, რომ ბავშვებს თან არც ტანსაცმელი წაეღოთ და არც პირადი ნივთები. ჯერმინას "მატრიოშკას"[1] ფორმის ყულაბაც ხელუხლებლად იდგა და მასში კვლავაც იდო ხუთი გირვანქა სტერლინგი და ოთხმოცდახუთი პენსი.

თერთმეტის ოც წუთზე ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელსაც ჩირაღდანი ეჭირა, ადამ რაიანს მიაგნო - იგი უღრანი ტყის თითქმის შუაგულში იდგა და ზურგითა და ხელისგულებით დიდ მუხის ხეს მაგრად მიჰკვროდა. თითებით ქერქს ისე ძლიერად ჩაჰბღაუჭებოდა, ფრჩხილებიც კი მოსტეხოდა. როგორც ჩანს, ადამი დიდხანს იმყოფებოდა ამ მდგომარეობაში და საშველად წამოსული ხალხის ძახილს არ პასუხობდა. ბიჭი საავადმყოფოში წაიყვანეს. პოლიციელთა ძაღლებმა დარჩენილი ორი ბავშვის

---

[1] ერთგვარი პოპულარული რუსული სათამაშო.

კვალიც აიღეს, მაგრამ მალევე დაკარგეს და ვეღარაფერს მიაგ-ნეს.

როდესაც მიპოვეს, მეცვა ლურჯი ჯინსის შარვალი, თეთრი ბამბის მაისური და თეთრი კედები. ამ უკანასკნელზე სქლად შემხმარიყო სისხლი, ოდნავ ნაკლები - წინდებზე. ანალიზმა უჩ-ვენა, რომ რაღაც დროის განმავლობაში უკედოდ ვიყავი და სის-ხლიც მაშინ მოხვდა მათზე. როცა მან შედედება დაიწყო, კვლავ ჩემს ფეხებზე აღმოჩნდა და წინდები დასვარა. მაისურზე სამი-ხუთი ფუტის სიგრძის ოთხი პარალელური გახეული ადგილი აღ-მოაჩინეს, რომლებიც დიაგონალურად კვეთდა ზურგს მარცხენა ბეჭიდან მარჯვენა ნეკნებისკენ.

სხეულზე დაზიანება არ მქონდა, თუ არ ჩავთვლით რამდენი-მე მსუბუქ ნაკაწრს კოჭებზე, ნაფოტებს ფრჩხილებქვეშ (რო-გორც მოგვიანებით დაადგინეს, მუხის ქერქისას) და ღრმა, აპ-კგადაკრულ დანაბეჟს მუხლებზე. მათი წარმოშობის მიზეზი ბო-ლომდე ვერ გაირკვა, ვინაიდან ხუთი წლის გოგონამ, ეიდინ უოტკინსმა, თითქოს დაინახა, რომ იმავე დღეს, ტყეში წასვლამ-დე, კედლიდან გადმოვვარდი და მუხლებზე დავეცი. თუმცა ბავ-შვი ჩვენებას გამუდმებით ცვლიდა და ის საიმედოდ არ მიიჩნი-ეს. დიდი ხნის განმავლობაში გაშტერებული ვიყავი: პირველი ოცდათექვსმეტი საათი, პრაქტიკულად, არ ვინძრეოდი, მომდევ-ნო ორი კვირა ვდუმდი. როდესაც მეტყველების უნარი დამიბ-რუნდა, ვერაფრით გავიხსენე, რა მოხდა სასეირნოდ წასვლასა და საავადმყოფოში მოხვედრას შორის.

ჩემს კედებსა და წინდებზე არსებული სისხლი შეამოწმეს - მა-შინ ირლანდიაში დნმ-ის ანალიზი არ ტარდებოდა - და დაადგი-ნეს, რომ A ჯგუფს ეკუთვნოდა. მეც ამ ჯგუფის სისხლი მქონდა, თუმცა საკმაოდ ღრმა დანაბეჟებიდან იმდენი სისხლი ვერ გამო-ვიდოდა, რომ კედები ასე გაეჟღინთა. ორი წლის წინათ სისხლი ჯერმინა როუენსაც აუღეს ბრმა ნაწლავის ოპერაციის გაკეთე-

ბამდე და საავადმყოფოს ანკეტაში ჩაწერეს, რომ ის A ტიპს მიეკუთვნებოდა. პიტერ სევიჯისთვის სისხლი არასდროს აეღოთ, მაგრამ ორივე მშობელს O ჯგუფის სისხლი ჰქონდა და, მაშასადამე, პიტერზეც იგივე ითქმოდა, ამიტომ იგი მაშინვე გამორიცხეს იმ სავარაუდო პრეტენდენტთა სიიდან, ვისი სისხლიც, შესაძლოა, კედებზე მოხვედრილიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტულად ვერაფერი დადგინდა - გამომძიებლები იმ ვერსიასაც განიხილავდნენ, რომ სისხლი ვიღაც ერთ ან რამდენიმე სხვა პირს ეკუთვნოდა.

ტყეში ძებნა მთელი დღე და ღამე და კიდევ რამდენიმე კვირა გაგრძელდა. მოხალისეთა რაზმებმა მიმდებარე დაბლობები და გორაკები გაჩხრიკეს, ყველა ორმოსა თუ ღრანტეში ჩაიხედეს, მყვინ თავებმა ტყეში გამავალი მდინარე საფუძვლიანად შეისწავლეს, მაგრამ უშედეგოდ. თოთხმეტი თვის შემდეგ ერთი ადგილობრივი მცხოვრები, ენდრიუ რაფტერი, რომელიც ტყეში ძაღლს ასეირნებდა, მაჯის საათს წააწყდა იმ ხიდან ორასიოდე ფუტის დაშორებით, სადაც მე მიპოვეს. გამორჩეული საათი იყო - ციფერბლატზე მორბენალი ფეხბურთელი ეხატა, ერთ-ერთ ისარზე კი - ფეხბურთის ბურთი. მისტერ და მისის სევიჯებმა მასში მაშინვე ამოიცნეს თავიანთი შვილის, პიტერის ნივთი. მისის სევიჯმა დაადასტურა, რომ გაუჩინარების დღეს ბიჭს საათი ეკეთა. ლითონის კორპუსზე მიმაგრებული პლასტმასის სამაჯური გაგლეჯილი აღმოჩნდა - პიტერმა იგი, როგორც ჩანს, ტოტს გამოსდო ტყეში სირბილისას. კრიმინალისტებმა საათზე თითის ანაბეჭდებსაც მიაგნეს. ისინი პიტერ სევიჯის პირადი ნივთებიდან აღებულს დაემთხვა.

მიუხედავად პოლიციის მოწოდებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წამოწყებული ფართო კამპანიისა დახმარების თაობაზე, პიტერ სევიჯისა და ჯერმინა როუენის ბედ--იღბლის შესახებ აღარავის სმენია.

დეტექტივი იმიტომ გავხდი, რომ მკვლელობების გამოძიება მსურდა, ჯერჯერობით კი გამოცდილებას ვიძენდი: ტემპლმორის კოლეჯში ვსწავლობდი, მომქანცველ ფიზმომზადებას გავდიოდი, ლუმინესცენციურზოლებიან სულელურ ქურთუკში გამოწყობილი პატარა ქალაქებში ვპატრულირებდი, ვადგენდი, სამი ადგილობრივი ხულიგნიდან, რომელმა ჩაამტვრია შუშის პანო მისის მაქსუინის ბაღში - ცხოვრება მყიფე და ოდნავ აბსურდული მეჩვენებოდა, როგორც ეს იონესკოს[2] პიესაშია. თითქოს იმისთვის, რომ ნორმალური სამუშაო მოეცათ, ვიღაც ტვინნაღრძობი ბიუროკრატის ახირების გამო, ჯერ გამოცდა უნდა გამევლო აუტანელი მოწყენილობის სახით. შემდგომში აღარასოდეს მიფიქრია ამ წლების შესახებ, ის კი არა, მათ მკაფიოდ ვერც ვიხსენებდი. მეგობრები არ მყავდა და მომხდარ მოვლენებს ერთგვარი გაუცხოებით შევყურებდი. საკუთარი საქციელი გასაგებად და ბუნებრივად მეჩვენებოდა, როგორც საძილე საშუალების თანამდევი გვერდითი მოვლენა, მაგრამ თანამშრომლების თვალში თავხედურ მედიდურობად და ყოყოჩობად, ლამის მათი სოფლური ცხოვრების წესისა და პროვინციული ამბიციების დაცინვად მოჩანდა. როგორც ჩანს, არც ცდებოდნენ. ცოტა ხნის წინათ ჩანაწერებს მივაგენი სტუდენტურ დღიურში, რომელშიც ჩემს ამხანაგებს დაშტამპულ და ცრურწმენებით აღვსილ, მფშვი ნავ, უტვინო ნახირს ვუწოდებდი, რომლებსაც შებოლილი მკერდის ხორცის, კომბოსტოს, ეკლესიის ცვილისა და საქონლის ნეხვის სუნი ასდიოდათ. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ უიღბლო დღე მქონდა, ფრაზა არცთუ თავაზიანია.

როდესაც მკვლელობათა გამოძიების განყოფილებაში მივედი, ჩემს კარადაში უკვე ეკიდა შესაფერისი ტანსაცმელი - მსუბუ-

---

[2] ეჟენ იონესკო (1909-1994) - წარმოშობით რუმინელი, ფრანგი დრამატურგი და მწერალი.

ქი, თითქოსდა სხეულზე გაცოცხლებული ქსოვილისგან უზადოდ შეკერილი კოსტიუმი, პერანგები წვრილი ცისფერი და მწვანე ზოლებით, კურდღლის ბეწვივით რბილი და ნაზი ქაშმირის შარფები. ყოველთვის მომწონდა დეტექტივების ჩაცმულობა. პირველ ყოვლისა, სწორედ ამით მიმიზიდა მათმა პროფესიამ. მეორე - სამსახურებრივი ჟარგონი და პროფესიული, სხაპასხუპით ლაპარაკი იყო "სამხილის", "ხელჩასაჭიდისა" და "თითების ანაბეჭდის" გამოყენებით. ტემპლმორის კოლეჯის დასრულების შემდეგ ერთ-ერთ პატარა, სტივენკინგისეულ ქალაქში გამგზავნეს, სადაც მკვლელობა მოხდა: ჩვეულებრივი ოჯახური ჩხუბი სისხლიანი დასასრულით. როდესაც გაირკვა, რომ კაცის უწინდელი შეყვარებული უცნაურ ვითარებაში დაიღუპა, ქალაქში ორი დეტექტივი მიავლინეს. მთელი კვირის განმავლობაში, სანამ ისინი საქმეს იძიებდნენ, მათ ყავის ავტომატის უკან მდებარე ჩემი მაგიდიდან ვადევნებდი თვალს, და როგორც კი მას დეტექტივები უახლოვდებოდნენ, მაშინვე გვერდით დავუდგებოდი ხოლმე, ჭიქაში რძეს ვიმატებდი და მათ მკაცრ, საქმიან საუბარს ვისმენდი, რომელიც მუსიკასავით ჩამესმოდა: "ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა", "ბიუროს დირექტივები", "გვამის გაკვეთის შედეგები". სიგარეტის მოწევაც კი განვაახლე, რათა ავტოსადგომზე გასვლისას უკან გავყოლოდი, შორიახლოს სიგარეტი გამებოლებინა, აქეთ-იქით დაბნეულად მეცქირა და სმენა გამემახვილებინა. ისინი ზოგჯერ ალმაცერად, ღიმილით გამომხედავდნენ, გვარიანად ნახმარ სანთებელას მაწვდიდნენ, კვლავ ზურგს მაქცევდნენ, საუბარს განაგრძობდნენ და ტაქტიკაზე მსჯელობდნენ. "დედამისი დავაკავოთ, კაცს კი ორი საათი მივცეთ, რათა სახლში დაჯდეს და დაფიქრდეს, რისი წამოყრანტალება შეუძლია ქალს. შემდეგ თვითონაც დავაპატიმროთ. მაგიდაზე ნივთმტკიცებები დავაწყოთ და გვერდით ჩავატაროთ, ოღონდ ისე, რომ წესიერად ვერაფერი გაარჩიოს".

თქვენ, ალბათ, დაასკვენით, რომ დეტექტივობისკენ ჩემი ბავშვობის საიდუმლოს ამოხსნის კეთილშობილურმა სურვილმა მიბიძგა, არა? მსგავსი არაფერი ყოფილა. საქმის მასალები მხოლოდ ერთხელ წავიკითხე, სამსახურში გასვლის პირველივე დღეს, როდესაც ყველა შინ წავიდა და სამორიგეო ოთახში მხოლოდ ლამპა ენთო ჩემი მაგიდის ზემოთ (თავში ღამურებივით აფრთხიალდნენ მივიწყებული სახელები, რომლებიც მოწმეთა ჩვენებებში გაცოცხლდნენ და გაუფერულებული მელნით მაუწყეს, რომ ჯემიმ ერთხელ ფეხი გაჰკრა დედამისს, რადგან სკოლაში გამგზავრება არ სურდა; რომ მოზარდები "მრისხანე სახით" დილიდან დაღამებამდე დაყიალებდნენ ტყის სიახლოვეს; რომ ერთ მშვენიერ დღეს პიტერის დედას სახეზე ჩალურჯება გაუჩნდა). მას შემდეგ შიგ აღარასოდეს ჩამიხედავს. სინამდვილეში, რჩეულთა კასტაში გარევა მინდოდა, მათ შორის, ვისაც რთული ამოცანების ამოხსნა და მხოლოდ საქმეში ჩახედულთათვის ხელმისაწვდომი, გაუგებარი, თითქმის უხილავი ნიშნების წაკითხვა შეეძლო. ჩამოსულ დეტექტივებს სრულიად სხვა სახის არსებებად, გაუთლელ გლეხებთან მოხვედრილ კეთილშობილ პრინცებად ან სოფიტების სხივში სუფთა ოქროსგან ჩამოსხმულ ბრწყინვალე ცირკის აკრობატებად აღვიქვამდი. ამასთან, ამ ბიჭებმა შესანიშნავად იცოდნენ თავიანთი საქმე და დაუზღვევლად მუშაობდნენ.

ცხადია, ვიცოდი, რომ არც სისასტიკე აკლდათ. ადამიანები საერთოდ, ბოროტები და შეუბრალებლები არიან. რაც შეეხება მიუკერძოებელი გონების სიმკაცრეს, რომელიც მარჯვედ პოულობს თქვენს სუსტ ადგილებს, ადვილად მანიპულირებს ფაქტებით და, საბოლოოდ, თქვენი წელში გადატეხა სურს - ეს, თუ არ ვცდები, ბარბაროსობის ყველაზე სუფთა, დახვეწილი და ცივილიზებული ფორმაა.

კესის შესახებ მანამ შევიტყვეთ, სანამ განყოფილებაში გამოჩნდებოდა. ჩვენი ჭორბიურო ბებერ ნათლიდედებზე ცუდად როდი მუშაობს. მკვლელობათა გამოძიების განყოფილება მხოლოდ და მხოლოდ ოცი მუდმივი თანამშრომლისგან შემდგარი მჭიდრო და ჩაკეტილი ჯგუფია. ასე რომ, როდესაც პერტურბაცია ხდება (ვიღაცას დაითხოვენ, ვიღაცას იღებენ, ზოგს სამუშაოთი ყელამდე ავსებენ, ზოგსაც, პირიქით, უსაქმოდ ტოვებენ), კომპანია მაშინვე მოთუხთუხე ქვაბად გადაიქცევა ხოლმე, სადაც ნაირგვარი კავშირი თუ ალიანსი იქმნება და ათასგვარი მითქმა-მოთქმა ვრცელდება. ჩვეულებრივ, ვცდილობ, ყოველივე ამისგან თავი შორს დავიჭირო, მაგრამ კესი მედოქსის გამოჩენამ საზოგადოება ისე ააფორიაქა, რომ მეც კი ვერ შევძელი განზე გადგომა.

დავიწყებ იმით, რომ ქალი იყო - მარტო ეს კმაროდა თქვენში ბუნებრივი გაშმაგების გამოსაწვევად. დიახ, საკმაოდ გაწვრთნილები ვართ საიმისოდ, რომ ბოროტი ცრურწმენა ახლოსაც არ გავიკაროთ, მაგრამ 1950-იანი წლების ნოსტალგიით ვართ გაჟღენთილი (ჩემი ასაკის ადამიანებიც კი - ირლანდია ხომ ასეთად 1995 წლამდე დარჩა, როდესაც მოულოდნელად "ტეთჩერიზმში"[3] აღმოვჩნდით). მაშინ ადვილად შეიძლებოდა დამნაშავისგან აღიარების მიღება იმის მუქარით, რომ ყველაფერს დედამისს მოუყვებოდით, ქვეყანაში ერთადერთი უცხოელები სამედიცინო კოლეჯების სტუდენტები იყვნენ, სამსახური კი ქალების ბუზღუნისა და შარისგან საიმედო თავშესაფრად მიიჩნეოდა. კესი ჩვენს განყოფილებაში სუსტი სქესის მეოთხე წარმომადგენელი იყო და ერთ-ერთი მათგანის გამოჩენა (ზოგიერთის აზრით, არცთუ შემთხვევითი) წარუმატებელი გამოდგა:

---

[3] მარგარეტ ტეთჩერი (1925-2013) - დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

მან კინაღამ იმსხვერპლა საკუთარი თავიცა და მეწყვილეც, როდესაც მოულოდნელად გაშმაგდა და ეჭვმიტანილს თავში პისტოლეტი ჩაარტყა.

გარდა ამისა, კესის ახლახან შესრულებოდა ოცდარვა წელი, ტემპლმორის კოლეჯიც ცოტა ხნის წინათ დაემთავრებინა. ჩვენ ელიტური განყოფილება გვაქვს და მასში ოცდაათ წლამდე ვერაფრით მოხვდებით, თუ თქვენი მამიკო პოლიტიკანი არაა. ჩვეულებრივ, ორიოდე წელი შიკრიკისა თუ სტაჟიორის სახით უნდა ღვაროთ ოფლი, სხვა ორ-სამ ადგილასაც უნდა იმუშაოთ და ნელა გაიკვლიოთ ზევით მიმავალი გზა, კესის კი მხოლოდ ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილებაში მუშაობის ერთი წელი უმაგრებდა ზურგს. ჭორბიუროს მიაჩნდა, რომ იგი ან ვინმე გავლენიან პირს დაუწვა, ან სხვა გავლენიანი პირის უკანონო ქალიშვილი იყო, ან - ყველაზე ორიგინალური ვარიანტი - რომელიმე ბოსს კომპრომატი გამოუჩხრიკა და, დუმილის სანაცვლოდ, ეს თანამდებობა მოიხელთა.

კესი მედოქსს არაფერს ვერჩოდი. განყოფილებაში რამდენიმე თვის მისული ვიყავი, მაგრამ უკვე ყელში ამომივიდა გასახდელში გამეფებული, პირველყოფილი მამაკაცებისთვის დამახასიათებელი გარემო, სადაც მხოლოდ მანქანებსა და პირის გაპარსვის შემდეგ წასასმელ კრემებზე საუბრობდნენ, ყოველთვის უხეშად ხუმრობდნენ და ამას ირონიად ასაღებდნენ (ერთი სული მქონდა, გრძელი ლექცია წამეკითხა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავდა სინამდვილეში ეს სიტყვა). საერთოდ, ქალები მამაკაცებზე მეტად მიყვარდა. ამასთან, რამდენიმე პირადი მიზეზიც მქონდა. ვგრძნობდი, რომ მიწაზე მყარად არ ვიდექი. მართალია, უკვე ოცდაათი შემსრულებოდა და ორი წელი პოლიციაში დამარბენინებდნენ აღმა-დაღმა, ორიც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ძალადობასთან ბრძოლის განყოფილებაში გამეტარებინა (ამით კესიზე სოლიდურად გამოვიყურებოდი), მეჩ-

ვენებოდა, რომ კარგ დეტექტივად მხოლოდ რაღაც გაუგებრობის გამო მიმიჩნევდნენ, დაახლოებით იმის მსგავსად, ნებისმიერ ტანად და ქერათმიან ქალს ლამაზს რომ უწოდებენ, თუნდაც მას ნაპატივები ინდაურის სახე ჰქონდეს. დავიწყოთ იმით, რომ მქონდა შესანიშნავი ლონდონური აქცენტი, რომელიც ინტერნატში ყოფნისას შევითვისე. კოლონიზაციის კვალი სწრაფად არ ქრება. მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიელები ნებისმიერ გუნდს გულშემატკივრობენ, თუკი იგი ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ თამაშობს, და ვიცი რამდენიმე პაბი,[4] სადაც, შესაძლოა, თავში ბოთლი მითავაზონ, როგორც კი პირს გავაღებ და სასმელს შევუკვეთ, სახეგაქვავებულ ინგლისელებს მაინც ირლანდიელებზე განათლებულ, ჭკვიან და გათვითცნობიერებულ ადამიანებად მიიჩნევენ. ამასთან, მაღალი და ჩასკვნილი ვიყავი - კარგად გამოჭრილი კოსტიუმი რომ ჩამეცვა, ტანად და ელეგანტურ კაცად აღმიქვამდნენ და სასიამოვნო შთაბეჭდილებას მოვახდენდი; კინოსტუდიაში გამართულ ქასთინგზე[5] დეტექტივის, მარტოხელა გმირის როლსაც მომცემდნენ, უშიშრად რომ უმკლავდება ათასგვარ განსაცდელს და ფილმის ბოლოს დამნაშავეებსაც ყოველთვის იჭერს.

ასეთ კაცს არაფრით ვგავდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას ვერავინ ამჩნევდა. ზოგჯერ, რამდენიმე სირჩა არყის გადაკვრის შემდეგ, კოშმარული ხილვა არ მასვენებდა: თითქოს უფროსობა მოულოდნელად იგებდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ნოკნარის სამოქალაქო მოხელის შვილი ვიყავი, და მაშინვე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის განყოფილებაში გადავყავდი. ვი-

---

[4] ლუდხანა დიდ ბრიტანეთში.

[5] ფილმისთვის მსახიობების შერჩევა.

მედოვნებდი, რომ კესი მედოქსის მოსვლა ზედმეტ ყურადღებას ამაცილებდა.

ვერ ვიტყვი, რომ მისმა გამოჩენამ განსაკუთრებული ეფექტი მოახდინა. თანამშრომელთა აულაგმავი წარმოსახვის მიხედვით, იგი გრძელფეხება, თმააფუებული, კინოგენური, ლამის საღამოს კაბაში გამოწყობილი ქალი უნდა ყოფილიყო. როდესაც ო ' კელიმ, ჩვენმა სუპერინტენდანტმა, იგი ოთხშაბათ დილას გაგვაცნო, კესი წამოდგა და ბანალური ფრაზა წარმოთქვა იმის შესახებ, რომ მისთვის დიდი პატივი იყო ჩვენს განყოფილებაში მუშაობა, და რომ ყველანაირად შეეცდებოდა იქ არსებული სტანდარტის დაცვას. საშუალოზე მაღალი არ ეთქმოდა, შავი და ხუჭუჭი თმა ჰქონდა, გამხდარი და ბიჭივით მოუხეშავი ტანი. კესი ჩემს გემოვნებას ვერ აკმაყოფილებდა, - მე უფრო მომცრო ტანის გოგონები მომწონს, სუსტი და ჩიტივით მსუბუქი, ერთი ხელით რომ ავწევ, - მაგრამ რაღაცით მაინც მიიპყრო ჩემი ყურადღება: შესაძლოა, ტანმოვარჯიშესავით სწორი და გამართული დგომით ან იმით, რომ მასში რაღაც იდუმალი იმალებოდა.

- გავიგე, რომ მისი მშობლები მასონები ყოფილან. მუქარა შემოუთვლიათ - თუ ჩვენს ქალიშვილს სამსახურში არ აიყვანთ, განყოფილებას დავშლითო, - ჩაიჩურჩულა სემ ო ' ნილმა ჩემ ზურგს უკან.

სემი მხიარული, მშვიდი და მსუქანი კაცია გალუეის საგრაფოდან. იგი ყოველთვის საიმედო პიროვნებად მიმაჩნდა, რომელსაც ჭორების ქარიშხალიც კი ვერაფერს დააკლებდა.

- ღმერთო ჩემო, - ჩავიბურტყუნე მისი ხუმრობის პასუხად.

სემმა გაიცინა და თავი დააქნია. კვლავ კესის შევხედე, რომელიც დაჯდა, ფეხი წინა სკამს მიაჭირა და მუხლებზე ბლოკნოტი გაშალა.

ჩაცმულობით დეტექტივს არ ჰგავდა. როდესაც ჩვენს წრეში ტრიალებ, ლამის კანითაც გრძნობ, როგორ უნდა გამოიყურე-

ბოდე - პროფესიულად, ლაზათიანად, შეძლებისდაგვარად, ძვირად ღირებული, ოდნავ გამორჩეული ტანსაცმელი უნდა გეცვას. გადასახადის გადამხდელებს იმედი არ უნდა გაუცრუო. სამოსს, უმეტესწილად, "ბრაუნ თომასის" ფასდაკლებაზე ვყიდულობთ, სამსახურში კი გვიკვირს, როდესაც კოლეგასაც იმავე ნიშნით გამორჩეულ ნივთს აღმოვუჩენთ. თუმცა ასე მანამ იყო, სანამ ახალბედა და რეგვენი ქვიგლი არ გამოჩნდა. იგი მულტფილმის გმირივით ლაპარაკობდა, თანაც პროვინციული აქცენტით, მაისურზე წინიდან "ცოფიანი გარეწარი" ეწერა, ვინაიდან ყოველთვის ეგონა, რომ მისი დაბრიყვება გვსურდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, რომ მის გარეგნობას ყურადღებას არ ვაქცევდით და არც გვაინტერესებდა, რა ეცვა. ამიტომ საშველად დედამისს უხმო და მანაც "ბრაუნ თომასის" ფასდაკლებაზე დაიწყო სიარული.

თავდაპირველად მეგონა, რომ კესი მედოქსიც ამ კატეგორიას ეკუთვნოდა. მას განიერი, სამხედრო ყაიდის შარვალი ეცვა მუხლებს ქვემოთ ჯიბეებით, აგრეთვე ბორდოსფერი შალის ჯემპერი გრძელი, თითქმის თითის წვერებამდე სახელოებით, და უხეში, მძიმე, ყელიანი ფეხსაცმელი. ვიფიქრე, თავისი ტანსაცმლით, ალბათ, გვეუბნება, "მიმიფურთხებია თქვენი წესებისთვისო". მის ჩაცმულობაში აშკარად იგრძნობოდა მტრული განწყობა, ამიტომაც თავიდანვე სიმპათიით განვეწყვე მის მიმართ. ყოველთვის მიზიდავდნენ ქალები, რომლებიც რაღაცით მაღიზიანებდნენ.

მომდევნო ორი კვირის განმავლობაში კესისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია, რამდენადაც ეს შესაძლებელია მამაკაცების საზოგადოებაში, სადაც ოდნავ მაინც მიმზიდველი ქალი გამოჩნდება ხოლმე. სანამ ტომ კოსტელო, ჩვენი ჭაღარათმიანი ვეტერანი, მას ვითარებას აცნობდა, მე მაწანწალას საქმეს მივხედე, რომელიც შესახვევში ცემით სიკვდილის პირას მიეყვა-

ნათ. მისი სიცოცხლეც ისეთივე უხალისო და პირქუში იყო, როგორიც სიკვდილი. მალე მივხვდი, რომ ეს იმ უიმედო შემთხვევათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელშიც არც მოწმე არსებობდა და არც რამე ხელჩასაჭიდი: არავის არაფერი გაეგონა ან დაენახა, მკვლელი კი ან უგონოდ გალეშილი იქნებოდა, ან ნარკოტიკებით გაჭყეპილი, და, სავარაუდოდ, არც ემახსოვრებოდა, რაც მოხდა, ამიტომ თავგამოდება სწრაფად გამინელდა. დასასრულ, ვერც ქვიგლის მეწყვილესთან დავალაგე ურთიერთობა. მას უცნაური იუმორის გრძნობა ჰქონდა: ჯერ უოლესისა და გრომიტის[6] ციტატები მოჰყავდა, შემდეგ კი ოფოფი ვუდივით[7] სიცილს იწყებდა, რითაც უნდა მიმხვდარიყავით, რომ ეს სასაცილო იყო. როგორც იქნა, გონება გამინათდა: იგი ჩემს მეწყვილედ იმიტომ კი არ დანიშნეს, რომ ახალბედებს ერთად მუშაობა გაგვიადვილდებოდა, არამედ იმიტომ, რომ მასზე ყველამ უარი განაცხადა. კესის უფრო ახლოს გასაცნობად არც დრო მქონდა და არც ძალა. ვეკითხებოდი კიდეც საკუთარ თავს, ასე რამდენ ხანს გაგრძელდება-მეთქი. ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ მცირერიცხოვან განყოფილებებშიც კი, ადამიანებს შორის ურთიერთობა დერეფანში შეხვედრისას თავის დაქნევითა და გაღიმებით შემოიფარგლება - მათი გზა სხვაგან არსად იკვეთება.

ერთმანეთს მოტოროლერის ძველი, ნახმარი, 1981 წელს გამოშვებული "ვესპას" წყალობით დავუმეგობრდით, რომელიც, კლასიკური სტილის მიუხედავად, ბორდერ-კოლის განსაზღვრული ნიშნების მქონე მხიარულ ლეკვს მაგონებდა. კერის სკუტერს ხუმრობით გოლფმობილი ვუწოდე, ის კი ჩემს თეთრ "ლენდროვერს" "სასწრაფო დახმარებას" ეძახდა, რითაც ჩემს მეგო-

---

[6] ბრიტანული მულტფილმების პერსონაჟები.

[7] ამერიკული მულტფილმის ექსცენტრიკული პერსონაჟი.

ბარ ქალებზე მიმანიშნებდა, ან ეკომობილს, როდესაც საბრძოლო განწყობილებას გრძნობდა.

გოლფმობილი სექტემბრის ბოლოს, ყველაზე წვიმიან და ქარიან დღეს გაფუჭდა. ავტოსადგომიდან გასვლისას წითელ საწვიმარში გამოწყობილი კესის პატარა ფიგურას მოვკარი თვალი, რომელიც ძალიან ჰგავდა კენის "სამხრეთის[8] პარკიდან". იგი "ვესპასთან" ერთად თავსხმა წვიმაში იდგა და რაღაცას უყვიროდა ავტობუსს, რომელმაც იგი თავიდან ფეხებამდე წყლით გაწუწა. მივუახლოვდი, შუშა დავუშვი და ვკითხე:

- იქნებ ხელებით მუშაობა ჯობდეს?

იგი ჩემკენ მობრუნდა.

- რაზე მიმანიშნებ? - დამიყვირა ხმამაღლა და გადაიხარხარა, როდესაც ჩემი გაოცებული სახე დაინახა.

იმ ხუთი წუთის განმავლობაში, რომელიც "ვესპას" დაქოქვას მოვანდომეთ, კესი კინაღამ შემიყვარდა. განიერ საწვიმარსა და რეზინის ჩექმებში, დიდრონი თაფლისფერი თვალებითა და სველი წამწამებით, წითელი კაპიუშონის ქვეშ კატის კნუტივით პატარა სახეზე რომ ახამხამებდა, რვა წლის გოგოს ჰგავდა. რატომღაც მომინდა, კესი ბუხართან ხაოიან პირსახოცში გამეხვია, მაგრამ სწორედ ამ დროს მითხრა:

- ასე არა, მოდი, განახვებ, როგორ უნდა მოქაჩო მაგ რაღაცას.

წარბები ავწიე და ჩავეკითხე:

- როგორ მოვქაჩო რაღაცას? ფრთხილად, ქალიშვილო, ფრთხი ლად!

ვთქვი და მაშინვე ვინანე - დიდი ვერაფერი ხუმარა ვარ, ის კი, შესაძლოა, თავგადაკლული ფემინისტი ყოფილიყო, რომე-

---

[8] ამერიკული ანიმაციური ფილმი; კენი მისი ერთ-ერთი პერსონაჟია.

ლიც აქვე, წვიმის ქვეშ წამიკითხავდა მოსაწყენ ლექციას ამელია ერჰარტის[9] შესახებ. მაგრამ კესიმ მხოლოდ ცერად შემომხედა, სველი ხელისგულებით ტაში შემოჰკრა და ფშვინვით წარმოთქვა:

- ღმერთო ჩემო, ყოველთვის ვოცნებობდი მბზინავ აბჯარასხმულ რაინდზე, რომელიც მოვიდოდა და გადამარჩენდა მე საბრალოს! მაგრამ ძილში ის გაცილებით სიმპათიურად გამოიყურებოდა.

ჩემს თვალებში სურათი ზუსტად ისე შეიცვალა, როგორც კალეიდოსკოპი თითის გაკვრით. ნაჩქარევად გაჩენილი სიყვარული მხურვალე სიმპათიად გადაიქცა. კესის კაპიუშონს შევხედე და ვიხუმრე:

- ღმერთო, მათ კვლავაც უნდათ კენის მოკვლა.

შემდეგ მისი გოლფმობილი ჩემს "ლენდროვერზე" შემოვდე და კესი შინ წავიყვანე.

როგორც მოიჯარეები ამბობენ, იგი სტუდიას ქირაობდა, - ერთოთახიან ბინას, სადაც ორი ადამიანიც დაეტეოდა, - ქალაქ სენდიმაუნთის გეორგიანული სტილის ნახევრად დანგრეული სახლის ზედა სართულზე. წყნარი რაიონი იყო, ასაწევი ფანჯარა სახურავებ ზემოდან პლაჟს გადაჰყურებდა. ოთახში მოჩანდა წიგნებით სავსე ხის თაროები, მუქი ფირუზისფერი დაბალი ტახტი, განიერი, თბილსაბანგადაფარებული დასაწოლი დივანი, მოშიშვლებული კედლები და დიდი რაფა, რომელზეც უწესრიგოდ ეწყო ნიჟარები, ქვები და წაბლი.

იმ საღამოდან თავში განსაკუთრებული არაფერი დამრჩენია. როგორც ვიცი, არც კესის. მხოლოდ ორიოდე არაბუნებრივად კაშკაშა სურათი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი, უფრო სწორად,

---

[9] პირველი ამერიკელი მფრინავი ქალი, რომელმაც მარტო გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს.

საუბრის თემები, სიტყვები კი სადღაც გაქრა. ახლა ეს უცნაური, იდუმალი მგონია, თითქოს ფერიებისა და უცხოპლანეტელების მიერ შექმნილ ჩრდილოვან ზონაში მოვხვდით, საიდანაც არავინ ბრუნდება ისეთი, როგორიც უწინ იყო. თუმცა დროში ჩაკარგვა, ჩვეულებრივ, მარტოხელებს სჩვევიათ. როდესაც წარმოვიდგენ, რომ მსგავსი რამ ერთდროულად ორ ადამიანს დაემართა, თვალწინ რატომღაც ტყუპი წარმომიდგება ხოლმე, რომელიც სადღაც, უხმო უწონობაში, ხელების ცეცებით დაბორიალებს.

ზუსტად მახსოვს, რომ ვახშამზე დავრჩი, საკმაოდ ეგზოტიკურ ვახშამზე: ახალი მაკარონი პატარა დოქში ჩასხმული საწებლით, ცხელი ვისკი ჩინურ ფინჯნებში. კესიმ უშველებელი გარდერობი გამოაღო, რომელიც მთელ კედელს იკავებდა, და პირსახოცი გამოიღო, რათა თმა გაემშრალებინა, ვიღაცას, შესაძლოა, თვითონ კესის, კარადაში წიგნის თაროები მოეთავსებინა. ისინი სხვადასხვა სიმაღლეზე მოჩანდა, ზედ სრულიად უჩვეულო ნივთები ეწყო: წესიერად ვერც კი შევათვალიერე, მაგრამ მაინც შევამჩნიე გვერდებშემოტეხილი ემალის თეფშები, მარმარილოსყდიანი რვეულები, კაშკაშა ფერებით გაწყობილი ბლუზები, ნაწერით სავსე ქაღალდის რულონები. ეს ყველაფერი ჯადოსნური ზღაპრების ძველებური ილუსტრაციების უკანა ფონს მაგონებდა.

ბოლოს ვკითხე:

- ჩვენს განყოფილებაში როგორ აღმოჩნდი?

მანამდე იმაზე ვლაპარაკობდით, თუ როგორ მოეწყო იგი, და ვფიქრობდი, რომ ჩემმა შეკითხვამ მსუბუქად და სასხვათაშორისოდ გაიჟღერა, მაგრამ კესიმ ეშმაკური ღიმილით მიპასუხა, თითქოს შაშს ვთამაშობდით და ხელზე ხელი მტაცა, როდესაც მისი ყურადღების სხვა რამეზე გადატანას ვცდილობდი, რათა თაღლითური სვლა გამეკეთებინა.

- მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილი ვარ?

- მინდოდა, მეთქვა, ასეთი ახალგაზრდა-მეთქი, - მივუგე მე, თუმცა ერთსაც ვგულისხმობდი და მეორესაც.

- გუშინ კოსტელომ "შვილიკო" მიწოდა, - ჩაეცინა კესის, - "ჩვენთან სიმართლე უყვართ, შვილიკო". შემდეგ შეცბუნდა და ენა დაება. ალბათ, შეეშინდა, სასამართლოში არ მიჩივლოსო.

- ეგ ქათინაურია, - ვთქვი მე.

- ასეც ვიფიქრე. ისე, ძალიან კარგი კაცი ჩანს.

მან პირში სიგარეტი ჩაიდო და ხელი გამომიწოდა. სანთებელა მივეცი.

- ვიღაცამ მითხრა, რომ მეძავად იყავი შეგზავნილი, - ჩავილაპარაკე მე, მაგრამ კესიმ სანთებელა დამიბრუნა და გაიცინა. - ქვიგლი იქნებოდა, ხომ ასეა? მე კი განმიცხადა, რომ "თხუნელა"[10] იყავი MI6-ში.[11]

- რაო? - აღვშფოთდი, - ქვიგლი ნამდვილი იდიოტია.

წამის შემდეგ სიცილში ავყევი. "თხუნელას" შესახებ აზრმა შემაშფოთა, - თუ ვინმე ამას დაიჯერებდა, ყველა მაშინვე ენას კბილს დააჭერდა. ამასთან, ყოველთვის ვშმაგდებოდი, როდესაც ინგლისელად აღმიქვამდნენ, - მაგრამ რაღაცით მსიამოვნებდა კიდეც, როდესაც ჯეიმზ ბონდის მსგავს ტიპად მიმიჩნევდნენ.

- ისე, დუბლინიდან ვარ, - ვთქვი მე, - აქცენტი კი ინგლისურ სკოლაში გამიჩნდა. ჩემმა იდიოტმა მეწყვილემ ეს კარგად იცის. როდესაც განყოფილებაში მოვედი, რამდენიმე კვირა იმის გაგებას ვცდილობდი, როგორ მოვხვდი ინგლისელი ირლანდიის პო-

---

[10] სპეცსამსახურის მუშაკი, რომელიც მოწინააღმდეგესთან თანამშრომლობს.

[11] დიდი ბრიტანეთის დაზვერვის ორგანო.

ლიციაში, - ასე ბავშვებმა იციან ჩაჯინება: რატომ, რატომ, რატომ, - ჰოდა, ბოლოს ვეღარ გავუძელი და სიმართლე ვუთხარი. როგორც ჩანს, სიტყვები უკეთ უნდა შემერჩია.

- მასთან ერთად რას აკეთებ?

- ჭკუაზე ვიშლები.

უეცრად კესის თავში ახალი იდეა გაუჩნდა. იგი გვერდზე გადაიხარა, ფინჯანს მეორე ხელი წაავლო (კესი მარწმუნებს, რომ იმ დროს ჯერაც ყავას ვსვამდით და არა ვისკის, რომელიც გაცილებით გვიან გამოჩნდა, მაგრამ მშვენივრად მახსოვს, როგორ მიწვავდა სასას მაგარი სასმელი) და მაისური მკერდამდე წამოიხადა. გავოცდი და უცებ ვერც მოვისაზრე, რას მიჩვენებდა: ნეკნებზე გრძელი, წითელი, საკმაოდ ახალი, მრავალნაკერიანი ნაიარევი გასდევდა.

- დანა დამარტყეს, - მითხრა მან.

ეს იმდენად აშკარა იყო, რომ ვერ გავიგე, ადრე როგორ ვერ მივხვდით. თუ დეტექტივს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრიან, შეუძლია, თვითონ აირჩიოს, სად იმუშავებს. ეს თავში, ალბათ, იმიტომ არ მომივიდა, რომ მსგავსი რამ ჩვენთან აქამდე არ მომხდარა: არასდროს გვსმენოდა დანით დაჭრის შესახებ.

- ჯანდაბა! - ჩავიბურტყუნე, - ეს როგორ მოხდა?

- დუბლინის უნივერსიტეტში შემგზავნეს საიდუმლო დავალებით, - მიპასუხა კესიმ.

ახლაღა მივხვდი, რას ნიშნავდა მისი ჩაცმის მანერა და ერთგვარი იდუმალება, რაც ასე უყვართ საიდუმლო აგენტებს.

- აი, რატომ გავხდი დეტექტივი ასე სწრაფად. კამპუსში ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ, განყოფილებაში კი ისეთ ადამიანს ეძებდნენ, რომელიც სტუდენტი ეგონებოდათ. ასპირანტ--ფსიქოლოგად შემგზავნეს. ტემპლმორის კოლეჯამდე სამი წელი

ფსიქოლოგიას ვსწავლობდი ტრინიტიში, ასე რომ, საგანს კარგად ვიცნობდი, გარეგნობაც ხელს მიწყობდა.

ამას წყალი არ გაუვიდოდა. ისეთი ნათელი და სუფთა სახე ჰქონდა, როგორიც ადრე არასდროს მენახა. ახალშობილივით სრულიად უფორო კანი, მაღალი ყვრიმალები, ფართო პირი, ნოღა ცხვირი, მორკალული წარბები - კესის გვერდით სხვისი სახე გაბუნდოვნებული ჩანდა. კოსმეტიკას თითქმის არ ხმარობდა - მხოლოდ დარიჩინნარევ წითელ ბალზამს ისვამდა ტუჩებზე, რაც კიდევ უფრო აახალ გაზრდავებდა. კესის მზეთუნახავს არავინ უწოდებდა, მაგრამ მე აღიარებულ ბრენდს ყოველთვის ხელით ნამუშევარს ვამჯობინებდი და გაცილებით მსიამოვნებდა მისი ყურება, ვიდრე ჟურნალებში მოთავსებული მკერდსავსე ქერათმიანი ქალიშვილებისა, დაჟინებით რომ გთავაზობენ იმას, რაც საჭირო არაა.

- გაგშიფრეს?

- რას ამბობ! - შესძახა აღშფოთებულმა, - მთავარ დილერს მივაგენი - მდიდარ ბიჭს ბლექროკიდან, ბიზნესს სწავლობდა - და რამდენიმე თვე მისი ნდობის მოპოვებას ვცდილობდი: მის ყოველ ხუმრობაზე ვიცინოდი, საკურსო დავალებების შესრულებაში ვეხმარებოდი. შემდეგ მაცდური წინადადება შევთავაზე - საქონლის ქალიშვილებზე გასაღება; ისინი ხომ ქალისგან უფრო იყიდიან-მეთქი, ხომ ასეა? დილერს იდეა მოეწონა, ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაშინ კიდევ ერთი აზრი მივაწოდე: მოდი, პირდაპირ მომწოდებელზე ვიმუშავებ, ასე აჯობებს შუამავლად შენს გამოყენებას-მეთქი. სწორედ იმ დროს, მაისში, გამოცდები ახლოვდებოდა და ბევრი სამეცადინო მქონდა. მაგრამ ჩემი მეგობარი დაფრთხა, იფიქრა, რომ მისთვის სარფიანი საქმის წართმევა მსურდა, და დანა დამარტყა, - მან ფინჯნიდან ერთი ყლუპი მოსვა, - ოღონდ ამის შესახებ ქვიგლის არ უთხრა. ოპერაცია ჯერ არ დასრულებულა და ენას კბილი უნდა დავაჭი-

რო. და საერთოდ, რატომ უნდა გავუცრუოთ იმედი იმ საბრალოს.

გულის სიღრმეში მისმა მონათხრობმა შემძრა კიდეც: არა იმდენად დანით დაჭრამ (ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ კესის დამსახურება არ იყო - მას გაბედული და ჭკვიანური არაფერი ჩაუდენია, პირიქით, დარტყმა ვერ აიცილა), რამდენადაც საიდუმლო აგენტის უაღრესად სარისკო მუშაობამ და იმ უდარდელმა კილომ, რომლითაც ამაზე ლაპარაკობდა. თვითონაც დიდი დრო შევალიე, ერთი შეხედვით, აგდებული გამომეტყველების შენარჩუნებას, ამიტომაც სიყალბეს მაშინვე შევამჩნევდი და არ გამომეპარებოდა.

- დალახვროს ეშმაკმა, - ჩავილაპარაკე, - წარმოგიდგენია, როგორ შეახურებდნენ იმ ტიპს პოლიციაში.

ეჭვმიტანილებს არასდროს ვურტყამ, მთავარია, ისინი დაარწმუნო, რომ ამაზე წამსვლელი ხარ, - მაგრამ ისეთებიც არიან, რომლებსაც ეს მოსწონთ და შეუძლიათ გვარიანად დაამუშაონ პოლიციელის დამჭრელი განყოფილებაში მიყვანამდე.

კესიმ დაცინვით აზიდა წარბები.

- მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს ოპერაციას ჩაშლიდა. მთავარი - ნარკოტიკების მომწოდებლის პოვნაა. მათ, უბრალოდ, სხვა აგენტი გაგზავნეს.

- ნუთუ არ გინდა, რომ დასაჯონ? - სიცილით ვუთხარი მისი სიმშვიდითა და საკუთარი გულუბრყვილობით განაწყენებულმა, - მან ხომ კინაღამ მოგკლა.

კესიმ მხრები აიჩეჩა.

- თუ დავფიქრდებით, მას ამის გაკეთების მიზეზიც ჰქონდა: თავი მეგობრად მოვაჩვენე, სინამდვილეში კი მისი მოტყუება მსურდა. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ნარკოდილერია, მისგან სხვას რას უნდა ელოდო კაცი?

ამის შემდეგ მეხსიერებაში კვლავ ცარიელი ადგილი მაქვს. როგორც მახსოვს, მეც ვცადე კესიზე შთაბეჭდილების მოხდენა, და ვინაიდან ჩემთვის არც ტყვია უსვრიათ და არც დანა დაურტყამთ, გრძე ლ და თითქმის შეულამაზებელ ამბავს მოვუყევი, თუ როგორ გადავაფიქრებინე თვითმკვლელობა ერთ ახალგაზრდას, რომელიც სახურავიდან შვილთან ერთად აპირებდა გადმოხტომას (მაშინ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარ ძალადობასთან ბრძოლის განყოფილებაში ვმუშაობდი). ეტყობა, ცოტათი შექეიფიანებული ვიყავი: კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ვისკის ვსვამდით. მახსოვს, გაცხოველებით ვსაუბრობდით დილან თომასის[12] შესახებ, როდესაც კესი დივანზე იდგა, ხელებს იქნევდა და სულ დავიწყებოდა სიგარეტი, რომელიც ნელა იწვოდა საფერფლეში. ხშირად ვხუმრობდით, ოღონდ თავშეკავებით და ფრთხილად, და მაშინვე ერთმანეთს გავხედავდით ხოლმე მორცხვი ბავშვებივით, რათა შემთხვევით მტკივნეულ ადგილზე არ დაგვებიჯებინა ფეხი. კესი თავისთვის ღიღინებდა კიდეც.

- იმ კაცის მოცემულ ნარკოტიკებს მართლა ყიდდი სტუდენტ გოგონებზე? - ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ.

კესიმ ხელი ჩაიდნისკენ გაიწვდინა.

- ასეც ხდებოდა ხოლმე, - მიპასუხა მან.

- ეს არ გაწუხებდა?

- მაშინ ყველაფერი მაწუხებდა. აბსოლუტურად ყველაფერი.

მეორე დღეს სამუშაოზე მეგობრებივით მივედით. ეს ძალზე ბუნებრივად მოხდა: საღამოს მიწაში თესლს ჩააგდებ, დილას კი გახედავ და - უკვე აღმოცენებულა. შესვენებაზე კესის მზერა დავიჭირე, ჟესტით პირთან სიგარეტი მივიტანე და ერთი წუთის

---

[12] დილან თომასი (1914-1953) - უელსელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და პუბლიცისტი.

შემდეგ მასთან ერთად მოსაწევ ოთახში სკამზე ვიჯექი. ცვლა რომ დასრულდა, დამელოდა, თან მისაყვედურა ზოზინის გამო ("ეს იგივეა, სასეირნოდ სარა ჯესიკა პარკერთან[13] ერთად წახვიდე. კოსმეტიკა არ დაგავიწყდეს, ჩემო კარგო, თორემ კვლავაც მოგიწევს მის მოსატანად მძღოლის გაგზავნა!"), კიბეზე ჩასვლისას მომიტრიალდა და მკითხა: "აბა, ლუდზე რას იტყვი?" არ ვიცი, რით ავხსნა ის სასწაული, რომ ერთი საღამოს განმავლობაში იმაზე მეტად დავახლოვდით, რასაც სხვები წლებს ანდომებენ. ეს, როგორც ჩანს, იმიტომ მოხდა, რომ ერთმანეთთან სულიერი სიახლოვე ვიგრძენით.

როგორც კი კესის ჩვენთან მუშაობის თავისებურებები აუხსნეს, იგი ჩემი მეწყვილე გახდა. ო ' კელიმ შეწინააღმდეგება სცადა - სულაც არ ეხატებოდა გულზე, რომ ორ ახალბედას ერთად უნდა ემუშავა, ამასთან, ქვიგლიც სადმე უნდა მოეწყო, მაგრამ მოვახერხე და მოწმე ვიპოვე, რომელსაც ყური მოეკრა, როგორ ტრაბახობდა ვიღაც ბიჭი, რომ მაწანწალა მოკლა (ეს გამართლება უფრო იყო, ვიდრე ჩემი ძალისხმევის შედეგი). ამიტომ ო ' კელი კარგი თვალით მიყურებდა და მისი კეთილგანწყობით ვისარგებლე. გამაფრთხილა, რომ ყველაზე იოლ ან უიმედო საქმეებს მოგვცემდა, რომლებსაც "ნორმალური დეტექტიური მუშაობა" არ დასჭირდებოდა. თავი დამჯერად დავუქნიეთ და მადლობით ავავსეთ. კარგად ვიცოდით - მკვლელები, ჩვეულებრივ, დელიკატურობით არ გამოირჩევიან და არც ამაზე ფიქრით იწუხებენ თავს, არიქა, პოლიციას ბევრი რთული საქმე არ დაუგროვდესო. კესიმ თავისი ნივთები მეზობელ მაგიდაზე გადაიტანა, კოსტელოს კი მეწყვილედ ქვიგლი ერგო და რამდე-

---

[13] სარა ჯესიკა პარკერი (დაიბ. 1965) - ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი.

ნიმე კვირის განმავლობაში ყურებჩამოყრილი ლაბრადორივით შესაბრალისად შემოგვცქეროდა.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში მოვახერხეთ და - ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია - განყოფილებაში საკმაოდ კარგი რეპუტაცია მოვიპოვეთ. ეჭვმიტანილი ქუჩაში გამართული ჩხუბის დროს დავაკავეთ, ექვსსაათიანი დაკითხვა მოვუწყვეთ - თუმცა, თუ ფირიდან "რა ჯანდაბაა, დალახვროს ეშმაკმა"-ს წავშლიდით, ორმოც წუთზე მეტი აღარ დარჩებოდა - და, ბოლოს და ბოლოს, გამოვტეხეთ კიდეც. ეს იყო ნარკომანი, სახელად უეინი ("უეინი, - ვუთხარი კესის, როდესაც შესვენების დროს სარკისებური სათვალთვალო ფანჯრიდან ვაკვირდებოდით, როგორ სვამდა გაზიან წყალს, - ნეტავ მშობლებმა შუბლზე რატომ არ დააწერეს "ჩემს ოჯახში საშუალო სკოლა არავის დაუმთავრებია?"), რომელმაც უსახლკარო მაწანწალა, მეტსახელად "წვერიანი ედი", მოკლა, ვინაიდან მას საბანი მოჰპარა. აღიარებას ხელი მოაწერა თუ არა, უეინმა მაშინვე ის იკითხა, საბანს თუ დამიბრუნებენო. იგი სხვა პოლიციელებს გადავეცით, დავპირდით, რომ ისინი მასზე იზრუნებდნენ, კესის სახლში წავედით, თან შამპანური წავიღეთ და დილის ექვს საათამდე ვლაქლაქებდით. მეორე დღეს სამსახურში დაგვიანებით, ნამძინარევები და ოდნავ ნაბახუსევები გამოვცხადდით.

თავდაპირველად ქვიგლი და რამდენიმე თანამშრომელი გამუდმებით ცდილობდნენ იმის გარკვევას, ვიწექი თუ არა ჩემს მეწყვილესთან, და თუ ვიწექი, როგორი იყო ის ლოგინში. როდესაც, როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ ჩვენ შორის მსგავსი არაფერი ხდებოდა, ლესბოსელის ვერსიაზე გადაერთვნენ. კესი ყოველთვის ძალზე ქალურად მიმაჩნდა, თუმცა იმასაც ვხვდებოდი, რატომ აჩენდა ხალხში სპეციფიკური სიყვარულის აზრს მისი მოკლედ შეკრეჭილი თმა, კოსმეტიკის უქონლობა და განიერი შარვალი. კესის ეს მოჰბეზრდა, გადაწყვიტა, ჭორიკანებისთვის

ხმა გაეკმენდინებინა და საშობაო წვეულებაზე ღია, უბრეტელო შავი კაბით ლამაზ მორაგბე ჯერისთან ერთად გამოცხადდა. სინამდვილეში, ჯერი მისი ბიძაშვილი და სანიმუშო მეოჯახე იყო, მაგრამ მეგობრულად ზრუნავდა კესიზე და არაფერი ჰქონდა იმის საწინააღმდეგო, რომ მთელი საღამოს განმავლობაში მისთვის აღფრთოვანებით ეცქირა, თუკი ეს მის კარიერას წაადგებოდა.

მითქმა-მოთქმა შეწყდა და ყველა საკუთარი პრობლემით დაკავდა, რაც ორივეს გვაწყობდა. კესი გულღიაობით არ გამოირჩეოდა, - ყოველ შემთხვევაში, ჩემზე მეტად არა, - თუმცა კომპანიაში ყოველთვის სიცოცხლით სავსე და მხიარული იყო, ყველასთან ხალისით საუბრობდა. მაგრამ თუ არჩევანი ჰქონდა, ჩემთან ურთიერთობას ამჯობინებდა. ხშირად ვიძინებდი მის დივანზე. ჩვენი ნამსახურობის სია სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა, აღარც ო ’ კელი გვემუქრებოდა, ერთმანეთს დაგაშორებთო, როდესაც პატაკის წერას ვაგვიანებდით. დავესწარით სასამართლოს სხდომას, რომელზეც უეინი მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს ("რა ჯანდაბაა, დალახვროს ეშმაკმა!"), სემ ო ’ ნილმა ჩვენზე მეგობრული შარჟი დახატა და მალდერისა და სკალის[14] სახით გამოგვიყვანა (ის ახლაც სადღაც გდია), რომელიც კესიმ თავის კომპიუტერზე მიამაგრა ასეთი წარწერის გვერდით: "ცუდი კოპია?[15] ტკბილეული არ მისცეთ!" ახლა, როცა ფიქრებით წარსულს ვუბრუნდები, მიმაჩნია, რომ კესი დროულად გამოჩნდა. ჩემი უკომპრომისო შეხედულება ჩვენი განყოფილების ყოველდღიურობაზე სულაც არ ითვალის-

---

[14] მალდერი და სკალი - ამერიკული ტელესერიალის, "საიდუმლო მასალების" პერსონაჟები.

[15] კოპი (ჟარგ.) - პოლიციელი.

წინებდა ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ქვიგლი, ჭორები ან ხუთი-ექვსი სიტყვის მარაგის მქონე უკბილო ნარკომანების დაუსრულებელი დაკითხვა. სამუშაო არსებობის სხვა, უფრო მაღალ დონედ მიმაჩნდა, სადაც ყოველივე წვრილმანი და უღირსი - ვაჟკაცობისა და მოვალეობის შეგრძნების გახურებული შანთით იწვებოდა. რეალობა ჩემში სევდასა და გულგატეხილობას იწვევდა, როგორც ბავშვში, რომელიც საშობაო საჩუქრის ლამაზად შეფუთულ ყუთს გახსნის და იქ შალის წინდებს აღმოაჩენს. რომ არა კესი, "კანონი და წესრიგის"[16] იმ პერსონაჟს დავემსგავსებოდი, წყლული რომ აწუხებს და ყველაფერში ხელისუფლების შეთქმულება ელანდება.

[16] რეჟისორ დიკ ვულფის მიერ გადაღებული ამერიკული ტელესერიალი.

2 თავი

დევლინის საქმე აგვისტოში მოგვცეს, ოთხშაბათ დილას. ჩემი ჩანაწერების მიხედვით, ეს 11:48-ზე მოხდა, როდესაც ყველანი ჯერაც ყავას შეექცეოდნენ, მე და კესი კი ჩემს კომპიუტერში "ჭიაყელებს"ვთამაშობდით.

- ჰა! - შესძახა კესიმ, როდესაც მისმა ერთ-ერთმა ჭიაყელამ ჩემსას ბეისბოლის კეტი სდრუზა და წყალში ჩააგდო.

მწმენდავმა უილიმ, ჩემმა ჭიაყელამ, "ვაიმეო!"იყვირა და ოკეანეში ჩავარდა.

- განგებ დაგარტყმევინე, - ჩავიბუზღუნე მე.- ჰო, აბა, განგებ, - მითხრა კესიმ, - რომელი მამაკაცი მისცემს გოგოს მისი დამარცხების უფლებას? ჭიაყელებმაც კი იციან, რომ გულნამცეცასა და უსუსურსაც კი შეუძლია...

- მომისმინე, საკმაოდ ვარ დარწმუნებული საკუთარ ვაჟკაცობაში, რათა არ მეშინოდეს...

- გაჩუმდი! - კვლავ შესძახა კესიმ და მონიტორისკენ სახით შემატრიალა, - კარგი ბიჭივით მოიქეცი და თამაში განაგრძე. შენ ნაცვლად ამას არავინ გააკეთებს.

- მგონი, დროა, რომელიმე წყნარ და მყუდრო ადგილას გადავიდე, თუნდაც სპეცდანიშნულების რაზმში, - ვთქვი სიცილით.

- სპეცდანიშნულების რაზმში კარგი რეაქციაა საჭირო, ჩემო ბიჭუნი, - მითხრა კესიმ, - თუ ნახევარი საათი ფიქრობ, როგორ მოექცე სათამაშო ჭიაყელას, მძევლების ბედს არავინ განდობს.

სწორედ ამ დროს ოთახში ო ’ კელი შემოვიდა და დაიგრგვინა:

- სად არის ხალხი?

კესიმ სასწრაფოდ ჩახურა თამაშის ფანჯარა; მის ერთ-ერთ ჭიაყელას ო ’ სმელი ერქვა. მან იგი უიმედო მდგომარეობაში ჩააყენა, რათა დაენახა, როგორ გაგლეჯდა დანაღმული ცხვარი.

- შესვენებაა, - ავუხსენი მე.

- არქეოლოგების ჯგუფმა გვამი აღმოაჩინა. ვინ აიღებს ამ საქმეს?

- ჩვენ, - მიუგო კესიმ, ჩემს სკამს ფეხი ჰკრა და თავის მაგიდასთან მიგორდა.

- რატომ ჩვენ? - გავიოცე გულწრფელად, - პათოლოგანატომები უფრო დაგჭირდებათ.

კანონის მიხედვით, არქეოლოგებმა პოლიციას უნდა მიმართონ, თუ მათ მიერ ნაპოვნი ადამიანის ნეშტი მიწის ქვეშ ცხრა ფუტზე ღრმად არ მდებარეობს. ეს იმ შემთხვევისთვისაა გათვალისწინებული, თუ რომელიმე ჭკუის კოლოფი, კვალის დაფარვის მიზნით, მსხვერპლს მეთოთხმეტე საუკუნის საფლავში ჩამარხავს, რათა იგი შუა საუკუნეების გვამად გაასაღოს. ცხადია, ის, ვინც სხეულის ცხრა ფუტზე ღრმად ჩამარხვას მოახერხებს, თანაც შეუმჩნევლად, ენთუზიაზმის სანაცვლოდ, შეწყნარების ღირსია. პოლიცია პერიოდულად მიდის ეროზიის ან ჩამოზვავების შედეგად ზედაპირზე ამოსული ჩონჩხის გამოსაკვლევად. თუმცა ეს წმინდა ფორმალობაა, ვინაიდან ახალი და ძველი ნეშტის ერთმანეთისგან გარჩევა არცთუ ძნელია. დეტექტივებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იძახებენ - როდესაც მიცვალებულს, მაგალითად, ტორფნარში პოულობენ, სადაც იგი ახალი გვამივით გამოიყურება.

- ამჯერად ახალთახალი გვამია, - მიუგო ო ’ კელიმ, - ახალგაზრდა ქალია. არც მკვლელობაა გამორიცხული. აქვეა, ნოკნარიში. ღამის თევით წასვლა არ მოგიწევთ.

მკერდში რაღაცამ მომიჭირა. კესიმ ხელჩანთაში ნივთების ჩაწყობა შეწყვიტა. მისი მზერა ვიგრძენი.

- მაპატიეთ, სერ, მაგრამ ახლა მსგავს საქმეს ხელს ვერ მოვკიდებთ. კისერზე მაკლოჰლინის მკვლელობა გვაწევს და...

- არაფერია, მხოლოდ ერთ საღამოს დაკარგავთ, მედოქს! - გააწყვეტინა ო ' კელიმ, რომელსაც საკმარისზე მეტი მიზეზი ჰქონდა მის ასათვალწუნებლად (სქესი, ტანსაცმელი, ასაკი, შესანიშნავი ნამსახურობის სია), თუმცა კესის არა იმდენად მისი დამოკიდებულება უფუჭებდა გუნებას, რამდენადაც მისი მიკერძოება, - თუ ქალაქგარეთ დასვენებისთვის პოულობთ დროს, მას მკვლელობის გამოსაძიებლადაც გამოძებნით. კრიმინალისტები უკვე გზაში არიან.

ეს თქვა და გავიდა.

- ჯანდაბა, - ჩაიბურტყუნა კესიმ, - ნაძირალა. მაპატიე, რაიან. არ მეგონა, თუ...

- ყველაფერი კარგადაა, კესი.

კესის ერთი საუცხოო თვისება ახასიათებდა: იცოდა, როდის მოეკეტა. მის საყვარელ, 1998 წელს გამოშვებულ "სააბშიჩავსხედით. კესიმ გასაღები გადმომიგდო, თუმცა ამჯერად მისი ჯერი იყო. სალონში ჩანთიდან დისკებით სავსე ყუთი ამოიღო და გამომიწოდა - მუსიკას ყოველთვის მძღოლი ირჩევდა, თუმცა ამის გაკეთება ყოველთვის მავიწყდებოდა. მაგნიტოფონში პირველივე დისკი ჩავდე, რომელიც ხელში მომხვდა, - რაღაც მძიმე და ხმაურიანი უნდა ყოფილიყო, - და ხმას ავუწიე. ნოკნარიში იმ ზაფხულის შემდეგ აღარ ვყოფილვარ. სკოლა-ინტერნატში იმაზე გვიან გამგზავნეს, ვიდრე იქ ჯემი უნდა გაეგზავნათ (ოღონდ ეს სხვა, უილტშირში მდებარე სკოლა იყო). როდესაც საშობაო არდადეგებზე შინ დავბრუნდი, უკვე ლეიქსლიპკში ვცხოვრობდით, დუბლინის მეორე მხარეს. როგორც კი ქალაქგარეთ აღმოვჩნდით, კესიმ ჩანთიდან რუკა ამოიღო და საჭირო შესახვევი იპოვა, შემდგომშიც გამუდმებით თვალს ადევნებდა მარშრუტს, რომელიც ბალახით დაფარულ სოფლის გზებს მიუყვებოდა სხლტეების გასწვრივ, ფანჯრებს რომ გვიკაწრავდა.

ბუნებრივია, ყოველთვის მინდოდა იმის გახსენება, თუ რა მოხდა მაშინ ტყეში. ყველა, ვინც ამის შესახებ იცოდა, მიმანიშნებდა, რომ ჰიპნოზისთვის მიმემართა, მაგრამ ეს ჩემში მხოლოდ ზიზღს იწვევდა. ეჭვის თვალით ვუყურებ ყველაფერს, რაც, ასე თუ ისე, პარაფსიქოლოგიას უკავშირდება: არა მხოლოდ მის საგანს, თუმცა ესეც ძალიან საეჭვოდ მიმაჩნია, არამედ მასში მონაწილე პირებსაც - ისინი იმ უსიამოვნო ტიპებს მაგონებენ, წვეულებაზე ფეხდაფეხ რომ დაგყვებიან და გიყვებიან, როგორ გაუმართლათ, რომ კატასტროფას გადაურჩნენ, და რამხელა ბედნიერებას იმსახურებენ ახლა. მეშინოდა, რომ ჰიპნოზიდან გამოსულს თვალებში ავადმყოფური ბზინვარება და კერუაკის[17] პირველად აღმომჩენი მოზარდის ნეტარი ეიფორია გამომყვებოდა, შემდეგ კი პაბებში მყოფი უცნობების ჩემს რწმენაზე მოქცევასაც შევეცდებოდი. ნოკნარი პატარა ბორცვზე მდებარე მინდორი აღმოჩნდა. არქეოლოგებს მიწა გადაეთხარათ, ყველგან ორმოები, თხრილები, მიწის გროვა, ქვების ნატეხები და გადასატანი სახლები მოჩანდა, რაც ატომური ომის შედეგად გაჩენილ უცნაურ ლაბირინთსა თუ პეიზაჟს ჰგავდა. მინდორს ერთი მხრიდან ხეების მწკრივი ერტყა, მეორე მხრიდან - ქვის დაკბილული კედელი, რომელიც გზამდე აღწევდა. ბორცვის წვერის სიახლოვეს, კედელთან, ოპერმუშაკებს ერთ-ერთი მონაკვეთი პოლიციელთა ლურჯ-თეთრი ლენტით შემოეღობათ. ამ ბიჭებს სახეზე ვცნობდი, მაგრამ თეთრ სამოსსა და რეზინის ხელთათმანებში გამოწყობილნი, უცნაური ხელსაწყოებით შეიარაღებულნი, უცნაურად და პირქუშად გამოიყურებოდნენ: უცხოპლანეტელები ან CIA-ის[18] სპეციალისტები გეგონებოდათ. ამ სიურ-

---

[17] ჯეკ კერუაკი (1922-1969) - ამერიკელი მწერალი, პოეტი და მსახიობი.

[18] CIA - აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.

რეალისტურ ფონზე რამდენიმე ნორმალური საგანი - გზის პირას მდგარი პატარა კოტეჯი, ზღურბლთან დაბმული თეთრი ნაგაზი, ქარისგან ატალღებულ სუროში ჩაფლული ქვის კოშკი - ხაზგასმით დიდი ჩანდა და თვალს ახარებდა. მინდვრის ბოლოში მუქ ზოლად ბრწყინავდა სარკისებური ათინათებით მოფენილი მდინარის ფრაგმენტი.

...კედების ძირები ქვიშაში ეფლობა, წითელ მაისურზე ფოთლების ჩრდილი თრთის, ნემსკავის მკედის ზემოთ კოღოები წუიან: "ჩუმად! თევზს დააფრთხობ!"

ოცი წლის წინათ ამ მინდვრის ადგილას ტყე იყო. ახლა მისგან მხოლოდ ხეების ზოლიღა დარჩა. ჩვენ ქვის კედლის მიღმა მდებარე სახლში ვცხოვრობდით.

ამას არ ველოდი. ირლანდიის ახალ ამბებს იშვიათად ვუყურებ - თავს მატკივებს: ეკრანზე სოციოპათების ჩვევების მქონე ერთი და იგივე პოლიტიკოსები ჩანან, ყურში უაზრო ლაქლაქი ჩამესმის, თითქოს აჩქარებული აუდიოჩანაწერი გაუშვესო. უცხოური პროგრამები უფრო საინტერესოა: როდესაც ცხოვრებას გვერდიდან შეჰყურებ, მრავალფეროვნების ილუზია რჩება. ადრეც მსმენოდა ნოკნარის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრებისა და მათთან დაკავშირებული რაღაც პრობლემების შესახებ, ოღონდ დეტალები არ ვიცოდი.

მანქანა გზის პირას გავაჩერე, გადასატან სახლებთან, სადაც არქეოლოგები ცხოვრობდნენ, პოლიციის მინივენსა და კუპერის, ჩვენი პათოლოგანატომის, დიდ, შავ "მერსედესს"შორის. გადმოვედი თუ არა, ჩემი სუფთა, დატენილი, დამცველზე შეყენებული პისტოლეტი შევამოწმე. ყოველთვის იღლიის ქვეშ დამაგრებულ ბუდეში მედო - მისი ყველას დასანახავად ტარება უტაქტობად მიმაჩნდა. ეს იგივე იყო, პოლიციის ჟეტონი ვინმესთვის სახეში ჩამეჩარა. კესი არ მეთანხმებოდა - ჯანდაბას უტაქტობა, როცა ახალგაზრდა და მხოლოდ ხუთ-ნახევარი ფუტის სი-

მაღლის ქალი ხარ, ცოტაოდენი თავხედობაც საჭიროაო, - და ბუდეს ქამარზე იკიდებდა. ადამიანებს ეს ხშირად აბნევდა. მათ არ იცოდნენ, ვისი უფრო შეშინებოდათ: პისტოლეტიანი გოგონასი თუ უპისტოლეტო ახმახის, თავგზა ებნეოდათ, რაც, უდავოდ, ხელს გვაძლევდა.

კესი მანქანას მიეყრდნო, ჩანთაში სიგარეტი მოძებნა და მკითხა:

- ხომ არ გინდა?

- არა, გმადლობ, - მივუგე მე.

პისტოლეტის ბუდე შევისწორე და ღვედებს მოვუჭირე. თითები როგორღაც გამიმსხვილდა და გამიუხეშდა, თითქოს ჩემი არც იყო. არ მინდოდა, კესის შეემჩნია: ვინც უნდა ყოფილიყო ეს ქალიშვილი და ვისაც უნდა მოეკლა იგი, მკვლელი გადასატან სახლებთან არ დაიმალებოდა და არ დამელოდებოდა, რომ მიზანში ამომეღო. კესიმ თავი ასწია და კვამლი თავზემოთ ჩამოშვებული ტოტებისკენ აუშვა. ნამდვილი ირლანდიური ზაფხულის დღე იდგა, მზითა და მკვეთრი ნიავით, ღრუბლებს გამალებით რომ ერეკებოდა. დღე, რომელსაც შეეძლო, თავსხმა წვიმა ან პაპანაქება სიცხე მოევლინა.

- წავიდეთ, - ვთქვი მე, - ვნახოთ, რა არის იქ.

კესიმ სიგარეტი ჩექმის ძირზე ჩააქრო და ნამწვი კოლოფში დააბრუნა, რის შემდეგაც გზა გადავჭერით.

სახლებს შორის დაბნეული სახით მიდი-მოდიოდა შუახნის ქურთუკშეხსნილი მამაკაცი, რომელიც ჩვენს დანახვაზე შეჩერდა.

- აჰ, დეტექტივები, - ჩაილაპარაკა მან, - დეტექტივები ხართ, არა? მე დოქტორი იეინ ჰანტი ვარ, გათხრების ხელმძღვანელი. პირდაპირ გვამთან მიგიყვანოთ, ოფისში თუ... არ ვიცი, თქვენთან როგორი წესია. ოქმები და ასე შემდეგ.

იგი მულტფილმის პერსონაჟს ჰგავდა: მოუსვენარ ჩიტს, ნისკარტით ფრთებს რომ იწმენდს და ჟღურტულებს. პროფესორი იაფლი.[19]

- მე დეტექტივი მედოქსი ვარ, ეს კი დეტექტივი რაიანია, - თქვა კესიმ, - დოქტორო ჰანტ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, დაე, თქვენმა რომელიმე კოლეგამ დეტექტივ რაიანს დანაშაულის ადგილი აჩვენოს, ჩვენ კი მანამდე ნეშტს დავხედოთ.

"ნამდვილი ძუკნაა", - გავივლე გულში. ნერვები ისედაც დაწყვეტაზე მქონდა, იმავდროულად, დარეტიანებულივით ვიყავი, თითქოს ქეიფის შემდეგ კოფეინის დიდი დოზით გამოცოცხლებას ვაპირებდი. მზე მიწაზე დაყრილ კვარცის ნატეხებს აელვარებდა და თვალს მჭრიდა. სულაც არ მინდოდა, რომ ვინმეს დავეცავი, მაგრამ ჩემსა და კესის შორის დაუწერელი კანონი მოქმედებდა: არ უნდა გვეკამათა, ყოველ შემთხვევაში, ხალხის დასანახავად. ასე ზოგჯერ ის იქცეოდა, ზოგჯერ - მე.

- ჰმ... რა თქმა უნდა, - თვალის ხამხამით ჩაიფრუტუნა ჰანტმა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყველაფერი უვარდებოდა: დახაზული ყვითელი ფურცლები, დაჭმუჭნილი ქაღალდები, ხველების საწინააღმდეგო აბები, თუმცა ხელში არაფერი ეჭირა, - რასაკვირველია. ისინი ყველანი... მოკლედ, ექსკურსიები, ჩვეულებრივ, დემიენსა და მარკს ევალებათ, მაგრამ დემიენს... მარკ!

მან ხელი ერთი სახლისკენ გაიქნია და კარის ღიობში დიდი მაგიდის გარშემო შეგროვილ ხალხს, სამხედრო ქურთუკებს, სენდვიჩებს, ორთქლადენილ ჭიქებსა და ჭუჭყიან იატაკს მოვკარი თვალი. ერთ-ერთმა ყმაწვილმა კარტი დაყარა და პლასტმასის სკამიდან წამოდგა.

---

[19] პროფესორი იაფლი - ბრიტანული საბავშვო თოჯინების ტელეშოუს პერსონაჟი, ხის ოფოფი.

- ყველას ვუთხარი, რომ იქ ცხვირი არ ჩაეყოთ, - განაგრძო ჰანტმა, - მე ხომ არ ვიცი... იქ სამხილებია... ქსოვილის ნაჭრები... თითების ანაბეჭდი.

- ძალიან კარგი, დოქტორო ჰანტ, - მიუგო კესიმ, - შევეცდებით, სწრაფად დავათვალიეროთ ის ადგილი, რადგან მუშაობის გაგრძელება მალე შეძლოთ.

- ჩვენ რამდენიმე კვირა დაგვრჩა, - ჩაილაპარაკა სახლიდან გამოსულმა ყმაწვილმა.

ეს დაბალი, გამხდარი, დაძარღვული კაცი იყო, რომელსაც მძიმე ქურთუკი ბავშვს ამსგავსებდა. მას ეცვა ზონრებზე შესაკრავი ჩექმები, ყავისფერი, განიერი შარვალი მუხლებქვემოთ ჯიბეებით და მაისური, რომლის ქვეშაც მსუბუქი მოკრივის კუნთები ამოჰბურცოდა.

- თუ ასეა, გიჯობთ, ნუღარ გააჭიანურებთ და ჩემს კოლეგას გათხრების ადგილი აჩვენეთ, - ურჩია კესიმ.

მარკმა კესი შეათვალიერა და თავი ისე დააქნია, თითქოს ქალმა ერთგვარი ტესტი წარმატებით გაიარა. შემდეგ მე მომიახლოვდა. ოცი წლის იქნებოდა, ქერა თმა უკან შეეკრა, გრძელი, ვიწრო სახე და მწვანე, კაშკაშა და გამჭრიახი თვალები ჰქონდა. მას ის უფრო აღელვებდა, რასაც სხვებზე ფიქრობდა, ვიდრე ის, რას ფიქრობდნენ მასზე. ასეთი ადამიანების გვერდით ყოფნა ყოველთვის მთრგუ ნავდა. მტკიცე და გაწონასწორებული პიროვნებების გარემოცვაში თავს გაუბედავად და არამყარად ვგრძნობდი, თითქოს უადგილო ადგილას უვარგისი ტანსაცმლით აღმოვჩნდი.

- ჩექმები დაგჭირდებათ, - თქვა მან და დაცინვით დახედა ჩემს ყელიან ფეხსაცმელს: აქ კი მართლა ვერ გავთვალე. მარკი პროვინციული კილოთი ლაპარაკობდა, - ფარდულში სარეზერვო წყვილი გვაქვს.

- ასედაც არაფერი მიჭირს.

ვიცოდი, რომ არქეოლოგები მუხლებამდე ტალახში მუშაობდნენ, მაგრამ არაფრით დავთანხმდებოდი, ამ ტიპს მის სულელურ ჩექმებში შარვალჩატანებული უკან გავყოლოდი. ისე, უარს არ ვიტყოდი, აქ ვმჯდარიყავი, ჩაი დამელია, სიგარეტი გამებოლებინა და მომხდარზე დავფიქრებულიყავი.

მარკმა წარბები ასწია.

- შესანიშნავია. წავიდეთ.

იგი სახლებს შორის უკანმოუხედავად გაემართა. არც აინტერესებდა, უკან მივსდევდი თუ არა. როდესაც დავედევნე, კესიმ მოულოდნელად იქედნურად გაიღიმა, - ეგრე მოგიხდებაო, - რამაც გამამხიარულა კიდეც. მრავლისმეტყველად შევხედე და ლოყა მოვიფხანე.

მარკი იდუმალ ნაპრალებსა და ლოდებს შორის გამავალ ვიწრო ბილიკზე გამიძღვა. თავისუფლად, ფართო ნაბიჯებით მიდიოდა მოცეკვავისა თუ საბრძოლო ხელოვნების ოსტატის დარად.

- შუა საუკუნეების საწრეტი არხი, - მითხრა და ხელი განზე აგდებულად გაიქნია.

მიწით დატვირთულ ურიკაზე მჯდომი ორი ყვავი დავაფრთხეთ. მათ ჩვენ ზემოთ რამდენიმე წრე დაარტყეს, დაასკვნეს, ადამიანები არაფერს დაგვიშავებენო და კვლავაც განაგრძეს ტალახის ჩიჩქნა.

- ეს ნეოლითის ეპოქის დასახლებაა. ადამიანები აქ ჯერ კიდევ ქვის ხანაში ცხოვრობდნენ. შეხედეთ, აი, მეთვრამეტე საუკუნის სასახლე, ერთ-ერთი ადგილი, სადაც 1798 წლის აჯანყება მზადდებოდა, - მან მხარზემოდან ისე გადმომხედა, სულელური სურვილი გამიჩნდა, ამეხსნა, რომ ირლანდიელი არ ვიყავი და თანაც აქვე, სულ ახლოს ვცხოვრობდი, - მასში მისი ამგებისა და მფლობელის პირდაპირი შთამომავლები ცხოვრობენ.

მინდვრის შუაში აღმართულ ქვის კოშკს მივაღწიეთ. სათოფურები კედლებზე ასული სუროდან გვიმზერდნენ, გვერდიდან დანგრეული კედლის ფრაგმენტი მოჩანდა. ეს ყველაფერი ბუნდოვნად ნაცნობი მეჩვენა, თუმცა ვერ გამეგო, მართლა მახსოვდა თუ, უბრალოდ, ვიცოდი, რომ უნდა მხსომებოდა.

მარკმა სამხედრო შარვლის ჯიბიდან თამბაქოს შეკვრა ამოიღო და სიგარეტის გახვევას შეუდგა. ხელისგულზე საიზოლაციო ლენტი დაეხვია.

- ეს კოშკი მეთოთხმეტე საუკუნეში უოლშების კლანმა ააგო, რამდენიმე საუკუნის შემდეგ კი მის გარშემო ციხესიმაგრე გაჩნდა, - განაგრძო მან, - მთელი ეს ტერიტორია მათ ეკუთვნოდათ, აი, იმ ბორცვებამდე, - მან თავი ჰორიზონტისკენ გაიქნია, სადაც ტყე დაკბილული კედელივით მოჩანდა, - ქვევით, მდინარის კლაკნილამდე, და იქითაც, ფერმამდე. უოლშები აჯანყებულები იყვნენ, პარტიზანები. მეთვრამეტე საუკუნეში ისინი რატმაინსში[20] განლაგებულ ბრიტანულ ყაზარმებს ესხმოდნენ თავს და დუბლინამდეც კი ჩადიოდნენ. გზად შემხვედრ ჯარისკაცებს თავებს აყრევინებდნენ, იარაღს ართმევდნენ და უკანვე გარბოდნენ. სანამ ბრიტანელები ძალას იკრებდნენ, უოლშებს უკვე შინისკენ მიმავალი გზის ნახევარი გავლილი ჰქონდათ.

მარკს მოყოლა ეხერხებოდა. თვალწინ დამიდგა ფლოქვების თქარათქური, აბდღვრიალებული ჩირაღდნები, უხეში სიცილი, საბრძოლო დაფდაფების გრიალი. უკან მივიხედე და დავინახე, რომ კესი პოლიციის მიერ გაჭიმულ ლენტთან იდგა, კუპერს ესაუბრებოდა და რაღაცას იწერდა.

---

[20] რატმაინსი - დუბლინის ერთ-ერთი რაიონი.

- მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ, - ვთქვი მე, - მაგრამ, ვშიშობ, ექსკურსიას მეტ დროს ვეღარ დავუთმობ. მხოლოდ მოკლე ცნობები მჭირდება გათხრების შესახებ.

მარკმა ქაღალდს ენა გაუსვა, სიგარეტის კეთება დაასრულა და ჯიბიდან სანთებელა ამოიღო.

- კარგი, - დამეთანხმა და სხვადასხვა მხარეს თითის გაშვერა დაიწყო, - ნეოლითის ეპოქის დასახლება, ბრინჯაოს ხანის ცერემონიული ქვა, რკინის ხანის ნაგებობა, ვიკინგების სოფელი, მეთოთხმეტე საუკუნის კოშკი, მეთექვსმეტე საუკუნის ციხესიმაგრე, მეთვრამეტე საუკუნის სასახლე.

კესი და ოპერჯგუფი ცერემონიულ ქვასთან იდგნენ.

- ღამით თუ დარაჯობთ ამ ადგილს? - ვკითხე მე.

მარკს გაეცინა.

- არა. ფარდულებს, სადაც ნივთები ინახება, და კანტორას ვკეტავთ, ძვირფას საგნებს კი ჩვენს მთავარ ოფისში ვგზავნით. ბოქლომებიც მხოლოდ ორიოდე თვის წინათ დავკიდეთ, როდესაც რაღაც ხელსაწყოები დაგვეკარგა, ფერმერებს კი მოულოდნელად ჩვენი სარწყავი შლანგები აღმოაჩნდათ. რა აზრი აქვს დაცვის დაყენებას? ერთი თვის შემდეგ აქ არაფერი დარჩება, ამის გარდა, - მან ხელი ქვის კედელს მიარტყა და სუროს ბარდებში რაღაც აშრიალდა.

- რატომ? - დავინტერესდი მე.

მარკმა აგდებულად შემომხედა.

- ერთი თვის შემდეგ, - მიპასუხა მკაფიოდ და აუჩქარებლად, - ჩვენი წყეული მთავრობა ბულდოზერებს მოიყვანს და აქაურობას მიწასთან გაასწორებს თავისი წყეული გზის გასაყვანად. თუმცა დათანხმდნენ, რომ შუაგზაზე კოშკს დატოვებენ, რათა ყოველ გზაჯვარედინზე ხმამაღლა იყვირონ, როგორ უფრთხილდებიან კულტურულ მემკვიდრეობას.

ახლაღა გამახსენდა, რომ ამის შესახებ "ახალ ამბებშიმოვისმინე: ვიღაც პოლიტიკოსი თავაზიანად გამოხატავდა აღშფოთებას არქეოლოგების გამო, რომლებსაც სურდათ, გადასახადის გადამხდელებს მილიონები დაეხარჯათ დამტკიცებული გეგმის გადასაკეთებლად. როგორც ჩანს, ამ ადგილას ტელევიზორი სხვა არხზე გადავრთე.

- შევეცდებით, არ შეგაყოვნოთ, - დავპირდი მე, - ძაღლი თუ ყეფს სასახლეში ახლომახლო ვინმეს გამოჩენისას?

მარკმა მხრები აიჩეჩა და ნაფაზი დაარტყა.

- ჩვენ არ გვიყეფს. მოგვეჩვია. ზოგჯერ საჭმელსაც ვაჭმევთ. ვფიქრობ, უცნობს დაუყეფს, თუ სახლს ახლოს ჩაუვლის, განსაკუთრებით ღამით, ოღონდ კედლის აქეთა მხარეს. იქით მისი ტერიტორია არაა.

- მანქანებზე რას იტყვით? მათაც უყეფს?

- თქვენ დაგიყეფათ? ეს ხომ ნაგაზია და არა მოდარაჯე ძაღლი.

მან პირიდან კვამლი წვრილად გამოუშვა.

მაშასადამე, მკვლელს ნებისმიერი მხრიდან შეეძლო მოსვლა, თუკი კვალის არევა სურდა: გზიდან, მინდვრიდან, მდინარიდანაც კი.

- კარგი, ჯერჯერობით, სულ ესაა, - ვთქვი მე, - გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ. სხვებთან ერთად დაგველოდეთ და რამდენიმე წუთში მოვალთ.

ბრინჯაოს ხანის ცერემონიული ქვა დაახლოებით შვიდი ფუტი სიგრძის, სამი ფუტი სიგანისა და სამი ფუტი სიმაღლის ბრტყელი ლოდი აღმოჩნდა. ბულდოზერებს მის ირგვლივ მინდორი უხეშად გადაეთხარათ, - არც ისე დიდი ხნის წინათ, თუ ნიადაგის სირბილის მიხედვით ვიმსჯელებდით, - მაგრამ ქვის გარშემო "ბალიშიხელუხლებლად დაეტოვებინათ და ახლა იგი

კუნძულივით მოჩანდა გადახნულ მიწაზე. მის წვერზე, ჭინჭარსა და შამბნარს შორის, რაღაც ლურჯ-თეთრი იდო.

ეს ჯემი არ იყო. ამას ადრევე მივხვდი, - სხვაგვარად, კესი მოვიდოდა და მეტყოდა, - მაგრამ გული მაინც გადამიცივდა. გოგონას გრძელი მუქი თმა ჰქონდა, ერთი კულული ცერად ედო სახეზე. თავდაპირველად მხოლოდ თმა დავინახე. ვერც კი მოვისაზრე, რომ ჯემის სხეული ასე კარგად არ შეინახებოდა.

გზაში კუპერს ავუქციე გვერდი - უკან, გზატკეცილისკენ, მიემართებოდა და ყოველ ნაბიჯზე ფეხს კატასავით იფერთხავდა. კრიმინალისტები სურათებს იღებდნენ და ქვაზე ფხვნილს ყრიდნენ თითების ანაბეჭდის ასაღებად; ადგილობრივი პოლიციელები მორგის თანამშრომლებს ელაპარაკებოდნენ, რომელთაც საკაცე უკვე მოეტანათ. ბალახში ციფრიანი სამკუთხა მარკერები მიმოეფანტათ. ბრტ ყელი ლოდის სიახლოვეს კესი და სოფი მილერი ჩაცუცქულიყვნენ და მის კიდეზე რაღაცას ათვალიერებდნენ. სოფი მაშინვე ვიცანი: მასავით მხრებში გამართული სხვა არავინ დადიოდა. ეს სამუშაო კომბინეზონის შიგნითაც ჩანდა. სოფი ჩემი საყვარელი კრიმინალისტია. ტანადი, შავგვრემანი და თავშეკავებული, თეთრი ქუდით მოწყალების დას ჰგავს, რომელიც ქვემეხების გრიალში დაჭრილი ჯარისკაცის თავზე დახრილა, რაღაცას ალერსიანად ეუბნება და მათარიდან წყლით ტუჩებს უსველებს, სინამდვილეში კი ის უკმეხი და მოუთმენელი პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია, ერთი სიტყვით ყველას მიუჩინოს საკუთარი ადგილი, თუნდაც ეს პროკურორი ან სუპერინტენდანტი იყოს. მომწონს ასეთი კონტრასტულობა.

- როგორ არის საქმე? - ვიკითხე და ლენტთან გავჩერდი: ბიუროს თანამშრომლების უნებართვოდ დანაშაულის ადგილას მისვლა არ შეიძლება.

- აჰ, რობ! - შესძახა სოფიმ, წელში გაიმართა და ნიღაბი მოიხსნა, - ახლავე მოვალთ.

პირველი ჩემ გვერდით კესი გაჩნდა.

- ერთი-ორი დღის მოკლულია, - ხმადაბლა მითხრა მან, სანამ სოფი მომიახლოვდებოდა. ფერმკრთალი სახე ჰქონდა - ბავშვების სიკვდილი ყოველთვის ნერვებზე მოქმედებს.

- გმადლობ, კეს, - მივუგე მე, - გამარჯობა, სოფი!

- გამარჯობა, რობ! ხომ არ დაგავიწყდა, შენ და კესიმ სასმელი რომ უნდა იკისროთ?

ორი თვის წინათ შევპირდით, რომ კოქტეილით გავუმასპინძლდებოდით, თუ სისხლის ანალიზის სწრაფად გაკეთებაში დაგვეხმარებოდა. მას შემდეგ სულ ვიმეორებდით: "როგორმე ერთმანეთს უნდა შევხვდეთ", მაგრამ სიტყვას საქმე არ მოსდევდა.

- თუ დაგვეხმარები, სადილიც ჩვენზე იყოს, - ვუთხარი ღიმილით, - აბა, რა გვაქვს?

- თეთრკანიანი გოგონა, ათიდან ცამეტ წლამდე, - თქვა კესიმ, - დოკუმენტები არა აქვს. ჯიბეში გასაღები უდევს - სავარაუდოდ, ბინის, ზუსტად არ ვიცით. თავი აქვს გატეხილი, მაგრამ კუპერმა ყელზე სისხლჩაქცევები აღმოუჩინა. ასე რომ, სიკვდილის მიზეზი ჯერ დაუდგენელია. სრულად აცვია, თუმცა გაუპატიურების ნიშნებიც ჩანს. საკმაოდ უცნაური შემთხვევაა. კუპერის თქმით, ოცდათექვსმეტი საათის წინათ მოკლეს, მაგრამ სხეულზე მწერების კვალი თითქმის არ ეტყობა, თანაც მას არქეოლოგებიც შეამჩნევდნენ, აქ რომ გუშინს აქეთ წოლილიყო.

- მაშასადამე, ეს დანაშაულის ადგილი არაა?

- გამორიცხულია, - დაადასტურა სოფიმ, - ქვაზე სისხლის კვალიც კი არ არის. იგი სხვა ადგილას მოკლეს, ერთი-ორი დღე გააჩე რეს და მერე აქ გადმოიტანეს.

- რამეს თუ მიაგენით?

- დიახ, - თავი დამიქნია მან, - საჭიროზე მეტსაც კი. აქ, როგორც ჩანს, ადგილობრივი ახალგაზრდები შეიკრიბნენ - ნამწვე-

ბი, ლუდის ქილები, საღეჭი რეზინა, მარიხუანა, რამდენიმე ნახმარი პრეზერვატივი. დაპატიმრების შემდეგ შეიძლება დადგინდეს ამ ყველაფრის კავშირი ეჭვმიტანილთან, - თუმცა ეს დიდი ხათაბალაა, - მაგრამ, ვფიქრობ, მოზარდები არაფერ შუაში არიან. უამრავი თითის ანაბეჭდია. თმის სამაგრიცაა. არა მგონია, მსხვერპლს ეკუთვნოდეს - იგი მიწიდან ამოთხარეს ქვის ძირში და, როგორც ჩანს, იქ დიდხანს იდო, - შეხედეთ, თუ გნებავთ. მეეჭვება, რომ ამ ახალგაზრდებისგან მას რომელიმე ატარებდა: პლასტმასის სამაგრი ბოლოში წითელი პლასტმასის მარწყვით - ასეთებს პატარა ბავშვებს უკეთებენ ხოლმე.

... ქერა თმის ტალღა...

მომეჩვენა, რომ ვიღაცამ ღონივრად დამარტყა მკერდში; შევქანდი და კინაღამ დავეცი, შემდეგ კი მომესმა, რომ კესი სოფის სწრაფად ეუბნებოდა:

- დიახ, მისი არ უნდა იყოს. მხოლოდ ლურჯი და თეთრი ტანსაცმელი აცვია, რეზინის თმის სამაგრიც ამ ფერისა აქვს. გოგონა სტილს იცავდა, თუმცა მაინც უნდა შევამოწმო.

- კარგად ხარ? - მკითხა სოფიმ.

- ჰო, ნორმალურად, - მივუგე მე, - ოღონდ ყავა უნდა დავლიო.

დუბლინში სწრაფ, ენერგიულ, ორმაგი "ესპრესოთი დამუხტულ თანამედროვე ცხოვრებას დიდი უპირატესობა აქვს, - უყავობით გუნება-განწყობის ნებისმიერი ცვლილების გამართლება ადვილად შეიძლება. ჩაის ეპოქაში მსგავსი ნომერი არ გაჭრიდა, - ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების ახლანდელი ტემპის დროს.

- ვფიქრობ, დაბადების დღეზე კოფეინის დიდი დოზა ხომ არ ვაჩუქო, - თქვა კესიმ. სოფი მასაც მოსწონდა, - უმისოდ არაფერი ვარგა. მოუყევი ქვის შესახებ.

- დიახ, არის რაღაც საინტერესო. ამ ზომის ქვა აღმოვაჩინეთ, - მან ხელისგულები შეაერთა და დაახლოებით რვა დუიმის სიგანის ნივთი გამოსახა, - დარწმუნებული ვარ, ეს მკვლელობის იარაღია. კედელთან, ბალახში ეგდო. მასზე თმა, სისხლი და ძვლის ნატეხებია.

- თითების ანაბეჭდი? - ვკითხე მე.

- არა. მხოლოდ ორი ლაქაა, ალბათ, ხელთათმნის კვალია. ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ ქვა კედელთან ეგდო, - როგორც ჩანს, მკვლელი მასზე სოფლის მხრიდან გადმოძვრა, ან სურდა, ასე გვეფიქრა, - რომ ქვა თან მოჰქონდა. გაცილებით გაუადვილდებოდა, გაერეცხა და თავის ბაღში დაეტოვებინა, ვიდრე გვამთან ერთად ეთრია.

- იქნებ დიდხანს ეგდო ბალახში? დამნაშავეს კი მასზე გვამი დაუვარდა, როდესაც კედელზე გადმოჰქონდა.

- არა მგონია, - თავი გადააქნია სოფიმ და ფეხი ოდნავ შეანძრია, თითქოს ლოდისკენ მიბიძგა, სადაც დაბრუნებას ეშურებოდა.

მზერა ავარიდე. არა, გვამის არ მეშინოდა - უარესიც მენახა. შარშან, მაგალითად, ჩვილი ბავშვი, რომელსაც მამამ იმდენი ურტყა, სანამ იგი შუაზე არ გადატყდა, მაგრამ მაინც უქეიფოდ ვიყავი, თავბრუ მეხვეოდა, საგნებს ბუნდოვნად ვხედავდი. "ჰო, ყავა ნამდვილად არ მაწყენდა", - დავასკვენი მე.

- სისხლი ქვედა მხარეს ეცხო. მის ქვეშ ახალი, ოდნავ გათელილი ბალახია. ქვა იქ ძალზე ცოტა ხანს იდო, - თქვა სოფიმ.

- თანაც იმ დროს ჭრილობიდან სისხლი აღარ მოდიოდა, - დაამატა კესიმ.

- აი, კიდევ რა, - თქვა სოფიმ, - შეხედე.

ბედს დავმორჩილდი და ლენტის ქვეშ გავძვერი. კრიმინალისტები განზე გადგნენ. ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ, სტაჟიორებს ჰგავდნენ. უეცრად დავფიქრდი, ნეტავ როგორ გვიყუ-

რებენ გამოცდილ, მრავლისმნახველ ხალხს-მეთქი - ორ მშვიდ დეტექტივს, გულგრილად, მხარდამხარ, არაფრის მთქმელი სახით რომ მიემართებიან მოკლული გოგონასკენ. ამ სურათმა მხნეობა შემმატა.

იგი ოდნავ მოკუნტული იწვა მარცხენა გვერდზე, როგორც დივანზე, უფროსების ლაპარაკით მიძინებული. მარცხენა ხელი ქვიდან ძირს ჩამოეშვა, მარჯვენა - იდაყვში უხერხულად მოეხარა და მკერდზე მიედო. გოგონა თასმებიან და პატარაჯიბეებიან მონაცრისფრო-ლურჯ შარვალში, სტილიზებულ ღიღილოიან თეთრ მაისურსა და თეთრ ბოტასებში. კესი არ შემცდარა: მსხვერპლი სტილს მკაცრად იცავდა - ლოყაზე გადმოგდებულ ნაწნავზეც კი ლურჯი ღიღილო ეკეთა. პატარა და სუსტი ჩანდა, მაგრამ მოშიშვლებული მუცლის ქვემოთ გვარიანი ნაკუთალი მოუჩანდა. ათსა და ცამეტ წელს შორის... ჰო, ასე იქნებოდა: მკერდი ახლა უყალიბდებოდა, მაისური ოდნავ აეწია. ცხვირზე, ტუჩებსა და ღრძილებზეც კი სისხლი შეხმობოდა. ქარი ქვაზე მიმოფანტულ თმას უწეწავდა.

- როგორც ჩანს, წინააღმდეგობას უწევდა, - თქვა სოფიმ, - ორი ფრჩხილი მოსტეხია. მეეჭვება, რომ დანარჩენების ქვეშ დნმ-ს მივაგნოთ - გარეგნულად სუფთა ჩანს, მაგრამ აუცილებლად უნდა შევამოწმოთ ის, რაც ტანსაცმელზე დარჩა.

უეცრად ყვირილი მომინდა: შეჩერდით, არ შეეხოთ, თავი დაანებეთ! მას ისედაც ყველაფერი წავართვით, რაც შევძელით. ახლა მხოლოდ სიკვდილიღა დარჩა. მშვიდად მაინც იწვეს. მე მას ფრთხი ლად შევახვევდი დიდ პირსახოცში, შუბლზე მიკრულ თმას გადავუწევდი, ჩამოცვენილი ფოთლებისა და მოშრიალე ბალახისგან შეკერილ საბანს დავახურავდი. დაე, ეძინოს, წყნარად გაცუროს ღამის იდუმალ მდინარეში, სადაც წელიწადის დროები სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს, ცა კი თავ-

ზემოთ თოვლის ფიფქებით, ბაბუაწვერას ფერებითა და მთვარის ფაზებით მოხატულ ლურჯ ქოლგასავით ტრიალებს...

- მეც მაქვს ასეთი მაისური, - ჩაილაპარაკა კესიმ, - "პენი კიდის"მაღაზიაში ვიყიდე.

მახსოვდა მის ტანზე ეს მაისური, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ აღარასდროს ჩაიცვამდა - შებილწული ბავშვობა ძალზე ბასრი ნატეხია, რათა მისი მონელება ირონიამ შეძლოს.

- აი, რა მინდოდა, შენთვის მეჩვენებინა! - ცივად მითხრა სოფიმ. დანაშაულის ადგილას მას სენტიმენტალობა და შავი იუმორი არ უყვარდა. ამას იმით ხსნიდა, რომ ემოცია მუშაობისთვის საჭირო დროს ართმევდა. თუმცა სხვა რამეს გულისხმობდა: ასეთ საშუალებებს მხოლოდ სუსტი ადამიანები იყენებდნენ. სოფიმ ქვის კიდეზე მიმითითა, - მოგცე ხელთათმანი?

- ხელს არაფერს ვახლებ, - მივუგე და ჩავიცუცქე.

ახლაღა შევამჩნიე, რომ გოგონას ერთი თვალი ოდნავ გაეხილა, თითქოს თავს იკატუნებდა, რომ ეძინა, საცაა წამოხტებოდა და სიცილით შესძახებდა: "აჰა! ხომ გამოგიჭირეთ, თქვე სულელებო!"ხელზე ნელა მიცოცავდა მბზინავი შავი ხოჭო.

ლოდს კიდეზე, ოდნავ ქვემოთ, თითის სიგრძე ღრუ ადგილი გასდევდა. დროსა და ამინდს მისი ნაპირები მოეგლუვებინა და თითქმის გაეპრიალებინა, მაგრამ ერთგან ოსტატის სატეხი, როგორც ჩანს, გვერდზე გამხტარიყო, კლდის ნაწილი ჩამოეტეხა და დაკბილული კვალი დაეტოვებინა. ქვას რაღაც მუქი, თითქმის შავი მიჰკვროდა.

- ჰელენმა მიაგნო, - თქვა სოფიმ. ერთ-ერთმა კრიმინალისტმა ქალმა თავი ასწია და მორცხვად გაიღიმა, - ნაცხი ავიღეთ: სისხლია, ოღონდ არა აუცილებლად ადამიანის. არა მგონია, ჩვენს მსხვერპლთან რამე აკავშირებდეს. როდესაც აქ მოიტანეს, სისხლი უკვე გამხმარი იქნებოდა, ლაქა კი რამდენიმე წლის უნდა იყოს. ან რომელიმე ცხოველის სისხლია, ამ მოზარ-

დების ჩხუბის შედეგად დარჩა. ყოველ შემთხვევაში, საინტერესო დეტალია.

გამახსენდა ჯემის წვრილი მაჯები, პიტერის მზენაკრავი კისერი, რომელსაც თმის შეკრეჭის შემდეგ თეთრი ზოლი ემჩნეოდა. თავმიუბრუნებლად, კეფითაც კი ვგრძნობდი, რომ კესი მიყურებდა.

- ვერ ვხვდები, რა კავშირი უნდა იყოს, - ჩავილაპარაკე.

წამოვდექი - ძნელია ქუსლებზე ჯდომა, როცა ქვას არ ეხები - და ვიგრძენი, როგორ შექანდა მიწა ფეხებქვეშ.

წასვლამდე, ლოდის გვერდით მდებარე პატარა ბორცვზე ავედი, არემარეს თვალი მოვავლე და ყველა დეტალის დამახსოვრება ვცადე: ქვაბულების, სახლების, მინდვრების, გზების, ბილიკების, ღრმუ ლებისა და მაღლობების. ქვის კედელთან მწვანე ვიწრო ზოლი ხელუხლებლად დაეტოვებინათ - ალბათ, იმისთვის, რომ არქეოლოგებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის თავი არ მოებეზრებინათ. ხის ზედა ტოტიდან ცისფერი პლასტიკური გვარლის ობმოდებული და გაცვეთილი ნაწილი ეშვებოდა და წარმოსახვაში საშინელ სურათებს აჩენდა, - ლინჩის წესით გამსამართლებელთა ჯგუფს, ღამის თვითმკვლელს, - მაგრამ ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ ძველი, საბურავისგან გაკეთებული საქანელა იყო.

ჩვეულებად მექცა, ნოკნარი ისე გამეხსენებინა, თითქოს ეს ამბავი მე კი არ გადამხდა თავს, არამედ ვიღაც სხვას, მაგრამ ფიქრით ყოველთვის აქ ვრჩებოდი. სანამ კოლეჯში კონსპექტებს ჩავკირკიტებდი ან კესის დივანზე ვკოტრიალობდი, ის ბიჭი საბურავზე ქანაობდა, თმააბურძგნილი პიტერის კვალდაკვალ კედელს ზემოდან ევლებოდა და ტყეში უჩინარდებოდა სიცილითა და მზემოკიდებული ფეხების ტყაპატყუპით.

ერთხანს მჯეროდა, - პოლიციასთან, გაზეთებსა და ჩემს თავზარდაცემულ მშობლებთან ერთად, - რომ მართლა გადავრჩი

და საშინელმა ნაკადმა, რომელმაც პიტერი და ჯემი გაიტაცა, ნა-
პირზე დამტოვა, მაგრამ ასე არ არის. ახლა ვიცი, რომ პირქუშ
სიღრმეში, იქ, სადაც ყველაფერი წყდება, ტყიდან ჯერაც არ გა-
მოვსულვარ.

3 თავი

ნოკნარიში მომხდარის შესახებ არავის ვუყვებოდი. რა საჭირო იყო? ხარბად დასმული შეკითხვები რომ მომესმინა იმის შესახებ, რაც ისედაც არ მახსოვდა, სულელური თანაგრძნობის გამოხატვა ან დაუკითხავი რჩევები ჩემს ფსიქიკურ მდგომარეობაზე? უამისოდაც იოლად გავიდოდი. რა თქმა უნდა, ჩემმა მშობლებმა, კესიმ და ჩარლიმ - ჩემმა მეგობარმა ინტერნატიდან, ახლა ლონდონის ბანკში მუშაობს, ზოგჯერ მიმოწერაც გვაქვს - და იმ გოგონამ, ჯემამ, ყველაფერი იციან. ამ უკანასკნელს მაშინ შევხვდი, როდესაც ცხრამეტი წლის ვიყავი (გამუდმებით ვსვამდით, თანაც მას ძალიან მოსწონდა ყოველგვარი საშინელება, და მეგონა, ეს მის თვალში მამაღლებდა). სხვამ არავინ იცოდა.

როდესაც ინტერნატში გამგზავნეს, ადამი აღარ ვიყავი. ამ სახელით აღარ მომმართავდნენ. არ მახსოვს, ეს იდეა ვის თავში დაიბადა, თუმცა მე კი მომეწონა. დუბლინის სატელეფონო ცნობარში "რაიანი" ხუთ გვერდზეა ჩამოწიკწიკებული, სამაგიეროდ, ადამი გვხვდება იშვიათად. გვარიანი რეკლამა კი გამიკეთეს (ინგლისში მკვირცხლად გადავათვალიერებდი ხოლმე გაზეთებს, რომლებსაც ბუხარში ცეცხლის დასანთებად მაძლევდნენ, ჩემთან დაკავშირებულ გვერდებს ვხევდი, ტუალეტში ყურადღებით ვკითხულობდი და უნიტაზში ვყრიდი). ადრე თუ გვიან, მაინც მიცნობდნენ, მაგრამ არავის მოსდიოდა თავში, რომ ინგლისური აქცენტის მქონე დეტექტივ რობსა და ნოკნარელ ბიჭუნა ადამ რაიანს რამე აერთიანებდათ.

ცხადია, ვიცოდი, რომ ო ’ კელისთვის ყველაფერი უნდა მეამბა, განსაკუთრებით ახლა, როდესაც იმ საქმის გამოძიება დამავალეს. ის ხომ, შესაძლოა, ჩემს თავგადასავალსაც უკავშირდებოდა, მაგრამ ასე არ მოვქცეულვარ. საქმეს მაშინვე ჩამომაშორებდნენ, - მიღებულია, რომ დეტექტივს არ შეუძლია იმ საქმის

გამოძიება, რომელიც პირადად მას ეხება, - თანაც დეტალურად გამომკითხავდნენ, თუ რა მოხდა იმ დღეს ტყეში, რაც ვერც საქმეს დაეხმარებოდა რამით და ვერც ვერავის. ჯერაც კარგად მახსოვდა პირველი დაკითხვით მიღებული შთაბეჭდილება: მამაკაცების ხმამაღალი ლაპარაკი, რომელიც ბუნდოვნად, თითქოს შორიდან მესმოდა და ძლივს აღწევდა გონებამდე, სადაც არაფერი იყო, ცის უკიდეგანო სივრცეში მცურავი თეთრი ღრუბლებისა და მაღალ ბალახში ახმაურებული ქარის გარდა.

პირველი ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ ამას ვხედავდი, მხოლოდ ეს მესმოდა. სხვა არასდროს მიგრძნია, გასული რიცხვით მსგავსი მდგომარეობა საშინელებად მეჩვენებოდა, - წაშლილი მეხსიერება, ფერადი სქემა თავში, - ამიტომაც ყოველთვის, როცა ჩემთან დეტექტივები მოდიოდნენ და დაკითხვას იწყებდნენ, ეს მიბრუნდებოდა, ტვინი მწებვარე შიშში ეხვეოდა და სიტყვას ვეღარ ვამბობდი. პოლიცია არ მეშვებოდა, კვლავ და კვლავ გზავნიდა თავის ხალხს, თავდაპირველად სამ--ოთხ თვეში ერთხელ, სასკოლო არდადეგების დროს, შემდეგ წელიწადში ერთხელ, მაგრამ ვდუმდი და მალე თავი დამანებეს, რაც ძალიან გამიხარდა: ჯერაც ვერ გამიგია, ვის რაში უნდა დახმარებოდა ეს აჩემებული ვიზიტები.

ვფიქრობ, ახლა შექმნილი ვითარება მომწონდა კიდეც. საქმეს ვიძიებდი, გულით უცნაურ და პირქუშ საიდუმლოს დავატარებდი, რომლის შესახებაც არავინ იცოდა, რაც ჩემს პატივმოყვარეობასა და რომანტიკულ გემოვნებას სრულად აკმაყოფილებდა. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ არაფრით ჩამოვუვარდებოდი მარტოხელა, იდუმალებით მოცულ პოპულარულ კინოგმირებს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ძებნის ბიუროში დავრეკე და მაშინვე მომცეს ინფორმაცია სავარაუდო მსხვერპლის შესახებ. ქეითლინ დევლინი, თორმეტი წლის, ოთხი ფუტისა და ცხრა

დუიმის სიმაღლის, გამხდარი, მუქი გრძელი თმით, თაფლისფერი თვალებით, ცხოვრობდა ნოკნარი-გროუვის 19-ში (გამახსენდა, რომ დასახლებაში ყველა ქუჩას ნოკნარი ერქვა, რომელსაც განსხვავებული სიტყვები ემატებოდა ბოლოსართის სახით: "გროუვი", "ქლოუზი", "ფლეისი" ან "ლეინი", და ფოსტალიონებს ყოველთვის ერეოდათ მისამართები), დაიკარგა წინადღეს, დილის 10:15-ზე, როდესაც დედა მის გასაღვიძებლად ოთახში შევიდა და ვერსად ნახა. ამ ასაკის გოგოს სახლიდან გაქცევაც შეეძლო, - ყოველ შემთხვევაში, ჩანდა, რომ იქიდან საკუთარი ნებით წავიდა, - ამიტომაც პოლიციელებმა გადაწყვიტეს, მოეცადათ და ძებნა ოცდაოთხი საათის შემდეგ დაეწყოთ. მათ მხოლოდ შეტყობინება მოამზადეს პრესისთვის და მის გამოქვეყნებას მეორე დღეს აპირებდნენ.

მსხვერპლის ვინაობის დადგენამ - თუნდაც წინასწარმა - შვება მომგვარა. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ გოგონას (მით უმეტეს, კარგი ოჯახიდან გამოსულს, თანაც ირლანდიისთანა პატარა ქვეყანაში) ძებნას აუცილებლად დაიწყებდნენ, მაგრამ მოცემული საქმის გარემოებებისგან ტანში ჟრუანტელი მივლიდა, მეშინოდა, საიდანღაც ჩამოვარდნილი უსახელო მსხვერპლი არ გამოდგეს, მისი დნმ ჩემს კედებზე შემხმარ სისხლს არ დაემთხვეს, "საიდუმლო მასალების"[21] მსგავსი რამ არ მოხდეს-- მეთქი. სოფის მიერ "პოლაროიდით", დამზოგავი რაკურსით გადაღებული სურათი ავიღე, რათა ოჯახისთვის მეჩვენებინა, და გათხრების ადგილს დავუბრუნდით. ჰანტი პატარა სახლიდან ისე გამოვარდა, როგორც სათამაშო კაცუნა ძველი საათიდან.

- აბა, როგორ ხართ?... უკვე დაადგინეთ? მკვლელობაა? საბრალო ბავშვი! რა საშინელებაა!

---

[21] "საიდუმლო მასალები" - ამერიკული ტელესერიალი.

- ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდია, - ვუთხარი მე, - თქვენს თანამშრომლებს რამდენიმე სიტყვა უნდა ვუთხრათ. შემდეგ იმ კაცთან გვსურს საუბარი, რომელმაც გვამი აღმოაჩინა. დანარჩენებს შეუძლიათ, მუშაობა განაგრძონ, ოღონდ დანაშაულის ადგილას არავინ მივიდეს. მათ მოგვიანებით დაველაპარაკებით.

- მერედა, ისინი... არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმის დასადგენად, თუ სად ეკრძალებათ შესვლა? საზღვარი ან რამე მსგავსი?

- დანაშაულის ადგილი სპეციალური ლენტით არის შემოსაზღვრული, - მივუგე მას, - თუ არ გადაკვეთენ, ყველაფერი კარგად იქნება.

- ადგილი გვჭირდება შტაბბინის მოსაწყობად, - დაამატა კესიმ, - რას გვირჩევდით?

- ყველაფერს მასალების შესაგროვებელი ფარდული აჯობებს, - ჩაერთო მარკი, - იქ სისუფთავეა, სხვა ადგილები კი ნაგვითაა სავსე.

ამ სიტყვის გაგონებას არ ველოდი, თუმცა ის, რაც სახლების კარებიდან ჩანდა, - სველი ტალახი, ჩექმების კვალი, ჩაზნექილი მატრასები, ერთ გროვად დაწყობილი ფერმერის ინსტრუმენტები, ველოსიპედები და მბზინავზოლიანი ყვითელი ქურთუკები, - ყველაფერზე თავისთავად მეტყველებდა.

- თუკი იქ მაგიდა და სკამებია, არაფერი გვიჭირს, - ვთქვი მე.

- ფარდული იქ არის, - მარკმა ხელი სახლებისკენ გაიშვირა.

- დემიენის შესახებ რას იტყვით? - ჰკითხა კესიმ ჰანტს.

მან უმწეოდ აახამხამა თვალები და პირი დააღო.

- რა... რომელი დემიენი?

- თქვენი ჯგუფიდან. ადრე გვითხარით, რომ ექსკურსიებს მარკი და დემიენი აწყობენ, მაგრამ დემიენი ვერ დაგეხმარებათო. რატომ?

- ის ერთ-ერთია იმათგან, ვინც გვამი იპოვა, - თქვა მარკმა, სანამ ჰანტი აზრს იკრებდა, - ახლა შოკშია.

- დემიენი, შემდეგ? - იკითხა კესიმ და კალამი მოიმარჯვა.

- დონელი, - მიუგო ჰანტმა, რომელსაც გაუხარდა, რომ ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იგრძნო, - დემიენ დონელი.

- მაშასადამე, როდესაც გვამს წააწყდნენ, ის მარტო არ ყოფილა?

- თან მელ ჯექსონი ახლდა, - თქვა მარკმა, - მელანი.

- წავიდეთ მასთან, - შევთავაზე მე.

არქეოლოგები იმპროვიზებულ სასადილოში მაგიდასთან ისხდნენ. თხუთმეტი-ოცი კაცი იქნებოდა. როდესაც შევედით, მშიერი ბარტყებივით თავი ერთდროულად მოატრიალეს. ოც წელს ოდნავ გადაცილებული გოგო-ბიჭები იყვნენ, სტუდენტურ, განიერ სამოსში კიდევ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ, გულუბრყვილო, ხასხასა, ქარნაკრავი სახეები ჰქონდათ. მათ დანახვაზე თავდაპირველად კიბუცელები[22] და "უოლტონები"[23] გამახსენდა - ცხადია, ეს ილუზია იყო. თმა სარჭებით დაემაგრებინათ ან "კუდად" შეეკრათ - უფრო პრაქტიკული თვალსაზრისით, ვიდრე სილამაზისთვის. ბიჭები წვერითა და მზისგან აქერცლილი კანით იწონებდნენ თავს. ერთი მათგანი, ხულიგნის მიამიტი (მასწავლებლების სატანჯველი) სახით, ყურებამდე ჩამოწეული ნაქსოვი ქუდით, მოწყენილობის გასაფანტავად ძველ კომპაქტდისკზე სხვადასხვა ნივთს აწყობდა და სანთებლით ადნობდა. მიღებული შედეგი - გაღუნული კოვზები, მო-

---

[22] კიბუცელები ან კიბუცი - სასოფლო-სამეურნეო თანაცხოვრების კომუნა ისრაელში, კომუნალური თანაცხოვრების ფორმა, აერთიანებს სოციალიზმსა და სიონიზმს.

[23] "უოლტონები" - ამერიკული ტელესერიალი, რომელშიც "დიდი დეპრესიისა" და მეორე მსოფლიო ომის დროს სოფლად ცხოვრებაა აღწერილი.

ნეტები, სიგარეტის კოლოფის ცელოფანი, ჩიფ სი - საკმაოდ თავშესაქცევად გამოიყურებოდა და თანამედროვე ხელოვნების არცთუ მოსაწყენ ნიმუშებს ჰგავდა. კუთხეში ჭუჭყიანი მიკროტალღური ღუმელი იდგა. თავი ძლივს შევიკავე, რომ ამ მოქანდაკისთვის შემეთავაზებინა - მიდი, დისკი იქ შედე და ნახე, რა მოხდება-მეთქი.

მე და კესიმ ერთდროულად დავიწყეთ ლაპარაკი და იგი მაშინვე გაჩუმდა. წესით, სწორედ კესი უნდა ყოფილიყო წამყვანი დეტექტივი, რადგან ამ საქმის აღებას დათანხმდა, მაგრამ ჩვენ, ჩვეულებრივ, სხვაგვარად ვმუშაობდით და განყოფილების თანამშრომლები უკვე მიეჩვივნენ, რომ კედელზე ჩამოკიდებულ დაფაზე სიტყვა "წამყვანის" ქვეშ ჩვენი ინიციალები - "მ" და "რ" ეწერა. ახლა კი რატომღაც იმის დამტკიცება მომინდა, რომ მასზე ნაკლებად არ შემეძლო ამ მკვლელობის გამოძიება.

- დილა მშვიდობისა, - ვთქვი მე. უმრავლესობამ პასუხად რაღაც ჩაიბურტყუნა. მოქანდაკემ ხმამაღლა და მხიარულად წარმოთქვა "შუადღე მშვიდობისაო!" - უკვე მართლა შუადღე იდგა, - და ვიფიქრე, რომ რომელიღაც ქალიშვილზე შთაბეჭდილების მოხდენა სურდა, - დეტექტივი რაიანი ვარ, ეს კი დეტექტივი მედოქსია. გეცოდინებათ, რომ დღეს გათხრების ადგილას გოგონას გვამი იპოვეს.

ერთ-ერთმა ყმაწვილმა რაღაც წამოიძახა - კუთხეში იჯდა ორ ქალიშვილს შორის ჩაკვეხებული, რომლებსაც ორთქლადენილი ჭიქები ეჭირათ. მაშინვე მივხვდი, რომ დემიენ დონელი იყო. ყველანი დათრგუნვილი იყვნენ, გარდა მოქანდაკისა, ოღონდ - არა თავზა რდაცემული. მხოლოდ მას გაუფითრდა დაჭორფლილი სახე მკვ და რივით და გააფთრებით ჩაეჭიდა თავის ფინჯანს.

- თითოეულ თქვენგანთან გვსურს გასაუბრება, - ვთქვი მე, - და სანამ ამას არ დავასრულებთ, გთხოვთ, ყველანი აქ დარჩეთ.

რომელიმეს, შესაძლოა, შეყოვნებამ მოგიწიოთ, მაგრამ ცოტა უნდა მოითმინოთ.

- ეჭვმიტანილები ხომ არა ვართ? - იკითხა მოქანდაკემ.

- არა, - მივუგე, - მაგრამ თუ სასწრაფოდ დაგვჭირდება ინ-ფორმაციის მიღება, უნდა ვიცოდეთ, სად გეძებოთ.

- აჰა... - იმედგაცრუებით ჩაილაპარაკა ყმაწვილმა და სკამზე დაეხეთქა. ამჯერად დისკზე შოკოლადის ფილის შეწვას შეუდგა, მაგრამ კესის მზერა დაიჭირა და სანთებელა დამალა.

შემშურდა: ყოველთვის მინდოდა, იმ ადამიანთაგან ერთ--ერთი ვყოფილიყავი, რომლებსაც უსაშინლესი მოვლენაც კი ამაღელვებელი თავგადასავალი ჰგონიათ.

- და კიდევ, - ვთქვი მე, - რეპორტიორების გამოჩენა ნებისმი-ერ წუთსაა მოსალოდნელი. მათთან ურთიერთობას თავი აარი-დეთ. თუ რამეს შეატყობინებთ, თუნდაც უმნიშვნელო დეტალს, ეს გამოძიებას ავნებს. ჩვენს სავიზიტო ბარათებს დაგიტოვებთ იმ შემთხვევისთვის, თუ რამის მოყოლა მოგინდებათ. შეკითხვა ხომ არა გაქვთ?

- თუ მილიონს შემოგვთავაზებენ? - იკითხა მოქანდაკემ.

ფარდულში განთავსებული საცავი ისეთი შთამბეჭდავი არ აღმოჩნდა, როგორსაც ველოდი. მარკმა გამაფრთხილა, რომ ყველაფერი ფასეული უკვე გაეტანათ, მაგრამ თვალწინ მაინც მედგა ოქროს ფიალები, ჩონჩხი და პიასტრებით სავსე სკივრე-ბი. ხელში კი მხოლოდ ორი სკამი, განიერი მაგიდა, ქაღალდის ფურცლები და პლასტიკურ პაკეტებში დაფასოებული და პერფო-რირებულ თაროებზე დაწყობილი ურიცხვი დამტვრეული თავის ქალა შემრჩა.

- ჩვენი მონაპოვარია, - მითხრა ჰანტმა და თაროს ხელი მიუკაკუნა, - ვფიქრობ... არა, სხვა დროს იყოს. სათამაშო კოჭე-ბისა და საკიდრის კაუჭების საკმაოდ კარგი ნიმუშებია.

- სიამოვნებით დავათვალიერებთ მოგვიანებით, დოქტორო ჰანტ, - მივუგე მე, - თუ შეიძლება, ათიოდე წუთით დაგვტოვეთ და დემიენ დონელი გამოგვიგზავნეთ.

- დემიენი? კარგი, - თქვა ჰანტმა და გავიდა.

კესიმ კარი მიხურა.

- ვერ გამიგია, როგორ ანდვეს გათხრები, - ჩავილაპარაკე და მაგიდაზე მიმოფანტულ ნახატებს, კერძოდ, რომელიღაც ძველი მონეტის სხვადასხვა რაკურსით აკურატულად შესრულებულ მონახაზებს თვალი გადავავლე. თვითონ მონეტა, გვარიანად გაღუნული და ჩამჯდარი ჭუჭყისგან დალაქავებული, მაგიდის შუაში, პაკეტში იდო. იგი კარტოთეკაში გადავიტანე.

- თუკი მარკის მსგავს ადამიანებს ხელმძღვანელობს, მაშასადამე, ორგანიზატორული ნიჭი ჰქონია, - შემეპასუხა კესი, - თმის სამაგრის შესახებ რა ისმის?

ნახატები ერთად დავაწყვე.

- მგონი, ჯემი როუენსაც ასეთი ჰქონდა.

- აჰა, გასაგებია. გახსოვს თუ საქმეში ამოიკითხე?

- რა მნიშვნელობა აქვს?

ჩემმა პასუხმა საკმაოდ უკმეხად გაიჟღერა.

- თუ აქ რამე კავშირი არსებობს, არა მგონია, ამის დამალვის უფლება გვქონდეს, - გონივრულად განაცხადა კესიმ, - შეგვიძლია, მაგალითად, სოფის ვთხოვოთ, რომ სისხლი 1984 წელს აღებულ ნიმუშებს შეადაროს, თან ავუხსნათ, ეს რისთვის გვჭირდება. ყველაფერი გაცილებით გამარტივდება, თუ ამ ორი საქმის ერთმანეთთან დაკავშირება მოხერხდება.

- რა თქმა უნდა, - ვთქვი მე. მაგიდა ოდნავ ირყეოდა და კესიმ ქაღალდი დაკეცა, რათა მის ფეხქვეშ ამოედო, - ამას ამ საღამოსვე მოვკიდებ ხელს. სოფის კი ჯერ არაფერი უთხრა, კარგი?

- კარგი, - თავი დამიქნია კესიმ, - ასეა თუ ისე, სიმართლეს დავადგენთ, - მან მაგიდას ხელი შეავლო: აღარ ირყეოდა, - რობ, მზად ხარ ამ საქმის გამოსაძიებლად?

ვდუმდი. ფანჯრიდან დავინახე, როგორ ფუთავდნენ გვამს მორგის თანამშრომლები. სოფი იქვე იდგა და ხელებს იქნევდა. დაძაბვაც არ დასჭირვებიათ საკაცის ასაწევად - ისე წაიღეს ფურგონისკენ, თითქოს ზედ არაფერი იდო. მოულოდნელად ქარი ფანჯარას შეასკდა და კესისკენ მივტრიალდი. მომინდა, მეყვირა: "გაჩუმდი, მივდივარ, ჯანდაბას ეს საქმე!" ან რამე ამის მსგავსი, სასოწარკვეთილი, უმწეო და სულელური. მაგრამ კესი მაგიდას მიჰყრდნობოდა და მელოდებოდა, თან მშვიდად შემომყურებდა მუქი თვალებით. გამახსენდა, რომ კარგი მუხრუჭები მქონდა და დროულად შემეძლო თვითრეგულაციის სისტემის ჩართვა.

- ყველაფერი რიგზეა, - ჩავილაპარაკე მე, - თუ წუწუნს დავიწყებ, გვარიანად მითავაზე.

- სიამოვნებით! - გაეცინა კესის, - დალახვროს ეშმაკმა, ამ ნივთებს შეხედე... ვიმედოვნებ, მოგვიანებით საფუძვლიანად შევისწავლით. ხომ არ მომიყოლია, ბავშვობაში არქეოლოგობა რომ მინდოდა?

- მხოლოდ მილიონჯერ, - მივუგე მე.

- კარგია, რომ ყველაფერი მაშინვე გავიწყდება, არა? ხშირად მიფუსფუსია ჩემს უკანა ეზოში. მხოლოდ ნისკარტმოტეხილ ფაიფურის იხვს მივაგენი.

- მე უნდა გადამეთხარა უკანა ეზო, - ჩავიბურტყუნე. სხვა დროს ვეტყოდი, რა ბევრი დაკარგა არქეოლოგიამ, პოლიციამ კი შეიძინა, მაგრამ ძალიან დაძაბული ვიყავი ქათინაურების სათქმელად: არაბუნებრივად გამომივიდოდა, - თიხის თავის ქალების უდიდეს კოლექციას შევაგროვებდი.

- კარგი, დაკითხვის დროა, - ამოიოხრა კესიმ და ბლოკნოტი ამოიღო.

დემიენი უგერგილოდ შემოვიდა ოთახში, ცალი ხელით პლასტმასის სკამს მოათრევდა, მეორე კვლავაც ჭიქისთვის ჩაევლო.

- გადავწყვიტე, მომეტანა... - ჩაილაპარაკა და ფინჯანი ჯერ თავისი სკამისკენ გაიქნია, შემდეგ კი იმათკენ, რომლებზეც ჩვენ ვისხედით, - დოქტორმა ჰანტმა მითხრა, რომ ჩემი ნახვა გსურთ.

- დიახ, - დაუდასტურა კესიმ, - გეტყოდით, სკამი აიღეთ-- მეთქი, მაგრამ ეს უკვე გაგიკეთებიათ.

დემიენი ნათქვამის აზრს დაგვიანებით ჩასწვდა, ჩაიცინა და ჩვენი სახეების მიხედვით შეამოწმა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. დაჯდა, უნდოდა, ჭიქა მაგიდაზე დაედგა, მაგრამ გადაიფიქრა და კვლავ ხელები მოუჭირა, თან დიდრონი, დამჯერი თვალებით შემოგვყურებდა. სწორედ კესის შეეფერებოდა - ერთ-ერთი იმათგანი, ვინც მიჩვეული იყო, რომ მასზე ქალებს ეზრუნათ. დემიენი უკვე დაეკითხათ და ისეთ მდგომარეობამდე მიეყვანათ, რომ ძნელად თუ რამეს ვათქმევინებდით. ჯიბიდან შეუმჩნევლად ავტოკალამი ამოვიღე.

- მომისმინე, - დაყვავებით უთხრა კესიმ, - გასაგებია, რომ შოკში ხარ. მოდი, უბრალოდ, დავსხდეთ და იმაზე ვისაუბროთ, რაც ნახე, კარგი? იმით დავიწყოთ, რასაც დღეს დილით აკეთებდი, სანამ ქვამდე მიხვიდოდი.

დემიენმა სული მოითქვა და ტუჩებზე ენა მოისვა.

- ჩვენ ძველებურ საწრეტ არხზე ვმუშაობდით. მარკს იმის ნახვა უნდოდა, ხომ არ გრძელდებოდა იგი უფრო შორს, მოედნის იქითაც. საქმე ისაა, რომ უკვე ვასრულებთ გასუფთავებას და გადავწყვიტეთ, შეგვემოწმებინა...

- დიდი ხანია, რაც გათხრები დაიწყეთ? - დაინტერესდა კესი.

- ორი წელია, მაგრამ მე აქ ივნისიდან ვარ. კოლეჯში ვსწავლობ.

- მეც მინდოდა არქეოლოგობა, - თქვა კესიმ.

მაგიდის ქვეშ მუხლი გავკარი. მან ფეხზე ფეხი დამაჭირა.

დემიენს სახე გაუნათდა.

- დიახ, შესანიშნავი ადგილია. მიხარია, რომ გათხრებში ვმონაწილეობდი.

- მშურს შენი, - გამოტყდა კესი, - თქვენთან მოხალისეები ხომ არ აჰყავთ? მაგალითად, ერთი კვირით?

- მედოქს, - ცივად ჩავერთე საუბარში, - იქნებ შენს ახალ კარიერაზე მოგვიანებით გველაპარაკა?

- ოჰ, მაპატიე, - მან თვალები გადაატრიალა და დემიენს გაუღიმა.

ყმაწვილი სრულიად მოდუნდა. იგი ჩემში რატომღაც უსიამოვნო გრძნობას იწვევდა. გასაგებია, რატომ დანიშნა ჰანტმა ის - ეს თავმდაბალი ანგელოზი - ექსკურსიამძღოლად, მაგრამ არასდროს მომწონდა უმანკოდ მოღიმარი უმწეო ყმაწვილები. როგორც ჩანს, კესიც იმავეს გრძნობდა (ზიზღის, ცინიკური ხუმრობისა და შურის ნაზავს) ენამოჩლექილი და მგრძნობიარე ქალიშვილების მიმართ, რომლებიც მთელი თავისი სახით მოუწოდებდნენ მამაკაცებს, დაგვიცავითო.

- კარგი, - თქვა კესიმ და თავი დააქნია, - შემდეგ ქვისკენ წახვედით...

- გვინდოდა, ბალახისა და თიხისგან გაგვეწმინდა, - განაგრძო დემიენმა, - წინა კვირას მიწა ბულდოზერმა გადათხარა, ოღონდ ქვის ირგვლივ ხელი არაფრისთვის გვიხლია. გვეშინოდა, არ დაგვეზიანებინა. ლანჩი რომ დავასრულეთ, მარკმა გვიბრძანა, მე და მელი იქ წავსულიყავით და თოხები წაგვეღო, სანამ სხვები არხს მიხედავდნენ.

- ეს როდის მოხდა?

- ლანჩს თორმეტის თხუთმეტი წუთისთვის მოვრჩით.

მან ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა და ჭიქა პირთან მიიტანა. კესი გამამხნევებელი გამომეტყველებით წინ გადაიხარა.

- ჩვენ... ქვაზე რაღაც იდო. თავდაპირველად ქურთუკი მეგონა - ხომ იცით, ზოგჯერ ნივთები ავიწყდებათ - და ვთქვი, ეს რა არის-მეთქი? მივუახლოვდით და... - დემიენი ჭიქას ჩააშტერდა, ხელები აუცახცახდა, - ადამიანი აღმოჩნდა. გონმიხდილი მეგონა, მხარზე შევეხე და ოდნავ შევაჯანჯღარე, ის კი... ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა. ცივი იყო და... უძრავი. ყური მივადე, მაინტერესებდა, თუ სუნთქავდა, მაგრამ ვერაფერი გავიგონე. სისხლი ეცხო... სახეზე... მაშინ მივხვდი, რომ მიცვალებულს ვუყურებდი.

- სწორად მოქცეულხარ, - რბილად უთხრა კესიმ, - შემდეგ რა მოხდა?

- მელმა, ო, ღმერთოო, შესძახა და უკან გავიქეცით, რათა ეს დოქტორ ჰანტისთვის გვეცნობებინა. მან გვთხოვა, ყველანი სასადილოში შევკრებილიყავით.

- კარგი, დემიენ, ახლა კი დაფიქრდი და ისე მიპასუხე, - თქვა კესიმ, - იმ ან წინადღეს უცნაური არაფერი შეგინიშნავს? ვთქვათ, უცხო ადამიანები ან რამე უჩვეულო?

დემიენმა პირი გააღო, სივრცეს მიაშტერდა და ჩაი მოსვა.

- ეს, ალბათ, ის არ არის, რასაც გულისხმობთ.

- ყველაფერი გვიამბე, - სთხოვა კესიმ, - უმნიშვნელო დეტალიც კი.

- კარგი. ორშაბათს ჭიშკართან ავტობუსს ველოდებოდი, რათა შინ წავსულიყავი, და ახალგაზრდა კაცი დავინახე, რომელიც გზაზე დასახლების მხარეს ეშვებოდა. არ ვიცი, ყურადღება რატომ მივაქციე, მაგრამ... უბრალოდ, მომეჩვენა, რომ აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ამოწმებდა, ვინმე ხომ არ უთვალთვალებდა.

- ეს რომელ საათზე მოხდა? - ჰკითხა კესიმ.

- სამუშაო ექვსის ნახევარზე დავასრულეთ. ფეხით აქ ვერსად წახვალ, მხოლოდ მაღაზიაში ან პაბში, მაგრამ მაღაზია ხუთზე იკეტება. ამიტომ გავიფიქრე, ნეტავ სად მიდის-მეთქი?

- როგორ გამოიყურებოდა?

- მაღალი იყო, ექვს ფუტამდე, ოცდაათიოდე წლის, ჩასკვნილი. მგონი, მელოტი. მუქი ლურჯი სპორტული კოსტიუმი ეცვა.

- შეგიძლია, ჩვენს მხატვართან წაიმუშაო და მისი პორტრეტის შედგენაში დაეხმარო?

დემიენი შეშფოთდა, თვალები სწრაფად აახამხამა.

- აბა, რა ვიცი... კარგად ვერ გავარჩიე. შორს იყო, დასახლების მეორე მხარეს. თითქმის არც ვუყურებდი. ასე რომ, არა მგონია...

- არა უშავს! - გააწყვეტინა კესიმ, - ამაზე ნუ წუხხარ, დემიენ. თუ კიდევ მოგინდება რამის მოყოლა, გამაგებინე, კარგი? ახლა კი თავს გაუფრთხილდი.

დემიენს მისამართი და ტელეფონის ნომერი გამოვართვით, ჩვენი სავიზიტო ბარათები მივეცით (კანფეტსაც მივცემდი სიმამაცისთვის, მაგრამ ამას განყოფილების ინსტრუქცია არ ითვალისწინებდა), დანარჩენებისკენ გავუშვით და ვთხოვეთ, მელანი ჯექსონი გამოეგზავნა.

- კარგი ბიჭია, - ჩავილაპარაკე აგდებული კილოთი.

- ჰო, - ცივად გამომეხმაურა კესი, - თუ შინაური ცხოველის აყვანას გადავწყვეტ, მასაც გავითვალისწინებ.

მელი დემიენზე გაცილებით სასარგებლო აღმოჩნდა. ეს იყო მაღალი, გამხდარი შოტლანდიელი ქალიშვილი, დაკუნთული მზემოკიდებული ხელებითა და მოწითურო თმით. სკამზე მყარად და სწორად იჯდა, ფეხები ბიჭივით გაეჩაჩხა.

- შესაძლოა, უკვე დაადგინეთ, რომ გოგონა დასახლებაში ცხოვრობდა, - თქვა მან, - ან სადმე ახლომახლო.

- რა იცით? - ვკითხე მე.

- აქაური ბავშვები ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან, ზაფხულში მათ საქმე არა აქვთ. ჩვეულებრივ, გვეკითხებიან, განძს ან ჩონჩხს ხომ არ მივაგენით. ის გოგოც მინახავს აქ.

- უკანასკნელად ეს როდის მოხდა?

- ორი-სამი კვირის წინათ.

- ვინმე ხომ არ ახლდა თან?

ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა და თქვა:

- ყოველ შემთხვევაში, ვერავის ვიხსენებ. ალბათ, ბავშვები.

მელი მომეწონა. ცოტა დაბნეული ჩანდა, მაგრამ არ იმჩნევდა. იჯდა და ხელში ელასტიკურ ლენტს უდარდელად ათამაშებდა - გაუხეშებული თითებით ჭიმავდა. იგივე გვიამბო, რაც დემიენმა, ოღონდ ხვნეშისა და კვნესის გარეშე.

- ლანჩის შემდეგ მარკმა მთხოვა, ქვის გარშემო მოედანი გამეწმინდა, რათა მისი ქვედა ნაწილის დათვალიერება შეგვძლებოდა. დემიენმა ჩემთან ერთად წამოსვლა მოისურვა - ვცდილობთ, მარტო არ ვიმუშაოთ, რადგან ეს მოსაწყენია. გზაში ქვაზე რაღაც თეთრ-ცისფერს მოვკარით თვალი. "ეს რა არის?" - მკითხა დემიენმა. "ვიღაცას ქურთუკი დარჩენია", - მივუგე. როდესაც მივუახლოვდით, მივხვდი, რომ ბავშვი იყო. დემიენმა შეანჯღრია და სუნთქვა შეუმოწმა, მაგრამ გოგონა მკვდარი იყო. ადრე მიცვალებული არასდროს მენახა... - მან ტუჩი მოიკვნიტა და თავი გადააქნია, - როდესაც ამბობენ, "ცოცხალივით წევსო", ეს სისულელეა, არა? ყველაფერი ისედაც ცხადია.

ჩვენს დროში სიკვდილზე იშვიათად ვფიქრობთ, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც მას ულტრამოდური ტანვარჯიშით, შვრიის ფანტელებითა და ნიკოტინის სალბუნებით ვებრძვით. გამახსენდა ვიქტორიას ეპოქისთვის დამახასიათებელი მკაცრი წესი - გამუდმებით სიკვდილზე ფიქრი - და საფლავის ქვებზე ამოკვეთილი წარწერები: "გახსოვდეს, პილიგრიმო, რო-

ცა გვერდით ჩამივლი, ოდესღაც მეც შენნაირი ვიყავი, ოდესმე შენც ჩემნაირი გახდები..." ახლა სიკვდილი ძველმოდურია, დიდი არაფერი. თანამედროვეობის მთავარი თვისება პლასტიკურობაა: ყველაფერი მარკეტოლოგების მიერ ამა თუ იმ ბრენდის კანონების მიხედვით შემუშავებულ თარგზე იჭრება და იკერება. ისე მივეჩვიეთ საგნებისთვის ჩვენთვის სასურველი ფორმის მიცემას, რომ სიკვდილთან - აბსოლუტურად უდრეკ, უცვლელ, მოუქნელ ინსტანციასთან შეხვედრა ჩვენში უდიდეს შოკს იწვევს. გოგონას გვამმა მელ ჯექსონი ვიქტორიას ეპოქის ყველაზე შთაბეჭდილებიან ქალიშვილზე მეტად განაცვიფრა.

- შესაძლებელია, რომ მიცვალებული გუშინდელს აქეთ ვერავის შეემჩნია? - ვკითხე მე.

მელს თვალები გაუფართოვდა.

- დალახვროს ეშმაკმა... იმის თქმა გსურთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში გოგონა... - მან თავი გადააქნია, - არა. გუშინ, დღისით, მარკმა და დოქტორმა ჰანტმა ნაკვეთი შემოიარეს სამუშაოს გრაფიკის შესადგენად. ისინი დაინახავდნენ... მას. დილით ვერაფერი შევამჩნიეთ, ვინაიდან მინდვრის ქვედა ნაწილში ვიყავით, საწრეტი არხის ბოლოში. ქვას ბორცვი ფარავდა.

მელს უჩვეულო არც გაეგონა და არც დაენახა, მათ შორის, არც დემიენის უცნაური უცნობი.

- ნებისმიერ შემთხვევაში, მე იგი არ მინახავს. ავტობუსით არ ვსარგებლობ. დუბლინელების გარდა, ყველანი გზის ქვემოთ, ორიოდე მილის დაშორებით, დიდ სახლში ვცხოვრობთ, რომელსაც ვქირაობთ. მარკსა და დოქტორ ჰანტს საკუთარი მანქანებით გადავყავართ. ქალაქს არც ფეხით ჩავუვლით ხოლმე და არც მანქანით.

მის მიერ წარმოთქმულმა "ნებისმიერმა შემთხვევამ" დამაინტერესა. მიმანიშნა, რომ მელს ჩემსავით ეპარებოდა ეჭვი სპორ-

ტულ კოსტიუმში გამოწყობილი ავბედითი ახალგაზრდა კაცის არსებობაში. მომეჩვენა, რომ დემიენი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც მზად არიან, ყველაფერი გითხრან, თუკი ეს გაგაბედნიერებთ. სამწუხაროდ, არ მიკითხავს, იმ ტიპს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ხომ არ ეცვა.

სოფიმ და მისმა ახალგაზრდა თანაშემწეებმა ცერემონიული ქვის შესწავლა დაასრულეს და ახლომდებარე ადგილების გამოკვლევას შეუდგნენ. ვაცნობე, რომ დემიენი მსხვერპლს შეეხო და მის თავზეც დაიხარა. მისი თმის ნიმუში და თითის ანაბეჭდიც უნდა აგვეღო, რათა აღარ გაგვეთვალისწინებინა.

- რა იდიოტია, - ამოიოხრა სოფიმ, - კიდევ კარგი, საკუთარი პალტო არ გადააფარა.

მას სქელი კომბინეზონი ეცვა და ოფლად იღვრებოდა. მის ზურგს უკან ერთ-ერთმა კრიმინალისტმა ბლოკნოტიდან ფურცელი შეუმჩნევლად ამოხია და რაღაც ჩაიწერა.

ავტომობილი გზის პირას დავტოვეთ და ქალაქისკენ ფეხით გავემართეთ (ჩემს კუნთებს ჯერაც ახსოვდა, როგორ უნდოდა კედელზე გადაძრომა: ფეხი შვერილზე, ქვა - მუხლქვეშ, ნახტომი მიწაზე). კესიმ მაღაზიაში შევლა გადაწყვიტა - დღის სამი საათი დაწყებულიყო და შესაძლოა, უსადილოდ დავრჩენილიყავით. მას უყვარდა გემრიელად ჭამა და წახემსების შესაძლებლობას ხელიდან არასდროს უშვებდა. ამას, ჩვეულებრივ, არასდროს ვეწინააღმდეგებოდი, - მაღიზიანებენ ქალები, რომლებიც სალათის ჰომეოპათიური ულუფებით იკვებებიან, - მაგრამ ახლა მინდოდა, დღე სწრაფად დასრულებულიყო.

სიგარეტი გავაბოლე და გარეთ დაველოდე. ერთი წუთის შემდეგ კესიმ გამჭვირვალე პაკეტით ორი სენდვიჩი გამომიტანა.

- გამომართვი, - მითხრა მან.

- არ მშია.

- შეჭამე ეს წყეული სენდვიჩი, რაიან. თუ გული წაგივა, ზურგზე ვერ მოგიკიდებ.

ცხოვრებაში გული არასოდეს წამსვლია, თუმცა ჭამა ხშირად მავიწყდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაღიზიანებული ან დაკავებული ვიყავი.

- ხომ გითხარი, არ მშია-მეთქი, - ჩავიბურტყუნე და ვიგრძენი, რომ, ცოტაც და, ვიფეთქებდი, მაგრამ სენდვიჩები მაინც გამოვართვი.

კესი მართალი იყო: რთული დღე გველოდა. ბორდიურზე დავსხედით. კესიმ ჩანთიდან ლიმონიანი "კოლა" ამოიღო. სენდვიჩში ქათმის ხორცის ფარში იდო, მაგრამ პლასტიკური პაკეტის სუნი დაჰკრავდა, "კოლა" კი თბილი და ტკბილი აღმოჩნდა. კინაღამ გული ამერია.

არ მინდა, შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ ნოკნარიში მომხდარმა ამბავმა ბედი დამიმახინჯა და ეს ოცი წელი ტრაგიკული გმირივით ვიცხოვრე, რომელსაც წარსულის მოჩვენებები არ ასვენებდა, პირქუში მოგონებებისა და სიგარეტის კვამლში გახვეულიყო და სამყაროს მწარე ღიმილით შეჰყურებდა. ნოკნარის არც ღამის კოშმარული სიზმრებით დავუჯილდოებივარ, არც იმპოტენციით, არც შიშით ხეების მიმართ, არც სხვა "სასიამოვნო" წვრილმანით, რომელთა გამოც ტელესერიალების პერსონაჟები ფსიქოთერაპევტებთან დადიან რეაბილიტაციის გავლისა და თავდადებულ, მაგრამ გაწამებულ ცოლთან ურთიერთობის გაუმჯობესების იმედით. შემიძლია, ის ამბავი თვეების განმავლობაში არ გავიხსენო. შემდეგ რომელიღაც გაზეთი განცხადებას გამოაქვეყნებს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ და ისინიც მაშინვე ჩნდე ბიან - პიტერი და ჯემი, საკვირაო დამატების ყდაზე დაბეჭდილ ფოტოსურათზე. ჩემი მზერა წარსულში გადადის, გაუჩინარებული ტურისტების, გაქცეული დიასახლისებისა და უმყოფობაში გადასული ირლანდიელი მოქალაქეების სიას შევ-

ცქერი. ვკითხულობ და ვამჩნევ, რომ ხელები მითრთის, სუნთქვა მიჩქარდება, მაგრამ ეს მხოლოდ ფიზიკური რეფლექსია, რომელიც სულ რამდენიმე წუთი გრძელდება.

ბუნებრივია, მომხდარმა ჩემზე ერთგვარი გავლენა იქონია, თუმცა მისი დაკონკრეტება შეუძლებელი და, გულწრფელად გეტყვით, უაზრობაც კია. არ დაგავიწყდეთ, რომ მაშინ სულ რაღაც თორმეტი წლის ვიყავი: ამ ასაკში ბავშვი მყიფე და ჩამოუყალიბებელია, ყოველდღე იცვლება, თუნდაც მის ცხოვრებას გარეგნულად არაფერი ეტყობოდეს. რამდენიმე კვირის შემდეგ ინტერნატში გავემგზავრე, რომელმაც იმაზე მეტად დამაშინა, ვიდრე ყველაფერმა ერთად, რაც მანამდე თავს გადამხდენოდა. ასე რომ, სისულელეა და გულუბრყვილობა ფიქრი, თითქოს შეიძლება ჩემს წარსულში არსებული კვანძების გახსნა, ძაფის წვერის პოვნა და თქმა: "ღმერთო ჩემო, შეხედეთ, ის ხომ ნოკნარიდან არის!" მაგრამ, ადრე თუ გვიან, წარსული ზედაპირზე ისე ამოდის, თითქოს არსად წასულა, და ასეთ დროს არ ვიცი, რა მოვუხერხო.

- საბრალო, - შორიდან ჩამესმა კესის ხმა, - საბრალო, საცოდავი გოგონა.

დევლინების სახლი დასახლებაში არსებულ სხვა შენობებს ჰგავდა - ბრტყელი ნაგებობა, პარმაღის წინ ბალახით დაფარული ნამცეცა მიწა. მაგრამ თუ მათი მეზობლები საკუთარ ინდივიდუალურობას უცნაურად შეკრეჭილი ბუჩქებითა და ყვავილნარებით გამოხატავდნენ, დევლინები იმით შემოიფარგლებოდნენ, რომ მხოლოდ მდელოს კრეჭდნენ და ასე ტოვებდნენ - ესეც ერთგვარ ორიგინალობად აღიქმებოდა. ისინი ქალაქის ზედა ნაწილში ცხოვრობდნენ, გათხრების ადგილიდან ხუთი-ექვსი ქუჩის დაშორებით: საკმარისად შორს, რათა არც პოლიციელები დაენახათ, არც კრიმინალისტები, არც მორგის ფურგონი და

ფუსფუსი, რომელიც სიმართლეს მანამ გამცნობს, სანამ სხვები შეგატყობინებენ.

კესიმ ზარი დარეკა. კარი ორმოციოდე წლის მამაკაცმა გაგვიღო. ჩემზე რამდენიმე დუიმით დაბალი იქნებოდა, დამრგვალებული მუცელი ჰქონდა, თმა აკურატულად შეეჭრა, თვალები შესივებოდა. კარდიგანი და ხაკისფერი შარვალი ეცვა. ხელში სიმინდის ბურბუშელით სავსე პატარა ვედრო ეჭირა. მაშინვე მომინდა მეთქვა მისთვის, ყველაფერი რიგზეა-მეთქი. უკვე ვიცოდი, რამდენიმე თვის შემდეგ რაც დაემართებოდა: ვეღარასოდეს დაივიწყებდა, რომ სიმინდის ბურბუშელას ჭამდა, როდესაც პოლიცია გამოეცხადა და ქალიშვილის სიკვდილი შეატყობინა. მახსოვს გოგონა, რომელსაც სასამართლოს სხდომაზე ისტერიკა დაემართა, ისე ქვითინებდა, "სასწრაფო" გამოიძახეს და დამამშვიდებელი ნემსი გაუკეთეს - და ეს იმიტომ დაემართა, რომ, როდესაც მისი შეყვარებული მოკლეს, იოგას ვარჯიშს ასრულებდა.

- მისტერ დევლინ? - თქვა კესიმ, - მე დეტექტივი მედოქსი ვარ, ეს კი დეტექტივი რაიანია.

კაცი გაშეშდა.

- უგზო-უკვლოდ დაკარგულთა განყოფილებიდან? - იკითხა მან.

ტალახიანი ჩექმები ეცვა, შარვლის ტოტების ბოლოები დასველებოდა. როგორც ჩანს, ქალიშვილის მოსაძებნად ახლომახლო დაეხეტებოდა და ორიოდე წუთით შინ დაბრუნდა, რათა წაეხემსა და კვლავ ძებნა განეგრძო.

- მთლად ასეც არაა, - რბილად ჩაილაპარაკა კესიმ. არასდროს ვეწინააღმდეგებოდი, რომ მსგავსი საუბარი მას წაეყვანა: არა სიმხდალის გამო. ორივემ ვიცოდით, რომ ეს მას უკეთ გამოსდიოდა, - შეიძლება, შემოვიდეთ?

მამაკაცი თავის პატარა ვედროს მიაჩერდა და უხერხული მოძ
 რაობით ტუმბოზე დადგა. იქვე დადებულ გასაღებების ასხმუ-
ლას და ბავშვის კეპს რამდენიმე წვეთი რძე დაესხა.

- ეს რას ნიშნავს? - დაძაბული ხმით იკითხა მან, - ქეითი იპო-
ვეთ?

მსუბუქი ხმაური მომესმა და მის მხარს იქით გავიხედე. კიბის
ძირში მოზარდი გოგონა იდგა, რომელსაც მოაჯირისთვის ხე-
ლები ჩაევლო. ზაფხულის დღის მიუხედავად, სახლში ბნელოდა,
მაგრამ მაინც გავარჩიე მისი სახე და ძრწოლის მსგავსი გრძნო-
ბა დამეუფლა. წამით თვალწინ მოჩვენება დამიდგა. ეს ჩვენი
მსხვერპლი იყო, ქვაზე გაწოლილი გოგონა. ყურებმა წუილი და-
მიწყო.

მაგრამ მომდევნო წამს ყველაფერი დალაგდა, წუილი შეწ-
ყდა და მივხვდი, ვისაც ვხედავდი. ამოცნობის ჩატარება არ
გვჭირდებოდა.

გოგონა კესიმაც შეამჩნია.

- დარწმუნებული არა ვართ, - ჩაილაპარაკა მან, - მისტერ
დევლინ, ეს ქეითის დაა?

- ჯესიკა, - ხრინწიანად თქვა კაცმა.

გოგონამ ნაბიჯი წინ გადმოდგა, კესის თვალს არ აცილებდა,
მაგრამ დევლინმა მხრებში ხელები წაავლო და უკან გააბრუნა.

- ტყუპები არიან, - გვითხრა მან, - ზედგამოჭრილი ასლია, მა-
შასადამე... ბავშვს მიაგენით, რომელიც მას ჰგავს?

ჯესიკა ჩემსა და კესის შორის არსებულ სივრცეს გასცქერო-
და, ხელები უმწეოდ ჩამოეშვა ტანის გასწვრივ, დიდი ზომის სა-
ხელოებიდან თითები გამოსჩროდა.

- გთხოვთ, მისტერ დევლინ, - თქვა კესიმ, - უნდა შემოვიდეთ
და თქვენ და თქვენს მეუღლეს პირისპირ დაგელაპარაკოთ.

მან ჯესიკას ცერად გახედა. დევლინმა მის მზერას თვალი
გააყოლა და დაინახა, რომ ხელი კვლავაც ქალიშვილის მხარზე

ედო, და საჩქაროდ აიღო. სასტუმრო ოთახში შევედით. გავიგონე, როგორ ჩაიბურტყუნა დევლინმა:

- ზემოთ ადი, დეიდა ვერასთან, - შემდეგ შემოგვყვა და კარი მიხურა.

ტიპური სასტუმრო ოთახი იყო, სოფლური სახლის ერთგვარი პაროდია. მაქმანებიანი ფარდები, ყვავილებიანი ბალიშები, თიხის ჭიქების კომპლექტი კამოდზე - ყველაფერი გულდასმით, ბზინვარებამდე გაკრიალებული. ტრაგედიის კვალობაზე, ოთახი ბანალურად გამოიყურებოდა. ასე ხშირად ხდება მსხვერპლის სახლსა და დანაშაულის ადგილთან დაკავშირებითაც კი. სავარძელში მჯდომი ქალი ვითარებას შეეფერებოდა: ზომიერად ზორზოხი, სოლიდური, დახვეული თმითა და ცისფერი თვალების გულგატეხილი მზერით. ცხვირიდან პირის კუთხეებისკენ ღრმა ნაკეცები გასდევდა.

- მარგარეტ, - მიმართა მას დევლინმა, - ესენი დეტექტივები არიან.

კაცს ხმა გიტარის სიმივით დასჭიმოდა, ცოლს არ მიახლოებია, დივანთან დარჩა, მომუშტული ხელები კარდიგანის ჯიბეებში ეწყო.

- აბა, რა მოხდა? - იკითხა მან.

- მისტერ და მისის დევლინ, - მიუგო კესიმ, - მიჭირს ამაზე საუბარი. დასახლებასთან მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების ადგილას გოგონას გვამი აღმოაჩინეს. საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ის თქვენი ქალიშვილია, ქეითლინი. ძალიან ვწუხვარ.

მარგარეტ დევლინმა ისე შეჰკივლა, თითქოს მუცელში დაარტყესო. ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა, თუმცა ეს ვერც კი შეამჩნია.

- დარწმუნებული ხართ? - გაჭირვებით წარმოთქვა დევლინმა, რომელიც ძლივს სუნთქავდა, - რა იცით?

- მისტერ დევლინ, - რბილად უთხრა კესიმ, - გოგონა საკუთარი თვალით ვნახე. იგი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს თქვენს ქალიშვილს, ჯესიკას. ხვალ ამოცნობაზე მიგიწვევთ, თუმცა ეჭვი არ მეპარება. ძალზე სამწუხაროა.

დევლინი ჯერ ფანჯრისკენ შექანდა, შემდეგ - პირიქით, მომუშტულ ხელს კბილები ჩაავლო და შეშლილივით შემოგვხედა.

- ღმერთო ჩემო, - ჩაიჩურჩულა მარგარეტმა, - ღმერთო ჩემო, ჯონათან...

- რა შეემთხვა? - ხრინწიანი ხმით შესძახა დევლინმა, - როგორ... რანაირად...

- ვშიშობ, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მოკლეს, - მიუგო კესიმ.

მარგარეტი სავარძლიდან ისე ნელა და მძიმედ წამოდგა, თითქოს წყალქვეშ იმყოფებოდა.

- სად არის?

ცრემლები ლოყაზე ღვარად ჩამოსდიოდა, თუმცა მშვიდად, თითქმის ცივად ლაპარაკობდა.

- ჩვენს ექიმებთან, - ხმადაბლა უთხრა კესიმ.

ქეითი რომ სხვაგვარ მდგომარეობაში ყოფილიყო, აქაც გადმოვიყვანდით.

მაგრამ ასეთს, თავგატეხილს, გასისხლიანებულს... მოგვიანებით მორგის თანამშრომლები მოაწესრიგებდნენ და მკვლელობის აშკარა ნიშნებს დაუფარავდნენ.

მარგარეტმა მიიხედ-მოიხედა და ქვედაკაბის ჯიბეებზე ხელები დაირტყა.

- ჯონათან, გასაღებს ვერ ვპოულობ.

- მისის დევლინ, - უთხრა კესიმ და მხარზე ხელი დაადო, - სამწუხაროდ, ახლა ქეითთან ვერ წაგიყვანთ. ჯერ ექიმებმა უნდა გასინჯონ.

უეცრად მარგარეტი მას მოსცილდა და კარისკენ გაემართა, გზადაგზა ცრემლებს იწმენდდა. კესიმ ჯონათანს გახედა: კაცი ხელებით ფანჯარას მიჰყრდნობოდა, ქუჩაში ბრმასავით იყურებოდა და მძიმედ სუნთქავდა.

- გთხოვთ, მისის დევლინ, - ვთქვი ნაჩქარევად და შევეცადე, შეუმჩნევლად ჩავმდგარიყავი მასსა და კარს შორის, - გპირდებით, რომ ქეითთან აუცილებლად მიგიყვანთ, ოღონდ ახლა არა. ჯერ არ შეიძლება.

ქალმა ტირილისგან გაწითლებული თვალებით შემომხედა და პირი გააღო.

- ჩემი გოგო! - აღმოხდა მას, მხრები ჩამოუცვივდა და ხმამაღლა აქვითინდა.

კესიმ ხელი ფრთხილად მოხვია და სავარძლამდე მიიყვანა.

- როგორ მოკვდა? - იკითხა ჯონათანმა, რომელიც კვლავაც ფანჯარაში იყურებოდა. გაურკვევლად ლაპარაკობდა, თითქოს ტუჩებს ვეღარ ამოძრავებდა, - რა დაემართა?

- ამას მას შემდეგ გავიგებთ, როცა ექიმები მის დათვალიერებას დაასრულებენ, - მივუგე მე, - როგორც კი რამე ახალს შევიტყობთ, მაშინვე გაგაგებინებთ.

გავიგონე, რომ ვიღაც კიბეზე ჩამოდიოდა. კარი ფართოდ გაიღო და ზღურბლზე ქალიშვილი გამოჩნდა. მის ზურგს უკან ჯესიკა იდგა, ჩვენ გვიყურებდა და კულულს კბილებით აწვალებდა.

- რა მოხდა? - ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა, - ღმერთო ჩემო... ქეითი?

ყველანი დუმდნენ. მარგარეტმა მუშტი პირთან მიიტანა, ქვითინი გულამოსკვნილ სლუკუნად ექცა. ქალიშვილმა ჯერ მე შემომხედა, შემდეგ კესის. მაღალი და ტანადი იყო, წაბლისფერი კულულები ზურგზე დაჰფენოდა, თვრამეტი-ოცი წლისას ჰგავდა:

მისი ასაკის გამოცნობისგან თავს შევიკავებდი, მაგრამ ვხედავდი, რომ კოსმეტიკით ნებისმიერ თანატოლზე უკეთ სარგებლობდა. ვიწრო შავი შარვალი, ძვირფასი თეთრი ბლუზა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. ყელზე ალისფერი შარფი ეკეთა. მისმა გამოჩენამ ოთახი თითქოს დამუხტა. ვერც კი წარმომედგინა სხვა ადამიანი, რომელიც მასზე ნაკლებად მიესადაგებოდა შექმნილ ვითარებას.

- გთხოვთ, - მომმართა მან. სუფთა, მაღალი ხმა ჰქონდა, თითქმის დიქტორის აქცენტით ლაპარაკობდა, რაც სულ არ ჰგავდა მისი მშობლების უბრალო კილოს, - მითხარით, რა მოხდა?

- როზალინდა, - თქვა ჯონათანმა, ჩაახველა და ყელი ჩაიწმინდა, - მათ ქეითს მიაგნეს. მკვდარია. ვიღაცამ მოკლა.

ჯესიკამ წამოიკნავლა. როზალინდა დამუნჯებულივით მიაჩერდა მამას, შემდეგ ქუთუთოები აუთრთოლდა, შექანდა და ხელი კარის ამყოლს სტაცა. კესიმ გოგონას წელზე ხელი მოხვია და დივანთან მიიყვანა.

როზალინდამ თავი ბალიშზე მიდო და ხმადაბლა გადაუხადა მადლობა კესის, რომელმაც პასუხად გაუღიმა.

- წყალი, თუ შეიძლება, - ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა.

- ახლავე! - გამოვეხმაურე მე.

სასწრაფოდ სამზარეულოში შევედი, სადაც გაქუცული ლინოლეუმი ეგო და სოფლური ყაიდის მაგიდა იდგა, ონკანი მოვუშვი და იქაურობა მოვათვალიერე. უჩვეულო არაფერი ჩანდა. სამზარეულოს კარადაში ვიტამინიანი შუშები ჩაემწკრივებინათ. მათ უკან ვალიუმის დიდ ფლაკონსა და რეცეპტს მოვკარი თვალი, რომელიც მარგარეტ დევლინის სახელზე გამოეწერათ.

როზალინდამ წყალი მოსვა, სული მოითქვა და ხელისგული მკერდზე მიიდო.

- ჯესი წაიყვანე და მაღლა ადი! - უბრძანა ჯონათანმა.

- შეიძლება, დავრჩე? - იკითხა როზალინდამ და თავი ასწია, - ქეითი ჩემი დაა და რაც უნდა დამართოდა, შემიძლია... უნდა მოვისმინო. კარგად ვარ. მაპატიეთ, რომ... მაგრამ ახლა გაცილებით უკეთ ვარ. მართლა.

- აჯობებს, თუ როზალინდა და ჯესიკა დარჩებიან, - ვთქვი მე, - შესაძლოა, რამით დაგვეხმარონ.

- მე და ქეითი ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით, - დაამატა როზალინდამ და შემომხედა, თვალები დედამისს მიუგავდა - დიდი, ცისფერი, კუთხეებში ოდნავ დაშვებული. ჩემი მხრის ზემოთ რაღაცას გაჰყურებდა, - ეი, ჯესიკა, მოდი ჩემთან, საყვარელო, - ჩაილაპარაკა მან და ხელები გაიწვდინა.

ჯესიკა პატარა მხეცივით გაშპა ჩვენ გვერდით, დივანზე აძვრა და როზალინდას მიეკრო.

- ვწუხვარ, რომ ასეთ დროს გაწუხებთ, - ვთქვი მე, - მაგრამ გამოძიების ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებელია, რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ. ახლავე მიპასუხებთ, თუ აჯობებს, რამდენიმე საათის შემდეგ შემოგიაროთ?

ჯონათან დევლინმა სავარძელი დივანთან მიათრია, დაჯდა და ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა.

- ახლავე, - ამოიხვნეშა მან, - გვკითხეთ.

ხანგრძლივ საუბარს შევუდექით. ქეითი უკანასკნელად მათ ორშაბათ საღამოს ნახეს. ხუთიდან შვიდამდე ბალეტში ვარჯიშობდა სტილორგანში, დუბლინის ცენტრიდან ხუთი მილის დაშორებით. რვას დაახლოებით თხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც როზალინდა მას ავტობუსის გაჩერებაზე შეხვდა და ერთად გაემართნენ სახლისკენ.

- მითხრა, რომ გაკვეთილებმა კარგად ჩაიარა, - განაგრძობდა ხელისგულებზე თავდაყრდნობილი როზალინდა, რომელსაც თმის კულული სახეს უფარავდა, - ქეითი საუცხოოდ ცეკვავდა...

ბალეტის სამეფო სკოლაში მიიწვიეს. რამდენიმე კვირაში უნდა გამგზავრებულიყო.

მარგარეტი კვლავ აქვითინდა, ჯონათანი სავარძლის საიდაყვეებს ჩააფრინდა.

შემდეგ როზალინდა და ქეითი დეიდა ვერას სახლისკენ გაეშურნენ, რათა საღამო მის ქალიშვილებთან ერთად გაეტარებინათ.

ქეითმა ფორთოხლის წვენი დალია, შებრაწული პური და ლობიო შეჭამა და მეზობლის ძაღლი გაასეირნა. ეს მისი ზაფხულის შემოსავალი იყო - ფულს აგროვებდა საბალეტო სკოლისთვის. შინ რომ დაბრუნდა, ცხრას დაახლოებით ათი წუთი აკლდა, შხაპი მიიღო და მშობლებთან ერთად ტელევიზორის საყურებლად დაჯდა. ათზე დასაძინებლად წავიდა - ზაფხულში, ჩვეულებრივ, ასე იქცეოდა - და საწოლში წიგნს კითხულობდა, სანამ მარგარეტმა შუქის გამორთვა არ უბრძანა. მარგარეტმა და ჯონათანმა ცოტა ხანს კიდევ უყურეს ტელევიზორს, შუაღამისთვის კი საძინებლისკენ გაემართნენ. ძილის წინ ჯონათანმა, როგორც ყოველთვის, შეამოწმა, სახლში ყველაფერი რიგზე იყო თუ არა, ფანჯრებისა და კარების საკეტებიც შეათვალიერა და შემოსასვლელი კარი შიგნიდან ჯაჭვით დაკეტა.

მეორე დღეს ჯონათანი დილის რვის ნახევარზე ადგა და სამსახურში - იგი ბანკში უფროს მოლარედ მუშაობდა - ქეითის უნახავად წავიდა. შეამჩნია, რომ კარზე ჯაჭვი შეხსნილი იყო, მაგრამ გაიფიქრა, ალბათ, ქეითმა, ჩვეულებისამებრ, ადგომა ყველას დაასწრო და დეიდის სახლში გაიქცა, რათა დეიდაშვილებთან ერთად ესაუზმაო.

- ზოგჯერ ასე იქცევა, - თქვა როზალინდამ, - მოსწონს შემწვარი კარტოფილი, დედა კი... დილაობით ძალზე დაკავებულია და მის მომზადებას ვერ ასწრებს.

მარგარეტმა ყრუდ ამოიოხრა. ჯონათანმა აგვიხსნა, რომ გოგონებს, ყოველი შემთხვევისთვის, შემოსასვლელი კარის გასაღები ჰქონდათ. ათის ოც წუთზე, როდესაც მარგარეტი ქეითის გასაღვიძებლად გაემართა, შვილი იქ არ დახვდა. იგი ცოტა ხანს დაელოდა და, ჯონათანის მსგავსად, დაასკვნა, რომ მისი ქალიშვილი ადრე ადგა და დეიდაშვილებთან გაიქცა. მან ჯერ ვერას დაურეკა, შემდეგ ქეითის ყველა მეგობარს, ბოლოს კი პოლიციას მიმართა.

მე და კესი უხერხულად ვისხედით სავარძლის კიდეზე. მარგარეტი ჩუმად, მაგრამ განუწყვეტლივ ტიროდა. ჯონათანი დროდადრო ოთახიდან გადიოდა და ქაღალდის ხელსახოცების შეკვრით ბრუნდებოდა. ჩიტივით თვალებამობურცული პატარა ქალი, როგორც ჩანს, დეიდა ვერა, ჩუმად დაეშვა კიბეზე, ორიოდე წუთი გაუბედავად დადიოდა დერეფანში და ნერვიულობისგან ხელებს იმტვრევდა, რის შემდეგაც აუჩქარებლად გაემართა სამზარეულოსკენ. როზალინდა ჯესიკას თხელ თითებს აწვალებდა.

გვიამბეს, რომ ქეითი კარგი ბავშვი იყო, ხალისიანი და ჭკვიანი, სკოლა არცთუ ძალიან უყვარდა, სამაგიეროდ, ბალეტზე გიჟდებოდა. საკმაოდ რთული ხასიათი ჰქონდა, თუმცა ბოლო დროს არც მშობლებთან უჩხუბია და არც მეგობრებთან. ჩვენ მისი საუკეთესო მეგობრების გვარები დაგვისახელეს, რათა ყველაფერი თვითონ შეგვემოწმებინა. ქეითი სახლიდან არასდროს გაქცეულა. იმ დღეებში ბედნიერი ჩანდა, უხაროდა, რომ საბალეტო სკოლაში უნდა ესწავლა. ჯონათანმა დაამატა, რომ მისი ქალიშვილი ბიჭებს არ ხვდებოდა, - ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ თორმეტი წლის იყო, - მაგრამ შევამჩნიე, როგორ ალმაცერად გახედა მას როზალინდამ, და გადავწყვიტე, ცალკე დავლაპარაკებოდი.

- მისტერ დევლინ, - ვთქვი მე, - ქალიშვილთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

ჯონათანმა თვალები დაჭყიტა და შესძახა:

- რაში მადანაშაულებთ, დალახვროს ეშმაკმა?

უეცრად ჯესიკას ისტერიკულად გაეცინა. მოულოდნელობისგან კინაღამ შევხტი. როზალინდამ ტუჩი მოიკვნიტა, შუბლი შეიჭმუხნა, თავი გადააქნია, გოგონას უკან შემოსცხო და მაშინვე დამამშვიდებლად გაუღიმა. ჯესიკამ თავი ჩაქინდრა.

- არავინ არაფერში გადანაშაულებთ, - უთხრა კესიმ, - მაგრამ ყველა გარემოება უნდა გავითვალისწინოთ, ყველა ვერსია უნდა განვიხილოთ. თუ რამე გამოგვრჩება, როდესაც დამნაშავეს დაიჭერენ, - მას კი აუცილებლად დაიჭერენ, - დაცვა ამას ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენებს. მესმის, რომ გიჭირთ მსგავს შეკითხვებ ზე პასუხის გაცემა, მაგრამ გარწმუნებთ, მისტერ დევლინ, გაცილებით უარესი იქნება, თუ მკვლელი სასჯელს თავს მხოლოდ იმიტომ დააღწევს, რომ ჩვენ რაღაც არ გკითხეთ.

ჯონათანმა ჰაერი ხმაურით შეისუნთქა და სული მოითქვა.

- ქეითთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა, - განაცხადა მან, - ხშირად ვსაუბრობდით. ერთმანეთს კარგად ვუგებდით. შესაძლოა... ზედმეტად ვანებივრებდი, - ჯესიკა შეინძრა, როზალინდამ მას მკაცრად გადახედა, - ცხადია, ზოგჯერ ვკამათობდით კიდეც, მაგრამ ეს ყველგან ხდება. იგი საუცხოო გოგონა და შესანიშნავი შვილი იყო. ძალიან მიყვარდა.

- თქვენ, მისის დევლინ? - იკითხა კესიმ.

მარგარეტი ხელით ხელსახოცს ჭმუჭნიდა. მან ბავშვივით დამჯერედ ასწია თავი.

- ისინი ყველანი მშვენიერები არიან, - თქვა დევლინის ცოლმა, - ქეითს კი ჩვენ... ჩვენ ვაღმერთებდით. ჩვენთვის ფანჯრიდან შემოსულ შუქს ნიშნავდა. არ ვიცი, რა გვეშველება მის გარეშე, - ქალს პირი დაეღრიცა.

როზალინდასა და ჯესიკასთვის შეკითხვები არ დაგვისვამს. ბავშვებს არ უყვართ თანატოლებზე მშობლების თანდასწრებით ლაპარაკი, და როცა ცრუობენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ჯესიკასავით ძალიან ნორჩები და შეცბუნებული არიან, სიცრუე მათ თავში ფოკუსირდება და სიმართლედ გადაიქცევა. შეგვეძლო, მოგვიანებით ჯონათანისგან ჯესიკასთან პირისპირ საუბრის ნებართვა აგვეღო, აგრეთვე როზალინდასთან, თუ მას თვრამეტი წელი ჯერ არ შესრულებოდა.

- თქვენი აზრით, ვის და რა მიზეზით უნდა ნდომოდა მისთვის ზიანის მიყენება?

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ჯონათანმა მკვეთრად გასწია სავარძელი და წამოდგა.

- ღმერთო ჩემო, - ჩაილაპარაკა მან და თავი კუთხეში მიმწყვდეული ხარივით გადააქნია, - ოჰ, ეს სატელეფონო ზარები!

- სატელეფონო ზარები?

- დასწყევლოს ეშმაკმა! მოვკლავ! თქვენ თქვით, რომ ჩემი შვილი გათხრების ადგილას აღმოაჩინეს?

- მისტერ დევლინ! - თქვა კესიმ, - თუ შეიძლება, დაბრძანდით და ყველაფერს მოგვიყევით, რაც სატელეფონო ზარების შესახებ იცით.

ჯონათანმა ნელა შეაჩერა მასზე მზერა, შემდეგ დაჯდა, მაგრამ ვხედავდი, რომ კვლავაც ფიქრობდა, როგორ მიეღწია იმ ადამიანამდე, რომელიც მას ურეკავდა.

- გსმენიათ, რომ ჩვენთან ახალი ავტომაგისტრალის გაყვანას აპირებენ? - იკითხა მან, - აქაური მოსახლეობის უმრავლესობა ამ მშენებლობის წინააღმდეგია. მართალია, ზოგიერთს ის უფრო აინტერესებს, რამდენით გაიზრდება მათი სახლების ფასი, თუ გზა გვერდით ჩაივლის, მაგრამ დანარჩენები... არ გვინდა, აქ რამე შეიცვალოს. ეს ადგილი თავისებურად უნიკალურია და ჩვენ გვეკუთვნის. მთავრობას ჩვენ დაუკითხავად მისი განად-

გურების უფლება არა აქვს. ნოკნარიში კამპანია გაჩაღდა, სახელწოდებით "გადაიტანეთ ავტომაგისტრალი!" მე მისი თავმჯდომარე და, შეიძლება ითქვას, დამფუძნებელი ვარ. ჩვენ პიკეტებს ვაწყობთ სამთავრობო დაწესებულებებთან, პოლიტიკოსებს წერილებს ვწერთ - ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია.

- მნიშვნელოვანი წარმატების გარეშე? - ვკითხე მე.

ეს თემა მასზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო: მისტერ დევლინი შინაყუდა უფრო მეგონა, ვიდრე ჯვაროსანი, მაგრამ პირველ შთაბეჭდილებას ადამიანი ხშირად შეცდომაში შეჰყავს.

- თავდაპირველად მეგონა, ყველაფერი ბიუროკრატიის ბრალი იყო, რომ მათ რეაგირებაც არ სურდათ... მაგრამ ამ ზარების შემდეგ თავში ერთი აზრი მომივიდა... ჯერ გვიან საღამოს დამირეკეს და ვიღაც კაცმა რაღაც ამგვარი თქვა: "ეი, სქელო ნაძირალავ, როგორც ჩანს, არ იცი, ვის დაუპირისპირდი!" ვიფიქრე, ნომერი შეეშალათ-მეთქი, ყურმილი დავკიდე და დასაძინებლად წავედი. მეორე ზარის შემდეგ პირველი გამახსენდა და ისინი ერთმანეთს დავუკავშირე.

- პირველად როდის დარეკეს? - ვიკითხე მე.

კესი ყველაფერს ბლოკნოტში იწერდა.

ჯონათანმა მარგარეტს შეხედა. ქალმა ცრემლები მოიწმინდა და თავი დაუქნია.

- აპრილში, მგონი, თვის ბოლოს. მეორედ - სამ ივნისს, ღამის ორის ნახევარზე. ჩავიწერე კიდეც. ყურმილი ქეითმა აიღო - საძინებელში ტელეფონი არა გვაქვს, ის დერეფანშია, ჩემი გოგონა კი ყველაზე ადრე იღვიძებდა. როგორც გვითხრა, კაცს უკითხავს: "შენ დევლინის ქალიშვილი ხარ?" მას უპასუხია: "მე ქეითი ვარ". უცნობს გაუგრძელებია: "ქეით, მამას გადაეცი, რომ ამ წყეულ გზატკეცილს თავი დაანებოს, ვინაიდან ვიცი, სადაც ცხოვრობთ". ამ დროს ყუ რ მილი ავიღე და კაცმა დაამატა: "რა

საყვარელი გოგო გყოლია, დევლინ". ვუყვირე, აქ აღარასოდეს დარეკო-მეთქი და ტელეფონი გავთიშე.

- ხომ არ გახსოვთ, როგორი ხმა ჰქონდა? ხომ არ გეცნოთ?

ჯონათანმა ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა. ვხედავდი, ძალღონეს არ იშურებდა ყურადღების მოსაკრებად და ამ თემას ისე ეჭიდებოდა, როგორც მაშველ რგოლს.

- განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია. ახალგაზრდას არ ჰგავდა, მაღალი ხმა ჰქონდა, პროვინციული აქცენტი დაჰკრავდა, ოღონდ დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი - შესაძლოა, ჩრდილოური, შესაძლოა, კორკული.[24] უცნაურად ჟღერდა... მთვრალი ადამიანისას ჰგავდა.

- კიდევ დარეკეს?

- ერთხელ, რამდენიმე კვირის წინათ. ცამეტ ივლისს, ღამის ორ საათზე. მე ვუპასუხე. იმავე კაცმა მითხრა: "შენ რა..." - ჯონათანმა ჯესიკას შეხედა. როზალინდამ გოგონას ხელზე ხელი მოჰკიდა და დასამშვიდებლად ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, - "შენ რა, იდიოტი ხარ, დევლინ? ხომ გაგაფრთხილე, იმ წყეულ გზას თავი დაანებე-მეთქი. ინანებ. ვიცი, სადაც ცხოვრობს შენი ოჯახი".

- პოლიციას არ შეატყობინეთ?

- არა. ახსნა-განმარტებას ველოდი, მაგრამ ამაოდ.

- ამან არ შეგაშფოთათ?

- რომ არ დაგიმალოთ, - ჩაილაპარაკა მან და სასოწარკვეთილებითა და გამოწვევით აღსავსე მზერა მომაპყრო, - გამიხარდა კიდეც. ვიფიქრე, რომ ჩვენმა ძალისხმევამ გაამართლა. ვინც უნდა ყოფილიყო ის კაცი, არ დამემუქრებოდა, ჩვენი კამპანია წარმატებული რომ არ ყოფილიყო. მაგრამ ახლა... - მოულოდ-

---

[24] კორკული - კორკი (ინგლ. ჩორკ; ირლ. Bრუაცჰბჰაილე ჩჰორცა í), ქალაქი ირლანდიის სამხრეთ-დასავლეთით (ქვეყანაში სიდიდით მეორე).

ნელად ჯონათანი ჩემკენ გადმოიხარა, სახეში შემომხედა და ხელები მაგრად მომუშტა. თავი ძლივს შევიკავე, რომ უკან არ დამეხია, - თუ დაადგენთ, ვინ დარეკა, შემატყობინეთ. მპირდებით?

- მისტერ დევლინ, - ვთქვი მე, - გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა იმ კაცს მივაგნოთ და დავადგინოთ, რა კავშირი აქვს ქეითის სიკვდილთან, მაგრამ არ შემიძლია...

- მან ქეითი შეაშინა, - გაისმა ჯესიკას ხრინწიანი ხმა. მოულოდნელობისგან ყველანი შევხტით. მომეჩვენა, რომ ერთ-ერთი სკამი ალაპარაკდა. გავიფიქრე, აუტისტი[25] ან სხვაგვარად დაავადებული ხომ არ არის-მეთქი.

- მართლა? - მშვიდად იკითხა კესიმ, - რამე გითხრა?

ჯესიკამ მას ისე შეხედა, თითქოს შეკითხვა ვერ გაიგოო, შემდეგ განზე გაიხედა, ნაბიჯი უკან გადადგა და გაშეშდა.

კესი წინ გადაიხარა.

- ჯესიკა, - თქვა მან ძალიან რბილად, - ქეითი ვიღაცამ დააშინა?

ჯესიკამ თავი ოდნავ დააქნია, ტუჩები აამოძრავა, ხელი გაიშვირა და კესის სახელოში ჩაავლო.

- ეს რეალობაა? - იკითხა ჩურჩულით.

- ჰო, ჯესიკა, - ალერსიანად უთხრა როზალინდამ, დას სახელოზე ხელი გააშვებინა, მიიზიდა და თმაზე მოეფერა, - ჰო, რეალობაა.

ჯესიკა ფართოდ გახელილი, არაფრის მთქმელი თვალებით იყურებოდა დის ხელების მიღმა.

* * *

---

[25] აუტიზმი - ფსიქიკის ისეთი მდგომარეობა, როცა ინდივიდს ახასიათებს ჩაკეტილი ცხოვრება და გარე სამყაროსგან სრული მოწყვეტა.

დევლინებს ინტერნეტი შემოყვანილი არ ჰქონდათ, რაც გამორიცხავდა მსოფლიოს რომელიღაც კუთხეში მცხოვრებ ვიღაც დარტყმულთან ჩათის შესაძლებლობას. არც სიგნალიზაცია ეყენათ სახლში, მაგრამ ამაზე ფიქრსაც არ ჰქონდა აზრი - ქეითი ხომ ბოროტმოქმედს საწოლიდან ძალით არ წაუყვანია. მას ჩაცმულს მივაგენით - მარგარეტმა თქვა, რომ მისი ქალიშვილი წესრიგიანობით გამოირჩეოდა, რაც თავისი ბალეტის მასწავლებლისგან გადმოეღო, რომელიც ძალიან უყვარდა. მან შუქი გამორთო, დაელოდა, როდის დაიძინებდნენ მშობლები, შუაღამით ან უთენია ჩუმად ადგა, ჩაიცვა და სახლიდან გავიდა. ჯიბეში გასაღები ედო - მაშასადამე, უკან დაბრუნებას აპირებდა.

ქეითის ოთახი გავჩხრიკეთ, რათა რამე მინიშნება მაინც გვეპოვა, სად წავიდა. არსებობდა საზარელი, მაგრამ დასაშვები შესაძლებლობა, რომ გოგონა ჯონათანმა ან მარგარეტმა მოკლა, შემდეგ კი ისე მოაწყო, თითქოს ბავშვი სახლიდან ცოცხალი გავიდა. ქეითსა და ჯესიკას საერთო საძინებელი ჰქონდათ. ფანჯარა პატარა მომეჩვენა, ნათურა - მქრქალი, რაც კიდევ უფრო მიძლიერებდა ზიზღს ამ სახლის მიმართ. ჯესიკას მხარეს კედელზე იდილიური ნახატების რეპროდუქციები ეკიდა: იმპრესიონისტები, რეკემის[26] ფერიები, პეიზაჟები ტოლკინის[27] ნაწარმოებებიდან ("მე მივეცი, - გვითხრა კარის ღიობში მდგარმა როზალინდამ, - ხომ ასეა, ფისო?" საკუთარ ფეხსაცმელს ჩაშტერებულმა ჯესიკამ თავი დაუქნია). ქეითის კედელი, ცხადია, ბალეტს უკავშირდებოდა: ჟურნალებიდან ბარიშნიკოვისა[28] და მარგო

---

[26] ართურ რეკემი (1867-1939) - ინგლისელი მხატვარი და ილუსტრატორი.

[27] ჯონ ტოლკინი (1892-1973) - ინგლისელი მწერალი და ფილოლოგი, "ჰობიტისა" და "ბეჭდების მბრძანებლის" ავტორი.

[28] მიხაილ ბარიშნიკოვი (დაიბ. 1948) - ყოფილი საბჭოთა, ამჟამად ამერიკელი ბალეტის მოცეკვავე, ქორეოგრაფი და მსახიობი.

ფონტეინის[29] ამოჭრილი ფოტოები, პავლოვას[30] უხარისხო სურათი, მოსაწვევი სამეფო საბალეტო სკოლიდან, ფანქრით საკმაოდ კარგად დახატული ახალგაზრდა მოცეკვავე, წარწერით: "ქეითს, 21/03/03. გილოცავ დაბადების დღეს! სიყვარულით, მამიკო".

ქეითის საწოლზე დაჭმუჭნილი თეთრი პიჟამა ეგდო, რომელიც მან ორშაბათ ღამით ჩაიცვა. ყოველი შემთხვევისთვის, ისიც წავიღეთ ლოგინის თეთრეულსა და იქვე, ტუმბოზე დადებულ გამორთულ მობილურ ტელეფონთან ერთად. დღიურს არ აწარმოებდა. "დაიწყო, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ მოჰბეზრდა და "დაკარგა", - გვითხრა როზალინდამ, თან ბოლო სიტყვა ხაზგასმით წარმოთქვა და ნაღვლიანად გაგვიღიმა, - ახალი კი აღარ წამოუწყია". წავიღეთ, აგრეთვე, მისი სკოლის რვეულები, სკოლის დღიური და ყველაფერი, რასაც კი შესაძლოა, რამე ეკარნახა ამ საქმეზე. თითოეულ გოგონას საკუთარი მაგიდა ჰქონდა. ქეითისაზე თმის სამაგრი ლენტებით სავსე მრგვალი პატარა ყუთი იდგა. გულში ჩხვლეტა ვიგრძენი ორი ნაცნობი აბრეშუმის ზიზილის დანახვაზე.

- უუფ! - შვებით ამოისუნთქა კესიმ, როდესაც სახლიდან გზაზე გავედით, ხელი ასწია და თმა აიჩეჩა.

- ეს სახელი სადღაც უკვე მსმენია ცოტა ხნის წინათ, - ვთქვი მე, - ჯონათან დევლინი. შინ დაბრუნების შემდეგ კომპიუტერში მოვქექავ, იქნებ რამეს მივაგნო.

---

[29] მარგო ფონტეინი (1919-1991) - ბრიტანელი მოცეკვავე, ლონდონის სამეფო თეატრის პრიმაბალერინა.

[30] ანა პავლოვა (1881-1931) - სახელგანთქმული რუსი ბალერინა.

- დალახვროს ეშმაკმა, ვიმედოვნებ, ყველაფერი მარტივად აიხსნება, - ჩაილაპარაკა კესიმ, - ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ამ სახლში ვიღაცამ მაგრად ჩაისვარა.

მისმა ნათქვამმა გამახარა და დამამშვიდა. დევლინებთან ბევრი რამ იპყრობდა ყურადღებას. მაგალითად, ის, რომ ჯონათანი და მარგარეტი ერთმანეთს ერთხელაც არც შეხებიან; სახლში, მოფუსფუსე, ცნობისმოყვარე, თანაგრძნობით შეპყრობილი მეზობლების ნაცვლად, მხოლოდ მოჩვენებასავით მოძრავ დეიდა ვერას მოვკარით თვალი; ოჯახის წევრები სხვადასხვა პლანეტიდან მოსულებს ჰგავდნენ, მაგრამ ძალზე აღგზნებული ვიყავი და საკუთარ ემოციებს არ ვენდობოდი, ამიტომაც გამიხარდა, რომ კესიც რაღაცას დაეეჭვებინა. არა, თავგზააბნეული ნამდვილად არ ვიყავი - ვიცოდი, როგორც კი შინ მივიდოდი და კარგად დავფიქრდებოდი, ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა, თუმცა ჯესიკას დანახვა მტკივნეულად განვიცადე. მართალია, ის ქეითის ტყუპისცალი აღმოჩნდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. ამ საქმეში რაღაც უცნაური პარალელები შეიმჩნეოდა და ვერაფრით მომეცილებინა აზრი, რომ ეს შემთხვევით არ ხდებოდა. ყოველი დამთხვევა ჩემს ფეხებთან ქვიშაზე გამორიყულ თავდახურულ ბოთლს მაგონებდა, რომელზეც ჩემი სახელი ეწერა, შიგნით კი თავსატეხი კოდით შედგენილი ბარათი იდო და გაშიფვრას არ ექვემდებარებოდა.

მახსოვს, როდესაც ინტერნატში მოვხვდი, იქაურებს ვუთხარი, რომ ტყუპისცალი ძმა მყავდა. მამაჩემი ძალიან კარგი ფოტოგრაფი იყო. ერთხელ, კვირა დღეს, ჩვენ პიტერის ველოსიპედით ახალი ტრიუკის გაკეთებას ვცდილობდით - ბაღის არცთუ შემაღლებულ ადგილამდე სწრაფად მისულებს იქიდან გადახტომა გვსურდა. მამამ ეს გაგვაკეთებინა, შემდეგ კი ნახევარი დღე ბალახზე იჯდა და ობიექტივს ცვლიდა. უამრავი შავ-თეთრი ფირი დახარჯა. ჩვენ პირდაპირ ცაში მივფრინავდით: პიტერი სა-

ჭესთან იჯდა, მე - მის უკან, ხელები გაგვეშალა, თვალები დაგვეხუჭა, ქარისგან თმა გაგვწეწოდა, პირი დაგვეღო (ხმამაღლა, ყურისწამღებად ვყვიროდით). თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ სურათის გადაღების შემდეგ მდელოზე გავიშხლართეთ, დედა ჩვენს დასამშვიდებლად მოვარდა, თან მამას უჯავრდებოდა. მან ისეთი კუთხით გადაგვიღო, რომ მიწა არ ჩანდა და შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჰაერში ისე დავფრინავდით, როგორც უწონობის მდგომარეობაში.

ეს სურათი მუყაოზე დავაწებე და ჩემს ტუმბოში ჩავდე, სადაც ოჯახური ფოტოების შენახვის უფლებას გვაძლევდნენ, ბიჭებს კი რამდენიმე ამბავი ვუამბე, უმეტესწილად, შეთხზული და ფანტასტიკური, თუ რა გადაგვხდა თავს მე და ჩემს ძმას. ავუხსენი, რომ მშობლებმა იგი ირლანდიის სხვა სკოლაში გაგზავნეს, რადგან სადღაც წაიკითხეს, ჯობია, ტყუპი ერთმანეთს დააცილოთო, და ახლა ის ცხენზე ჯდომას სწავლობდა.

წელი ჯერაც არ დასრულებულიყო, როდესაც მივხვდი, რომ ტყუპის შესახებ მოგონილმა ამბავმა სერიოზული პრობლემა შემიქმნა (ერთ-ერთი თანაკლასელი სპორტის დღეს ჩემს მშობლებს შეხვდა და ჰკითხა, პიტერი რატომ არ ჩამოვიდაო), ამიტომ მომდევნო წელს სურათი შინ დავტოვე - დარცხვენილმა, მატრასის ქვეშ ამოვდე - და ძმის შესახებ კრინტი აღარ დამიძრავს, ვიმედოვნებდი, რომ სხვებსაც გადაავიწყდებოდათ. ერთმა კლასელმა, გვარად ჰალმა, ისეთმა, მოწყენილობისგან მწერებს ფეხებს რომ აგლეჯენ, რაღაც იეჭვა და შეკითხვებით აღარ მომასვენა. იძულებული გავხდი, მეთქვა, რომ ზაფხულში ჩემი ტყუპისცალი ცხენიდან გადმოვარდა, ტვინის შერყევა დაემართა და მოკვდა. წლის დარჩენილი დრო იმის შიშში გავატარე, რაიანის ძმის სიკვდილის ამბავმა მასწავლებლების, მათგან კი ჩემი მშობლების ყურებამდე არ მიაღწიოს-მეთქი. ახლა ვაცნობიერებ, რომ სიმართლე მალე გაირკვა, მაგრამ მასწავლებლე-

ბი, რომლებმაც ნოკნარიში მომხდარის შესახებ იცოდნენ, თანაგრძნობითა და გაგებით მომეკიდნენ - ახლაც კი მზარავს იმაზე ფიქრი - და ყველაფერი მიაჩუმათეს. გამიმართლა, თორემ ორიოდე წლის შემდეგ, ალბათ, ბავშვთა ფსიქოლოგთან გამგზავნიდნენ და მაიძულებდნენ, საკუთარი გრძნობები მოლაპარაკე სათამაშოებისთვის გამეზიარებინა.

მიუხედავად ამისა, ცოტათი მაინც მწყდებოდა გული, რომ ტყუპისცალი აღარ მყავდა. მომწონდა, რომ პიტერი ჩემი ამხანაგების თავში ცოცხლობდა და გაბედულად დააჭენებდა ცხენს. ფოტოზე ჯემიც რომ ყოფილიყო, მასაც ჩვენს ტყუპისცალად გადავაქცევდი და მაშინ ამ ამბიდან თავის დაღწევა ნამდვილად გამიჭირდებოდა.

როდესაც გათხრების ადგილას დავბრუნდით, იქ უკვე რეპორტიორები დაგვხვდნენ. მათ მსგავსი შემთხვევებისთვის წინასწარ მომზადებული სტანდარტული პასუხი გავეცი (ამ როლს ყოველთვის მე ვასრულებდი, რადგან კესის უფროსის შთაბეჭდილებას ვახდენდი): ნაპოვნია გოგონას გვამი, გვარს ვერ გავამხელთ, სანამ ახლობლებს არ შევატყობინებთ. ეჭვი გვაქვს, რომ მკვლელობაა. თუკი ვინმეს რამე ინფორმაცია აქვს, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ; უკომენტაროდ, უკომენტაროდ, უკომენტაროდ...

- ეს სატანისტებმა ხომ არ ჩაიდინეს? - იკითხა სათხილამურო კოსტიუმში გამოწყობილმა მაღალმა, ჩვენთვის უკვე ნაცნობმა ქალმა. იგი იმ ბულვარული გაზეთების წარმომადგენელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც მყვირალა სათაურები უყვართ.

- ამის დამადასტურებელი ერთი სამხილიც არ არსებობს, - ჩავიდუდღუნე მე. ისინი არასდროს არსებობს. დეტექტივების-

თვის ადამიანთა სატანისტი მკვლელები იგივეა, რაც იეტი:[31] ისინი არავის უნახავს, მათზე არავის არაფერი სმენია, მაგრამ საკმარისია დიდი ფეხის ანაბეჭდი გაჩნდეს, რომ პრესა ერთ ამ-ბავს ატეხს ხოლმე. ყოველი შემთხვევისთვის, ისეთ სახეს ვი-ღებთ, თითქოს ამ იდეას სერიოზულად ვეკიდებით.

- ის ხომ დრუიდების[32] საკურთხეველზე აღმოაჩინეს, სადაც ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ? - თავისას არ იშლიდა ქა-ლი.

- უკომენტაროდ, - მივუგე ავტომატურად და უეცრად მივხვდი, რას მაგონებდა ეს არშიაამოკვეთილი ქვა: გვამების გაკვეთის მაგიდას მორგში, რომელსაც სისხლის სადინარი ეკეთა. უბრა-ლოდ, აქამდე ჩემი გონება 1984 წლის მოგონებებით იყო დაკა-ვებული და ეს არც გამხსენებია. ღმერთო ჩემო!

როგორც იქნა, რეპორტიორებმა დაშლა გადაწყვიტეს და მი-მოიფანტნენ. კესი მასალების შესაგროვებელ ფარდულთან იჯდა და მომხდარს იქიდან აკვირდებოდა. როდესაც შეამჩნია, რომ ტანმაღალი ჟურნალისტი მარკისკენ გაეშურა, რომელიც სასა-დილოდან გამოვიდა და ტუალეტისკენ წავიდა, სასწრაფოდ წა-მოდგა და მისკენ გაემართა, რათა მას თვალში მოხვედროდა. დავინახე, როგორ დაიჭირა მარკმა მისი მზერა რეპორტიორის მხარს ზემოდან. წუთის შემდეგ კესი მათ თავის ქნევით დასცილ-და.

- რა ხდება? - ვკითხე და ჯიბიდან ფარდულის გასაღები ამო-ვიღე.

---

[31] იეტი - თოვლის კაცი, ჰიმალაის მთებში მცხოვრები ორ ფეხზე მოსიარულე ბალნიანი მითური არსება.

[32] დრუიდები - გალიის, ბრიტანეთისა და ირლანდიის კელტების ქურუმები.

- ლექციას უკითხავს გათხრების შესახებ, - ღიმილით მითხრა კესიმ და შარვალი დაიფერთხა, - ყოველთვის, როდესაც ქალი მისთვის შეკითხვის დასმას ცდილობს, ერთი წუთითო, ეუბნება და აღშფოთებით ლაპარაკობს ხელისუფლებაზე, რომელიც მზადაა, სტოუნჰენჯის[33] შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა გაანადგუროს, შემდეგ კი ვიკინგების დასახლების აღწერაზე გადადის. სიამოვნებით დავრჩებოდი იმის სანახავად, თუ რა მოხდება - იმ ქალმა ღირსეულ მეტოქეს მიაგნო.

სხვა არქეოლოგების დაკითხვას ახალი არაფერი მოუტანია. მხოლოდ მოქანდაკემ, სახელად შონმა, შემოგვთავაზა, მომხდარი ვამპირებისთვის დაგვეკავშირებინა. გვამისთვის გადაღებულმა ფოტოსურათებმა იგი ცოტათი გამოაფხიზლა, მაგრამ არც მას და არც მის კოლეგებს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ენახათ გათხრების ადგილას ქეითი და, შესაძლოა, ჯესიკაც, ზოგჯერ თანატოლებთან, ზოგჯერ კი უფროს გოგონასთან - აღწერის მიხედვით, როზალინდასთან - ერთად, არც საეჭვო პირები შეუმჩნევიათ, რომლებიც ქეითს უთვალთვალებდნენ, არც რამე უჩვეულო. მარკმა განაცხადა, რომ ყველაზე ავბედითი ადამიანები აქ პოლიტიკანები იყვნენ, რომლებიც გასანადგურებლად გამზადებული ეროვნული ფასეულობის ფონზე სურათებს იღებდნენ. მან მათი აღწერაც კი შემოგვთავაზა. არავის უხსენებია სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი, იდუმალებით მოცული ახალგაზრდა კაცი და მე უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ იგი ან ქალაქის ერთი ჩვეულებრივი მცხოვრები იყო, ან დემიენის წარმოსახვის ნაყოფი. მსგავსი ადამიანები ყოველ საქმეში გვხვდება და მათ უამრავი დრო მიაქვთ, როდესაც იმას ამბობენ, რისი მოსმენაც, მათი აზრით, ჩვენ გვსურს.

---

[33] სტოუნჰენჯი - პრეისტორიული მეგალითური მონუმენტი ინგლისის სამხრეთ-დასავლეთში.

დუბლინელმა არქეოლოგებმა - დემიენმა, შონმა და კიდევ რამდენიმემ - ორშაბათსა და სამშაბათს ღამე შინ გაათიეს, დანარჩენებმა კი გათხრების ადგილიდან ორიოდე მილით დაშორებულ ნაქირავებ სახლში. არქეოლოგიაზე თავგადაკლული ჰანტი ღამით ლუკანში იყო ცოლთან ერთად. მან დაადასტურა რეპორტიორი ქალის ვერსია იმის თაობაზე, რომ ქვა, რომელზეც ქეითის გვამი იპოვეს, ძველად სამსხვერპლო იყო.

- ზუსტად არ ვიცით, ვის სწირავდნენ მსხვერპლად, ადამიანებს თუ ცხოველებს, თუმცა... ჰმ... ქვის ფორმის მიხედვით, ალბათ, ადამიანებს. ზომას თუ გავითვალისწინებთ, ასე უნდა ყოფილიყო. ძალზე იშვიათი არტეფაქტია.[34] მაშასადამე, ბრინჯაოს ხანაში ამ ბორცვს უდიდესი რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა, ხომ გესმით? რამხელა სირცხვილია... ეს ახალი გზა... - მტკიცებულება თუ გაქვთ თქვენი ჰიპოთეზის დასადასტურებლად? - ვკითხე მე, თუმცა, რომ ჰქონოდა, რამდენიმე თვე დაგვჭირდებოდა პრესის მიერ ოკულტიზმის[35] ნიადაგზე ატეხილი მითქმა-მოთქმის გასანეიტრალებლად.

ჰანტმა დაჭრილი მხეცივით შემომხედა.

- მტკიცებულების არარსებობა საპირისპიროს არ ამტკიცებს, - მითხრა გამკიცხავად.

მარკი ბოლო იყო დასაკითხავთა სიიდან. როდესაც ჩვენს ნივთებს ვაგროვებდით, კარზე დააკაკუნეს და ოთახში თავი ერთ-ერთმა კრიმინალისტმა შემოყო.

- გამარჯობა, - თქვა მან, - სოფი ამბობს, ყველაფერს მოვრჩითო, მაგრამ სურს, რაღაც განახვოთ.

---

[34] არტეფაქტი - ხელოვნურად შექმნილი ან აღმოჩენილი ნივთი.

[35] ოკულტიზმი - მისტიკურ მოძღვრებათა საერთო სახელწოდება.

ოპერჯგუფის ბიჭებს მარკერები უკვე აეღოთ და ახლა ქვა მარტოსულივით იდო შუაგულ მინდორში. ირგვლივ სიცარიელე იყო. რეპორტიორები დიდი ხნის წინათ წასულიყვნენ, არქეოლოგებიც გაკრეფილიყვნენ, ჰანტი კი თავის მუქ წითელ "ფორდ-ფიესტაში" ჯდებოდა. გადასატან სახლებს გავცდით და ხეებს შორის რაღაც თეთრს მოვკარი თვალი.

დაკითხვის მოსაწყენმა პროცედურამ თითქმის გამომაფხიზლა. გამოძიების ამ ეტაპს კესი "არაფერს" უწოდებდა: არავის არაფერი დაენახა, არაფერი გაეგონა, არაფერი გაეკეთებინა. მაგრამ ტყეში შესვლისთანავე, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ეს შიში კი არა, იმის მსგავსი შეშფოთება უფრო იყო, რომელსაც გვერდით ღამურას გაფრთხიალების დროს გრძნობთ. ხშირი ქვეტყე გაუვალს ჰგავდა, ფეხი ჩამოცვენილი ფოთლების ღრმა ფენაში გვეფლობოდა. მაღლა აწვერილ ხეებს შორის მხოლოდ მომწვანო ბინდბუნდი ანათებდა.

სოფი და ჰელენი მდელოზე გველოდებოდნენ ტყის პირიდან ასიოდე იარდის დაშორებით.

- ყველაფერი ხელუხლებლად დავტოვე, - თქვა სოფიმ, - თუმცა ამ ნაგავს დაბინდებამდე გავიტან. არ მინდა აქ პროჟექტორების მოთრევა.

როგორც ჩანს, ვიღაცას მინდორში ბანაკი მოეწყო. მწვანე ბალახში საძილე ტომრისხელა ხვრელი და გათელილი ფოთლები მოჩანდა, ოდნავ მოშორებით კი - მიწის დატკეპნილ ზოლს შორის მოქცეული კოცონის ნარჩენები. კესიმ დაუსტვინა.

- მკვლელობის ადგილი? - ვიკითხე უიმედოდ: ასე რომ ყოფილიყო, სოფი კარგა ხნის წინათ დაგვიძახებდა.

- მსგავსი არაფერია, - თქვა მან, - ყველაფერი გადავამოწმეთ. არც ბრძოლის კვალია, არც სისხლის წვეთები. კოცონთან რაღაც ასხია, მაგრამ ტესტის შედეგი უარყოფითია. სუნითაც იგრძნობა, რომ ეს წითელი ღვინოა.

- შეძლებული ტურისტი, - ვთქვი და წარბები ავწიე. უბრალო მაწანწალა ამას ვერ შეძლებდა. "ღვინოში" ირლანდიაში, ჩვეულებრივ, მაგარ სიდრს ან იაფფასიან არაყს გულისხმობენ. შეყვარებულ, მძაფრი შეგრძნებების მოსურნე წყვილზე გავიფიქრე. იქნებ სხვაგან წასასვლელი არსად ჰქონდათ? მაგრამ ბალახში დატოვებული ხვრელი მხოლოდ ერთ ადამიანს ეყოფოდა, - კიდევ ხომ არ გინახავთ რამე?

- ნაცარი გამოვიკვლიეთ. შესაძლოა, ცეცხლში გასისხლიანებული ტანსაცმელი ჩაეგდოთ. თუმცა იქ მხოლოდ ხის ნახშირია. კიდევ გვაქვს ფეხსაცმლის კვალი და ხუთი ნამწვი.

სოფიმ სამხილებისთვის განკუთვნილი გამჭვირვალე პაკეტი გამომიწოდა. შუქზე გავხედე, კესიმ კი ჩემს მხარზემოდან შეათვალიერა: შიგნით გრძელი, დახვეული, ღია ფერის თმის ღერი იდო.

- კოცონთან აღმოვაჩინეთ, - თქვა სოფიმ და თითი მიწაზე დაგდებული მარკერისკენ გაიშვირა.

- შენი აზრით, აქ როდის იყვნენ? - ჰკითხა კესიმ.

- ნაცარი წვიმას ჯერ არ გადაურეცხავს. წვიმის გრაფიკს ვნახავ, მაგრამ იქ, სადაც მე ვცხოვრობ, აქედან ორი მილის დაშორებით, ორშაბათ დილას წვიმდა. როგორც ჩანს, ვიღაცამ აქ ღამე წუხელ ან წინადღეს გაათია.

- ნამწვების ნახვა თუ შეიძლება? - დავინტერესდი.

- თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში, - მითხრა სოფიმ.

ჩემი ფუტლარიდან ნიღაბი და პინცეტი ამოვიღე და კოცონთან დადებულ ერთ-ერთ მარკერთან ჩავიცუცქე. ხელით დახვეული სიგარეტის ნამწვი იყო, თითქმის ბოლომდე დაყვანილი. ვიღაც თამბაქოს უფრთხილდებოდა.

- ასეთს მარკ ჰენლი ეწევა, - ვთქვი სიცილით და წამოვდექი, - თანაც გრძელი და ქერა თმა აქვს.

მე და კესიმ ერთმანეთს გადავხედეთ. საღამოს შვიდი საათი დაწყებულიყო. ო ’ კელის ნებისმიერ წუთს შეეძლო დაერეკა და ანგარიშის წარდგენა მოეთხოვა, მარკთან საუბარი კი დიდ დროს წაიღებდა. ამასთან, არც კი ვიცოდით, სად იდგა არ-ქეოლოგების სახლი.

- კარგი, დაივიწყე, ხვალ დაველაპარაკოთ, - თქვა კესიმ, - იქითობას ბალეტის მასწავლებელთან შევლა მინდა, თანაც შიმ-შილისგან კუჭი მიხმება.

- მის გვერდით თავი ყოველთვის პატარა ძაღლის ლეკვი მგონია, - ვუთხარი სოფის.

ჰელენმა შეშინებული თვალებით შემომხედა.

- ასეა, თუმცა ჯიშიანი კია, - მხიარულად ამიბა მხარი კესიმ.

როდესაც ბორცვის გავლით მანქანასთან ვბრუნდებოდით (ჩემი ყელიანი ფეხსაცმელი, როგორც მარკმა გამაფრთხილა, საშინელ დღეში იყო: მოწითალო ჟანგისფერ თიხას ყველა ხვრელი ამოევსო. მასში საკმაოდ დიდი თანხა გადავიხადე, მაგ-რამ თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ მკვლელის ფეხსაცმელსაც იგივე დღე დაადგებოდა), ტყეს გავხედე და კვლავ სითეთრეს მოვკარი თვალი - სოფი, ჰელენი და კიდევ ერთი კრიმინალისტი სამი აჩრდილივით უსიტყვოდ და მიზანმიმართულად მიიწევ-დნენ ხეებს შორის.

4 თავი

ქემერონის ცეკვის აკადემია სტილორგანის რაიონში, ვიდეოკასეტების მაღაზიის ზემოთ მდებარეობდა. მეზობელ შესახვევში განიერ შარვლებში გამოწყობილი სამი მოზარდი სკეიტბორდებზე სრიალებდა და ხმამაღლა გაჰყვიროდა. მასწავლებლის თანაშემწემ, ლუიზამ, რომელსაც შავი პუანტები, შავი ტრიკო და კოჭებამდე შავი ქვედაკაბა ეცვა, - სანამ კიბეზე ავდიოდით, კესიმ ეშმაკურად გადმომხედა, - გვითხრა, რომ მის ქემერონი მეცადინეობას წუთი წუთზე დაასრულებდა და გვთხოვა, მისაღებში დავლოდებოდით.

კესი განცხადებების დაფასთან მივიდა, მე ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე. ამ სართულზე ორი საცეკვაო ოთახი იყო, კარზე ამოჭრილი პატარა მრგვალი ფანჯრებით. ერთ-ერთში ლუიზა ბავშვებს აჩვენებდა, როგორ გამოესახათ პეპელა, ჩიტი თუ რაღაც ამგვარი, მეორეში წყვილებად დაყოფილი თეთრტრიკოიანი და ვარდისფერკოლჰოტიანი გოგონები "ყვავილების ვალსის" საკმაოდ ცუდი ფირფიტით გაჟღერებულ მელოდიაზე დახტოდნენ და ტრიალებდნენ. მათი უმრავლესობა, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. ხმელ--ხმელ და ახალგაზრდა სპორტსმენივით ტანად მასწავლებელს, რომელსაც ჭაღარა თმა უკან გადაეჭიმა და ლენტით შეეკრა, ისევე ეცვა, როგორც მის თანაშემწეს, ხელში კი საჩვენებელი ჯოხი ეჭირა და მოსწავლეებს კოჭებსა და მხრებზე ადებდა.

- შეხედე, - მითხრა კესიმ ხმადაბლა.

ქეით დევლინის დიდი ფოტოსურათი დავინახე, თუმცა უცებ ვერც ვიცანი. თეთრი, ნახევრად გამჭვირვალე კომბინეზონით შემოსილს ერთი ფეხი უჩვეულო სიმსუბუქით მაღლა აეწია და ურთულეს რკალად მოეხარა. ქვემოთ დიდი ასოებით ეწერა: "გავგზავნოთ ქეით დევლინი სამეფო საბალეტო სკოლაში! დაე,

იამაყონ ჩვენით!" იქვე საქველმოქმედო აქციის დეტალები მიეთითებინათ - "წმინდა ალბანის ეკლესიის საკონცერტო დარბაზი, 20 ივნისი, 19:00. ცეკვის აკადემიის მოსწავლეთა საღამო, ბილეთის ფასი 10 ევრო. შეგროვებული თანხა ქეითის სწავლის საფასურის გადახდას მოხმარდება". საკუთარ თავს ვკითხე, იმ ფულს ახლა რა დაემართება-მეთქი.

ფოტოსურათის ქვემოთ გაზეთის ამონაჭერი მიემაგრებინათ: ქეითი სავარჯიშო ძელთან იდგა და სარკიდან მოზრდილი ადამიანის თვალებით უყურებდა ფოტოგრაფს. 23 ივნისის "აირიშ თაიმსი" წერილში, სათაურით "პატარა დუბლინელი მოცეკვავის აფრენა", იუწყებოდა: "რა თქმა უნდა, ძალიან მომენატრება ჩემი ოჯახი, - ამბობს ქეითი, - მაგრამ ლოდინი აღარ შემიძლია. ცეკვა ექვსი წლიდან მსურდა. ზოგჯერ მგონია, რომ გავიღვიძებ და ყველაფერი სიზმარი აღმოჩნდება". სტატიამ, ცხადია, ხელი შეუწყო ქეითისთვის ფულის შეგროვებას, თუმცა დათვური სამსახურიც გაუწია: დილის გაზეთებს პედოფილებიც კითხულობენ, ფოტოსურათიც თვალში საცემია. მაშასადამე, დამნაშავე, შესაძლოა, ქვეყნის ნებისმიერ წერტილში ცხოვრობდეს. სხვა განცხადებებიც გადავიკითხე: "იყიდება ბალეტის საცეკვაო კაბა, 7-8 ზომის", "ყველას, ვინც ბლექროკში ცხოვრობს! ერთად იქირავეთ ავტომობილი გაკვეთილებზე მისასვლელად".

ოთახის კარი გაიღო და იქიდან მოუსვენარი გოგონების გუნდი გამოვარდა.

- რით შემიძლია თქვენი დახმარება? - გვკითხა ზღურბლზე გამოჩენილმა სიმონა ქემერონმა.

ლამაზი, ღრმა და ძლიერი ხმა ჰქონდა, მაგრამ როდესაც მის ძვლიან და დანაოჭებულ სახეს შევხედე, მივხვდი, რომ გაცილებით უფროსი იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. შესაძლოა, სიმონას მშობლები ვეგონეთ, რომლებსაც თავიანთი ქალიშვილის ცეკვაზე მიყვანა სურდათ. წამით მომინდა, ასეც მოვ-

ქცეულიყავი: მშვიდად მეკითხა ფასისა და გაკვეთილების გრაფიკის შესახებ, წავსულიყავი და საუკეთესო მოსწავლისთვის სიცოცხლე გამეხანგრძლივებინა.

- მისის ქემერონ?

- შეგიძლიათ, სიმონა დამიძახოთ, - თქვა მან. გასაოცარი თვალები ჰქონდა - თითქმის ოქროსფერი, უზარმაზარი და მძიმექუთუთოებიანი.

- მე დეტექტივი რაიანი ვარ, ეს კი დეტექტივი მედოქსია, - რატომ მეათასჯერ არ გავიმეორე ეს ფრაზა დღეს, - რამდენიმე წუთს ხომ ვერ დაგვითმობთ?

სიმონამ კლასში შეგვიყვანა და კუთხეში სამი სკამი დადგა. ერთი კედელი სარკეებით დაეფარათ. მის გასწვრივ სხვადასხვა სიმაღლის სამი სავარჯიშო ძელი დაემაგრებინათ. საუბრის დროს ჩემს ყველა მოძრაობას ვხედავდი. სკამი ისე შევაბრუნე, რომ სარკესთან ზურგშექცევით ვყოფილიყავი.

სიმონას ქეითის შესახებ ვუამბე - ახლა ჩემი რიგი იდგა. მეგონა, ატირდებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მან მხოლოდ ოდნავ უკან გადასწია თავი, სახეზე კი ნაოჭები გაუმკვეთრდა.

- ორშაბათს ქეითი მეცადინეობაზე იყო, არა? - ვკითხე მე, - როგორ გამოიყურებოდა?

ადამიანებს პაუზის გაკეთება იშვიათად ეხერხებათ, მაგრამ სიმონა მათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. იგი გაუნძრევლად იჯდა, ხელი სკამის საზურგეზე გადაედო და მშვიდად ფიქრობდა პასუხის გასაცემად. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა:

- ისევე, როგორც ყოველთვის, ოღონდ ოდნავ აღელვებული მომეჩვენა - ყურადღება უცებ ვერ მოიკრიბა. ეს არც გამკვირვებია: რამდენიმე კვირის შემდეგ სამეფო საბალეტო სკოლაში გადადიოდა. საერთოდ, ამ ზაფხულს მღელვარება ყოველდღიურად ემატებოდა, - სიმონამ თავი მოაბრუნა, - გუშინ საღა-

მოს ქეითმა გაკვეთილი გააცდინა. ვიფიქრე, ალბათ, კვლავ ავად გახდა-მეთქი. მშობლებისთვის რომ დამერეკა...

- წუხელ იგი უკვე მკვდარი იყო, - რბილად ჩაურთო კესიმ.

- კვლავ ავად გახდა? - ჩავეკითხე სიმონას, - ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა?

- ბოლო დროს - არა, მაგრამ ქეითი კარგი ჯანმრთელობით არ გამოირჩევა, - მას წამით ქუთუთოები აუთრთოლდა, - უფრო სწორად, არასდროს გამოირჩეოდა. ექვსი წლის განმავლობაში ვასწავლიდი. დაახლოებით ცხრა წლის ასაკიდან ავადმყოფობას მოუხშირა. ჯესიკას, მის დასაც, იგივე ემართებოდა, ოღონდ ეს უკანასკნელი მხოლოდ ცივდებოდა ან ახველებდა, რისი მიზეზიც, ალბათ, სუსტი იმუნიტეტია. ქეითს კი ხან გულისრევა აწუხებდა, ხან - ფაღარათი. ზოგჯერ საავადმყოფოშიც აწვენდნენ. ექიმები ამბობდნენ, ქრონიკული გასტრიტიაო. ქეითი სამეფო საბალეტო სკოლაში შარშან აპირებდა შესვლას, მაგრამ მდგომარეობა გაურთულდა და ოპერაცია გაუკეთეს. როდესაც გამოკეთდა, უკვე დაგვიანებული იყო.

- მაგრამ ბოლო ხანს მსგავსი შემოტევა აღარ აწუხებდა? - ვკითხე მე. სასწრაფოდ უნდა გვენახა ქეითის სამედიცინო ბარათი.

სიმონა ჩაფიქრდა, მოგონებებისგან სახეზე მწარე ღიმილმა გადაურბინა და მზერა აგვარიდა.

- ვწუხდი, შეძლებდა თუ არა სწავლის გაგრძელებას - ბალერინებისთვის ავადმყოფობის გამო გაკვეთილების ხშირად გაცდენა დაუშვებელია. წელს, როდესაც ქეითმა კვლავ დაიწყო ცეკვა, გაკვეთილების შემდეგ დავტოვე და ექიმთან მისვლა და ყველაფრის გარკვევა ვურჩიე. ქეითმა მომისმინა, თავი გადააქნია და სერიოზული, თითქმის საზეიმო სახით მითხრა: "ავად აღარასოდეს გავხდები". ვცადე, ამეხსნა, რომ ასეთ დროს ხუმრობა არ შეიძლებოდა, რომ ჯანმრთელობაზე მისი კარიერა იყო დამოკი-

დებული, მაგრამ მან მხოლოდ იგივე სიტყვები გაიმეორა. მას შემდეგ ავად მართლა აღარ გამხდარა. ვიფიქრე, ასაკის მატებასთან ერთად ავადმყოფობამ უკან დაიხია-მეთქი. ისიც უნდა ითქვას, რომ ძლიერ ნებისყოფას სასწაულის მოხდენა შეუძლია, ქეითს კი ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა.

დერეფანში მეორე კლასი გამოეფინა. კიბის ბაქნიდან მშობლების საუბარი, სიცილი და ფეხის ხმა მომესმა.

- მაშასადამე, ჯესიკასაც თქვენ ასწავლით? - იკითხა კესიმ, - ისიც სამეფო საბალეტო სკოლაში აპირებს შესვლას?

გამოძიების დასაწყისში, როდესაც აშკარა ეჭვმიტანილი გამოკვეთილი არ არის, ცდილობ, შეძლებისდაგვარად, მეტი შეიტყო მსხვერპლის ცხოვრების შესახებ და რამე ხელჩასაჭიდს მაინც მიაგნო. კესი სრულიად მართალი იყო, როდესაც დევლინების ოჯახთან დაკავშირებულ შეკითხვებს სვამდა, მით უმეტეს, რომ სიმონა ქემერონს ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ადრეც შევხვედრივარ ასეთებს - ხალისით გვესაუბრებიან, ენას არ აჩერებენ, თითქოს ეშინიათ, რომ თუ გაჩუმდებიან, წავალთ და მწუხარებასთან მარტო დავტოვებთ. ჩვენ კი ვუსმენთ, თავს თანაგრძნობით ვუქნევთ და ყოველ სიტყვას ვიწერთ.

- სხვადასხვა დროს სამივე დას ვასწავლიდი, - თქვა სიმონამ, - ჯესიმ თავდაპირველად კარგი უნარი გამოამჟღავნა და ბეჯითად ვარჯიშობდა კიდეც, მაგრამ მალე ავადმყოფურად დაიმორცხვა და გაკვეთილები მისთვის ტანჯვად იქცა. ვუთხარი კიდეც მშობლებს, დაძალება, ალბათ, არ ღირს-მეთქი.

- როზალინდა?

- როზალინდა ნიჭიერი იყო, თუმცა მუშაობა არ უყვარდა და დაუყოვნებლივ სურდა შედეგის მიღება. რამდენიმე თვის ვარჯიშის შემდეგ ვიოლინოზე გადაერთო. განაცხადა, რომ მის მშობლებს ასე უნდოდათ, ჩემი აზრით კი, უბრალოდ მოსწყინდა. ბავშვებს ეს ხშირად ემართებათ. როდესაც სწრაფ პროგრესს ვერ

აღწევენ და ხვდებიან, რომ ბევრი შრომა მოუწევთ, ნებდებიან და მიდიან. რომ არ დაგიმალოთ, სამეფო ბალეტის თეატრისთვის ჯესიკა და როზალინდა არ გამოდგებოდნენ.

- მაგრამ ქეითი... - თქვა კესიმ და წინ წამოიწია.

სიმონა კარგა ხანს მიაჩერდა მას, ბოლოს კი თქვა:

- ქეითი... სერიოზული გოგონა იყო.

უკანასკნელი სიტყვები მან ფრანგული ინტონაციით წარმოთქვა.

- სერიოზული, - გავიმეორე.

- უფრო მეტიც, - თქვა კესიმ. მას ნახევრად ფრანგი დედა ჰყავდა და ამბობდა, რომ ბავშვობაში ზაფხულობით პროვანსში ისვენებდა ბებია-ბაბუასთან. ფრანგულად ლაპარაკი აღარ შეეძლო, მაგრამ ყველაფერი ესმოდა, - პროფესიონალი.

- დიახ, - ჩაილაპარაკა სიმონამ და თავი დააქნია, - შედეგის მიუხედავად, მეცადინეობაც უყვარდა და მუშაობაც. ცეკვაში ნამდვილი ნიჭი იშვიათობაა, შესაფერისი ტემპერამენტი - სანთლით საძებნი. ორივე ერთად კი... - მან კვლავ განზე გაიხედა, - როდესაც კლასი დაკავებული იყო, მეკითხებოდა, შეიძლება, მათთან ერთადაც ვივარჯიშოო. გარეთ უკვე ბინდდებოდა. სკეიტბორდზე მოსრიალე ბავშვები თანდათანობით ბუნდოვან სილუეტებად გადაიქცნენ. ვცადე, ქეით დევლინი საცეკვაო ოთახში მარტო დარჩენილი წარმომედგინა: როგორ დაჟინებით მისჩერებია სარკეს ბრუნისა და დახრის გაკეთებისას; ქუჩის ფარნების შუქი ზაფრანისფერ მართკუთხა ლაქებად ეფინება იატაკს; ფირფიტაზე ნემსი ხმაურით აჟღერებს სატის "გნოსიენებს".[36] აქამდე ვერ გამეგო, როგორ აღმოჩნდა სიმონა აქ, მაღაზიის თავზე მდებარე სტუდიაში, - მეზობელი სახელოსნოდან ზეთის

---

[36] ერიკ სატი (1866-1925) - ექსცენტრიკული ფრანგი კომპოზიტორი და პიანისტი; "გნოსიენები" - სატის საფორტეპიანო კომპოზიციები.

სუნი აღწევდა, - სადაც ბავშვებს ასწავლიდა, რომელთა მშობლებსაც სურდათ, მათ კოხტად სიარული შესძლებოდათ. მხოლოდ ახლა მივხვდი, რას ნიშნავდა მისთვის ქეით დევლინი.

- მისტერ და მისის დევლინებმა როგორ მიიღეს ის, რომ ქეითი სამეფო საბალეტო სკოლაში უნდა გადასულიყო? - იკითხა კესიმ.

- მაშინვე მხარში ამოუდგნენ, - დაუფიქრებლად მიუგო სიმონამ, - სიმართლე გითხრათ, გამიხარდა, გამიკვირდა კიდეც - როგორც წესი, მშობლები წინააღმდეგი არიან, რომ ბავშვი ამ ასაკში სახლიდან გაემგზავროს. არ მოსწონთ, რომ მათი ქალიშვილი პროფესიონალი მოცეკვავე უნდა გახდეს. მისტერ დევლინი კი ამას განსაკუთრებით უჭერდა მხარს. ასე მგონია, ის და ქეითი ერთმანეთთან ახლოს იყვნენ. მამას მისთვის ყოველივე საუკეთესო უნდოდა, თუნდაც ამას მათი დაშორება გამოეწვია.

- დედას? - იკითხა კესიმ, - ისიც ახლოს იყო ქალიშვილთან?

სიმონამ მხრები აიჩეჩა და თქვა:

- ვფიქრობ, ნაკლებად. მისის დევლინი... ოდნავ გულჩათხრობილია. ყოველთვის აღფრთოვანებით ლაპარაკობს საკუთარ გოგონებზე. ჩემი აზრით, არცთუ ჭკვიანია.

- ბოლო დროს საეჭვო ხალხი ხომ არ შეგინიშნავთ? - ვკითხე მე, - ან რამე უჩვეულო, რამაც შეგაშფოთათ?

საბალეტო სკოლები, საცურაო აუზები და სკაუტთა კურსები პედოფილებს მაგნიტივით იზიდავს. თუ ვინმე მსხვერპლს ეძებდა, აქაც შეეძლო მოსვლა.

- მესმის, რასაც გულისხმობთ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ჩვენ ამას თვალყურს ვადევნებთ. ათიოდე წლის წინათ აქ ვიღაც მამაკაცი გამოჩნდა, რომელიც ბორცვზე მდებარე კედლიდან ბინოკლით იყურებოდა. პოლიციაში ვიჩივლეთ, მაგრამ იქ ყურადღება არ მოგვაქციეს, სანამ იმ კაცმა ერთ-ერთ გოგო-

ნას მანქანაში ჩაჯდომა არ შესთავაზა. მას აქეთ გამუდმებით ვფხიზლობთ.

- ქეითთან მომეტებული ყურადღება არავის გამოუჩენია?

- არა, მისი ნიჭი ბევრს აღაფრთოვანებდა, ფულის შეგროვებაშიც გვეხმარებოდნენ, მაგრამ ვერავის გამოვყოფ.

- ქეითის ნიჭის თუ შურდა ვინმეს?

სიმონას ჩაეცინა.

- აქაური მშობლები ამბიციურობით არ გამოირჩევიან. მათ ერთადერთი რამ სურთ თავიანთი ქალიშვილებისთვის - ცოტაოდენი ცეკვა. არავინ ოცნებობს ნამდვილ კარიერაზე. ცხადია, ზოგიერთ გოგონას შურდა მისი, მაგრამ იმდენად, რომ მოეკლათ? არა.

მოულოდნელად შევამჩნიე, რომ სიმონა ძალიან დაიღალა: პოზა არ შეუცვლია, მაგრამ თვალები თითქოს დაენისლა.

- გმადლობთ, რომ დრო დაგვითმეთ, - ვუთხარი მას, - დაგიკავშირდებით, თუ რამე შეკითხვა გაგვიჩნდება.

- ძალიან დაიტანჯა? - მოულოდნელად გვკითხა სიმონამ ისე, რომ ჩვენთვის არც შემოუხედავს. იგი პირველი იყო, ვინც ეს შეკითხვა დაგვისვა. ვაპირებდი, ჩვეულებისამებრ, აუტოფსია[37] მომემიზეზებინა და ორჭოფულად მეპასუხა, მაგრამ კესიმ დამასწრო:

- არა გვგონია. ცხადია, ბოლომდე დარწმუნებული არა ვართ, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ყველაფერი სწრაფად მოხდა.

სიმონამ თავი გაჭირვებით მოატრიალა და კესის შეხედა.

- გმადლობთ, - ჩაილაპარაკა მან.

მას აღარ გამოვუცილებივართ. კარი რომ მივხურე, მრგვალი ფანჯრიდან შევხედე: კვლავაც წელგამართული, მუხლებზე ხე-

---

[37] აუტოფსია - გვამის გაკვეთა და გამოკვლევა სიკვდილის მიზეზის ან გამომწვევი დაავადების დადგენისთვის.

ლებდაწყობილი, გაუნძრევლად იჯდა, როგორც ზღაპრული დედოფალი, რომელიც კუდიანი დედაბრის მიერ მოტაცებული პრინცესის დასატირებლად დატოვეს.

- "ავად აღარასოდეს გავხდები", - გაიმეორა კესიმ, როდესაც მანქანაში ვსხდებოდით, - და აღარც გამხდარა.

- ნებისყოფის ძალა, როგორც სიმონამ თქვა?

- ალბათ.

- ან განზრახ იწვევდა ამ ავადმყოფობას, - განვაგრძე მე, - ღებინებისა და კუჭის აშლილობის გამოწვევა ძნელი არაა. შესაძლოა, ყურადღება აკლდა. სამეფო სკოლაში შესვლის შემდეგ კი ეს აღარ სჭირდებოდა. ისედაც ყურადღების ცენტრში მოექცა - გაზეთები, თანხის შეგროვება და ასე შემდეგ... სიგარეტი მჭირდება.

- მიუნჰაუზენის სინდრომი?[38] - კესი უკან გადაიხარა, ჩემი ქურთუკის ჯიბეში ხელი მოაფათურა და სიგარეტი ამოიღო.

მე "მალბორო რედსს" ვეწევი. კესის რომელიმე მარკა ამოჩემებული არა აქვს, თუმცა მსუბუქ "ლაქი სთრაიქს" ამჯობინებს, რომელსაც ქალების სიგარეტად მივიჩნევ. მან ორივეს მოუკიდა და ერთი მე მომცა.

- შეგვიძლია, დარჩენილი ორი დის სამედიცინო ბარათები ვნახოთ?

- არა მგონია, - მივუგე, - ისინი ცოცხლები არიან, მაშასადამე, ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. აი, მშობლები თუ დაგვთანხმდებიან... - მან თავი გადააქნია, - რატომ მეკითხები?

კესიმ ფანჯარა რამდენიმე დუიმით დაუშვა და შემოვარდნილმა ქარმა თმა შეუთამაშა.

---

[38] მიუნჰაუზენის სინდრომი - სიმულაციური ავადმყოფობა.

- არ ვიცი... ეს ტყუპისცალი, ჯესიკა... შესაძლოა, ახლა მხოლოდ სტრესს განიცდის ქეითის გამო, მაგრამ ძალიან გამხდარია. სვიტერშიც კი ჩანს, რომ ქეითზე ორჯერ წვრილი ფიგურა აქვს, არადა, ქეითიც ჩხირივით იყო. ამასთან, მეორე დაც... ისიც რაღაცნაირია... უცნაური.

- როზალინდა? - ვთქვი დასაზუსტებლად.

ჩემი ხმა, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გაისმა. კესიმ ცერად გადმომხედა.

- ვიცი, რომ მოგეწონა, - მითხრა მან.

- დიახ, მომეწონა, მერე რა? - დავიცავი თავი, თუმცა არც კი ვიცი, რატომ, - მშვენიერი ქალიშვილია. ჯესიკაზეც ზრუნავს. შენ არ მოგეწონა?

- რა მნიშვნელობა აქვს? - ცივად და, როგორც მომეჩვენა, არცთუ გულწრფელად მომიგო კესიმ, - მთავარი ის კი არ არის, ვის მოსწონს. უცნაურად იცვამს, კოსმეტიკასაც ჭარბად ხმარობს...

- თუკი გოგონა საკუთარ თავზე ზრუნავს, მაშასადამე, რაღაც ისე არ არის?

- მომისმინე, რაიან, მოდი, ანგარიში გამიწიე და ტვინი აამუშავე! მშვენივრად იცი, რასაც ვგულისხმობ. ის გოგო უადგილო ადგილას იღიმება და, როგორც, ალბათ, შეამჩნიე, ულიფოდ დადის, - მე ეს შევამჩნიე, თუმცა არ მეგონა, თუ არც კესის გამოეპარებოდა, - შესაძლოა, მშვენიერი ქალიშვილია, მაგრამ რაღაც ისე ვერ არის.

არაფერი მითქვამს. კესიმ ნამწვი ფანჯრიდან გადააგდო, ხელები ჯიბეში ჩაიწყო, სავარძელზე გაიჭიმა და მოზარდივით გაბუტული სახე მიიღო. შუქფარები ავანთე და სიჩქარეს მოვუმატე. კესი მაღიზიანებდა. ვგრძნობდი, რომ ისიც უკმაყოფილო იყო ჩემით, მაგრამ მიზეზს ვერ ვხვდებოდი.

ამ დროს კესის მობილურმა დარეკა.

- ღმერთო ჩემო, - ჩაილაპარაკა მან და ეკრანს დახედა, - ალო, სერ... ალო?.. სერ?.. წყეული ტელეფონები.

მან ღილაკს თითი დააჭირა და მობილური გათიშა.

- ცუდი კავშირია?

- კავშირი კარგია, - თქვა მან, - უბრალოდ, მკითხა, რატომ აგვიანებთ და როდის დაბრუნდებითო, მე კი მასთან საუბარი არ მინდოდა.

თავი ვეღარ შევიკავე და გამეცინა. მალე კესიც ამყვა.

- მომისმინე, - მითხრა მან, - როზალინდას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. შეიძლება ითქვას, ვწუხვარ კიდეც მასზე.

- სექსუალური ძალადობა გგონია? - გულის სიღრმეში მეც იმავეს ვფიქრობდი, მაგრამ ეს არ მსიამოვნებდა და ამ აზრის თავიდან ამოგდებას ვცდილობდი. ერთი და ძალზე სექსუალური იყო, მეორე თითქმის არაფერს იწონიდა, მესამე კი ავადმყოფობას იგონებდა და მოკლეს. გამახსენდა, როგორ დაიხარა როზალინდა ჯესიკას თავზე, და უეცრად მათი დაცვა მომინდა, - დავუშვათ, მამა აეტორღიალა. ქეითმა ავადმყოფობა მოიგონა - საკუთარი თავისადმი სიძულვილით ან თავდასაცავად. საბალეტო სკოლაში მოხვედრის შემდეგ, გამოჯანმრთელება გადაწყვიტა, სავარაუდოდ, მამას წაეჩხუბა და დაემუქრა, ყველაფერს მოვყვებიო. ჰოდა, მანაც მოკლა.

- გონივრულია, - თქვა კესიმ. იგი ფანჯრიდან ხეებს გასცქეროდა და მხოლოდ მის კეფას ვხედავდი, - მაგრამ არც დედასთან დაკავშირებული ვერსიაა ცუდი. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ კუპერი შეცდა და გოგონა არ გაუუპატიურებიათ. მიუნჰაუზენის სინდრომი, ოღონდ შუამავლის საშუალებით. თუ შეამჩნიე, რომ თავი გამუდმებით მსხვერპლი ჰგონია?

ცხადია, შევამჩნიე. ზოგჯერ უბედურება ყველას ერთმანეთს ამსგავსებს, როგორც ბერძნული ტრაგედიების ნიღბები, ზოგჯერ კი ადამიანის ბუნებას აშიშვლებს (ეს რეალური და ჩვენში ჩაბუ-

დებული მიზეზია იმისა, თუ რატომ ვუყვებით ოჯახს ჩვენი წარუმატებლობის შესახებ - არა იმის საჩვენებლად, რომ ვწუხვართ, არამედ მათი რეაქციის დასანახავად). მაგრამ ისე ხშირად გვიწევდა ცუდი ამბის მაცნეობა, რომ ამაშიც გავერკვიეთ. უმეტესწილად, ადამიანებს მეტყველების უნარი ერთმევათ, შოკში არიან. ისინი თითქოს უცნობ ადგილას აღმოჩნდებიან და არ იციან, რა გააკეთონ: უბედურება მათი ახალი ტერიტორიაა და იძულებული არიან, ბრმად, ხელების ცეცებით გაიკვალონ გზა. მაგრამ მარგარეტ დევლინი გაოცებული არ ჩანდა - პირიქით, თითქმის მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს ტანჯვა მისთვის სიახლე არ იყო.

- ჰო, სქემა თითქმის იგივეა, - ვთქვი მე, - იგი ერთ ან სამივე ქალიშვილს ერთდროულად წამლავდა, შემდეგ ქეითი საბალეტო სკოლაში მოხვდა და თავის დახსნა სცადა, დედამ კი მოკლა.

- ამით ისიც აიხსნება, რატომ იცვამს როზალინდა ორმოცი წლის ქალივით, - დაამატა კესიმ, - ოცნებობს, სწრაფად გაიზარდოს და დედას თავი დააღწიოს.

ამჯერად ჩემმა მობილურმა დარეკა.

- ოჰ, დალახვროს ეშმაკმა! - შევძახეთ ერთხმად.

ახლა მე გამოვიყენე ცუდი კავშირის მეთოდი. გზის დარჩენილი ნაწილი გამოძიების შესაძლო მიმართულებების დადგენაში გავატარეთ. ო ’ კელის ძალიან უყვარდა ყოველგვარი სიები და სქემები. თუ მას კარგ გეგმას შევთავაზებდით, იქნებ არც კი გახსენებოდა, რომ აღარ დავურეკეთ.

ჩვენ (ოფისს ვგულისხმობ) დუბლინის ციხესიმაგრის ერთ-ერთ შენობაში ვმუშაობთ და ეს ჩემი სამუშაოს ერთ-ერთი პლუსია, თუმცა მას კოლონიური წარსულის გემოც დაჰკრავს. შიგნით ის კორპორატიული სტანდარტის მიხედვითაა გადაკეთებული - შუშის კაბინები, ლუმინესცენციური შუქი, სინთეტიკური ნოხები და ბაცი ფერები, გარედან კი ყველაფერი ხელუხლებელია:

წითელი აგურით ნაშენები ძველი კედლები, მარმარილოს ბარელიეფები, დაკბილული, სათოფურებიანი და წმინდანთაგამოსახულებიანი კოშკები. როდესაც ზამთარში, საღამოობით, ნისლიან ამინდში, მის ქვაფენილ ზე მიაბიჯებ, თავი დიკენსის[39] რომანში გგონია: ქუჩის მქრქალად განათებული ფარნების შუქი უცნაური ფორმის ჩრდილებს წარმოქმნის, ეკლესიის ზარის ხმა ისმის, ყოველ ნაბიჯს თან ხმაურიანი ექო მოსდევს. კესი ამბობს, რომ აქ თავი, შესაძლოა, ინსპექტორ ებერლაინადაც კი წარმოიდგინო, რომელიც ჯეკ მფატრავის[40] საქმეს იძიებდა. ერთხელ, დეკემბრის ნათელ, სავსემთვარიან ღამეს, მან ცენტრალურ ეზოშიც კი გაიარა თავისი ურიკით.

ო ' კელის ფანჯარაში შუქი ენთო, შენობის დარჩენილი ნაწილი კი სიბნელეს მოეცვა: რვა საათი დაწყებულიყო და ყველა შინისკენ მიმავალ გზას დასდგომოდა. ფრთხილად შევედით შიგნით. კესი თითის წვერებზე გაემართა სამორიგეოსკენ, რათა დევლინები და მარკი კომპიუტერში შეემოწმებინა, მე კი სარდაფში ჩავედი, სადაც ძველი საქმეები ინახებოდა. ადრე აქ ღვინის საცავი იყო. საოფისე დიზაინერებს მისთვის ჯერ ვერ მიეგნოთ, ასე რომ, მძიმე ფილები, სვეტები და ნიშები ძველებური სახით შემორჩენილიყო მასიური თაღების ქვეშ. ზოგჯერ, საღამოობით, მე და კესი აქ სანთლებს ვანთებდით, სახანძრო უსაფრთხოების წესებს არად დაგიდევდით და საიდუმლო გასასვლელებს ვეძებდით.

მუყაოს ყუთი ("როუენ ჯ. სევიჯი ფ., 33791/84") იმავე ადგილას აღმოჩნდა, სადაც დავტოვე. ვეჭვობ, რომ ამ ხნის განმავ-

---

[39] ჩარლზ დიკენსი (1812-1870) - პოპულარული ინგლისელი მწერალი.

[40] ჯეკ მფატრავი - ყველაზე გავრცელებული ფსევდონიმი მკვლელისა, რომელიც 1888 წელს ლონდონის ერთ-ერთ ღარიბულ უბანში გამოჩნდა.

ლობაში მას ვინმე მიჰკარებოდა. ქაღალდები ამოვიღე და განცხადება ვიპოვე, რომლითაც ჯემის დედამ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა განყოფილებას მიმართა, და აჰა, ისიც, მადლობა ღმერთს: ქერა თმა, თაფლისფერი თვალები, წითელი მაისური, ჯინსის შორტი, თეთრი ბოტასები, მარწყვის ფორმის წითელი თმის სამაგრები.

დოკუმენტი ქურთუკში დავმალე იმ შემთხვევისთვის, თუ ო ' კელის შევეფეთებოდი (ამის გაკეთება აუცილებელი სულაც არ იყო, განსაკუთრებით ახლა, როდესაც აშკარად გამოჩნდა მისი კავშირი დევლინების საქმესთან, მაგრამ თავს რატომღაც დამნაშავედ ვგრძნობდი, თითქოს ფარულად ვცდილობდი რაღაც ფასეულის გატანას), და სამორიგეოსკენ გავემართე. კესი თავის კომპიუტერთან იჯდა. შუქი არ აენთო, რათა ო ' კელის არ შეემჩნია.

- მარკი სუფთაა, - მითხრა მან, - მარგარეტ დევლინიც, აი, ჯონათანი კი თებერვალში პასუხისგებაში მიუციათ.

- ბავშვთა პორნოგრაფია?

- ღმერთო ჩემო, რაიან, როგორი მდიდარი წარმოსახვა გაქვს. არა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა: გზატკეცილის მშენებლობას აპროტესტებდა და პოლიციის მიერ გაკეთებული ზღუდე გადალახა. მოსამართლემ ჯარიმად ასი გირვანქა სტერლინგის გადახდა და ერთი დღით საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება მიუსაჯა, რასაც კიდევ ორი დღე მიუმატა, როდესაც დევლინმა განაცხადა, რომ ქუჩების დასაგველად დააპატიმრეს.

არა, დევლინის გვარი სადღაც სხვაგან შემხვედროდა: დღემდე გზატკეცილის გარშემო ატეხილ ხმაურს ჩემამდე თითქმის არ მოეღწია, მაგრამ ეს ნათელს ჰფენდა იმას, თუ რატომ არ მიმართა დევლინმა პოლიციას მუქარის შემცველი ზარების შესახებ.

მის თვალში ისინი მისი მოკავშირეები არ იყვნენ, განსაკუთრებით გზატკეცილის საქმის გამო.

- საქმეში მარწყვის ფორმის თმის სამაგრია, - ჩავილაპარაკე მე.

- მშვენიერია, - მითხრა კესიმ, კომპიუტერი გამორთო და ჩემკენ შემობრუნდა, - კმაყოფილი ხარ?

- დარწმუნებული არა ვარ, - მივუგე.

ცხადია, სასიამოვნოა იმაში დარწმუნება, რომ ჭკუაზე არ შეშლილხარ და უაზრო ფანტაზია არ გაწუხებს, მაგრამ უეცრად თავში გამიელვა, რომ რეალობა კი არ მახსოვდა, არამედ ის, რაც საქმეში ამოვიკითხე, და ისიც არ ვიცოდი, ამ ორი შესაძლებლობიდან უარესი რომელი იყო. ჯობდა, კრინტი არ დამეძრა ამ თემაზე.

კესი მელოდებოდა. ფანჯრიდან შემოსულ საღამოს შუქზე მომეჩვენა, რომ დიდი, გაუმჭვირვალე თვალები ჰქონდა და ყურადღებით იყურებოდა. ვიცოდი, რომ გაგრძელების შესაძლებლობას მაძლევდა: "ეშმაკმაც წაიღოს, ეს თმის სამაგრი. დავივიწყოთ, რომ მივაგენით". ზოგჯერ ახლაც კი მეწვევა ხოლმე ფუჭი, არაფრის მომტანი აზრი - რა მოხდებოდა, ეს რომ მეთქვა.

მაგრამ უკვე გვიან იყო, დღე ძალიან გაგრძელდა, შინ წასვლა მინდოდა, თანაც, ყოველგვარი თავაზიანობის გამოვლენა, თუნდაც კესისგან, მაღიზიანებდა. მეჩვენებოდა, რომ ყველაფრის თვითდინებაზე მიშვება სჯობდა ძალისხმევის გამოჩენასა და სამხილების თავიდან მოცილებას.

- სოფის უკვე დაურეკე სისხლის თაობაზე? - ვკითხე მას. ამ ცუდად, მქრქალად განათებულ ოთახში არც ისე სამარცხვინო იყო ცოტაოდენი სისუსტის გამოჩენა.

- რა თქმა უნდა, მაგრამ, მოდი, ეს გადავდოთ, კარგი? ო ’ კელის უნდა დაველაპარაკოთ, სანამ რამე არ მოსვლია. როდესაც

სარდაფში იყავი, ტელეფონით შეტყობინება გამომიგზავნა. მეგონა, არ იცოდა, ეს როგორ კეთდებოდა...

ო ' კელის დავურეკე და ვაცნობე, რომ მოვედით.

- კარგ დროს კი მოხვედით. სად იყავით ამდენ ხანს, ხომ არ სვამდით? - თქვა მან და გვიბრძანა, დაუყოვნებლივ მივსულიყავით მის კაბინეტში. ო ' კელის მაგიდის პირდაპირ მხოლოდ ერთი ერგონომიკული,[41] ხელოვნური ტყავისგან დამზადებული სავარძელი იდგა. ეს იმაზე მიგანიშნებდათ, რომ ცოტა დრო და სივრცე უნდა გეკმარათ. მე სავარძელში ჩავჯექი, კესი ჩემ უკან, მაგიდაზე მოეწყო. ო ' კელიმ მას გაღიზიანებული მზერა მიაპყრო.

- აბა, სწრაფად გადმოალაგეთ, - თქვა მან, - რვა საათზე ერთ ადგილას უნდა ვიყო.

ცოლმა იგი შარშან მიატოვა. მას შემდეგ ხშირად მსმენია, რომ ო ' კელის ახალი ნაცნობობის გაბმის რამდენიმე წარუმატებელი მცდე ლობა ჰქონდა, მათ შორის, ბრმა პაემნის სახითაც, როდესაც მის მიერ მიწვეული ქალი ყოფილი მეძავი აღმოჩნდა, რომელსაც წლების წინ თვითონ აკავებდა ქუჩაში რეგულარულად.

- ქეითლინ დევლინი, თორმეტი წლის, - ვთქვი მე.

- ვინაობა ზუსტადაა დადგენილი?

- ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით. ცხადია, გვამის გაკვეთის შემდეგ ერთ-ერთ მშობელს ამოსაცნობად მივიწვევთ, მაგრამ ქეითს ტყუპისცალი ჰყავს, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მსხვერპლს.

- ეჭვმიტანილები, სამხილები? - ცივად იკითხა ო ' კელიმ. მას ლამაზი ჰალსტუხი ეკეთა, რომლითაც პაემანზე აპირებდა წას-

---

[41] ერგონომიკული - ყველაზე მოსახერხებელი და უსაფრთხო მუშაობისთვის შესაფერისი.

ვლას. როგორც წესი, ყოველთვის ბევრ ოდეკოლონს ისხამდა. მარკა ვერ გავარკვიე, თუმცა ძვირად ღირებული უნდა ყოფილიყო.

- მას თავში ჩაარტყეს და გაგუდეს. სავარაუდოდ, გააუპატიურეს კიდეც, - კაშკაშა შუქისგან კესის თვალებქვეშ ნაცრისფერი ჩრდილი გადაეფინა. დაღლილი და ძალზე ახალგაზრდა იყო ამგვარი დეტალების მშვიდად გადმოსაცემად, - უფრო გარკვევით ხვალ დილას ვიტყვით, აუტოფსიის შემდეგ.

- ხვალ? - შესძახა აღშფოთებულმა ო ' კელიმ, - აუხსენით იმ დარტყმულ კუპერს, რომ პრიორიტეტული საქმეა!

- უკვე ავუხსენით, - მიუგო კესიმ, - გვიპასუხა, რომ დღისით სასამართლოში უნდა იყოს, ამიტომ ხვალ დილამდე არაფერი გამოვა (კუპერსა და ო ' კელის ერთმანეთი სძულდათ. სინამდვილეში კუპერმა თქვა: "გადაეცით მისტერ ო ' კელის, რომ მისი საქმეების გარეშეც ძალზე დაკავებული ვარ") - ჩვენ ოთხპუნქტიანი გეგმა შევიმუშავეთ და...

- ეს უკვე კარგია, - თავი დააქნია ო ' კელიმ და უჯრებში ფანქრის ძებნას შეუდგა.

- პირველ რიგში, მსხვერპლის ოჯახი, - ჩაილაპარაკა კესიმ, - გეცოდინებათ სტატისტიკა, სერ: როგორც წესი, ბავშვებს მათი მშობლები კლავენ.

- თანაც, ძალიან უცნაური ოჯახია, სერ, - დავამატე მე.

საქმის არსი, შეძლებისდაგვარად, სრულად უნდა გადმოგვეცა, რათა გამოძიების დროს მეტი თავისუფლება გვქონოდა, მაგრამ ეს ფრაზა კესის რომ წარმოეთქვა, ო ' კელი მაშინვე ქალურ ინტუიციას გადასწვდებოდა. ბოლო დროს მასთან საუბრის მანერა ზედმიწევნით ზუსტად გვქონდა გათვლილი. თითოეულმა ჩვენგანმა იცოდა, როდის გაეღო და როდის დაეხურა პირი, როდის ეთამაშა კარგი ან ცუდი პოლიციელის როლი, როდის

გაეწონასწორებინა კესის ქალურ ღიმილს ჩემი მამაკაცური თავშეკავება და ასე შემდეგ. ამას დაუფიქრებლად ვგრძნობდით.

- უფრო ზუსტად ვერ აგიხსნით, - ვთქვი მე, - მაგრამ რაღაც ისე ვერ არის.

- არც ინტუიციის უგულებელყოფა ივარგებს, - შენიშნა ო ' კელიმ.

კესიმ შეუმჩნევლად გამკრა ფეხი.

- ყოველი შემთხვევისთვის, - განაგრძო მან, - რელიგიური კულტის ვერსიაც შესამოწმებელია.

- დალახვროს ეშმაკმა, მედოქს! ნუთუ "კოსმომ" ამ თვეშიც დაწერა სატანისტების შესახებ?

ო ' კელის უყვარდა შაბლონების გამოყენება და ამას თავისებური მომხიბვლელობაც ჰქონდა. მისი მანერა ზოგჯერ მართობდა, ზოგჯერ მაღიზიანებდა ან მამშვიდებდა, იმის მიხედვით, თუ როგორ ხასიათზე ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, კარგი იყო, რომ ყოველთვის შემეძლო მომდევნო სვლის სწორად გათვლა.

- მეც ვფიქრობ, რომ გვარიანი სისულელეა, - მხარი ავუბი მას, - მაგრამ გოგონა სამსხვერპლო ქვაზე აღმოაჩინეს. ჟურნალისტებმა სატანისტების შესახებ გვკითხეს. ეს ვერსია გამოსარიცხია.

იმის დამტკიცება, რაც არ არსებობს, ძნელია, უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი განცხადებები კი ვნებას აღვივებს, ამიტომაც სხვა ტაქტიკა ავირჩიეთ: გადავწყვიტეთ, დაგვემტკიცებინა, რომ ქეით დევლინის მკვლელობა ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის ცნობილ, მიღებულ ფორმებს არ ჰგავდა (სისხლის გამოშვება, სარიტუალო სამოსი, ოკულტური სიმბოლოები და მისთანები), შემდეგ კი ო ' კელი, რომელსაც პირწმინდად აკლდა აბსურდის შეგრძნება, ამას კამერების წინ ახსნიდა.

- უამრავ დროს ფუჭად დავკარგავთ, - თქვა ო ' კელიმ, - მაგრამ კარგი, კარგი, ასე მოიქეცით. დაუკავშირდით სექსუალურ

ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა განყოფილებას, აგრეთვე, მრევლის მღვდელს და ყველას, ვინც კი დახმარებას შეძლებს. მესამე რა არის?

- მესამე სექსუალური ძალადობაა, - აიტაცა კესიმ, - პედოფილი, რომელმაც გოგონა მისი გაჩუმების მიზნით ან, უბრალოდ, სიამოვნების მისაღებად მოკლა. თუ ამ მიმართულებით წავალთ, უნდა გავიხსენოთ 1984 წელს ნოკნარიში ორი ბავშვის გაუჩინარება. ასაკი და ადგილი ემთხვევა, მსხვერპლის გვერდით კი ძველი სისხლია აღმოჩენილი, - ლაბორატორიაში მას უკვე ადარებენ იმ წლის ნიმუშებს, - და თმის სამაგრი, რომელიც დაკარგული გოგონას აღწერილობაშია მითითებული. ყველა ფაქტის შემოწმება მოგვიწევს.

ცხადია, ეს კესის რეპლიკა იყო. ადრე უკვე ვთქვი, რომ სიცრუის თქმაში გვარიანად გავიწაფე, მაგრამ ნოკნარის გახსენებაზე გული გამალებით მიცემდა, ო ' კელი კი ზოგჯერ მოსალოდნელზე მეტ გამჭრიახობას იჩენდა.

- რა თქვით? სერიული სექსუალური მკვლელი? ოცი წლის შემდეგ? როგორ შეიტყვეთ თმის სამაგრის შესახებ?

- თვითონ გვითხარით, ძველი საქმეები შეისწავლეთო, - მორიდებულად მიუგო კესიმ. არც ტყუოდა: ო ' კელიმ ეს ერთხელ მართლაც გვითხრა, როგორც ჩანს, ან რომელიღაც სემინარზე მოჰკრა ყური, ან ტელესერიალ "დანაშაულის ადგილში", - შესაძლოა, დამნაშავე ქვეყნიდან გაემგზავრა ან ციხეში იჯდა, ან მხოლოდ დიდი სტრესის დროს სჩადის მკვლელობებს...

- ჩვენს დროში ყველას სტრესი აქვს, - ჩაიბურტყუნა ო ' კელიმ, - სერიული მკვლელი. ესღა გვაკლდა. კიდევ რა არის?

- მეოთხე ვარიანტი ყველაზე დელიკატურია, სერ, - თქვა კესიმ, - ჯონათან დევლინი, მოკლულის მამა, ნოკნარიში კამპანიას ხელმძღვანელობს, რომელსაც "გადაიტანეთ ავტომაგისტრალი!" ჰქვია. როგორც ჩანს, მისი საქმიანობა ვიღაცას გულზე არ

ეხატება. დევლინი ამტკიცებს, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში მას სამჯერ დაურეკეს და ოჯახთან ანგარიშსწორებით დაემუქრნენ, თუ პროტესტს არ შეწყვეტდა. უნდა დავადგინოთ, ვინ არის ყველაზე მეტად ამ გზის გაყვანით დაინტერესებული.

- მაშასადამე, მშენებლებსა და საოლქო საბჭოსთანაც მოგვიწევს ბრძოლა, - თქვა ო ' კელიმ, - ღმერთო ჩემო.

- შეძლებისდაგვარად, ბევრი ხალხი გვჭირდება, - დავამატე, - ერთი დეტექტივიც არ გვაწყენდა.

- კოსტელო აიყვანეთ. ბარათი დაუტოვეთ. ის ყოველთვის ყველაზე ადრე მოდის.

- სერ, რომ არ დაგიმალოთ, ო ' ნილს ვამჯობინებდი.

სხვა დროს კოსტელოს საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა, ოღონდ არა ამჯერად. ჯერ ერთი, პირქუში კაცი იყო, ეს საქმე კი ნებისმიერს დეპრესიაში ჩააგდებდა, თანაც, მისი კირკიტის ამბავი რომ ვიცოდი, ძველ ინფორმაციას გადაქექავდა და შესაძლოა, ადამ რაიანის ძებნაც დაეწყო.

- ასეთ მნიშვნელოვან საქმეზე სამ ახალბედას ვერ გავამწესებ. მასში თვითონაც იმიტომ აღმოჩნდით, რომ შესვენების დროს პორნოფილმს უყურებდით, - თუ რაღაც ამგვარს აკეთებდით, - ნაცვლად იმისა, სხვებივით გარეთ გასულიყავით სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად.

- სერ, ო ' ნილი ახალბედა არ არის. უკვე შვიდი წელია, განყოფილებაში მუშაობს.

- ყველამ ვიცით, რატომაც, - თქვა ო ' კელიმ ზიზღით.

სემი განყოფილებაში ოცდაშვიდი წლის ასაკში მოვიდა. მისი ბიძა, რედმონდ ო ' ნილი, საშუალო გაქანების პოლიტიკოსი იყო, იმათი რიცხვიდან, რომლებსაც იუსტიციის ან გარემოს დაცვის მინისტრის მეორე მოადგილედ ნიშნავენ, მაგრამ ამ საჩოთირო ვითარებაში სემი ღირსეულად იქცეოდა - ყოველთვის სიმშვიდითა და ერთგულებით გამოირჩეოდა, დახმარებაზე

უარს არავის ეუბნებოდა, და გესლიანი ხუმრობაც მალე შეწყდა. მართალია, ვიღაც ზოგჯერ ახლაც გაჰკრავდა ხოლმე კბილს, მაგრამ ამას ღვარძლით კი არა, უფრო ინერციით აკეთებდა, როგორც, მაგალითად, ო ' კელი.

- სწორედ ამიტომაც გვჭირდება იგი, სერ, - ვთქვი მე, - თუკი საოლქო საბჭოს საქმეებში ცხვირის ჩაყოფას ვაპირებთ, ისეთი კაცი გამოგვადგება, ვინც ჩვენთვის აუცილებელ სანაცნობო წრეში ტრიალებს.

ო ' კელიმ საათს შეხედა და ხელი ასწია თმაზე გადასასმელად, მაგრამ გადაიფიქრა. რვას ოცი წუთი აკლდა. კესი მაგიდაზე უფრო მოხერხებულად მოკალათდა.

- ცხადია, ამ საკითხს თავისი პლუსები და მინუსები აქვს, - თქვა მან, - ყველაფრის კარგად აწონ-დაწონა მოგვიწევს...

- კარგი, იყოს ო ' ნილი, - გაღიზიანებული კილოთი თქვა ო ' კელიმ, - შეასრულოს, რასაც დაავალებთ და ნერვები არავის მოუშალოს. ყოველ დილას ჩემს მაგიდაზე გაწეული სამუშაოს ანგარიში უნდა მედოს.

იგი წამოდგა და ქაღალდების მოწესრიგებას შეუდგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ წასვლა შეგვეძლო.

უეცრად გაურკვეველი სიხარულის ტალღა დამატყდა თავს - ალბათ, ნარკომანებიც ასეთ ნეტარებას და ეიფორიას განიცდიან ჰეროინის დოზის ვენაში შეყვანისას. ერთგვარი ექსტაზით შევყურებდი, როგორ დაეყრდნო კესი ხელისგულებით მაგიდას და როგორ მსუბუქად დაეშვა იატაკზე, როგორ დაიხურა ჩემი ბლოკნოტი. ჩვენი უფროსი აჩქარებით იცვამდა პიჯაკს, თან მალულად იფერთხავდა საყელოზე დაყრილ ქერტლს. კაბინეტში ნათურები კაშკაშებდა, კუთხეში იარლიყებიანი ფაილები მოჩანდა მარკერით გაკეთებული წარწერებით, ფანჯრებიდან საღამოს ბინდბუნდი იჭყიტებოდა. მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ ვარსებობდი, რომ ირგვლივ ყველაფერი რეალური იყო და ამ

რეალობას ჩემი ცხოვრება ერქვა. დარწმუნებული ვარ, ამასვე იგრძნობდა ქეით დევლინი, თავის დახსნა რომ მოეხერხებინა - საკუთარ თითებზე დაიხედავდა, შეისუნთქავდა ოფლისა და საცეკვაო ოთახებში მოპრიალებული იატაკის მძაფრ სუნს, მოისმენდა, დილით, ადრე, როგორ რეკავდა ცარიელ დერეფანში საუზმობის მაუწყებელი ზარი. შესაძლოა, მას, ჩემსავით, სასწაულზე მეტად ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანები და უხერხულობებიც კი უყვარდა, ვინაიდან სწორედ ეს ადასტურებს, რომ ჯერაც აქ ხარ და ცოცხლობ.

რომ არ დაგიმალოთ, ამგვარი რამ ჩემს ცხოვრებაში იშვიათად ხდება, ამიტომ ის კარგად მამახსოვრდება. ბედნიერებით ტკბობა არ მჩვევია, შესაძლოა, მხოლოდ გასული რიცხვით. ჩემი ნიჭი ან, პირიქით, საბედისწერო ნაკლი - ნოსტალგიაა. ვიღაცას მიაჩნია, რომ სრულყოფილებისკენ არ მივილტვი, თითქოს საკუთარ ოცნებებზე უარს ვამბობ, როგორც კი ისინი ძალიან ახლოს აღმოჩნდებიან და იდუმალი იმპრესიონისტული ბრწყინვალების შედეგად უხეში რეალობის სახეს იღებენ, მაგრამ სიმართლე არც ისე მარტივია. ვიცი, რომ სრულყოფილება ყველაზე ჩვეულებრივისა და უბრალოსგან შედგება. ჩემს პრობლემას შორსმხედველობას უფრო ვუწოდებდი: ჭეშმარიტ სურათს მხოლოდ შორს ვხედავ, როცა უკვე დაგვიანებულია.

5 თავი

ამ დღეს ლუდის დასალევად გული არ მიგვიწევდა. კესიმ მობილურით სოფის დაურეკა და უამბო, როგორ გამოადგა თმის სამაგრზე ინფორმაციის მოპოვებაში დაარქივებული საქმეების ცოდნა. მომეჩვენა, რომ სოფიმ არ დაუჯერა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. შემდეგ კესი შინ წავიდა ო ' კელისთვის ანგარიშის დასაბეჭდად, მეც მას მივბაძე, თან ძველი საქმის ფაილი წავიღე.

ბინას მონსქთაუნში ვქირაობდი საშინელი ქალისგან, რომელსაც ჰითერი ერქვა. იგი რომელიღაც სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობდა. წვრილი, ბავშვური ხმა ჰქონდა, რომელიც ისე ჟღერდა, გეგონებოდათ, საცაა, იტირებსო. თავდაპირველად ეს გულს მირევდა, თუმცა თანდათანობით მივეჩვიე. აქ იმიტომ გადმოვედი, რომ ზღვასთან ახლოს ყოფნა მინდოდა. ძვირს არ ვიხდიდი, თანაც მეგონა, სასიამოვნო მეზობელი ქალი მეყოლებოდა (ხუთი ფუტი უტანსაცმლოდ, მოხდენილი ტანი, დიდრონი ცისფერი თვალები და წელამდე ჩამოშვებული თმა), რომელთანაც მოულოდნელად, როგორც ეს ჰოლივუდის ფილმებში ხდება, საოცარი მეგობრობა დამაკავშირებდა. სინამდვილეში კი ინერციით დავრჩი და კიდევ იმიტომ, რომ, როდესაც მისი ნევროზის კოლექციას გავეცანი, საკუთარი სახლის საყიდლად ფულის დაგროვების სურვილი გამიჩნდა, მისი ბინა კი, მას შემდეგაც, როცა გაირკვა, რომ რომანტიკული თავგადასავალი არ შედგებოდა და ჰითერმა ქირა გამიძვირა, ერთადერთი იყო დიდი დუბლინის რაიონში, რასაც შევწვდებოდი.

კარი შევაღე, "გამარჯობა" დავიძახე და ჩემს ოთახში შევედი, მაგრამ ჰითერმა დამასწრო, სამზარეულოს კარში წარმოუდგენლად სწრაფად გაჩნდა და ყიყინა ხმით მკითხა:

- გამარჯობა, რობ, დღემ როგორ ჩაიარა?

ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჰითერი მთელი დღის განმავლობაში სამზარეულოში ზის და მაგიდის გადასაფარებელს წვრილად კეცავს, მაგრამ როგორც კი ჩემი გასაღების ხმას გაიგებს, მაშინვე თავქუდმოგლეჯით გამორბის დერეფანში.

- კარგად, - ვუპასუხე თავმიუბრუნებლად და ჩემი ოთახის კარი სწრაფად გავაღე (საკეტი აქ გადმოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ დავაყენე იმ საბაბით, რომ ვინმეს პოლიციის საიდუმლო არქივიდან რამე არ მოეპარა), - შენ როგორ ხარ?

- ოჰ, მშვენივრად, - მითხრა ჰითერმა და ვარდისფერი ხალათის ქამარი უფრო მჭიდროდ შემოირტყა.

მისი ტანჯული კილო ორ შესაძლებლობას მიტოვებდა: ან უნდა ჩამელაპარაკა, ძალიან კარგი-მეთქი და ოთახში შევმალულიყავი, რასაც ქალის დასევდიანება და ქვაბების რახარუხი მოჰყვებოდა, რითაც ჩემი უსულგულობით აღშფოთებას გამოხატავდა, ან უნდა მეკითხა: "რამე ხომ არ მოხდა?" - რის შემდეგაც მისი პრობლემების გრძელი ჩამონათვალის მოსმენა მომიწევდა, მაგალითად, ბოსის უკმეხობის, ქრონიკული სურდოსი და კიდევ მრავალი უსიამოვნების, რომლებიც ჰითერს დღეს თავს დასტყდომოდა.

საბედნიეროდ, უკიდურესი შემთხვევისთვის კიდევ ერთი ვარიანტი მქონდა შემონახული.

- დარწმუნებული ხარ? - ვკითხე მე, - ჩვენთან კი, სამსახურში, საშინელი გრიპი გავრცელდა. მგონი, მეც ავიკიდე. ფრთხილად იყავი, არ გადაგედოს.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა ჰითერმა ჩვეულებრივზე ერთი ოქტავით მაღლა და თვალები გადმოქაჩა, - რობ, ჩემო საბრალოვ, მაპატიე, მაგრამ აჯობებს, შენგან თავი შორს დავიჭირო. ხომ იცი, რა ადვილად ვცივდები.

- რა თქმა უნდა, ვიცი, - მივუგე გასამხნევებლად და ჰითერი კვლავ სამზარეულოში გაუჩინარდა, სავარაუდოდ, თავის ასკე-

ტურ დიეტაში ექინაციისა[42] და C ვიტამინის ცხენის სამყოფი დოზის დასამატებლად. ოთახში შევედი და კარი მივხურე.

სასმელი დავისხი - წიგნების უკან ყოველთვის მქონდა გადანახული არყისა და ტონიკის ბოთლები ჰითერთან დამატებითი ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად - და ძველი საქმის ფურცლები მაგიდაზე გავშალე. ვერ ვიტყვი, რომ ჩემს ოთახში გულისყურით მუშაობა მიადვილდება. და საერთოდ, სახლი, რომელშიც ვცხოვრობ, ისეთივე იაფფასიანი და უსიცოცხლოა, როგორიც დუბლინის ახალი საცხოვრებელი ნაგებობების უმრავლესობა - ჭუჭყისფერი შენობა, დამთრგუნველი, უშნო, ბანალური, ბრტყელი ფასადი, დაბალი ჭერი, შეურაცხმყოფლად ვიწრო საძინებელი, რომელიც პირდაპირ გეუბნება, რომ უკეთესის უფლებას თავს ვერ მისცემ. ამ ყველაფერთან ერთად, მშენებლებს, როგორც ჩანს, სულ არ აინტერესებდათ ხმის იზოლაციის პრობლება. ამიტომ ზემოდან ნაბიჯების, ქვემოდან კი მუსიკის ხმა მთელ ოთახში გაისმის, მეზობლების სექსუალური გემოვნების შესახებ იმაზე მეტი ვიცი, ვიდრე მინდა, რომ ვიცოდე. აქ უკვე ოთხი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი და ცოტათი მივეჩვიე, მაგრამ მიმაჩნდა, რომ ძალზე არასასიამოვნო ადგილი იყო.

საქაღალდე გადავფურცლე. მელნით დაწერილი სიტყვები დროს გაეხუნებინა და გაებუნდოვნებინა, ზოგან კაცი ძნელად თუ რამეს გაარჩევდა. ორი დეტექტივი, რომლებიც ნოკნარიში ამ საქმეს ხელმძღვანელობდა, თადარიგში გასულიყო, მაგრამ მათი გვარები დავიმახსოვრე - კირნანი და მაკკეიბი - იმ შემთხვევისთვის, თუ მე ან კესის მათთვის რამე შეკითხვის დასმა მოგვინდებოდა.

---

[42] ექინაცეა - მრავალწლოვანი მცენარე.

კიდევ ერთხელ შევუდექი საქმის კითხვას და კვლავაც გავოცდი, თუ რამხელა დაგვიანებით აწრიალდნენ მშობლები. ჩვენს დროში საკმარისია, ბავშვმა მობილურს არ უპასუხოს, რომ დედამ ან მამამ ლამის მაშინვე პოლიციაში დარეკოს. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ძებნის განყოფილება სავსეა ჩანაწერებით იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც სკოლის შემდეგ შეყოვნდნენ ან კომპიუტერზე თამაშს შეჰყვნენ. ვითარება არც 80--იან წლებში იქნებოდა უკეთესი: აქ შეიძლება უსახლკაროთა სკოლების, გარყვნილი მღვდლებისა და ქვეყნის შორეულ კუთხეებში მომხდარი ამბების გახსენება. მაგრამ მაშინ ეს მხოლოდ მითქმა-მოთქმა იყო სადღაც სხვაგან მომხდარის შესახებ და ადამიანებს სწამდათ, რომ უსაფრთხოდ იყვნენ, რომ მსგავსი რამ მათ არ დაემართებოდათ. ამიტომ იყო მშვიდად პიტერის დედა, როდესაც ჯერ ტყის პირიდან დაგვიძახა, შემდეგ კი მშვიდად შეიწმინდა ხელები წინსაფარზე და შინ გაემართა ჩაის დასაყენებლად, სანამ ჩვენ ტყეში ვერთობოდით.

საქმის შუამდე რომ მივედი, ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაში ჯონათან დევლინის სახელს წავაწყდი. ნოკნარი-დრაივის 27 ნომერში მცხოვრებმა მისის პამელა ფიცჯერალდმა - ხელწერის მიხედვით, ხანში შესულმა ქალმა - დეტექტივებს უამბო, რომ ტყის სიახლოვეს ხშირად დახეტიალებდა საეჭვო ახალგაზრდების ჯგუფი. ისინი სვამდნენ, ეწეოდნენ, გამვლელებს შეურაცხყოფდნენ. ერთი სიტყვით, ქალაქელების ცხოვრებას აუტანელს ხდიდნენ, რისთვისაც, მისი აზრით, გვარიან გაჯორვას იმსახურებდნენ. კირნანსა და მაკკეიბს მათი სახელ-გვარებიც ჩაეწერათ: ქეთლ მილზი, შეინ უოტერსი, ჯონათან დევლინი.

რამდენიმე გვერდი კიდევ გადავფურცლე იმის სანახავად, რომელიმე მათგანი ხომ არ დაჰკითხეს-მეთქი. კარს უკან ჰითერი თავგამოდებით ასრულებდა საღამოს პროცედურებს: იბანდა, ფრუტუნებდა, სამი წუთის განმავლობაში იხეხავდა კბილებს

და მორიდებულად, მაგრამ დაჟინებით ისუფთავებდა ცხვირს. თერთმეტს ზუსტად ხუთი წუთი აკლდა, როდესაც მომიკაკუნა და ხმადაბლა მითხრა:

- ძილი ნებისა, რობ.

- ძილი ნებისა, - მივუგე და ხმამაღლა დავახველე.

ყველა ჩვენება ლაკონიური და, პრაქტიკულად, ერთმანეთის მსგავსი იყო, ფურცლის მინდორზე გაკეთებული ჩანაწერების გაუთვალისწინებლად: მილზი - "ძალიან ნერვიული", უოტერსი - "არამეგობრული". დევლინის გასწვრივ არაფერი ეწერა. 14 აგვისტოს, დღისით, მათ უმუშევრობის შემწეობა აიღეს და ავტობუსით სტილორგანში გაემგზავრნენ ფილმის საყურებლად. ნოკნარიში შვიდისთვის დაბრუნდნენ - როდესაც ჩაიზე მოსვლა უკვე დავაგვიანეთ - და მინდორში, ტყის სიახლოვეს, დაღამებამდე სვამდნენ. დიახ, მათ დაინახეს მოსაძებნად გასული ხალხი, მაგრამ ღობის იქით, მოშორებით დაიმალნენ. არა, უჩვეულო არაფერი შეუმჩნევიათ. არა, არავინ დაუნახავთ, ვინც მათ ჩვენებას დაადასტურებდა, თუმცა მილზმა შესთავაზა, - ალბათ, ირონიულად, მაგრამ პოლიციელებმა სიტყვაზე დაიჭირეს, - რომ იმ ადგილას წაიყვანდა და, მტკიცებულების სახით, სიდრის ცარიელ ქილებს უჩვენებდა.

ახალგაზრდა კაცი, რომელიც სტილორგანის კინოთეატრის სალაროში მუშაობდა, და, როგორც ჩანს, "ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ" იყო, დანამდვილებით ვერ ამბობდა, ახსოვდა თუ არა ეს სამი ამხანაგი. ეს მაშინაც ვერ მოახერხა, როდესაც პოლიციელებმა ჯიბეები გაუჩხრიკეს და მკაცრი გამომეტყველებით წაუკითხეს ლექცია ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ.

სულაც არ დამრჩენია ისეთი შთაბეჭდილება, რომ ყმაწვილკაცებმა - არ მიყვარს ეს სიტყვა - პოლიციელებში სერიოზული ეჭვი აღძრეს. გამოუსწორებელი დამნაშავეები არ იყვნენ (ისინი რამდენჯერმე დაეკავებინათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგი-

ლებში სიმთვრალისთვის, შეინ უოტერსისთვის კი პირობითად ნახევარი წელი მიესაჯათ მაღაზიაში ქურდობისთვის - თოთხმეტი წლის ასაკში) და რატომ უნდა დაგვსხმოდნენ თავს მე და ჩემს მეგობრებს? კირნანმა და მაკკეიბმა ისინი მხოლოდ იმიტომ დაჰკითხეს, რომ შორიახლოს ტრიალებდნენ და საეჭვო რეპუტაცია ჰქონდათ. ბავშვობაში მათ ბაიკერებს ვუწოდებდით, თუმცა დარწმუნებული არა ვარ, რომ მოტოციკლეტი რომელიმე მათგანს მაინც ჰყავდა. ისინი მხოლოდ შესაბამისად იცვამდნენ: მაჯებზე შეხსნილი და მეტალის ბალთებითა და მოქლონებით დახუნძლული ტყავის შავი ქურთუკები, გრძელი თმა, გაუპარსავი წვერი... ერთი მუდამ "კეფალის" ვარცხნილობითა[43] და ყელიანი ფეხსაცმლით დადიოდა. მაისურებზე წინიდან "მეტალიკა" და "ანტრაქსი" ეწერათ. მე ეს მათი გვარები მეგონა, სანამ პიტერმა არ მითხრა, როკჯგუფების სახელწოდებებიაო. არ ვიცი, რომელი იყო მათ შორის ჯონათან დევლინი: ძნელია, დამწუხრებული, მხრებში მოხრილი, პატარაღიპიანი მამაკაცისა და გამხდარი და მზემოკიდებული, ჩემს წარსულში დარჩენილი ახალგაზრდების შედარება. მათ შესახებ არაფერი მახსოვდა. მეეჭვება, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ბაიკერები ერთხელ მაინც გამხსენებოდა, მაგრამ უარესია, თუ სულ იქ ისხდნენ და თავის რიგს ელოდნენ, რათა სათამაშო ყუთიდან ჯამბაზებივით[44] გამოვარდნილიყვნენ და ხმამაღალი სიცილით გვარიანად დავეფრთხე.

ერთ-ერთი მათგანი მთელი წლის განმავლობაში, წვიმიან ამინდშიც კი, მუქ სათვალეს ატარებდა. ერთხელ მან მარწყვის

---

[43] გასული საუკუნის 80-იან წლებში მოდური ვარცხნილობა.

[44] Jack-in-the-box (ინგლ. სიტყვასიტყვ. "ჯეკი ყუთში") - სათამაშო, რომლის სახელურის დატრიალებისას ყუთიდან ზამბარაზე დამაგრებული ჯამბაზი ან ხუმარა ამოხტება ხოლმე).

საღეჭი რეზინი შემოგვთავაზა, რომელიც გამოვართვით კიდეც გაწვდილი ხელის მანძილიდან, თუმცა ვიცოდით, რომ ის მაღაზია "ლორიში" მოეპარა. "არ მიუახლოვდეთ, - გვაფრთხილებდა დედა, - არ უპასუხოთ, თუ გამოგელაპარაკებიან", მაგრამ მიზეზს არასდროს მიხსნიდა. პიტერმა "მეტალიკას" ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა მისი სიგარეტით ნაფაზის დარტყმა. "მეტალიკა" დაგვთანხმდა და მოგვცა, შემდეგ კი იცინოდა, როდესაც ყველას ხველება დაგვაწყებინა. მზეში ვიდექით, მათგან ორიოდე ნაბიჯის დაშორებით, და კისერგაწვდილები მათ ჟურნალებში ჩახედვას ვლამობდით. ჯემის თქმით, მან იქ შიშველ ქალს მოჰკრა თვალი. "მეტალიკა" და "მუქი სათვალე" პლასტმასის სანთებლებს აჩხაკუნებდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო დიდხანს გააჩერებდა თითს ალის თავზე. საღამოს, როდესაც ისინი წავიდნენ, მათ ადგილას დავდექით და ძირს, მტვრიან ბალახში დაყრილი ქილებიდან წამოსული განსაკუთრებული სუნი ვიგრძენით - მძაფრი, მჟავე, უფროსებისთვის დამახასიათებელი.

ქუჩიდან შემოსულმა ყვირილის ხმამ გამაღვიძა. მკვეთრი მოძრაობით წამოვჯექი. გული გამალებით მიცემდა. უცნაური და ამაღელვებელი სიზმარი ვნახე: თითქოს მე და კესი ხალხით გადაჭედილ ბარში ვისხედით. ტვიდისკეპიანმა კაცმა ჩემს თანამგზავრს დაუღრიალა. თავდაპირველად მომეჩვენა, რომ კესიმაც დაიყვირა. თავგზააბნეული და დეზორიენტირებული ვიყავი. უკუნი ღამე იდგა. გარეთ კვლავ ვიღაც ყვიროდა - ქალი თუ ბავშვი.

ფანჯარასთან მივედი და ფრთხილად გავიხედე. კომპლექსი, რომელშიც ვცხოვრობდი, ოთხი ერთმანეთის მსგავსი შენობისგან შედგებოდა. ისინი პატარა კვადრატს ქმნიდნენ, სადაც მოედანზე ბალახი იზრდებოდა და რამდენიმე რკინის ძელსკამი იდგა, რომლებსაც უძრავი ქონების აგენტები "კომუნალური

დასვენების ზონას" უწოდებდნენ, თუმცა მათ კარგა ხანია არავინ იყენებდა. ერთი-ორჯერ ქვედა სართულზე მცხოვრებმა წყვილმა იქ, სუფთა ჰაერზე, კოქტეილის საღამო გამართა, მაგრამ მეზობლებმა ხმაურის გამო იჩივლეს და სახლმმართველობამ ამკრძალავი ნიშანი გამოკიდა. ფარნები ამ პატარა ეზოს ისე არაბუნებრივად ძლიერად ანათებდა, ღამის ხედვის ხელსაწყო გეგონებოდათ. მოედანზე არავინ ჩანდა. აქა-იქ გაფენილ ჩრდილში პატარა ბავშვიც ვერ დაიმალებოდა. მალე, სადღაც იქვე, კვლავ გაისმა გამყივანი, მკვეთრი ყვირილი და ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ვიდექი და ველოდი, ფანჯრიდან შემოსული ცივი ჰაერის ნაკადისგან ოდნავ მაკანკალებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კუთხიდან ჩრდილს რაღაც შავი ლაქა გამოეყო და ბალახზე შეაბიჯა: ეს მოზრდილი მელია იყო, გამხდარი, მოძრავი, ზაფხულის ბეწვით შემოსილი. მან თავი ასწია და დაიკივლა. წამით მომეჩვენა, რომ მისი სუნიც კი ვიგრძენი. მელიამ ბალახი გადაირბინა, მთავარი ჭიშკრის გისოსებში კატასავით მარჯვედ გაძვრა და გაუჩინარდა. თანდათანობით მისი ხმაც მიწყდა.

ნახევრად მძინარე და გაშტერებული, ადრენალინით კვლავაც აღგზნებული, პირში საზიზღარ გემოს ვგრძნობდი. რაღაც ცივისა და ტკბილის დალევა მომინდა. წვენის მოსაძებნად სამზარეულოსკენ გავემართე. ზოგჯერ ჰითერს ჩემსავით მოუსვენრად სძინავს ხოლმე და ახლა თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ისიც წამოდგებოდა და ყველაფერზე წუწუნს მოჰყვებოდა, მაგრამ მის კარქვეშ სინათლის ზოლი არ ჩანდა. ფორთოხლის წვენი დავისხი. დიდხანს ვიდექი გამოღებულ მაცივართან, საფეთქელზე ჭიქა მიმედო და ნელა ვირწეოდი ნათურის მკრთალ შუქში.

დილით გაწვიმდა. კესის შეტყობინება გავუგზავნე და სამსახურამდე მიყვანა შევთავაზე - მისი მანქანა ასეთ ამინდს ცუდად

იტანდა. როგორც კი მის სახლთან დავასიგნალე, კესი მაშინვე გამოჩნდა. კაპიუშონიანი ლაბადა ეცვა, ხელში კი თერმოსი ეჭირა.

- მადლობა ღმერთს, რომ გუშინ არ დაიწყო, - თქვა მან, - თორემ სამხილებს დავემშვიდობებოდით.

- შეხედე, - ვუთხარი და დევლინთან დაკავშირებული დოკუმენტები გავუწოდე.

წინა სავარძელზე მჯდომმა კესიმ ფეხები გადააჯვარედინა და კითხვას შეუდგა, დროდადრო თერმოსს მაწვდიდა, რომელშიც ყავა ესხა.

- გახსოვს ისინი? - მკითხა მან, როდესაც კითხვა დაასრულა.

- ბუნდოვნად. ცხადია, ჩვენი ქალაქი პატარაა და არ შემეძლო, არ შემემჩნია. ჩვენთვის ისინი "ძნელად აღსაზრდელ მოზარდებს" წარმოადგენდნენ.

- სახიფათოდ მიგაჩნდა?

ცოტა ხანს დავფიქრდი, სანამ ნორთუმბერლენდ-როუდს ნელა მივუყვებოდით.

- გააჩნია, რას გულისხმობ. მათი გვეშინოდა, ოღონდ უფრო რეპუტაციის, ვიდრე საქციელის გამო. როგორც მახსოვს, ნორმალურად გვეპყრობოდნენ - თუმცა რა უნდა ჰქონოდათ პიტერისა და ჯემის საწინააღმდეგო.

- ქალიშვილები სად იყვნენ? ისინი დაჰკითხეს?

- რომელი ქალიშვილები?

კესიმ მისის ფიცჯერალდის ჩვენებაში ჩაიხედა.

- აქ წერია, არშიყობდნენო. მაშასადამე, ქალიშვილებიც იქნებოდნენ.

ცხადია, მართალი იყო. ამ სიტყვის მნიშვნელობა არცთუ კარგად ვიცოდი, მაგრამ თუ ჯონათან დევლინი და მისი მეგობრები ერთმანეთში რამე ამგვარს აკეთებდნენ, გვეცოდინებოდა კიდეც.

- საქმეში მათზე სიტყვა არაა ნათქვამი, - ჩავილაპარაკე მე.

- არც არაფერი გახსოვს?

კვლავაც ნორთუმბერლენდ-როუდზე მივღოღავდით. წვიმა ღვარად ჩამოდიოდა ფანჯრებზე და მეჩვენებოდა, თითქოს წყალქვეშ მივცურავდით. ადრე დუბლინი ფეხით მოსიარულეებისა და ურიკებისთვის შენდებოდა და არა მანქანებისთვის. მასში ბევრი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული გზაა, რომლებზეც გაცხოველებული მოძრაობა დილის შვიდიდან საღამოს რვა საათამდე გრძელდება, ცუდ ამინდში კი ქალაქი ერთ გიგანტურ საცობს ემსგავსება. ჯობდა, სემისთვის ბარათი დამეტოვებინა.

- რაღაც მახსოვს, - ვთქვი მე და გავჩუმდი. ეს შეგრძნება უფრო იყო, ვიდრე მოგონება: ლიმონის დრაჟე, ყვავილების სურნელის მქონე სუნამო, ფოსოები ლოყებზე. "მეტალიკა" და სანდრა ხეზე სხედან... - ერთ-ერთს სანდრა ერქვა.

როდესაც ეს სახელი წარმოვთქვი, ჩემში რაღაც შეინძრა, რასაც შიშის თუ სირცხვილის გემო ჰქონდა, თუმცა ვერ ვიხსენებდი, რატომ.

სანდრა... მრგვალსახიანი და მკერდსავსე, მოხითხითე, ვიწრო ქვედაკაბით, რომელიც კედელზე გადაძრომისას წამოეხდებოდა ხოლმე. ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის იქნებოდა. ჩვენ ის უფროსი და გამოცდილი გვეგონა. სანდრა ქაღალდის პაკეტიდან კანფეტებით გვიმასპინძლდებოდა. ზოგჯერ მის გვერდით კიდევ ერთი ქალიშვილი იყო, მაღალი, დიდი კბილებითა და უშველებელი საყურეებით - იქნებ კლერი? თუ კიარა? სანდრამ ჯემის უჩვენა, როგორ წაესვა ტუში გულის ფორმის პატარა სარკით. ჯემი თვალებს ისე ახამხამებდა, თითქოს რაღაც დაემართაო. "კარგად გამოიყურები", - უთხრა პიტერმა, მაგრამ ჯემის თვითონვე არ მოეწონა საკუთარი თავი. ამიტომ სახე მდინარეში მოიბანა და მაისურით მოიწმინდა შავი წრეები თვალების გარშემო, რაც მას პანდას ამსგავსებდა.

- მწვანე აინთო, - ხმადაბლა მიკარნახა კესიმ. კიდევ რამდენიმე დუიმით წავიწიე წინ.

პრესის ჯიხურთან შევჩერდით და კესიმ რამდენიმე გაზეთი იყიდა, რათა გაგვეგო, რა იწერებოდა. ქეით დევლინის სურათი პირველ გვერდზე გამოეტანათ, თითქმის ყველგან გზატკეცილის მშენებლობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას: "მოკლულია ნოკნარიში ავტომაგისტრალის გაყვანის მოწინააღმდეგეთა ლიდერის ქალიშვილი" და ასე შემდეგ. ბულვარული გაზეთის ტანმაღალი რეპორტიორი ქალი თავის სტატიაში, სათაურით "ახალი ავტომაგისტრალის მსხვერპლი", დრუიდების კულტზეც მიანიშნებდა და არც ცილისწამებისგან იდგა შორს, თუმცა სატანიზმთან დაკავშირებით ისტერია ჯერ არ აეტეხა. როგორც ჩანს, ელოდებოდა, ქარი საიდან დაუბერავდა. ვიმედოვნებდი, რომ ო ’ კელი ამოცანას თავს გაართმევდა. მადლობა ღმერთს, რომ პიტერსა და ჯემის არავინ ახსენებდა, თუმცა ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ დროის საქმე იყო.

მაკლაფლინის საქმე, რომელზეც ვმუშაობდით (ორმა მდიდარმა ცხვირმოუხოცავმა მოზარდმა თანატოლი ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა, როდესაც მან ურიგოდ სცადა ღამით ტაქსის გაჩერება), ქვიგლისა და მის ახალ მეწყვილეს, მაკკენს, გადავაბარეთ და თავისუფალი ოთახის მოსაძებნად გავემართეთ. ოპერატიული შტაბისთვის ადგილის პოვნა ყოველთვის ჭირს, მაგრამ ჩვენ არ გაგვჭირვებია, ვინაიდან ბავშვებს ყველა უპირატესობას ანიჭებს.

გამოჩნდა სემი. ისიც საცობში მოხვედრილიყო (მას საკუთარი სახლი ჰქონდა უესტმიტში, ქალაქიდან ორი საათის სავალზე; უფრო ახლოს ყველაფერი გაცილებით ძვირი ღირდა). სწრაფად გავაცანით საქმის ვითარება და დეტალები, ძველი თმის სამაგრის ჩათვლით. შემდეგ შტაბის მოწყობას მოვკიდეთ ხელი.

- ღმერთო ჩემო, - ამოიოხრა სემმა, - ოღონდ არ მითხრათ, მშობლებმა მოკლესო.

ყველა დეტექტივისთვის არსებობს დანაშაულის სახეობა, რომლის დროსაც შინაგანი დაცვის მისი ჩვეული მექანიზმი შეფერხებით მუშაობს. ამან კი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეაფერხოს მისი ეფექტიანობა. არავინ იცოდა, რომ გაუპატიურების საქმეზე მუშაობის დროს კესის კოშმარული სიზმრები არ ასვენებდა; მე ორიგინალურობით არ გამოვირჩეოდი და ბავშვების მკვლელობა გადამქონდა ცუდად; სემის ანერვიულებას, როგორც ჩანს, ოჯახური მკვლელობა იწვევდა. ერთი სიტყვით, ეს შემთხვევა ამ კუთხით სამივე ჩვენგანს იდეალურად ერგებოდა.

- ჩვენ არაფერი ვიცით, - ჩაილაპარაკა კესიმ და მარკერის ბოლო პირში ჩაიდო: იგი დაფაზე ქეით დევლინის სიცოცხლის უკანასკნელი დღის ქრონოლოგიას ხაზავდა, - როდესაც კუპერი მონაცემებს გადმოგვიგზავნის, რაღაც გაირკვევა, მანამდე კი შეგვიძლია, ის ვიფიქროთ, რაც მოგვესურვება.

- მშობლებთან ურთიერთობა არ მოგიწევს, სემ, - ვთქვი მე და დაფას მეორე მხრიდან დანაშაულის ადგილის ფოტოსურათი მივაკარი, - გვინდა, გზატკეცილთან დაკავშირებული ვერსია შეამოწმო: დევლინებთან შესული სატელეფონო ზარები დაადგინე და გაარკვიე, ვის ეკუთვნის მშენებლობის ადგილი და ვინაა გზის მშენებლობით ყველაზე მეტად, სისხლხორცეულად დაინტერესებული.

- ეს ბიძაჩემის გამო ხდება? - იკითხა სემმა, რომელიც პირდაპირობით, დეტექტივისთვის უცნაური თვისებით გამოირჩეოდა.

კესიმ მარკერის ნაწილი გადმოაფურთხა და მისკენ შეტრიალდა.

- ჰო, - მიუგო მან, - ეს პრობლემას ხომ არ შეგიქმნის?

ყველამ კარგად ვიცოდით, ეს შეკითხვა რასაც ნიშნავდა. ირლანდიელი პოლიტიკოსები - უკიდურესად გვაროვნული, სისხლაღრევითი, ჩახლართული, ჩაკეტილი კასტაა, რომელშიც ბოლომდე მისი ბევრი მონაწილეც კი ვერ გარკვეულა. გარეშე თვალისთვის ორ ძირითად პარტიას შორის განსხვავება თითქმის არ არსებობს, უმრავლეს საკითხზე მათ ერთნაირი პოზიცია აქვთ. და მაინც, ადამიანები თავგამოდებით უჭერენ მხარს ერთს ან მეორეს, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს იბრძოდნენ მათი წინაპრები სამოქალაქო ომის დროს, ან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მამას საქმიანი ურთიერთობა აქვს ადგილობრივ კანდიდატთან და იგი კარგ კაცად მიაჩნია. კორუფცია ლამის მართებულ და სასიქადულო საქმედ ითვლება. კოლონიზაციის ეპოქის დროინდელი პარტიზანული ომი სისხლში გვაქვს გამჯდარი და გადასახადებისთვის თავის არიდება და კულისებსიქითა გარიგებები იმავე მეამბოხური სულის გამოვლინებად მიიჩნევა, როგორიც ინგლისელებისთვის ცხენების ან კარტოფილით სავსე ტომრების მოპარვა იყო.

კორუფციის ლომის წილი იმაზე მოდის, რასაც ირლანდიელები ყველაზე მეტად აფასებენ - მიწაზე. უძრავი ქონების მფლობელები დიდი ხანია, პოლიტიკოსებთან მეგობრობენ და გარიგებები არასდროს მთავრდება ყავისფერი კონვერტების, მიწის ნაკვეთების რთულად გასაგები გადაფარვისა და ოფშორულ ზონებში საბანკო ოპერაციების გარეშე. სასწაული იქნებოდა, ნოკნარიში გზის გაყვანის საკითხი ისე მოგვარებულიყო, რომ ზოგიერთ პირს ერთმანეთის მიმართ "კეთილგანწყობა" არ გამოევლინა და ხელი "მეგობრულად" არ გაეწვდინა. ასეთ შემთხვევაში რედმონდ ო ’ ნილი მათ შესახებ ვერაფერს გაიგებდა და, მით უმეტეს, არც პოლიციას შეატყობინებდა.

- არა, - სწრაფად და მტკიცედ განაცხადა სემმა, - არანაირი პრობლემა.

მე და კესის სკეპტიკური გამომეტყველება გვქონდა, ამიტომ სემმა შემოგვხედა და გაიცინა.

- მომისმინეთ, ბიძაჩემს მთელი ცხოვრებაა, ვიცნობ. დუბლინში ჩამოსვლის შემდეგ ორი წელი მის სახლში ვცხოვრობდი. ბიძაჩემი პატიოსნების განსახიერებაა და ყველაფერს გააკეთებს ჩვენს დასახმარებლად.

- შესანიშნავია, - კესიმ თავი დააქნია და გრაფიკს მიუბრუნდა, - დღეს ჩემთან ვისადილებთ. რვისთვის შემომიარეთ, ინფორმაციას გავცვლით.

მან დაფის კუთხეში თავისუფალი ადგილი გამონახა და სემს დაუხაზა, მისი სახლისთვის როგორ მიეგნო.

როდესაც ოპერატიული შტაბის მოწყობა დავასრულეთ, თანაშემწეებიც მოვიდნენ. ო ' კელიმ ოცდაათი კაცი გამოგვიყო, საუკეთესო, ახალგაზრდა, პერსპექტიული, სუფთად პირგაპარსული, კოხტად გამოწყობილი პოლიციელები, რომლებსაც ერთნაირი წარმატებით შეეძლოთ მუშაობა როგორც ჯგუფში, ისე დამოუკიდებლად. ისინი სკამებს ახმაურებდნენ, ბლოკნოტებს იღებდნენ, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, მხარზე ხელს უთათუნებდნენ და ადგილს ირჩევდნენ, როგორც სკოლის მოსწავლეები სწავლის პირველ დღეს. კესი, სემი და მე ვიღიმებოდით, მათ ხელს ვართმევდით და მოსვლისთვის მადლობას ვუხდიდით. ორი მათგანი ვიცანი კიდეც - მაიროელი შავგვრემანი და სიტყვაძუნწი ახალგაზრდა სუინი და კორკელი ო ' კონორი, ო ' გორმანი თუ რაღაც ამის მსგავსი - უკისრო მსუქანა, რომელიც არაკორკელთა უფროსობას იმით ინაზღაურებდა, რომ გელურ ფეხბურთს აშკარად ქედმაღლურად დაჰყურებდა. სხვებსაც ვიცნობდი, ოღონდ მათი გვარები ხელის ჩამორთმევისთანავე მავიწყდებოდა, სახეები კი ჩემთვის ერთ დიდ, ენერგიულ, მებრძოლი სულის მასად იქცა.

ყოველთვის მიყვარდა გამოძიების დაწყების ის მომენტი, როდესაც პირველი ბრიფინგის წინ პაუზა ჩამოწვებოდა ხოლმე. ოთახში გუგუნი და ლაპარაკი ისმოდა, როგორც თეატრში ფარდის აწევის წინ, როდესაც "ორმოში" მოკალათებული ორკესტრი ინსტრუმენტების აწყობას ამთავრებს, მოცეკვავეები კი ბოლო მოთელვას ასრულებენ სცენის მიღმა, მზად არიან ნებისმიერ წუთს გაიხადონ თბილი მოსასხამები და თამაშს შეუდგნენ. თუმცა ასეთი დონის საქმეს პირველად ვხელმძღვანელობდი და ცოტას ვნერვიულობდი. ოთახი ხალხით იყო სავსე, ატმოსფერო - დამუხტული, ყველანი ცნობისმოყვარეობით შემოგვცქეროდნენ. როდესაც აქ პირველად აღმოვჩნდი, ღმერთს ვევედრებოდი, რომ როგორმე მსგავს საქმეში მოვხვედრილიყავი, დეტექტივებს კი სხვაგვარად: ხარბად, მოწიწებით, აღტაცებით შევყურებდი. ამ ბიჭებს კი - უმრავლესობა ჩემზე უფროსი იყო - მშვიდი, შემფასებლური იერი ჰქონდათ. არასდროს მომწონდა ყურადღების ცენტრში ყოფნა.

ო ’ კელიმ კარი ხმაურით დახურა და ყველა წამსვე დაწყნარდა.

- მოგესალმებით, ძმებო, - წარმოთქვა მან ჩამოწოლილ სიჩუმეში, - კეთილი იყოს თქვენი მონაწილეობა ოპერაცია "ვესტალში".[45] ვინმემ თუ იცის, ეს სიტყვა რას ნიშნავს?

შტაბბინა ახალ საქმეებს ყოველთვის პირობით სახელწოდებას ანიჭებს - ზოგჯერ ბანალურს, ზოგჯერ ძნელად გასაგებს, ზოგჯერ კი ძალზე უცნაურს. როგორც ჩანს, უძველეს საკურთხეველზე გაწოლილი მკვდარი გოგონას სახემ ვიღაცის თავში საკულტო ასოციაციები გააჩინა.

- მსხვერპლად შეწირული ქალწული, - ვთქვი მე.

---

[45] ვესტალი - ქურუმი ქალი.

- ქურუმი, - თქვა კესიმ.

- დალახვროს ეშმაკმა! - შესძახა ო ’ კელიმ, - ნუთუ მათ უნდათ, რომ კულტზე ლაპარაკი გვაიძულონ? რომელმა ჭკუის კოლოფმა მოიგონა ეს? კესიმ მოკლედ აღწერა საქმის არსი, მხოლოდ გაკვრით შეეხო 1984 წლის მოვლენას, რათა ეს ვერსია მოცალეობის ჟამს შეგვემოწმებინა. ავხსენით, რა გვჭირდებოდა: ადგილობრივი მოსახლეობის შემოვლა და გამოკითხვა, "ცხელი ხაზის" ორგანიზება, ნოკნარის მეზობელ რაიონებში სექსუალური დამნაშავეების სიის შედგენა, ბრიტანელ პოლიციელებთან ერთად აეროპორტებისა და საზღვაო ნავსადგურების შემოწმება და დადგენა, ხომ არ შემოსულან ირლანდიაში საეჭვო მგზავრები ბოლო დროს, ქეითის სამედიცინო ბარათისა და სკოლის დოკუმენტების მოპოვება და დევლინების წარსულის შესახებ ყველაფრის გაგება. თანაშემწეები ენერგიულად შეუდგნენ საქმეს, მე, კესი და სემი კი კუპერისკენ გავეშურეთ ახალი ინფორმაციის მისაღებად.

აუტოფსიას, ჩვეულებრივ, არ ვესწრებით ხოლმე. ამის გაკეთება მათ ევალებათ, ვინც დანაშაულის ადგილას გავიდა გვამის იდენტურობის დასადასტურებლად. ზოგჯერ მორგში საჭდეები ერევათ. პათოლოგანატომი დეტექტივს ურეკავს და წარმოიდგინეთ ამ უკანასკნელის გაოცება, როდესაც ისმენს, რომ მსხვერპლი ღვიძლის კიბოთი გარდაცვლილა. მაგრამ ხშირად დასწრებას თავს ვარიდებთ, ამ უფლებას სხვას "ვუთმობთ" და მხოლოდ კუპერის გამოგზავნილ შედეგებს ვეცნობით და ფოტოებს ვნახულობთ. თუმცა, განყოფილებაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ყოველი დეტექტივი, რომელიც პირველად იძიებს მკვლელობას, ვალდებულია, აუტოფსიას დაესწროს. ეს ვითომდა ეხმარება, რომ ახალი სამუშაოს მნიშვნელობა გაისიგრძეგანოს, თუმცა ისედაც ცხადია: ეს ერთგვარი ნათლობის რიტუალია, ისეთივე უხეში და სასტიკი, როგორიც ველუ-

რებს ჰქონდათ. ერთ შესანიშნავ დეტექტივს ვიცნობ, რომელსაც ჯერაც "სეკრეტარიატს"[46] ეძახიან, ვინაიდან თხუთმეტი წლის წინათ კოსმოსური სიჩქარით გამოვარდა მორგიდან, როდესაც პათოლოგანატომმა თავის ქალიდან ტვინი ამოიღო.

ჩემმა ნათლობამ ისე ჩაიარა, თვალი არ დამიხამხამებია (ახალგაზრდა მეძავი დალურჯებული და ბორბლებგადავლილი, წვრილი ხელებით), მაგრამ ცდის გამეორების სურვილი არ გამჩენია. აუტოფსიას კიდევ რამდენჯერმე დავესწარი - თითქოს ჯიბრზე, ერთმანეთზე უსაშინლესს: როგორც ჩანს, განგებამ საქმისადმი ჩემი ერთგულება გამოცადა. მაგრამ არასდროს დამავიწყდება ის მომენტი, როდესაც ექიმმა სკალპი გაჭრა და მოკლულის სახე თავის ქალას ჰელოუინის ნიღაბივით მოსცილდა.

ცოტათი დავაგვიანეთ: მწვანე სამედიცინო ფორმაში გამოწყობილი კუპერი პროზექტურიდან უკვე გამოდიოდა და ულტობი წინსაფარი საჩვენებელი და ცერა თითებით ეჭირა.

- აი, დეტექტივებიც მოსულან, - თქვა და წარბები ასწია, - რა სიურპრიზია. ისე სამწუხარო კია, რომ არ გამაფრთხილეთ: აუცილებლად დაგელოდებოდით, რათა პროცედურას დასწრებოდით.

კუპერს გაღიზიანება ეტყობოდა - მისი აზრით, ძალიან დავაგვიანეთ. სინამდვილეში, ჯერ თერთმეტიც არ იყო. ეგ არის, კუპერი მუშაობას ექვსიდან შვიდამდე იწყებდა, ოთხისთვის ამთ^ავრებდა და სურდა, ეს ყოველთვის გვხსომებოდა. ასისტენტებს იგი სძულდათ, მაგრამ პათოლოგანატომი ამას აინუნშიც არ აგდებდა. ჩვეულებრივ, სამაგიეროს იმითვე უხდიდა. კუპერი თითქოს ამაყობდა კიდეც თავისი მოულოდნელი და აუხსნელი ანტიპათიით. თუ არ ვცდები, ვერ იტანდა ქერათმიანებს, დაბლებსა

---

[46] "სეკრეტარიატი" - ცნობილი დოღის ცხენი, მრავალი ჯილდოს მფლობელი.

და ყველას, ვინც პირსინგს ატარებდა ან "ხომ გესმის" თქმა უყვარდა; ასევე ამ კატეგორიების მიღმა დარჩენილ მრავალ სხვა ადამიანს. კიდევ კარგი, მე და კესიც არ აგვითვალწუნა, თორემ ხელცარიელები წავიდოდით და ოფიციალური შეტყობინების ლოდინი მოგვიწევდა. კუპერი დასკვნას ბურთულიანი ავტოკალმით წერდა. ეს მომწონდა, თუმცა მის მიბაძვას ვერ ვბედავდი. ზოგჯერ მეშინოდა - ვაითუ დილით გავიღვიძო და აღმოვაჩინო, რომ კუპერად გადავიქეცი-მეთქი.

- ოჰ, უკვე დაამთავრეთ? - გულდაწყვეტით იკითხა სემმა.

კუპერმა მას ცივი მზერა მიაპყრო.

- ექიმო კუპერ, ძალიან ვწუხვარ, ასეთ დროს რომ გაწუხებთ, - თქვა კესიმ, - მაგრამ სუპერინტენდანტ ო ' კელის ზოგიერთი ფაქტის დაზუსტება სურდა და უფრო ადრე მოსვლა ვერ შევძელით.

დაღლილი სახით თავი დავაქნიე და ჭერს ავხედე.

- ჰმ, გასაგებია, - განაცხადა კუპერმა. მისი კილო მკაფიოდ მიგვანიშნებდა, რომ ო ' კელის ნებისმიერ კონტექსტში ხსენება უგემოვნობის გამოვლინებად მიაჩნდა.

- ძალიან დაგვავალებთ, - ჩავერთე საუბარში, - თუ რამდენიმე წუთს დაგვითმობთ და აუტოფსიის შედეგების შესახებ ინფორმაციას მოგვაწვდით.

- დიახ, რა თქმა უნდა, - თქვა კუპერმა და ოდნავ, მაგრამ მრავალტანჯული კაცივით ამოიოხრა.

ნიჭიერი ოსტატების უმრავლესობის მსგავსად, მასაც უყვარდა საკუთარი ნამუშევრის ჩვენება. კუპერმა პროზექტურის კარი ფართოდ გაგვიღო და ცხვირში დაუყოვნებლივ გვეცა სიკვდილის, სიცივისა და სამედიცინო სპირტის განუმეორებელი კოქტეილი, რომელიც ადამიანებში, მათ შორის, ჩემშიც, ინსტინქტურად ყოველთვის ზიზღს იწვევს.

დუბლინში გვამები ქალაქის მორგში გადააქვთ, მაგრამ ნოკნარი მის გარეთ მდებარეობს, გარეუბნებში კი მსხვერპლს, როგორც წესი, ადგილობრივ საავადმყოფოებში გზავნიდნენ, სადაც აუტოფსიას უტარებდნენ. პირობები ყველგან განსხვავებული იყო. აქ ამ პირქუშ შენობას ფანჯრები არა აქვს, იატაკზე დაგებულ მწვანე მეტლახს მრავალწლოვანი ჭუჭყი ჩასჯდომია, დაძველებული ფაიფურის ნიჟარები ურიცხვ ლაქას დაუფარავს. მხოლოდ ორი სასექციო მაგიდა გამოიყურება შედარებით კარგად. ისინი 50-იანი წლების შემდეგაა დამზადებული უჟანგავი ფოლადისგან, რომლებსაც ნაღარიანი გვერდები ნათურების შუქზე უბრწყინავთ.

ქეით დევლინი, ძალზე პატარა ამ დიდ მაგიდასთან შედარებით, შიშველი იწვა უმოწყალოდ ძლიერი ლუმინესცენციური განათების ქვეშ. დღეს უფრო მეტად უსიცოცხლო მეჩვენა, ვიდრე გუშინ. გამახსენდა ძველი ცრურწმენა, თითქოს გარდაცვლილის სული რამდენიმე დღის განმავლობაში სევდიანად დახეტიალებს თავისი სხეულის სიახლოვეს. მონაცრისფრო-თეთრი კანი ჰქონდა, როზუელის ინსტალაციის[47] მსგავსად, გვამური ლაქებით მარცხენა მხარეს. საბედნიეროდ, კუპერის ასისტენტს უკვე გაეკერა კანი თავზე და ახლა სხეულზე გაკეთებულ დიდ ჭრილობაზე მუშაობდა უზარმაზარი ქირურგიული ნემსით.

უეცრად თავიდან ფეხებამდე დანაშაულის მწვავე შეგრძნებამ დამიარა. გვიან მოვედი, ბედის ანაბარა მივატოვე ქეითი - ასეთი პატარა არსება. ამ უკანასნელი ძალადობის ჟამს მის გვერდით არავინ იყო, ვინც ხელს დაუჭერდა, სანამ კუპერი მარჯვედ და გულგრილად ჭრიდა გარდიგარდმო. სემმა, ჩემდა გასაკვირად, ფარულად პირჯვარი გადაიწერა.

---

[47] ინსტალაცია "უცხოპლანეტელის აუტოფსია" აშშ-ის ქ. როზუელის მუზეუმში.

- სქესობრივად მომწიფებული თეთრკანიანი ქალი, - დაიწყო კუპერმა, მაგიდას მიუახლოვდა და ასისტენტი ჟესტით მოიცილა თავიდან, - როგორც მითხრეს, თორმეტი წლის. სიმაღლე და წონა მინიმალური აქვს, თუმცა ნორმის დიაპაზონში. მუცელზე არსებული ნაიარევი მოწმობს, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ქირურგიული ოპერაცია გაუკეთებია - შესაძლოა, დიაგნოსტიკური ლაპაროტომია. პათოლოგია არ აღმოაჩნდა. შეიძლება ითქვას, ჯანმრთელი გარდაიცვალა.

მაგიდის გარშემო დამჯერი სტუდენტებივით შევგროვდით. ჩვენი ნაბიჯების ექო მკაფიოდ გაისმოდა კაფელით დაფარულ კედლებს შორის. ასისტენტი ნიჟარას მიყრდნობოდა, გულხელი დაეკრიფა და ფლეგმატურად ღეჭავდა საღეჭ რეზინს. გოგონას ერთ ხელზე Y-ის ფორმის ჩანაჭერი ჯერ არ გაეკერათ და ის შავად და უჩვეულოდ მოჩანდა კანში გარჭობილ ნემსთან ერთად.

- დნმ-ის შესახებ რას გვეტყვით? - ვიკითხე მე.

- თქვენი ნებართვით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ, - გაღიზიანებიით ჩაიბურტყუნა კუპერმა, - მაშ, ასე. თავში ორჯერ ჩაურტყამთ, ორივე antemortem, ანუ სიკვდილის წინ, - თავაზიანად დაამატა მან სემის გასაგონად, რომელმაც თავი დაუქნია, - ისინი მძიმე, ბლაგვი, არცთუ მკვეთრშვერილიანი საგნითაა მიყენებული, რაც იმ ქვას შეესაბამება, რომელიც მის მილერმა გადმომცა. პირველი დარტყმა, შედარებით მსუბუქი, კეფაშია მოხვედრილი, თხემის სიახლოვეს. მან დაბეჟილობა და მცირე სისხლდენა გამოიწვია, მაგრამ თავის ქალა ვერ დააზიანა.

კუპერმა ქეითის თავი მოატრიალა, რათა ამობურცულობა დაგვენახა. გაკვეთამდე მისთვის სისხლი მოეწმინდათ კანზე დაზიანებების დასათვალიერებლად, თუმცა ლოყაზე რამდენიმე ნაჟონი დარჩენილიყო.

- მაშასადამე, მოქნევის დროს გაწეულა ან გაქცევა უცდია, - შენიშნა კესიმ.

ჩვენ სასამართლოს ფსიქოლოგები არა გვყავს. როდესაც მათი დახმარება გვჭირდება, ინგლისიდან ვიწვევთ ვინმეს, თუმცა ჩვენი განყოფილების თანამშრომლები უფრო ხშირად კესის მიმართავენ და ამას იმით ხსნიან, რომ იგი სამ-ნახევარი წლის განმავლობაში სწავლობდა ფსიქოლოგიას ტრინიტი-კოლეჯში. ო ' კელის ამის შესახებ არაფერს ვეუბნებით - ის ვერ ხედავს განსხვავებას სასამართლოს ფსიქოლოგსა და ფსიქოანალიტიკოსს შორის და მაშინაც კი ბუზღუნებს, როდესაც ინგლისელებს ვესაუბრებით. მაგრამ კესი, ჩემი აზრით, ყველაფერს შესანიშნავად ართმევდა თავს, თუმცა არა იმიტომ, რომ ფრეიდი წაეკითხა და ლაბორატორიაში თაგვებს აკვირდებოდა. უბრალოდ, შეეძლო, საგნებისთვის უჩვეულო კუთხით შეეხედა და ხშირად ჭეშმარიტებისგან არცთუ შორს იდგა.

კუპერი უკმაყოფილო იყო, რომ გააწყვეტინეს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მან თავი გადააქნია და განაგრძო:

- მეეჭვება. მას რომ დარტყმის მომენტში ემოძრავა, პერიფერიულ შენატყლეჟსა და გადატყავებულ კანს უნდა ვხედავდეთ, მაგრამ ასეთი რამ არ ჩანს. სამაგიეროდ, მეორე დარტყმა... - მან ქეითს თითით თმა გადაუწია. მარცხენა საფეთქელთან კანი მოესუფთავებინათ და იქ ღრმა შენატყლეჟი მოუჩანდა, საიდანაც ძვლის ნატეხები ამოსჩროდა.

გავიგონე, რომ ვიღაცამ, სემმა თუ კესიმ, ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა.

- როგორც ხედავთ, - განაგრძო კუპერმა, - მეორე დარტყმა გაცილებით ძლიერი გამოდგა. იგი თავის ქალას მარცხენა ყურის ოდნავ ზემოთ მოხვდა, ძვალი დაამსხვრია და დიდი სუბდურალური ჰემატომა[48] გამოიწვია. აი, აქ და აქ, - გვანახვა თითით,

---

[48] ჰემატომა -სისხლჩაქცევა.

- სწორედ ის პერიფერიული შენატყლეჟი მოჩანს, რომელიც ცოტა ხნის წინათ გიხსენეთ. თუ მისი ფორმის მიხედვით ვიმსჯელებთ, დარტყმის მომენტში მსხვერპლმა შებრუნება სცადა, ამიტომ საგანი მის თავზე ჯერ ოდნავ გასრიალდა და მხოლოდ შემდეგ დაატყდა მთელი ძალით. გასაგებად ვთქვი?

თავი დავუქნიეთ. სემს ცერად გავხედე და გულზე ცოტა მომეშვა, რადგან მხნედ არც ის გამოიყურებოდა.

- ამ დარტყმას შეეძლო, სიკვდილი რამდენიმე საათში გამოეწვია, მაგრამ ჰემატომამ ტვინში შეღწევა ვერ მოასწრო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსხვერპლი ტრავმის მიღებიდან მალევე, ოღონდ სხვა მიზეზით გარდაიცვალა.

- ხომ ვერ გვეტყოდით, საით ჰქონდა თავი მიტრიალებული - მკვლელისკენ თუ საპირისპირო მხარეს?

- როგორც ჩანს, მეორე დარტყმის მომენტში იგი გვერდზე იწვა: ბევრი სისხლი გამოვიდა, რომელიც მარცხენა ლოყაზე ჩამოიღვარა და პირისა და ცხვირის მიდამოებში შეგროვდა.

ეს კარგი სიახლე იყო, თუკი ამგვარ ვითარებაში ასე თქმა საერთოდ შეიძლება: თუ დანაშაულის ადგილს მივაგნებდით, იქ სისხლსაც აღმოვაჩენდით. გარდა ამისა, დამნაშავე ცაციას უფრო ჰგავდა. აგათა კრისტის რომანებისგან განსხვავებით, რეალური გამოძიება არასდროს არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ დეტალზე, მაგრამ ახლა ნებისმიერი დახმარება გამოგვადგებოდა.

- არსებობს ბრძოლის კვალიც. ეს დარტყმამდე მოხდა. დარტყმის შემდეგ მსხვერპლმა მყისვე დაკარგა გონება. მხრებსა და წინამხრებზე ჩალურჯებები და ნაკაწრები დარჩა, მარჯვენა ხელის სამ თითზე ფრჩხილია გადატეხილი. როგორც ჩანს, გოგონა დარტყმების აცილებას ცდილობდა - სწორედ ამით აიხსნება ეს დაზიანებები, - კუპერმა ორი თითი მაჯას ჩაავლო და ხელი ასწია, რათა ჭრილობები უკეთ დაგვენახა. ქეითისთვის ფრჩხილე-

ბი მოკლედ მოეჭრათ და გასაანალიზებლად წაეღოთ. ხელისგულის ზურგზე კვლავაც დარჩენილიყო ფლომასტერით დახატული სტილიზებული, მოღიმარსახიანი ყვავილი, - გარდა ამისა, პირის გარშემო შესივება აღმოვაჩინე, ტუჩების შიგა მხარეს კი - კბილების კვალი, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდამსხმელი მას პირზე ხელს აფარებდა.

დერეფანში ქალის გაღიზიანებული ხმა გაისმა, კარი ხმამაღლა გაჯახუნდა. პროზექტურაში ჰაერი არ იძვროდა და სუნთქვა ჭირდა. კუპერმა სათითაოდ ყველას შემოგვხედა, მაგრამ კრინტი არავის დაგვიძრავს. მან იცოდა, რისი გაგონება გვსურდა. მსგავს შემთხვევებში ყოველთვის იმის იმედი გაქვს, რომ მსხვერპლი ვეღარ გრძნობდა, რას უკეთებდნენ.

- როდესაც გონება დაკარგა, - ცივად წარმოთქვა კუპერმა, - მას ყელზე რაღაც - სავარაუდოდ, პოლიეთილენი - შემოახვიეს და ხერხემლის ზედა ნაწილში გადაგრიხეს, - მან გოგონას ნიკაპი აუწია: ყელზე განიერი მკრთალი ზოლი მოჩანდა, რომელიც იქ წყდებოდა, სადაც ლენტი ნაკეცებს იკეთებდა, - კვალი მკაფიოდ ჩანს, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსხვერპლი გაუნძრევლად იწვა და წინააღმდეგობას არ უწევდა. გაგუდვის კვალს ვერსად მივაგენი. როგორც ჩანს, არც ის ნივთი მოუჭირეს ისე ძლიერ, რომ ჰაერს აღარ შეეღწია. მაგრამ თვალებსა და ფილტვების ზედაპირზე არსებული პეტექიალური სისხლჩაქცევა[49] მოწმობს, რომ მსხვერპლი მაინც გაიგუდა. სავარაუდოდ, მას თავზე პოლიეთილენის პარკი ჩამოაცვეს, ზემოდან კი რაღაც მაგრად მოუჭირეს. შედეგად, გოგონა ჟანგბადის უკმარისობისგან გარდაიცვალა, რასაც თავის ქალის ძლიერმა ტრავმამაც შეუწყო ხელი.

---

[49] პეტექიალური სისხლჩაქცევა - კაპილარების გაწყვეტით გამოწვეული სისხლჩაქცევა.

- გვითხარით, - შესძახა კესიმ, - არ გაუუპატიურებიათ?

- ოჰ, მოითმინეთ, დეტექტივო მედოქს, - თქვა კუპერმა, - სწორედ აქეთ მივდივარ. გაუპატიურება სიკვდილის შემდეგ მოხდა რაღაც მყარი საგნის შეყვანით.

იგი გაჩუმდა, თითქოს ნათქვამით გამოწვეული ეფექტით დატკბობა სურდა.

- სიკვდილის შემდეგ? - ვკითხე მე, - დარწმუნებული ხართ?

ერთი საშინელებით ნაკლები მოხდა და ამან ოდნავი შვება მაინც მოგვგვარა, მაგრამ ფაქტები მოწმობდა, რომ საქმე ფსიქოპათთან გვქონდა. სემი დაიღრიჯა.

- აღმოჩენილია ახალი ნაკაწრები საშოს გარეთა მხარეს და მის შიგნითაც, სამი დუიმის სიღრმეზე. გარდა ამისა, გახეულია საქალწულე აპკიც, მაგრამ არც სისხლდენა ყოფილა და არც ანთება. მაშასადამე, ეს სიკვდილის შემდეგ მოხდა. განახვებთ.

ვიგრძენი, როგორ დავიძაბეთ ყველანი - არათუ ნახვა, ამაზე ფიქრიც კი გვიჭირდა. კუპერმა დამცინავად გადმოგვხედა და ჯერჯერობით ეს იკმარა.

- რა საგანია? - იკითხა კესიმ, რომელიც გოგონას ყელს მისჩერებოდა.

- საშოს შიგნით მიწის ნამცეცები და ხის ორი პატარა ნაფოტი აღმოვაჩინეთ. ერთი მათგანი დანახშირებულია, მეორე ლაქის მსგავსითაა დაფარული. როგორც ჩანს, ეს დაახლოებით ოთხი დუიმის სიგრძისა და ორი დუიმის დიამეტრის საგანი იყო, კარგად დამუშავებული ხე, არცთუ ახალი, ნაწილობრივ დამწვარი, ბასრი კიდეების გარეშე: ტარი ან რაღაც ამის მსგავსი. წყვეტილი, მკაფიო ნაკაწრებია - საგანი, სავარაუდოდ, მხოლოდ ერთხელ შეიყვანეს. პენისის კვალი არსად აღმოჩნდა. ძალადობის კვალს ვერც პირსა და სწორ ნაწლავში მივაგენით.

- მაშასადამე, არც სპერმაა, - ვთქვი სახემოღუშულმა.

- ისევე, როგორც სისხლი ან კანი ფრჩხილებქვეშ, - დაამატა კუპერმა პირქუში კმაყოფილებით, - ცხადია, ანალიზი ბოლომდე არ დასრულებულა, მაგრამ თქვენს ადგილას დნმ-ის ნიმუშის მიღების დიდი იმედი არ მექნებოდა.

- მაგრამ სპერმის არსებობა-არარსებობას მაინც გამოიკვლევთ, არა? - იკითხა კესიმ.

კუპერმა მას მკაცრად შეხედა, თუმცა პასუხისგან თავი შეიკავა.

- სიკვდილის შემდეგ, - განაგრძო მან, - იგი დაახლოებით იმ მდგომარეობაში დატოვეს, როგორშიც იპოვეს: მარცხენა გვერდზე. მეორადი სილურჯე არ ჩანს - ეს იმას ადასტურებს, რომ მსხვერპლი ამ პოზაში არანაკლებ თორმეტი საათი იწვა. მწერების შედარებით დაბალი აქტიურობა გვაფიქრებინებს, რომ იგი საკმაოდ დიდხანს იყო დახშულ სივრცეში ან რამეში მჭიდროდ გახვეული. ცხადია, ჩემს დასკვნაში ყველა დეტალს მივუთითებ, მაგრამ წინასწარი ინფორმაცია სწორედ ასეთია... კიდევ ხომ არა გაქვთ შეკითხვა?

ამით მიგვანიშნა, რომ ერთმანეთს უნდა დავმშვიდობებოდით.

- გარდაცვალების დრო ხომ არ დაგიდგენიათ? - ვკითხე მე.

- კუჭ-ნაწლავის ტრაქტის შიგთავსი საკმაოდ ზუსტი მაჩვენებელია, თუ იცით, უკანასკნელად როდის მიიღო მსხვერპლმა საკვები. შოკოლადის ბისკვიტი სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე უჭამია, უფრო საფუძვლიანად კი ოთხი-ექვსი საათით ადრე წაუხემსებია - ლობიოს გარდა, ყველაფერი თითქმის სრულად მოუნელებია.

შებრაწული პური და მოხარშული ლობიო საღამოს რვა საათისთვის? მაშასადამე, გოგონა ღამის თორმეტსა და ორ საათს შორის მომკვდარა. ბისკვიტი კი შეეძლო, დევლინების სამზარეულოში გავლისას აეღო ან მკვლელისთვის გამოერთმია.

- რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ბიჭები მას გაასუფთავებენ, - თქვა კუპერმა და მსუბუქი მოძრაობით გოგონას თავი პირვანდელ მდგომარეობაში დააბრუნა, - თუ გნებავთ, შეგიძლიათ, ოჯახს შეატყობინოთ.

საავადმყოფოს ჭიშკრის მიღმა ვიდექით და ერთმანეთს შევყურებდით.

- კარგა ხანია, აუტოფსიას არ დავსწრებივარ, - ჩაილაპარაკა სემმა.

- სიკვდილის შემდეგ, - წარმოთქვა კესიმ და დაბნეული სახით შეხედა სახლის ფასადს, - დალახვროს ეშმაკმა, ეს რა ჩაიდინა იმ ბიჭმა?

სემი გზის მშენებლობის შესახებ ცნობების შესაგროვებლად გაემართა. შტაბში დავრეკე და ორ თანაშემწეს ვთხოვე, დევლინები საავადმყოფოში წაეყვანათ. მე და კესიმ უკვე ვიხილეთ მათი პირველი რეაქცია შვილის გარდაცვალებაზე და ამის განმეორებით ნახვას არ ვაპირებდით, ამასთან, სასწრაფოდ მარკ ჰენლის უნდა გავსაუბრებოდით.

- იქნებ ჩვენთან წავიყვანოთ? - ვკითხე კესის მანქანაში.

შეგვეძლო, იგი გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთების შესანახ ფარდულში დაგვეკითხა, მაგრამ მინდოდა, მარკი ჩვენს ტერიტორიაზე გადაგვეყვანა - ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჩემი გაფუჭებული ფეხსაცმლის გამო სამაგიერო გადამეხადა.

- კარგი, - დამეთანხმა კესი, - რაო, რამდენიმე კვირის სამუშაო დაგვრჩაო? თუ სამუშაოს მოვწყვეტთ, ეს მისი ალაპარაკების საუკეთესო გზა იქნება.

გზაში ო ' კელისთვის იმ მიზეზების გრძელი სია შევადგინეთ, რომელთა მიხედვითაც, ქეით დევლინის მკვლელობა სატანისტური სექტის მიერ ვერ იქნებოდა ჩადენილი.

- რიტუალური პოზის არარსებობის მითითებაც არ დაგავიწყდეთ, - შევახსენე მე.

საჭეს მივუჯექი. ნერვები ამწეწოდა და სასწრაფოდ რამე საქმისთვის უნდა მომეკიდა ხელი, რათა ნოკნარიმდე როგორმე დავმშვიდებულიყავი.

- არც მოკლული... მსხვერპლად შეწირული ცხოველები აღმოჩნდა, - იწერდა კესი.

- არა მგონია, პრესკონფერენციაზე მსგავსი რამ განაცხადოს. "ჩვენ ერთი მკვდარი წიწილაც არ გვინახავს!"

- ხუთ გირვანქას ჩამოვდივარ, რომ იტყვის. ერთ სიტყვასაც არ გამოტოვებს.

სანამ კუპერს ვესაუბრებოდით, ამინდი შეიცვალა: წვიმამ გადაიღო და ცხელი მზე გზას აშრობდა. ხეებზე ჯერაც ბზინავდა ათრთოლებული წვეთები. როდესაც ავტომობილიდან გადმოვედით, გრილი და სუფთა, მიწისა და ბალახის სუნით გაჯერებული ჰაერი ჩავისუნთქეთ. კესიმ ჯემპრი გაიხადა და წელზე შემოიხვია.

არქეოლოგები ნაკვეთის ქვედა მხარეს გადანაწილებულიყვნენ და ენერგიულად მუშაობდნენ წერაქვებითა და ნიჩბებით. ქურთუკები ქვებზე დაეყარათ, ზოგიერთი ჭაბუკი წელამდე გაშიშვლებულიყო, წინადღის შოკის შემდეგ ყველა აღგზნებული ჩანდა. მაგნიტოფონიდან "სისორ სისთერსის"[50] ღრიალი ისმოდა, რაც თითქმის ახშობდა ბარების ხმაურს, ქალიშვილები მისამღერს ღიღინებდნენ და მიკროფონის ნაცვლად, ნიჩაბს იყენებდნენ. სამ პრაქტიკანტ გოგონას საწყალოსნო ომი გაეჩაღებინა და ერთმანეთს ბოთლებში ჩასხმული წყლითა და შლანგით წუწავდნენ.

მელმა ახალამოღებული თიხის გროვასთან პირამდე დატვირთული ურიკა მიაგორა, პროფესიული ოსტატობით თეძოთი

---

[50] "სისორ სისთერსი" - ამერიკული როკჯგუფი.

გაამაგრა და გადმოაპირქვავა. უკან მიმავალს სახეში წყალი შეესხა.

- ოჰ, თქვე არამზადებო, - იყვირა მან და პატარა წითურ გოგონას დაედევნა.

წითურმაც შეჰყვირა და გაქცევა დააპირა, მაგრამ რეზინის შლანგში აიბლანდა. მელმა მას მკლავები შემოაჭდო. იბრძოდნენ და ერთმანეთისთვის შესასხურებლის წართმევას ცდილობდნენ. წყალი აქეთ-იქით ისხმებოდა.

- უჰ, რა მაგარია, - თქვა ერთმა ბიჭმა, - ლესბოსელთა თამაშები.

- ვიდეოკამერა სადაა?

- ეი, ყელზე ნაკოცნი გაქვს? - შესძახა წითურმა გოგომ, - ხალხო, მელს ნაკოცნი ეტყობა!

გაისმი სიცილი და სახუმარო მილოცვა.

- მომწყდი თავიდან! - იკივლა მელმა, თუმცა წამოწითლდა და გაიღიმა.

მარკმა რაღაც უხეშად დაიყვირა. "უუჰ, როგორ ეწყინა!" - გაისმა შეძახილები და თანდათანობით ყველა საკუთარ ადგილს დაუბრუნდა, თან თმიდან შხეფებს იცილებდნენ. უეცრად შემშურდა მათი უდარდელობის, ფუსფუსის, თოხების ენერგიულად ქნევის, მზეზე გასაშრობად მიყრილი ტანსაცმლის, ახალგაზრდული ცხოვრების სიმსუბუქისა და თავდაჯერებულობის.

- კარგად კი ატარებენ დროს, - გაიღიმა კესიმ, თავი ასწია და ცას მეოცნებე თვალებით შეხედა.

არქეოლოგებმა შეგვამჩნიეს, ინსტრუმენტები დაუშვეს და მოგვაჩერდნენ, თან ხელით მზეს იჩრდილავდნენ. მარკთან მათი გაფაციცებული მზერის თანხლებით მივედით. მელი დარცხვენით ამოძვრა ორმოდან, სველ სახეს იწმენდდა და ზედ ჭუჭყს ამატებდა. ქალიშვილების უკან მდგარი დემიენი კვლავაც პირქუში და უხალისო ჩანდა. სამაგიეროდ, მოქანდაკე შონმა

ჩვენს დანახვაზე თავი ასწია და ნიჩბის ქნევით მოგვესალმა. მარკი თოხს მოხუცი, დაბრძენებული მიწათმფლობელივით დაეყრდნო და გულგრილად მოგვაჩერდა.

- დიახ?

- უნდა დავილაპარაკოთ, - მივუგე მე.

- ვმუშაობთ. ლანჩამდე ვერ მოიცდით?

- ვერა. მოკრიფეთ თქვენი ნივთები - ოფისში მივდივართ.

მარკი დაიძაბა. შეპასუხებას ველოდი, მაგრამ არქეოლოგმა უსიტყვოდ დადო თოხი, სახე მაისურის კალთით მოიწმინდა და ფერდობს აუყვა.

- აბა, დროებით, - დავემშვიდობე დანარჩენებს და მარკს უკან მივყევით. არავის არაფერი უთქვამს, შონსაც კი.

მანქანაში მარკმა თამბაქო ამოიღო.

- აქ არ ეწევიან! - გავაფრთხილე.

- რა ჯანდაბა ხდება? - გაიკვირვა მან, - თქვენ ხომ ორივენი ეწევით. გუშინ თვითონ დავინახე.

- სამსახურებრივი მანქანა სამუშაო ადგილად მიიჩნევა. კანონის მიხედვით კი, სამუშაოზე მოწევა არ შეიძლება.

ტყუილის თქმაც კი არ დამჭირდა - მხოლოდ კანონმდებლებს თუ შეუძლიათ ასეთი სისულელის მოგონება.

- კარგი, რაიან, მოსწიოს, - თქვა კესიმ, - სამაგიეროდ, დაკითხვისას მოვიგებთ დროს.

სარკეში მარკის მზერა დავიჭირე.

- შეიძლება, მეც მოვწიო თვითნაკეთი? - იკითხა კესიმ და საავარძელზე გადაიხარა.

- რა დრო დაგვჭირდება? - დაინტერესდა მარკი.

- გარემოებას გააჩნია, - მივუგე მე.

- რომელ გარემოებას? ვერ გამიგია, რა გინდათ.

- მალე გაიგებთ. აჯობებს, მოდუნდეთ და გააბოლოთ, სანამ არ გადამიფიქრებია.

- როგორ მიდის გათხრები? - თავაზიანად იკითხა კესიმ.

მარკმა პირი მოკუმა.

- თქვენ როგორ გგონიათ? წლიური სამუშაოსთვის ოთხი კვირა მოგვცეს. იძულებული გავხდით, ბულდოზერები გამოგვეყენებინა.

- ეს ცუდია?

მარკმა კვლავ შემომხედა.

- ჩვენ რა, "დროის გუნდს"[51] ვგავართ?

არაფერი მითქვამს, მით უმეტეს, რომ "დროის გუნდს" მართლა არ ჰგავდნენ. კესიმ რადიო ჩართო. მარკმა გააბოლა და კვამლი ხმაურით ფანჯრისკენ გაუშვა. წინ გრძელი დღე გველოდა.

არ გამოვრიცხავდი, რომ ჩვენი მანქანის უკანა სავარძელზე ქეით დევლინის მკვლელი იჯდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. რატომ არ უნდა გამხარებოდა, თუ თვითონ ჩაგვივარდა ხელში და ნება მოგვცა, ასე სწრაფად დაგვესრულებინა ეს უცნაური და უსიამოვნო საქმე, რომელიც ჯერ თითქმის არ დაგვეწყო? დღესვე არქივში გადავუძახებდი ძველ საქმეს, - 1984 წელს მარკი ხუთი წლის იყო და დუბლინიდან შორს ცხოვრობდა, ასე რომ, მასზე ეჭვს ვერ მივიტანდი, - ო ’ კელი მხარზე ხელს მომითათუნებდა, ქვიგლის უკან გამოვართმევდი ორი მდიდარი ჩხუბისთავის საქმეს და ნოკნარისაც დავივიწყებდი.

მაგრამ არც ასე მარტივად იყო საქმე. იმედგაცრუების საპირისპიროს ვგრძნობდი: გამუდმებით ახალ საქმეზე ვფიქრობდი, დავიძაბე, ვემზადებოდი, რა გამოვიდოდა მისგან, და, აჰა - ყველაფერი უბრალო დაკითხვითა და დაპატიმრებით დასრულდა. ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ პოლიციაში ოდნავ ადრე ან ოდ-

---

[51] "დროის გუნდი" - დოკუმენტური ტელესერიალი არქეოლოგების შესახებ.

ნავ გვიან რომ დაერეკათ, მე და კესის "ჭიაყელები" რომ არ გვეთამაშა და მოსაწევად გავსულიყავით, საქმეს აუცილებლად კოსტელოს ან სხვა ვინმეს ჩააბარებდნენ. ძალზე უცნაურად დაემთხვა ყველაფერი. თითქოს ჩემს ცხოვრებაში რაღაც დაიძრა, თითქოს შიგნით კბილა თვალი შეინძრა და დატრიალდა. შესაძლოა, სასაცილოა, მაგრამ გულის სიღრმეში მოუთმენლად ველოდი, რა მოხდებოდა.

6 თავი

როდესაც სამსახურში დავბრუნდით, კესიმ გაარკვია, რომ არქეოლოგები ბულდოზერებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იყენებდნენ, რათა მნიშვნელოვანი ობიექტები არ გაენადგურებინათ, "დროის გუნდი" კი საცოდავი არაპროფესიონალებისგან შედგებოდა. გარდა ამისა, მან თვითნაკეთი სიგარეტის ნამწვიც მოიპოვა, რომელიც მარკს გამოართვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ შეგვეძლო მისი დნმ მინდორში ნაპოვნი ნამწვებისთვის შეგვედარებინა. ასე რომ, სავსებით ცხადი გახლდათ, დღეს ვის ერგებოდა კარგი პოლიციელის სახელი. მარკი გავჩხრიკე (იგი ტუჩებმოკუმული იდგა და თავს აქნევდა) და დაკითხვის ოთახში წავიყვანე, კესიმ კი ო ' კელის ჩვენი ანტისატანისტური სია წაუღო.

მარკს ნება მივეცით, ცოტა ხანი მარტოობაში გაეტარებინა, - იგი მხრებში მოხრილი იჯდა და მაგიდაზე თითებს ნერვიულად აკაკუნებდა, - ბოლოს კი მივაკითხეთ.

- კიდევ ერთხელ გამარჯობა, - მხიარულად თქვა კესიმ, - ჩაის ან ყავას ხომ არ ინებებთ?

- არა, სამუშაოზე დაბრუნება მინდა.

- დეტექტივები მედოქსი და რაიანი, მარკ კონორ ჰენლის დაკითხვა, - ამცნო კესიმ კუთხეში დამაგრებულ ვიდეოკამერას.

მარკი შეკრთა, შეტრიალდა და კამერას მიაშტერდა.

სკამი მაგიდასთან მივწიე და ზედ დანაშაულის ადგილზე გადაღებული ფოტოსურათები დავყარე.

- თქვენ გაქვთ დუმილის უფლება. ყველაფერი, რასაც იტყვით, ჩაიწერება და შესაძლოა, თქვენს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. გასაგებია?

- რა ჯანდაბაა... დაპატიმრებული ვარ?

- არა. წითელ ღვინოს თუ სვამთ?

მან ირონიულად შემომხედა.

- შემოთავაზებას ხომ არ აპირებთ?

- კითხვაზე რატომ არ მპასუხობთ?

- სწორედ ეს არის პასუხი. იმას ვსვამ, რასაც შემომთავაზებენ. რა მოხდა?

ჩაფიქრებულმა თავი დავუქნიე და მისი სიტყვები ბლოკნოტში ჩავიწერე.

- ეს რისთვის გჭირდებათ? - დაინტერესდა კესი, მაგიდაზე გადაიხარა და ხელზე დახვეულ საიზოლაციო ლენტზე მიუთითა.

- კოჟრების საწინააღმდეგოდ. წვიმიან ამინდში თოხით მუშაობისას ლეიკოპლასტირი არ ჩერდება.

- ხელთათმნის ჩაცმა არ ჯობია?

- ზოგი ასეც იქცევა, - თქვა მარკმა და კილოზე შეეტყო, რომ ასეთ ადამიანებს დიდად არ აფასებდა.

- წინააღმდეგი ხომ არა ხართ, რომ ვნახოთ, მის ქვეშ რა არის?

მან პირქუშად შემომხედა, ლენტი შეიხსნა, ოდნავ შეყოვნდა და მაგიდაზე დააგდო. შემდეგ დამცინავი სახით ხელები მაღლა ასწია.

- აბა, როგორ მოგწონთ?

კესი კიდევ უფრო წინ გადაიხარა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, ყველაფერი ყურადღებით დაათვალიერა, თავი დააქნია და მარკს ჟესტით ანიშნა, კვლავ დაეხვია. ვერც ნაიარევი შევამჩნიე და ვერც ფრჩხილით განაკაწრი, მხოლოდ დიდრონი კოჟრების კვალი მოჩანდა თითების ძირში.

- ოჰო, - თქვა კესიმ, - საიდან გაქვთ?

მარკმა გულგრილად აიჩეჩა მხრები.

- ისინი, ჩვეულებრივ, მაგარია, მაგრამ ორი კვირის განმავლობაში გათხრებს გამოვაკლდი - ზურგი ვიტკინე და ნაპოვნი

ნივთების დახარისხებაზე გადავერთე. ამის გამო კანი დამირ-ბილდა. როდესაც მუშაობა განვაახლე, ბებერები გამიჩნდა.

- წარმომიდგენია, როგორ გაგაბრაზებდათ ეს იძულებითი შესვენება.

- არაფერია, უბრალოდ, ცოტა დრო მაქვს.

საიზოლაციო ლენტი ორი თითით ავიღე და ნაგვის კალათაში ჩავაგდე.

- სად იყავით ორშაბათ საღამოს? - ვკითხე მარკს და მის უკან მდებარე კედელს ზურგით მივეყრდნე.

- ჩვენი ჯგუფის სახლში. გუშინ უკვე გითხარით.

- მოძრაობა "გადაიტანეთ ავტომაგისტრალის" წევრი ხართ?

- დიახ. ისევე, როგორც აქაურთა უმრავლესობა. ერთხელ ჩვენთან დევლინი მოვიდა და მათ მოძრაობასთან მიერთება შე-მოგვთავაზა. როგორც ვიცი, ამაში კანონსაწინააღმდეგო არა-ფერია.

- იცნობთ ჯონათან დევლინს?

- დიახ, ეს ხომ ახლახან გითხარით. გულითადი მეგობრები არა ვართ, მაგრამ ვიცნობ.

მის მხარზემოთ დავიხარე და დანაშაულის ადგილზე გადაღე-ბული ფოტოსურათების გადარჩევა დავიწყე - თითოეულ მათ-განს წამით ვანახვებდი, ოღონდ ისე, რომ თითქმის ვერაფერი გაერჩია.

- ჩვენ კი გვითხარით, რომ გოგონას არ იცნობდით.

- მინახავს გათხრების ადგილას, მაგრამ მისი სახელიც კი არ ვიცოდი. უნდა მცოდნოდა?

- ვფიქრობ, კი, - ვთქვი მე, - იგი დევლინის ქალიშვილია.

მარკი ჩემკენ მკვეთრად შემობრუნდა, შემომხედა, წარბები ასწია და ფოტოსურათს მიაჩერდა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ თა-ვი გადააქნია.

- არა. დევლინის ქალიშვილს დემონსტრაციის დროს შევხვდი, ჯერ კიდევ გაზაფხულზე, იგი გაცილებით უფროსია. როზმარი, როზალინი თუ რაღაც ამგვარი ჰქვია.

- რას ფიქრობთ მის შესახებ? - ჰკითხა კესიმ.

მარკმა მხრები აიჩეჩა.

- სიმპათიური გოგოა. ლაპარაკის მოყვარული. სარეგისტრაციო მაგიდასთან იჯდა და ხელმოწერებს აგროვებდა. მომეჩვენა, რომ პროტესტზე მეტად ბიჭებთან ფლირტაობა აინტერესებდა. თუმცა თავს არავის აბეზრებდა.

- მაშასადამე, მიმზიდველ ქალიშვილად მოგეჩვენათ, - ჩავილაპარაკე მე, სარკისებურ შუშასთან მივედი და საკუთარი ნიკაპი შევათვალიერე.

- საკმაოდ ლამაზია, ოღონდ ჩემი გემოვნების არა.

- მაგრამ შეამჩნიეთ, რომ მომდევნო დემონსტრაციებზე აღარ გამოჩენილა. რატომ ეძებდით?

სარკეში დავინახე, რომ ზურგში ეჭვის თვალით შემომხედა, ფოტოსურათი გადადო და თავი ასწია.

- არ ვეძებდი.

- მასთან კონტაქტის დამყარება არ გიცდიათ?

- არა.

- როგორ შეიტყვეთ, რომ დევლინის ქალიშვილი იყო?

- არ მახსოვს.

ჩვენი საუბარი სულ უფრო და უფრო ნაკლებად მომწონდა. მარკი მკვეთრად და მოუთმენლად მპასუხობდა. ქაოსურად დასმული შეკითხვები თავგზას უბნევდა, მაგრამ არც შიში ეტყობოდა და არც ნერვიულობა. დაკითხვა მასში მხოლოდ გაღიზიანებას იწვევდა. სინდისის ქენჯნის მსგავსი ვერაფერი შევამჩნიე.

- მითხარით, - თქვა კესიმ და ფეხი მოიკეცა, - სინამდვილეში, რა ხდება გათხრებთან და გზატკეცილთან დაკავშირებით?

მარკმა გაიცინა, შემდეგ კი ბუზღუნით დაიწყო:

- ძილისპირულისთვის ზედგამოჭრილი ამბავია. 2000 წელს ხელისუფლებამ მშენებლობის გეგმის შესახებ გამოაცხადა. ყველამ იცოდა, რომ არქეოლოგიისთვის ნოკნარი ძალზე მდიდარი რაიონია, ამიტომაც მეცნიერთა ჯგუფი მოავლინეს. მათ ყველაფერი შეისწავლეს და განაცხადეს: იმაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ადგილია, ვიდრე გვეგონა, მხოლოდ იდიოტი თუ გადაწყვეტს აქ გზის გაყვანას, გზატკეცილმა უნდა გადაიწიოსო. ხელისუფლებამ უპასუხა, ძალიან საინტერესოა, დიდი მადლობაო, მაგრამ არაფერი შეუცვლია. მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის შედეგად გასცეს გათხრების ნებართვა, ისიც ორი წლით, თუმცა ხუთი მაინც სჭირდება. მას შემდეგ ათასობით ადამიანი აპროტესტებს გზის მშენებლობას სხვადასხვა ხერხით - პეტიციით, დემონსტრაციით, სასამართლოში ჩივილით, ხელისუფლება კი ყურს არ იბერტყავს.

- რატომ? - გაოცდა კესი, - რატომ არ გადასწევენ გზას?

მარკმა მხრები აიჩეჩა და გაბრაზებით დაიღრიჯა.

- მე რატომ მეკითხებით? ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ რომელიმე სასამართლოში ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

- სამშაბათის შესახებ რას გვეტყვით? - ვკითხე მე, - ღამით სად იყავით?

- ისევ იქ, ჩვენს სახლში. შეიძლება, წავიდე?

- ჯერ არა. უკანასკნელად როდის გაატარეთ ღამე გათხრების ადგილას?

მარკი ოდნავ დაიძაბა.

- ღამით იქ არასდროს ვყოფილვარ, - ჩაილაპარაკა ცოტა ხნის შემდეგ.

- ნუ სულელობთ. ტყეც იქვეა.

- ვინ თქვა, რომ ოდესმე იქ მეძინა?

- გეყოფათ, მარკ, - მოულოდნელად ჯიქურ მიახალა კესიმ, - თქვენ იქ ორშაბათს ან სამშაბათს გაათიეთ ღამე. თუ საჭირო გახდება, ამის მტკიცებულებებსაც წარმოგიდგენთ, მაგრამ ასე მხოლოდ დროს დავკარგავთ. თქვენც დაკარგავთ. არ ვფიქრობ, რომ გოგონა თქვენ მოკალით, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რას აკეთებდით ტყეში, რა დაინახეთ და რა გაიგონეთ. შეგვიძლია, მთელი დღე ვისხდეთ, სანამ ყველაფერს არ გათქმევინებთ, შეგვიძლია, ახლავე დავასრულოთ და სამუშაოზე დაგაბრუნოთ. ეს თქვენი გადასაწყვეტია.

- რომელ მტკიცებულებაზე მელაპარაკებით? - სკეპტიკურად იკითხა მარკმა.

კესიმ შეთქმულივით გაიღიმა, ჯიბიდან პოლიეთილენის პაკეტი ამოიღო და არქეოლოგს ცხვირწინ შეუთამაშა.

- დნმ-ზე. გაჩერების ადგილას სიგარეტის ნამწვები დაგიტოვებიათ.

- დალახვროს ეშმაკმა, - ჩაილაპარაკა მარკმა და პაკეტს ისე მიაჩერდა, თითქოს არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

- მე მხოლოდ ჩემი სამუშაო შევასრულე, - მხიარულად თქვა კესიმ და პაკეტი შეინახა.

- დალახვროს ეშმაკმა, - გაიმეორა მარკმა და ტუჩი მოიკვნიტა, თუმცა თავი ვერ შეიკავა, რომ პირქუშად არ გაეღიმა, - მე კი პირდაპირ ხელში ჩაგივარდით. ბედმა გაგიღიმათ.

- ასეც ხდება ხოლმე. აბა, რას იტყვით ღამის თევის შესახებ?

კვლავ დუმილი. ბოლოს მარკი შეინძრა, საათს დახედა და ამოიხვნეშა.

- დიახ, იქ უცნაური ღამე გავატარე.

- ორშაბათს თუ სამშაბათს? თუ ორივე დღეს?

- მხოლოდ ორშაბათს.

- როდის მიხვედით იქ?

- დაახლოებით ცხრის ნახევარზე. კოცონი დავანთე და როდესაც ჩაქრა, დავიძინე. ღამის ორი საათი იქნებოდა.

- როდესაც სხვაგან აწარმოებთ გათხრებს, მაშინაც ასე იქცევით? - ჰკითხა კესიმ, - თუ მხოლოდ ნოკნარიში?

- მხოლოდ ნოკნარიში.

- რატომ?

მარკმა მაგიდაზე თითები ააკაკუნა, თან ზედ იყურებოდა. მე და კესი ველოდებოდით.

- თუ იცით, რას ნიშნავს სიტყვა "ნოკნარი"? - იკითხა არქეოლოგმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ, - "მეფის ბორცვს". ზუსტად ვერ გეტყვით, როგორ გაჩნდა ეს სახელწოდება, მაგრამ იგი პოლიტიკას კი არა, წარმართულ რელიგიას უკავშირდება. აქ არც სამეფო სამარხებია და არც რამე საცხოვრებელი. სამაგიეროდ, მრავლადაა ბრინჯაოს ხანის საკულტო საგნები - სამსხვერპლო ქვები, აღთქმის ფიგურები, მსხვერპლად შეწირული ოქროს ნივთები, ცხოველებისა და, შესაძლოა, ადამიანების ნეშტები. ეს ბორცვი რელიგიური თაყვანისცემის ცენტრი იყო.

- ვის სცემდნენ თაყვანს?

მან მხრები აიჩეჩა და თითები უფრო ხმამაღლა ააკაკუნა. სიამოვნებით ჩავცხებდი და გავაჩუმებდი.

- მაშასადამე, სადარაჯოზე იდექით, - ჩაილაპარაკა კესიმ. იგი დაუდევრად გადაწვა სკამზე, მაგრამ მარკს თვალს არ აცილებდა.

- დიახ, ასე ვთქვათ, - დარცხვენით თქვა ამ უკანასკნელმა.

- დაღვრილი ღვინო? - განაგრძო კესიმ. მარკმა თავი სწრაფად ასწია, მაგრამ მაშინვე დახარა, - ისიც ღმერთებს მიუძღვენით?

- ალბათ.

- მოდი, დავაზუსტოთ, სწორად გაგიგეთ თუ არა, - ვთქვი მე, - თქვენ გადაწყვიტეთ, იმ ადგილას დაგეძინათ, სადაც გოგონა

მოკლეს, ახლა კი ცდილობთ, დაგვარწმუნოთ, რომ ეს რელიგიური მოტივით გააკეთეთ?

მოულოდნელად მარკი წამოენთო, წინ გადმოიხარა და მკერდში თითი სწრაფად და გაშმაგებით მატაკა. უნებურად უკან დავიხიე.

- კარგად მომისმინეთ, დეტექტივო, - შესძახა მან, - მე ეკლესიის არ მწამს, გასაგებია? არც ერთი ეკლესიის. რელიგია იმისთვის არსებობს, რომ ადამიანები მორჩილებაში იყოლიოს და სალარო შეავსებინოს. როდესაც თვრამეტი წელი შემისრულდა, ჩემი სახელი საეკლესიო რეგისტრაციის წიგნიდან ამოვაშლევინე. არც ხელისუფლების მჯერა. ისიც იგივე ეკლესიაა, ოღონდ სახეცვლილი. თითოეული თავის ენაზე ლაპარაკობს, მიზანი კი ერთი აქვთ: ღარიბების გაყვლეფა და მდიდრების მხარდაჭერა. მე მხოლოდ იმისი მწამს, რაც ამ მიწაშია, რომელსაც ახლა ვთხრით, - გამძვინვარებული სახე ჰქონდა, თვალები ბარიკადის თავგანწირული დამცველივით ანთებოდა, - იქ გაცილებით მეტი ნივთია, რომლებიც თაყვანისცემას იმსახურებენ, ვიდრე დედამიწაზე არსებულ ნებისმიერ ეკლესიაში. ამ ადგილას გზის გაყვანა ნამდვილი მკრეხელობაა. ვინმემ ვესტმინსტერის საბატოს ადგილას ავტოსადგომის მოწყობა რომ განიზრახოს, მის დასაცავად გამოსულ ხალხსაც დაადანაშაულებთ? აბა, რატომ მიყურებთ ასე შემწყნარებლურად, როდესაც მეც იმავეს ვაკეთებ?

იგი ჯიქურ მომაშტერდა, სანამ თვალი არ დავახამხამე, შემდეგ კი სკამზე გადაწვა და გულხელი დაიკრიფა.

- როგორც ჩანს, ეს უნდა ნიშნავდეს, რომ მკვლელობასთან კავშირს უარყოფთ, - ცივად განვაცხადე, როცა გონს მოვეგე. ამ მოკლე ქადაგებამ ჩემზე რატომღაც იმაზე ძლიერად იმოქმედა, ვიდრე ამის აღიარება მსურდა.

- მარკ, - თქვა კესიმ, - მშვენივრად მესმის, რასაც ამბობთ. მეც ასევე ვფიქრობ იმის შესახებ, რასაც ვაკეთებ, - მარკმა მას

მკაცრად, დაჟინებით შეხედა და თავი დაუქნია, - მაგრამ დეტექ-ტივი რაიანი მართალია: ადამიანთა უმრავლესობა თქვენს ნათ-ქვამს ვერ გაიგებს. ისინი ამ ყველაფერს ძალზე საეჭვოდ აღიქ-ვამენ. ამიტომ ბრალდებისგან უნდა გათავისუფლდეთ.

- თუ სიცრუის დეტექტორზე შემოწმებას მთავაზობთ, ამის-თვისაც მზად ვარ, მაგრამ სამშაბათს იქ არ ვყოფილვარ. ორშა-ბათს ვიყავი. როგორ შეიძლება ამ საქმესთან კავშირი მქონდეს?

სასო წარმეკვეთა. იქნებ მას სათანადოდ არ ვაფასებდით და ოსტატურად გვასულელებდა, თავს იკატუნებდა, თითქოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქეითი სამშაბათს მოკლეს, სანამ მისი გვა-მი ქვაზე გამოჩნდებოდა?

- კარგი, - თქვა კესიმ, - აი, როგორ მოვიქცეთ. ვინმეს თუ შე-უძლია დაადასტუროს ის, რასაც აკეთებდით სამშაბათ საღამოს სამუშაოდან წასვლის შემდეგ ოთხშაბათ დილამდე, სანამ უკან არ დაბრუნდით?

მარკმა პირი მოკუმა და თავის კოჟრებს დააცქერდა. უეცრად შევნიშნე, რომ ძალზე დარცხვენილი იყო და ეს აახალგაზრდა-ვებდა.

- რასაკვირველია. შინ მივედი, შხაპი მივიღე და ჩვენებთან ერთად ვისადილე. შემდეგ ბაღში კარტს ვთამაშობდით და ლუდს ვსვამდით. შეგიძლიათ, ჰკითხოთ.

- მერე რა მოხდა? დასაძინებლად როდის დაწექით?

- უმრავლესობა პირველი საათისთვის დაწვა.

- ამის შემდეგ ვინმემ თუ დაგინახათ? ოთახში მარტო ხართ თუ ვინმესთან ერთად?

- მარტო. ცალკე საძინებელი მაქვს, რადგან ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე ვარ... ბაღში სხვებზე დიდხანს შევ-ყოვნდი. მელს ველაპარაკებოდი. საუზმემდე ერთად ვიყავით.

მარკი მცდელობას არ აკლებდა, რათა უდარდელი კილო შეენარჩუნებინა, მაგრამ მთელი მისი თავდაჯერებულობა სად-

ღაც გაქრა, თხუთმეტი წლის ბიჭივით აიფოფრა და მოიკუნტა. სიცილისგან თავს ძლივს ვიკავებდი და კესისკენ გახედვას ვერ ვბედავდი.

- მთელი ღამე? - ვკითხე.

- დიახ.

- ბაღში? არ გაითოშეთ?

- სახლში სამისთვის შევედით. რვამდე ჩემს ოთახში ვიყავით. სანამ ყველა არ ადგა.

- კარგი, კარგი, გასაგებია, - ვუთხარი დაყვავებით, - ძალიან სასიამოვნო ალიბი გაქვთ.

მან გატანჯული სახით შემომხედა.

- მოდი, იმ ორშაბათის ღამეს დავუბრუნდეთ, - განაგრძო კესიმ, - ტყეში რამე უჩვეულო ხომ არ დაგინახავთ ან ხომ არ გაგიგონიათ?

- არა, ძალიან ბნელოდა - სოფლისა და ქალაქის სიბნელე ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. არც ფარნები ანთია. ათი ნაბიჯის იქით ვერაფერს ვხედავდი. ვერც ვერაფერს გავიგონებდი - ტყეში ათასგვარი ხმაური ისმის.

ტყის სიჩუმე და ხმაური. ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

- შესაძლოა, ტყეში კი არა, სადმე სხვაგან, - თქვა კესიმ, - ვთქვათ, გათხრების ადგილას ან გზაზე. თორმეტის ნახევრის შემდეგ იქ არავინ გამოჩენილა?

- მოითმინეთ, - მოულოდნელად, უხალისოდ ჩაილაპარაკა მარკმა, - გათხრების ადგილის შორიახლოს. იქ ვიღაც იყო.

კესი და მე არ გავნძრეულვართ, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩვენ შორის დენის ნაპერწკალი გაკრთა, უკვე მარკის ალიბის შემოწმებას ვაპირებდით, ოქმზე ხელს მოვაწერინებდით და სამუშაოზე დავაბრუნებდით, დროებით მაინც, - საწყის ეტაპზე გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს ხოლმე და ყველა წვრილმანს ვერ გამოეკიდებით, - მაგრამ ახლა გავფაციცდით.

- ხომ ვერ აღგვიწერდით?

ისე შემომხედა, თითქოს სისულელე წამოვროშე.

- დიახ. ფარანს ჰგავდა. ძალიან ბნელოდა.

- მარკ, - უთხრა კესიმ, - თუ შეიძლება, თავიდან დაიწყეთ და დაწვრილებით მოგვიყევით.

- ვიღაც ფარნით მიდიოდა გათხრების ადგილას, დასახლებიდან გზატკეცილისკენ. სულ ეს არის. მე მხოლოდ სინათლის სხივი დავინახე.

- ეს როდის ხდებოდა?

- საათზე არ დამიხედავს. შესაძლოა, პირველი იყო, შესაძლოა, ცოტა ადრეც.

- შეეცადეთ, უკეთ გაიხსენოთ. იქნებ რამე დეტალი გაარჩიეთ, ვთქვათ, სიმაღლე - სხივის დახრილობის მიხედვით?

მარკმა თვალები მოჭუტა და დაფიქრდა.

- არა. ფარანი მიწასთან ახლოს ეჭირა, მაგრამ სიბნელეში პერსპექტივის შეგრძნება სუსტდება, ასე არ არის? ნელა მიდიოდა, რაც ბუნებრივია - იქ ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღრანტეები და ორმოებია.

- მძლავრად ანათებდა თუ პირიქით?

- სუსტად. ეს მხარზე გადასაკიდი პროჟექტორი კი არა, ჩვეულებრივი ფარანი იყო.

- როდესაც პირველად მოჰკარით თვალი, კედელს მიუყვებოდა დასახლების გარშემო, გზის შორეულ ბოლოში?

- დიახ, სადღაც იქ. ალბათ, უკანა ჭიშკრიდან გამოვიდა ან კედელზე გადაძვრა.

უკანა ჭიშკარი იმ ქუჩის ბოლოში იყო, რომელზეც დევლინები ცხოვრობდნენ, მათგან სულ რაღაც სამი სახლის დაშორებით. მან, შესაძლოა, ჯონათანი ან მარგარეტი დაინახა, როდესაც ერთ-ერთი მათგანი გვამს მიათრევდა და მის დასამალავად შესაფერის ადგილს ეძებდა; ან ქეითი, რომელიც პაემანზე წასას-

ვლელად გამოიპარა და თან მხოლოდ ფარანი და სახლის გასაღები წაიღო, რომელიც აღარასოდეს დასჭირდებოდა.

- გზისკენ დაეშვა?

მარკმა მხრები აიჩეჩა.

- იქით გაემართა, ბორცვი დიაგონალზე გადაჭრა, მაგრამ არ ვიცი, ეს რით დასრულდა - ხეებს მოეფარა.

- როგორ ფიქრობთ, თქვენ მიერ დანთებულ კოცონს თუ შეამჩნევდა?

- აბა, რა ვიცი?

- კარგი, მარკ, - თქვა კესიმ და თავი დაუქნია, - ახლა ერთ მნიშვნელოვან შეკითხვას დაგისვამთ. იმ ღამეს მანქანისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი? ჩავლილისთვის ან, უბრალოდ, გზაზე მდგარისთვის?

- არა. როდესაც იქით გავემართე, ერთი წყვილი შევამჩნიე, მაგრამ თერთმეტის შემდეგ აღარავინ გამოჩენილა. აქაურები ადრე იძინებენ - შუაღამისთვის ყველა სახლის ფანჯრები ჩაბნელებულია.

თუ სიმართლე გვითხრა, უდიდესი სამსახური გაგვიწია: იმ ადგილებამდე - იქამდე, სადაც ქეითი მოკლეს, და იქამდე, სადაც იგი სამშაბათს იწვა, ფეხით მისვლა მხოლოდ მეზობელი სოფლიდან შეიძლებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავის მოსაძებნად მთელი ქვეყნის გადაქოთება არ მოგვიწევდა.

- დარწმუნებული ხართ, რომ ჩავლილ ავტომანქანას შეამჩნევდით? - ვკითხე მე.

- ფარანი ხომ შევამჩნიე?

- თუმცა მხოლოდ ახლა გაიხსენეთ, - გავკენწლე მსუბუქად.

მან ტუჩები დაპრუწა და თქვა:

- მეხსიერებას არ ვუჩივი. უბრალოდ, ამას დიდი მნიშვნელობა არ მივანიჭე. მაშინ ხომ ორშაბათი იყო. ფარნისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია. ვიფიქრე, ვიღაც სტუმრად გვიანობამდე

შერჩა და შინ ბრუნდება ან რომელიმე მოზარდს პაემანი აქვს-- მეთქი - ისინი ხშირად დახეტიალებენ აქ საღამოობით, მაგრამ მე ეს ხელს არ მიშლიდა.

კარზე ბერნადეტამ, ჩვენი განყოფილების ადმინისტრატორ-მა, დააკაკუნა. როდესაც გავუღე, უკმაყოფილო სახით მითხრა:

- დეტექტივო რაიან, გირეკავენ. ვუთხარი, დაკავებულია-- მეთქი, მაგრამ განმიცხადეს, ძალზე მნიშვნელოვანიაო.

ბერნადეტა ჩვენს განყოფილებაში ოცდაოთხი წლის - ანუ მთელი შეგნებული ცხოვრების - განმავლობაში მუშაობდა. მას მუდამ წარბშეკრული სახე და ხუთი ხელი სამუშაო კოსტიუმი ჰქონდა (თითო - კვირის ყოველი დღისთვის, რაც ძალზე მოსა-ხერხებელია, თუ დაგავიწყდათ, დღეს რა დღეა). ყველა დარწმუ-ნებული იყო, რომ გულში უიმედოდ უყვარდა ო ' კელი. განყო-ფილებაში ფსონსაც კი ჩამოდიოდნენ, თუ როდის დაწყვილდე-ბოდა ეს ორი ადამიანი.

- კარგი, ეს უკვე გავარკვიეთ, - თქვა კესიმ, - ახლა თქვენი ჩვენება წერილობით უნდა გავაფორმოთ, შემდეგ კი სამუშაომ-დე მანქანით მიგიყვანთ.

- ავტობუსით წავალ.

- არა, - ვუთხარი მე, - ჯერ თქვენი ალიბი უნდა შევამოწმოთ. ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ დაგვასწრებთ და მელს ჩვენზე ადრე შეხვდებით.

- როგორც იტყვით, - ამოიხვნეშა მარკმა და დაღლილ-- დაქანცული სკამზე გადაწვა, - არაფერი შემითხზავს. ნებისმიერს ჰკითხეთ. როდესაც ავდექით, ამის შესახებ უკვე ყველამ იცოდა.

- ნუ ღელავთ, ვკითხავთ, - მივუგე მარკს მკვირცხლად, ოთა-ხიდან გავედი და კესის შევატოვე.

შტაბში დავბრუნდი და დაველოდე, როდის გადმორთავდა ბერნადეტა შემოსულ ზარს ჩემს ტელეფონზე. მან ეს აუჩქარებ-

ლად გააკეთა, რათა მეგრძნო, რომ სულაც არ იყო ვალდებული, ჩემს მოსაძებნად აქეთ-იქით ევლო.

- რაიანი ვარ, - ვთქვი ყურმილში.

- დეტექტივი რაიანი? - ქალს აღელვებისგან ხმა უწყდებოდა, თუმცა მაშინვე ვიცანი, - როზალინდა გელაპარაკებათ, როზალინდა დევლინი.

- როზალინდა, - გავიმეორე, ბლოკნოტი გადავშალე და ავტოკალამი მოვიჩხრიკე, - როგორ ხართ?

- გმადლობთ, კარგად, - მან ნერვიულად ჩაიცინა, - ანუ არა, რა თქმა უნდა. ძალიან დათრგუნვილი ვარ. სხვებიც შოკში არიან. ჯერაც ვერ დამიჯერებია. არასდროს ელოდები, რომ მსგავსი რამ მოხდება, ხომ ასეა?

- დიახ, მესმის, ახლა რასაც გრძნობთ. რით შემიძლია, დაგეხმაროთ?

- ვიფიქრე... თუ შეიძლება, რომ როგორმე შემოგიაროთ და დაგელაპარაკოთ? თუ არ შეწუხდებით. მინდა, რაღაც გკითხოთ.

შორიდან მანქანის ხმაური მომესმა. როზალინდა ქუჩაში იდგა და ავტომატიდან ან მობილურიდან რეკავდა.

- რა თქმა უნდა. დღის მეორე ნახევარში?

- არა, - სწრაფად მომიგო მან, - არა... დღეს არა. ისინი შესაძლოა, ნებისმიერ წუთს დაბრუნდნენ... გამოიძახეს, რათა... ენახათ... - მას ხმა ჩაუწყდა, - ხვალ შუადღეზე რას იტყვით?

- როცა ინებებთ, - დავეთანხმე მე, - ჩემი მობილურის ნომერს მოგცემთ. შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს დამიკავშირდეთ. დამირეკეთ და შევხვდებით.

მან ციფრები ჩაიწერა, თან თავისთვის იმეორებდა.

- უნდა წავიდე, - აჩქარებით მითხრა როზალინდამ, - გმადლობთ, დეტექტივო რაიან. დიდი მადლობა, - დაამატა და სანამ დამშვიდობებას მოვასწრებდი, ყურმილი დაკიდა.

დაკითხვის ოთახში შევიხედე: მარკი წერდა, კესი რაღაც სასაცილოს ეუბნებოდა. როდესაც შუშაზე თითები ავათამაშე, მარკი შეკრთა. კესიმ ცერად გამომხედა და ოდნავ გამიღიმა. შევატყვე, ჩემს არყოფნაში ერთმანეთს შეწყობოდნენ. ამის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. სოფი ჩვენგან შეპირებულ სისხლის ნიმუშს ელოდებოდა. კესისთვის კარზე ბარათი მივამაგრე, წარწერით "ხუთზე მოვალ", და სარდაფში ჩავედი.

80-იანი წლების დასაწყისში საქმის, განსაკუთრებით გაუხსნელი საქმის, მასალების შენახვის პროცედურა საკმაოდ მარტივი იყო. პიტერისა და ჯემის ყუთი ზედა თაროზე იდო. იგი არასდროს მენახა, მაგრამ, როგორც კი ხელი მოვკიდე, მივხვდი, რამდენი ეშრომათ მტკიცებულებების მოსაპოვებლად კირნანსა და მაკკეიბის თავიანთ გუნდთან ერთად. პირველი ყუთის ქვეშ კიდევ ოთხი იდო. თითოეულისთვის იარლიყი მიეკრათ, რომლებზეც შავი ასოებით ბავშვური გულმოდგინებით დაეწერათ: 2) დაკითხვები, 3) დაკითხვები, 4) მოწმეთა ჩვენებები, 5) ხელჩასაჭიდები. როგორც ჩანს, კირნანი და მაკკეიბი გრამატიკაში მოიკოჭლებდნენ. თაროდან მთავარი ყუთი მკვეთრი მოძრაობით ავიღე, რამაც მტვრის ტალღა გამოაჩინა ნათურიდან წამოსული ბაცი შუქის ფონზე, და იატაკზე დავაგდე.

იგი ნახევრად სავსე იყო პლასტიკატის გამჭვირვალე პაკეტებში მოთავსებული სამხილებით, რომლებიც ისე სქლად დაეფარა მტვერს, რომ უძველეს საგანძურში აღმოჩენილი იდუმალებით მოცული არტეფაქტები გეგონებოდათ, დღის სინათლე საუკუნეების განმავლობაში რომ არ ენახათ. ერთიმეორის მიყოლებით ფრთხილად ვიღებდი მათ, სულს ვუბერავდი და ქვის ფილებზე ვაწყობდი. ასეთი დიდი საქმის კვალობაზე ძალზე ცოტა სამხილი შეეგროვებინათ. საბავშვო საათი, შუშის ჭიქა, ბაცი

ფორთოხლისფერი სათამაშო "დონქი კონგი",[52] - ყველასთვის რაღაც ფხვნილი წაესვათ, ალბათ, თითის ანაბეჭდების ასაღებად, - ათასგვარი წვრილმანი ექსპერტიზის ჩასატარებლად, ძირითადად, ხმელი ფოთლები და ნაფოტები, წყვილი თეთრი წინდა ყავისფერი ლაქებითა და ანალიზის ჩასატარებლად აკურატულად ამოჭრილი კვადრატებით, ჭუჭყიანი თეთრი მაისური, გახუნებული და გახეხილნაკერებიანი ჯინსის შორტი. დაბოლოს, გაცვეთილი, ლამის ძირგახვრეტილი ბოტასები მაგარი შავი ქვესადებებით. ისინი საკმაოდ სქელი იყო, მაგრამ სისხლს გაეჟღინთა. გარედან მუქი ლაქები მთელ ძირს გასდევდა, ზევით ადიოდა და ყავისფერ ნადღაბნად შიგნით ჩნდებოდა.

თავს ვიმხნევებდი, მაგრამ ნერვები დაჭიმული მქონდა. ბუნდოვნად ვგრძნობდი, რომ არცთუ სასიამოვნო შთაბეჭდილებები მელოდა. არა, ემბრიონივით არ მოვიკუნტებოდი, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, ისეთი დრო შევარჩიე, რომ სარდაფში არავინ შემოსულიყო. შვებით აღმოვაჩინე, რომ ეს ნივთები თითქმის არაფერს მაგონებდა, ალბათ, "დონქი კონგის" გამოკლებით, რომელიც აქ, სავარაუდოდ, თითების ანაბეჭდის შესადარებლად მოხვდა. მან წარსულიდან ხანმოკლე და უსარგებლო ეპიზოდი ამოატივტივა (მე და პიტერი მზით განათებულ ნოხზე ვსხედვართ და გაშმაგებით ვაჭერთ თითებს ღილაკებს, ჩვენ ზურგს უკან მდგარი აღელვებული ჯემი კი რაღაცას გაჰყვირის), ისეთი მკაფიო და ცოცხალი, რომ ლამის გავიგონე კიდეც სათამაშოს მკვეთრი წრიპინის ხმა. ტანსაცმელს, თუმცა ვიცოდი, რომ ჩემი იყო, სულ არ ავუღელვებივარ. მიჭირდა იმის წარმოდგენა, რომ დილით ვდგებოდი და მას ვიცვამდი. მხოლოდ ის დავაფიქსირე, რომ მაისური ძალიან პატარა იყო, ერთ კედზე კი

[52] "დონქი კონგი" - ერთგვარი ვიდეოთამაში.

მიკი მაუსი მიმეხატა. როგორც ჩანს, თორმეტი წლისას თავი გაცილებით უფროსი მეგონა.

მაისურიანი პაკეტი ორი თითით ავიღე და შევათვალიერე. წაკითხული კი მქონდა ზურგზე არსებული ნახვრეტების შესახებ, მაგრამ არასდროს მენახა და ახლა საშინელ კედებზე მეტად განმაცვიფრა. თითქმის იდეალურად პარალელური რკალისებური განახევი ადგილები არაბუნებრივად მეჩვენებოდა. ხის ტოტები? პაკეტი ხელში მეჭირა და გაშტერებული შევყურებდი. იქნებ ხიდან ჩამოვხტი ან ბუჩქებში გავლისას ტოტებს გამოვედე? ზურგი საშინლად ამექავა.

უეცრად წასვლა მომინდა. დაბალი ჭერი თავზე მაწვებოდა, ყელში მტვრიან ჰაერს ვგრძნობდი. სიჩუმე იდგა, სამარისებური სიჩუმე. მხოლოდ კედლები ზანზარებდა თითქმის შეუმჩნევლად ქუჩაში ავტობუსის გავლის დროს. ყველაფერი ყუთში დავაბრუნე და თაროზე შევდე, თან მხოლოდ კედები წამოვიღე, რათა სოფისთვის მიმეტანა.

და მხოლოდ ახლა, აქ, მივიწყებულ დანაშაულთა საქმის მასალებით გაძეძგილ ცივ სარდაფში, ყუთის გადაადგილებისას პაკეტების შარიშურის ფონზე, გავაცნობიერე, თუ რა უსაზღვროება ავამოძრავე. აქამდე ამაზე საფუძვლიანად ფიქრის დრო არ მქონდა. წარსული ამბავი მხოლოდ პირადი საქმე მეგონა და დამავიწყდა, რა მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა დანარჩენი სამყაროსთვის. მაგრამ ახლა (დალახვროს ეშმაკმა, ადრე რას ვფიქრობდი?) ვაპირებდი, ეს კედები ხალხით სავსე შტაბში მიმეტანა, დიდ კონვერტში ჩამედო და რომელიმე თანაშემწის ხელით სოფისთვის გამეგზავნა.

ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოხდებოდა: დაკარგული ბავშვების გაუხსნელი საქმეები თაროზე იმ დრომდეა შემოდებული, სანამ ვინმეს თავში არ მოუვა, მათ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ერთხელ კიდევ გადახედოს. თუ ლაბორატორია

კედიდან აღებული სისხლის ანალიზის გაკეთებასა და დნმ-ის მიღებას, მით უმეტეს, სამსხვერპლო ქვაზე აღმოჩენილ სისხლთან დაკავშირებას მოახერხებდა, ეს უკვე ახალი შემობრუნება იქნებოდა დევლინების საქმეში. სწორედ ეს ევალებოდა სოფის. ძველი საქმე თავს წამოყოფდა, გამოძიება გაგრძელდებოდა, უფროსობა, ო ’ კელიდან დაწყებული და მაღლა, ხელიდან არ გაუშვებდა კრიმინალისტების შესანიშნავი წარმატებების აღნიშვნის შესაძლებლობას: რომ პოლიცია არასდროს ნებდება, რომ ჩვენთვის გაუხსნელი საქმეები არ არსებობს, რომ დღედაღამ ვმუშაობთ და ქვეყანას მშვიდად ძილი შეუძლია. პრესა მშვიდობიან მოსახლეობაში არხეინად მოსეირნე ბავშვთა სერიული მკვლელის თემას ააგორებდა, გამოძიება მთელი ძალით გაჩაღდებოდა, პიტერსა და ჯემის მშობლებს, აგრეთვე - ოჰ, ღმერთო! - ადამ რაიანს სისხლს აუღებდნენ. კედებს შევყურებდი. წარმოვიდგინე, როგორ ეშვებოდა მთიდან უმუხრუჭო მანქანა: ჯერ ნელა და წყნარად, შემდეგ კი სულ უფრო და უფრო სწრაფად, სანამ ულმობლად მომქროლავ, დამანგრეველ ბურთად გადაიქცეოდა.

7 თავი

მარკი გათხრების ადგილამდე მივიყვანეთ, მანქანის უკანა სავარძელზე დავტოვეთ და მელსა და სხვა მეზობლებთან სასაუბროდ გავემართეთ. როდესაც ვკითხე, თუ სად გაატარა სამშაბათის ღამე, მელი გაწითლდა და მზერა აგვარიდა, მაგრამ გვითხრა, რომ ის და მარკი გვიანობამდე ბაღში სეირნობდნენ, შემდეგ ერთმანეთს კოცნიდნენ, ბოლოს კი დილამდე მის ოთახში დარჩნენ. ამ დროის განმავლობაში მარკი მხოლოდ ორიოდე წუთით გასულიყო ტუალეტში. "ჩვენ ერთმანეთი ყოველთვის მოგვწონდა, სხვები კი დაგვცინოდნენ. ვფიქრობ, ასე გვეწერა და ეს, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა მომხდარიყო". ქალმა დაადასტურა, რომ მარკს წინაღამე სახლში არ გაუტარებია - თვითონვე უთქვამს, ტყეში ვიყავიო. "არ ვიცი, სხვამაც თუ შეიტყო ამის შესახებ. მსგავს თემებზე საუბარი არ უყვარს".

- ეს ცოტა უჩვეულოდ ხომ არ მოგეჩვენათ?

მელმა მხრები აიჩეჩა და ხელისგული კეფაზე მოისვა.

- მარკი ძალზე ემოციურია. მისი ეს თვისება ყოველთვის მომწონდა.

ღმერთო ჩემო, პატარა გოგოსავით ლაპარაკობდა. უეცრად მომინდა, მხარზე ხელი მომეთათუნებინა და მერჩია, რომ თავი დაეცვა.

მეზობლებმა კესის უამბეს, რომ სამშაბათ ღამეს მარკი და მელი სხვებზე დიდხანს დარჩნენ ბაღში, დილით კი ერთად გამოვიდნენ მისი ოთახიდან, ასე რომ, დღის პირველ ნახევარში, სანამ ქეითის გვამს აღმოაჩენდნენ, განუწყვეტლივ ამ საკითხზე ხუმრობდნენ. ისიც დაადასტურეს, რომ მარკი ზოგჯერ ღამეს სახლში არ ათევდა, თუმცა არ იცოდნენ, ამ დროს სად იმყოფებოდა ხოლმე. რაც შეეხება მის ემოციურობას, ზოგი მგრძნო-

ბიარეს უწოდებდა, ზოგი - ცოტა უცნაურს, ზოგიც - ბრმა ფანატიკოსს.

"ლორის" მაღაზიაში უგემური სენდვიჩები ვიყიდეთ და დასახლების გარშემო აღმართულ კედელზე შემოსკუპულებმა გადავსანსლეთ. მარკი ხელქვეითებს მითითებებს აძლევდა, ხელებს ქუჩაში მოძრაობის მარეგულირებელივით იქნევდა. გავიგონე, როგორ დაიჩივლა შონმა რაღაცაზე და როგორ შეუყვირეს აქეთ-იქიდან, რომ ხმა გაეკმინდა და უსაქმურობის ნაცვლად, მუშაობას შესდგომოდა.

- გეფიცები, მაკერ, თუ შენთან აღმოვაჩენ, უკან შეგთხრი.

- ო-ო, შონს მენსტრუაცია დასწყებია.

- საკუთარი უკანალი თუ შეამოწმე?

- გეყოფა, შონ, იქნებ კოპებმა წაიღეს.

- იმუშავე, შონ! - დაუყვირა მარკმა.

- არ შემიძლია ჩემი ფითხის გარეშე.

- ვინმესგან ითხოვე.

- აი, მე მაქვს, აიღე, - შესთავაზა ვიღაცამ.

ფითხი ტრიალ-ტრიალით გადაფრინდა ხელიდან ხელში, ლითონის პირი უბზინავდა. შონმა ის ჰაერში დაიჭირა და მუშაობას შეუდგა, თუმცა კვლავ ბუზღუნებდა.

- რა გაიძულებდა ღამით ადგომასა და სახლიდან გასვლას, თორმეტი წლის რომ იყო? - მკითხა კესიმ.

ტყის სიჩუმეში ხეების ფესვებსა და ძველისძველ ქვებს შორის ცთომილი ალივით მოხტუნავე სინათლის სუსტი, ოქროსფერი წრე გამახსენდა.

- ეს რამდენჯერმე გაგვიკეთებია, - ვთქვი მე, - ღამეს ჩვენს ტყის სახლში ვატარებდით. უწინ აქ ყველგან ტყე იყო, თითქმის გზამდე.

საძილე ტომრები ფიცარფენილზე, კომიქსების კითხვა ფარნების შუქზე. რაღაცის გაფაჩუნება, გვერდზე გაწეული ფარნის

შუქი მეზობელ ხეზე ჩამოკიდებული რაღაც არსების ოქროსფერ თვალებში ირეკლება. ყველანი ვყვირით. ჯემი წამოხტება და საცუმას[53] ესვრის. ის ხმაურით ჩამოყრის ფოთლებს და სიბნელეში ქრება...

კესიმ მუყაოს კოლოფში ჩასხმული წვენის ზემოდან გადმომხედა.

- ჰო, მაგრამ შენ იქ მეგობრებთან ერთად იყავი. მარტო რომ ყოფილიყავი?

- დავუშვათ, გოგონა ვინმეს უნდა შეხვედროდა. ვთქვათ, დანაძლევდნენ ან იქ რაღაც მნიშვნელოვანი დარჩა. მის მეგობრებს დაველაპარაკოთ. შესაძლოა, ვინმეს რამე უამბო.

- ეს ყველაფერი შემთხვევით არ მომხდარა, - თქვა კესიმ. არქეოლოგებმა კვლავ მუსიკა ჩართეს, - თუნდაც მშობლები არაფერ შუაში იყვნენ. ის კაცი არ წავიდოდა და პირველივე შემხვედრ ბავშვს არ მოკლავდა. დიდხანს გეგმავდა. უბრალოდ, გოგონას კი არ ეძებდა, მას კესი სჭირდებოდა.

- და ამ ადგილებსაც კარგად იცნობდა, - დავამატე მე, - რადგან სიბნელეში სამსხვერპლო ქვას მიაგნო, თანაც გვამთან ერთად. როგორც ჩანს, ადგილობრივია.

მზით განათებული ტყე ნათელი და მხიარული ჩანდა, ჩიტები ჟღურტულებდნენ, ვარჯები ჭრიალებდნენ, ჩემ ზურგს უკან კი ერთმანეთის მიყოლებით მოჩანდა პატარა, კოხტა სახლები.

"დაწყევლილი ადგილია", - წამომცდა კინაღამ, მაგრამ არაფერი მითქვამს.

სენდვიჩების შემდეგ დეიდა ვერასა და ქეითის დეიდაშვილებისკენ გავემართეთ. ცხელოდა. ჯერ შუადღე იდგა, მაგრამ და-

---

[53] საცუმა - იაპონური მანდარინი.

სახლება "მარია სელესტასავით"[54] გაუკაცრიელებულს ჰგავდა: ფანჯრები დაეხშოთ, ქუჩაში ერთი ბავშვიც არ ჩანდა. ყველანი შინ ისხდნენ მშობლების მეთვალყურეობით, უფროსების საუბარს ისმენდნენ და ცდილობდნენ, გაეგოთ, რა ხდებოდა.

ფოლების ოჯახი შეუხედავთა ერთობას ჰგავდა. თხუთმეტიოდე წლის ქალიშვილმა, რომელიც სავარძელში გულხელდაკრეფილი, დედაკაცივით წელგამართული იჯდა, უხალისო, ქედმაღლური მზერა მოგვაპყრო. მის ათი წლის დას, მულტფილმის პერსონაჟი გოჭი რომ გეგონებოდათ, საღეჭი რეზინი ერთი ყბიდან მეორეში გადაჰქონდა, ზოგჯერ ენით გარეთ გამოიტანდა ხოლმე და კვლავ პირში აბრუნებდა. უმცროსი დაც კი უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა - მოზრდილ ჯუჯა ადამიანს ჰგავდა დამანჭული, შესივებული სახითა და ნისკარტივით ცხვირით. დეიდა ვერას კალთაში მჯდარმა ერთხანს თვალებახამხამებულმა გვიყურა, შემდეგ კი უკმაყოფილო სახით ნიკაპი ყელის ნაკეცებში ჩამალა. დარწმუნებული ვიყავი, პირი რომ გაეღო, საშინელ ხმას გამოსცემდა. სახლში კომბოსტოს სუნი იდგა. ვერ გამეგო, რა უნდოდათ აქ როზალინდასა და ჯესიკას, მაგრამ ისინი დროდადრო მოდიოდნენ ხოლმე, რაც არ მომწონდა.

პატარა ბავშვის გარდა, ყველა ერთსა და იმავეს ჰყვებოდა. როზალინდა, ჯესიკა და ზოგჯერ ქეითიც კი, ორ-სამ კვირაში ერთხელ ღამეს აქ ათევდნენ.

ვალერი და შერონი დევლინებთან უფრო იშვიათად დადიოდნენ ("მინდოდა, უფრო ხშირად გვწვეოდნენ, - განაცხადა ვერამ, რომელიც ჟურნალის ყდას აწვალებდა, - მაგრამ სუსტი ნერვები მაქვს და ერთად თავმოყრილ ამდენ ხალხს ვერ გავუძლებდი"). ვერავინ გაიხსენა, ვის მოუვიდა თავში ღამის თევით

---

[54] "მარია სელესტა" - გემი, რომელიც 1872 წელს შუა ზღვაში იპოვეს, მასზე სულიერი არ ჭაჭანებდა; გემი-მოჩვენება.

წასვლის აზრი. ვერას თქმით, პირველმა ეს მარგარეტმა გააჟღერა. ორშაბათ საღამოს როზალინდა და ჯესიკა რვის ნახევრისთვის მოვიდნენ, ტელევიზორს უყურეს და პატარას გაეთამაშნენ (გამიჭირდა ამ სცენის წარმოდგენა: ჩვენი მათთან ყოფნის პერიოდში იგი არც კი განძრეულა, - რაღა ასეთთან გითამაშია და რაღა დიდ კარტოფილთან), თერთმეტი საათისთვის კი დასაძინებლად დაწვნენ, რისთვისაც ვალერისა და შერონის ოთახში ორადგილიანი საწოლი გაუყვეს.

როგორც ჩანს, უსიამოვნებაც მაშინ დაიწყო: გოგონები კიდევ დიდხანს ლაქლაქებდნენ და ხითხითებდნენ.

- ცხადია, კარგი გოგოები არიან, ოფიცრებო, მაგრამ ახალგაზრდებს ზოგჯერ არ ესმით, როგორ გვიშლიან ნერვებს ჩვენ, მოხუცებს, ასე არ არის? - ვერამ გაიცინა და იდაყვი გაჰკრა შუათანა დას, რომელმაც კუთხისკენ დაიხია, - ოცჯერ მაინც შევედი მათ ოთახში და დაწყნარება ვთხოვე. სწორად გამიგეთ: ხმაურს ვერ ვიტან. წარმოიდგინეთ, სამის ნახევრამდე ვერ მოისვენეს. ცხადია, ნერვები მომეშალა, თითქოს ეკლებზე ვიჯექი. ბოლოს ავდექი და სამზარეულოში გავედი ჩაის მოსამზადებლად. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, დილით კი მოწყვეტილივით ვიყავი. შემდეგ მარგარეტმა დარეკა და ლამის ჭკუაზე შევიშალეთ, ხომ ასეა, გოგონებო? მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდი... თავდაპირველად გვეგონა, რომ უბრალოდ... - ვერამ აკანკალებული ხელი პირზე აიფარა.

- მოდი, წინაღამეს დავუბრუნდეთ, - თქვა კესიმ და უფროსი დისკენ მიტრიალდა, - რაზე საუბრობდით თქვენს დისშვილებთან ერთად?

ქალიშვილმა, სავარაუდოდ, ვალერიმ, თვალები ამოატრიალა და გაიდრუნჩა, რითაც მიანიშნა, ეს რა სულელური შეკითხვააო.

- ისე, ყველაფერზე.

- ქეითიც?

- არ მახსოვს. ალბათ. როზალინდამ თქვა, რა კარგია, რომ სამეფო საბალეტო სკოლაში შევიდაო. ჩემი აზრით კი, ამაში განსაკუთრებული არაფერია.

- რას იტყვით თქვენი დეიდისა და ბიძის შესახებ? მათ შესახებაც ლაპარაკობდით?

- დიახ. როზალინდამ გვითხრა, საშინლად გვექცევიან, ყველაფერს გვიკრძალავენო.

- ღმერთო ჩემო, ვალერი, აბა, რას ამბობ? - შესძახა აღშფოთებულმა ვერამ, - მერწმუნეთ, მარგარეტი და ჯონათანი ყველაფერს აკეთებენ თავიანთი შვილებისთვის, ნემსის ყუნწში ძვრებიან...

- ჰო, რა თქმა უნდა. იქნებ როზალინდაც იმიტომ გაიქცა სახლიდან, რომ მასზე ასე ზრუნავდნენ?

მე და კესი გავშტერდით, მაგრამ ვერამ დაგვასწრო და თქვა:

- ხომ გთხოვე, ვალერი. ასე ლაპარაკი არ შეიძლება. გაუგებრობა მოხდა, მეტი არაფერი. როზალინდა დაუფიქრებლად მოიქცა, საბრალო მშობლები ანერვიულა. თუმცა ეს წარსულში მოხდა და მასაც უკვე აპატიეს...

მოთმინებით ველოდით მათი საუბრის დასრულებას.

- როზალინდა რატომ გაიქცა სახლიდან? - ვკითხე ვალერის.

მან მხრები შეარხია.

- იმიტომ, რომ მოჰბეზრდა მამის მბრძანებლობა. ვფიქრობ, ბიძიამ დაარტყა კიდეც.

- ვალერი! მსგავსი არაფერი მომხდარა. არ ვიცი, ეს რამ მოაფიქრებინა. ჯონათანს ბავშვებისთვის თითიც კი არასდროს დაუკარებია. ეს გამორიცხულია. როზალინდა ძალზე მგრძნობიარე გოგოა. ის და მამამისი შეკამათდნენ, კაცი კი ვერ მიხვდა, რომ შვილი გაღიზიანებული იყო, და...

ვალერი სავარძელზე გადაწვა და მე მომაჩერდა, მოწყენილ სახეზე თვითკმაყოფილების ღიმილი შეეპარა.

- ეს როდის მოხდა? - იკითხა კესიმ.

- ოჰ, აღარ მახსოვს. დიდი ხნის წინათ, თუ არ ვცდები, შარშან... დიახ...

- მაისში, - გააწყვეტინა ვალერიმ, - ამ წლის მაისში.

- დიდხანს არ დაბრუნებულა?

- სამი დღე. პოლიციაც მოვიდა და ასე შემდეგ.

- თქვენ თუ იცით, სად იყო ამ ხნის განმავლობაში?

- ვიღაც ბიჭთან ერთად გაიქცა, - გაეცინა ვალერის.

- არაფერიც! - იყვირა ვერამ, - ეს მხოლოდ მოიგონა, რათა საცოდავი დედისთვის გული მოეკლა, ღმერთმა შეუნდოს. სინამდვილეში, თავის სკოლის მეგობარ გოგონასთან იყო, რა ჰქვია... კარენთან, უიკენდის შემდეგ კი შინ დაბრუნდა.

- რახან შენ იტყვი, - ჩაილაპარაკა ვალერიმ.

- ჩაი მინდა! - ხმამაღლა განაცხადა უმცროსმა დამ.

მართალი აღმოვჩნდი - მას ფაგოტივით ხმა ჰქონდა.

როგორც ჩანს, ამით აიხსნებოდა, თუ რატომ დაასკვნეს ჩვენს განყოფილებაში ასე სწრაფად, რომ ქეითი გაიქცა. თორმეტი წელი ბავშვური ასაკია და მსგავს შემთხვევებში მშობლები შვილების დაბრუნებას კი არ ელოდებიან, დაუყოვნებლივ მათ ძებნას იწყებენ და პრესას მიმართავენ. მრავალსულიან ოჯახებში გაქცევის მცდელობა გადამდებია, უმცროსები უფროსებს ჰბაძავენ. უგზო-უკვლოდ ძებნის განყოფილებამ დევლინები თავის ბაზაში გადაამოწმა, როზალინდას შესახებ ინფორმაცია აღმოაჩინა და გადაწყვიტა, რომ ქეითიც ასევე მოიქცა, ანუ მშობლებს წაეჩხუბა და მეგობარ გოგონასთან დაიმალა. იფიქრეს, მალე დამშვიდდება და დაბრუნდებაო.

სიმართლე გითხრათ, გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ ვერას ორშაბათს უძილო ღამე გაეტარებინა. როგორი საშინელიც

უნდა იყოს ეს აზრი, ზოგჯერ ეჭვი მიპყრობდა ჯესიკასა და როზალინდას თაობაზე. ჯესიკა გარეგნულად სუსტი ჩანდა, მაგრამ აშკარად ფსიქიკურად გაუწონასწორებელი იყო, შეშლილებს კი, ცნობილია, ხშირად უჩვეულო ძალა აქვთ. მას, შესაძლოა, შურდა კიდეც ქეითის წარმატების. როზალინდა აგზნებული ჩანდა, გააფთრებით ზრუნავდა უმცროს დაზე. და თუ ჯესიკამ ეჭვიანობის ნიადაგზე ძალზე ღრმად შეტოპა... ვგრძნობდი, რომ მსგავსი ფიქრები კესისაც აწვალებდა, მაგრამ იგი დუმდა და ეს მაღიზიანებდა.

- მინდა, გავიგო, რატომ გაიქცა როზალინდა სახლიდან, - ვთქვი მე, როდესაც ფოლების სახლიდან გამოვედით. შუათანა დას სასტუმრო ოთახის ფანჯარაზე ცხვირი მიედო და გვეჭყანებოდა.

- და სად გაიქცა, - დაამატა კესიმ, - ხომ არ შეხვდებოდი? ვფიქრობ, ჩემზე უკეთ შენ მოახერხებ მის ალაპარაკებას.

- სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ თვითონ დამირეკა, - მივუგე მე, - შევთანხმდით, რომ ხვალ შევხვდებით. მითხრა, რაღაც უნდა გიამბოთო.

კესიმ ბლოკნოტი თავის პატარა ზურგჩანთაში ჩადო და დაჟინებით შემომხედა, რომლის აზრსაც ვერ ჩავწვდი. წამით გავიფიქრე, თავმოყვარეობა ხომ არ შეელახა, როზალინდამ მე რომ მომმართა და არა მას-მეთქი. დაზარალებული ოჯახის წევრებს შორის კესი ყოველთვის ჩემზე მეტი ნდობით სარგებლობდა და ფარულმა აზრმა, რომ ამჯერად ვაჯობე, პატარა ბიჭივით გამახარა. მე და კესის ერთმანეთთან დაძმური ურთიერთობა გვქონდა და ეს ორივეს გვაწყობდა, მაგრამ ზოგჯერ დაპირისპირება დასა და ძმას შორისაც ჩნდება. კესი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ კი ჩაილაპარაკა:

- შესანიშნავია. ეს გაქცევის მიზეზის დადგენას გაგიადვილებს.

მან ჩანთა ზურგზე მოიგდო და გზისკენ გავემართეთ. კესის ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და მინდვრებს გაჰყურებდა. ვერ გამეგო, ბრაზობდა თუ არა ჩემზე იმის გამო, რომ როზალინდას სატელეფონო ზარის შესახებ არაფერი ვუთხარი. ყოველი შემთხვევისთვის, იდაყვი მსუბუქად გავკარი. კესიმ ფეხი ასწია და მუხლი საჯდომში მითავაზა.

დღის დარჩენილი ნაწილი მეზობლების კარდაკარ შემოვლას მოვანდომეთ. ეს მოსაწყენი და უმადური საქმეა და მას უფრო ხშირად თანაშემწეები ასრულებენ, მაგრამ გვაინტერესებდა, რას ფიქრობდნენ დევლინების შესახებ აქაურები. აი, როგორი სურათი მივიღეთ: წესიერი ოჯახი ჰქონდათ, ოღონდ თავი ცოტა განზე ეჭირათ, განცალკევებულობა კი არცთუ კარგი იყო - ნოკნარის მსგავს პატარა და სოციალურად ერთგვაროვან ქალაქში ასეთი საქციელი შეურაცხყოფად აღიქმებოდა და უპატიებელ სნობიზმს ნახევარი ნაბიჯითღა ჩამორჩებოდა. სამაგიეროდ, ქეითს ეპყრობოდნენ სრულიად განსხვავებულად: სამეფო საბალეტო სკოლაში ჩარიცხვით იგი ნოკნარის სიამაყედ იქცა და განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა - ღარიბებიც კი სწირავდნენ ფულს მის მხარდამჭერ ფონდში. ყველა აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მისი ცეკვის შესახებ, ზოგიერთი ტიროდა კიდეც. ბევრი მხარს უჭერდა ჯონათან დევლინის კამპანიას გზის მშენებლობის წინააღმდეგ და როდესაც ამას ვუხსენებდით, აღშფოთებით გვიყურებდნენ. ზოგიერთს, პირიქით, არ მოსწონდა, რომ დევლინი პროგრესს უშლიდა ხელს და ეკონომიკასაც ძირს უთხრიდა - ასეთებს ჩემს ბლოკნოტში ვინიშნავდი. უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ჯესიკას თავში ყველაფერი რიგზე არ ჰქონდა.

დავინტერესდით, რამე საეჭვო ხომ არ ენახათ, და მაშინვე ჩამოგვიწიკწიკეს ადგილობრივი ახირებული თუ უცნაური ადამიანების სია: პაბებში ღრიალის მოყვარული ვიღაც მოხუცი, ორი მოზარდი, რომლებიც მდინარეში ვითომდა კატებს ახ-

რჩობდნენ. დაამატეს ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ოჯახები და ღამის იდუმალებით მოცული ამბები. ერთი ძველი საქმეც გაიხსენეს, თუმცა ახალი არაფერი უთქვამთ; გათხრების დაწყებამდე ნოკნარის დიდებას მხოლოდ გზატკეცილის მშენებლობასთან ბრძოლა და ქეითი მატებდა. მომეჩვენა, რომ რამდენიმე გვარი და სახე მეცნო კიდეც. მათთვის ჩემი პროფესიული, არაფრის მთქმელი მზერა გავიმეტე.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ნოკნარი-დრაივის ოცდაშვიდ ნომერ სახლსაც მივადექით და მისის ფიცჯერალდსაც მივაგენით - ჩვენდა გასაოცრად, ჯერაც ცოცხალსა და მხიარულს. ოთხმოცდარვა წლის ასაკშიც კი აღგაფრთოვანებდათ. გამხდარმა, ნახევრად უსინათლომ და ლამის წელში ორად მოკეცილმა მისის ფიცჯერალდმა მკვირცხლად შემოგვთავაზა ჩაი, ჩვენი თავაზიანი უარი არაფრად ჩააგდო და სამზარეულოსკენ გაემართა. ცდილობდა, ჭურჭლის ხმაური თავისი ხმით გადაეფარა, შემდეგ დაინტერესდა, ხომ არ მივაგენით მის საფულეს, რომელიც ვიღაც ყმაწვილს მოეპარა მისთვის ქალაქში სამი თვის წინათ, და თუ არა - რატომ. წაკითხული გვქონდა მისი უფერული ჩვენებები, ამიტომაც გვაოცებდა, თუ როგორ წუწუნებდა თავისი შესივებული კოჭების შესახებ ("ისინი ნამდვილ მოწამედ მაქცევენ"), და აღშფოთება ვერ დამალა, როდესაც მისი დახმარება დავაპირე და ლანგრის გამორთმევა მოვინდომე. ეს იმას ჰგავდა, პაბში ტუტანხამონსა[55] და მის ჰევიშემს[56] რომ შეევლოთ და თითო პინტი ლუდი მოეთხოვათ. მან გვითხრა, რომ დუბლინელი იყო - "ლიბრეტიზის[57] შვილი"

---

[55] ტუტანხამონი - ეგვიპტის ფარაონი ძვ. წ. დაახლოებით 1332-1323 წლებში.

[56] მის ჰევიშემი - ჩარლზ დიკენსის რომანის "დიდი იმედების" პერსონაჟი, შინაბერა, რომელიც მრავალი წელი სახლიდან არ გასულა.

[57] ლიბრეტიზი - რაიონი დუბლინში.

დაბადებითაც და რწმენითაც, მაგრამ ოცი წლის წინათ ნოკნარიში დასახლდა ქმართან ("ღმერთმა აცხონოს მისი სული") ერთად, რომელმაც მატარებლის მემანქანედ მუშაობას თავი დაანება და პენსიაზე გავიდა. მას შემდეგ ეს პატარა ქალაქი მისის ფიცჯერალდისთვის მთელ სამყაროდ იქცა და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მისი ისტორიის ყველა წვრილმანი ემახსოვრებოდა. ცხადია, იგი დევლინებსაც იცნობდა და მათზე მუდამ მოწონებით ლაპარაკობდა:

- ოჰ, შესანიშნავი ოჯახი აქვთ. მარგარეტ კელი ყოველთვის მშვენიერი გოგონა იყო, დედა არასდროს გაუბრაზებია, გარდა... - მან კესის ცერად გადახედა და შეთქმულივით ხმადაბლა განაგრძო, - გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უდროოდ დაფეხმძიმდა. ბუნებრივია, გეცოდინებათ, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს მოზარდთა დაორსულება დიდად არ აღაფრთოვანებთ, ჩემი აზრით კი, ამაში გამორჩეულად ცუდი არაფერია. საერთოდ, ეს დევლინი საკმაოდ თავქარიანი ყმაწვილი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოჯახს მოეკიდა, სრულიად შეიცვალა. მუშაობა დაიწყო, სახლი იყიდა, საუცხოო ქორწილი გადაიხადა. ასე რომ, დაქორწინება სასიკეთოდ წაადგა. საშინელებაა, რაც მათ პატარა გოგონას შეემთხვა - ღმერთმა გაანათლოს მისი სული, - მოხუცმა პირჯვარი გადაიწერა და ხელზე ხელი მომითათუნა, - და თქვენ ინგლისიდან ჩამოხვედით იმის დასადგენად, ვინ ჩაიდინა ეს? შესანიშნავია. კარგი ადამიანი ბრძანებულხართ. ღმერთმა დაგლოცოთ.

- ბებერი ერეტიკოსი, - ვთქვი ქუჩაში გამოსვლის შემდეგ. მისის ფიცჯერალდმა უზომოდ გამამხიარულა, - ნეტავ მეც შემომრჩეს ამდენი ენერგია ოთხმოცდარვა წლის ასაკში.

საღამოს ექვსი საათისთვის მუშაობა შევწყვიტეთ და ადგილობრივ პაბში, "მუნისში", შევედით ახალი ამბების მოსასმენად. დასახლების მხოლოდ მცირე ნაწილის შემოვლა მოვახერხეთ,

მაგრამ საერთო განწყობის დადგენა უკვე შევძელით, თანაც საკმაოდ გრძელი დღე გამოგვივიდა: მეგონა, კუპერთან შეხვედრის შემდეგ ორი დღე მაინც გავიდა-მეთქი. სინამდვილეში, მერჩივნა, მანამდე არ გავჩერებულიყავი, სანამ ჩემს ძველ ქუჩას არ მივაღწევდი, რათა დამენახა, როგორ გამიღებდა კარს ჯემის დედა, პიტერის და-ძმებისთვისაც შემეხედა და გამეგო, ვინ ცხოვრობდა ჩემს ოთახში. მაგრამ ეს ძალიან ცუდი იდეა იყო.

დროულად მოვედით: როგორც კი ჩვენს მაგიდაზე ყავა მოვიტანე, ბარმენმა ტელევიზორს ხმა აუწია და მუსიკალურმა ქუდმა ახალი ამბების დაწყება გვამცნო. ძირითადად, კვლავაც ქეითზე საუბრობდნენ. სტუდიის დიქტორები დაძაბული სახითა და ტრაგიკული ხმით ლაპარაკობდნენ, მარცხენა დაბალ კუთხეში "აირიშ თაიმსის" ლოგოტიპი ციმციმებდა.

- ნოკნარიში მიმდინარე გათხრების ადგილას გუშინ ნაპოვნი თორმეტი წლის გოგონა ქეითლინ დევლინი აღმოჩნდა, - მკაფიოდ განაცხადა მამაკაცმა. ან ტელევიზორს სჭირდა რაღაც, ან დიქტორს წაესვა ზედმეტი კოსმეტიკური კრემი, ვინაიდან სახე თითქმის განარინჯისფრებოდა, თვალის თეთრი გარსი კი არაბუნებრივად თეთრად უბრწყინავდა. დახლთან მდგომმა მოხუცებმა მხრები შეარხიეს და ეკრანს მიაჩერდნენ, თან ჭიქებს აწკარუნებდნენ, - სამშაბათ დილას ქეითლინი ახლომდებარე სახლიდან გაუჩინარდა. პოლიცია ადასტურებს, რომ მკვლელობის ვერსიაზე მსჯელობს, და ყველას, ვინც კი ამ საქმის შესახებ რამე იცის, ინფორმაციის მიწოდებას სთხოვს, - ქვემოთ ცისფერ ფონზე თეთრად დაწერილი ტელეფონის ნომერი გამოჩნდა, - დანაშაულის ადგილიდან ორლა მენეჰენი გვერთვება.

კადრში გრძელცხვირიანი ქალი გამოჩნდა, ქერა თმა მოკლედ შეეჭრა. მის ზურგს უკან სამსხვერპლო ქვა მოჩანდა, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, მაგრამ ნელ-ნელა უკვე მოდიოდნენ ადამიანები და

ბრჭყვიალა ცელოფანში გახვეული ყვავილები და ვარდისფერი სათამაშო დათუნიები მოჰქონდათ. უკანა პლანზე სოფის გუნდის მიერ დატოვებული გადამღობი ლენტის ბოლო ფრიალებდა.

- სწორედ ამ ადგილას აღმოაჩინეს გუშინ დილით ქეით დევლინის ცხედარი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სრულიად ნორჩი იყო, პატარა ნოკნარიში ქეითს ყველა იცნობდა. ცოტა ხნის წინათ იგი პრესტიჟულ სამეფო საბალეტო სკოლაში ჩაირიცხა და რამდენიმე კვირის შემდეგ იქ გამგზავრებასა და მეცადინეობის დაწყებას აპირებდა. ქეითის ტრაგიკულმა სიკვდილმა შეძრა ნოკნარის მოსახლეობა, რომელსაც გოგონა თავისი ქალაქის სიამაყედ მიაჩნდა.

ოდნავ მოხტუნავე კამერა მაღაზია "ლორის" ფონზე გაჩერებულ მოხუც ქალს მიადგა, რომელსაც ყელზე ჭრელი შარფი ეკეთა. "ოჰ, რა საშინელებაა". ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მან ძირს დაიხედა და თავი გადააქნია, თან განუწყვეტლივ იღეჭებოდა. მის უკან ველოსიპედისტმა ჩაიარა და კამერას თვალი გააყოლა. "ცხადია, საშინელებაა. ყველანი ვლოცულობთ უბედური ოჯახისთვის. ნეტავ ვინ ჩაიდო გულში ბოროტი ზრახვა ამ საყვარელ გოგონაზე?" დახლთან მდგომი მოხუცები ყრუდ აბუზღუნდნენ.

კვლავ ქერათმიანი ქალი გამოჩნდა.

- სავარაუდოდ, ნოკნარისთვის ეს პირველი ძალადობრივი სიკვდილი არ არის. ათასობით წლის წინათ ეს ქვა, - მან ისე გაიშვირა ხელი, როგორც სახლის მფლობელი აჩვენებს თავის ახალ სამზარეულოს, - დრუიდების საკურთხეველი იყო. არქეოლოგების აზრით, შესაძლოა, მასზე ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ. მაგრამ დღეს პოლიციამ განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ქეითის სიკვდილი რელიგიურ კულტს არ უკავშირდება.

ესეც ო ' კელი დუბლინის პოლიციის ლოგოტიპის ფონზე. მას კუბოკრული პიჯაკი აცვია, მკაცრად იყურება. ო ' კელიმ ჩვენ მი-

ერ მიწოდებული სია ჩაიკითხა - ცხოველთა ძვლების არარსებობა და ასე შემდეგ. კესიმ ხელი გამომიწოდა და წაგებული ხუთი გირვანქა სტერლინგი მივეცი.

კვლავ ნარინჯისფერი წამყვანი.

- მაგრამ ნოკნარის კიდევ აქვს ერთი საიდუმლო. 1984 წელს ორი ბავშვი...

ეკრანზე ძველი ფოტოსურათები გამოჩნდა: ყურებამდე გაღიმებული პიტერი შუბლზე მოკლედ შეკრეჭილი თმით; მოზრდილივით ოდნავ ირონიულად მოღიმარი ჯემი, რომელსაც სურათის გადაღება არ უყვარდა.

- აჰა, დაიწყო, - ვთქვი, შეძლებისდაგვარად, გულგრილი კილოთი.

კესიმ ყავა მოსვა და მკითხა:

- ო ' კელის ეტყვი?

ველოდი ამ შეკითხვას, იმასაც ვხვდებოდი, რატომ მეკითხებოდა, მაგრამ ეს მაინც მზის წნულში დარტყმასავით მივიღე. დახლთან შეგროვილ საზოგადოებას გავხედე - ყველანი ყურადღებით მისჩერებოდნენ ტელევიზორს.

- არა, - მივუგე, - მაშინ საქმეს ჩამომაცილებენ, მე კი ეს არ მინდა, კეს.

მან თავი ნელა დამიქნია.

- მაგრამ, თუ შეიტყობს...

თუ შეიტყობს, შესაძლოა, ორივენი გაგვყარონ განყოფილებიდან ან პატრულებამდე დაგვაქვეითონ. ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა.

- ვერ გაიგებს, - ვთქვი მე, - როგორ უნდა გაიგოს? თუ შეიტყობს, ვიტყვით, რომ არაფერი იცოდი.

- უცებ არ დაიჯეროს... მაგრამ მთავარი ეს არაა.

ეკრანზე ქრონიკის კადრები გაუშვეს: პოლიციელი თასმაზე გამობმულ გაშმაგებულ გერმანულ ნაგაზთან ერთად ტყეში შედის. მყვინთავი მდინარიდან ამოდის და თავს აქეთ-იქით აქნევს.

- კესი, - ვთქვი მე, - ვიცი, რასაც მეკითხები, მაგრამ, გთხოვ. ეს უნდა გავაკეთო. ამას ვერ მივატოვებ.

დავინახე, როგორ სწრაფად აახამხამა თვალები და მივხვდი, რომ იმაზე სასოწარკვეთილი ხმით ვლაპარაკობდი, ვიდრე მინდოდა.

- ჩვენ ჯერ ისიც კი არ ვიცით, ამ ორ საქმეს შორის კავშირი თუ არის, - განვაგრძე უფრო მშვიდად, - და თუ არის, შემიძლია, გამოძიებისთვის სასარგებლო ფაქტები გავიხსენო. გთხოვ, კესი, ზურგიდან დამიცავი.

იგი ცოტა ხანს დუმდა, ყავას სვამდა და ტელევიზორს ჩაფიქრებული მისჩერებოდა.

- არსებობს ალბათობა, რომ რომელიღაც თავგამოდებული რეპორტიორი...

- არა, - მივუგე მკვირცხლად. ამის შესახებ ხშირად მიფიქრია. საქმეშიც კი არ იყო მითითებული ჩემი ახალი სახელი და ახალი სკოლა, გადმოსვლის შემდეგ კი მამამ პოლიციას ბებიის მისამართი უთხრა. ოცი წლის ვიყავი, როცა იგი გარდაიცვალა, მისი სახლი კი გავყიდეთ, - ჩემი მშობლები ცნობარებში არ არიან, მისამართი კი...

- თანაც მაშინ რობი გერქვა. მაშასადამე, ჩვენ ყველაფერს მოვახერხებთ.

"ჩვენ" და კესის პრაქტიკული, წინდახედული კილო - თითქოს კიდევ ერთი იმ კატეგორიის პრობლემა გადავწყვიტეთ, როგორიც გაქცეული ეჭვმიტანილი ან დადუმებული მოწმეა. გულში სითბო ჩამეღვარა.

- თუ რაღაც ისე არ იქნება, პაპარაცების თავიდან მოშორებაში დამეხმარები, - ვთქვი მე.

- კარგი, კარატეს შესწავლას დავიწყებ.

ტელევიზორში ქრონიკა ამოიწურა და ქერათმიანმა ქალმა რეპორტაჟი ასეთი სიტყვებით დაასრულა:

- ახლა ნოკნარის მოსახლეობას მხოლოდ ლოდინი და... იმედიანად ყოფნა დარჩენია.

კამერამ ახლოდან უჩვენა სამსხვერპლო და კვლავ სტუდიაში გადაინაცვლა, სადაც ნარინჯისფერმა წამყვანმა რომელიღაც დაუსრულებელი სასამართლო პროცესის შესახებ განაგრძო ლაპარაკი.

ნივთები კესისთან დავტოვეთ და პლაჟისკენ გავისეირნეთ. მომწონს სენდიმაუნთის სანაპირო. კარგი სანახავია ზაფხულის იშვიათ მზიან დღეს, როდესაც ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ ბიკინიანი მზემოკიდებული ქალიშვილები დასეირნობენ, მაგრამ უფრო მეტად, რატომღაც, მოსაწყენ ირლანდიურ ამინდში მომწონს, როდესაც წვიმა ცრის და ქარი წვეთებს სახეში გცემს, ყველაფერი შეუმჩნეველ, პურიტანულ ნახევარტონებში იძირება: მოთეთრო-მონაცრისფრო ღრუბლები, ნიჟარებიანი, მოყვითალო ქვიშის ბორცვები, ჰორიზონტზე მომწვანო-მორუხო ზღვა, განიერი, აბსტრაქტული, მოვერცხლისფრო რკალები იქ, საიდანაც მოქცევა არათანაბრად მოდის. კესის მორუხო-მომწვანო, ამობურცულზოლებიანი პლისე შარვალი და განიერი, მოყვითალო-მოყავისფრო სპორტული ქურთუკი აცვია, ქარისგან ცხვირი გასწითლებია. ჩვენ წინ, ქვიშაზე, შორტსა და მაისურში გამოწყობილი აწოწილი ქალიშვილი - როგორც ჩანს, ამერიკელი სტუდენტი - მიაბიჯებს; უფრო მაღლა, სასეირნო მოედანზე, ახალგაზრდა დედა ორადგილიან საბავშვო ეტლს მიაგორებს.

- რაზე ფიქრობ? - ვკითხე კესის.

გამოძიებას ვგულისხმობდი, მაგრამ კესი ხასიათზე ვერ იყო - მასში ენერგია ყოველთვის შადრევანივით ჩქეფდა, დღეს კი ამ-დენი საათი პირქუშ ბინებში გაეტარებინა.

- არა, ხომ გაიგონეთ? თუ ქალი კაცს რამეს ეკითხება, მაშასა-დამე, აკიდება სურს, მაგრამ თუ კაცი...

- წესიერად მოიქეცი, - გავაწყვეტინე და სახეზე კაპიუშონი ჩა-მოვაფარე.

- მიშველეთ! მჩაგრავენ! - შესძახა მან იქიდან, - სასწრაფოდ გამოიძახეთ სქესთა თანასწორობის კომისია!

ეტლიანმა ქალმა უკმაყოფილო სახით შემოგვხედა.

- ზედმეტად აღგზნებული ხარ, - ვუთხარი კესის, - დაწყნარდი, თორემ შინ წაგიყვან და უნაყინოდ დაგტოვებ.

მან კაპიუშონი მოიხადა, ქვიშაზე გაირბინა და რამდენიმე სალტო გააკეთა. ჩემი პირველი შთაბეჭდილება კესის შესახებ აბსოლუტურად ზუსტი აღმოჩნდა: იგი რვა წელი დადიოდა ტან-ვარჯიშზე და ფორმა აქამდე შეენარჩუნებინა. სპორტი იმიტომ მიატოვა, რომ შეჯიბრებები არ უყვარდა. მას მხოლოდ მოძ-რაობა, სტილი, მოქნილობა და სილამაზე მოსწონდა. მისი სხეული ამ მოგონებებს ჯერაც ინახავდა. როდესაც დავეწიე, აქოშინებული იჯდა და ხელებიდან ქვიშას იფერთხავდა.

- აბა, უკეთესია? - ვკითხე ღიმილით.

- ბევრად. რაზე მელაპარაკებოდი?

- საქმეზე. სამუშაოზე. მკვლელობაზე.

- აჰა, გასაგებია.

კესი მაშინვე დასერიოზულდა. ქურთუკი გაისწორა და გზა განვაგრძეთ, ფეხქვეშ ქვიშა და ნიჟარები ხრაშუნობდა.

- საინტერესოა, რანაირები იყვნენ პიტერ სევიჯი და ჯემი როუენი, - ჩაილაპარაკა კესიმ.

იგი პატარა, კოხტა, სათამაშოსავით ბორანს გაჰყურებდა, რომელიც ნელა მიცურავდა ჰორიზონტზე. კესის წვიმის წვეთებით დაფარულ სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე.

- რატომ? - ვკითხე მე.

- არ ვიცი. უბრალოდ, მაინტერესებს.

ამ შეკითხვამ კარგა ხნით ჩამაფიქრა. ჩემი მოგონებები მეგობრების შესახებ დროთა განმავლობაში კედელზე დახატული სურათივით გაცვდა და გაუფერულდა: აი, ჯემი მარჯვედ და თავდაჯერებულად მიძვრება ხეზე, პიტერი გულიანად იცინის მზით გაკაშკაშებული მწვანე ვარჯის სიღრმიდან. უცნაური ტრანსფორმაციის შედეგად ისინი საშინელი ზღაპრის, დაკარგული ცივილიზაციის შესახებ ლეგენდის ბავშვებად გადაიქცნენ. თვითონაც ძლივს ვიჯერებ, რომ ოდესღაც მათი მეგობარი ვიყავი და რეალურ ცხოვრებაში ვხედავდი.

- რას გულისხმობ, - ვთქვი მე, - პიროვნებას, გარეგნობას თუ სხვა რამეს?

კესიმ მხრები აიჩეჩა:

- ყველაფერს, რასაც მეტყვი.

- ორივენი დაახლოებით ჩემი სიმაღლის იყვნენ, - ამას, მგონი, საშუალო სიმაღლეს უწოდებენ, - ვთქვი მე, - გამხდრები. ჯემის მოკლე ქერა თმა და აპრეხილი ცხვირი ჰქონდა, პიტერს - მწვანე თვალები და ღია წაბლისფერი თმა, ყოველთვის საუცხოოდ მოვლილი, რადგან დედამისი კრეჭდა. ძალიან ლამაზი იყო.

- ხასიათით?

კესიმ შემომხედა. ქარმა ლოყაზე პრიალა კულული მიაკრო. სეირნობისას კესი ზოგჯერ ხელკავს გამომდებდა ხოლმე, მაგრამ ვიცოდი, რომ ახლა ასე არ მოიქცეოდა.

ინტერნატში სწავლის პირველ წელს გამუდმებით მეგობრებზე ვფიქრობდი. სახლიც მენატრებოდა. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ნებისმიერ ბავშვს იგივე გრძნობა დაეუფლებოდა,

მაგრამ ჩემს სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონდა. ეს იყო მომქანცველი, უწყვეტი, კბილის ტკივილივით მუდამ თანმდევი აგონია. ყოველი არდადეგების შემდეგ წივილ-კივილით ძლივს გადმოვყავდით მანქანიდან და ძალით მაჩერებდნენ, სანამ მშობლები არ გაემგზავრებოდნენ. კაცმა რომ თქვას, ამგვარ საქციელს, შესაძლოა, დაცინვისა და აბუჩად აგდების ობიექტად ვექციე, მაგრამ მე, უბრალოდ, თავი დამანებეს, როგორც ჩანს, დაასკვნეს, რომ ამაზე უარესი არაფერი დამემართებოდა. არა, ჩემს სკოლას ნამდვილად ვერ ვუწოდებდი "ჯოჯოხეთს დედამიწაზე". როგორც ახლა ვაცნობიერებ, კარგი დაწესებულება იყო - პატარა ინტერნატი სოფლის გარემოში, უფროსკლასელების ტრადიციული დიქტატითა და კარგად მოფიქრებული წახალისების სისტემით, მაგრამ მაშინ გული მხოლოდ მშობლიური სახლისკენ მიმიწევდა.

ცხადია, ჩემს ადგილას მყოფი ბევრი სხვა ბავშვივით, გამოსავალს საკუთარ წარმოსახვაში ვეძებდი. როდესაც გაკვეთილების დროს მოყანყალე სკამზე ვიჯექი, წარმოვიდგენდი, რომ ჩემ გვერდით ჯემი ტრიალებდა, და დაწვრილებით აღვიდგენდი ხოლმე მის ფიგურას, მუხლების ფორმით დაწყებული, თავის დახრით დამთავრებული. ღამღამობით არ მეძინა, მოსწავლეთა ბურტყუნსა და ფშინვას ვუსმენდი და სხეულის ყოველი წერტილით ვგრძნობდი და მჯეროდა კიდეც, რომ თუ თვალს გავახელდი, მეზობელ საწოლზე პიტერს დავინახავდი. მინერალური წყლის ბოთლებში ბარათს ვაგდებდი: "პიტერსა და ჯემის. დაბრუნდით, თუ შეიძლება. მიყვარხართ. ადამი", თავს მაგრად ვახურავდი და სკოლის სიახლოვეს, მდინარეში ვაგდებდი. ვხვდებოდი, რომ ინტერნატში ჩემი გაგზავნის მიზეზი მათი გაუჩინარება იყო, და მეგონა, თუ რომელიმე საღამოს უეცრად ტყიდან თმაგაწეწილი და ტოტებისგან ხელფეხდაკაწრული გამოვარდებოდა და ჩაის მოითხოვდა, მეც მაშინვე შინ დამაბრუნებდნენ.

- ჯემი ყაჩაღანა გოგო იყო, - ვთქვი მე, - უცნობებს, განსაკუთრებით, მოზრდილებს, ახლოს არ ეკარებოდა, თუმცა ამქვეყნად არაფრის ეშინოდა. თქვენ ერთმანეთი მოგეწონებოდათ.

კესის ოდნავ გაეღიმა.

- ხომ არ დაგავიწყდა, რომ 1984 წელს მხოლოდ ათი წლის ვიყავი? ჩემთან საქმეს არ დაიჭერდით.

უკვე მივეჩვიე, რომ 1984 წელი თავის თავში ჩაკეტილი, იზოლირებული სამყარო იყო და იმ აზრმა, რომ კესიც სადღაც იქვე, რამდენიმე მილის დაშორებით იდგა, შოკში ჩამაგდო. როდესაც პიტერი და ჯემი დაიკარგნენ, ისიც მეგობრებთან ერთად თამაშობდა, ველოსიპედზე იჯდა ან ჩაის სვამდა და არაფერი იცოდა არც ამ მოვლენების, არც იმ რთული გზების შესახებ, რომლებიც მას, საბოლოოდ ჩემთან და ნოკნარიში მოიყვანდა.

- არა, რატომ? დაგელაპარაკებოდით, - ვთქვი მე, - გეტყოდით: "ეი, პატარა სულელო, აბა, ფული მოგვეცი საუზმისთვის!"

- კარგად ვიცი შენი მანერები. მოდი, ჯემის მივუბრუნდეთ.

- დედა, მგონი, ჰიპი ჰყავდა, გრძელ თმას ატარებდა და ჭრელ ქვედაკაბებს იცვამდა, ჯემის სკოლაში ხორბლისღივიან იოგურტს ატანდა.

- ოჰო, - თავი გადააქნია კესიმ, - არ ვიცოდი, თუ 80-იან წლებში ხორბლის ღივს ჭამდნენ.

- მგონი, ჯემი უკანონო შვილი იყო. მამამისი არასდროს მინახავს. ამის გამო ზოგიერთ ბავშვს მისი აბუჩად აგდება სურდა, მაგრამ ერთი მათგანი მიბეგვა და ყველა გააჩუმა. ერთხელ დედაჩემს ვკითხე, ჯემის მამა სად არის-მეთქი, მან კი მიპასუხა, სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფო. ამის გარკვევა ჯემისთანაც ვცადე, რომელმაც მხრები აიჩეჩა და მითხრა: "ეს ვისი რა საქმეაო?"

- პიტერი?

- პიტერი ლიდერი იყო. რაც თავი მახსოვს, ყოველთვის. როდესაც პრობლემები გვექმნებოდა, შეეძლო, ნებისმიერ ადამი-

ანს დალაპარაკებოდა და ყველაფერი მოეგვარებინა. არა მოხერხებულობის, არამედ თავდაჯერებულობის გამო. ადამიანები უყვარდა. და საერთოდ, ძალიან კეთილი იყო.

ჩვენს ქუჩაზე ერთი ბიჭი ცხოვრობდა, ნამცეცა უილი ერქვა. მარტო სახელი რად ღირს - არ ვიცი, რას ფიქრობდნენ მისი მშობლები. გარდა ამისა, მას სქელშუშებიანი სათვალე ეკეთა და მთელი წლის განმავლობაში მოქსოვილი სვიტერი ეცვა ზედ ამოქარგული ბაჭიებით. მკერდი სტკიოდა. საუბარს ყოველთვის ერთსა და იმავე სიტყვებით იწყებდა: "დედაჩემი ამბობს..." ჩვენ მას დავცინოდით, რვეულებზე ათასგვარ სისულელეს ვუხატავდით, კინკრიხოზე ვანერწყვებდით, როდესაც ხეზე ვისხედით, კურდღლის ცურცლს ვაჩეჩებდით და ვეუბნებოდით, რომ ეს შოკოლადიანი ქიშმიში იყო... მაგრამ, როცა თორმეტი წელი შეგვისრულდა, პიტერმა შეგვაჩერა. "უსამართლოდ ვიქცევით, - თქვა მან, - მას ხომ არაფერი დაუშავებია".

მე და ჯემი დავეთანხმეთ, თუმცა ვიკამათეთ კიდეც იმის შესახებ, რომ უილის შეეძლო, ბილი დაერქვა და ყველა გამვლელ--გამომვლელისთვის მოეყოლა, თუ რას ფიქრობდა დედამისი. პიტერმა ისე შეგვარცხვინა, რომ მორიგი შეხვედრისას იმ ბიჭს "მარსის" ნახევარი შევთავაზე, მაგრამ მან მხოლოდ თვალები დაჭყიტა და გაიქცა. ნეტავ ახლა რას აკეთებს ის უილი? კინოში, ალბათ, სუპერმოდელი ცოლის ნობელის პრემიის ლაურეატი გენიოსი ქმრის როლს შეასრულებდა, რეალურ ცხოვრებაში კი, როგორც ჩანს, კვლავაც იმ ნაქსოვ სვიტერს ატარებდა და რომელიმე კვლევით ინსტიტუტში მასზე ცდებს ატარებდნენ.

- იშვიათი შემთხვევაა, - თქვა კესიმ, - ჩვეულებრივ, ბავშვები ძალზე აგრესიულები არიან. ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავი ასეთად დამამახსოვრდა.

- პიტერი უჩვეულო ბავშვი იყო.

კესი შეჩერდა, ქვიშიდან ხასხასა ნარინჯისფერი ნიჟარა აიღო და შეათვალიერა.

- შესაძლოა, ისინი ცოცხლები არიან, არა? - კესიმ ნიჟარას ქურთუკის სახელო გაუსვა და ქვიშა მოაცილა, - და სადმე ცხოვრობენ.

- არც ეგაა გამორიცხული, - ჩავიბურტყუნე მე. პიტერი და ჯემი სადღაც შორს, მდუმარედ გადაადგილდებიან ბრბოში. თორმეტი წლისას ყველაზე მეტად ამის მეშინოდა - რომ ისინი, უბრალოდ, გაიქცნენ, მე კი მარტო დამტოვეს. ზოგჯერ ახლაც ვეძებ მათ სადგურსა და აეროპორტში. წლების გასვლასთან ერთად, ცოტა დავცხრი, უწინ კი გაშმაგებით ვატრიალებდი თავს აქეთ--იქით დახატული პერსონაჟივით, იმის შიშით, ვაითუ რომელიმე სახე გამომრჩეს - სწორედ ის, რომელსაც ვეძებ-მეთქი, - თუმცა მეეჭვება. იქ ბევრი სისხლი იყო.

კესიმ ნიჟარა ჯიბეში ჩაიდო და შემომხედა.

- დეტალები არ ვიცი.

- საქმის მასალებს დაგიტოვებ, - ამ ფრაზის წარმოთქმა ისე გამიჭირდა, თითქოს საკუთარ დღიურს ვთავაზობდი, - მერე შენი აზრი გამაცანი.

მოქცევა იწყებოდა. სენდიმაუნთში ისეთი ბრტყელი პლაჟია, რომ უკუქცევის დროს ზღვა თითქმის არ ჩანს - ის მხოლოდ ნაცრისფერი ზოლია ჰორიზონტთან. შემდეგ კი უეცრად დაატყდება ხოლმე თავზე ხალხს. რამდენიმე წუთი გავიდა და წყალი უკვე მუხლებამდე გვწვდებოდა.

- დაბრუნების დროა, - ამოიოხრა კესიმ, - ხომ არ დაგავიწყდა, რომ სადილზე სემიც მოვა?

- მახსოვს, - მივუგე და თავი უხალისოდ დავაქნიე. სემი მომწონდა, - ის ყველას მოსწონდა, კუპერის გარდა, - მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ახლა ვინმეს გვერდით ყოფნა მაწყობდა, - მასთან რაზე ილაპარაკებ?

- საქმეზე, - გაეცინა მას, - სამუშაოზე. მკვლელობაზე.

- შუბლი შევიჭმუხნე.

ორადგილიან საბავშვო ეტლში ჩასმული პატარები ერთმანეთს ფერად საჟღარუნო სათამაშებს ურტყამდნენ.

- ბრიტნი! ჯასტინ! - უყვიროდა დედა, - გაჩერდით, სანამ ორივენი არ მიმისიკვდილებიხართ!

კესის ხელი გადავხვიე და უხიფათო O ადგილამდე მივიყვანე, რის შემდეგაც ორივეს სიცილი აგვიტყდა.

ასე იყო თუ ისე, ინტერნატს მაინც შევეგუე. როდესაც იქ მეორე სასწავლო წლის დასაწყისში მიმიყვანეს (ვტიროდი, ვღრიალებდი, მანქანის კარს ვებღაუჭებოდი, უფროსი აღმზრდელი კი ზიზღით მაშვებინებდა თითებს და შესასვლელისკენ მიმათრევდა), მივხვდი, რომ, პროტესტისა და ვედრების მიუხედავად, სკოლაში მაინც დამტოვებდნენ. ამიტომ სახლზე ოცნებას თავი დავანებე.

არჩევანი არ მქონდა. პირველ წელს უნუგეშო სევდამ კინაღამ ბოლო მომიღო (გამუდმებით თავბრუ მესხმოდა, ზოგჯერ თანაკლასელების სახელები მავიწყდებოდა და სასადილოსკენ გზას ვეღარ ვაგნებდი). ცამეტი წლის მოზარდის გამძლეობა უსაზღვრო არ არის. კიდევ რამდენიმე თვე და, ალბათ, ნერვული აშლილობა დამემართებოდა, მაგრამ უკანასკნელ წუთს თვითგადარჩენის ინსტინქტმა მიხსნა. მეორე წლის პირველ დღეს მთელი ღამე ვტიროდი, დილით კი იმის მტკიცე რწმენით წამოვდექი, რომ სახლზე აღარასდროს ვიდარდებდი. ეს რომ გადავწყვიტე, ჩემდა გასაოცრად, ვითარებასაც მალე შევეგუე. სულაც არ გამჭირვებია სკოლის სლენგის ათვისება ("ლიფსიტები" - მოსწავლეები, "ზვიგენები" - მასწავლებლები), ერთი კვირის შემდეგ კი ჩემი დუბლინური აქცენტი კლასიკურ ბრიტანულად გადავაკეთე. დავუმეგობრდი მრგვალსახიან და მომხიბლავი ღიმილის მქონე ჩარლის, რომელიც გეოგრაფიის გაკვეთილებ-

ზე ჩემ გვერდით იჯდა. მოგვიანებით, როცა წამოვიზარდეთ, ხშირად ერთად ვამზადებდით გაკვეთილებს, თავს ვიქცევდით თვითნაკეთი სიგარეტით, რომლითაც მისი უფროსი ძმა, კემბრიჯის სტუდენტი გვამარაგებდა, მორცხვად და გატაცებით დაუსრულებლად ვლაპარაკობდით გოგონებზე. საშუალოდ ვსწავლობდი: ინტერნატი მუდმივ და გარდაუვალ ბოროტებად წარმომედგინა, რომლის მიღმაც არაფერი არსებობდა, და ზოგჯერ არ მესმოდა, რატომ უნდა მესწავლა. სამაგიეროდ, ძალიან კარგად ვცურავდი და სკოლის გუნდშიც მოვხვდი, რამაც მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვალში ჩემი ავტორიტეტი გამოცდებზე მიღწეულ ნებისმიერ წარმატებაზე მეტად აამაღლა. მეხუთე წელს პრეფექტადაც[58] კი ამირჩიეს, რასაც საკუთარ კარგ იმიჯს მივაწერდი, ისევე, როგორც ჩემს დანიშვნას მკვლელობათა გამოძიების განყოფილებაში. თითქმის ყველა არდადეგებს ჩარლისთან ვატარებდი ჰერეფორდშირში. იქ ვისწავლე მამამისის ძველი "მერსედესის" ტარება (მანქანა ოღროჩოღრო გზებზე დახტის, ფანჯრები დაშვებულია, დინამიკებიდან ბონ ჯოვი[59] ღრიალებს, ჩვენც ფილტვების დაუზოგავად მასთან ერთად ვმღერით), იქ შემიყვარდა მისი დები. მალე აღმოვაჩინე, რომ შინ დაბრუნება საერთოდ არ მინდოდა. ჩვენი ახალი სახლი ლეიქსლიპში პირქუში და მყუდროებას მოკლებული იყო, მუდამ სინესტე იგრძნობოდა. დედამ ჩემს საძინებელში ნივთები თავის ჭკუაზე დაალაგა და იქ თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს სახლში კი არა, ლტოლვილთა ბანაკში ვცხოვრობდი. მეზობლის მოკ-

---

[58] პრეფექტი - აქ: ზოგიერთ სკოლაში უფროსკლასელი, რომელიც დისციპლინის გამტკიცებას კურირებს.

[59] ბონ ჯოვი (დაიბ. 1962) - ამერიკელი მომღერალი, სიმღერების ავტორი და მსახიობი.

ლედ თმაშეკრეჭილი ბავშვები ალმაცერად მიყურებდნენ და ჩემი აქცენტის გამო ხუმრობდნენ.

მშობლებმა შეამჩნიეს, რომ შევიცვალე, მაგრამ, ნაცვლად იმისა, გახარებოდათ, ანერვიულდნენ და ძალზე განიცდიდნენ, რომ უჩვეულოდ თავშეკავებული და თავდაჯერებული ვიყავი. დედა სახლში თითის წვერებზე დადიოდა და მორიდებით მეკითხებოდა, ჩაის რას მივაყოლებდი. მამა ჩაახველებდა ხოლმე, გაზეთს გადადებდა და "კაცურად" დალაპარაკებას ცდილობდა, რასაც ჩემი პასიურობის გამო ვერ ახერხებდა. ვხვდებოდი, რომ ინტერნატში აბეზარი ჟურნალისტებისგან, პოლიციელთა სტუმრობისა და თანატოლთა ცნობისმოყვარეობისგან თავის ასარიდებლად გამგზავნეს, მაგრამ გულის სიღრმეში იმის შეგრძნება გამიჩნდა, - რომელიც, ალბათ, სიმართლის მარცვალს შეიცავდა, - თითქოს მშობლებმა სახლიდან იმიტომ გამიშვეს, რომ ჩემი შეეშინდათ - როგორც უტვინო ან სიამის ტყუპისცალის, მეორე ნახევარი რომ ჩამოაჭრეს და მხოლოდ თავისი არსებობის ფაქტითაც კი საშინელ სიმახინჯედ იქცა.

8 თავი

სემი დროულად მოვიდა. ისე გამოიყურებოდა, როგორც პირველ პაემანზე მისული ბიჭი. თმაც კი დაეტკეპნა, თუმცა ქოჩორი მაინც აპრეხოდა. ხელში ღვინის ბოთლი ეჭირა.

- გამომართვი, - უთხრა კესის და ძღვენი გადასცა, - არ ვიცი, რას ამზადებ, მაგრამ მაღაზიაში გამყიდველმა მითხრა, ყველაფერს მოუხდებაო.

- მშვენიერია, - თავის დაქნევით მიუგო კესიმ, მუსიკას დაუწია (რიკი მარტინი ესპანურად მღეროდა. კესი ხშირად უსმენდა მას, როდესაც სახლში საქმიანობდა ან სამზარეულოში ფუსფუსებდა) და კარადისკენ გაემართა ღვინისთვის შესაფერისი ჭიქების გამოსაღებად, - ამჟამად მაკარონს ვამზადებ. გასახსნელი იმ ყუთშია. რობ, ჩემო კარგო, ტაფა უნდა შეაჯანჯღარო ხოლმე, შენ კი კოვზს უცაცუნებ.

- აი, რას გეტყვი, მარტა სტიუარტ,[60] ამას მე ვაკეთებ თუ შენ?

- მგონი, არავინ. სემ, ღვინოს დალევ, თუ საჭესთან ხარ?

- იცი, მედოქს, დაკონსერვებული პამიდორი რეჰანით - არა მგონია, უმაღლესი კლასის...

- შენ რა, დაბადებისთანავე ამოგაჭრეს გემოს რეცეპტორები თუ თავს იკატუნებ? სემ, ღვინოს დალევ?

სემი განცვიფრებული ჩანდა. ზოგჯერ მე და კესის გვავიწყდებოდა, რომ ადამიანებზე უცნაურ შთაბეჭდილებას ვახდენდით, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმეს არ ვაკეთებდით და კარგ ხასიათზე ვიყავით, როგორც ახლა. ცხადია, ეს სულელურად ჟღერს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის მთელი დღის განმავლობაში მოცლა არ გვქონდა, მაგრამ როცა ისეთ განყოფი-

---

[60] მარტა სტიუარტი - პროდიუსერი, კულინარი და ტელეწამყვანი, დიასახლისებზე დაწერილი წიგნების ავტორი.

ლებაში მუშაობ, - მკვლელობების, სექსუალური და ოჯახური ძალადობის გამოძიება, - სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე საზიზღრობას აწყდები, ან საქმის დროებით დავიწყება უნდა შეგეძლოს, ან პროფილი უნდა შეიცვალო და ნახატებისა და ანტიკვარიატის ძებნაზე გადაერთო. თუ მსხვერპლზე ბევრს იფიქრებ (რას განიცდიდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, როგორ აეწყობოდა მისი ცხოვრება, როგორ იტანჯებიან მისი ახლობლები), შედეგად ან გაუხსნელ საქმეს მიიღებ, ან ნერვულ აშლილობას. როგორც ჩანს, ის, რაც დღეს გადავიტანე, ჩვეულებრივზე მეტ "გადართვას" საჭიროებდა, მაგრამ მაინც მომწონდა მასხარაობა, თან სადილის მომზადება და კესის გაბრაზება.

- ე-ე... დიახ... თუ შეიძლება, - თქვა სემმა და უხერხულად მიიხედ-მოიხედა ქურთუკის დასადებად. კესიმ გამოართვა და იატაკზე დადებულ მატრასზე დააგდო, - ბიძაჩემს სახლი აქვს ბოლსბრიჯში... ჰო, ჰო, ვიცი, - დაამატა მან, როდესაც დაინახა, რომ დამცინავი მოკრძალებით მივაჩერდით, - და გასაღები თან დამაქვს. ზოგჯერ, როცა ორიოდე კათხა ლუდს დავლევ ხოლმე, ღამით იქ ვრჩები, - მან შემოგვხედა და ჩვენს კომენტარს დაელოდა.

- კარგი, - თქვა კესიმ, კვლავ კარადაში შეძვრა და იქიდან ბოკალი გამოიღო, წარწერით "ნუტელა", - არ მიყვარს, როცა სუფრაზე ზოგი სვამს, ზოგი - არა. ცალმხრივი საუბარი გამოდის. ჰო, მართლა, კუპერს რით ვერ ასიამოვნე?

სემმა გაიცინა, მოდუნდა და კორპსაძრობის ძებნას შეუდგა.

- გეფიცებით, არაფერი დამიშავებია. ჩემი პირველი სამი საქმე ზუსტად საღამოს ხუთი საათისთვის დავასრულე. როცა დავურეკე, უკვე შინ მიდიოდა.

- ვაი-ვაი, - ჩაეცინა კესის, - საბრალო სემი.

- გაგიმართლა, რომ საერთოდ გიპასუხა, - ვთქვი მე.

- არა მგონია, - მითხრა სემმა, - ჯერაც ისეთ სახეს მიიღებს ხოლმე, თითქოს ჩემს სახელს ვერ იხსენებს. ხან დეტექტივ ნირის მეძახის, ხან დეტექტივ ო ’ ნოლანს, სასამართლო სხდომაზეც კი. ერთხელ იმდენჯერ მომმართა სხვადასხვა სახელით, რომ მოსამართლე გაბრაზდა და კინაღამ პროცესი შეწყვიტა. მადლობა ღმერთს, რომ თქვენ მაინც გწყალობთ.

- ეს რაიანის დიდი მკერდის დამსახურებაა, - თქვა კესიმ, თეძოს გაკვრით გზიდან უცერემონიოდ ჩამომიცილა და წყლიან ქვაბში ბლომად მარილი ჩაყარა.

- აუცილებლად ვიყიდი ბიუსტჰალტერს, - განაცხადა სემმა, ბოთლი ძალდაუტანებლად გახსნა, ღვინო ჩამოასხა და ბოკალები მოგვაწოდა, - გაგიმარჯოთ, ძმებო. გმადლობთ, რომ მომიწვიეთ. დაე, ეს გამოძიება სწრაფად და უსიამოვნო სიურპრიზების გარეშე დასრულდეს.

ნასადილევს საქმეს შევუდექით. მე ყავა მოვამზადე, სემმა ჭურჭლის გარეცხვა არჩია, კესიმ ხის ძველ, სარკესავით გაპრიალებულ ჟურნალის მაგიდაზე მკვლელობის ადგილას და მორგში გადაღებული ფოტოსურათები და ჩანაწერები დააწყო, იატაკზე დაჯდა და მათ მიაჩერდა, თან წინ და უკან ქანაობდა და ხილის თასიდან ალუბალს მიირთმევდა. მიყვარს კესის ყურება, როდესაც ყურადღებადაა ქცეული. ახლაც, ფიქრებში წასული, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა და პატარა ბავშვივით იქცეოდა: თითით კეფას იფხანდა, ფეხებს უცნაურად ხლართავდა, ავტოკალამს ღეჭავდა, უეცრად ბუტბუტს იწყებდა.

- სანამ მის კლეოს[61] გამოსვლას ველოდებით, - ვუთხარი სემს (კესიმ თითი ისე მიჩვენა, ჩემკენ არც გამოუხედავს), - მომიყევი, დღემ როგორ ჩაიარა.

---

[61] მის კლეო იური დელ ფარასი (1962-2016) - ამერიკელი ტელეწამყვანი, ფსიქოლოგიური სატელეფონო დახმარების პრესმდივანი.

სემი სტაჟიანი მარტოხელა კაცივით რეცხავდა თეფშებს.

- გრძელი დღე გამოვიდა. დავრეკე, რომელიღაც თანამშრომელს ვესაუბრე, რომელმაც მითხრა, რომ სხვას უნდა დავლაპარაკებოდი. შემდეგ ხმოვან ფოსტაზე გადამრთეს. არც ისე ადვილია მიწის მფლობელის დადგენა. ბიძაჩემს ვკითხე, აქვს თუ არა რამე აზრი გზატკეცილის მშენებლობაზე პროტესტის გამოთქმას-მეთქი.

- და?.. - ვკითხე მე და სკეპტიციზმის დამალვა ვცადე. რედმონდ ო ' ნილის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, - ჩემთვის ის ჭაღარათმიანი, მსუქანი, სახეწითელი ჯენტლმენი იყო, - მაგრამ პოლიტიკოსებს არასოდეს ვენდობოდი.

- არაო, მიპასუხა. უფრო სწორად, უკანალში შერჭობილი მახათი უწოდა... - კესიმ წარბები აზიდა, - მის სიტყვებს ვიმეორებ. რამდენჯერმე მიუმართავთ სასამართლოსთვის მშენებლობის შესაჩერებლად. თარიღები ჯერ არ დამიზუსტებია, მაგრამ რედი ამბობს, რომ მოსმენა აპრილის ბოლოს, ივნისის დასაწყისსა და ივლისის შუა რიცხვებში გაიმართა. ეს დევლინთან განხორციელებულ სატელეფონო ზარებს ემთხვევა.

- როგორც ჩანს, ვიღაცამ დაასკვნა, რომ მხოლოდ უკანალში შერჭობილ მახათთან არა აქვთ საქმე, - ვთქვი მე.

- რამდენიმე კვირის წინათ საბოლოო უარი მიიღეს, მაგრამ რედი დარწმუნებულია, რომ საქმეს გაასაჩივრებენ. თუმცა ეს არ ადარდებს.

- აბა, რა, - ჩაეცინა კესის.

- გზატკეცილი ბევრ სარგებლობას მოიტანს, კესი, - რბილად თქვა სემმა, - ახალ სახლებს, ახალ სამუშაო ადგილებს...

- რასაკვირველია, მაგრამ საინტერესოა, რატომ არ შეიძლებაყველა ამ სიკეთის ასი იარდით გადაწევა?

სემმა თავი გადააქნია.

- გულახდილად გეტყვი, რომ არ ვიცი, მაგრამ რედს მიაჩნია, რომ ეს აუცილებელია.

კესიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

- მორჩი ლაქლაქს და გვითხარი, რა მოქექე, - ჩავერთე მათ საუბარში.

- კარგი, - კესიმ ამოიოხრა და ყავის ჭიქა აიღო, - ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ ის ტიპი თითქოს უხალისოდ მოქმედებდა.

- რას ამბობ, მედოქს? - გავიოცე მე, - გოგონას თავში ორჯერ ჩაარტყა, შემდეგ კი გაგუდა. თუ ზიანის მიყენება არ სურდა...

- არა, მოიცადე, - შემაწყვეტინა სემმა, - ბოლომდე უნდა მოვისმინო.

პროფესიული განხილვის დროს, ჩვეულებრივ, ეშმაკის ადვოკატის როლს ვასრულებდი. თუ გადავამეტებდი, კესი ადვილად მჯობნიდა, მაგრამ სემს თითქოს თანდაყოლილი სოლიდურობა და სიდარბაისლე ჰქონდა, რაც, რამდენადაც აღმაფრთოვანებდა, იმდენადვე მაღიზიანებდა. კესიმ ეშმაკურად გადმომხედა და სემს გაუღიმა.

- გმადლობ, სემ. მოდი, პირველი დარტყმა განვიხილოთ: ეს უფრო წაბიძგება იყო, რომელმაც გოგონა წააქცია, და მეტი არაფერი. ბავშვი მისკენ ზურგით იდგა. შეეძლო, თავში ჩაერტყა, მაგრამ ეს არ გააკეთა.

- როგორც ჩანს, არ იცოდა, რა ძალით უნდა ჩაერტყა, - თქვა სემმა, - გამოუცდელობის გამო.

შესაბრალისად გამოიყურებოდა. უცნაურია, მაგრამ სერიული მკვლელის მანერები გვირჩევნია. მაშინ უფრო ადვილია სხვა შემთხვევების პოვნა, შედარება და მეტი მტკიცებულების მიღება, მაგრამ თუ დამნაშავე ახალბედაა, ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ.

- როგორ ფიქრობ, კეს, ქალწულია? - ვიკითხე მე.

შეკითხვა კი დავსვი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორი პასუხი მერჩივნა.

კესიმ დაბნეული სახით წაიღო ხელი ალუბლისკენ, თან მაგიდას დაჰყურებდა. შევამჩნიე, როგორ შეარხია წამწამები: მიხვდა, რასაც ვეკითხებოდი.

- არ ვიცი. აშკარაა, რომ ეს ხშირად არ გაუკეთებია, თორემ ასე გაუბედავად არ იმოქმედებდა. თუმცა, შესაძლოა, ეს მრავალი წლის წინათ გააკეთა. ძველ საქმესთან კავშირს ვერ გამოვრიცხავთ.

- სერიული მკვლელები იშვიათად ელოდებიან მორიგ მსხვერპლს ოცი წლის განმავლობაში, - ვთქვი მე.

- სხვათა შორის, - მხრები აიჩეჩა კესიმ, - არც ამჯერად გამოუდვია თავი. გოგონა იბრძოდა, კაცმა პირზე ხელი დააფარა, შემდეგ კვლავ დაარტყა, - ვთქვათ, ქალიშვილს დასხლტომა სურდა, - ამჯერად საჭირო ძალით, მაგრამ იმის ნაცვლად, კიდევ რამდენჯერმე ჩაერტყა, - დამნაშავეებს, როგორც წესი, აზარტი ეუფლებათ, - მკვლელმა ქვა გადააგდო და მსხვერპლი გაგუდა. თავიდანვე გაეგუდა, ეს უფრო იოლი იქნებოდა. ის კი როგორ მოიქცა? ამისთვის პოლიეთილენის პარკი გამოიყენა, თანაც უკნიდან, რათა სახე არ დაენახა, თითქოს უნდოდა, დანაშაულისგან თავი შორს დაეჭირა, ნაკლები სისასტიკე გამოეჩინა.

სემი შეიჭმუხნა.

- ან გასვრა არ უნდოდა, - ჩავურთე მე.

- მაშინ საერთოდ არ დაარტყამდა. უკნიდან მივარდნოდა და თავზე პაკეტი ჩამოეცვა. ვფიქრობ, გოგონას გათიშვა უნდოდა, რათა მისი ტანჯვისთვის არ ეცქირა.

- თანაც, დარწმუნებული არ იყო, რომ მოერეოდა, თუ ის გონზე იქნებოდა, - გამოვთქვი ახალი ვარაუდი, - სავარაუდოდ, ან ფიზიკურად სუსტია, ან ამას მართლა პირველად აკეთებდა და არ იცოდა, როგორ ემოქმედა.

- თუნდაც ასე იყოს. გეთანხმები, რომ ისეთი ადამიანი უნდა ვეძებოთ, რომელიც ძალადობისკენ მიდრეკილი არ არის; ისეთი, რომელიც ეზოში არასდროს ჩხუბობდა და არც აგრესიას ამჟღავნებდა, მათ შორის, არც სექსუალურს. მეეჭვება, ჩვენს შემთხვევაში გაუპატიურება სექსუალური ძალადობა იყო.

- ვინაიდან ნივთი გამოიყენა? - ვცადე დაზუსტება, - თუ იცი, რომ ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ აღიგზნება?

სემმა დაბნეულობის დასაფარავად თვალები აახამხამა და ყავა მოსვა.

- ჰო, მაგრამ მაშინ იგი ცოტათი უფრო... ღრმად შევიდოდა. როგორც კუპერი ამბობს, ეს სიმბოლური აქტი უფრო იყო: არც ჭრილობა, არც გაშმაგება, არც სადიზმი - მხოლოდ ორდუიმიანი დანაბეჟი და გახეული აპკი, თანაც სიკვდილის შემდგომ.

- იქნებ ასე მოსწონს. ვთქვათ, ნეკროფილია.[62]

- ღმერთო ჩემო, - ამოიხვნეშა სემმა და ყავა გვერდზე გადადო.

კესიმ სიგარეტი მოქექა, ვერ მიაგნო და ჩემი აიღო, უფრო მაგარი. როდესაც სანთებლისკენ დაიხარა, წამით სახეზე დაღლილობა და უმწეობა დაეტყო. გავიფიქრე, ნეტავ რა დაესიზმრება ამაღამ, იქნებ ეს პირღია, უხმოდ მყვირალი ქეით დევლინი იყოს-მეთქი.

- მაშინ ასე სწრაფად არ გაუშვებდა. ძალადობის უფრო ძლიერი კვალი დარჩებოდა. არა, მას ამის გაკეთება არ უნდოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

- ხომ არ ფიქრობ, რომ მკვლელმა კვალის ასარევად სექსუალური დანაშაულის ინსცენირება მოაწყო?

კესიმ თავი გადააქნია და თქვა:

---

[62] ნეკროფილი - პირი, რომელსაც სექსუალური ლტოლვა აქვს მკვდრების მიმართ.

- არ ვიცი. ეს რომ ნდომოდა, უფრო მეტს გააკეთებდა: ტანსაცმელს გახდიდა, ფეხებს გაუჩაჩხავდა. მან კი შარვალი ჩააცვა, შეუკრა კიდეც... ეს უფრო ფსიქიკურ აშლილობას ჰგავს. შიზოფრენიით დაავადებულები აგრესიულები იშვიათად არიან, მაგრამ თუ გამწვავების პერიოდში უწამლოდ არიან... იქნებ ფიქრობდა, რომ გოგონა აუცილებლად უნდა მოეკლა და გაეუპატიურებინა. მაშინ გასაგებია, რატომ არ უნდოდა მისთვის ტკივილის მიყენება, რატომ გამოიყენა უცხო საგანი და რატომ არ მოაწყო სექსუალური დანაშაულის ინსცენირება - არ სურდა მისი გაშიშვლება, არ სურდა, მოძალადედ მიეჩნიათ. სამსხვერპლოს ამბავიც ცხადი ხდება.

- მაინც რა? - სიგარეტი გამოვართვი და სემს მივაწოდე - სახეზე შევატყვე, რომ უნდოდა, მაგრამ თავი გადააქნია.

- ის, რომ მკვლელს შეეძლო, გოგონა ტყეში ისეთ ადგილას დაეგდო, სადაც მას ასი წლის შემდეგაც ვერავინ მიაგნებდა, ან, უბრალოდ, მიწაზე დაეტოვებინა. მან კი ის სამსხვერპლომდე მიათრია. ცხადია, ეს, შესაძლოა, ეფექტური ჟესტიც იყოს, მაგრამ მეეჭვება: დამნაშავემ იგი ჩვეულებრივ პოზაში, მარცხენა გვერდზე დააწვინა, რათა თავზე არსებული ჭრილობა არ გამოჩენილიყო - კვლავაც ძალადობისადმი სიძულვილის გამო. ვფიქრობ, გოგონაზე ზრუნვისა და პატივისცემის გამოხატვა სურდა - რათა მხეცებისგანაც დაეცვა და სწრაფადაც აღმოგვეჩინა, - კესიმ ხელი საფერფლისკენ წაიღო, - ამ შემთხვევაში კარგი ის არის, რომ შიზოფრენიით დაავადებულის პოვნა ძნელი არ არის.

- დაქირავებულ მკვლელზე რას იტყვი? - ვთქვი მე, - ამითაც ბევრი რამე აიხსნება. ვიღაცამ, მაგალითად, მან, რომელიც ტელეფონზე რეკავდა, კაცს ფული გადაუხადა იმ სამუშაოში, რომელიც მას არ მოსწონდა.

- ჰო, ამ საქმისთვის დაქირავებული მკვლელი თითქოს უფრო შესაფერისია. რობ, შენი აზრით, ქეით დევლინი კეთილგონიერი გოგონა იყო?

- რა თქმა უნდა, ყველაზე ადეკვატური პიროვნება მთელ ოჯახში.

- ჭკვიანი, მოწესრიგებული, ძლიერი ნებისყოფის...

- ასეთები ღამღამობით უცნობთან პაემანზე არ მიდიან.

- მართალია. განსაკუთრებით არაადგილობრივთან შესახვედრად. შიზოფრენიით დაავადებული სახლიდან მის გამოსატყუებლად საკმარისად ნორმალურად მოქცევას ვერ შეძლებდა. როგორც ჩანს, ეს წესიერი და სასიამოვნო ადამიანი იყო, რომელსაც ბავშვებთან ურთიერთობა ეხერხებოდა. ქეითი იცნობდა და ენდობოდა მას. იმ კაცისგან საფრთხეს ვერ გრძნობდა.

- ან ქალისგან, - დავამატე მე, - რამდენს იწონიდა ქეითი?

კესიმ ჩანაწერებში ჩაიხედა.

- სამოცდათვრამეტ გირვანქას. მოკლე მანძილზე მის გადატანას ქალიც შეძლებდა, ოღონდ ძალიან ღონიერი ქალი. სოფიმ ვერ აღმოაჩინა, რომ გვამს მიწაზე მიათრევდნენ. ასე რომ, თუ ყველაფერს ავწონ-დავწონით, მე კაცისკენ ვიხრები.

- მაშასადამე, მშობლებს გამოვრიცხავთ? - იმედიანად იკითხა სემმა.

კესი დაიღრიჯა.

- არა. თუ რომელიმე მათგანმა მასზე იძალადა, ქეითს შეეძლო დამუქრებოდა, რომ ამას ყველას მოუყვებოდა. მაშინ მოძალადემ ან მეორე მშობელმა გადაწყვიტა, რომ ოჯახის გადასარჩენად ის უნდა მოეკლა. შესაძლოა, მათ სექსუალური ძალადობის გათამაშება სცადეს, მაგრამ ყველაფრის საჭიროებისამებრ გაკეთება ვერ მოახერხეს... ასე რომ, მეტ-ნაკლებად, ერთ რამეში ვარ დარწმუნებული - ფსიქოპათი და სადისტი არ უნდა ვეძებოთ. ის კაცი გოგონას დამცირებასა და მისი ტანჯვით ტკბობას

არ აპირებდა. ის უნდა მოვძებნოთ, ვისაც ამის გაკეთება არ სიამოვნებდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. არა მგონია, თავი კიდევ გამოიჩინოს და ყურადღება მიიპყროს. უახლოეს პერიოდში მსგავს საქციელს აღარ ჩაიდენს - ცხადია, თუ საფრთხეს არ იგრძნობს. ჰო, მართლა, ვფიქრობ, დამნაშავე ადგილობრივია. რასაკვირველია, სასამართლოს ფსიქოლოგს უკეთესი პორტრეტი უნდა შეედგინა, მაგრამ...

- ფსიქოლოგიას ტრინიტი-კოლეჯში სწავლობდი? - დაინტერესდა სემი.

კესიმ თავი დაუქნია და მორიგი ალუბალი აიღო.

- მეოთხე კურსიდან მივატოვე.

- რატომ?

კესიმ ალუბლის კურკა ხელისგულზე გადმოაფურთხა და სემს გაუღიმა. კარგად ვიცნობდი ამ ღიმილს: ხაზგასმით სასიამოვნოს - სახე ისე გაებადრებოდა, რომ თვალები აღარ მოუჩანდა.

- აბა, უჩემოდ აქ რა გეშველებოდათ?

ვიცოდი, რომ სიმართლეს არ იტყოდა. ეს შეკითხვა კესის რამდენჯერმე მეც დავუსვი, მაგრამ ყოველთვის განსხვავებულად მპასუხობდა: "შენი კალიბრის არავინ იყო, რომ გამეჯავრებინა", "იქაური საჭმელი ყელში ამომივიდა" და ასე შემდეგ. კესის არასდროს აკლდა ერთგვარი იდუმალება. ნაწილობრივ, ამიტომაც მომწონდა. აღფრთოვანებას ისიც მიძლიერებდა, რომ ეს იდუმალება თვალში არ მხვდებოდა, თითქოს იმ სიმაღლისთვის მიეღწია, სადაც თვალს ვერავინ მოჰკრავდა. პირიქით, კესის ყოველთვის ბავშვური უბრალოება და გულღიაობა ახასიათებდა. გარკვეულწილად, ასეც იყო: რასაც ხედავდით, იმასვე იღებდით, მაგრამ თქვენ ბევრს ვერ ხედავდით, მათ არსებობას ვერც კი ხვდებოდით და კესის ცხოვრების სწორედ ეს მხარე მიზიდავდა ყველაზე მეტად. კარგა ხანია, ვმეგობრობდით, მაგრამ ვიცოდი, რომ საიდუმლო "ოთახებიც" ჰქონდა, სადაც არა-

თუ არ შემიშვებდა, მათზე არც მიმანიშნებდა. ზოგიერთ შეკითხვას არ პასუხობდა, ზოგიერთ თემას მხოლოდ ზოგადად თუ შეეხებოდა. თუკი მის ჩიხში მოქცევას შეეცდებოდნენ, გაიცინებდა და პროფესიონალი ფიგურისტის ოსტატობით დაიძვრენდა ხოლმე თავს.

- კარგი ნამუშევარია, - თქვა სემმა, - დიპლომის არსებობა-- არარსებობას მნიშვნელობა არა აქვს.

კესიმ წარბები აზიდა.

- ჯერ ვნახოთ, მართალი თუ გამოვდგები.

- რატომ შეინახა მთელი დღის განმავლობაში? - ვიკითხე მე.

ეს შეკითხვა თავიდანვე არ მასვენებდა - უნებურად, ცუდ აზრებს იწვევდა. არასასიამოვნო დასკვნის გაკეთებაც შეიძლებოდა: თუ დამნაშავე მსხვერპლს არ უშვებდა, შეეძლო, უფრო დიდი ხნითაც დაეტოვებინა ან პიტერისა და ჯემივით უკვალოდ გაექრო.

- თუ მართალი ვარ, რომ მკვლელი დანაშაულისგან დისტანცირებას ცდილობდა, მაშინ მთავარი ის აღარ არის, რომ მას ეს არ უნდოდა. პირიქით, ამჯობინებდა, გოგონა სასწრაფოდ მოეშორებინა თავიდან. რადგან ეს არ გააკეთა, მაშასადამე, სხვა გზა არ ჰქონდა.

- გამოდის, მარტო არ ცხოვრობს და სხვების წასვლას დაელოდა?

- შესაძლებელია. მე იმაზეც დავფიქრდი, დამნაშავემ გათხრების ადგილი შემთხვევით აირჩია თუ არა. იქნებ გოგონა აუცილებლად იქ უნდა დაეტოვებინა? ვინაიდან, ვთქვათ, ასეთი იყო მისი დიადი გეგმა, ან მანქანა არ ჰყავდა და ეს ყველაზე მოსახერხებელ ადგილად მიიჩნია. ეს ვერსია მარკის ჩვენებასაც ემთხვევა - მან თქვა, რომ ღამით ავტომობილი არ შეუნიშნავს. მაშასადამე, მკვლელობა შორიახლოს მოხდა, დავუშვათ, და-

სახლების ბოლოში მდებარე ერთ-ერთ სახლში. იქნებ ორშაბათსვე აპირებდა გვამის მოცილებას, მაგრამ მარკი და მისი კოცონი დაინახა. მკვლელს შეეშინდა და გვამი ერთი დღით გადამალა.

- ოღონდ თუ თვითონ მარკი არ არის მკვლელი, - შევნიშნე მე.

- სამშაბათ ღამეს მას ალიბი აქვს.

- ამას ის ქალიშვილი ამტკიცებს, რომელსაც მარკი გაგიჟებით უყვარს.

- მელი უნებისყოფო და სულელი გოგო არ არის. ჭკუა აქვს და იცის, ეს რამდენად სერიოზული საკითხია. მარკი გაგანია სასიყვარულო ურთიერთობის დროს ლოგინიდან რომ წამომხტარიყო და ორი საათით სადმე გაესეირნა, ამას აუცილებლად გვეტყოდა.

- იქნებ თანამზრახველი ჰყავდა. თუნდაც მელი ან ვინმე სხვა.

- და რა, გვამი უახლოეს ბალახით დაფარულ ბორცვთან გადამალეს?

- რა მოტივი შეიძლება ჰქონდეს მარკს? - მკითხა სემმა. იგი ალუბალს მიირთმევდა და ინტერესით გვაკვირდებოდა.

- მოტივი? თავში ყველაფერი რიგზე არა აქვს, - მივუგე მე, - ნეტავ მოგასმენინა, რას ლაპარაკობს. გარეგნულად ნორმალურ ადამიანს ჰგავს, საკმაოდ ნორმალურია ბავშვის ნდობის მოსაპოვებლად, მაგრამ საკმარისია, გათხრები უხსენო, რომ მაშინვე მიედ-მოედება მკრეხელობასა და ღვთისმსახურებაზე. ახლა გათხრებს საფრთხე ემუქრება გზატკეცილის მშენებლობის გამო. შესაძლოა, მარკმა გადაწყვიტა, რომ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ღმერთებს გულს მოულბობს და როგორც ძველად ხდებოდა, ზეციდან მიწაზე დაეშვებიან და ყველაფერს მოაგვარებენ.

- თუ ეს წარმართული მსხვერპლშეწირვა იქნება, - ჩაილაპარაკა სემმა, - არ ვისურვებდი იმ ადამიანის ადგილას ყოფნას, ვინც ამას ო ’ კელის შეატყობინებს.

- დაე, თვითონ უამბოს, ჩვენ კი პირველი რიგიდან დავაკვირდებით.

- მარკი დარტყმული არ არის.

- არის, ბატონო, არის.

- არ არის. სამუშაო მისთვის ყველაფერია. დარტყმული კი არ არის.

- სამწუხაროა, რომ არ გინახავს, - ვუთხარი სემს, - ეს პაემანს უფრო ჰგავდა, ვიდრე დაკითხვას. მედოქსი გამუდმებით თავს უქნევდა და თვალებს აფახულებდა, ეუბნებოდა, მშვენივრად მესმის, რასაც გრძნობო...

- ასეცაა, - გამაწყვეტინა კესიმ. მან კუპერის ჩანაწერებს თავი დაანება და დივანზე დაბრუნდა, - თვალებს კი არ ვაფახულებდი. როცა ეს მოხდება, მაშინვე შეამჩნევ.

- მისი გრძნობების გესმის? შენც მემკვიდრეობის ღმერთისთვის ლოცულობ?

- არა, სულელო. გაჩუმდი და მომისმინე. მარკთან დაკავშირებული ვერსია მაქვს, - კესიმ ფეხსაცმელი გაიხადა და ფეხები მოირთხა.

- ღმერთო ჩემო, - შევძახე მე, - სემ, ვიმედოვნებ, არ გეჩქარება?

- კარგი ვერსიისთვის დროს ყოველთვის გამოვნახავ, - გაეღიმა სემს, - იქნებ დავლიო კიდეც, რახან მუშაობა დავასრულეთ?

- ჭკვიანური აზრია, - მოვუწონე გადაწყვეტილება.

კესიმ ფეხი გამკრა.

- ვისკი ან რამე სასმელი იპოვე.

- აი, რას გეტყვით, - თქვა მან, - ჩვენ რაღაცის უნდა გვწამდეს...

- რატომ? - ვკითხე სიცილით.

ამგვარი შესავალი ჩემთვის მოულოდნელი და დამაინტრიგებელი აღმოჩნდა, რელიგიური ადამიანი არა ვარ, როგორც ვიცი, არც კესია ასეთი.

- იმიტომ, რომ უნდა გვწამდეს. ყველა საზოგადოებას ჰქონდა რწმენის საკუთარი სისტემა. მაგრამ ახლა... განა ბევრი იცი ნამდვილი ქრისტიანების შესახებ? მათ კი არ ვგულისხმობ, ვინც ეკლესიაში დადის, არამედ იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, იესოს კვალს მისდიონ. პოლიტიკურ იდეოლოგიაზე აღარაფერს ვიტყვი. როგორც ვხვდები, ჩვენს ხელისუფლებას იდეოლოგია საერთოდ არა აქვს...

- ცოტაოდენი თანხა თავისი ბიჭებისთვის, - ვთქვი მხარზემოდან.

- ეი, - რბილად მითხრა სემმა.

- მაპატიე, - ვუთხარი მას, - კონკრეტული პიროვნება არ მიგულისხმია.

მან თავი დამიქნია.

- არც მე, სემ, - თქვა კესიმ, - სახელმწიფოს იდეოლოგია არა აქვს, ამიტომ ყველა თვითონ ირჩევს, რისი სწამდეს.

ვისკის, "კოკა-კოლას", ყინულსა და სამ ჭიქას მივაგენი და ყავის მაგიდაზე გადავიტანე.

- სუროგატულ რელიგიებს გულისხმობ? ჩვენი ეპოქის იაპებს,[63] რომლებიც ტანტრიკულ სექსში[64] ვარჯიშობენ და ჯიპებით დასეირნობენ?

---

[63] იაპი - შეძლებული ახალგაზრდა, ჰიპის ანტიპოდი.

[64] ტანტრიკული სექსი, ნეოტანტრა - სქესობრივი ცხოვრების გამრავალფეროვნება.

- მათაც, მაგრამ უფრო მეტად მათზე ვფიქრობ, ვინც რელიგიურ შეხედულებას სხვა რამეს უდებს საფუძვლად. მაგალითად, ფულს - ეს იდეოლოგია სახელმწიფოსთან ყველაზე ახლოსაა. ქრთამს არ ვგულისხმობ, სემ. თუ დღეს შენ მცირე შემოსავალი გაქვს, ეს უკვე შენი პრობლემა კი არა, უპასუხისმგებლობაა. რახან დიდი სახლი და ძვირფასი მანქანა არა გყავს, არც საზოგადოების კარგი წევრი ხარ.

- სამაგიეროდ, როცა ხელფასის მომატებას ითხოვ, - ჩავურთე მე და მაცივრიდან ყინული გამოვიღე, - არც მაშინ ხარ საზოგადოების კარგი წევრი, ვინაიდან ცდილობ, მეტი წაჰგლიჯო შენს დამსაქმებელს, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს ეკონომიკის ასაღორძინებლად.

- მართალია. თუ მდიდარი არა ხარ, იჯექი და ხმა არ ამოიღო, არარაობავ, და ნურც იმის იმედი გექნება, რომ შენ მაგივრად სხვები იმუშავებენ.

- არა მგონია, ყველაფერი ასე ცუდად იყოს, - თქვა სემმა.

მის სიტყვებს თავაზიანი დუმილით შევეგებეთ. მაგიდაზე გაფანტული ყინულის ნატეხები შევაგროვე. სემი გამოუსწორებელი ოპტიმისტი იყო და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი ოჯახი ბოლსბრიჯში რამდენიმე სახლს ფლობდა. მოკლედ, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში მისგან ობიექტურობას არ ველოდით.

- ჩვენს ეპოქაში კიდევ ერთი სერიოზული რელიგია არსებობს, - განაგრძო კესიმ, - სხეულის კულტი. მთელი ეს ჭკუის სასწავლებელი რეკლამა და ზღვა ინფორმაცია მოწევისა და ალკოჰოლის მავნებლობის, ფიტნესის შესახებ...

ვისკის დასხმას შევუდექი, თან სემს ვუყურებდი, რათა დროულად გავჩერებულიყავი. მან ხელი ასწია, გაიღიმა და ჭიქა აიღო.

- ამის შემდეგ ყოველთვის მაინტერესებს, რამდენი ღერი სიგარეტის მოწევას შევძლებ ზედიზედ, - ვთქვი მე.

კესიმ მატრასზე ფეხები გაჭიმა. ავწიე, დავჯექი, მუხლებზე დავიდე და სასმლის მორევა დავიწყე - ბევრი ყინულისა და ბევრი "კოკა-კოლასი".

- მეც, მაგრამ საქმე მხოლოდ ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანს არ ეხება - ცდილობენ, ჩაგვაგონონ, რომ ეს მორალური თვალსაზრისითაც მავნეა. თითქოს, თუ დილაობით ივარჯიშებ და ნაკლებ ცხიმს აითვისებ, სრულყოფილი პიროვნება გახდები. იმ საშინელ რეკლამაზე აღარაფერს ვამბობ, რომლის თანახმადაც, მოწევა არა მხოლოდ სისულელე, არამედ ლამის მსოფლიო ბოროტებაა. ხალხს მორალური კოდექსი სჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად. ბიოიოგურტის კეთილისმყოფლები და ფინანსური ფარისევლობა მხოლოდ ბაზარზე ვაკუუმის შესავსებადაა. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ ჩვენთან ყველაფერი თავდაყირა დგას. სწორად არ ვიქცევით და ვიმედოვნებთ, რომ ამისთვის დაგვაჯილდოებენ. თუმცა, ფაქტობრივად, სწორი საქციელი ის არის, რაც უდიდეს მოგებას მოგიტანთ.

- დასალევი არ დაგავიწყდეს, - შევახსენე კესის, რომელიც გატაცებით ლაპარაკობდა, ხელებს იქნევდა და თავის ჭიქას ყურადღებას აღარ აქცევდა, - და გამაგებინე, რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ჩვენს დარტყმულ მარკთან?

კესიმ შემომიბღვირა და ვისკი მოსვა.

- ახლავე აგიხსნი. მარკს არქეოლოგიისა და წარსულის მემკვიდრეობის სჯერა. ეს არის მისი რწმენა. არა პრინციპების აბსტრაქტული ერთობლიობა, სხეული და ბანკში გახსნილი ანგარიში, არამედ მისი რეალური ცხოვრების კონკრეტული ნაწილი, ყოველდღიური შრომა, და მნიშვნელობა არა აქვს, ამას აუნაზღაურებენ თუ არა. მარკი ამით ცხოვრობს. ის დარტყმული კი არა, ნორმალური ადამიანია, იმ საზოგადოებას კი, სადაც

მსგავს ადამიანებს უცნაურს უწოდებენ, ნამდვილად რაღაც სჭირს.

- ამ კაცმა ბრინჯაოს ხანის ღმერთს მსხვერპლი შესწირა, - ვთქვი მე, - არა მგონია, რამე მჭირდეს, თუ ამგვარი საქციელი ცოტა უცნაური მგონია. მხარი დამიჭირე, სემ.

- მე? - სემი მოხერხებულად მოკალათებულიყო დივანზე და ყურს გვიგდებდა, თან ფანჯრის რაფაზე მიმოფანტულ კენჭებსა და ნიჟარებს ათვალიერებდა, - ვფიქრობ, ჯერ ძალზე ახალგაზრდაა. აი, როცა ცოლ-შვილი ეყოლება... მორჯულდება.

მე და კესიმ ერთმანეთს გადავხედეთ და სიცილი ავტეხეთ.

- რა მოხდა? - იკითხა სემმა.

- არაფერი, - მივუგე მე, - ყურადღებას ნუ მოგვაქცევ.

- სიამოვნებით დაგპატიჟებდით ლუდზე შენ და მარკს, - თქვა კესიმ.

- აი, იქ კი ყველაფერს სწრაფად დავაფქვევინებდი, - შენიშნა სემმა და კვლავ გადავიხარხარეთ.

იაპონურ მატრასზე გადავწექი და ვისკი მოვსვი. მომწონდა ეს საუბარი. და საერთოდ, კარგი, მხიარული საღამო გამოგვივიდა. ფანჯრებზე წვიმა აკაკუნებდა, ოთახში ბილი ჰოლიდეი[65] მღეროდა ხმადაბლა, სემის აქ ყოფნაც მსიამოვნებდა. მისდამი სულ უფრო მეტი სიმპათიით ვიმსჭვალებოდი. ვფიქრობდი, რომ იგი ნებისმიერ კომპანიას დაამშვენებდა.

- შენი აზრით, მარკი უნდა გამოვრიცხოთ? - ვკითხე კესის.

მან ვისკი მოსვა და თქვა:

- ჰო, მიუხედავად მისი დარტყმულობისა. უკვე ვთქვი, რომ დამნაშავე ყოყმანობდა. მიჭირს მერყევი მარკის წარმოდგენა - ყოველ შემთხვევაში, სერიოზულ საკითხებში.

---

[65] ბილი ჰოლიდეი (1915-1959) - ამერიკელი ჯაზის მომღერალი, სიმღერების ტექსტის ავტორი და მსახიობი.

- იღბლიანი მარკი, - თქვა სემმა.

- საინტერესოა, როდის გაიცანი კესი, - მითხრა სემმა მოგვიანებით, დივანზე გადაწვა და ჭიქა აიღო.

- რა? - ვთქვი მე.

ამ უცნაურმა შეკითხვამ სახტად დამტოვა. უნდა გამოვტყდე, რომ სემი აღარც კი მახსოვდა. კესი საუცხოო, ხავერდოვან ვისკის, "კონემარას" ყიდულობს, რომელსაც მწარე, ტორფის გემო დაჰკრავს, და ცოტა შევქეიფიანდით. საუბარი თანდათან მიწყდა. სემი მდუმარედ ათვალიერებდა თაროზე დაწყობილ წიგნებს, მე კი მატრასზე გავიჭიმე და გონებაგაფანტული მუსიკას ვუსმენდი. კესი სააბაზანოში იყო.

- ოჰ, როცა ჩვენს განყოფილებაში მოვიდა. ერთხელ, საღამოს, ველოსიპედი გაუტყდა და სახლამდე მივიყვანე.

- გასაგებია, - თქვა სემმა. ოდნავ აღგზნებული ჩანდა, რაც არ ახასიათებდა, - მაშინვე მივხვდი, რომ ასე იქნებოდა. თუმცა შთაბეჭდილება იქმნება, რომ ერთმანეთს ლამის პატარაობიდან იცნობთ. ამიტომაც გკითხე, შეიძლება თუ არა ძველი მეგობრები გიწოდოთ... ალბათ, მიხვდი, რასაც ვგულისხმობ.

- ჩვენ დიდ დროს ვატარებთ ერთად, - განვაგრძე მე. ბევრს ხშირად ნათესავები ან ბავშვობის მეგობრები ვეგონეთ და ეს რატომღაც ყოველთვის იდუმალ სიხარულს მგვრიდა, - ალბათ, მონათესავე სულები ვართ.

სემმა თავი დააქნია:

- შენ და კესი... - მან ჩაახველა და ყელი ჩაიწმინდა.

- რამე დავაშავე? - ეჭვიანად იკითხა კესიმ, რომელიც ამ დროს ოთახში შემოვიდა.

- ეგ მხოლოდ ღმერთმა იცის, - მივუგე მე.

- რობს ვკითხე, განყოფილებაში მოსვლამდეც ხომ არ იცნობდით ერთმანეთს, - თქვა სემმა, - კოლეჯში ან სადმე სხვაგან-- მეთქი.

- კოლეჯში არ მისწავლია.

მივხვდი, რისი კითხვა სურდა სემს. ადამიანების უმრავლესობა, ადრე თუ გვიან, ამ შეკითხვას სვამს, მაგრამ სემი ცნობისმოყვარე არასდროს ყოფილა.

- მართლა? - იკითხა სემმა და სცადა, გაოცება არ დასტყობოდა, - მეგონა, ტრინიტი-კოლეჯი, ერთობლივი მეცადინეობა ან...

- ჩვენ ერთმანეთს ადამის დროიდან არ შევხვედრივართ, - შემპარავად მიუგო კესიმ, რის შემდეგაც ერთხანს ვდუმდით, შემდეგ კი თავი ვეღარ შევიკავეთ და სიცილი აგვიტყდა. სემი გვიყურებდა, იღიმებოდა და თავს აქნევდა.

- ორივე გიჟი ხართ, - თქვა მან და საფერფლის დასაცლელად წამოდგა.

სემს სიმართლე ვუთხარი - კოლეჯში არასდროს მისწავლია. სკოლა, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, კარგად დავამთავრე - მხოლოდ სამი შედარებით დაბალი ნიშანი მყავდა, რაც სრულიად საკმარისი იყო სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ განცხადება არსად შემიტანია. ყველას ვეუბნებოდი, ერთ წელს გამოვტოვებ და კარგად მოვემზადები-მეთქი, სინამდვილეში კი უსაქმოდ ყოფნა მინდოდა, არაფრის კეთება, აბსოლუტურად არაფრის, თანაც, შეძლებისდაგვარად, დიდხანს - შესაძლოა, სიცოცხლის ბოლომდეც კი.

ჩარლიმ ლონდონში გადაწყვიტა წასვლა ეკონომიკის შესასწავლად. მეც მასთან ერთად გავემგზავრე, რადგან ჩემთვის სულერთი იყო. მამამისმა მისთვის ფეშენებელურ რაიონში იქირავა ნახევარი ბინა, სადაც ოთახებში იატაკზე პარკეტი ეგო, კარს კი შვეიცარი აღებდა. ასეთ ფუფუნებას ჩემი ჯიბე ვერ გასწვდებოდა, ამიტომ ქალაქის ღარიბულ ნაწილში ერთი პატარა ოთახი ვიქირავე, ჩარლიმ კი ჰოლანდიელი სტუდენტი შეიამხანაგა, რომელიც შობას შინ აპირებდა გამგზავრებას. ჩვენი გეგმის მიხედვით, ამ ხნის განმავლობაში ფულს დავაგროვებდი და მეგო-

ბარს შევუერთდებოდი, მაგრამ შობამდე კარგა ხნით ადრე მივ-ხვდი, რომ არსად გადავიდოდი - არა უფულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ სრულიად მოულოდნელად ძალიან შემიყვარდა ჩემი ოთახი და ახალი, თავისუფალი და უდარდელი ცხოვრება.

ინტერნატის დასრულების შემდეგ განმარტოებამ ბანგივით გამაბრუა. პირველივე ღამეს რამდენიმე საათის განმავლობაში საწოლში თვალი ვერ მოვხუჭე. დერეფნიდან შემოსული გემ-რიელი საჭმლის მადის აღმძვრელი სუნი ცხვირში მიღიტინებდა, მესმოდა, როგორ კამათობდა კედლის მიღმა ორი მეზობელი რუსულად, სადღაც გვერდით კი უმოწყალოდ ყალბად წრიპინებ-და ვიოლინო. ის აზრი, რომ ახლა ერთი სულიერიც ვერ დამინა-ხავდა და ვერ მკითხავდა, რას ვაკეთებდი, ვერც რამის გაკეთე-ბას დამავალებდა, ისე აღმაფრთოვანებდა, თითქოს ჩემს ოთახს ნებისმიერ წუთს შეეძლო, სახლს გაბრწყინებული საპნის ბუშტი-ვით გამოყოფოდა და სახურავებისა და მდინარის თავზე რწევა--რწევით ვარსკვლავებისკენ გაეცურა.

ასე გავიდა თითქმის ორი წელი. ამ დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში უმუშევრობისთვის გამოყოფილი დახმარების ხარჯზე ვცხოვრობდი. ზოგჯერ, თუ ძალიან მომაბეზრებდნენ თავს ან ფული დამჭირდებოდა გოგონებზე შთაბეჭდილების მო-სახდენად, რამდენიმე კვირას ან მშენებლობაზე ვმუშაობდი, ან ავეჯი გადამქონდა. ჩარლის მალე დავშორდი. ეს მას შემდეგ და-იწყო, რაც ჩემი ბინა დაინახა და საშინლად განცვიფრდა, თუმცა თავაზიანობა გამოიჩინა და არაფერი მითხრა. თვეში ორჯერ პაბში დავდიოდით, შიგადაშიგ მის წვეულებებს ვესწრებოდი, სა-დაც მის მეგობრებს შორის ბევრი გოგონა გავიცანი, მათ შორის, სასმლის სიყვარულის გამო დაკომპლექსებული ჯემა. არა, ცუდი მეგობრები არ ჰყავდა - ძირითადად, კოლეჯის ამხანაგები, მაგ-რამ ისინი თავის ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც არ ვიცოდი და არც მსურდა, მცოდნოდა, ათასგვარ ჟარგონს ხმარობდნენ

და მხოლოდ მათთვის გასაგებად მახვილსიტყვაობდნენ, ამიტომაც მათ თითქმის არ ვეკონტაქტებოდი.

გულწრფელად გითხრათ, არც მახსოვს, ეს ორი წელი რას ვაკეთებდი. მგონი, არაფერს. თანამედროვე სამყაროში ეს წარმოუდგენელია, მაგრამ უსაქმურობისა და სიზარმაცის უდიდესი ნიჭი აღმომაჩნდა, რის უფლებასაც ადამიანები საკუთარ თავს მხოლოდ ბავშვობაში აძლევენ. ფანჯარაზე ძველი ჭაღის დაწახნაგებული ბროლი ეკიდა და შემეძლო, ნახევარი დღის განმავლობაში საწოლზე წამოწოლილს მეცქირა, როგორ ეფინებოდა ოთახს ათინათებად მისგან არეკლილი მზის სხივები.

საერთოდ, ბევრს ვკითხულობ. ყოველთვის ასე იყო, მაგრამ ის ორი წელი წიგნებს შორის გავატარე. გაუმაძღრად, ერთგვარი ავხორცულობითაც კი ვნთქავდი მათ. ახლომდებარე ბიბლიოთეკაში ჩავეწერე, იქიდან ყველაფერი მომქონდა, რისი წამოღებაც შეიძლებოდა, ოთახში ვიკეტებოდი და დღედაღამ ვკითხულობდი. ძველი ავტორები უფრო მომწონდა, მათ შორისაც უფრო ძველს ვამჯობინებდი - ტოლსტოის, პოს, მეფე იაკობის ეპოქის[66] დროინდელ ტრაგედიებს, ლაკლოს[67] ძველისძველ თარგმანებს. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, გარეთ გამოვდიოდი, თვალებს ვჭუტავდი და ხშირ-ხშირად ვახამხამებდი, მომდევნო რამდენი დღე წიგნების მსუბუქი და გამჭვირვალე რიტმით ვცხოვრობდი.

---

[66] იაკობის ეპოქა - ინგლისისა და შოტლანდიის ისტორიის პერიოდი, რომელიც ემთხვევა შოტლანდიის, 1603 წელს კი ინგლისის მეფის იაკობ VI-ის მმართველობას (1567-1625).

[67] პიერ ამბრუაზ ფრანსუა შოდერლო დე ლაკლო (1741-1803) - ფრანგი გენერალი და გამომგონებელი, განსაკუთრებით ცნობილია როგორც ავტორი ეპისტოლარული რომანისა "სახიფათო კავშირები".

ტელევიზორსაც დიდ დროს ვუთმობდი. მეორე წელს განსაკუთრებით კრიმინალისტიკის შესახებ გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმებმა გამიტაცა, რომლებსაც გვიან საღამოს "დისქავერის" არხზე უჩვენებდნენ. დანაშაულზე მეტად მათი გამოძიების რთული პროცესი მიტაცებდა. აღმაფრთოვანებდა ის სიმტკიცე და სიჯიუტე, რომლითაც FBI-ის ტანადი აგენტები ან ღიპიანი ტეხასელი შერიფები ერთმანეთის მიყოლებით აწყობდნენ არეულ-დარეული თავსატეხის ფრაგმენტებს, სანამ ყველაფერი თავ-თავის ადგილას არ დადგებოდა და მათ ხელში აბსოლუტურად მკაფიო და უდავო პასუხი არ აღმოჩნდებოდა. ისინი იმ მეფოკუსეებს მაგონებდნენ, ცილინდრში ერთ მუჭა ნაჭერს რომ ყრიან, ხელს არტყამენ და ფანფარების გრიალისა და მაყურებლის ტაშის თანხლებით, იქიდან აბრეშუმის მთელი თავსაფარი ამოაქვთ. ოღონდ აქ ყველაფერი ათასჯერ უკეთესად იყო - ყველაფერი ნამდვილად და, როგორც მაშინ მეგონა, მოტყუების გარეშე ხდებოდა.

ცხადია, ამას რეალურ ცხოვრებასთან საერთო ბევრი არაფერი ჰქონდა, მაგრამ დროდადრო სამუშაოზე ვეწყობოდი, რაც ყოველთვის შოკში მაგდებდა. ერთხელ უმუშევრობის შემწეობა გამიუქმეს, ჩარლიმ განმიცხადა, რომ ქორწინდებოდა, ჩემ ქვემოთ კი ხმაურიანი მეზობელი შესახლდა რეპისადმი ავადმყოფური სიყვარულით. მივხვდი, რომ ირლანდიაში უნდა გადავბარგებულიყავი, კოლეჯის კურსები გამევლო და დეტექტივი გავმხდარიყავი. ძველი ბინა არ მენატრებოდა, თუმცა იქ გატარებული თავისუფალი და უდარდელი წლები დღემდე ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ ხანად მიმაჩნია.

სემი დაახლოებით თორმეტის ნახევრისთვის წავიდა. ბოლსბრიჯი სენდიმაუნთიდან ხელის გაწვდენაზეა. მან ქურთუკი ჩაიცვა და ჯიქურ შემომხედა.

- რომელ მხარეს მიდიხარ? - მკითხა მან.

- შენი ბოლო ავტობუსი უკვე წავიდოდა, - სასხვათაშორისოდ მითხრა კესიმ, - თუ გინდა, ჩემს დივანს შემოგთავაზებ.

შემეძლო, მეპასუხა, ტაქსის დავიჭერ-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ კესი არ ტყუოდა: სემი ქვიგლი არ იყო - მეორე დღეს მრავალმნიშვნელოვნად არ გაგვიღიმებდა და თვალს არ ჩაგვიკრავდა.

- ჰო, ალბათ, წავიდოდა, - დავეთანხმე და საათზე დავიხედე, - ძალიან ხომ არ შეგავიწროებ?

თუ სემი გაოცდა, ყოველ შემთხვევაში, თავი არაფრით გაუცია.

- თუ ასეა, ხვალამდე, - თქვა მან, - ღამე მშვიდობისა.

- შეუყვარდი, - ვუთხარი კესის სემის წასვლის შემდეგ.

- ღმერთო, რა ადვილად შეიძლება მიხვდეს კაცი, რის თქმას აპირებ, - ამოიოხრა კესიმ და კარადა გამოაღო სათადარიგო საბნისა და ჩემი მაისურის გამოსაღებად.

- "მინდა მოვისმინო, რას იტყვის კესი", "კესი ისე კარგად მუშაობს"...

- რაიან, ღმერთს რომ საშინელი, ღინღლით შემოსილი ძმით ჩემი გაბედნიერება მოესურვებინა, სწორედ მისნაირს გამომიგზავნიდა, თანაც გელური აქცენტით მიბაძვა არ გამოგდის.

- შენც მოგწონს?

- ასე რომ ყოფილიყო, ჩემს საფირმო ფოკუსს ვაჩვენებდი - ენითა და ალუბლის ყუნწით კვანძს გავაკეთებდი.

- ვერ შეძლებდი. აბა, მაჩვენე.

- ვიხუმრე, რაიან, ახლა კი დაიძინე.

ჩვენ დივანი გავშალეთ. კესიმ მაგიდის ნათურა აანთო, მე ოთახში შუქი ჩავაქრე. ბინდბუნდში ლოგინი პატარა, თბილი და მყუდრო ჩანდა. კესიმ გრძელ მაისურს მიაგნო, რომელშიც, ჩვეულებრივ, იძინებდა ხოლმე, და სააბაზანოში შევიდა გადასაცმელად. წინდები ფეხსაცმელებში ჩავჩურთე და დივანქვეშ

შევყარე, ტრუსამდე გავშიშვლდი, ჩემი მაისური გადავიცვი და მეორე საბანქვეშ შევძვერი. ამ პროცედურას თვალდახუჭული გავდიოდით. გავიგონე, როგორ იბანდა კესი სახეს და თან ჩემთვის უცნობ სიმღერას ნაღვლიანად ღიღინებდა: "როგორც ყვავის ტუზი გულის ქალთან, დღეს ის შენთან არის, ხვალ კი სხვასთან..." - ხმადაბლა მღეროდა და სიტყვების დაბოლოებებს ყლაპავდა.

- მართლა ასეთი დამოკიდებულება გაქვს შენს სამუშაოსთან? - ვკითხე, როდესაც დაბრუნდა - ფეხშიშველი, ტიტველი, პატარა ბიჭივით დაკუნთული ფეხებით, - როგორც მარკს თავის არქეოლოგიასთან?

ამ შეკითხვის დასმა სემის თანდასწრებით არ მინდოდა. კესიმ დამცინავი ღიმილით შემომხედა.

- ჩვენს ოთახში სასმელი იატაკზე არასდროს დამისხამს. გეფიცები.

ველოდებოდი. იგი საბანქვეშ შეძვრა და იდაყვებს დაეყრდნო. ლამპის შუქზე კესის სახე თბილი და მქრქალი მინასავით გამჭვირვალე ჩანდა. დარწმუნებული არ ვიყავი, მოისურვებდა თუ არა პასუხის გაცემას ახლა, როდესაც სემი აქ აღარ იყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ჩაილაპარაკა:

- ჩვენ სამართლიანად ვმუშაობთ და სიმართლეს ვეძებთ, ეს კი სერიოზული საქმეა.

- ამიტომაც არ გიყვარს ტყუილის თქმა?

ეს კესის ერთ-ერთი, დეტექტივისთვის უჩვეულო თვისება იყო. ისეთ შეკითხვებსა და მეთოდებს არ იყენებდა, რომლებიც აშკარად ტყუილზე იყო აგებული - რთულ, ჩახლართულ ფრაზებს ამჯობინებდა. არასდროს მსმენია კესის ტყუილი.

მან მხრები აიჩეჩა:

- პარადოქსი ჩემი ძლიერი მხარე არაა.

- მე კი პირიქით ვარ.

კესი გულაღმა დაწვა და გაიცინა.

- ეს შენს პირად საქმეში უნდა ჩავწეროთ. მამაკაცი, სიმაღლე ექვსი ფუტი, პარადოქსის სპეციალისტი...

- ...არანორმალურად მომხიბლავი...

- ეძებს თავის ბრიტნის...

- ჰეი!

მან უმანკო კრავივით აზიდა წარბები.

- არა?- ცოტაოდენი პატივისცემა მაინც გამოიჩინე. ბრიტნი ცუდი გემოვნების მქონე მამაკაცებს მოსწონთ, მე კი სკარლეტ იოჰანსონი[68] მაინც მჭირდება.

გავიცინეთ და გავჩუმდით. კმაყოფილმა ამოვიხვნეშე და დივანზე გავიჭიმე, კესიმ ხელი გაიწვდინა და შუქი ჩააქრო.

- ძილი ნებისა.

- ტკბილ სიზმრებს გისურვებ.

კესი ადვილად და სწრაფად იძინებდა. წუთის შემდეგ მისი ღრმა და თანაბარი სუნთქვა მომესმა. ყოველი ამოსუნთქვისას ოდნავ ყოვნდებოდა, რაც უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ ეძინა. მე კი, როცა გავითიშებოდი, მაღვიძარაც ვეღარ მაღვიძებდა, სამაგიეროდ, შეიძლებოდა, რამდენიმე საათის განმავლობაში არ ჩამძინებოდა. კესისთან ამას გაცილებით იოლად ვახერხებდი, მიუხედავად დივნის უწორმასწორობისა და ძველ სახლში გამოცემული უცნაური ხმებისა. ახლაც კი, როდესაც ცუდად მძინავს, ხშირად ვცდილობ, საკუთარი თავი იმ ლოგინში წარმოვიდგინო: ფლანელის რბილი საბანი ლოყაზე მიღიტინებს, ოთახში ვისკის მძაფრი სურნელი ტრიალებს, კესი ძილში რაღაცას ჩურჩულებს და გვერდს იცვლის.

---

[68] სკარლეტ იოჰანსონი (დაიბ. 1984) - ამერიკელი მსახიობი და მომღერალი.

სახლში ვიღაც წყვილი შემოვიდა, კიბე ჩურჩულითა და ხით-ხითით აიარა და ქვემოთ მდებარე ბინაში შევიდა. მათი სიცილი და ლაპარაკი კედლებმა ჩაახშო. ჩემი სუნთქვის რიტმი კესისას დაემთხვა და ვიგრძენი, როგორ გაბუნდოვნდა რეალობა ძილ--ბურანის სურათებში: აი, სემი ნავის გაკეთების შესახებ ჰყვება, კესი ფანჯრის რაფაზე ქვის ორ სტატუეტს შორის ზის და იცინის. ზღვა ქალაქის მეორე მხარეს არის და წესით, მისი ხმაური აქამდე ვერ უნდა აღწევდეს, მაგრამ მეჩვენება, რომ ტალღების ტყლაშუნი მესმის.

9 თავი

როდესაც წარსულს თვალს ვავლებ, ასე მგონია, ჩვენ სამმა უამრავი საღამო გავატარეთ ერთად კესის ბინაში, გამოძიება დაახლოებით ერთი თვე გრძელდებოდა და იმ დროს სხვა საქმეს ვაკეთებდით, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ყველაზე ნათელი კვალი სწორედ იმ დღეებმა დატოვა, თითქოს ისინი განსაკუთრებულად ხასხასა საღებავით შეეღებათ. ამინდი გაფუჭდა, უკვე შემოდგომა იდგა, ქარი სახურავებს შორის ზუზუნებდა, წვიმა ფანჯარაზე აკაკუნებდა, ღრეჩოებში ატანდა და რაფაზე იღვრებოდა. კესი ბუხარს ანთებდა, სამივენი ცეცხლთან ვისხედით, ირგვლივ ქაღალდები შემოგვეწყო და ახალ ვერსიებზე ვმსჯელობდით. შემდეგ ვსადილობდით: მაკარონის ვარიაციები კესის შესრულებით, სენდვიჩი საქონლის ხორცით - ჩემთვის, მსუბუქი ეგზოტიკა სემისთვის - მსუყე ტაკო[69] და ტაილანდური კერძი არაქისის ცხარე საწებლით. ვახშამზე ჯერ ღვინოს ვსვამდით, შემდეგ - სხვადასხვაგვარად გაზავებულ ვისკის. როდესაც სასმელი მოქმედებას იწყებდა, საქმეებს განზე გადავდებდით, ფეხზე ვიხდიდით, მუსიკას ვრთავდით და გვიანობამდე ვლაპარაკობდით. ოჯახში კესი, ჩემსავით, ერთადერთი ბავშვი იყო, ამიტომაც ძალიან მოგვწონდა, როდესაც სემი თავის ბავშვობაზე გვიყვებოდა: გოლუეის სოფლის ძველ სახლში პატარების (ოთხი ძმა და სამი და) ჟრიამულზე, კოვბოებისა და ინდიელების დაუსრულებელ თამაშზე, მიტოვებულ წისქვილზე მოჩვენებების სანახავად ღამით გაპარვაზე. აი, დევკაცი მამა და ყაირათიანი დედა, რომელსაც ღუმლიდან ცხელი პური გამოაქვს, მაგიდაზე ხის კოვზს აკაკუნებს და ბავშვებს ითვლის, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა შინაა და მდინარეში არავინ ჩავარდნილა.

---

[69] ტაკო - ტრადიციული მექსიკური კერძი.

კესი ხუთი წლის იყო, როდესაც მშობლები ავტოავარიაში დაეღუპა. იგი მოხუცმა ალერსიანმა დეიდამ და ბიძამ გაზარდეს, რომლებიც უიკლიში, ძველ თეთრ სახლში, ერთი მილის დაშორებით ცხოვრობდნენ. იგი გვიყვებოდა, როგორ გამოჰქონდა ბიბლიოთეკიდან მოზრდილთათვის განკუთვნილი წიგნები: "ოქროს ტოტი", ოვიდიუსის "მეტამორფოზები", "მადამ ბოვარი", და თუმცა სძულდა ისინი და მოწყენილობისგან იტანჯებოდა, მაინც ბოლომდე ჩაიკითხავდა ხოლმე, როდესაც ფანჯარასთან, კიბეზე იჯდა და წვიმის მონოტონურ ხმაურში ბაღში მოკრეფილ ვაშლს მიირთმევდა. ერთხელ ძველი კარადის ქვეშ შემძვრალა და იქ ჩინური ფაიფურის თეფში, გეორგ VI-ის დროინდელი პენი[70] და პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტიდან რომელიღაც ჯარისკაცის მიერ გამოგზავნილი წერილი უპოვია. ვერავინ იხსენებდა, ვინ იყო იგი, თანაც სიტყვების ნახევარი ცენზურას ამოეშალა.

მე თორმეტ წლამდე არაფერი მახსოვდა, თუმცა შემდგომი მოგონებებიც მოსაწყენ მწკრივს ქმნიდა - ნაცრისფერი საწოლები საერთო საძინებელ ოთახში, ცივი საშხაპეები ქლორის სუნით, სასკოლო ფორმაში გამოწყობილი ბიჭები, პროტესტანტულ ჰიმნებს რომ მღერიან ერთგულებასა და მოვალეობაზე. მე და კესის სემის ბავშვობა ლამაზსურათებიანი წიგნიდან ამოღებულ ამბად გვეჩვენებოდა, რომელშიც ლოყებღაჟღაჟა ბავშვები ბანჯგვლიან ძაღლთან ერთად წინ და უკან დარბიან. "მოგვიყევი შენი პატარაობის შესახებ", - ამბობდა კესი, დივანზე მოხერხებულად მოკალათდებოდა და სვიტერის სახელოებს დაიკაპიწებდა, რათა ვისკიანი ბოკალი აეღო.

---

[70] პენი - ფულის ერთეული ბრიტანეთის სამეფოს ქვეყნებში.

საუბრის დროს სემი, ჩვეულებრივ, დამხმარის როლს ასრულებდა, რაც გულის სიღრმეში მიხაროდა კიდეც. მე და კესიმ ორი წელი დავხარჯეთ, რათა ერთ ტალღაზე ავწყობილიყავით და მხოლოდ ჩვენთვის გასაგები სიტყვებისა და პირობითი ნიშნების სისტემა ჩამოგვეყალიბებინა, სემი კი ჩვენს კომპანიაში შემთხვევით აღმოჩნდა. ამიტომაც სულაც არ იყო სამარცხვინო, რომ თავი ყოველთვის, ერთგვარად, განკერძოებულად ეჭირა და რეპლიკებს შორიდან წარმოთქვამდა. როგორც ჩანს, ეს არც ადარდებდა. ჭიქით ხელში დივანზე გაიჭიმებოდა ხოლმე - შუშა ნოხზე ქარვის ათინათებს აჩენდა - და ღიმილით გვისმენდა, როგორ ვმსჯელობდით დროის არსზე, თ. ს. ელიოტზე,[71] მოჩვენებების მეცნიერულ ახსნაზე. ცხადია, ეს ყველაფერი ცოტა ბავშვურად გამოიყურებოდა, მით უმეტეს, რომ მე და კესი განუწყვეტლივ ვანცობდით ("მიკბინე, რაიან", - მეუბნებოდა ის, მეც ხელში კბილებს ჩავავლებდი და მანამ ვკბენდი, სანამ შეწყალებას არ მთხოვდა). სიყმაწვილეში მსგავსი საუბრების შესაძლებლობა არ მქონდა, ამიტომაც ისინი აღმაფრთოვანებდა.

მე, ცხადია, ყველაფერს რომანტიზმის საბურველში ვხვევ - ეს ჩემი ქრონიკული მიდრეკილებაა, მაგრამ არ მოგატყუებთ: ის საღამოები ნაკვერცხალზე შემწვარი წაბლივით გემრიელი კი იყო, სამაგიეროდ, დღის დარჩენილი ნაწილი ნერვებს გვაწყვეტდა და ბოლომდე გვწურავდა. ოფიციალურად, ცხრიდან ხუთამდე ვმუშაობდით, თუმცა ხშირად სამსახურში დილით, რვა საათამდე მივდიოდით და საღამოს რვა საათის შემდეგ მოვდიოდით, თან შინ დამატებითი სამუშაო მიგვქონდა: დაკითხვის ოქმები, მოწმეთა ჩვენებები, ჩანაწერები, მოხსენებები. ვახშმობას ცხრაზე ან ათზე ვიწყებდით, გვიანობამდე გამოძიების შესა-

---

[71] თომას ელიოტი (1888-1965) - წარმოშობით ამერიკელი, ბრიტანელი პოეტი, მწერალი, დრამატურგი, ლიტერატურის კრიტიკოსი და მოაზროვნე.

ხებ ვსაუბრობდით და მხოლოდ ღამის ორი საათისთვის ვწვებოდით. ავადმყოფურად მივეჩვიეთ კოფეინს და დაღლილობას ყურადღებას აღარ ვაქცევდით. ერთხელ, პირველივე პარასკევ საღამოს, ერთი ახალი დამხმარე, სახელად კორა, შემდეგი სიტყვებით დაგვემშვიდობა: "კარგი, ძმებო, აბა, ორშაბათამდე", რასაც ჩვენი ერთობლივი სიცილი მოჰყვა, ო ' კელიმ კი მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა: "არა, ჩემო კარგო, ხვალ რვა საათისთვის გელოდები".

სხვათა შორის, იმ ხუთშაბათს როზალინდა დევლინმა არ დამირეკა. საღამოს ხუთი საათისთვის ლოდინისა და წუხილისგან გათანგულმა თვითონ დავურეკე მობილურზე. არ მიპასუხა. "როგორც ჩანს, მშობლები არიან ახლომახლო, - გავიფიქრე, - ან მათ დაკრძალვის ორგანიზებაში ეხმარება, ან ჯესიკას უვლის, ან თავის ოთახში ზის და ტირის". შეშფოთებამ მაინც არ გამიარა და წამდაუწუმ მახსენებდა თავს ფეხსაცმელში ჩავარდნილი კენჭივით.

კვირას მე, კესი და სემი ქეითის დაკრძალვაზე წავედით. საუბრები იმის შესახებ, თითქოს მკვლელს მსხვერპლის საფლავი იზიდავს, ცხადია, ლეგენდად მიგვაჩნდა, მაგრამ ამის შემოწმება მაინც არ გვაწყენდა. ამასთან, ო ' კელიმ გადაწყვიტა, რომ ეს პიარის თვალსაზრისითაც არ იქნებოდა ურიგო. ადგილობრივი ეკლესია 70-იან წლებში აეგოთ, როდესაც ბეტონი მოდური გახდა, და ხელისუფლება პირობას დებდა, რომ ნოკნარის ახალ მეგაპოლისად გადააქცევდა. ტაძარი დიდი, ცივი და უშნო იყო ჯვრის ტარების ნახევრად აბსტრაქტული სცენებითა და ბეტონის კედლებს შორის გავრცელებული ხმამაღალი ექოთი. მოკრძალებულ მუქ კოსტიუმებში გამოწყობილები დარბაზის სიღრმეში ვიდექით და შემომატებულ ხალხს ვაკვირდებოდით. აქ იყვნენ ფერმერები იღლიაში ამოდებული კეპებით, თავსაფრიანი მოხუცი ქალები, მოდურად ჩაცმული მოზარდები, რომლებსაც ისეთი

სახე მიეღოთ, თითქოს არაფერი ადარდებდათ. საკურთხევლის წინ მდგარი პატარა, თეთრი, ოქროთი გაწყობილი კუბო საზარელ შთაბეჭდილებას ახდენდა. აი, როზალინდაც გამოჩნდა: მარგარეტსა და დეიდა ვერას შორის იდგა და თავდახრილი და მხრებჩამოშვებული მოდიოდა. ჯონათანი არაფრის მთქმელი თვალებით უკან მოჰყვებოდა და ჯესიკასთან ერთად პირველი რიგისკენ მიემართებოდა.

ორპირი ქარი სანთლებს სწრაფად ადნობდა. ჰაერში ნესტის, საკმევლისა და ჭკნობაშეპარული ყვავილების სუნი იდგა. ოდნავ თავბრუ მეხვეოდა - დილით საუზმობა დამავიწყდა - და ყველაფერი, ცხადზე მეტად, მოგონებას უფრო ჰგავდა. ამის მიზეზს მოგვიანებით მივხვდი: ამ ეკლესიაში მესას ზედიზედ თორმეტი წლის განმავლობაში ვესწრებოდი და არ გამოვრიცხავდი, რომ პიტერისა და ჯემის სულების მოსახსენიებელ წირვაზე აქ, ერთ-ერთ სკამზე ვიჯექი. კესი შეუმჩნევლად ისრესდა ხელებს და გათბობას ცდილობდა.

ახალგაზრდა, სერიოზული გამომეტყველების მქონე მღვდელი ცდილობდა, თავი არ შეერცხვინა და სემინარიაში შესწავლილ სტანდარტულ პროცედურას გულმოდგინედ ასრულებდა. სკოლის ფორმაში გამოწყობილი პირთეთრი გოგონები - ქეითის თანაკლასელებისგან შემდგარი გუნდი - გვერდიგვერდ იდგნენ და ხელში ნოტებიანი ფურცლები ეჭირათ. ისინი მგლოვიარეთა მანუგეშებელ ჰიმნებს მღეროდნენ, თუმცა სუსტი ხმითა და გაუბედავად, ზოგიერთი კი შიგადაშიგ საერთოდ დუმდა. "სადაც უნდა წახვიდე, შენთან ვიქნები; თამამად იარე, გამომყევი..."

ზიარებიდან გამოსულმა სიმონა ქემერონმა ჩემი მზერა დაიჭირა და თავის დაკვრით მომესალმა. ოქროსფერი თვალები საშინლად გასწითლებოდა. ოჯახის წევრები სკამიდან რიგრიგობით დგებოდნენ და კუბოზე საჩუქრებს დებდნენ: წიგნი მარ-

გარეტისგან, სათამაშო წითური კატა ჯესიკასგან, ფანქრით შესრულებული ნახატი, ქეითის საწოლის თავზე რომ ეკიდა, ჯონათანისგან. ყველაზე ბოლოს როზალინდა მივიდა და ერთმანეთზე ზონრებით გადაბმული ბალეტის ვარდისფერი პუანტები დადო. მან ნაზად გადაუსვა მათ ხელი, კუბოსკენ დაიხარა, წაბლისფერი კულულები მის თავსახურავზე გაშალა და აქვითინდა. პირველი რიგიდან სუსტი, არაადამიანური ყმუილი გაისმა.

ცას მონაცრისფრო-მოთეთრო ფერი დასდებოდა, ეკლესიის ეზოში ქარი ხეებს გამხმარ ფოთლებს აცლიდა. ღობეზე დაყრდნობილი რეპორტიორები ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ. ჩვენ მყუდრო ადგილას ვიდექით და იქ მყოფთ ყურადღებით ვაკვირდებოდით, მაგრამ, ცხადია, საეჭვო არაფერი შეგვიმჩნევია.

- ბევრი ხალხია, - ჩაილაპარაკა სემმა, - კარგი იქნება, თუ აქ შეგროვილთ სურათს გადავუღებთ და შევამოწმებთ, ვინმე უცხო ხომ არ არის.

- ის აქ არაა, - თქვა ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა კესიმ, - არ უნდა იყოს. ვფიქრობ, გაზეთებსაც არ კითხულობს. და თუ ვინმე ამის შესახებ დაელაპარაკება, თემას შეცვლის.

როზალინდას ცხვირსახოცი ტუჩებთან მიეტანა და ნელა ეშვებოდა ეკლესიის პარმაღის საფეხურებზე. როდესაც თავი ასწია და ჩვენ დაგვინახა, დედისა და დეიდისგან თავი დაიხსნა და ქარისგან აფრიალებული კაბით ჩვენკენ გამოექანა.

- დეტექტივო რაიან... - როზალინდამ ჩემი ხელი თავის ხელისგულებში მოიქცია და ცრემლიანი თვალებით შემომხედა, - ამას ვერ გავუძლებ. უნდა შეიპყროთ ის, ვინც ჩემს დას ეს დამართა.

- როზალინდა! - ხრინწიანი ხმით შესძახა მის ზურგს უკან ჯონათანმა, მაგრამ გოგონა არ შეტრიალებულა. თხელი, რბილი და ძალიან ცივი ხელები ჰქონდა.

- ყველაფერს გავაკეთებთ, რასაც შევძლებთ, - ვუთხარი მე, - შეგვიძლია, ხვალ დავილაპარაკოთ?

- შევეცდები. დასანანია, რომ პარასკევს ვერ მოვახერხე, არ გამოვიდა... - მან სწრაფად გაიხედა მხარზემოდან, - უნდა წავიდე. იპოვეთ ის, დეტექტივო რაიან, გთხოვთ...

კამერების ჩხაკაჩხუკი მომესმა. მეორე დღეს ერთ-ერთი ფოტოსურათი - როზალინდა პროფილში დგას და ვედრებით შემომყურებს, მე კი მას სულელურად პირღია მივჩერებივარ - რომელიღაც ბულვარული გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა, სათაურით "გეხვეწებით, შური იძიეთ ჩემი დის გამო!"

ქვიგლი ამას მთელი კვირის განმავლობაში მახსენებდა.

ოპერაცია "ვესტალის" დაწყებიდან ორი კვირა გავიდა. ყველაფერს ვაკეთებდით, რაც შეგვეძლო თუ არ შეგვეძლო. ჩვენი ძალები დამხმარეებსა და პოლიციასთან გავაერთიანეთ, პრაქტიკულად, ყველას დაველაპარაკეთ, ვინც ნოკნარიდან ოთხი მილის რადიუსში ცხოვრობდა, მათ შორის, ქეითის ნაცნობებსაც. ქალაქში ერთი მოქალაქე აღმოჩნდა შიზოფრენიის დიაგნოზით, მაგრამ სრულიად უწყინარი იყო და მშვიდად იქცეოდა, თუმცა სამი წელია, წამალს აღარ სვამდა. იმ პირთა საბანკო ბარათები შევამოწმეთ, ვინც ქეითის დახმარების ფონდს ფული შესწირა, თვალთვალი დავუწესეთ მათ, რომლებმაც ქვის სამსხვერპლოზე ყვავილები მიიტანა. დავკითხეთ ქეითის საუკეთესო მეგობრები - ქრისტინა მერფი, ელიზაბეტ მაკგინისი და მარიანა ქეისი - ნამტირალევი, სუსტი, ათრთოლებული გოგოები. მათ მნიშვნელოვანი არაფერი უთქვამთ, თუმცა გამაოცეს. ყოველთვის ვღიზიანდები, როდესაც განცვიფრებას გამოხატავენ, რა სწრაფად იზრდებიან ბავშვებიო (ჩემი ბებია და ბაბუა თექვსმეტი წლის ასაკში უფროსების სამუშაოს ასრულებდნენ - აბა, რომელი პირსინგი შეედრება მათ), და მაინც: ქეითის მეგობრები ისე მკაფიოდ და საღად აღიქვამდნენ სამყაროს, ჩვენს ბედნიერ სიყმაწვი-

ლეში რომ არც დაგვსიზმრებია. "გვეგონა, ჯესიკას დისლექსია[72] განუვითარდა, - გვითხრა ქრისტინამ ცამეტი წლის ბავშვის ხმით, - მაგრამ შეკითხვა არ გვინდოდა. როგორ ფიქრობთ, ქეითი პედოფილმა მოკლა?"

პასუხი, როგორც ჩანს, "არა" იყო. მიუხედავად კესის თეორიისა დანაშაულის არასექსუალური ხასიათის შესახებ, სამხრეთ დუბლინის ყველა მსჯავრდადებული მოძალადე შევამოწმეთ, ისინიც კი, ვისი ჩასმაც მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. მათაც დავუკავშირდით, ვისაც ბედმა უმადური შრომა - ინტერნეტით პედოფილების თვალთვალი და მათი მახეში გაბმა არგუნა წილად. ძირითადად, ერთ კაცს - გამხდარ, ფერმკრთალ, ნაოჭებით სახედაღარულ ვინმე კარლს ვესაუბრებოდით. გვითხრა, რომ ჯერ მხოლოდ რვა თვე ემუშავა, მაგრამ უკვე წასვლა უნდოდა: ორი შვილი ჰყავდა, უფროსს ჯერ შვიდი წელი არ შესრულებოდა, მას კი მათი ძველებურად ყურება აღარ შეეძლო. მთელი დღის მუშაობის შემდეგ თავს ისე გრძნობდა, თითქოს ჭუჭყში ეგორავა და ძილის წინ ბავშვების მოფერებასაც ვეღარ ბედავდა.

მისი თქმით, ინტერნეტში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი ქეით დევლინის მკვლელობაზე და ჩვენ ასობით გვერდს გავეცანით ფორუმებსა და ჩათებზე - პირქუშ და უცნობ სამყაროში შევაბიჯეთ, საიდანაც ყოველ ჯერზე ხელცარიელი ვბრუნდებოდით. მართალია, ერთმა თანამოსაუბრემ საეჭვოდ თანაუგრძნო მკვლელს ("ვფიქრობ, მას გოგონა გაგიჟებით უყვარდა, ის კი ვერაფერს მიხვდა, ჰოდა, გააფრინა კიდეც"), მაგრამ ქეითის მკვლელობის დროს იგი ონლაინში ევროპელი და აღმოსავლეთაზიელი გოგონების შედარებით ღირსებებზე მსჯელობდა. იმ

---

[72] დისლექსია - დასწავლის უუნარობა; გამოწვეულია ტვინის მიერ წერითი და ზეპირი ენის განსხვავებული აღქმა.

საღამოს მე და კესი გვარიანად გამოვთვერით. სოფის გუნდმა სახლში ერთი დუიმიც არ დატოვა შეუსწავლელი - ქსოვილის ბოჭკოებსა და სხვა ნივთმტკიცებებს ეძებდნენ, მაგრამ ვერც სისხლის კვალს მიაგნეს და ვერც გაუპატიურებისთვის გამოყენებული ნივთის მსგავსს. მე ფინანსური ანგარიში გადავათვალიერე: დევლინები ძალზე მოკრძალებულად ცხოვრობდნენ (მხოლოდ ერთი ოჯახური მგზავრობა კრეტაზე,[73] ისიც კრედიტით; ქეითის ბალეტის გაკვეთილები და როზალინდას ვიოლინო, 1999 წლის "ტოიოტა"), დანაზოგიც თითქმის არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, არც ვალი აწუხებდათ. სახლი თითქმის გამოესყიდათ, ტელეფონის გადასახადსაც ყოველთვის დროულად იხდიდნენ. ბანკის ანგარიშზე საეჭვო თანხა ვერ აღმოვაჩინეთ, ქეითს სიცოცხლე დაზღვეული არ ჰქონდა - ყველაფერი სუფთა იყო. "ცხელ ხაზზე" ბევრი ზარი შემოდიოდა, უმეტესწილად, სრულიად უსარგებლო: იმ ადამიანებისგან, ვისი მეზობლებიც "უცნაურად" იქცეოდნენ და ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობა არ სურდათ; მათგან, ვისაც ქვეყნის მეორე ბოლოში ვიღაც პირქუში ტიპები ენახა; ფსიქოპათი ექსტრასენსებისგან, დანაშაულის მთელი სურათი მკაფიოდ რომ ეხილათ, და სხვა სახის ფსიქოპათებისგან, დიდხანს და მოსაწყენად რომ გვიხსნიდნენ, ღმერთმა საზოგადოება ცოდვების გამო დასაჯაო. მე და კესიმ მთელი დილა დავუთმეთ ერთ ბიჭს, რომელიც გვარწმუნებდა, თითქოს ღმერთმა ქეითი იმისთვის დასაჯა, რომ მოურიდებლად წარმოაჩინა საკუთარი თავი საბალეტო კოსტიუმში "აირიშ თაიმსის" ათასობით მკითხველის წინაშე. გამოგიტყდებით, მისი დიდი იმედი გვქონდა, მაგრამ კესისთან საუბარზე უარი განაცხადა, მიზეზად კი ის მოიყვანა, რომ ქალებს საერ-

[73] კრეტა - კუნძული ხმელთაშუა ზღვის აღმ. ნაწილში, ეკუთვნის საბერძნეთს.

თოდ არ უნდა ემუშავათ, რომ ჯინსის შარვალში ისინი უღირსად გამოიყურებოდნენ (მისი აზრით, ქალური მოკრძალების საუკეთესო მაგალითი ფატიმის[74] ღვთისმშობელი იყო). სამწუხაროდ, მასაც უზადო ალიბი აღმოაჩნდა - ორშაბათს მთელი ღამე ბეგოტსტრიტზე, "წითელი ფარნების" კვარტალში გაეტარებინა, სადაც გალეშილი მეძავებს თათხავდა და მათი კლიენტების მანქანის ნომრებს იწერდა, სანამ სუტენიორებმა იქიდან არ მოისროლეს. განსაზღვრული დროის შემდეგ კაცი დაბრუნდა. მაშინ პოლიცია გამოიძახეს, რომელმაც იგი დააკავა და საკანში ჩაკეტა, სადაც დილის ოთხ საათამდე იჯდა. როგორც ჩანს, მსგავსი რამ სისტემატურად ხდებოდა, ვინაიდან მისი ფოკუსების შესახებ ბევრმა იცოდა. ისინი სიამოვნებით ადასტურებდნენ ამას, თანაც გესლიანად ხუმრობდნენ ამ კაცის სექსუალურ პრიორიტეტზე.

უცნაური დღეები იყო, უცნაური და არეულ-დარეული. ახლაც კი მიჭირს მათი აღწერა. მათში ბევრი დეტალი და წვრილმანი შედიოდა, ერთი შეხედვით, არაარსებითი და შარადის ასოებივით ერთმანეთთან დაუკავშირებელი: უცნობი სახეების, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზების და ტელეფონის ზარების დომხალი, რაც კაშკაშა შუქივით თვალს გვჭრიდა. მოგვიანებით გავაცნობიერეთ, რომ ეს წვრილმანები ერთ რიგში ჩამწკრივდა, თანაც თავ-თავიანთ ადგილებზე, და მკაფიო და სრულიად გასაგები სურათი შექმნა.

თავდაპირველად, ოპერაცია "ვესტალის" საწყის ეტაპზე, ყველაფერი საშინლად მიდიოდა. დაჯერება არ გვინდოდა, მაგრამ ყველაფერი ჩიხში ექცეოდა. რომელ "ძაფსაც" ჩავავლე ხელი, ყველას არსაით მივყავდი. თათბირის დროს ო ’ კელი ნერ-

---

[74] პორტუგალიის ქალაქ ფატიმაში განვითარებული მოვლენები, რომლებიც კათოლიკურმა ეკლესიამ სასწაულად აღიარა: თითქოს სამ ბავშვს მარიამ ღვთისმშობელი გამოეცხადა.

ვიულობდა, ხელებს იქნევდა, ყვიროდა, რომ თავის შერცხვენის უფლება არ გვქონდა, და რაც უფრო რთული იყო საქმე, მით მეტად უნდა მოგვენდომებინა. გაზეთები მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის შესახებ გაჰყვიროდნენ, პიტერისა და ჯემის ახალ სურათებს ბეჭდავდნენ და წერდნენ - აი, ასეთი გარეგნობა ექნებოდათ მათ ჩვენს დროში, რომ ეცოცხლათო. იმ დღეებში ისეთ დაძაბულობას ვგრძნობდი, როგორიც ცხოვრებაში, მგონი, არასდროს განმიცდია. მაგრამ მთავარი მიზეზი, რის გამოც იმ პირველი დღეების შესახებ მშვიდად საუბარი არ შემიძლია, - მიუხედავად იმისა, რომ მრცხვენია მოგონებებით ტკბობისა, - ალბათ, ის არის, რომ ისინი ჯერაც მენატრება. ახლა წვრილმანებს მივუბრუნდეთ. ჩვენ, ბუნებრივია, დაუყოვნებლივ მოვიპოვეთ ქეითის სამედიცინო ანკეტა. ის და ჯესიკა ვადაზე ორი კვირით ადრე დაბადებულიყვნენ, მაგრამ ქეითი ნორმალურად ვითარდებოდა და რვა წლამდე ავად თითქმის არ გამხდარა. შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უეცრად მკვეთრად გაუარესდა. მუცლის ტკივილი, ღებინება, ფაღარათი რამდენიმე დღის განმავლობაში... საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქეითი თვეში სამჯერ რეანიმაციაშიც კი იწვა. შარშან, მორიგი შეტევის შემდეგ, ექიმებმა საცდელი ლაპარატომია გაუკეთეს - ოპერაცია, რაც კუპერმაც გვითხრა, და რომლის გამოც ქეითს ერთი წელი გაუცდა საბალეტო სკოლაში. დიაგნოზი ასეთი იყო: "ნაწლავური ტრაქტის იდიოპათიური დაავადება ფსევდოგაუვალობითა და მუცლის ატიპური შებერილობით". გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, მათ ყველა ვარიანტი განიხილეს და მაინც ვერ მიხვდნენ, რა სჭირდა გოგონას.

- დელეგირებული მიუნჰაუზენის სინდრომი?[75] - ვკითხე კესის.

75

იგი ხელებით სკამის საზურგეს დაჰყრდნობოდა და ჩემს მხარზემოდან კითხულობდა.

შტაბში ერთი კუთხე გამოვყავით, "ცხელი ხაზიდან" მოშორებით, სადაც ჩვენს საქმეებზე მუშაობა იმ პირობით შეგვეძლო, თუ არ ვიხმაურებდით. კესიმ მხრები აიჩეჩა და სახე დამანჭა.

- გამორიცხული არაა. თუმცა რაღაც არ ემთხვევა. მსგავს შემთხვევებში დედებს, ჩვეულებრივ, მედიცინასთან აქვთ კავშირი - მედდებად ან სანიტრებად მუშაობენ, - პოლიციის ინფორმაციით, მარგარეტს სკოლა თხუთმეტი წლის ასაკში მიეტოვებინა და გათხოვებამდე საკონდიტრო ფაბრიკა "ჯეიკობსში" მუშაობდა, - გირჩევ, პაციენტთა მიღების ჟურნალში ჩაიხედო. მარგარეტს ქეითი საავადმყოფოში მხოლოდ შემთხვევათა ნახევარში წაუყვანია. სხვა დროს ამას ჯონათანი, როზალინდა ან ვერა აკეთებდა, ერთხელ მასწავლებლისთვისაც უთხოვიათ... მიუნჰაუზენის სინდრომით დაავადებული დედებისთვის მთავარი ექიმებისა და მედდების ყურადღება და თანაგრძნობაა. ისინი არ დაუშვებენ, რომ ყურადღების ცენტრში ვინმე სხვა აღმოჩნდეს.

- მაშასადამე, მარგარეტს გამოვრიცხავთ?

კესიმ ამოიოხრა:

- იგი საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტში არ ჯდება, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. შესაძლოა, გამონაკლისიც არსებობდეს. კარგი იქნება, თუ დების სამედიცინო ანკეტებსაც გადავხედავთ. ასეთი დედები იშვიათად თუ ზრუნავენ მხოლოდ ერთ შვილზე, სხვებს კი ყურადღებას არ აქცევენ. ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ისინი ერთი ბავშვიდან მეორეზე გადაერთვებიან ხოლმე ან ყველაზე უფროსით იწყებენ, მოგვიანებით კი, როდესაც მას მთლიანად გამოწურავენ, უმცროსებზე გადადიან. თუ მარგარეტი ამ საქმეში გარეულია, მაშინ დანარჩენ ქალიშვილებსაც ვერ უნდა ჰქონდეთ რიგზე ყველაფერი: ვთქვათ, გაზაფხულზე, როდესაც ქეითი აღარ ავადმყოფობდა, ჯანმრთელობის

პრობლემა ჯესიკას შეექმნა... გინდა, მშობლებს დაველაპარაკოთ?

- არა, - მივუგე. ოთახში ხმაური იდგა, თითქოს ყველა დამხმარე ერთდროულად ლაპარაკობდა. დავიბენი და ყურადღების მოკრება მიჭირდა, - დევლინებმა არ იციან, რომ ეჭვმიტანილები არიან. დაე, ასე დარჩეს, სანამ უფრო სერიოზულს არ მოვიგდებთ ხელში. თუ როზალინდასა და ჯესიკას ჯანმრთელობაზე დავუსვამთ შეკითხვებს, მაშინვე გაფაციცდებიან.

- უფრო სერიოზული... - ჩაილაპარაკა კესიმ. იგი მაგიდაზე დაყრილ ფურცლებს დააცქერდა, - პრინტერზე ამობეჭდილებს, ხელით ნაწერს. ფოტოსურათების ასლებს, - შემდეგ მზერა თეთრ დაფაზე გადაიტანა, რომელზეც მრავალი გვარი, ტელეფონის ნომერი, ფოტოსურათი, ფერადი ისარი და სქემა მოჩანდა.

- ჰო, - თავი დავუქნიე მე, - ვიცი.

გოგონების წარმატება სკოლაში, რბილად რომ ვთქვათ, არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. ქეითი ცუდად არ სწავლობდა: ირლანდიურ ენაში კარგი შეფასება ჰქონდა, ფიზკულტურაში - უმაღლესი. ყოფაქცევაც არ დაეწუნებოდა, გაკვეთილებზე ბევრი ლაპარაკისა და გაკვეთილების ხშირად გაცდენის გამოკლებით. როზალინდა უფრო ნიჭიერი ჩანდა, თუმცა მეტი არასტაბილურობით გამოირჩეოდა: უმაღლესი შეფასებების გვერდით დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი ნიშნებიც გამორეოდა. მასწავლებლები მის დღიურში არასაკმარის ყურადღებასა და გაცდენებზე წერდნენ. რაც შეეხება ჯესიკას, როგორც ველოდით, მისი დოსიე ყველაზე სქელტანიანი აღმოჩნდა. ცხრა წლამდე ჩვეულებრივ კლასში სწავლობდა, შემდეგ კი, როგორც ჩანს, ჯონათანმა განგაში ატეხა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ გოგონა გამოიკვლია. მას ინტელექტის კოეფიციენტი დაუდგინეს - 90-დან 105 ქულამდე, ნევროლოგიური პრობ-

ლემა არ დაუდგინდა. "სწავლის არასპეციფიკური უუნარობა აუტიზმის ნიშნებით", - დაასკვნა სამედიცინო კომისიამ.

- შენ რას ფიქრობ ამის შესახებ? - ვკითხე კესის.

- ჩემი აზრით, უცნაური ოჯახია. გამოდის, თუკი მათთან ვინმეზე ძალადობდნენ, ეს ჯესიკა უნდა იყოს. იგი შვიდ წლამდე აბსოლუტურად ნორმალური ბავშვი იყო, მაგრამ მოულოდნელად სკოლის ნიშნები და უნარ-ჩვევები მკვეთრად გაუუარესდა. თანდაყოლილი აუტიზმის გამოვლენისთვის ძალზე დაგვიანებულია, სამაგიეროდ, ზუსტად ემთხვევა რეაქციას ოჯახში ძალადობაზე. ახლა როზალინდა? მისი გამომწვევი ჩაცმულობა ან მოზარდის ახირებულობაა, ან უფრო მნიშვნელოვანზე მიუთითებს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე ნორმალურად ქეითი გამოიყურება.

რაღაც მოძრაობა შევამჩნიე და ისე მკვეთრად შევტრიალდი, რომ ავტოკალამი იატაკზე დავარდა.

- ჰეი, - გაოცებით თქვა სემმა, - ეს მე ვარ.

- ღმერთო ჩემო, - ჩავიბურტყუნე მე, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. კესი მიყურებდა და დუმდა. დავიხარე და კალამი ავიღე, - არ ვიცოდი, აქ თუ იყავი. რა სიახლეა?

- დევლინების სატელეფონო ზარების ამონაბეჭდი, - თქვა სემმა და ქაღალდების დასტა დაგვანახვა, - შემოსულისა და გასულის.

მან ფურცლები მაგიდაზე დააწყო და გვერდები გულმოდგინედ შეუსწორა. მარკერების საშუალებით ნომრები სხვადასხვაფრად გამოეყო.

- რა პერიოდს ეხება? - იკითხა კესიმ. იგი მაგიდაზე გადაიხარა და ქაღალდებს დააკვირდა.

- მარტს აქეთ.

- სულ ესაა? ექვსი თვის განმავლობაში?

ეს მეც თავიდანვე შევამჩნიე - ძალზე თხელი დასტები იყო. ოჯახი ხუთი სულისგან, მათ შორის, სამი გოგონასგან შედგებოდა. წესით, ტელეფონს განუწყვეტლივ უნდა ერეკა. გამახსენდა სამარისებური სიჩუმე მათ სახლში, როდესაც ქეითს მიაგნეს, და დერეფანში ფეხაკრეფით მოსიარულე დეიდა ვერა.

- ჰო, - ამოიოხრა სემმა, - როგორც ჩანს, მობილურებით სარგებლობდნენ.

- ალბათ, - ყოყმანით თქვა კესიმ. ვხვდებოდი, რასაც ფიქრობდა: როდესაც ოჯახი გარე სამყაროსთან კავშირს წყვეტს, ეს მის არასასიკეთო მდგომარეობაზე მიანიშნებს, - სახლში ორი ტელეფონი უდგათ, ერთი - საკიდრის ქვემოთ, ტუმბოზე, მეორე - მაღლა, კიბის უჯრედზე, სადენიც საკმაოდ გრძელია აპარატის საძინებელში გადასატანად. მობილურები რაში სჭირდებოდათ, ისედაც შეეძლოთ მოწმის გარეშე საუბარი.

ჩვენ უკვე შევისწავლეთ ქეითის მობილური ტელეფონის ზარები. მას, კრედიტის სახით, ათი ევრო ჰქონდა, რომელსაც ყოველ მეორე კვირადღეს იღებდა. ამ თანხის უმეტეს ნაწილს მეგობარი გოგონებისთვის ტექსტური შეტყობინებების გაგზავნაზე ხარჯავდა. ეს იყო დაუსრულებელი მიმოწერა ტელესერიალების, საშინაო დავალებების, სკოლის ჭორების, ჟარგონებისა და თავსატეხი შემოკლებების შესახებ, რომლებიც ძალზე რთულად იშიფრებოდა. არანაირი უცნობი ნომერი, არანაირი ხელჩასაჭიდი.

- მარკერი რაში დაგჭირდა? - ვერ დავმალე გაოცება.

- ზარებს შორის კავშირის დადგენა ვცადე და აბონენტები იმის მიხედვით დავაჯგუფე, თუ ვის ურეკავდნენ. როგორც ჩანს, ყველაზე ბევრს ქეითი ლაპარაკობდა: მისი ნომრები ყვითლადაა გახაზული, - გადავამოწმე და თითქმის ნახევარი ყვითლად იყო მონიშნული, - ლურჯი - მარგარეტის დებისთვისაა: ერთი კილკენიდანაა, მეორე, ვერა, ნოკნარიდან. მწვანით ჯონათანის

და აღვნიშნე. იგი ეტლონში ცხოვრობს. იქ მოხუცთა პანსიონია, სადაც მათი დედაა მოთავსებული, აგრეთვე რამდენიმე ადამიანი მოძრაობიდან "გადაიტანეთ ავტომაგისტრალი!" იისფერი როზალინდას მეგობარი კარენ დეილია, რომელთანაც იგი სახლიდან გაქცევის შემდეგ ცხოვრობდა. როგორც ჩანს, ამის შემდეგ მათი ურთიერთობა თითქმის შეწყდა - კარენს, სავარაუდოდ, არ მოეწონა, რომ ოჯახურ სკანდალში გახვიეს. მართალია, რამდენიმე კვირის წინათ როზალინდას დაურეკა, მაგრამ ეს უკანასკნელი მას ერთხელაც აღარ დაჰკავშირებია.

- იქნებ უკრძალავდნენ, - გამოვთქვი ვარაუდი. გული ჯერაც აჩქარებით მიცემდა, პირში შიშის მძაფრ, უსიამოვნო გემოს ვგრძნობდი.

სემმა თავი დამიქნია და მითხრა:

- შესაძლოა, მშობლებმა იფიქრეს, რომ კარენი მასზე ცუდ გავლენას ახდენდა. მოკლედ, სულ ესაა, რაც გვაქვს, და კიდევ სატელეფონო კომპანიის ზარები, რომლითაც ოპერატორის შეცვლას ურჩევდნენ. ჰო, და... - მან ერთ-ერთ გვერდზე სამ ვარდისფერ ზოლზე მიგვითითა, - დარეკვის თარიღი, დრო და ხანგრძლივობა დევლინის მიერ მოცემულ ინფორმაციას ემთხვევა. სამივე ზარი ტაქსოფონიდან შევიდა.

- დალახვროს ეშმაკმა! - შესძახა კესიმ.

- კონკრეტულად? - ვიკითხე მე.

- ქალაქის ცენტრიდან. ერთი მათგანი სანაპიროზე, ფინანსური მომსახურების სააგენტოს გვერდით დგას, მეორე ო ' კონელისტრიტზე, მესამე კი სადღაც მათ შორის, ნავმისადგომის სიახლოვეს.

- სხვა სიტყვებით, - დავასრულე მე, - ის არაა ადგილობრივებიდან, ფულის გულისთვის ყველაფერზე რომ მიდიან.

- ჰო, როგორც ჩანს, სახლისკენ მიმავალმა პაბიდან დარეკა. ცხადია, რომელიმე ნოკნარელსაც შეეძლო, ქალაქში დაელია,

ოღონდ არა სისტემატურად. ახლა ზუსტად ვერაფერს დავადგენთ, მაგრამ, ვფიქრობ, ადამიანს გზის მშენებლობასთან დაკავშირებული პირადი ინტერესი ამოძრავებდა. აზარტული რომ ვიყო, იმაზე დავდებდი, რომ იგი ნავმისადგომთან ცხოვრობს.

- დარწმუნებული ვარ, მკვლელი ადგილობრივია, - თქვა კესიმ.

სემმა კვლავ თავი დააქნია.

- კაცს შეეძლო, აქაურებისგან დაექირავებინა ვინმე, - განაგრძო სემმა, - მე ასე მოვიქცეოდი, - კესიმ ჩემი მზერა დაიჭირა: გულის ამაჩუყებელი იყო, როგორ მოუხერხებლად ცდილობდა სემი მკვლელის მოძებნას, - როგორც კი შევიტყობ, ვინ არის მიწის მესაკუთრე, მაშინვე დავადგენ, რომელიმე მათგანი ნოკნარელებს ხომ არ ელაპარაკა.

- ჰო, მართლა, ამ მიმართულებით წინ მიიწევ? - ვკითხე მე.

- ვმუშაობ, - სემმა უცნაურად გაიღიმა, - ჯერჯერობით, საკმაოდ ეფექტიანად.

- მოიცა! - შესძახა უეცრად კესიმ, - ჯესიკასთვის არავის დაურეკავს?

- არა, - თქვა სემმა, - როგორც ვიცი, არა, - მან ქაღალდები შეაგროვა, კოხტად დააწყო და ოთახიდან გავიდა.

ეს ყველაფერი ორშაბათს მოხდა, ქეითის დაღუპვიდან თითქმის ერთი კვირის შემდეგ. ამ დროის განმავლობაში მარგარეტ და ჯონათან დევლინებს ჩვენთვის არ დაურეკავთ, რათა გაეგოთ, როგორ მიმდინარეობდა გამოძიება. კაცმა რომ თქვას, ამის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა - ზოგიერთი მშობელი დღეში ხუთ-ექვსჯერ რეკავს, სიახლეს ითხოვს და ყოველთვის სამძიმოა, როდესაც "ახალი არაფერია" უნდა უპასუხო. და მაინც, ეს კიდევ ერთი ყურადსაღები გარემოება იყო მათთან ერთად, რომლებიც საკმარისზე მეტი დაგროვდა.

როზალინდა სამშაბათს, ლანჩის შემდეგ გამოჩნდა. არც დაურეკავს, არც შემთანხმებია - უბრალოდ, კაბინეტში ბერნადეტა შემოვიდა და ოდნავ უკმაყოფილო სახით მითხრა, რომ ვიღაც ქალიშვილი მელოდებოდა. მაშინვე გავიფიქრე, როზალინდა იქნება-მეთქი, ყველა საქმე მივატოვე და ქვევით ისე ჩავედი, კესისა და სემის კითხვის გამომხატველი გამომეტყველებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. როზალინდა მისაღებში მელოდებოდა. იდგა, მწვანე მოსახვევში გახვეულიყო და სევდიანი და ჩაფიქრებული ფანჯარაში იყურებოდა. მას ნორჩი აღარ ეთქმოდა, მაგრამ თვალწინ საუცხოო სურათი წარმომიდგა: მხრებზე ჩამოშლილი ღია წაბლისფერი თმა და ზურმუხტოვანი ქსოვილი მზით განათებული აგურის კედლისა და ეზოში დაგებული ქვაფენილის ფონზე. რომ არა დემონსტრაციულად უტილიტარული მისაღები, ეს სცენა პრერაფაელიტების[76] მისალოცი ბარათიდან გადმოღებული გეგონებოდათ.

- როზალინდა! - დავუძახე მას.

იგი მკვეთრად შემოტრიალდა და ხელი მკერდზე მიიდო.

- ღმერთო ჩემო, დეტექტივო რაიან! როგორ შემაშინეთ... გმადლობთ, რომ შეხვედრაზე დამთანხმდით.

- ყოველთვის მოხარული ვიქნები, - მივუგე მე, - ზევით ავიდეთ და დავილაპარაკოთ.

- დარწმუნებული ბრძანდებით? არ მინდა, პრობლემა შეგიქმნათ. თუ დაკავებული ხართ, წავალ.

- არანაირი პრობლემა. ჩაი ხომ არ გინდა? იქნებ ყავა გირჩევნია?

---

[76] დელეგირებული მიუნჰაუზენის სინდრომი - სიმულაციური აშლილობის სახეობა, რომლის დროსაც მშობლები განზრახ იწვევენ ბავშვში ავადმყოფურ მდგომარეობას ან იგონებენ მას, რათა დახმარებისთვის ექიმს მიმართონ.

- დიახ, ყავა, თუ შეიძლება. აუცილებლად იქ უნდა წავიდეთ? დღეს მშვენიერი დღეა, მე კი კლაუსტროფობია[77] მჭირს... თანაც ხალხთან ლაპარაკიც არ მიყვარს, თუმცა... იქნებ გარეთ გავსულიყავით?

ეს ჩემს წესებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ გავიფიქრე, როზალინდა ხომ არც ეჭვმიტანილია და არც მოწმე-მეთქი.

- კარგი, - დავუქნიე თავი, - ერთი წუთით დამელოდე.

ზევით ავირბინე, ყავაში ცოტა რძე ჩავასხი და ჯიბეში, ყოველი შემთხვევისთვის, ორი პაკეტი შაქარი ჩავიდე.

- აჰა, გამომართვი, - ვუთხარი ქვემოთ ჩასულმა, - პარკში გავისეირნოთ?

როზალინდამ ყავა მოსვა, თავი ვეღარ შეიკავა და დაიღრიჯა.

- ვიცი, საშინელებაა, - დავეთანხმე თავის დაქნევით.

- არა, არა, უბრალოდ, რძეს არა ვსვამ, მაგრამ...

- ოჰ, მაპატიე! - შევძახე მე, - თუ გინდა, ახალს მოგიტან.

- არა, რას ამბობთ! დეტექტივო რაიან, არ გატყუებთ, ყავის დალევის სურვილმა გამიარა. აჯობებს, თვითონ დალიოთ. არ მინდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ. ძალიან გემადლიერებით, რომ შემხვდით. ჩემი გულისთვის ჩვეულებებზე უარს ნუ იტყვით...

როზალინდა სწრაფად და აღელვებით ლაპარაკობდა, აღგზნებულად ჟესტიკულირებდა და დაჰიპნოზებულივით დაჟინებით, თვალდაუხამხამებლად მიყურებდა. ძალიან ნერვიულობდა და ამის დამალვას ცდილობდა.

- არაფერია, - ვცადე მისი დარწმუნება, - აი, როგორ მოვიქცეთ: სადმე მყუდრო ადგილი ვიპოვოთ, სადაც დაჯდომა შეიძ-

---

[77] პრერაფაელიტები - XIX საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისურ პოეზიასა და ფერწერაში ესთეტიკურ-მისტიკური მიმდინარეობის მიმდევართა გაერთიანება.

ლება, მე კი სხვა ყავას მოგიტან. შესაძლოა, არც ის მოგეწონოს, მაგრამ შავი მაინც იქნება. შევთანხმდით?

როზალინდამ მადლობის ნიშნად გაიღიმა და წამით მომეჩვენა, რომ საცაა, ატირდებოდა.

მზისგულზე მდგარი ძელსკამი მოვძებნეთ. ხეებში ჩიტები ფრთხიალებდნენ და ჟღურტულებდნენ, იქიდან კი მიწაზე ეშვებოდნენ გაბნეული პურის ნამცეცების ასაღებად. როზალინდა დავტოვე და ყავის მოსატანად გავემართე. უკან აუჩქარებლად ვბრუნდებოდი, რათა დამშვიდებისთვის დრო მიმეცა, მაგრამ როდესაც მივუახლოვდი, დავინახე, რომ სკამის კიდეზე ჩამომჯდარიყო, ტუჩებს იკვნეტდა და გვირილას ფურცლებს აცლიდა.

- გმადლობთ, - მითხრა როზალინდამ, ყავა გამომართვა და გაღიმება სცადა. გვერდით მივუჯექი, - დეტექტივო რაიან... ხომ არ გიპოვიათ ის, ვინც და მომიკლა?

- ჯერ არა, - მივუგე მე, - თუმცა არც ბევრი დრო გასულა. გარწმუნებ, ყველაფერს ვიღონებთ, რაც შეგვიძლია.

- თქვენ მას აუცილებლად დაიჭერთ, დეტექტივო რაიან! როგორც კი დაგინახეთ, ამას მაშინვე მივხვდი. რომ იცოდეთ, ადამიანებს პირველი შეხვედრისთანავე ისე კარგად ვცნობ, რომ მეშინია კიდეც. თქვენზე მაშინვე გავიფიქრე, სწორედ ის არის, ვინც გვჭირდება-მეთქი.

მის თვალებში აბსოლუტური, ურყევი რწმენა იკითხებოდა. ცხადია, როზალინდას სიტყვები მესიამოვნა, მაგრამ მისი ნდობა მაცბუნებდა. იგი ძალზე გულღია და მოწყვლადი ჩანდა, არადა, ხომ შეიძლებოდა, - თუმცა ამაზე არავინ ფიქრობდა, - რომ საქმე ვერ გაგვეხსნა? მაშინ როგორი რეაქცია ექნებოდა?

- თქვენ მე დამესიზმრეთ, - განაგრძო როზალინდამ და თავი დახარა, - ქეითის დაკრძალვის შემდეგ. ბოლო კვირას, ღამით, თითქმის არ მძინებია. რაღაცნაირად ვიყავი... საკუთარ თავს არ ვგავდი. მაგრამ იმ დღეს, როდესაც დაგინახეთ... თავში გამიელ-

ვა, რომ დანებება არ შეიძლება. დამესიზმრა, თითქოს კარზე დააკაკუნეთ და გვითხარით, რომ ამის ჩამდენი დაიჭირეთ. იგი პოლიციის მანქანაში თქვენ უკან იჯდა. დამპირდით, რომ იმ წუთიდან ვერავის ვერაფერს დაუშავებდა.

- როზალინდა, ძალიან ვცდილობთ, თავს არ ვზოგავთ, არც დანებებას ვაპირებთ, მაგრამ იმისთვისაც მზად უნდა იყო, რომ ეს შესაძლოა, დიდხანს გაგრძელდეს.

მან თავი დააქნია:

- თქვენ მას მიაგნებთ.

არ შევპასუხებივარ.

- თუ არ ვცდები, რაღაც საკითხზე დალაპარაკება გსურდა.

- დიახ, - როზალინდამ სული მოითქვა, - რა შეემთხვა ქეითის, დეტექტივო რაიან? რა გაუკეთეს?

როზალინდა ფართოდ გახელილი თვალებით შემომცქეროდა და არ ვიცოდი, რა მეპასუხა. რა მოჰყვებოდა სიმართლის თქმას? ყვირილი, ცრემლები თუ ისტერიკა?

- ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ ყველაფერს მშობლები გიამბობენ, - ვთქვი მე.

- რომ იცოდეთ, თვრამეტი წელი უკვე შემისრულდა. ჩემთან სასაუბროდ ჩემი მშობლების თანხმობა არ გჭირდებათ.

- და მაინც...

როზალინდამ ტუჩზე იკბინა.

- მე ვკითხე. ისინი... მითხრეს, ხმა გაკმინდეო.

- როზალინდა, თქვენს ოჯახში ყველაფერი კარგადაა? - გავბედე კითხვა.

მან თავი ასწია.

- დიახ, რა თქმა უნდა.

- დარწმუნებული ხარ?

- რა კეთილი ბრძანდებით, - თქვა მან და ხმა აუთრთოლდა, - როგორ ზრუნავთ ჩემზე. მაგრამ მე... მე კარგად ვარ.

- ხომ არ აჯობებს, ჩემს მეწყვილეს დაელაპარაკო?

- არა! - შესძახა როზალინდამ, - მე თქვენთან მინდოდა საუბარი, რადგან... - იგი ხელში ჭიქას ატრიალებდა, - ვგრძნობ, რომ თქვენთვის სულერთი არაა, დეტექტივო რაიან. ქეითის ბედი გაღელვებთ. თქვენი მეწყვილისთვის კი სულერთია. თქვენ...

- არც ჩემთვისაა სულერთი და არც მისთვის, - არ დავეთანხმე ქალიშვილს.

მინდოდა, დასამშვიდებლად მხრებზე მოვხვეოდი ან მუხლზე ხელი დამედო, მაგრამ...

- დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენი მეწყვილე... - როზალინდამ მორცხვად გაიღიმა, - მეჩვენება, რომ მისი ცოტათი მეშინია... აგრესიულია.

- ჩემი მეწყვილე? - ვკითხე გაოცებულმა, - დეტექტივი მედოქსი?

კესის იმ ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა, რომელსაც ადამიანებთან ლაპარაკი ეხერხებოდა. მე, ჩვეულებრივ, ვიძაბებოდი და ვდუმდი, მან კი ყოველთვის იცოდა, რა და როგორ ეთქვა. ზოგიერთი მსხვერპლის ნათესავი მას დღემდე უგზავნიდა საშობაოდ სამადლობელ ღია ბარათებს.

როზალინდამ ხელი აიქნია.

- ოჰ, დეტექტივო რაიან, ცუდი არაფერი მიგულისხმია. აგრესიულობა არც ისე ცუდია, განსაკუთრებით თქვენს პროფესიაში, არ მეთანხმებით? თანაც მე, ალბათ, ძალიან მგრძნობიარე ვარ. უბრალოდ, ის დაჟინებით მეკითხებოდა... გასაგებია, რომ შეკითხვები უნდა დაისვას, მაგრამ ამას... გულცივად აკეთებდა. ჯესიკას ხასიათი სულ წაუხდა. მე კი ისე მიღიმოდა, თითქოს ქეითის სიკვდილი ერთგვარი... ერთგვარი ხუმრობა იყო.

- ვერაფრით დაგეთანხმები.

გუნებაში დევლინების სასტუმრო ოთახში გათამაშებული სცენა აღვიდგინე. ვცდილობდი, მივმხვდარიყავი, რით შეეძლო

კესის როზალინდა თავის წინააღმდეგ განეწყო. გამამხნევებელი ღიმილით, რომლითაც შეხედა? მეც მომეჩვენა, რომ გაღიმება საჭირო არ იყო, მაგრამ ის ამგვარ რეაქციას ვერ გამოიწვევდა. უბედურება და შოკი ადამიანებს ხშირად არაადეკვატური ქმედებისკენ უბიძგებს, მაგრამ როზალინდას მოჭარბებული ნერვიულობა იმაზე მეტყველებდა, რომ მის სახლში ყველაფერი რიგზე არ იყო.

- სამწუხაროა, თუ ასეთი შთაბეჭდილება შეგექმნა...

- არა, არა, თქვენზე არ ვამბობ. თქვენ შესანიშნავად იქცეოდით. ვიცი, რომ არც დეტექტივ მედოქსს უნდოდა სიმკაცრის გამოჩენა. აგრესიული ადამიანები მხოლოდ ცდილობენ, ძლიერები იყვნენ, არა? ეშინიათ, თავი დაუცველ, არშემდგარ პიროვნებებად არ იგრძნონ. გულის სიღრმეში კი სულაც არ არიან შეუბრალებლები.

- ალბათ, - დავეთანხმე როზალინდას. ძალიან მიჭირდა, კესი არშემდგარ ადამიანად წარმომედგინა, მაგრამ აგრესიულად არასდროს მიმაჩნდა. უეცრად თავში გამიელვა, რომ არ ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა კესი უცხოთა თვალში. ეს დაახლოებით იგივეა, რომ უპასუხოთ, ლამაზია თუ არა თქვენი და: მის მიმართ ისეთი ობიექტური ვერ იქნებით, როგორიც საკუთარი თავის მიმართ.

- გაწყენინეთ? - როზალინდამ შეშფოთებით შემომხედა, თან თითით კულულს აწვალებდა, - დიახ, ვხედავ, რომ გაწყენინეთ. მაპატიეთ, ღვთის გულისთვის, მუდამ სხვის საქმეში ვყოფ ცხვირს. როგორც კი პირს გავაღებ, მაშინვე სისულელეს წამოვროშავ ხოლმე...

- არა, - ვუთხარი მე, - ყველაფერი კარგადაა. არაფერი მწყენია.

- გეწყინათ. ვხედავ.

მან უფრო მჭიდროდ მოიხვია შალი. ვგრძნობდი, რომ თუ ამ ვითარებას ახლა არ გამოვიყენებდი, მეორე შანსი აღარ მომეცემოდა.

- სიმართლეს გეუბნები, - ვცადე მისი დარწმუნება, - ყველაფერი კარგადაა. უბრალოდ, შენმა სიტყვებმა ჩამაფიქრა. ძალიან გამჭრიახი ხარ.

გოგონა შალის ფოჩს აწვალებდა და მზერას მარიდებდა.

- განა ის თქვენი გერლფრენდი[78] არ არის?

- დეტექტივი მედოქსი? არა, არა, არა, - ვთქვი მე, - ჩვენ შორის მსგავსი არაფერი ხდება.

- მე კი მომეჩვენა... - როზალინდამ პირზე ხელი აიფარა, - აი, კვლავ... გაჩუმდი, სულელო!

გამეცინა - სასწრაფოდ უნდა განმემუხტა ვითარება.

- კარგი, გვეყოფა, - ვთქვი მე, - მოდი, ღრმად ამოვისუნთქოთ და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

როზალინდა ცოტათი დამშვიდდა და ძელსკამის საზურგეს მიეყრდნო.

- გმადლობთ, დეტექტივო რაიან. მაგრამ გთხოვთ... მითხარით, რა დაემართა ქეითს? გამუდმებით ამაზე ვფიქრობ... რას არ წარმოვიდგენ ხოლმე... ეს აუტანელია.

ავდექი და ყველაფერი ვუამბე (სხვა რა დამრჩენოდა?). მას არც გული წასვლია და არც ისტერიკა დამართვია. ცრემლიც კი არ გადმოვარდნია. ჩუმად მისმენდა, გახუნებული ჯინსივით ღია ცისფერი თვალებით კი დაჟინებით მიყურებდა. როდესაც დავასრულე, თითები ტუჩებზე მიიდო და თვალგაშტერებული მიაჩერდა მზით განათებულ ბალახს, პარკის ცოცხალ ღობეებსა და ოფისის თანამშრომლებს, რომლებსაც პლასტმასის კონტეინე-

---

[78] გერლფრენდი - მეგობარი ქალი, საყვარელი.

რები ეჭირათ და ვინ იცის, რაზე საუბრობდნენ. უხერხულად მოვუთათუნე ხელი მხარზე. უბრალო შალი აღმოჩნდა - მჩხვლეტავი, სინთეტიკური - და ამ ბავშვურმა, შესაბრალისმა გალანტურობამ გულის სიღრმემდე შემძრა. მინდოდა, როზალინდასთვის რაღაც ჭკვიანური და მნიშვნელოვანი მეთქვა. ის, რომ სხვისი სიკვდილი იშვიათად იწვევს გულში ტოლფას ტკივილს, და ადამიანი, რომელსაც ცხოვრების გაგრძელება ხვდა წილად, მას საკუთარ თავში სიცოცხლის ბოლომდე ატარებს და უძილო ღამეების, დაბნეულობისა და მარტოობის ჟამს გაახსენდება, მაგრამ საჭირო სიტყვები ვერ შევარჩიე.

- ძალიან ვწუხვარ, - ჩავილაპარაკე.

- მაშასადამე, არ გაუუპატიურებიათ?

- ყავა დალიე, - ვუთხარი დაყვავებით, რადგან ბუნდოვნად გამახსენდა, რომ ცხელი სასმელი ადამიანს შოკიდან გამოსვლაში ეხმარება.

- არა, არა... - მან ხელი აიქნია, - მითხარით, არ გაუუპატიურებიათ?

- შეიძლება ითქვას, რომ არა. ის უკვე მკვდარი იყო და ვერაფერს გრძნობდა.

- მაშ, ქეითს ბევრი არ უტანჯია?

- ვფიქრობ, არა. გონება მაშინვე დაკარგა.

უეცრად როზალინდა ჭიქისკენ დაიხარა და დავინახე, რომ ტუჩები უთრთოდა.

- თავში საშინელი აზრები მომდის, დეტექტივო რაიან. მე ის უნდა დამეცვა.

- შენ ხომ არ იცოდი.

- უნდა მცოდნოდა. იქ უნდა ვყოფილიყავი, მასთან ერთად, დებთან კი არ უნდა ვმჯდარიყავი. ცუდი ადამიანი ვარ, არა?

- ქეითის სიკვდილში დამნაშავე არა ხარ, - მტკიცედ განვაცხადე, - ვფიქრობ, მისთვის შესანიშნავი და იყავი. და მეტს ვერაფერს გააკეთებდი.

- მაგრამ...

- რა?

- ოჰ... უნდა მცოდნოდა. მეტი არაფერი. მნიშვნელობა არა აქვს, - როზალინდა ნაძალადევად იღიმებოდა, - გმადლობთ, რომ მომიყევით.

- ახლა ჩემი ჯერია, - ვთქვი მე, - შეიძლება, ორიოდე შეკითხვა დაგისვა?

ქალიშვილი შეშფოთდა, შემდეგ ღრმად ამოიოხრა და თავი დამიქნია.

- მამაშენმა მითხრა, რომ ქეითი ბიჭებს არ ხვდებოდა, - განვაგრძე მშვიდად, - ეს სიმართლეა?

როზალინდამ პირი გააღო და მაშინვე დახურა.

- არ ვიცი, - თქვა მან.

- როზალინდა, მესმის, რომ ძალიან გიმძიმს, მაგრამ თუ რამე იცი, უნდა მითხრა.

- დეტექტივო რაიან, ქეითი ჩემი დაა. არ მინდ... მასზე ცუდი ვთქვა.

- ვიცი, - რბილად ვთქვი მე, - მაგრამ ყველაზე უკეთესი, რისი გაკეთებაც მისთვის შეგიძლია, ყველაფრის გულახდილად თქმაა. ეს მკვლელის მოძებნაში დამეხმარება.

როზალინდა ერთხანს დუმდა, შემდეგ კვლავ ღრმად ამოისუნთქა.

- დიახ, - თქვა მან, - ქეითს მოსწონდა ბიჭები. არ ვიცი, ვინ, მაგრამ გავიგონე, როგორ ემასხრებოდნენ ის და მისი მეგობრები ერთმანეთს... ბიჭებისა და იმის შესახებ, თუ ვინ ვის კოცნიდა...

შევკრთი, როდესაც წარმოვიდგინე, როგორ კოცნიდნენ თორმეტი წლის გოგოები, მაგრამ შემდეგ ქეითის მეგობრები გამახსენდა - ყოვლისმცოდნე პატარა ქალიშვილები. როგორც ჩანს, მე, პიტერი და ჯემი უიმედოდ ჩამოვრჩით ცხოვრებას.

- დარწმუნებული ხარ? მამაშენი სხვაგვარად ფიქრობს.

- მამაჩემი... - როზალინდამ შუბლი შეიკრა, - მამა აღმერთებდა ქეითს, ის კი ამით... ზოგჯერ სარგებლობდა. სიმართლეს ბოლომდე არ ეუბნებოდა. ეს გულს მტკენდა.

- გასაგებია. სწორად მოიქეცი, ყველაფერი რომ მიამბე, - როზალინდამ თავი დახარა, - კიდევ მაქვს ერთი შეკითხვა. მაისში სახლიდან გაიქეცი, არა?

- ამას გაქცევა არ ერქვა, დეტექტივო რაიან. პატარა აღარ ვარ. უბრალოდ, უიკენდი მეგობართან გავატარე.

- ვინ არის ის მეგობარი?

- კარენ დეილი. შეგიძლიათ, ჰკითხოთ, თუ გნებავთ. მის ნომერს მოგცემთ.

- ეს აუცილებელი არაა, - მივუგე მე და ხელი ჩავიქნიე. ჩვენ უკვე ვესაუბრეთ კარენს - მორიდებულ, ფუმფულასახიან გოგონას, რომელიც ნაკლებად ჰგავდა როზალინდას მეგობარს - და მან დაადასტურა, რომ როზალინდა უიკენდის ბოლომდე მასთან იყო. მაგრამ შესანიშნავად ვგრძნობ ტყუილს და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ კარენმა რაღაც დაგვიმალა, - შენი დეიდაშვილი კი ფიქრობს, რომ ის დღეები ბოიფრენდთან გაატარე.

როზალინდამ ტუჩები მოკუმა.

- ვალერის ბინძური წარმოსახვა აქვს. ვიცი, რომ ასე ბევრი გოგონა იქცევა, მაგრამ მე მათ რიცხვს არ მივეკუთვნები.

- რა თქმა უნდა, - ვუპასუხე თავის დაქნევით, - მაგრამ შენმა მშობლებმა არ იცოდნენ, სად იყავი, ასეა?

- დიახ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ არ მინდოდა, გამემხილა, - მკვახედ თქვა მან, შემდეგ შემომხედა და ამოიოხრა, - ღმერთო ჩემო, ნუთუ არასდროს გაგჩენიათ გაქცევის სურვილი? ყველასგან და ყველაფრისგან?

- კი, გამჩენია. ნამდვილად გამჩენია. მაშასადამე, იმიტომ არ წასულხარ, რომ სახლში რაღაც მოხდა?

როზალინდამ შუბლი შეიკრა და თვალი ამარიდა. ველოდებოდი. რამდენიმე წამის შემდეგ თავი გადააქნია და ჩაილაპარაკა:

- არა, მე... ყველაფერი ნორმალურად იყო.

ინტუიციამ მიკარნახა, რომ რაღაცას ბოლომდე არ ამბობდა, მაგრამ დაძაბული ჩანდა და გადავწყვიტე, არ ჩავციებოდი. ახლა საკუთარ თავს ვეკითხები, სწორად მოვიქეცი თუ არა მაშინ, მაგრამ ვფიქრობ, ეს ბევრს არაფერს შეცვლიდა.

- ახლა გიჭირს, - ვთქვი მე, - მაგრამ სახლიდან აღარ გაიქცე, კარგი? თუ თავს ძალიან ცუდად იგრძნობ და ვინმესთან დალაპარაკება მოგინდება, ან ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურს დაუკავშირდი, ან ჩემს მობილურზე დარეკე. მე დაგეხმარები.

როზალინდამ თავი დააქნია და მითხრა:

- გმადლობთ, დეტექტივო რაიან. დავიმახსოვრებ.

მაგრამ მას კვლავაც დაბნეული და სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა. მომეჩვენა, რომ ჩვენმა საუბარმა იმედი გაუცრუა.

კესი სამორიგეო ოთახში იყო და მოწმეთა ჩვენებების ასლს იღებდა.

- ვინ იყო?

- როზალინდა დევლინი.

- რამე თქვა?

რატომღაც არ მინდოდა დეტალებზე საუბარი.

- განსაკუთრებული არაფერი. გარდა იმისა, რომ ჯონათანის აზრის საწინააღმდეგოდ, ქეითი ბიჭებს ხვდებოდა. როზალინდამ სახელები არ იცის. ქეითის მეგობარ გოგოებს უნდა დაველაპარაკოთ. იქნებ მათ თქვან რამე. ჰო, ისიც მითხრა, ქეითი მშობლებს ატყუებდაო, მაგრამ თითქმის ყველა ბავშვი ასე იქცევა.

კესის ხელში ფურცლები ეჭირა. მან თავი ჩემკენ მოაბრუნა, უცნაურად შემომხედა და მითხრა:

- ყოველ შემთხვევაში, შენ მაინც გელაპარაკება. მასთან კავშირი იქონიე, იქნებ კიდევ გითხრას რამე.

- ვკითხე, სახლში ხომ ყველაფერი კარგად არის-მეთქი, - დავამატე მე, რადგან თავი ცოტა დამნაშავედ ვიგრძენი, - კიო, მიპასუხა, მაგრამ მისი არ მჯერა.

- ჰმ, - წარმოთქვა კესიმ და კვლავ ქსეროქსს მიუბრუნდა.

მომდევნო დღეს კვლავ გავესაუბრეთ ქრისტინას, ელიზაბეტსა და მარიანას. მათ მტკიცედ განგვიცხადეს, რომ ქეითს ბოიფრენდი არ ჰყავდა და არც ვინმეთი იყო გატაცებული.

- ზოგჯერ ერთმანეთს დავცინოდით ბიჭებთან დაკავშირებით, - გვითხრა ელიზაბეტმა, - მაგრამ ხუმრობით. მხოლოდ ვხუმრობდით, ხომ გესმით? - იგი წითურთმიანი მხიარული გოგო იყო უკვე განვითარებული სხეულით და როცა ტიროდა, საკუთარ თავზე ისე ბრაზობდა, თითქოს ცრემლის გადმოგდება აკრძალული ჰქონდა. მან ხელი სვიტერის სახელოში შეიყო და შებრუნებული მანჟეტი გაისწორა.

- თუმცა, შესაძლოა, ჩვენ არ გვითხრა, - დაამატა მარიანამ, მეგობრებს შორის ყველაზე წყნარმა, ფერმკრთალმა ქერა გოგონამ, რომელიც ლამის ჩაძირულიყო განიერ თინეიჯერულ ტანსაცმელში, - ქეითი... ქეითი ხშირად იყო გულჩათხრობილი. მაგალითად, როდესაც პირველად წავიდა გასინჯვაზე საბალეტო სკოლაში, სანამ არ მიიღეს, ჩვენთვის არაფერი უთქვამს, ხომ გახსოვთ?

- ეს სხვა შემთხვევა იყო, - მიუგო ქრისტინამ, თუმცა მასაც ცრემლები სდიოდა და ცხვირში გაჭედილს, არც ისე დამაჯერებელი განცხადება გამოუვიდა, - ბოიფრენდების შესახებ კი ნამდვილად გვეცოდინებოდა.

ცხადია, ჩვენი დამხმარეები ახლომახლო მცხოვრებ და ქეითის კლასელ ყველა ბიჭს დაჰკითხავდნენ, მაგრამ უკვე ვგრძნობდი, ეს რით დასრულდებოდა. ჩვენ თითქოს სათითეების მქონე ქუჩის თაღლითს ვეთამაშებოდით: ბურთულა ჩვენ თვალწინ აქეთ-იქით გადაადგილდებოდა, მაგრამ მოთამაშე ისე სწრაფად ამოძრავებდა ხელებს, რომ, რომელი სათითეც უნდა აგერჩიათ, მასში არაფერი აღმოჩნდებოდა.

სანამ ნოკნარიდან გავემგზავრებოდით, სოფიმ დაგვირეკა და შეგვატყობინა, რომ ლაბორატორიული ანალიზის პასუხები მიეღო. როგორც ჩანს, დადიოდა და ისე მელაპარაკებოდა, რადგან მობილური ხელში უთრთოდა, თანაც ქუსლების კაკუნი მესმოდა.

- დევლინების გოგონას ანალიზის შედეგი მაქვს, - დაამატა მან, - ლაბორატორია ყელამდეა საქმეში ჩაფლული, შეკვეთები ექვს კვირაზე აქვთ გაწერილი, მაგრამ ვთხოვე, ურიგოდ გავეშვით. ამისთვის კინაღამ მათ უფროსთან მომიხდა დაწოლა.

გული აჩქარებით ამიძგერდა.

- ღმერთი დაგლოცავს, სოფი, - შევძახე მე, - ჩვენზე კიდევ ერთი სადილია.

საჭესთან მჯდომ კესის მივუბრუნდი და ვუთხარი:

- შედეგებია.

- ტოქსიკოლოგიური ტესტის პასუხი უარყოფითია: არც ნარკოტიკი, არც წამალი, არც ალკოჰოლი. ტანსაცმელზე სხვადასხვა ნაწილაკის კვალია, ძირითადად, ქუჩისთვის დამახასიათებელი - მტვერი, ჭუჭყი და ასე შემდეგ... ნოკნარის მიდამოებში ნიადაგის შემადგენლობაც შევისწავლეთ - ყველაფერი ემთხვე-

ვა, იმ ნივთიერების ჩათვლით, რომელიც ტანსაცმლის შიგა მხარეს და სისხლთან შერეული იყო. ეს კარგი ნიშანია - მაშასადამე, მასზე არა მარტო ის დარჩენილა, რაც გათხრების ადგილას აღმოვაჩინეთ. ერთ-ერთი ლაბორანტის თქმით, ტყეში რაღაც იშვიათი მცენარე იზრდება, რომელიც ოლქში სხვაგან არსად გვხვდება, მისი მტვერი კი ერთ მილზე შორს არ ვრცელდება. უცნაურია, რომ მსხვერპლი ნოკნარიდან არსად გადიოდა.

- ყველაფერი ჩვენს მონაცემებს ემთხვევა, - ვთქვი მე, - მოდი, კარგ სიახლეზე გადავიდეთ.

სოფიმ ჩაიცინა.

- ეს სწორედ კარგი სიახლე იყო. ფეხების ანაბეჭდთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს - ნახევარი არქეოლოგებისაა, დანარჩენი კი ისეა გადღაბნილი, ვერაფერი გაირკვა. თითქმის ყველა ბოჭკო იმ ნივთებს ეკუთვნის, რომლებიც სახლიდან ავიღეთ. მართალია, ზოგიერთი ბოლომდე არ დაგვიდგენია, მაგრამ ეს წვრილმანია. მაისურზე თმის ღერი იმ იდიოტისაა, გვამს რომ მიაგნო. ორი თმის ღერი დედას ეკუთვნის - ერთი შარვალზეა, მეორე წინდაზე, მაგრამ დედა მის ტანსაცმელს რეცხავდა და ამაში საოცარი არაფერია.

- დნმ? თითების ანაბეჭდი?

- აჰა, - თქვა სოფიმ. იგი რაღაც ხრაშუნას ჭამდა, ალბათ, ჩიფსს, - რეზინის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა - გამოცნობას ხომ არ შეეცდებოდით? რეზინის ხელთათმნისგან. ეს სიურპრიზია. ცხადია, კანის ნაწილაკები ნაპოვნი არაა. ისევე, როგორც სპერმის, ნერწყვის ან სისხლის, რომელიც გოგონას ჯგუფს არ ემთხვევა.

- შესანიშნავია, - ჩავილაპარაკე და ვიგრძენი, როგორ ჩამწყდა რაღაც შიგნით. ხავსს ჩავებღაუჭე, ოცნებაში გადავვარდი და ხელცარიელი, სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

- თუ ძველ ნიმუშს არ ჩავთვლით, რომელსაც ჰელენმა მიაგნო, მეორე ჯგუფის სისხლია დადებითი რეზუსით, მსხვერპლს კი პირველი დადებითი აქვს.

იგი გაჩუმდა, თან ჩიფსის ხრაშუნს განაგრძობდა. კინაღამ სუნთქვა შემეკრა.

- რა მოხდა? - მკითხა სოფიმ, როცა ჩემი ხმა ვეღარ გაიგონა, - განა ეს არ გინდოდა? იგივე სისხლია, რაც ძველ საქმეში. ცხადია, ეს ჯერ არაფერს ნიშნავს, მაგრამ მაინც რაღაც ხელჩასაჭიდია.

- მართალია, - ვთქვი და ღრმად ამოვისუნთქე. კესი ყურადღებით გვისმენდა, შევტრიალდი და ზურგი ნახევრად შევაქციე, - გმადლობ, სოფი.

- ნამწვებსა და ფეხსაცმელს დნმ-ის ანალიზზე გავგზავნით, - დაამატა მან, - მაგრამ შენს ადგილას დიდი იმედი არ მექნებოდა. ყველაფერი უკვე მოლეკულებად იქნება დაშლილი. დალახვროს ეშმაკმა, ვინ ინახავს სისხლის ნიმუშს სარდაფში?

ჩვენ შორის ფარული შეთანხმება არსებობდა, რომლის თანახმადაც, კესი ძველ საქმეზე მუშაობდა, მე კი - დევლინებისაზე. მაკკეიბი რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილიყო გულის შეტევით და კესი კირნანთან შესახვედრად გაემგზავრა. მას სამსახურისთვის თავი დაენებებინა და ლეითაუნში ცხოვრობდა, ზღვისპირა პატარა ქალაქში. უკვე სამოცდაათს გადასცილებოდა. ლოყებღაჟღაჟა გულთბილი მოხუცი იყო დაძაბუნებული მორაგბის ულაზათო ფიგურით, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, კესი სასეირნოდ მიეწვია უკაცრიელ პლაჟზე, სადაც თოლიების ყვირილის თანხლებით კირნანმა ყველაფერი უამბო, რაც კი ძველი საქმის შესახებ იცოდა. საღამოს, როცა ბუხარში ცეცხლს ანთებდა, - სემი ღვინოს ასხამდა მე კი თეთრ პურზე მდოგვს ვისვამდი, - კესიმ მითხრა, რომ მოხუცი ბედნიერი ჩანდა. იგი ხეზე კვეთით იყო დაკავებული და ნახმარ შარვალზე ნახერხი მიჰ-

კვროდა. სეირნობამდე ცოლს მისთვის ყელზე შარფი მოეხვია და ლოყაზე ეკოცნა.

ნოკნარის შემთხვევა კირნანს დეტალურად ახსოვდა. დამოუკიდებელი ირლანდიის მთელი ისტორიის მანძილზე უგზო-უკვლოდ მხოლოდ რამდენიმე (ხუთი თუ ექვსი) ბავშვი დაკარგულიყო და მას ვერაფრით დაევიწყებინა ის ორი, რომელთაც ვერ მიაგნო. კესის ერთგვარი თავის მართლებითაც კი უამბო, რომ ფართომასშტაბიანი საძიებო ოპერაცია ჩაატარეს ძაღლების, ვერტმფრენებისა და მყვინთავების გამოყენებით. პოლიციელები და მოხალისეები დილიდან საღამომდე, გათენებიდან დაბინდებამდე, მრავალი მილის მანძილზე ჩხრეკდნენ ტყეს, მინდვრებსა და ახლომდებარე ბორცვებს. ყოველ შესაძლებლობას ეჭიდებოდნენ, თუნდაც ბელფასტში, კერიში ან ბირმინგემში გამგზავრება დასჭირვებოდათ. შინაგანი ხმა კირნანს კარნახობდა, რომ სხვაგან ეძებდნენ, რომ საიდუმლოს გასაღები აქვე იყო, გვერდით, მათ ცხვირწინ.

- რა ვერსია ჰქონდა? - იკითხა სემმა.

ამასობაში მოვასწარი და ხორციანი სენდვიჩები თეფშებზე დავაწყვე.

- მერე გეტყვით, - მიუგო კესიმ, - ჯერ სენდვიჩებს შევექცეთ. როგორც იქნა, რაიანს რაღაც ღირებული გაუკეთებია.

- შენ უაღრესად ნიჭიერ მამაკაცებს ესაუბრები, - ვთქვი მე, - რომ იცოდე, ერთდროულად ჭამა და ლაპარაკიც შეგვიძლია.

მერჩივნა, ეს ამბავი მხოლოდ მე მომესმინა, მაგრამ კესი ლეიტონიდან ძალზე გვიან დაბრუნდა. ლოდინისგან მადა დამკარგოდა და, ალბათ, ვერც მონათხრობი შეცვლიდა რამეს. ამასთან, საქმეებზე ყოველთვის ვახშმობისას ვმსჯელობდით და ტრადიციის შეცვლის მიზეზი არ მქონდა. სემი ვერ ხვდებოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ჩემს გულში, თუმცა ზოგჯერ მეეჭვებოდა,

საერთოდ თუ იყო შესაძლებელი ასეთი საოცარი დაუკვირვებ-ლობა.

- შთამბეჭდავია, - გაეცინა კესის, - კარგი, - მან წამით შემომ-ხედა. მზერა ავარიდე, - კირნანის აზრით, ბავშვებს ნოკნარის ტერიტორია არასდროს დაუტოვებიათ. არ ვიცი, ბიჭებო, იცით თუ არა, მაგრამ იქ მესამე ბავშვიც იყო... - მან დივნის სახელურ-ზე დადებულ ბლოკნოტში ჩაიხედა, - ადამ რაიანი. იმ დღეს ის თავის ორ მეგობართან ერთად ტყეში წავიდა, სადაც მიაგნეს კი-დეც ორსაათიანი ძებნის შემდეგ. გარეგნული დაზიანება არ აღ-მოაჩნდა, სამაგიეროდ, კედები გასისხლიანებოდა, შეშინებული ჩანდა და არ ახსოვდა, რა მოხდა. ამიტომ კირნანი ფიქრობს, რომ ყველაფერი ტყეში ან სადმე იქვე მოხდა - სხვაგვარად, ადამს იქ როგორ იპოვიდნენ? როგორც ჩანს, მათ ვიღაც უთ-ვალთვალებდა - სავარაუდოდ, ადგილობრივი. კაცი ტყეში მათ-თან მივიდა, სახლში შეიტყუა და თავს დაესხა. შესაძლოა, მოკ-ვლას არც აპირებდა და მხოლოდ დაშინება სურდა... რაღაც მო-მენტში ადამმა გაქცევა მოახერხა და ტყეში დაიმალა: მაშასადა-მე, ისინი ან ტყეში იყვნენ, ან ტყის პირას მდებარე რომელიმე სახლში, ან მეზობელ ფერმაში. ასე რომ არ ყოფილიყო, ადამი შინ გაიქცეოდა, ხომ მეთანხმებით? კირნანის ვერსიით, კაცი დაფრთხა, ორი ბავშვი მოკლა და სახლში დამალა, მოგვიანე-ბით კი დრო შეარჩია და გვამები ან მდინარეში გადაყარა, ან თა-ვის ბაღში ჩაფლა, ან - რაც ყველაზე სარწმუნოა, ვინაიდან საფ-ლავის კვალს ვერსად მიაგნეს - ტყეში ჩამარხა.

სენდვიჩი ჩავკბიჩე. პირში სიცხარე და სიმწარე ვიგრძენი და კინაღამ ვაღებინე. გაჭირვებით გადავყლაპე და ღვინო დავაყო-ლე.

- ახლა სად არის ის ადამი? - იკითხა სემმა.

კესიმ მხრები აიჩეჩა.

- მეეჭვება, რამე გვიამბოს. კირნანი და მაკკეიბი ხშირად ნახულობდნენ მას, მაგრამ მან ვერაფერი გაიხსენა. მალე მათი ოჯახი სადღაც გადავიდა. ნოკნარიში ფიქრობენ, რომ კანადაში გაემგზავრნენ.

კესიმ სიმართლე თქვა. ეს მოსალოდნელზე უფრო რთული და აბსურდული აღმოჩნდა. ორ ჯაშუშს ვგავდით, რომლებიც სემის თანდასწრებით სულელურ დაშიფრულ ენაზე ლაპარაკობდნენ.

- საბრალომ, ალბათ, გააფრინა კიდეც, - ამოიოხრა სემმა, - როგორია ასეთი რამის ნახვა... - მან თავი გადააქნია და სენდვიჩი მადიანად ჩაკბიჩა.

- ჰო, კირნანი ამბობს, ძალიან გაიტანჯაო, - დაეთანხმა კესი, - მაგრამ ბიჭს თავი კარგად ეჭირა, საგამოძიებო ექსპერიმენტშიც მონაწილეობდა ორ ადგილობრივ ბავშვთან ერთად. პოლიციაში იმედი ჰქონდათ, რომ ეს მას წარსულის სურათის აღდგენაში დაეხმარებოდა, მაგრამ როდესაც ტყეში შევიდნენ, ვერაფერი გაიხსენა.

მკერდში რაღაც ჩამწყდა. ეს აღარ მახსოვდა. უეცრად მოწევა მომინდა, ამიტომ სენდვიჩი გვერდზე გადავდე.

- ჰოო, - ჩაფიქრებით წარმოთქვა სემმა.

- მაკკეიბიც ამ ვერსიას ემხრობოდა? - დავინტერესდი მე.

- არა, - კესიმ თითიდან მდოგვი აილოკა, - მაკკეიბს მიაჩნდა, რომ ეს "გასტროლიორი" იყო, რომელიც ჩვენს ქალაქში გავლით მოხვდა. მაგალითად, სამუშაოს ეძებდა. დეტექტივებმა ერთ ეჭვმიტანილსაც ვერ მიაგნეს, თუმცა უამრავი ადამიანი დაჰკითხეს, უამრავს გაესაუბრნენ, სამხრეთ დუბლინის ყველა გარყვნილი და შეშლილი შეამოწმეს, ადგილობრივთა გადაადგილება წუთამდე სიზუსტით დაადგინეს... გეცოდინებათ, როგორც ხდება: ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე ვინმე ეჭვმიტანილი, თუნდაც მის წინააღმდეგ საკმარისი სამხილი არ არსებობ-

დეს. აქ კი არავინ იყო. ყოველთვის, როცა რაღაც ხელჩასაჭიდი გამოჩნდებოდა, მაშინვე ჩიხში მოექცეოდნენ.

- ნაცნობი სურათია, - ვთქვი შუბლშეჭმუხნილმა.

- კირნანი დარწმუნებულია, რომ დამნაშავეს ყალბი ალიბი ჰქონდა, რომელმაც მას პოლიციის ეჭვი ააცილა. მაკკეიბის აზრით კი, მკვლელი ქალაქში საერთოდ არ ყოფილა. მისი ვერსიით, ბავშვები მდინარის გაყოლებით იმ ადგილამდე მივიდნენ, საიდანაც ის ტყიდან საპირისპირო მხრიდან გამოდის. ეს საკმაოდ შორსაა, მაგრამ ისინი იქ ადრეც ყოფილან. კალაპოტის გასწვრივ სოფლის გზა გადის. მაკკეიბს მიაჩნდა, რომ იქ ვიღაცამ მანქანით ჩაიარა, ბავშვები დაინახა და მათი გატაცება სცადა. ადამი ხელიდან დაუსხლტა და ტყეში გაიქცა, ბოროტმოქმედმა კი დარჩენილი გოგო-ბიჭი წაიყვანა. მაკკეიბმა ინტერპოლსა და ბრიტანეთის პოლიციასაც მიმართა, მაგრამ მათ ვერაფერს მიაგნეს.

- მაშასადამე, კირნანისა და მაკკეიბის აზრით, ბავშვები დახოცეს, - ჩავილაპარაკე მე.

- მაკკეიბს ამაში ეჭვი ეპარებოდა. მისი ვერსიით, დამნაშავის მიზანი გატაცება იყო. ვიღაცას ძალიან უნდოდა შვილების ყოლა. ან ეს სულით ავადმყოფმა ჩაიდინა... თავდაპირველად ყველას ეგონა, რომ ისინი სახლიდან გაიქცნენ, მაგრამ ასეთ ასაკში და თანაც უფულოდ? მათ ხომ რამდენიმე დღეში მიაგნებდნენ.

- ქეითის მკვლელობა "გასტროლიორის" ჩადენილს არა ჰგავს, - თქვა სემმა და თავი გადააქნია, - მან შეხვედრა მოაწყო, მთელი დღით სადმე გამოამწყვდია...

- ჩემი აზრით, - ვთქვი მე და საკუთარმა მშვიდმა ხმამ გამაოცა, - არა მგონია, ძველ საქმეში მანქანა იყოს ნახსენები. თუ არ მეშლება, ბიჭს კედები მას შემდეგ ჩააცვეს, რაც სისხლმა შედედება დაიწყო. სხვა სიტყვებით, გამტაცებელმა განსაზღვრული დრო სამივესთან ერთად გაატარა, სანამ ერთი მათგანი გაქ-

ცევას მოახერხებდა. ვფიქრობ, ყველაფერი ადგილობრივზე მიუთითებს.

- ნოკნარი პატარა ქალაქია, - შემეპასუხა სემი, - არის იმის ალბათობა, რომ აქ ბავშვების ორი მკვლელი ცხოვრობდეს?

კესიმ ხელები კეფაზე შემოიწყო და გაიზმორა. თვალის უპეები ჩაშავებოდა. ახლაღა მივხვდი, რა მძიმე დღე გაეტარებინა კირნანთან ერთად, და თუ მოყოლა არ სურდა, ამის მიზეზი მე არ ვიყავი. ნეტავ ისეთი რა უთხრა კირნანმა, რაც ჩვენ არ გაგვიმხილა?

- იცოდით, რომ ბავშვებს ხეებზეც კი ეძებდნენ? - იკითხა კესიმ, - რამდენიმე კვირის შემდეგ ვიღაცას ძველი შემთხვევა გაუხსენებია, როდესაც ხეზე ასული ბავშვი ფუღუროში შემძვრალა და შიგ ჩავარდნილა. მას ორმოცი წლის შემდეგ მიაგნეს. კირნანმა და მაკკეიბმა ყველა ხე შეამოწმებინეს, ფუღუროებს ფარნებით ანათებდნენ...

სემმა აუჩქარებლად შეჭამა სენდვიჩი, თეფში განზე გასწია და კმაყოფილმა ამოიხვნეშა. კესი, როგორც იქნა, შეირხა და ხელი გამომიწოდა - სიგარეტის კოლოფი ჩავუდე.

- კირნანს ისინი დღემდე ესიზმრება, - თქვა და ერთი ღერი ამოიღო, - თუმცა, როგორც ამბობს, არც ისე ხშირად, როგორც უწინ - თადარიგში გასვლის შემდეგ - წელიწადში ორ-სამჯერ. ესიზმრება, თითქოს ტყეში ბავშვებს ეძებს, ეძახის მათ, ამ დროს კი ბუჩქებიდან ვიღაც გადმოხტება ხოლმე და თავს ესხმის. ხვდება, რომ ეს სწორედ ბავშვების გამტაცებელია, მის სახესაც ხედავს, - "ისევე მკაფიოდ, როგორც ახლა თქვენსას", - მაგრამ გაღვიძებისთანავე ავიწყდება.

ბუხარში რაღაცამ იფეთქა და ტკაცუნის ხმაც გაისმა. თვალი მოვკარი, რომ რაღაც ამოძრავდა და მკვეთრად შევტრიალდი: დარწმუნებული ვიყავი, რომ ბუხრიდან ოთახში რაღაც პატარა, შავი და კლანჭებიანი შემოფრინდა, - საკვამურში ჩამოვარდნი-

ლი ბარტყი ხომ არა? - მაგრამ ზურგს უკან არაფერი აღმოჩნდა. ძველ პოზას რომ დავუბრუნდი, სემის მზერა დავიჭირე: ნაცრისფერი თვალებით სერიოზულად, თითქმის თანაგრძნობით მიყურებდა, მაგრამ მხოლოდ გაიღიმა და მაგიდისკენ დაიხარა ჩემი ბოკალის შესავსებად.

იმ დღეებში ძალიან ცუდად მეძინა, მაშინაც კი, როდესაც გამოძინების შესაძლებლობა მეძლეოდა. უძილობა ადრეც მაწუხებდა, ამის შესახებ უკვე გითხარით, მაგრამ ახლა რაღაც სხვა ხდებოდა: ძილ-ღვიძილის უცნაურ, დაბინდულ ზონაში ვხვდებოდი და ვერც აქეთ მოვდიოდი, ვერც - იქით. მოულოდნელად ვიღაცის ხმამაღალი ნათქვამი ჩამესმოდა: "ფრთხილად!" ან "რა? რა? არაფერი მესმის". ოთახში აქა-იქ თითქოს მუქი ფერის არსებები ჩნდებოდნენ, ჩემს ქაღალდებში იქექებოდნენ, კარადაში ნივთებს ეხებოდნენ. ვიცოდი, რომ მეჩვენებოდა, მაგრამ გამოფხიზლებას ვერ ვახერხებდი და შიშისგან ვიტრუნებოდი. ერთხელ, როდესაც გავიღვიძე, აღმოვაჩინე, რომ საძინებლის კარს უკან ფეხშიშველი ვიდექი, ვკანკალებდი და გაშმაგებით ვაფათურებდი ხელს კედელზე ჩამრთველის მოსაძებნად. თავში ყველაფერი დაცურავდა, საიდანღაც ყრუ კვნესა მესმოდა. კარგა ხანი გავიდა, სანამ მივხვდებოდი, რომ თვითონ ვკვნესოდი. ჯერ შუქი ავანთე, შემდეგ - მაგიდის ლამპა, ბოლოს კი ლოგინში შევძვერი და დილამდე თვალგახელილი ვიწექი, სანამ მაღვიძარამ არ დარეკა.

ამ ძილ-ღვიძილში ბავშვების ხმებიც ჩამესმოდა, ოღონდ არა პიტერისა და ჯემის: ეს პატარების ჯგრო იყო - შორს იდგნენ და მხიარულად მღეროდნენ სიმღერებს, რომლებიც წლებია, აღარ გამხსენებია. ისეთი ხალისიანი, უდარდელი, წკრიალა და სუფთა ხმა ჰქონდათ, ადამიანისას ძნელად თუ მიამსგავსებდით, თან რიტმულად ტაშს უკრავდნენ. "მითხარ, მითხარ, მეგობარო, ხომ წამოხვალ სათამაშოდ, ვაშლის ხეზე ავძვრებით... იქ ორი,

ორი ბიჭია ასული, ორივე პირთეთრი, მწვანედ ჩაცმული... ორივე ცალ-ცალკე თუ შეკრული გუნდად, გჯეროდეთ, ასე იქნება მუდამ..." ზოგჯერ ეს გუნდი ჩემს თავში მთელი დღის განმავლობაში ტრიალებდა და რასაც კი ვაკეთებდი, ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. მეშინოდა, ო ' კელის არ გაეგონა, როგორ ვღიღინებდი მორიგ სტროფს.

შაბათს მობილურზე როზალინდამ დამირეკა. ჩვენს შტაბში ვიჯექი, კესი უგზო-უკვლოდ დაკარგულთა განყოფილებაში წასულიყო, ჩემ უკან ო ' გორმანი ვიღაცას უყვიროდა, რომელსაც მისთვის უხეშად მიემართა ადგილობრივი მოსახლეობის კარდაკარ შემოვლისას. ყურმილი ყურზე მაგრად მივიჭირე, რათა მისი ხმა გამეგონა.

- როზალინდა ვარ, დეტექტივო რაიან... მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, მაგრამ ჯესიკასთან დასალაპარაკებლად დროს ხომ ვერ გამონახავდით?

ყურმილში ქალაქის ხმაური ისმოდა: ძრავების გუგუნი, ხმამაღალი შეძახილები, დაჟინებული ხმოვანი სიგნალი ფეხით მოსიარულეთათვის.

- რა თქმა უნდა, - ვთქვი მე, - სად ხარ?

- ქალაქში ვართ. შეძლებთ, სასტუმრო "ცენტრალის" ბარში ათ წუთში შეგვხვდეთ? ჯესიკას რაღაცის თქმა სურს.

დოკუმენტების დასტიდან საქაღალდე გამოვაძვრინე და როზალინდას დაბადების თარიღის სანახავად გადავფურცლე - ჯესიკასთან საუბარი მხოლოდ სრულწლოვანი ნათესავის თანდასწრებით შემეძლო.

- მშობლები თქვენთან არიან?

- არა. ვფიქრობ, აჯობებს, თუ ჯესიკა მათ გარეშე დაგელაპარაკებათ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

დევლინების ოჯახის დოსიეს მივაგენი: როზალინდას თვრამეტი წელი შესრულებოდა, რაც ჩემთვის სრულიად საკმარისი იყო.

- კარგი, - ვთქვი ყურმილში, - მოვალ.

- გმადლობთ, დეტექტივო რაიან, ვიცოდი, რომ უარს არ მეტყოდით. ბოდიშს გიხდით, ასე რომ გაჩქარებთ, მაგრამ შინ მანამ უნდა დავბრუნდეთ...

გაისმა მოკლე სიგნალები და ხმა: "თქვენს ანგარიშზე თანხა ამოიწურა ან ბატარეა დაგიჯდათ". კესის ბარათი დავუტოვე, მალე დავბრუნდები-მეთქი, და ოთახიდან გავედი.

როზალინდას კარგი გემოვნება ჰქონდა. სასტუმრო "ცენტრალის" ბარი ძველმოდური დაწესებულება იყო - შეკიდული ჭერით, დიდი და კომფორტული სავარძლებით, თაროებზე ლამაზ-ყდიანი ძველი წიგნებით. ეს ყველაფერი სასიამოვნო კონტრასტს ქმნიდა მოფუსფუსე ქუჩებთან შედარებით. აქ ზოგჯერ შაბათ საღამოს შემოვივლიდი ხოლმე, ჭიქა კონიაკსა და სიგარას ვუკვეთდი - ეს ჯერ კიდევ თამბაქოს მოწევის აკრძალვამდე ხდებოდა - ვჯდებოდი და 1938 წლის "ფერმერის ალმანახს" ან რომელიმე მივიწყებულ ვიქტორიას ეპოქის პოემას ვკითხულობდი.

დები ფანჯარასთან მდგარ მაგიდასთან ისხდნენ. როზალინდას თმა უკან გადაეჭიმა, თეთრებში გამოწყობილიყო - გრძელი ქვედაკაბა და თხელი გოფრირებული ბლუზა შეერჩია, ბარის გარემოს შესაფერისად, და პრერაფაელიტების ბაღიდან შემოსულს ჰგავდა. იგი დაიხარა და ჯესიკას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, თან თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა.

ჯესიკა დიდ სავარძელში იჯდა, ფეხები მოეკეცა. მისმა გარეგნობამ ისევე განმაცვიფრა, როგორც პირველ ჯერზე. მზე ზემოდან, მაღალი ფანჯრიდან შემოდიოდა და მას კაშკაშა სინათლის სვეტში აქცევდა. ახლა ის უცნაურ მანათობელ არსებას ჰგავდა,

სიცოცხლით, მოუთმენლობითა და ტკივილით სავსეს. მშვენივრად მორკალული წარბები, ოდნავ აპრეხილი ცხვირი, ბავშვურად სავსე ტუჩები - ეს ყველაფერი უკვე მენახა კუპერის ფოლადის მაგიდაზე გაწოლილი გასისხლიანებული გოგონას სახეზე. ასე მეგონა, ვადა გაუგრძელეს-მეთქი, როგორც ევრიდიკეს,[79] რომელიც სიკვდილის წყვდიადიდან წუთით გამოიყვანეს ორფეოსთან შესახვედრად. საშინლად, სუნთქვის შეკვრამდე მომინდა, ხელი გამეწვდინა, მუქ თმაზე მოვფერებოდი, ჩემ უკან დამეყენებინა, მისი მსუბუქი და თბილი სუნთქვა მეგრძნო და დამეცვა, თითქოს ამით დროის შემობრუნებასა და ქეითის გადარჩენასაც შევძლებდი.

- როზალინდა, - ვთქვი მე, - ჯესიკა.

ჯესიკა შეკრთა, თვალები დაჭყიტა და ილუზიაც გაქრა. გოგონას ხელში მაგიდის შუაში მდგარი თასიდან აღებული შაქრის პაკეტი ეჭირა, რომელიც პირში ჩაიდო და წუწნა დაუწყო.

როზალინდას ჩემს დანახვაზე სახე გაუნათდა.

- დეტექტივო რაიან! რა კარგია, რომ მოხვედით. ვიცი, რომ დროს გართმევთ, მაგრამ... ოჰ, დაბრძანდით, დაბრძანდით, თუ შეიძლება, - სავარძელი მივაჩოჩე, - ჯესიკამ რაღაც დაინახა და ვფიქრობ, ეს თქვენც უნდა იცოდეთ. ხომ ასეა, ფისო? - მიმართა მან დას.

ჯესიკამ მხრები აიჩეჩა და საშინლად დაიგრიხა.

- გამარჯობა, ჯესიკა, - მივმართე ალერსიანად და წყნარად. თავში ათასი აზრი მიტრიალებდა: თუ საქმეში მშობლების ხელი ერია, ბავშვებს სადმე გადაიყვანდნენ. ჯესიკა მოწმის სახით... საშინელება იქნებოდა, მაგრამ... - მიხარია, ჩემთან დალაპარაკება რომ გადაწყვიტე. რა დაინახე?

---

[79] ევრიდიკე - ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთი დრიადა, ორფეოსის მეუღლე.

გოგონამ წინ და უკან რწევა დაიწყო.

- ღმერთო ჩემო... ვშიშობდი, რომ ასე მოხდებოდა, - ამოიხვნეშა როზალინდამ, - კარგი. ერთი სიტყვით, მან თქვა, რომ ქეითი დაინახა...

- გმადლობთ, როზალინდა, - გავაწყვეტინე მას, - მაგრამ ეს თვითონ ჯესიკასგან უნდა მოვისმინო, სხვაგვარად, სხვისი ნათქვამის გამეორება იქნება და მას სასამართლო მტკიცებულებად არ მიიღებს.

როზალინდა გაჩუმდა და დაბნეული სახით მომაჩერდა.

- კარგი, - ჩაილაპარაკა მან, - თუ ასეა საჭირო... ვიმედოვნებ, მე... - როზალინდამ თავი დისკენ დახარა, გაიღიმა და მისი მზერის დაჭერა სცადა, - ჯესიკა, საყვარელო, დეტექტივს უნდა მოუყვე ის, რაზეც ვლაპარაკობდით. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

ჯესიკამ მხრები მაღლა ასწია.

- არ მახსოვს, - თქვა მან.

როზალინდას სახე დაეძაბა.

- რას ამბობ, ჯესიკა, შენ ხომ ახლახან ყველაფერი მშვენივრად გახსოვდა. ჩვენ ამხელა გზა გამოვიარეთ, დეტექტივი რაიანი სამუშაოს მოვწყვიტეთ. გთხოვ.

ჯესიკამ კვლავ თავი გადააქნია და შაქრის პაკეტს კბილები მოუჭირა. ტუჩები უთრთოდა.

- ყველაფერი კარგადაა, - ვთქვი მე, თუმცა მისი შეჯანჯღარება მინდოდა, - ის, უბრალოდ, ცოტას ნერვიულობს. მან ხომ ბევრი გადაიტანა. ასე არაა, ჯესიკა?

- ჩვენ ყველამ ბევრი გადავიტანეთ, - მკვახედ მიპასუხა როზალინდამ, - მაგრამ ერთი ადამიანი მოზრდილივით უნდა მოიქცეს და არა სულელ გოგოსავით.

ჯესიკამ კიდევ უფრო ღრმად ჩამალა კისერი განიერ სვიტერში.

- მესმის, მესმის, - შევეცადე, სიტყვები ხმადაბლა და დამამშვიდებელი კილოთი მეთქვა, - ვიცი, რომ რთული დრო გამოიარეთ და...

- არა, დეტექტივო რაიან, არ გესმით, - როზალინდას მუხლზე დადებული ხელი აუცახცახდა, - ამას ვერავინ გაიგებს. და საერთოდ, აქ ტყუილუბრალოდ მოვედით. ჯესიკას შეწუხება არ შეიძლება. მით უმეტეს, იმის სათქმელად, რაც თქვენ არ გაინტერესებთ. აჯობებს, წავიდეთ.

მათ ვერ გავუშვებდი.

- როზალინდა, - ვთქვი მტკიცედ და მაგიდაზე გადავიხარე, - ყველაფერი მესმის. სიმართლეს გეუბნები. ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

მან მწარედ ჩაიცინა და ხელჩანთა აიღო.

- დიახ, რა თქმა უნდა. ჯესიკა, პაკეტი თავის ადგილას დააბრუნე. შინ მივდივართ.

- როზალინდა, როდესაც ჯესიკას ტოლი ვიყავი, ჩემი ორი მეგობარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ვიცი, ახლა რასაც გრძნობ.

მან თავი ასწია და შემომხედა.

- ეს ის არაა, რაც დის დაკარგვა... - განვაგრძე მე.

- დიახ, ეს დის დაკარგვა არაა...

- მაგრამ ვიცი, რა ძნელია ახლობელ ადამიანთან განშორება, და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ამ საქმეს ნათელი მოვფინო. გპირდები.

როზალინდა უსიტყვოდ მომაჩერდა, შემდეგ ხელჩანთა დააგდო და გაიცინა, ოღონდ ახლა შვებით.

- ოჰ, დეტექტივო რაიან! - იგი წინ გადმოიხარა და ხელზე ხელი მტაცა, - ვიცოდი, ვიცოდი, რომ არსებობდა რაღაც მიზეზი, რის გამოც ამ საქმეს ასე იდეალურად შეეფერებით.

ადრე მსგავსი აზრი თავში არასდროს მომსვლია, მაგრამ როზალინდა, მგონი, არ ცდებოდა. გულში სითბო ჩამეღვარა.

- ვიმედოვნებ.

ხელი მოვუჭირე, რათა ცოტა დამემშვიდებინა, მაგრამ მან ხელი სასწრაფოდ უკან წაიღო.

- ოჰ, არ მინდოდა...

- აი, რას გთავაზობ, - გავაწყვეტინე მე, - მოდი, ჩვენ ვილაპარაკოთ, ჯესიკა კი იჯდეს და დამშვიდდეს, შემდეგ კი, შესაძლოა, რამე გვითხრას კიდეც.

- ჯესიკა, ფისუნია! - როზალინდა მას ხელზე შეეხო. უმცროსი და შეკრთა, თვალები გაუფართოვდა, - გინდა, აქ კიდევ იჯდე?

ჯესიკა ჩაფიქრდა, თან როზალინდას სახეში მისჩერებოდა. ეს უკანასკნელი უღიმოდა და პასუხს ელოდებოდა. ბოლოს გოგონამ თავი დააქნია.

ჩემთვის და როზალინდასთვის თითო ფინჯანი ყავა ავიღე, ჯესიკასთვის კი ლიმონათი. მას ბოკალი ორივე ხელით ეჭირა და მონუსხულივით შესცქეროდა, როგორ მიქროდნენ ბუშტუკები ქვევიდან ზევით, მე და როზალინდამ კი საუბარი გავაჩაღეთ.

უნდა ვაღიარო, რომ არ ველოდი, თუ მოზარდთან საუბარი სიამოვნებას მომგვრიდა, მაგრამ იგი არაჩვეულებრივი ქალიშვილი გამოდგა. ქეითის სიკვდილისგან გამოწვეულ პირველ შოკს უკვე გაევლო და დავინახე, როგორი იყო სინამდვილეში: მეგობრული, გულღია, მხიარული, სიცოცხლით სავსე. რატომ არ შევხვედრივარ ასეთ გოგონებს, როდესაც თვრამეტი წლის ვიყავი? მიამიტობა ეტყობოდა, ამას თვითონაც ხვდებოდა და საკუთარ თავს ისე გულწრფელად და მახვილგონივრულად დასცინოდა, რომ, მიუხედავად ჩემი შიშისა, რომ ეს მიმნდობლობა ოდესმე უბედურებაში გახვევდა, აგრეთვე პირქუში გარემოებებისა და ჯესიკას მზერისა, მოჯადოებულივით რომ გაჰყურებდა სივრცეს, სიცილი ვეღარ შევიკავე.

- რას გააკეთებ სკოლის დამთავრების შემდეგ?

ეს შეკითხვა თავაზიანობის გამო არ დამისვამს: მიჭირდა დილიდან საღამომდე ოფისში მჯდომი როზალინდას წარმოდგენა. მან გაიღიმა, მაგრამ სახეზე სევდის ჩრდილი გადაეფინა.

- მუსიკა მომწონს. ცხრა წლიდან ვიოლინოზე ვუკრავდი და კომპოზიციას ვსწავლობდი. მასწავლებელი მაქებდა... როგორც ამბობდა, კარგი პერსპექტივა მქონდა, მაგრამ... - მან ამოიოხრა, - ეს ძალზე ძვირი ჯდება, მშობლები კი... ჩემი საქმიანობა გულზე დიდად არ ეხატებათ. მათი აზრით, უკეთესი იქნება, თუ მდივანთა კურსს გავივლი.

მაგრამ ამ დროს ქეითის სამეფო საბალეტო სკოლაში მიბარების ამბიცია გაუჩნდათ. საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ძალადობასთან ბრძოლის განყოფილებაში ხშირად გადავწყდომივარ მსგავს შემთხვევას: მშობლები შვილებს შორის ერთს გამოარჩევდნენ ხოლმე და თავს ევლებოდნენ, ერთსაც განტევების ვაცად აქცევდნენ ("მას ძალიან ვანებივრებდი", - თქვა ჯონათანმა ჩემთან საუბრისას), ამიტომ ღვიძლი დები და ძმები თითქოს სხვადასხვა ოჯახში იზრდებოდნენ. ეს, ჩვეულებრივ, ცუდად მთავრდებოდა.

- რამე უნდა მოვიფიქროთ, - ჩავილაპარაკე მე. როზალინდას მდივნობა სისულელედ მიმაჩნდა. ნეტავ რაზე ფიქრობდა დევლინი? - სტიპენდია ან რაღაც ამგვარი... რადგან ეს კარგად გამოგდის.

როზალინდამ თავი მოკრძალებით დახარა.

- და კიდევ... შარშან ეროვნულმა ახალგაზრდულმა ორკესტრმა ჩემი სონატა შეასრულა.

ეს, რასაკვირველია, არ დავიჯერე: ნაღდი ტყუილი იყო - რომელიმე ადგილობრივი აუცილებლად გვეტყოდა მისი წარმატების შესახებ. მაშინვე მივხვდი, რომ ასეთი სონატა ბუნებაში არ არსებობდა - საკუთარი გამოცდილებით ვიცოდი. "ეს ჩემი ტყუპისცალი ძმაა, პიტერი, ჩემზე შვიდი წუთით უფროსია". როზა-

ლინდა ბავშვური ასაკიდან ახლა გამოდიოდა, ბავშვები კი ასე თამამად მხოლოდ ერთ შემთხვევაში ცრუობენ - როდესაც მათთვის სინამდვილე აუტანელი ხდება.

თავი ძლივს შევიკავე, რომ არ მეთქვა: "როზალინდა, ვიცი, რომ თქვენს ოჯახში ყველაფერი რიგზე არაა. მომიყევი, ნება მომეცი, დაგეხმარო..." - მაგრამ ვიცოდი, რომ ამის თქმა ჯერ ნაადრევი იყო: წამსვე გაფაციცდებოდა და ყველაფერს დავკარგავდი, რასაც მივაღწიე.

- მართლა? - ვთქვი და გავიღიმე, - რა კარგია.

როზალინდამ მორცხვად გაიცინა და წამწამებქვეშიდან ამომხედა.

- თქვენი მეგობრები... - ყოყმანით თქვა მან, - ისინი, რომლებიც დაიკარგნენ. რა შეემთხვათ?

- გრძელი ამბავია.

თვითონ ჩავიგდე თავი ამ ვითარებაში, ახლა კი არ ვიცოდი, როგორ გამოვმძვრალიყავი. როზალინდას თვალებში ეჭვი ამოვიკითხე. მეშინოდა, მისი ნდობა არ დამეკარგა, თუმცა სიგიჟე იქნებოდა, მისთვის ნოკნარიში გატარებული ჩემი ბავშვობის დეტალები გამემხილა.

უცნაურია, მაგრამ ვითარება ჯესიკამ განმუხტა: იგი სავარძელში შეირხა და თითი დის ხელისკენ გაიწვდინა.

როზალინდამ მისი ჟესტი ვერ შეამჩნია.

- ჯესიკა? - გავამხნევე გოგონა.

- რა მოხდა, ძვირფასო? - როზალინდა მისკენ დაიხარა, - გინდა, დეტექტივ რაიანს იმ კაცის შესახებ უამბო?

ჯესიკამ თავი დააქნია.

- მე ის დავინახე, - თქვა მან და თან მე კი არა, დას უყურებდა, - ის ქეითს გამოელაპარაკა.

გულისცემა ამიჩქარდა. რელიგიური რომ ვყოფილიყავი, ყველა წმინდანს სანთელს დავუნთებდი: ეს პირველი სერიოზული ხელჩასაჭიდი იყო.

- შესანიშნავია, ჯესიკა. სად მოხდა ეს?

- გზაზე. როდესაც მაღაზიიდან შინ ვბრუნდებოდით.

- მხოლოდ შენ და ქეითი?

- დიახ. ჩვენ ნება დაგვრთეს.

- მან თქვა... - ჯესიკამ ღრმად ამოიოხრა, - თქვა: "შენ ძალიან კარგად ცეკვავ", ქეითმა კი მიუგო: "გმადლობთ". ქეითს მოსწონს, როდესაც ამას ეუბნებიან.

მან შეწუხებული სახით შეხედა დას.

- ყველაფერი კარგადაა, ფისუნი, - დაამშვიდა როზალინდამ და თმაზე ხელი გადაუსვა, - განაგრძე.

ჯესიკამ თავი დაუქნია, როზალინდა მის ბოკალს შეეხო და ჯესიკამ მორჩილად დალია ლიმონათი.

- შემდეგ, - თქვა მან, - შემდეგ კაცმა თქვა: "შენ ძალიან სიმპათიური გოგო ხარ", ქეითმა კი მიუგო: "გმადლობთ". მას ესეც მოსწონს. იმან... კაცმა უთხრა: "ჩემს პატარა გოგოსაც უყვარს ცეკვა, მაგრამ ფეხი მოიტეხა. ხომ არ გინდა, ინახულო? ძალიან გაუხარდება". ქეითმა უპასუხა: "ახლა არა. შინ გვაგვიანდება". ჰოდა, წამოვედით.

"შენ ძალიან სიმპათიური გოგო ხარ"... ჩვენს დროში ცოტა თუ გაბედავს, ასე მიმართოს თორმეტი წლის მოზარდს.

- იცნობ იმ კაცს? ადრე ხომ არ გინახავს?

ჯესიკამ თავი გადააქნია.

- როგორ გამოიყურებოდა?

დუმილი, ღრმა ამოოხვრა.

- დიდი.

- ჩემსავით დიდი? მაღალი?

- დიახ... მ-მ... დიახ. მაგრამ ასე დიდიც, - მან ხელები გაშალა. ჭიქა საეჭვოდ შეყანყალდა.

- მსუქანი იყო?

ჯესიკამ ნერვიულად ჩაიცინა.

- დიახ.

- რა ეცვა?

- სპორტული კოსტიუმი. მუქი ლურჯი.

მან როზალინდას შეხედა. დამ გასამხნევებლად თავი დაუქნია.

"ჯანდაბა", - გავიფიქრე. გული სულ უფრო აჩქარებით მიცემდა.

- რა ფერის თმა ჰქონდა?

- თმა... თმა არ ჰქონდა.

გულში დემიენს მოვუბოდიშე. როგორც ჩანს, ის სულაც არ აპირებდა იმის თქმას, რისი გაგონებაც ჩვენ გვსურდა.

- მოხუცია თუ ახალგაზრდა?

- თქვენსავით.

- ეს როდის მოხდა?

ჯესიკამ უსიტყვოდ აამოძრავა ტუჩები.

- რა?

- როდის შეხვდით შენ და ქეითი იმ კაცს? ეს ქეითის გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა? რამდენიმე კვირით ადრე? დიდი ხნის წინათ?

ვცდილობდი, ფრთხილად მელაპარაკა, მაგრამ ჯესიკამ თვალები სწრაფად აახამხამა.

- ქეითი არ გაუჩინარებულა, - ჩაილაპარაკა მან, - ქეითი მოკლეს.

მისმა თვალებმა თანდათანობით ფოკუსი დაკარგა. როზალინდამ საყვედურით შემომხედა.

- ჰო, - დავეთანხმე, - რა თქმა უნდა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, როდის ნახა ის კაცი. ეს მკვლელის პოვნაში დაგვეხმარება.

- ჯესიკამ მითხრა, - ხმადაბლა ჩაილაპარაკა როზალინდამ, - რომ ეს ერთი თუ ორი კვირით ადრე მოხდა... - მან ამოიოხრა, - მაგრამ დაზუსტებით ვერ ამბობს.

თავი დავუქნიე.

- დიდი მადლობა, ჯესიკა, - ვუთხარი გოგონას, - ძალიან გამბედავი ხარ. იმ კაცს თუ იცნობ, კიდევ რომ შეხვდე?

კვლავ დუმილი.

- ვფიქრობ, ჩვენი წასვლის დროა, - თქვა როზალინდამ და საათს მოუსვენრად დახედა.

ფანჯრიდან დავინახე, როგორ მიუყვებოდნენ ქუჩას: როზალინდა მოკლე-მოკლე ნაბიჯებით, თეძოების რხევით მიდიოდა, ჯესიკას მისთვის ხელი ჩაევლო და უკან მისდევდა. შევყურებდი მის ჩაქინდრულ თავს და ტყუპებთან დაკავშირებული ძველი ამბები მახსენდებოდა - როდესაც ერთს რამეს ატკენდნენ, მეორე, მისგან რამდენიმე მილით დაშორებული, იმავეს გრძნობდა. იქნებ დეიდა ვერასთანაც დადგა იმ ღამეს ისეთი წუთი, როდესაც მოხითხითე გოგონებს შორის იგი უეცრად გაჩუმდა და ხმადაბლა, სხვებისთვის შეუმჩნევლად, რაღაც ბგერები წარმოთქვა? იქნებ მისი არეული გონების დახშული კარის მიღმა იმალებოდა ამ საიდუმლოს გასაღები?

როზალინდამ თქვა, რომ ამ საქმეს იდეალურად შევეფერებოდი. სანამ მათ თვალს ვაყოლებდი, მისი სიტყვები თავში მიტრიალებდა. ახლაც არ ვიცი, შემდგომმა მოვლენებმა მისი სიტყვები დაადასტურა თუ პირიქით, მთლიანად უარყო, და რა კრიტერიუმის გამოყენებაა საჭირო მის დასადგენად.

10 თავი

მომდევნო რამდენიმე დღე სპორტულკოსტიუმიანი უცნობის ძებნას შევალიე. აღწერის მიხედვით, ნოკნარიში მას, ასე თუ ისე, შვიდი კაცი ჰგავდა - ოცდაათს გადაცილებული, მაღალი, ზორბა და მელოტი ან სუფთად თავგადაპარსული. ერთ-ერთს ახალგაზრდობაში პოლიციასთან ჰქონდა პრობლემა: მარიხუანას შენახვა, უხამსი საქციელი... წავიკითხე და შევკრთი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გზის პირას შარდავდა, როდესაც პოლიციელმა ჩაუარა. ორმა განაცხადა, რომ სამუშაოდან შინ მიმავლებს შეეძლოთ დასახლებაში დემიენის მიერ მითითებულ დროს გავლა, მაგრამ დარწმუნებით ვერაფერს ამბობდნენ.

არავინ აღიარა, რომ ქეითს გამოელაპარაკა. მისი სიკვდილის ღამეს ყველას ალიბი ჰქონდა, არავის ჰყავდა ფეხმოტეხილი მოცეკვავე ქალიშვილი და არც მკვლელობის მოტივი გააჩნდა რომელიმეს. მათი ფოტოსურათები დემიენსა და ჯესიკას ვაჩვენე. მათ ერთი კი შეათვალიერეს ისინი, მაგრამ მხრები აიჩეჩეს. ბოლოს დემიენმა ჩაიბურტყუნა, ამათ შორის ის კაცი არ უნდა იყოსო, ჯესიკა კი ხან ერთს ადებდა თითს, ხან - მეორეს, ბოლოს კი საერთოდ გაშეშდა. ორი დამხმარე ადგილობრივებთან გავუშვი იმის გასაგებად, ხომ არ ენახათ უცნობის მსგავსი ადამიანი. შედეგად - არაფერი.

ორი ალიბი საეჭვო აღმოჩნდა. ერთ-ერთი კაცი ამბობდა, რომ ღამის სამ საათამდე ინტერნეტით ბაიკერების ფორუმში მონაწილეობდა და მათთან ერთად "კავასაკის"[80] კლასიკური მოდელების ღირსებაზე მსჯელობდა. მეორე ამტკიცებდა, თითქოს ქალაქში გაემგზავრა პაემანზე, მაგრამ პირველის ნახევარ-

---

[80] "კავასაკი" - იაპონური მოტოციკლეტი.

ზე მიმავალ ავტობუსზე დააგვიანდა და შემდეგის მოლოდინში ორი საათამდე კაფეში იჯდა. ფოტოსურათები დაფაზე დავკიდე და მათი ალიბის საგულდაგულოდ შემოწმება გადავწყვიტე. ყოველთვის, როდესაც მათ შევცქეროდი, მუდმივად თანამდევი შეგრძნება მიჩნდებოდა: თითქოს ჩემი ყოველი ნაბიჯი ვიღაცის ბოროტ ნებას აწყდებოდა, ეშმაკ და ჯიუტ ძალას, რომელსაც საკუთარი მიზანი ამოძრავებდა.

ერთგვარ წარმატებას მხოლოდ სემმა მიაღწია. იგი ოფისში თითქმის არ ჩნდებოდა და უამრავ ხალხს ხვდებოდა: მიწისმზომელებს, ფერმერებს, მშენებლობის საწინააღმდეგო მოძრაობის წევრებს. საღამოობით, ვახშმობისას, ამაზე გაკვრით ორიოდ სიტყვას იტყოდა და გვპირდებოდა, რომ მოგვიანებით გვიამბობდა, როცა რამე გაირკვეოდა. ერთხელ საბაზანოში შესულს მაგიდაზე ბლოკნოტი დარჩა. შიგნით ჩავიხედე და იქ სქემები, გრაფიკები და წვრილი ასოებით, ძნელად გასარჩევი ხელით გაკეთებული ასობით ჩანაწერი აღმოვაჩინე.

ბოლოს, სამშაბათს, - წვიმდა და მე და კესი მოღუშული სახით ვათვალიერებდით დამხმარეების ანგარიშებს ადგილობრივების გამოკითხვის თაობაზე, რათა არაფერი გამოგვრჩენოდა, - სემი სქელი ქაღალდის დიდი რულონით გამოგვეცხადა: ასეთით ბავშვები ვალენტინობის დღისთვის მისალოც ბარათებსა და საშობაო მორთულობებს ამზადებენ.

- ესეც ასე, - თქვა მან, ქაღალდი გაშალა და ჯიბიდან ამოღებული წებოვანი ლენტით შტაბის კუთხეში კედელზე დაამაგრა, - აი, რას ვსაქმიანობდი.

ჩვენ წინ ნოკნარის უზარმაზარი და დეტალურად დამუშავებული რუკა იყო: სახლები, ბორცვები, მდინარე, ტყე - საბავშვო წიგნის მარტივ და ლამაზ ილუსტრაციებს ჰგავდა. ამ ყველაფრის ქაღალდზე გადატანას რამდენიმე საათი მაინც დასჭირდებოდა. კესიმ დაუსტვინა.

- ოჰ, გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ, - ღიმილით წარმოთქვა სემმა და თან ელვისს[81] მიჰბაძა.

ჩვენი ფურცლები მივატოვეთ და რუკას მივუახლოვდით, რათა ყველაფერი უკეთ დაგვენახა. ის რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი და სხვადასხვაფრად გაფერადებული - მწვანედ, ლურჯად, წითლად და, იშვიათად, ყვითლად. თითოეულ მათგანს ასოებისა და ციფრების გაუგებარი თანამიმდევრობა შეესაბამებოდა, მაგალითად: "გამყ. ფ. დაუნი-გლოუბი. 11/07; დან. ს.-ს. სავ. 8/98". წარბები ავზიდე და სემს კითხვის გამომხატველი მზერა მივაპყარი.

- ახლავე ყველაფერს აგიხსნით, - თქვა მან, მწებვარე ლენტს ცოტა მოაჭრა და კედელზე ქაღალდის მეოთხე კუთხეც მიამაგრა. მე და კესი მაგიდის კიდეზე ჩამოვსხედით, საიდანაც ყველა დეტალის გარჩევა შეიძლებოდა.

- შესანიშნავია. ამას ხომ ხედავთ? - სემმა ორ წყვეტილ ხაზზე მიგვითითა, რომლებიც ტყესა და გათხრების ადგილზე გადიოდა, - აქ გზატკეცილი გავა. ხელისუფლებამ მშენებლობის გეგმების შესახებ 2000 წლის მარტში გამოაცხადა და ფერმერთა მიწები იძულების წესით შეისყიდა. ყველაფერი კანონის ფარგლებშია.

- მართლა? - ჩაილაპარაკა კესიმ, - გააჩნია, ამას როგორ შევხედავთ.

- ჩუმად, - ვთქვი მე, - იჯექი და ლამაზი სურათით დატკბი.

- ალბათ, მიხვდით, რაც ვიგულისხმე, - განაგრძო სემმა, - ეს მიღებული პრაქტიკაა. გაცილებით საინტერესო გზის გარშემო მდებარე მიწაა. 1995 წლამდე ის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად მიიჩნეოდა, მაგრამ მომდევნო ოთხი წლის განმავლო-

---

[81] იგულისხმება ელვის პრესლი, პოპულარული ამერიკელი მომღერალი.

ბაში მისი შესყიდვა და საცხოვრებელ და ინდუსტრიულ კატეგორიაში გადაყვანა დაიწყეს.

- წინასწარმეტყველების წყალობით, რომლებმაც ხუთი წლით ადრე იცოდნენ, გზას სად გაიყვანდნენ.

- ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, - თქვა სემმა, - დუბლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ავტომაგისტრალის მშენებლობის შესახებ ლაპარაკი ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო, - ამას გაზეთებზე დაყრდნობით ვამბობ, - ინდუსტრიული ზრდის პარალელურად. რამდენიმე მიწისმზომელს გავესაუბრე და მათი აზრით, აქაური ადგილები ყველაზე მეტად შეეფერება გზატკეცილს ტოპოგრაფიის, საცხოვრებელი სახლებისა და ნაკვეთების განლაგების გამო და ასე შემდეგ. დეტალებს აღარ ჩავძიებივარ, მაგრამ ისინი ასე ფიქრობენ. ვერ ვხვდები, მშენებლებსაც რატომ არ შეეძლოთ იმავეს გაკეთება - სპეციალისტების დაქირავება, როგორც კი გზატკეცილის შესახებ ხმა გავრცელდა, და იმის დადგენა, სავარაუდოდ, სად გაივლიდა.

არაფერი გვითქვამს. სემმა ჯერ მე შემომხედა, შემდეგ - კესის. სახეზე სიწითლემ გადაჰკრა.

- სულელი არა ვარ. ცხადია, შესაძლოა, ზემოდან მათ ვიღაცამ მიანიშნა, მაგრამ იმის თქმა მსურს, რომ ეს აუცილებელი არაა. ამას ვერაფრით დავამტკიცებთ. რომ არ დაგიმალოთ, ვერც ვხედავ, რით უკავშირდება ის ჩვენს საქმეს.

ტუჩი მოვიკვნიტე, რომ არ გამღიმებოდა. სემს განყოფილების ერთ-ერთი საუკეთესო დეტექტივად მივიჩნევდით, მაგრამ ძალიან თავშესაქცევი იყო იმის ყურება, თუ როგორ სერიოზულად ლაპარაკობდა ამის შესახებ.

- მიწა ვინ იყიდა? - სასხვათაშორისოდ ჰკითხა კესიმ.

სემმა შვებით ამოისუნთქა და თქვა:

- სხვადასხვა ფირმამ. ბევრი მათგანი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს: ჰოლდინგური კომპანიები, რომლებიც სხვა კომპანიებს ეკუთვნის, ისინი კი - სხვებს. დროის უმეტესი ნაწილი ამის გარკვევას მოვანდომე - რეალური მფლობელის დადგენას. ჯერ-ჯერობით, სამი ასეთი ფირმა აღმოვაჩინე: "გლოუბალ აირიშ ინდასტრისი", "დაინემო დეველოპმენტი" და "ფუტურა პროფეტი კონსალტენსი". პირველი ლურჯ ფრაგმენტებს შეესაბამება, მეორე - წითელს, მესამე - მწვანეს. გაცილებით რთული დასადგენია, თუ ვინ დგას მათ უკან. პირველი ორი ჩეხეთშია დარეგისტრირებული, მესამე - უნგრეთში.

- ჰოო, ეშმაკურად მოუფიქრებიათ, - თქვა კესიმ.

- სწორია, - დაეთანხმა სემი, - მაგრამ ამ გზით, ალბათ, გადასახადებისგან თავის დაძვრენა სურთ. ცხადია, შეიძლება ამ ყველაფრის საგადასახადო პოლიციაში დადგენა, თუმცა ვერ ვხვდები, რა კავშირი აქვს მასთან ჩვენს საქმეს.

- იქნებ ამის შესახებ დევლინმა შეიტყო და ვინმეს დაშინება გადაწყვიტა, - გამოვთქვი ვარაუდი.

კესიმ სკეპტიკურად ასწია წარბები.

- როგორ შეიტყობდა? ასეც რომ იყოს, გვეტყოდა კიდეც.

- არა მგონია. დევლინი უცნაური ტიპია.

- შენთვის ყველა უცნაურია. ჯერ მარკი...

- მოითმინეთ, ჯერ ყველაზე საინტერესო არ მითქვამს! - გაგვაწყვეტინა სემმა. კესის დავეღრიჯე და რუკისკენ მანამ შევტრიალდი, სანამ პასუხის გაცემას მოასწრებდა, - 2000 წლის მარტისთვის, როდესაც გზატკეცილის მშენებლობის შესახებ გამოაცხადეს, ოლქში თითქმის მთელ მიწას ეს სამი კომპანია ფლობდა. თუმცა კიდევ ოთხი ფერმერი იყო. ისინი დანებებას არ აპირებდნენ - მათი ნაკვეთები ყვითლად აღვნიშნე. დავადგინე კიდეც, ვინ არიან. ახლა ისინი ლაუსში ცხოვრობენ. ბიჭებმა ყველაფერი უცებ მოტვინეს: მიწას მომატებულ ფასად ყიდულობ-

დნენ, ამიტომაც ყველა თანხმდებოდა მის გაყიდვას. ამ ოთხმა კი ერთმანეთში მოილაპარაკა, გადაწყვიტეს, ჯერ არ გაეყიდათ და ენახათ, რა მოხდებოდა. ამ დროს გზატკეცილის მშენებლობის შესახებ გამოაცხადეს და ცხადი გახდა, რატომ სჭირდებოდათ მათი მიწა: ახალი შენობა-ნაგებობებისთვის, როდესაც ქალაქთან გზას გაიყვანდნენ. მეგობრებმა გადაწყვიტეს, თვითონ შეეცვალათ მიწის დანიშნულება და ამ გზით მისი ფასიც ორ--სამჯერ გაეზარდათ. მათ ადგილობრივ საბჭოს მიმართეს, - ერთმა ეს ოთხჯერაც კი სცადა, - მაგრამ უარი მიიღეს.

სემმა თითი წვრილი ასოებით აღნიშნულ ყვითელ კვადრატებს მიუკაკუნა. წინ გადავიხარეთ, რათა უკეთ წაგვეკითხა: "მ. კლირი, დან. ს.-ს. სავ.: 5/2000 უარი, 6/2001 უარი, 1/2002 უარი, გამ. მ. კლირი-ფპკ 8/2002; დან. ს.-ს. სავ. 10/2002".

წუთის შემდეგ კესიმ თავი დაუქნია და რუკის დათვალიერება განაგრძო.

- მაშასადამე, მაინც გაყიდეს, - ჩაილაპარაკა მან.

- დიახ. დაახლოებით იმავე ფასად, როგორც სხვებმა, რაც სულაც არაა ცოტა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის, მაგრამ არასასოფლო-სამეურნეოს ფასს გაცილებით ჩამორჩება. თავდაპირველად მორის კლირი გაყიდვაზე ჯიუტად უარს აცხადებდა: განაცხადა, პიჯაკიანი რეგვენები ნაკვეთიდან ფეხს ვერ მომაცვლევინებენო, მაგრამ მალე ერთ-ერთი ჰოლდინგური კომპანიიდან ეწვივნენ და უთხრეს, რომ ზედ მისი ფერმის უკან ფარმაცევტული ფაბრიკის აშენებას აპირებდნენ, და თუ ქიმიური ნარჩენები მის წყალში მოხვდებოდა, ეს მათი პრობლემა არ იქნებოდა. კლირიმ გადაწყვიტა, რომ ემუქრებოდნენ - ამაზე თავს ვერ დავდებ - და მიწა გაყიდა. როგორც კი დიდმა სამეულმა ყველა ნაკვეთი შეისყიდა, - სხვადასხვა სახელით, მაგრამ ისინი, საბოლოოდ, მათ უკავშირდება, - მათ განცხადება შეიტა-

ნეს მიწის ხელმეორედ დარეგისტრირების შესახებ და თანხმობაც მაშინვე მიიღეს.

- როგორც ჩანს, ადგილობრივი საბჭო დიდ სამეულს ჯიბეში უზის, - ვთქვი მე.

- ჰო, ასე იქნება.

- საბჭოს წევრებს ხომ არ ელაპარაკე?

- რა თქმა უნდა, მაგრამ უშედეგოდ. ისინი ძალიან თავაზიანად გექცევიან, მაგრამ ორჭოფულად გპასუხობენ. შეუძლიათ, საათობით ილაქლაქონ და მნიშვნელოვანი არაფერი თქვან, - კესის გაოცებული მზერა დავიჭირე: სემი პოლიტიკოსის გვერდით ცხოვრობდა და ჯერაც ვერ მისჩვეოდა მსგავს ფაქტებს, - ამტკიცებენ, რომ მიწის ხელმეორედ დარეგისტრირება... მოითმინეთ, ჩავიწერე... - მან ბლოკნოტი გადაფურცლა, - "ჩვენი გადაწყვეტილება ყოველთვის ორიენტირებულია საზოგადოების ინტერესის დაცვაზე და მას დაინტერესებული პირის მიერ კეთილსინდისიერად და დადგენილ ვადაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვიღებთ, რაც სრულიად გამორიცხავს მიკერძოებულობასა და ფავორიტიზმს". გაითვალისწინეთ, რომ ეს წერილის ან მოხსენების ფრაგმენტი კი არა, პირდაპირი ნათქვამია. სწორედ ასე მიპასუხა ერთ-ერთმა.

კესიმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს გული ერეოდა.

- რა ჯდება ადგილობრივი საბჭოს მოსყიდვა? - ვიკითხე მე.

სემმა მხრები აიჩეჩა.

- თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ყველაფერი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და ბევრი გადაწყვეტილება მიიღეს, გვარიანი თანხა გამოდის. დიდმა სამეულმა მიწაში ბევრი ფული ჩადო. ასე რომ, გზატკეცილის გადატანა მათ ნამდვილად არ გაახარებდათ.

- რა ოდენობის ზარალს ნახავდნენ?

სემმა რუკის ზედა კუთხეში გავლებულ ორ წვრილ ხაზზე მიგვითითა.

- როგორც დავადგინე, ალტერნატიული გზა მხოლოდ აქ თუ გაივლის. გადატანის მომხრეებიც ამას მოითხოვენ. ჩრდილოეთით დაახლოებით ორი მილით გადაიწევს, ზოგან - ოთხი--ხუთი მილითაც. აშკარაა, რომ ჩრდილოეთით მდებარე ნაკვეთები ფასს შეინარჩუნებს, სამაგიეროდ, სამხრეთში არსებული გაუფასურდება. რამდენიმე აგენტს მყიდველივით გავესაუბრე. მათი თქმით, მიწა გზის გასწვრივ ორჯერ მეტი ეღირება, ვიდრე სამხრეთით სამი მილით დაშორებული. ზუსტად არ დამითვლია, მაგრამ ლაპარაკი მილიონებზეა.

- ასეთი თანხის გულისთვის სატელეფონო მუქარაზეც წავა კაცი, - თქვა კესიმ.

- ისეთებიც მოიძებნებიან, რომლებიც რამდენიმე ათასს დაამატებენ და მკვლელს დაიქირავებენ, - განვაცხადე მე.

ერთხანს ყველანი ვდუმდით. წვიმა შეწყდა, ცა თანდათანობით მოიწმინდა. მზის წყალნარევი სვეტი ვერტმფრენის პროჟექტორივით დაეცა რუკას, ჩრდილს მდინარის კალაპოტი გამოსტაცა, წვრილ ასოებს გადაუარა და მოვარდისფრო ნისლში გაუჩინარდა. ოთახის მეორე ბოლოში "ცხელი ხაზის" თანამშრომელი ცდილობდა, სიტყვა მაინც ჩაეკვეხებინა რომელიღაც თანამოსაუბრის ლაქლაქში. ბოლოს კესიმ ჩაიბურტყუნა:

- მაგრამ რატომ ქეითი? რატომ ჯონათანი არა?

- იმიტომ, რომ მაშინ მოტივი აშკარა იქნებოდა, - ვთქვი მე, - ჯონათანის სიკვდილის შემთხვევაში სწრაფად გამოვთვლიდით, ეს ვის აწყობდა. ქეითთან დაკავშირებით კი ყველაფერი, შესაძლოა, სექსუალურ ძალადობას დაჰბრალებოდა. პოლიცია ახალი გზატკეცილის მშენებლობაზე ყურადღებას არ გაამახვილებდა, ჯონათანი კი მიხვდებოდა, მისგან რა უნდოდათ.

- ახლა იმის დადგენაღა დაგვრჩენია, ვინ დგას ამ დიდი სამეულის უკან, - თქვა სემმა, - მაგრამ აქ ერთი დიდი ჩიხია. ფერმერებმა მყიდველის ვინაობა არ იციან. საბჭოშიც იმავეს აცხადებენ. მე ნასყიდობის ხელშეკრულება და გარიგებათა ასლები ვნახე. მათ ხელს ადვოკატები აწერენ. ისინი კი ამბობენ, რომ კლიენტების თანხმობის გარეშე გვარებს ვერ დაგვისახელებენ.

- ღმერთო ჩემო.

- ჟურნალისტებისგან რა ისმის? - მოულოდნელად იკითხა კესიმ.

სემმა თავი გადააქნია.

- ჟურნალისტები რა შუაშია?

- შენ თქვი, რომ სტატიები გზატკეცილის მშენებლობის შესახებ 1994 წლიდან გაჩნდა. ისეთი ჟურნალისტებიც იქნებიან, რომლებიც ამ საკითხს თვალს ადევნებდნენ და შესანიშნავად იციან, ვინ შეისყიდა მიწა, თუმცა ამას ვერ წერენ. დალახვროს ეშმაკმა, ეს ხომ ირლანდიაა. აქ საიდუმლო არ არსებობს.

- კესი! - შესძახა სემმა და სახე გაუნათდა, - გენიოსი ხარ! ლუდი ჩემზეა.

- აჯობებს, ჩემ მაგივრად წაიკითხო ადგილობრივების გამოკითხვის შესახებ ანგარიში. ო ' გორმანი ვარაუდებს ჯორჯ ბუშივით გამოთქვამს. ზოგჯერ ვერ ვხვდები, რას ლაპარაკობს.

- მომისმინე, სემ, - ვთქვი მე, - თუ საქმე გამოვა, რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველდღე ლუდით გაგიმასპინძლდებით.

სემმა კესის მხარზე ხელი უხერხულად მოუთათუნა, თავისი მაგიდისკენ გაემართა და ძველი გაზეთების შეკვრას კვალზე დამდგარი ძაღლივით დააცხრა, ჩვენ კი ჩვენს ქაღალდებს დავუბრუნდით.

რუკა კვლავაც კედელზე ეკიდა და რატომღაც ნერვებს მიშლიდა. როგორც ჩანს, შესრულების სრულყოფილება, დეტალე-

ბის ფილიგრანული სიზუსტე მთრგუნავდა: პატარა ფოთლები ტყის მასივში, კენჭები ქალაქის გარშემო შემოვლებულ კედელში. შესაძლოა, მეშინოდა, რომ თავს ავწევდი და ფანქრით დახატულ ხეებს შორის გაცინებულ სახეებს დავინახავდი. ერთ-ერთ ყვითელ კვადრატზე კესიმ კარიკატურა დახატა: კოსტიუმში გამოწყობილი სახლის მეპატრონე რქებითა და ეშვებით. კესი რვა წლის ბავშვივით ხატავდა, მაგრამ ყოველთვის, როცა ამ გაღიმებულ სახეს ვხედავდი, ლამის შევმხტარიყავი.

იმის გახსენება ვცადე, - პრაქტიკულად, პირველად, - რაც ტყეში მოხდა. თავდაპირველად შორიახლო დავდიოდი, საკუთარ თავს არ ვუტყდებოდი, რის გაკეთებასაც ვაპირებდი, იმ ბავშვივით, რომელიც ფეხიდან ფუფხს იცლის, მაგრამ შეხედვას ვერ ბედავს. სეირნობა დავიწყე - ჩვეულებრივ, დილაუთენია ან ღამით, როცა კესისთან არ ვრჩებოდი და ვერ ვიძინებდი - და ტრანსში მყოფივით ქალაქში საათობით დავხეტიალებდი, საკუთარი აზრების ფრთხილ გადაადგილებას ვუსმენდი. ეს იმით მთავრდებოდა, რომ მოულოდნელად გამოფხიზებული რომელიღაც უცნობი სუპერმარკეტის ვიტრინასთან ან მდიდრულ კვარტალში ძველი დიდი სახლის ფასადის წინ ვიდექი, თვალებს გაოცებით ვახამხამებდი და ვერ გამეგო, იქ როგორ მოვხვდი.

წარმატებას მაინც მივაღწიე. გათავისუფლებული გონება ჩემს თავში გაშმაგებით მბრუნავ, ათასობით სახისგან შემდგარ მორევთან იდგა. თანდათანობით იქიდან ცალკეული კადრების ამოგდება და მეხსიერებაში გამოცალკევება ვისწავლე. აი, მშობლებმა პირველი ზიარების წინ მაღაზიაში მიგვიყვანეს. მე და პიტერს მუქი კოსტიუმები გვაცვია. სიცილით ვიჭაჭებით და ვუყურებთ, როგორ გამოდის ჯემი ტანსაცმლის მოსაზომი ოთახიდან - დედასთან ჩურჩულისა და ხანგრძლივი კამათის შემდეგ - გაშმაგებული სახითა და სადღესასწაულო ტორტის მსგავსი თოვლივით ქათქათა კაბით. აი, დარტყმული მიკი, ადგილობრი-

ვი გიჟი, მთელი წელი პალტოთი და დახეული ხელთათმნით რომ დადის და გამუდმებით სალანძღავ სიტყვებს ბუტბუტებს. პიტერი ამბობდა, რომ მიკი ჭკუაზე შეიშალა, ვინაიდან ახალგაზრდობაში ვიღაც ქალიშვილს რაღაც საშინელება დამართა და მას შვილი უნდა გასჩენოდა, ამიტომ ტყეში თავი ჩამოიხრჩო და სახე გაუშავდაო. ერთხელ მიკიმ მაღაზია "ლორის" წინ დაიწყო ყვირილი. პოლიციამ მანქანით წაიყვანა და მას შემდეგ აღარ გვინახავს. აი, ძველი, მასიური ხისგან დამზადებული ჩემი სასკოლო მერხი, სამელნისთვის გაკეთებული ჩაღრმავებით, იდაყვებით ბზინვარებამდე გაპრიალებული და დაჯღაბნილი (ყვანჭი, ისრით განგმირული გული და წარწერა: "დეს პირსი იყო აქ, 12/10/67"). არაფერი განსაკუთრებული, უმნიშვნელო წვრილმანები, არანაირი მინიშნება იმაზე, რაც საქმეს უკავშირდებოდა. მაგრამ აქამდე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემი ცხოვრების პირველი თორმეტი წელი უსაშველოდ დაკარგულიყო. ახლა კი უმყოფობიდან ამოტივტივებული ყოველი დეტალი საუცხოოდ, იდუმალი აზრით აღვსილად მიმაჩნდა, როგორც უძველესი როზეტის ქვა[82] ნახევრად წაშლილი იეროგლიფებით.

ზოგჯერ საქმესთან ირიბად დაკავშირებული სურათის გახსენებასაც ვახერხებდი. "მეტალიკა" და სანდრა ხის ქვეშ... თანდათანობით მივხვდი, - და ამან გული დამწყვიტა, - რომ ერთადერთი არსებები არ ვიყავით, ვისაც ტყე საკუთარ ტერიტორიად, მშობლიურ გარემოდ მიგვაჩნდა. სიღრმეში, ნანგრევების შორიახლო, დიდი მდელო გადაშლილიყო. გაზაფხულზე ის თავყვითელათი იფარებოდა, ზაფხულში - დიდი ბალახით, რომელიც

---

[82] როზეტის ქვა - სტელა, რომელიც 1799 წელს აღმოაჩინეს ეგვიპტის ქალაქ როზეტის (არაბ. რაშიდის) მახლობლად. მასზე გაკეთებულია წარწერა, რომელშიც ქურუმები სამადლობელი სიტყვებით მოიხსენიებენ მეფე პტოლემე V-ს.

მტკივნეულად გვედებოდა ფეხებზე, შემოდგომის პირზე კი ბუჩქები შავი მაყვლით იმოსებოდა. როცა არ ვერთობოდით, იქ შეგროვილ ბაიკერებს ვაკვირდებოდით. ერთი ასეთი დღე გამახსენდა, მაგრამ მას ძველი ჩვეულების გემო დაჰკრავდა: მაშასადამე, ეს უწინაც გაგვიკეთებია.

ზაფხულის ცხელი დღეა, მზე კეფას მიხურებს, პირში თბილი "ფანტას" გემოს ვგრძნობ. ქალიშვილი, სახელად სანდრა, გათელილ ბალახში ზურგზე გაწოლილა, "მეტალიკა" კი ზემოდან დაჰყურებს. ქალიშვილს კაბა მხარზე გადასწევია და აბრეშუმის შავი ბრეტელი მოუჩანს. თითები ბიჭის თმაში შეუყვია. პირები ფართოდ დაუღიათ და ერთმანეთს კოცნიან. "ფუ, ასე ხომ მუცლის ჭიას აიკიდებ", - ყურში ჩამჩურჩულებს ჯემი.

მიწას გავეკარი, მუცელზე მაისური ამეწია და ბალახის ჩხვლეტას ვგრძნობ. ვცდილობთ, უხმაუროდ, პირით ვისუნთქოთ.

პიტერმა ძლივს გასაგონად გააწკლაპუნა ტუჩები და კოცნას მიამსგავსა. სიცილი აგვიტყდა. პირზე ხელი ავიფარეთ და ერთმანეთს მუჯლუგუნები ვუთავაზეთ. ანტრაქსი და საყურეებიანი მაღალი გოგო მდელოს მეორე ბოლოში იყვნენ. ანტრაქსი ტყის სიახლოვეს დადიოდა, ეწეოდა, კედელს ფეხს ურტყამდა და ლუდის ქილებს ქვებს ესროდა. პიტერმა ღიმილით აიღო მიწიდან კენჭი, ისროლა და ბალახში ჩააგდო სანდრას მხრიდან ორიოდე დუიმის დაშორებით. "მეტალიკა" მძიმედ სუნთქავდა და თავიც არ აუწევია, ჩვენ კი თავი ბალახში ჩავრგეთ და სიცილისგან ჩავბჟირდით.

უეცრად სანდრამ თავი მოაბრუნა და ისლის ღეროებსა და ვარდკაჭკაჭას ყვავილებს შორის თვალი მომკრა. "მეტალიკა" ყელს უკოცნიდა, ის კი არ ინძრეოდა. ჩემს ხელთან კუტკალია ჭრიჭინებდა. ქალიშვილს მზერა გავუსწორე და ვიგრძენი, რომ გული სადღაც ქვევით მივარდებოდა.

- მივდივართ! - ჩაგვჩურჩულა პიტერმა, - ეი, ადამ, მივდივართ!

კოჭში დამქაჩეს. უკან, ხეების ჩრდილისკენ გავფოფხდი, ფეხები მაყვლის ეკლებმა დამიკაწრა. სანდრა კვლავაც შემომყურებდა.

სხვა მოგონებებიც მეწვია, რომელთა გადმოცემაც ძნელია. მაგალითად, მახსოვს, როგორ ჩავიფრენდი ჩვენი სახლის კიბეს ისე, რომ საფეხურებს არც ვეხებოდი. ეს მეხსიერებაში უმცირეს დეტალებთან ერთად ჩამეჭედა: უსწორმასწორი შპალერი გახუნებული ვარდებით, სააბაზანოს ფანჯრიდან შემოსული მზის სხივები, ჰაერში მტვრის ნაწილაკებს რომ იჭერდნენ, რიკულებს კი ღვინოსავით ალაპლაპებდნენ, ჩემი ხელების ჩვეული სიმარჯვე მოაჯირზე, საფეხურებიდან სამი-ოთხი დუიმის დაშორებით ფეხებით შემოხაზული რკალი.

მახსოვს ჩვენ სამმა როგორ მივაგენით მიტოვებულ ბაღს ტყის შუაგულში. თითქოს საიდუმლო კარი გაგვეღოს. აქ იყო გაველურებული ვაშლის, ალუბლისა და მსხლის ხეები, მარმარილოს შადრევნის ნანგრევების ხავსით დაფარული ღრმა ნაპრალები ნესტს დაესველებინა. ყველგან სუროთი შემოსილი, მუხლებამდე სარეველაში ჩაფლული მაღალი ქანდაკებები მოჩანდა, რომელთა მოტეხილი თავები და ხელები მიწაზე ეყარა ველურ სტაფილოსა და ბალახს შორის. ნაცრისფერი ბინდბუნდი, ჩუმი შრიალი, ჩვენი დანამული კანი. ქვის სამოსის ნაკეცებზე ჯემის ხელისგული უვარდისფრდება, თავი უკან გადაუგდია, რათა ქანდაკებას უსინათლო თვალებში ჩახედოს. სამარისებური სიჩუმეა. მშვენივრად ვხვდები - ეს ბაღი მართლა რომ არსებობდეს, მას გათხრებისას არქეოლოგები მიაგნებდნენ და ყველაფერს ეროვნულ მუზეუმში გადაიტანდნენ, მარკი კი აუცილებლად გვიამბობდა მათ შესახებ - დაწვრილებით და ხატოვნად, მაგრამ... პრობლემა ის არის, რომ მე ის მახსოვს.

ოთხშაბათ დილას კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლის გა ნყო ფილების თანამშრომლებმა დამირეკეს. მათ "სპორტულკოსტიუმიანი" ჩვენი ბოლო ეჭვმიტანილის კომპიუტერი დაეთვალიერებინათ და დაედგინათ, რომ ქეითის მკვლელობის მომენტში კაცი მართლა ონლაინრეჟიმში მუშაობდა. მათ პროფესიული სიამაყით დაამატეს, რომ, მართალია, ის საბრალო კომპიუტერს მშობლებსა და ცოლთან იყოფდა, ყოველ მომხმარებელს ელექტრონულ წერილებსა და ფორუმებში სპეციფიკური სიტყვების გამოყენება და ორთოგრაფიული შეცდომები ახასიათებდა. ანალიზით დადგინდა, რომ ქეითის მკვლელობის ღამეს კომპიუტერთან სწორედ ჩვენი ეჭვმიტანილი იჯდა.

- საგიჟეთია, - ჩავილაპარაკე მე, ყურმილი დავკიდე და თავი ჩავქინდრე.

ჩვენ უკვე ვნახეთ კაფეში გაკეთებული ვიდეოჩანაწერი, სადაც ახალგაზრდა, რომელსაც ავტობუსზე დააგვიანდა, ჩიფსს საწებელში აწობდა და გალეშილი კაცის არაფრის მთქმელი გამომეტყველებით მიირთმევდა. გულის სიღრმეში მსგავს შედეგს ველოდი კიდეც, მაგრამ ცუდ ხასიათზე ვიყავი, - უძინარი, უყავოდ, თავის გამუდმებული ტკივილით, - თანაც დილა შეუფერებელი დროა უკანასკნელ იმედთან გამოსამშვიდობებლად.

- რა მოხდა? - მკითხა კესიმ და ქაღალდებს თვალი მოსწყვიტა.

- "კავასაკის" მოყვარულის ალიბი შემოწმებულია და წყალი არ გაუვა. თუ ჯესიკამ მართლა დაინახა დამნაშავე, ის ნოკნარიდან არ ყოფილა და არ ვიცი, სად ვეძებო. იქ დავბრუნდით, საიდანაც დავიწყეთ.

კესიმ ქაღალდების დასტა შეასწორა და თვალები მოიფშვნიტა.

- დარწმუნებული ვარ, ადგილობრივია. ყველაფერი ამაზე მიუთითებს.

- დალახვროს ეშმაკმა, მაშინ ვინ არის ეს მაწანწალა სპორტსმენი? თუ მას ალიბი აქვს მკვლელობის ღამეს და კესის უწყინრად გამოელაპარაკა, რატომ არ შეგვატყობინა ამის შესახებ?

- იმ პირობით, - ჩაეცინა კესის, - თუ ის მართლა არსებობს.

უეცრად არაადეკვატურად, საშინლად გავფიცხდი.

- მაპატიე, მედოქს, მაგრამ რას ამბობ? შენი აზრით, ჯესიკამ ეს გასამხიარულებლად ჩაიდინა? ხომ ნახე ეს გოგონები? თუ ხვდები, ახლა რას განიცდიან?

- მე იმას ვამბობ, - ცივად თქვა კესიმ და წარბები აზიდა, - იოლად შემიძლია წარმოვიდგინო, რომ გარემოებათა გამო თავი მოვალედ ჩათვალეს, მსგავსი რამ მოეფიქრებინათ.

- ჯანდაბა! - შევძახე მე, - მშობლები!

- ალილუია. როგორც იქნა, გონება აგიმუშავდა.

- მაპატიე, - ჩავილაპარაკე მე, - ტყუილუბრალოდ დაგიღრინე. მშობლები... თუ ჯესიკა ფიქრობს, რომ აქ მისი მშობლების ხელი ურევია, მას მართლა შეეძლო ამის მოგონება.

- ჯესიკას? შენი აზრით, ამას შეძლებდა? მას ხომ წესიერად ლაპარაკიც არ შეუძლია.

- კარგი, როზალინდას. მან უცნობის შესახებ ყველაფერი შეთხზა, რათა მშობლებისგან ყურადღება სხვაზე გადაეტანა, და ჯესიკაც დაარიგა. დემიენის მონათხრობი კი მხოლოდ დამთხვევაა. მაგრამ თუ ქალიშვილმა ეს ნაბიჯი გადადგა, მაშასადამე, გადაწყვიტა, რომ ამის აუცილებლობა არსებობდა... ესე იგი, მან ძალზე მნიშვნელოვანი რამ იცის. როზალინდამ... ან ჯესიკამ რაღაც დაინახეს, ან მოისმინეს.

- იმ სამშაბათს... - დაიწყო კესიმ და გაჩუმდა, მაგრამ თავში ერთი და იმავე აზრმა გაგვიელვა, ისეთმა საშინელმა, რომ თქმაც კი გვიჭირდა. იმ სამშაბათს ქეითის გვამი სადღაც უნდა ყოფილიყო დამალული.

- როზალინდასთან დალაპარაკებაა საჭირო, - ვთქვი მე და ხელი ყურმილისკენ წავიღე.

- არ ღირს ამის გაკეთება, რობ. ასე მხოლოდ დააფრთხობ. დაე, თვითონ მოვიდეს შენთან.

კესი არ ცდებოდა. ბავშვები შეიძლება გალახონ, გააუპატიურონ, დაამცირონ ათასგვარი, თუნდაც წარმოუდგენელი ხერხით, მაგრამ ისინი მაინც არ მოითხოვენ დახმარებას, რათა მშობლებს არ უღალატონ. თუ როზალინდა ხელს აფარებდა ჯონათანს ან მარგარეტს, სიმართლის სათქმელად ის საკუთარ თავს უნდა მორეოდა. ამას კი დრო სჭირდებოდა. ყურმილი დავდე.

მაგრამ როზალინდა არ მიკავშირდებოდა. ორი დღის შემდეგ ვეღარ მოვითმინე და მისი მობილურის ნომერი ავკრიფე - ქალაქის ტელეფონზე დარეკვა მრავალი ბუნდოვანი და საეჭვო მიზეზის გამო, შეუძლებლად მეჩვენებოდა. არ მიპასუხა. შეტყობინება დავუტოვე, მაგრამ არ დაურეკავს.

ნაცრისფერ და პირქუშ დღეს მე და კესი ნოკნარიში გავემგზავრეთ სევიჯებსა და ალისია როუენთან დასალაპარაკებლად. ორივენი ნაბახუსევი ვიყავით - მთელი წინა საღამო კარლთან გავატარეთ, ინტერნეტით პედოფილთა საუბრებს ვაკვირდებოდით - და გზაში ხმა თითქმის არ ამოგვიღია. კესი საჭესთან იჯდა, მე კი ვუყურებდი, როგორ ატრიალებდა ქარი ფოთლებს და სველ შუშაზე აკრობდა. ბოლომდე დარწმუნებულები არ ვიყავით, ღირდა თუ არა ჩანაფიქრის განხორციელება.

უკანასკნელ წამს, როდესაც კესიმ ჩვენს ქუჩაზე შეუხვია და მანქანა გზის პირას გააჩერა, პიტერის სახლში შესვლის შემეშინდა. არა იმიტომ, რომ უეცრად მოგონებების ტალღა დამატყდა თავს - პირიქით, ქუჩა ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, მაგრამ სწორედ ამან ამომაგდო კალაპოტიდან, თითქოს ნოკნარიმ მოახერხა, კვლავ მოულოდნელად შემომიტია და სახტად დამ-

ტოვა. ბავშვობაში პიტერის სახლში დიდ დროს ვატარებდი და გავიფიქრე, რომ შესაძლოა, ვერ მეცნო მისი მშობლები, ისინი კი აუცილებლად მიცნობდნენ. ფანჯრიდან ვუყურებდი, როგორ მიუახლოვდა კესი პიტერის სახლს. ვიღაცამ კარი გაუღო და შიგნით შეუშვა. სალონიდან გადმოვედი და ქუჩაზე დავეშვი საკუთარი სახლისკენ. მისი სრული მისამართი: "11, ნოკნარიუეი, ნოკნარი, დუბლინის საგრაფო" - დაზეპირებული ლექსივით ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში.

იგი იმაზე პატარა აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი: ერთი ციცქნა მდელო და არა უზარმაზარი გამწვანებული სივრცე, როგორც მახსოვდა. კედლები მხიარულ, ხასხასა ყვითლად შეეღებათ და ზედ თეთრი ზოლი გაევლოთ. წითელი და თეთრი ვარდის მაღალი ბუჩქებიდან უკანასკნელი ფურცლები ცვიოდა და ვიფიქრე, მამაჩემმა ხომ არ დარგო-მეთქი. ჩემი საძინებლის ფანჯრებს შევხედე და მაშინვე წარსულში გადავეშვი: დიახ, მე აქ ვცხოვრობდი. აი, ამ კარიდან გამოვრბოდი დილაობით ზურგზე ჩანთამოკიდებული, ფანჯრიდან პიტერსა და ჯემის ვეძახდი, ბაღში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, გზაზე ველოსიპედს დავატარებდი... მანამ, სანამ სამივენი კედელზე არ გადავძვერით და ტყის სიღრმეში გავუჩინარდით.

სახლთან მისასვლელ ხეივანში პატარა ვერცხლისფერი "ფოლკსვაგენ-პოლო" იდგა, მის გარშემო კი სამი-ოთხი წლის ქერათმიანი ბავშვი სათამაშო მანქანას დაატარებდა და სირენის ხმას ჰბაძავდა. როდესაც ჭიშკარს მივუახლოვდი, თავი ასწია და მკაცრად, სერიოზული სახით შემომხედა.

- გამარჯობა, - მივესალმე.

- წადი, - მომესმა მტკიცე და თავდაჯერებული პასუხი.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა, მაგრამ, საბედნიეროდ, სახლის კარი გაიღო და ბავშვის დედა, ოცდაათიოდე წლის ქალი, ისიც ქე-

რა და ტანადი, სწრაფად მიუახლოვდა მანქანას და ბავშვს ხელი მხარზე დაადო.

- რა მოხდა? - იკითხა მან.

- მე დეტექტივი რობერტ რაიანი ვარ, - ვუთხარი ქალს და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ვაჩვენე, - ქეითლინ დევლინის მკვლელობას ვიძიებთ.

მან საბუთი გამომართვა და ყურადღებით შეათვალიერა.

- მეეჭვება, თქვენი დახმარება შევძლო, - მითხრა ქალმა და მოწმობა დამიბრუნა, - აქ უკვე იყვნენ სხვა დეტექტივები. ჩვენ არავინ გვინახავს. დევლინებს კი, შეიძლება ითქვას, არც ვიცნობთ.

ბავშვმა მოიწყინა და თანდათან ახმაურდა, თან მანქანის საჭეს ატრიალებდა, მაგრამ ქალს მისთვის მხარში ხელი ჩაევლო. გაღებული კარიდან მუსიკის ხმა ისმოდა - ვივალდის[83] ჰგავდა - და ენის წვერზე შეკითხვა მომადგა: "რამდენიმე საკითხის დაზუსტება მინდა. შეიძლება, სახლში დავილაპარაკოთ?", მაგრამ თუ კესი სევიჯებიდან გამოვიდოდა და ვერ დამინახავდა, უთუოდ შეშფოთდებოდა.

- უბრალოდ, ყველაფერს კიდევ ერთხელ ვამოწმებთ, - ვთქვი მე, - გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ.

ქალმა თვალი გამომაყოლა. როდესაც მანქანაში ჩავჯექი, დავინახე, რომ ცალი ხელით ბავშვი აიყვანა, მეორე სათამაშოს ჩაავლო და სახლში შევიდა.

დიდხანს ვიჯექი, გზას გავყურებდი და ვფიქრობდი, ვითარებას გაცილებით უკეთ გავუმკლავდებოდი, წყეული წარსული რომ არა-მეთქი. ბოლოს პიტერის სახლის კარი გაიღო და ხმები მომესმა - ვიღაც კესის მოაცილებდა. თავი მივაბრუნე და ისეთი

---

[83] ანტონიო ვივალდი (1678-1741) - ვენეციელი მღვდელი, კომპოზიტორი და მევიოლინე.

სახე მივიღე, თითქოს სხვა მხარეს ვიყურებოდი, სანამ კარი არ გაჯახუნდა.

- ახალი არაფერია, - მითხრა კესიმ და მანქანაში შემოიხედა, - პიტერს არასდროს უთქვამს, რომ ვიღაცამ შეაშინა ან ატორღიალება სცადა. იგი საზრიანი ბიჭი იყო და უცნობ კაცს არსად გაჰყვებოდა, მაგრამ თავდაჯერებულობა ახასიათებდა, რამაც, შესაძლოა, უბედურებას გადაჰკიდა. მშობლებს ეჭვი არავისზე აქვთ, თუმცა შიშობენ, ქეითის მკვლელი ხომ არ არისო.

- გასაგებია, - ჩავილაპარაკე.

- როგორც ჩანს, ახლა არა უშავთ, - ამის კითხვა ვერ გავბედე, მაგრამ ძალიან მაინტერესებდა, რას იტყოდა, - საუბარმა მამას ხასიათი გაუფუჭა, დედას კი თავი ყოჩაღად ეჭირა. მათთან პიტერის და, ტარა ცხოვრობს. შენზე მკითხა.

- ჩემზე?

წამით კინაღამ პანიკამ მომიცვა.

- ჰო, დაინტერესდა, რამე ხომ არ ვიცოდით შენ შესახებ. ვუპასუხე, პოლიციამ მისი კვალი დაკარგა, მაგრამ როგორც ვიცით, კარგად უნდა იყოს-მეთქი, - კესიმ თვალი ჩამიკრა, - ეტყობა, მოსწონდი.

ტარა... ის ჩვენზე ერთი-ორი წლით უმცროსი იყო. წვეტიანი იდაყვები და გამჭრიახი მზერა ჰქონდა. იმ გოგოების რიცხვს მიეკუთვნებოდა, ყოველთვის რაღაცის გაგება რომ სურთ, შემდეგ კი დედას უყვებიან. მადლობა ღმერთს, არაფერი ვიცოდი.

- იქნებ ღირს, დაველაპარაკო? - ვიკითხე სიცილით, - სიმპათიურია?

- შენ რომ მოგეწონება ისეთია: ჯანიანი, თეძოგანიერი დედაკაცი. ქუჩაში მოძრაობის მარეგულირებლად მუშაობს.

- მართლა? რა კარგია, - ვთქვი და ვიგრძენი რომ ხასიათი გამომიკეთდა, - ვთხოვ, პირველ პაემანზე ფორმით მოვიდეს.

- მაშასადამე, დრო ტყუილუბრალოდ არ დამიკარგავს. კარგი, ახლა ალისია როუენი, - კესი გაიმართა და ბლოკნოტში ჩაიხედა მისამართის სანახავად, - შენ წახვალ?

პასუხი დავაყოვნე. როგორც მახსოვდა, ჯემისთან იშვიათად მივდიოდით. დროს, უმეტესწილად, პიტერთან ვატარებდით: მის სახლში ყოველთვის ხმაური და მხიარულება იდგა, დერეფნებში მრავალრიცხოვანი და-ძმები და შინაური ცხოველები დაქროდნენ, დედამისი ჯანჯაფილის საუცხოო ნამცხვარს აცხობდა, კრედიტით გამოტანილ ტელევიზორში მულტფილმებს ვუყურებდით.

- ჰო, - ვთქვი ბოლოს, - რატომაც არა?

კარი ალისია როუენმა გააღო. იგი ჯერაც ლამაზი ქალი იყო ფერმკრთალი სახითა და ძველი ყაიდის გარეგნობით: დახვეწილი ნაკვთებით, ჩაცვივნული ლოყებით, უწესრიგოდ გაფანტული ქერა კულულებითა და უძირო ცისფერი თვალებით. იგი იმ ყოფილ კინოვარსკვლავს ჰგავდა, წლები მეტ მომხიბვლელობას რომ მატებს. როდესაც ერთმანეთს წარვუდექით, თვალებში შიშისა და იმედის ნაპერწკალი გაუკრთა, მაგრამ მაშინვე ჩაუქრა ქეითლინ დევლინის სახელის ხსენებაზე.

- დიახ, - ამოიოხრა მან, - დიახ, რა თქმა უნდა... საბრალო გოგონა... მაშ, ისინი... ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შესაძლოა, უკავშირდებოდეს... შემოდით, გთხოვთ.

შესვლისთანავე ცხვირში სანდალოზისა და გვირილის ნაზავის სურნელი მეცა. მან წამსვე დაიპყრო ჩემი გონება და უამრავი მოგონება გააცოცხლა, რომლებიც მღვრიე წყალში მცურავ თევზებს უფრო ჰგავდა. უცნაური პური შიგ ჩაყოლებული მარცვლებით ჩაისთან მისართმევად; შიშველი ქალი კიბესთან ჩამოკიდებულ ნახატზე, რომლის დანახვაზეც ყოველთვის ვხითხითებდით და ერთმანეთს მუჯლუგუნს ვკრავდით; დახუჭობანა - ტანსაცმლის კარადაში ვზივარ, ხელები მუხლებზე შემომიჭვდია,

სახეზე კვამლივით მედება აბრეშუმის ქვედაკაბები, დერეფნიდან კი თვლა ისმის: "ორმოცდაცხრა, ორმოცდაათი!"

ალისია სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა (დივანზე - ხელით ნაქსოვი შარფები, ყავის მაგიდაზე - ნეფრიტის მოღიმარი ბუდა; საინტერესოა, როგორ იმოქმედა ალისიაზე 80-იანმა წლებმა). კესიმ ჩვენთვის დამახასიათებელი შესავალი სიტყვა წარმოთქვა. ბუხრის თავზე - ვერ გამიგია, ეს როგორ ვერ გავითვალისწინე - ჩარჩოში ჩასმული უშველებელი ფოტოსურათია: ჯემი ქვის კედელზე ზის და იცინის, მზე თვალებში უჭყიტინებს, მის ზურგს უკან მოშავო-მომწვანო ტყე მოჩანს. გვერდით უფრო მომცრო სურათებია. ერთზე სამი პატარა ფიგურა ერთმანეთს გადახვევია, სამივეს ქაღალდის გვირგვინით შემკული გვირგვინები ახურავს - ან დაბადების დღეა, ან შობა... "წვერი უნდა მომეშვა, - გავიფიქრე და დამფრთხალმა სურათებს ზურგი ვაქციე, - რატომ არ მომცა კესიმ დრო, რომ..."

- საქმის მასალებში, - დაიწყო კესიმ, - წერია, რომ პოლიციაში დარეკეთ და განაცხადეთ, ჩემი ქალიშვილი მეგობრებთან ერთად სახლიდან გაიქცაო. რატომ გადაწყვიტეთ, რომ გაიქცნენ? ხომ შეიძლებოდა, გზა აბნეოდათ ან რამე შემთხვეოდათ?

- იმიტომ, რომ... საქმე ისაა... - ალისია როუენმა ნერვიულად გადაისვა ხელი თმაზე. გრძელი, წვრილი თითები გამჭვირვალეს მიუგავდა, - ჯემი ინტერნატში უნდა გამეგზავნა, მას კი წასვლა არ უნდოდა. ვიცი, რომ ძალზე ეგოისტურად ჟღერს, - შესაძლოა, ვიყავი კიდეც ეგოისტი, - მაგრამ ამის მიზეზი მქონდა.

- მისის როუენ, - რბილად მიმართა კესიმ, - აქ თქვენს განსასჯელად არ მოვსულვართ.

- დიახ, დიახ, ვიცი, რა თქმა უნდა, ოღონდ ძნელია, საკუთარი თავი არ განსაჯო, არა? მე თქვენ... ვფიქრობ, საკმარისად იცით, რათა ყველაფერს მიხვდეთ.

- ჩვენ თქვენი მოსმენა გვინდოდა. ნებისმიერი წვრილმანი გვაინტერესებს, რის გახსენებასაც შეძლებთ.

ალისიამ თავი დაგვიქნია, ოღონდ თითქოს უიმედოდ. ალბათ, ამ წლების განმავლობაში არაერთხელ მოესმინა მსგავსი სიტყვები.

- დიახ.

მან ღრმად ამოისუნთქა და თვალები ისე დახუჭა, თითქოს ასამდე ითვლიდა.

- კარგი, - თქვა მან, - როდესაც ჯემი დაიბადა, ჩვიდმეტი წლის ვიყავი. მამამისი ჩემს მშობლებთან მეგობრობდა, დიდი ხნის დაქორწინებულიც იყო, მაგრამ გაგიჟებით შემიყვარდა. ძალიან რთული და სარისკო ნაბიჯი გადავდგი - რომანი ცოლიან კაცთან, სასტუმროს ნომერში შეხვედრა, სიცრუე ყოველ ფეხის ნაბიჯზე... უნდა გითხრათ, რომ ქორწინების საერთოდ არა მწამს, ვფიქრობ, ეს ჩაგვრის არქაული ხერხია.

ჯემის მამა. იგი საქმეშიც ფიგურირებდა, - ჯორჯ ო ' დონოვანი, დუბლინელი ადვოკატი, - მაგრამ ქალი ოცდაათი წლის შემდეგაც ცდილობდა მის დაცვას.

- შემდეგ მიხვდით, რომ დაფეხმძიმდით, - ჩაურთო კესიმ.

- დიახ. მას შეეშინდა. როდესაც ეს ჩემმა მშობლებმა შეიტყვეს, მასზე მეტად შეშინდნენ. გამომიცხადეს, ბავშვი უნდა გააშვილოო, მაგრამ არ დავთანხმდი. ვთქვი, რომ შვილს დავიტოვებდი და თვითონ აღვზრდიდი. როგორც ჩანს, ქალთა უფლებებზე ბევრს ვფიქრობდი - ამაში მამაკაცთა ძალადობასთან ბრძოლის შესაძლებლობას ვხედავდი. მაშინ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი. მას გაუმართლა. 1972 წელს ირლანდიაში ქალებს

უფრო ნაკლები ცოდვისთვისაც კი სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ ან "მაგდალენას სამრეცხაოებში"[84] ამწყვდევდნენ.

- ძალიან გაბედულად მოიქეცით, - თქვა კესიმ.

- გმადლობთ, დეტექტივო. მაშინ მართლა მამაც გოგოდ მთვლიდნენ, მაგრამ ახლა საკუთარ თავს ვეკითხები: სწორად მოვიქეცი თუ არა? ჯემის გაშვილების უფლება რომ მიმეცა...

- დაგთანხმდნენ? - ჰკითხა კესიმ, - თქვენს ოჯახსა და ჯემის მამას ვგულისხმობ.

ალისიამ ამოიოხრა.

- არა. ბოლოს მითხრეს, რომ შემეძლო, ბავშვი დამეტოვებინა, თუ მათგან თავს შორს დავიჭერდი. მათი აზრით, მე ოჯახი შევარცხვინე, ჯემის მამას კი, ცხადია, არ სურდა, ცოლს ყველაფერი გაეგო. მშობლებმა ეს სახლი მიყიდეს, მშვენიერი, ოღონდ ქალაქიდან შორს - წარმოშობით დუბლინიდან ვარ, ჰოუსის რაიონიდან, - შიგადაშიგ ფულსაც მიგზავნიდნენ. ჯემის მამას ხშირად ვწერდი წერილს, ვუყვებოდი, როგორ იზრდებოდა გოგონა, სურათებსაც ვუგზავნიდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ცდუნებას ვერ გაუძლებდა და მის ნახვას მოინდომებდა. არ ვიცი, ოდესმე შესაძლოა, ასეც მომხდარიყო.

- როდის გადაწყვიტეთ ქალიშვილის ინტერნატში გაგზავნა?

ალისიამ თითები თმაში შეიყო.

- მე... ოჰ, ჩემო კარგო, არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი.

ჩვენ ველოდებოდით.

- მაშინ ოცდაათი წელი შემისრულდა, - ჩაილაპარაკა ალისიამ, - უეცრად მივხვდი, რომ საკუთარი ცხოვრება არ მომწონდა. სანამ ჯემი სკოლაში იყო, კაფეში ოფიციანტად ვმუშაობდი, მაგრამ ძალზე მცირე თანხას ვიღებდი, გზის ხარჯის გათვალისწინე-

---

[84] მაგდალენას სამრეცხაოები - წმინდა მაგდალენას ორდენის კუთვნილი გამოსასწორებელი დაწესებულებები "ზნედაცემული ქალებისთვის".

ბით. განათლების გარეშე სხვა სამუშაოს ვერ ვიშოვიდი... გავაცნობიერე, რომ სიცოცხლის ბოლომდე ასე ცხოვრება არ მინდოდა. რაღაც უკეთესზე ვოცნებობდი. ჩემთვისაც და ჯემისთვისაც. ღმერთო ჩემო, ხშირად ბავშვივით ვიქცეოდი. გაზრდის შესაძლებლობა არ მომეცა.

- და ამიტომ საკუთარი თავისთვის მეტი დრო გჭირდებოდათ, - დაასკვნა კესიმ.

- დიახ, სწორედ ასე იყო, - მან მადლიერებით მოუჭირა ხელი კესის, - კარიერაზე ვოცნებობდი, რათა მშობლებზე დამოკიდებული აღარ ვყოფილიყავი. ყველაფერი კარგად უნდა ამეწონ--დამეწონა. ბოლოს მივხვდი, რომ რისამე კურსებზე უნდა მევლო, მაგრამ ჯემის მარტო ვერ დავტოვებდი... ქმარი რომ მყოლოდა, ოჯახი... ცხადია, მეგობრები მყავდა, მაგრამ იმის იმედად ყოფნა, რომ ისინი...

- გონივრულია, - მშვიდად დაეთანხმა კესი და თავი დაუქნია, - მაშასადამე, ამის შესახებ ჯემის უთხარით...

- დიახ, პირველ მაისს, როგორც კი გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ მას უცნაური რეაქცია ჰქონდა. ვცდილობდი, ყველაფერი ამეხსნა, დუბლინშიც კი ჩავიყვანე და სკოლა ვაჩვენე, თუმცა ჯემი ლამის გაშმაგდა. ყვიროდა, რომ იქ სულელი გოგოები სწავლობდნენ, რომლებიც მხოლოდ ტანსაცმელსა და ბიჭებზე ლაპარაკობდნენ. თვითონ ჯემი ნამდვილი ყაჩაღანა იყო - სახლში ვერ შემოიყვანდი. ან ქუჩაში თამაშობდა, ან ტყეში. აზრი, რომ ქალაქის სკოლაში ყოფნა მოუწევდა, სადაც იგივე უნდა ეკეთებინა, რაც სხვებს, საშინლად აღიზიანებდა. არც თავის საუკეთესო მეგობრებთან დაშორება უნდოდა - ადამსა და პიტერთან, რომლებიც მასთან ერთად დაიკარგნენ.

თავი ძლივს შევიკავე, რომ სახე ბლოკნოტით არ დამემალა.

- და წაიჩხუბეთ.

- რბილად რომ ვთქვათ. თუმცა ეს ალყას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძოლას. ჯემი, პიტერი და ადამი ლამის აჯანყდნენ: უფროსებს ბოიკოტი გამოუცხადეს - მშობლებთან ურთიერთობა გაწყვიტეს, მათ მხარეს აღარც იყურებოდნენ, კლასში ხმას არ იღებდნენ, ჯემის რვეულებზე კი წარწერა გაჩნდა - "ნუ გამგზავნით".

დიახ, ეს მართლა აჯანყება იყო. დიდი წითელი ასოები ქაღალდის ყოველ ნაგლეჯზე: "დატოვეთ ჯემი". დედა ცდილობდა, ჭკუაზე მოვეყვანე, მე კი დივანზე ფეხმორთხმული ვიჯექი, ფრჩხილებს ვიკვნეტდი და საკუთარი სიმამაცისგან გული სიამაყით მევსებოდა. შინაგანი ხმა მეუბნებოდა: "ჩვენ მოვიგებთ, აუცილებლად მოვიგებთ". ამას ემატებოდა გამარჯვების შეძახილები ციხესიმაგრის კედლებზე, "კოკა-კოლას" მაღლა აწეული ქილები ტრიუმფალური სადღეგრძელოებით...

- მაგრამ გადაწყვეტილება არ შეცვალეთ, - თქვა კესიმ.

- ასე არ ვიტყოდი. ამ ყველაფერმა საშინლად დამღალა. ნერვები დაწყვეტაზე მქონდა - დასახლებაში ყველა ამაზე ლაპარაკობდა, ჯემი კი ისე იქცეოდა, თითქოს ობოლთა თავშესაფარში ან უფრო უარეს ადგილას გზავნიდნენ... ერთი სიტყვით, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ვუთხარი, კარგი, დავფიქრდები-- მეთქი. დავარწმუნე ბავშვები, არ ენერვიულათ, რომ რამეს მოვიფიქრებდი. პროტესტი შეწყდა. მე უკვე მართლა ვფიქრობდი, რომ ეს ერთი წლით გადამედო, მაგრამ ამ დროს მშობლებმა შემომთავაზეს, რომ ინტერნატში სწავლების საფასურს გადაიხდიდნენ. ეჭვი მეპარებოდა, რომ ეს სურვილი მომდევნო წლამდე არ გაუნელდებოდათ. ალბათ, ფიქრობთ, რომ საშინელი დედა ვარ, მაგრამ მე მართლა მინდოდა...

- არა, - შეეპასუხა კესი, მე კი თავი გადავაქნიე, - მაშასადამე, როდესაც ჯემის შეატყობინეთ, რომ მაინც მოუწევდა წასვლა...

- ოჰ, ჩემო კარგო... მან... - ალისიამ ხელი ხელს მოუჭირა, - ამან კინაღამ ბოლო მოუღო. მიყვირა, მომატყუეო, მაგრამ ეს

ხომ ასე არ იყო... შემდეგ სახლიდან ტყვიასავით გავარდა და მეგობრებთან გაიქცა. გავიფიქრე: "ღმერთო ჩემო, ახლა კვლავ დადუმდებიან, თუმცა მხოლოდ ორი კვირაღა დარჩა" - მე ხომ ბოლომდე ვწელავდი დროს, რათა ზაფხული ნორმალურად გაეტარებინა. როდესაც შინ აღარ დაბრუნდა, ვიფიქრე...

- რომ სახლიდან გაიქცა, - მშვიდად ჩაილაპარაკა კესიმ. ალისიამ თავი დაუქნია, - ახლა ხომ არ ფიქრობთ, რომ, შესაძლოა, მართლა ასე მოხდა?

- არა. არ ვიცი... მას ყულაბა ჰქონდა და იქიდან ფულს ამოიღებდა, არ მეთანხმებით? ადამსაც მიაგნეს ტყეში. სახლიდან რომ გაქცეულიყო, ამ ხნის განმავლობაში აუცილებლად...

ალისია მკვეთრად შეტრიალდა და სახეზე ხელები აიფარა.

- როდესაც მიხვდით, რომ არ გაქცეულა, - განაგრძო კესიმ, - რა აზრი მოგივიდათ თავში ყველაზე ადრე?

ალისიამ ღრმად ამოიოხრა, თითები ერთმანეთს გადააჭდო და ხელები მუხლებზე დაიწყო.

- ვიფიქრე, შესაძლოა, მამამისმა... ანუ ვიმედოვნებდი... რომ მან წაიყვანა. მას და მის ცოლს შვილები არ ჰყავდათ და მეგონა... მაგრამ დეტექტივებმა ყველაფერი შეამოწმეს და ეს ვერსია გამორიცხეს.

- სხვა სიტყვებით, - განაცხადა კესიმ, - საფუძველი არ გქონდათ, გევარაუდათ, რომ ვინმეს მისთვის ცუდი სურდა. იმ დღეებში ხომ არავის შეუშინებია, ხომ არაფერს შეუშფოთებია?

- არა. თუმცა ამ უბედურებამდე ორი კვირით ადრე შინ გაღიზიანებული დაბრუნდა და მთელი საღამო ჩუმად იჯდა. ვკითხე, რამე ხომ არ მოხდა, ვინმემ ხომ არ გაწყენინა-მეთქი, მაგრამ არაო, მიპასუხა.

ჩემს მეხსიერებაში რაღაც ჩრდილმა გაირბინა, - შინ ადრე დაბრუნდა, "არა, დედიკო, ყველაფერი კარგადაა", - მაგრამ ხელის ჩავლება ვერ მოვასწარი.

- ამის შესახებ დეტექტივებს ვუამბე, მაგრამ ამ ინფორმაციას რაში გამოიყენებდნენ? მით უმეტეს, რომ ამის მიზეზი, შესაძლოა, უბრალო წვრილმანი ყოფილიყო. ვთქვათ, ბიჭებს წაეჩხუბა. როცა რამე სერიოზული ხდება, მაშინვე იგრძნობა, მაგრამ ჯემის გულჩათხრობილობა ახასიათებდა და მის სულიერ სამყაროში შეღწევა ძალიან ჭირდა. ვერასდროს მიხვდებოდით, რა უტრიალებდა თავში.

კესიმ თავი დაუქნია და უთხრა:

- თორმეტი წელი რთული ასაკია.

- სწორედ ესაა მიზეზი: ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ქალიშვილი წამომეზარდა, მაგრამ ჯემი, პიტერი და ადამი... პატარაობიდანვე სულ ერთად იყვნენ, უერთმანეთოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინათ.

საშინლად გავშმაგდი. "ჯანდაბას ეს ყველაფერი! - გავიფიქრე ჩემთვის, - ახლა აქ არ უნდა ვიყო". ფეხშიშველი უნდა ვმჯდარიყავი ჩვენი ქუჩის ბოლოში მდებარე ბაღში, ხელში რამე სასმლით სავსე ჭიქა მჭეროდა და პიტერსა და ჯემისთან ერთად ახალი ამბების შესახებ მემსჯელა. ადრე ეს აზრი თავში არასდროს მომსვლია, ახლა კი კინაღამ ძირს დამცა: იმის გაცნობიერებამ, თუ რა წაგვართვეს. საღამოობით გაკვეთილებს ერთად მოვამზადებდით, გამოცდებისთვის მოვემზადებოდით, მე და პიტერი ვიკამათებდით, რომელ ჩვენგანს მიეწვია ჯემი გამოსაშვებ საღამოზე და რომელს ეთქვა მისთვის ქათინაური კაბის გამო. სტუდენტური წვეულებების შემდეგ გამხიარულებულები სიცილი--სიცილით, მღერა-მღერით, რწევა-რწევით, ხელიხელგადახვეულები შინ დავბრუნდებოდით. ერთ ბინას ვიქირავებდით, არდადეგებზე კონტინენტზე გავემგზავრებოდით, ერთად გავივლიდით მოწიფულობის, უფულობის, მოდის ჭირვეულობისა თუ სასიყვარულო დრამების ყველა ეტაპს. ორი ჩვენგანი, შესაძლოა, უკვე დაქორწინებული, მესამე კი ნათლია ყოფილიყო. მე გამ-

ძარცვეს, ყველაფერი წამართვეს. თავი ბლოკნოტზე დავხარე, რათა ალისია როუენსა და კესის ჩემი სახის გამომეტყველება არ დაენახათ.

- მის საძინებელში ხელი არაფრისთვის მიხლია, - ამოიოხრა ალისიამ, - ვინაიდან, თუ... მესმის, რომ სისულელეა, დიდი სისულელე, მაგრამ... თუ დაბრუნდება... ხომ არ შეხედავდით? იქნებ იქ ისეთი რამ არის, რაც სხვა დეტექტივებს გამორჩათ?

თავში რაღაცამ გამიელვა და საძინებელი გაანათა: თეთრი კედლები, მათზე მიმაგრებული პოსტერები ცხენების გამოსახულებით, ნიავისგან აფრიალებული ფარდები, საწოლის თავზე ჩამოკიდებული ავგაროზი კარგი სიზმრების მოსახმობად...

- მანქანაში დაგელოდები, - ვუთხარი კესის. მან სწრაფად გამომხედა, - მიზ როუენ, გმადლობთ, რომ დრო დაგვითმეთ.

სალონში თავი საჭისკენ დავხარე და ასე ვიჯექი, სანამ დანისლული თვალები არ დამეწმინდა. ჯემის საძინებელს ავხედე და წამით გული ამიძგერდა, როდესაც ოთახი ყვითლად განათდა და ფარდებს შორის ქერა თავი გამოჩნდა, მაგრამ ეს ალისია როუენი იყო, რომელმაც ფანჯრის რაფაზე ყვავილებიანი ვაზა დადგა, რათა ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები დაეჭირა.

- უცნაური საძინებელია, - თქვა კესიმ, როდესაც ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული გზით ქალაქიდან გავდიოდით, - პიჟამა საწოლზე, ძველი წიგნი იატაკზე. თუმცა განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია. ბუხრის თავზე შემოდებულ ფოტოსურათზე შენ ჩანდი?

- შესაძლოა, - ჩავიბურტყუნე უხალისოდ.

თავს ჯერაც ცუდად ვგრძნობდი და ყველაზე ნაკლებად ალისია როუენის სახლის ინტერიერის დეტალების განხილვა მსურდა.

- მან თქვა, რომ ერთხელ ჯემი შინ გაღიზიანებული მოვიდა. ხომ არ გახსოვს, რატომ?

- კესი, - ვთქვი აღელვებით, - ჩვენ უკვე ყველაფერზე ვიმსჯელეთ. თავიდან დავიწყოთ? არაფერი მახსოვს, არაფერი, აბსოლუტურად არაფერი. ჩემთვის ცხოვრება იმ დღიდან იწყება, როდესაც თორმეტ-ნახევარი წლისა ბორნით ინგლისში მივცურავდი.

- ღმერთო ჩემო, რაიან... მე მხოლოდ გკითხე.

- ჰოდა, ახლა პასუხიც იცი, - მივუგე და სისწრაფეს მოვუმატე.

კესიმ მხრები აიჩეჩა და რადიოს ხმა აუწია.

რამდენიმე მილის გავლის შემდეგ საჭიდან ხელი ავიღე და კესის თმა მოვუჩეჩე.

- მომშორდი, პენისისსახიანო, - უბოროტოდ მითხრა მან.

შვებით გავიღიმე და კულული მოვქაჩე. ხელი გამაწევინა.

- მომისმინე, კეს, - ვთქვი მე, - რაღაც უნდა გკითხო.

მან დაეჭვებით შემომხედა.

- შენი აზრით, ამ ორ შემთხვევას შორის კავშირი თუ არსებობს? წარმოიდგინე, რომ ან "ჰო" უნდა უპასუხო, ან "არა".

კესი კარგა ხნით ჩაფიქრდა, ფანჯრიდან ხეებს და ნაცრისფერ ცაზე სწრაფად მცურავ ღრუბლებს გაჰყურებდა.

- არ ვიცი, რობ, - მითხრა, როგორც იქნა, - ბევრი რამ არ ემთხვევა. აქ ქეითი განზრახ დატოვეს გამოსაჩენ ადგილას, რათა მისთვის მიეგნოთ, იქ კი... ფსიქოლოგიურად ეს დიდი განსხვავებაა. თუმცა, შესაძლოა, დამნაშავეს ის, პირველი შემთხვევა, არ ასვენებდა და გადაწყვიტა, რომ ჯობდა, გვამი მსხვერპლის ნათესავებისთვის დაებრუნებინა. ისე, სემი მართალია: არის იმის ალბათობა, რომ ერთ პატარა ქალაქში ბავშვების ორი მკვლელი ცხოვრობდეს? ჩემთვის რომ ფსონის დადება შეეთავაზებინათ...

მუხრუჭის სატერფულს ფეხი მკვეთრად დავაჭირე. ორივემ შევყვირეთ. მანქანის წინ, გზაზე, რაღაც გაშპა - მუქი და დაბა-

ლი, შესაძლოა, კვერნა ან ყარყუმი - და მეორე მხარეს გაუჩინარდა.

გვარიანად შეგვაჯანჯღარა - როგორც ჩანს, ვიწრო გზაზე დიდი სისწრაფით მივდიოდი. კესის უსაფრთხოების ღვედი არასდროს ავიწყდება (ფიქრობს, მის მშობლებს რომ ჰკეთებოდათ, გადარჩებოდნენ), ამიტომ ორივეს გვეკეთა. მანქანა გზაზე მოცურდა და კინაღამ თხრილში გადავარდა. მე და კესი გავშეშდით, ამასობაში კი რადიოში რომელიღაც ხმაურიანი ჯგუფი გაუთავებლად იმეორებდა მხიარულ და უაზრო მისამღერს.

- რობ... - წამჩურჩულა კესიმ წუთის შემდეგ, - კარგად ხარ?

საჭეს ისე მაგრად ჩავჭიდებოდი, რომ ხელები ძლივს გავუშვი.

- ეს რა იყო, დალახვროს ეშმაკმა?

- რას გულისხმობ? - მკითხა კესიმ და ფართოდ გახელილი თვალებით შემომხედა.

- ცხოველს.

კესის მზერაში რაღაც ახალი ამოვიკითხე და ამან კინაღამ იმ უცნობ ქმნილებაზე მეტად შემაშინა.

- რომელ ცხოველს? მე არაფერი დამინახავს.

- პირდაპირ გზაზე გამოვარდა. უბრალოდ, ვერ შეამჩნიე.

- ჰო, ალბათ, - თქვა მან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, - ასე იქნებოდა. მელია ხომ არ იყო?

სემმა ძალიან მალე მიაგნო საჭირო ჟურნალისტს - მაიკლ კილის, ნახევარ განაკვეთზე მომუშავე სამოცდაორი წლის პენსიონერს. კარიერის პიკისთვის 80-იან წლებში მიეღწია, როდესაც აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთ მინისტრს საკუთარი ნათესავები პირად კონსულტანტებად გაეფორმებინა და ხელფასს უხდიდა. მას შემდეგ ასეთ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე არასდროს ასულა. 2000 წელს გზატკეცილის მშენებლობის გეგმა გამოაქვეყნეს და მან საკმაოდ გესლიანი სტატია დაწერა, რომელშიც ვი-

თარება ისე წარმოაჩინა, თითქოს გზა უკვე გაეყვანათ და ირლანდიაში არსებული სამშენებლო კომპანიები მთავრობას მხურვალე მადლობას უხდიდნენ. ამას პასუხად გარემოს დაცვის მინისტრის გრძელი წერილი მოჰყვა, რომელშიც იგი განმარტავდა, რომ გზატკეცილი ყველა მოქალაქეს გააბედნიერებდა. ყველაფერი ამით დასრულდა.

სემი რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა კილის დაყოლიებას, თუმცა როდესაც პირველად უხსენა ნოკნარი, ჟურნალისტმა შესძახა: "თქვენ მე იდიოტი ხომ არ გგონივართ?" და ყურმილი დაკიდა. შემდგომში მაინც დაეთანხმა, ოღონდ ქალაქში შეხვედრაზე კატეგორიული უარი განაცხადა და სემს ფენიქსპარკის ბოლოში მდებარე რომელიღაც მივარდნილ პაბში მისვლა აიძულა: "იქ უფრო უსაფრთხო იქნება, ჭაბუკო, გაცილებით უსაფრთხო".

კილის დიდრონი ცხვირი და უკან ოსტატურად გადავარცხნილი თმა ჰქონდა. "პოეტს ჰგავდა", - სიცილით გვითხრა სემმა იმ საღამოს ვახშმობისას.

სემი მას კონიაკითა და ლიქიორ "ბეილისით" გაუმასპინძლდა ("ღმერთო დიდებულო", - ჩავილაპარაკე ამის გაგონებაზე და ლუკმა ძლივს გადავყლაპე. "ო-ო-ო", - თქვა კესიმ და გამომწვევად გახედა თაროზე ჩამწკრივებულ სასმელს) და გზატკეცილის შესახებ საუბარი დააპირა, მაგრამ კილიმ შუბლი შეიჭმუხნა და ხელი აიქნია:

- ჩუმად, ძმობილო, ხმადაბლა... ცხადია, იქ ყველაფერი სუფთად არაა. გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ ვიღაცამ ჩემი სტატია ჯერ კიდევ მშენებლობის დაწყებამდე გამოითხოვა უკან. განაცხადეს, ეს უკანონობაა, მტკიცებულება არ არსებობსო... სისულელეა. ბოდვა. ანგარება, მეტი არაფერი. მთავარი ეს პატარა ქალაქია, მეგობარო. ის წარსულშია ჩარჩენილი.

მეორე ჭიქის შემდეგ ჟურნალისტი მოდუნდა და ჩაფიქრდა.

- როგორც ჩანს, - უთხრა მან სემს, თან მაგიდაზე გადაიხარა და აღელვებით დაიწყო ჟესტიკულირება, - ეს თავიდანვე წარუმატებელი არჩევანი იყო. ბევრს ლაპარაკობდნენ მშენებლობაზე, ქალაქის ახალ ცენტრზე, მოგვიანებით კი, სახლები გაიყიდა თუ არა, ყველაფერი მიჩუმდა. თქვეს, რომ ბიუჯეტს ფული არ ჰყოფნისო. თითქოს ეს იმიტომ მოაწყვეს, რომ მივარდნილ ქალაქში უძრავი ქონების ფასი მაღლა მკვეთრად აეგდოთ. არა, ცხადია, არაფერს ვამტკიცებ. მე ხომ მტკიცებულება არა მაქვს, - მან ჭიქა დაცალა და სევდიანად მიაჩერდა, - ამ ადგილას რაღაც ყოველთვის არ იყო რიგზე. იცით, რომ აქ სამშენებლო ტრავმებისა და უბედური შემთხვევების რაოდენობა სამჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს? ნუთუ არასოდეს მოგსვლიათ აზრი, რომ რომელიღაც უბრალო ადგილს ამხელა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია?

- რაც უნდა თქვან ნოკნარიზე, - ვთქვი წარბშეკვრით, - ქეით დევლინის თავზე პოლიეთილენის პარკი მე არ ჩამომიცვამს.

კიდევ კარგი, კილთან ურთიერთობა სემს ჰქონდა და არა მე. როგორც წესი, აბსურდის ეს სახეობა გვარიანად მართობს ხოლმე, მაგრამ ბოლო კვირის განმავლობაში გაღიზიანებული ვიყავი და შესაძლოა, კილისთვის მუცელში ფეხიც კი ჩამეცხო.

- შენ რა უთხარი? - ჰკითხა კესიმ სემს.

- რა თქმა უნდა-მეთქი, - მიუგო მან და მშვიდად სცადა ჩანგალზე ფეტუჩინის[85] წამოცმა. მეც იმავეს ვუპასუხებდი, რომ ეკითხა, გჯერა თუ არა, რომ ჩვენს ქვეყანას მწვანე კაცუნები მართავენო.

მესამე ჭიქა - სემი უკვე ფიქრობდა, მოხსენებით ბარათში ამ ხარჯისთვის რომელი მუხლი მიესადაგებინა - კილიმ უსიტყვოდ

---

[85] ფეტუჩინი - იტალიური მაკარონისგან მომზადებული კერძი.

დაცალა და თავი ჩაქინდრა. შემდეგ პალტო ჩაიცვა, სემს ხელი მხურვალედ ჩამოართვა და ჩაილაპარაკა:

- არ შეხედოთ, სანამ უსაფრთხო ადგილას არ იქნებით.

მან სემს ხელში დაჭმუჭნილი ქაღალდის ნაგლეჯი ჩაუდო და პაბიდან გავიდა.

- საბრალო, - თქვა სემმა და საფულე მოჩხრიკა, - როგორც ჩანს, გაუხარდა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოინდომა ვიღაცამ მისი მოსმენა. თუმცა ისეთი სახე ჰქონდა, ამის შესახებ მთელი ქუჩის გასაგონად რომ ეყვირა, მაინც არავინ დაუჯერებდა.

მან საფულედან პატარა, ვერცხლისფერი ნივთი ამოიღო, ფრთხი ლად მოუჭირა ცერი და საჩვენებელი თითი და კესის გაუწოდა. ჩანგალი გადავდე და მის მხარზემოდან გადავიხედე.

ეს მჭიდროდ დახვეული ფოლგის ნაგლეჯი იყო - ასეთს, ჩვეულებრივ, სიგარეტის შესაფუთავად იყენებენ. კესიმ გაშალა. შიგა მხარეზე ფლომასტერით ეწერა: "დაინემო" - ქენეთ მაკკლინტოკი, "ფუტურა" - ტერენს ენდრიუსი, "გლოუბალი" - ჯეფრი ბარნსი და კონორ როში.

- დარწმუნებული თუ ხარ, რომ მისი ნდობა შეიძლება? - ვკითხე მე.

- კილი დარტყმულია, - მითხრა სემმა, - მაგრამ კარგი ჟურნალისტია. ყოველ შემთხვევაში, იყო მაინც. გადაუმოწმებელ ინფორმაციას არ მომაწვდიდა.

კესიმ ფოლგას თითი გადაუსვა.

- თუ მონაცემები დადასტურდება, - თქვა მან, - ეს ჩვენი საუკეთესო ხელჩასაჭიდი იქნება. ბრწყინვალე ნამუშევარია, სემ.

- კილი მანქანაში ჩაჯდა, - შეწუხებული სახით ჩაილაპარაკა სემმა, - არ ვიცოდი, შეიძლებოდა თუ არა, დალევის შემდეგ მისთვის საჭესთან დაჯდომის უფლება მიმეცა, მაგრამ... ის, ალბათ,

კიდევ დამჭირდება. მასთან კავშირი არ უნდა დავკარგოთ. ხომ არ ჯობია, დავურეკოთ და გავიგოთ, სახლამდე როგორ მივიდა?

მომდევნო დღეს, პარასკევს, გამოძიების დაწყებიდან ორ-ნახევარი კვირა შესრულდა და ო ' კელიმ დილიდანვე გამოგვიძახა. გარეთ სიცივე ლოყებსა და ცხვირზე იკბინებოდა, მაგრამ ჩვენს შტაბში დიდი ფანჯრებიდან შემოსული მზე ჰაერს ისე ათბობდა, თითქოს ზაფხული იდგა. სემი კუთხეში იდგა და რაღაცას წერდა სატელეფონო ზარებს შორის პაუზის დროს. კესი კომპიუტერში რომელიღაც კომპრომატს ეძებდა. მე და ორი თანამშრომელი ყავას ვსვამდით. ოთახი სკოლის კლასივით თანაბრად, ყრუდ გუგუნებდა. ო ' კელიმ თავი შემოყო, პირში ორი თითი ჩაიდო და გამაყრუებლად დაუსტვინა. როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, თქვა:

- რაიან, მედოქს, ო ' ნილ, - და კარი გაიჯახუნა.

ორი დღე იყო, მის მოწვევას ველოდებოდით. ყოველ შემთხვევაში, მე. ეს სცენა გუნებაში ბევრჯერ გამითამაშებია გზაში, სააბაზანოსა და ძილშიც კი, რის შემდეგაც ვიღვიძებდი და რაღაცას ვბურტყუნებდი.

- გაინასკვე, - ვუთხარი სემს. როდესაც გატაცებით მუშაობდა, ჰალსტუხის კვანძი ეხსნებოდა და ყურისკენ მიიწევდა.

კესიმ სწრაფად დალია ყავა და თქვა:

- აბა, წავედით.

თანამშრომლები თავ-თავიანთ საქმეებს დაუბრუნდნენ, მაგრამ ვიგრძენით, როგორ გამოგვაყოლეს თვალი, როდესაც ოთახიდან გავედით და დერეფანს გავუყევით.

- შესანიშნავია, - ჩაილაპარაკა ო ' კელიმ, როგორც კი მის კაბინეტში შევედით. იგი მაგიდასთან იჯდა და ხელში უფროსებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ სულელურ ვერცხლისფერ სამშვენისს ატრიალებდა, რომელიც მოდური 80-იანი წლების ბოლოს

იყო, - როგორ მიმდინარეობს ოპერაცია... აღარ მახსოვს, რას უწოდებთ.

სემი, კესი და მე ვიდექით და ისე ვუსმენდით. დაწვრილებით მოვახსენეთ უფროსს ყველაფერი, რაც ქეით დევლინის მკვლელის საპოვნელად გაკეთდა, აგრეთვე მიზეზები, რომელთა გამოც ეს ვერ მოვახერხეთ. სულმოუთქმელად ვლაპარაკობდით, ერთმანეთს ვაწყვეტინებდით და ო ' კელის ისეთი დეტალებით ვტვირთავდით, რომლებიც მან ისედაც მშვენივრად იცოდა. ვგრძნობდით, რაც მოხდებოდა და უნებურად დროის გაწელვას ვცდილობდით.

- როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად გაქვთ ორგანიზებული, - გვითხრა ო ' კელიმ, როდესაც სული მოვითქვით, და თავი დაგვიქნია. იგი ხელში კვლავ იმ საშინელ ნივთს ათამაშებდა - ტკაც, ტკაც, ტკაც... - მთავარი ეჭვმიტანილი თუ გყავთ?

- ჩვენ მშობლების ვერსიისკენ უფრო ვიხრებით, - ვთქვი მე, - ერთ-ერთი ან ორივე.

- მაშასადამე, კონკრეტული არაფერი გაქვთ.

- გამოძიება მიმდინარეობს, სერ, - განაცხადა კესიმ.

- მე ოთხი პირი მყავს ჩანიშნული, რომლებიც, შესაძლოა, ტელეფონით ემუქრებოდნენ, - დაამატა სემმა.

ო ' კელიმ თავი ასწია.

- წავიკითხე შენი ანგარიში. სიფრთხილე გმართებს.

- დიახ, სერ.

- შესანიშნავია, - თქვა ო ' კელიმ და სათამაშო გვერდზე გადადო, - განაგრძეთ მუშაობა. ამისთვის ოცდათხუთმეტი დამხმარე არ გჭირდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ველოდი ამ სიტყვებს, ისინი მაინც მეხივით დამეცა თავზე. დამხმარეები ყოველთვის ნერვებს მიშლიდნენ, მაგრამ ვიცოდი, საით მიჰყავდა უფროსს ყველაფერი: ეს პირველი ნაბიჯი იყო უკან დასახევად. რამდენიმე კვირის შემ-

დეგ ო ’ კელი მუშაობის ჩვეულ რიტმში დაგვაბრუნებდა, ახალ საქმეებს მოგვცემდა, ოპერაცია "ვესტალი" კი დანამატად გადაიქცეოდა, რომელსაც მხოლოდ თავისუფალ დროს თუ მოვკიდებდით ხელს. კიდევ ორიოდე თვის შემდეგ ქეითის საქმეს დამტვერილი ყუთებით სავსე სარდაფში ჩაიტანდნენ, სადაც ერთ--ორ წელიწადში ჩავაკითხავდით, თუ ახალ ხელჩასაჭიდს მივაგნებდით. ტელევიზორში დოკუმენტურ ფილმს აჩვენებდნენ, რომელშიც კადრს მიღმა ხმა სევდიანი მუსიკის თანხლებით იტყოდა, რომ საქმე გაუხსნელი დარჩა. თავში გამიელვა, რომ, შესაძლოა, კირნანმა და მაკკეიბმაც მოისმინეს ასეთივე სიტყვები ამავე ოთახში, როდესაც მათი უფროსი ხელში მსგავს სათამაშოს ატრიალებდა.

ო ’ კელიმ ჩვენს დუმილში უკმაყოფილება ამოიკითხა.

- აბა, რა არის? - გაეცინა მას.

ჩვენ ახალი სიტყვების ნაკადი დავატეხეთ თავს, ვცდილობდით, წინასწარ დასწავლილი ფრაზებისთვის მეტი დამაჯერებლობა და ფერადოვნება შეგვემატებინა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ამაოდ ვირჯებოდით. ახლაც კი არ მსიამოვნებს იმის გახსენება, რასაც მაშინ ვამბობდი. ეს ბავშვურ ლუღლუღს უფრო ჰგავდა...

- სერ, ყოველთვის ვიცოდით, რომ რთული საქმე იქნებოდა, - ვთქვი ბოლოს, - მაგრამ წინ მაინც მივიწევთ. დარწმუნებული ვარ, მისი მიტოვება დიდი შეცდომა იქნება.

- მიტოვება? - გაღიზიანებით გაიმეორა ო ’ კელიმ, - ვინ თქვა, რომ უნდა მივატოვოთ? არ მივატოვებთ. უბრალოდ, ტემპს დავაგდებთ, - იგი წინ გადმოიხარა და თითებით მაგიდას დაეყრდნო, - ხალხო, - განაგრძო უფრო რბილად, - ეს ხომ ხარჯის ჩვეულებრივი ოპტიმიზაციაა. დამხმარეებისგან ყველაფერი მიიღეთ, რისი მიღებაც შეიძლებოდა. კიდევ რამდენი კაცი უნდა დაჰკითხოთ?

დუმილი.

- "ცხელ ხაზზე" რამდენმა დარეკა დღეს?

- ხუთმა, - ენის ბორძიკით მიუგო კესიმ, - ჯერჯერობით.

- რამდენი გამოგადგათ?

- არც ერთი.

- მეც ამას ვამბობ, - ო ' კელიმ ხელები გაშალა, - რაიან, შენ თვითონ თქვი, რთული საქმეაო. არსებობს სწრაფი და ნელი საქმე, ეს კი დიდ დროს წაგვართმევს. არადა, სამი ახალი მკვლელობა გვაქვს გამოსაძიებელი, ჩრდილოეთის კვარტალებში ლამის განგსტერთა ომი ატყდა, მე კი ყოველდღე რატომ ასჯერ არ მირეკავენ და მეკითხებიან, სად გააქრე ამდენი დამხმარე, დუბლინში რომ გვყავდაო. ხომ ხვდებით, რას ვგულისხმობ?

ცხადია, ვხვდებოდით. თუმცა ო ' კელისაც ჯეროვნად უნდა მივუზღათ: მის ადგილას სუპერინტენდანტების უმრავლესობა ადგებოდა და მე და კესის საქმეს ჩამოგვართმევდა. ირლანდია პროვინციულ ქალაქს ჰგავს: ხშირად თავიდანვე ვიცით, ვინ რა ჩაიდინა, და მთელი ძალისხმევა დამნაშავის მოსაძებნად კი არ არის მიმართული, არამედ ბრალდების საიმედოდ ჩამოყალიბებაზე. როგორც კი გაირკვა, რომ ოპერაცია "ვესტალი" ხმაურიანი გამონაკლისი იქნებოდა, ო ' კელის აუცილებლად გაუჩნდებოდა ცდუნება, რომ კვლავ მთვრალ არასრულწლოვნებთან დავებრუნებინეთ, ეს საქმე კი კოსტელოსთვის ან სხვა რომელიმე ასაკიანი კოლეგისთვის გადაეცა. გულუბრყვილო არა ვარ, მაგრამ როდესაც ეს არ გააკეთა, გადავწყვიტე, რომ ამაში გადამწყვეტი როლი ერთგვარად ერთგულებამ შეასრულა - არა პირადად ჩვენ მიმართ, არამედ მისი გუნდის წევრების მიმართ. მაშინ ეს აზრი მომეწონა კიდეც, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ო ' კელის, სავარაუდოდ, სხვა მიზეზიც ჰქონდა - მაგალითად, ინტუიცია კარნახობდა, რომ ხათაბალა საქმე იყო.

- ორი დაიტოვეთ, - გულმოწყალედ შემოგვთავაზა მან, - ერთი ტელეფონთან იჯდეს, მეორემ კი იმოძრაოს. ვის აიყვანთ?

- სუინისა და ო ' გორმანს, - მივუგე მე. ჩვეულებრივ, გვარებს კარგად ვიმახსოვრებ, მაგრამ ახლა მხოლოდ ეს ორი გამახსენდა.

- სახლში წადით, - განაგრძო უფროსმა, - ორიოდე დღე დაისვენეთ, ლუდი დალიეთ, გამოიძინეთ. რაიან, შენი თვალები თოვლზე მოშარდვის დროს გაკეთებულ ხვრელს დაემსგავსა. მეგობრებთან გაერთეთ და ასე შემდეგ, ორშაბათს კი მოღონიერებული დაბრუნდით.

დერეფანში გასულები ერთმანეთს თვალს ვარიდებდით. შტაბისკენ არც გაგვიხედავს. კესი კედელს მიეყრდნო და ფეხსაცმლის ჭვინტით ნოხის კუთხე გადასწია.

- კაცმა რომ თქვას, მართალია, - თქვა ბოლოს სემმა, - მარტოც კარგად გავართმევთ თავს.

- გეყოფა! - შევძახე მე, - გეყოფა, ღვთის გულისთვის!

- რა მოხდა? - გაუკვირდა სემს, - რა მეყოფა?

შევტრიალდი.

- ყველაფერი ცხადზე ცხადია, - თქვა კესიმ, - სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. ჩვენ გვაქვს გვამი, იარაღი და... პოვნით კი ჯერ არავინ გვიპოვია.

- კარგი, - ამოვიოხრე მე, - თქვენი არ ვიცი, მე კი ვაპირებ, უახლოეს პაბში შევიარო და კარგად გამოვთვრე. ვინ გამომყვება? "დოილსისკენ" გავეშურეთ, დაწესებულებისკენ, რომელიც 80-იანი წლების სტილით იყო მოწყობილი: ხმამაღალი მუსიკა, მაგიდ ები და დახლთან მსხდომი სტუდენტები. არავის უნდოდა პოლიციელთა ბარში წასვლა, სადაც აუცილებლად დაგვაყრიდნენ კითხვებს ოპერაცია "ვესტალის" შესახებ. მესამე კათხის შემდეგ ტუალეტში შევიარე. აქეთობას იდაყვი ვიღაც ქალიშვილს გავკარი, რომელსაც ბოკალიდან სასმელი გადმოეღვარა.

თვითონ მიუძღოდა ბრალი - მკვეთრად გადაიწია წინ, როდესაც მეგობრების ხუმრობაზე გაეცინა და მე შემეჩეხა. ლამაზი იყო, პატარა ელფს ჰგავდა, რაც ჩემზე ყოველთვის შთაბეჭდილებას ახდენდა. სანამ ერთმანეთს ვებოდიშებოდით და მიყენებულ ზარალს ვითვლიდით, ნაზად, შემფასებლურად შემავლო თვალი, ამიტომ სასმელზე დავპატიჟე და საუბარი გავუბი.

ანა ერქვა, ხელოვნების ისტორიას სწავლობდა. ქერა თმა პლაჟზე მოვარდნილ პატარა ტალღას მიუგავდა, თეთრი ქვედაკაბა მცირე ნიავზეც კი ერხეოდა, მისი წვრილი წელი ხელისგულებში ჩამეტეოდა. ვუთხარი, ლიტერატურის პროფესორი ვარ, ინგლისში ბრემ სტოკერის[86] შემოქმედების გასაცნობად ჩამოსული-მეთქი. გოგონა ბოკალის კიდეს წუწნიდა, ჩემს ხუმრობაზე იცინოდა და არასწორი თანკბილვის წვრილ კბილებს აჩენდა.

მის ზურგს უკან მდგარი წარბებაზიდული სემი იღიმებოდა, კესი კი მოჩვენებითი შიშით თვალებს აჭყეტდა, მაგრამ მათ ყურადღებას არ ვაქცევდი. დიდი დრო გასულიყო, რაც არავისთან ვწოლილვარ და საოცრად მომინდა მასთან ერთად წასვლა, ჩურჩულითა და სიცილით მის სტუდენტურ, კედლებზე პოსტერებგაკრულ ოთახში შეპარვა, აფუებულ თმაში თითების შეცურება და მოციმციმე ბინდბუნდში თავით გადაშვება, შემდეგ კი მთელი ღამისა და მომდევნო დღის ნახევრის მის საწოლში გატარება, განცხრომითა და სიმშვიდით ტკბობა და ყველა საქმის დავიწყება. მხარზე ხელი დავადე, რათა ვიღაც ტიპის სახიფათო მანევრისგან დამეცვა, რომელსაც ოთხი კათხა მოჰქონდა, და სემსა და კესის შეუმჩნევლად თითი ვუჩვენე.

---

[86] ბრემ სტოკერი (1847-1912) - ირლანდიელი მწერალი, "დრაკულას" ავტორი.

მომსვლელთა ნაკადი სულ უფრო და უფრო გვაახლოებდა ერთ მანეთს. სწავლის თემა გვერდზე გადავდეთ - სამწუხაროდ, ცუდად ვიცნობდი ბრემ სტოკერის შემოქმედებას - და კუნძულ არანზე გადავერთეთ (ანა და მისი მგზავრობა გასულ წელს; ლამაზი ბუნება; უაზროდ მოფუსფუსე ქალაქიდან გაქცევა). საუბრის დროს მეტი დამაჯერებლობისთვის ხელზე მეხებოდა ხოლმე. უეცრად მაგიდას მისი ერთ-ერთი მეგობარი გამოეყო და მის გვერდით გაჩნდა.

- ყველაფერი კარგადაა, ანა? - იკითხა მრავალმნიშვნელოვანი კილოთი, წელზე ხელი მოხვია და შუბლშეკვრით შემომხედა.

ანამ მის მხარზემოდან თვალები სასაცილოდ გადაატრიალა და შეთქმულის ღიმილით გამამხნევა.

- შესანიშნავად, კილიან, - უთხრა კაცს.

მივხვდი, რომ მისი შეყვარებული არ იყო, - ქალიშვილი ძალზე თავისუფლად იქცეოდა, - მაგრამ ანას აშკარად სხვა თვალით უყურებდა. ამ მაღალ, ზორბა და მიმზიდველ ახმახს გვარიანად ეყლურწა და ახლა საბაბს ეძებდა, რათა გარეთ გავეწვიე "დასალაპარაკებლად".

წამით სერიოზულად განვიხილავდი ამ ვარიანტს. "ძმობილო, ხომ გაიგე, რა თქვა ქალმა. წადი, შენს პატარა მეგობრებს დაუბრუნდი..." სემსა და კესის გავხედე: მათ აღარ ვახსოვდი, ერთმანეთისკენ დახრილიყვნენ, გაცხოველებით საუბრობდნენ და მაგიდაზე თითებით რაღაცას ხაზავდნენ. უეცრად საკუთარი თავიც შემზიზღდა და ჩემი პროფესორული ალტერ ეგოც,[87] აგრეთვე ანაც და ისიც, თუ როგორ გვეთამაშებოდა მე და კილიანს.

- ახლა კი ჩემს შეყვარებულთან უნდა დავბრუნდე. კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას, რომ სასმელი დაგაღვრევინეთ, -

---

[87] ალტერ ეგო - სხვა პირადობა, მეორე პერსონალია ან პერსონა ადამიანში.

ვთქვი მე და მშვიდად ვაქციე ზურგი ქალიშვილის გაოცებისგან მომრგვალებულ ტუჩებსა და განცვიფრებულ, ჯერაც საბრძოლო განწყობაზე მყოფ ახალგაზრდა კაცს.

მაგიდას რომ მივუჯექი, კესის მხარზე ხელი მოვხვიე. მან ეჭვის თვალით გადმომხედა.

- რაო, გამოგაბუნძულეს? - გაეცინა სემს.

- არა, - შეეპასუხა კესი, - ნაძლევს ჩამოვალ, თუ არ გადაიფიქრა და თქვა, რომ შეყვარებული გოგო ჰყავს. ამიტომაც მეხვევა. რაიან, თუ ერთხელ კიდევ შეეცდები ასეთი ფოკუსის ჩატარებას, სემთან კოცნაობას დავიწყებ - დაე, იმ გოგოს კავალერმა ჭკუა გასწავლოს.

- მშვენიერია! - შესძახა სემმა, - თანახმა ვარ!

პაბიდან მე და კესი მისი ბინისკენ გავემართეთ, სემი შინ წავიდა, და ვინაიდან პარასკევი იყო, ორშაბათამდე დავემშვიდობეთ. დილით სამსახურში გამოცხადებას აზრი არ ჰქონდა. შეგვეძლო, დივანზე გვეკოტრიალა, დაგველია, მუსიკა ჩაგვერთო და დროდადრო ბუხარში შეშა დაგვემატებინა.

- აი, რას გეტყვი, - გაწელვით თქვა კესიმ და თავისი ბოკალიდან ყინულის ნატეხი დაითრია, - ჩვენ გამუდმებით გვავიწყდება, რომ ბავშვები სხვაგვარად აზროვნებენ.

- რას გულისხმობ?

ახლახან შექსპირზე ვსაუბრობდით და "ზაფხულის ღამის სიზმრიდან" ფერიებს ვიხსენებდით. მეგონა, კესის რაღაც უცნაური პარალელის გავლება სურდა პატარებისა და XVI საუკუნის ადამიანთა აზროვნებას შორის და შესაპასუხებლად მოვემზადე.

- გვიკვირს, როგორ გამოიტყუეს ქეითი შინიდან... არა, გაჩერდი, დამამთავრებინე, - დაამატა მან, რადგან ფეხი ვუბიძგე და კვნესა დავიწყე:

- არა, მოკეტე, თუ შეიძლება. ჩვენ სამსახურში არა ვართ, შენი არ მესმის, ლა-ლა-ლა...

არყისა და დაღლილობისგან თავი მიგუგუნებდა, ამ ჩახლართულ და უიმედო საქმეზე ფიქრი არ მინდოდა. მერჩივნა, შექსპირზე გველაპარაკა ან, ბოლოს და ბოლოს, კარტი მაინც გვეთამაშა.

- მეც ამეტორღიალა ერთი ტიპი, როდესაც თერთმეტი წლის ვიყავი, - თქვა კესიმ.

გავშეშდი და თავი ავწიე.

- რა თქვი?

"აჰა, - გავიფიქრე, - სწორედ ეს არის კესის საიდუმლო ოთახი. ახლა შიგნით შემიშვებს".

მან ოდნავ გაოცებით შემომხედა და მითხრა:

- არა, არაფერი უქნია. ისე, წვრილმანია.

- ა-ა, - ვთქვი თითქმის იმედგაცრუებულმა, - მაინც რა მოხდა?

- მაშინ ყველა გიჟდებოდა შუშის ბურთულებზე. ჩვენი სკოლა ლამის გაივსო ამ სათამაშოთი. შესვენების დროსაც თამაშობდნენ, ლანჩის დროსაც, სახლშიც. ისინი პოლიეთილენის პაკეტებით მოჰქონდათ და ერთმანეთის მოტანილს ყველა ითვლიდა, იმიტომ, რომ მაგარ საქციელად ითვლებოდა. ერთხელ გაკვეთილების შემდეგ დამტოვეს... ...

- შენ? ვერასდროს ვიფიქრებდი, - გამეცინა მე.

გვერდზე გადავბრუნდი და ბოკალი ავიღე. არ ვიცოდი, როგორ დასრულდებოდა ეს ამბავი.

- თავიდან მომწყდი! ყველა შენნაირი ბეჯითი მოწაფე ხომ არ იქნება. მოკლედ, უკვე მოვდიოდი, როდესაც სკოლის ერთ-ერთი თანამშრომელი - მასწავლებელი კი არა, დამლაგებელი თუ დარაჯი - მომიახლოვდა და მკითხა: "გინდა ბურთულები? ჩემთან შემოდი და მოგცემ". თითქმის მოხუცი იყო, სამოციოდე წლის, ულვაშა და თმაჭაღარა. ცოტა ხანს შევყოყმანდი და შევყევი.

- ღმერთო ჩემო, კესი! ასე რამ გაგასულელა! - შევძახე მე.

სასმელი მოვსვი, ბოკალი დავდგი და კესის ტერფის ზელას შევუდექი.

- ხომ გითხარი, არაფერი მომხდარა-მეთქი. ის შემომყვა და ხელები იღლიებქვეშ შემიყო, თითქოს მაღლა აწევა სურდა, მაგრამ ამის ნაცვლად, ჩემი პერანგის ღილებს დაუწყო წვალება. ვკითხე, რას შვრებით-მეთქი, მან კი მიპასუხა, ბურთულები ზედა თაროზე დევს, აგწევ და ჩამოიღეო. მივხვდი, რომ რაღაც ხდებოდა, მაგრამ არ ვიცოდი, რა. ამიტომ ხელიდან დავუსხლტი, ჩავიბურტყუნე, თქვე ნი ბურთულები არ მჭირდება-მეთქი, და შინისკენ მოვკურცხლე.

- გაგიმართლა, - ვთქვი მე. კესის ვიწრო, მაღალზურგიანი ტერფები ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სახლში რბილი, სქელი წინდები ეცვა, მაინც ვგრძნობდი მის პატარა ძვლებსა და სახსრებს. თვალწინ თერთმეტი წლის კესი წარმომიდგა:L გამხდარი მუხლებით, დაკვნეტილი ფრჩხილებითა და უზარმაზარი თაფლისფერი თვალებით.

- ჰო, გამიმართლა. ღმერთმა უწყის, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო.

- არავის უთხარი?

მინდოდა, ამ ამბის შესახებ, შეძლებისდაგვარად, მეტი გამეგო: რაღაც საშინელი, ბნელით მოცული, სამარცხვინო საიდუმლო.

- არა. ამის გახსენებაც კი ზიზღს მგვრიდა. აზრადაც არ მომსვლია, სექსზე მეფიქრა. ვხვდებოდი, რა იყო სექსი, - მე და ჩემი მეგობარი გოგოები მხოლოდ მასზე ვლაპარაკობდით, ვიცოდი, რომ რაღაც ცუდი მოხდა, - ის ხომ პერანგის გახსნას მიპირებდა, - მაგრამ ეს ყველაფერი ერთმანეთთან ვერ დავაკავშირე. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც თვრამეტი წელი შემისრულდა, ეს შემთხვევა რაღაცამ გამახსენა - შესაძლოა, შუშის ბურთულას მოვკარი თვალი - და მხოლოდ მაშინ მივხვდი:

დალახვროს ეშმაკმა, მას ხომ ჩემი გაუპატიურება უნდოდა-- მეთქი.

- რა კავშირი აქვს ამას ქეით დევლინთან?

- ბავშვებს უფროსებისგან განსხვავებული ხედვა აქვთ. ახლა კი შენი ფეხები მომეცი, მე დაგიზელ.

- არაფრის დიდებით. განა ვერ გრძნობ, როგორ ყარს ჩემი წინდები?

- საშინელებაა. ნუთუ არასდროს იცვლი?

- მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწებებას იწყებს, მარტოხელა კაცის ძველი ჩვეულების მიხედვით.

- ეს ჩვეულება კი არა, შებრუნებული ევოლუციაა.

- კარგი, დამიყოლიე, - ვთქვი მე და დივანზე გავიჭიმე.

- არა, შენ ქალი გჭირდება.

- სისულელეა!

- მხოლოდ შეყვარებული თუ იზრუნებს აყროლებულწინდებიან კაცზე. მეგობრები არ გამოდგებიან, - მიუხედავად ამისა, კესი მარჯვედ მწვდა ფეხებში და ტერფების ზელა დამიწყო, - და საერთოდ, თუ არ გინდა, საჯდომი აგტკივდეს, მეტი ფიზიკური დატვირთვაა საჭირო.

- ამას ვინ მეუბნება!

უეცრად გავაცნობიერე, რომ ძალიან ცოტა ვიცოდი კესის "ვარჯიშების" შესახებ. ჩემს გაცნობამდე მეტ-ნაკლებად სერიოზული ურთიერთობა ერთ ახალგაზრდა კაცთან ჰქონდა - ადვოკატთან, რომელსაც ეიდენი ერქვა, მაგრამ იმ დროისთვის, როცა კესი ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილებაში გადავიდა, ის ადვოკატი უკვალოდ გაქრა სცენიდან: გასაიდუმლოებული სამუშაო სასიყვარულო რომანებს ხელს არ უწყობს. კესის რომ მას შემდეგ ჰყოლოდა ბოიფრენდი, აუცილებლად შევიტყობდი, მაგრამ ახლა დავეჭვდი, მართლა ასე იყო თუ არა. კესის

ყურადღებით შევხედე, მაგრამ იგი ჩემს ფეხს ამუშავებდა, სახეზე კი იდუმალი ღიმილი გადაჰფენოდა.

- საკითხავია, იქ რატომ შევყევი, - განაგრძო კესიმ. კესის გონება ტრასაზე შექმნილ რთულ ვითარებას ჰგავს: მას შეუძლია, ნებისმიერ მხარეს მოატრიალოს მანქანა, შემდეგ კი, გეომეტრიის კანონების საწინააღმდეგოდ, თავბრუდამხვევი მანევრით საწყის წერტილში აღმოჩნდეს, - საქმე მხოლოდ ბურთულებს არ ეხება. ის მოხუცი პროვინციიდან, ვფიქრობ, მიდლენდიდან იყო და სოფლური კილოთი ლაპარაკობდა. "ბურთულებს" ისე წარმოთქვამდა, რომ "ბუნჩულები" ჩამესმოდა: "გინდა ბუნჩულები?" ცხადია, ვიცოდი, რომ მოხუცი "ბურთულებს" ამბობდა, მაგრამ მინდოდა, მერწმუნა, რომ დარაჯი კი არა, ჯადოქარი იყო ზღაპრიდან, და ოთახში სასწაულების საწყობი მელოდა: ჯადოსნური ბანგი, ავგაროზები, ძველებური ხელნაწერები და გალიებში გამოწყვდეული პატარა დრაკონები. ვაცნობიერებდი, რომ ჩვეულებრივი ოთახი იქნებოდა და იქ მსგავსი არაფერი დამხვდებოდა, მაგრამ ვფიქრობდი, იქნებ გამიმართლოს და იმ გოგონას დავემსგავსო, ძველი კარადიდან სხვა სამყაროში რომ მოხვდა-მეთქი. არ მინდოდა, ხელიდან ისეთი შესაძლებლობა გამეშვა, რომელზეც მთელი ცხოვრება ვინანებდი.

არ ვიცი, რა გითხრათ, რომ უკეთ აგიხსნათ ჩემი და კესის ურთიერთობა. ნეტავ შემეძლოს, ხელი მოგკიდოთ, ჩვენს სამყაროში შემოგიყვანოთ და მისი ყველა კუთხე-კუნჭული მოგატაროთ. მამაკაცსა და ქალს შორის პლატონური მეგობრობის წარმოშობის შანსი ნულის ტოლია, მაგრამ ჩვენ სახელოებში დამალული ტუზები ამოვიღეთ და სიცილით მოვხსენით ბანკი. ჩემთვის კესი ზაფხულის არდადეგების შესახებ დაწერილი წიგნის ფურცლებიდან გადმოსული ბიძაშვილი იყო, ბავშვობის მეგობარი, რომელსაც კოღოებით სავსე ტბაზე ცურვას ასწავლიან, საცურაო კოსტიუმში თავკომბალებს უტენიან, ვისთანაც მანანებით დაფა-

რულ ბორცვზე კოცნაში ვარჯიშობენ, მრავალი წლის შემდეგ კი ამას სიცილით იხსენებენ ბებიის სხვენის კუთხეში შეყუჟულები. იგი ფრჩხილებზე ოქროსფერ ლაქს მისვამდა და მარწმუნებდა, რომ სამსახურში ასე უნდა მივსულიყავი. მე ქვიგლის ვეუბნებოდი, კესის აზრით, "ქროუქპარკის" სტადიონი სავაჭრო ცენტრად უნდა გადაკეთდეს-მეთქი, შემდეგ კი სიცილს ძლივს ვიკავებდი, როდესაც ვხედავდი, რომ გაშტერებული შესცქეროდა ქვიგლის და მის მრისხანე ტირადას ისმენდა. კესი კომპიუტერის "თაგვის" ახალ დასაფენს წარწერას "შემეხე და იგრძენი განსხვავება" აძრობდა და ზურგზე მაკრავდა, მე კი ნახევარი დღე ისე დავდიოდი, რომ ვერაფერს ვამჩნევდი. ღამღამობით მისი ფანჯრიდან სახანძრო კიბეზე მივძვრებოდით და სახურავზე მოვკალათდებოდით ხოლმე, სადაც კოქტეილს ვწრუპავდით, ვარსკვლავებს მივჩერებოდით და ტომ უეითსის[88] სიმღერებს ვმღეროდით.

არა. ცხადია, მიყვარს ამ ამბების გახსენება - ისინი ჩემს მეხსიერებაში ბაჯაღლო ოქროსავით ბრწყინავს, მაგრამ მათზე მაღლა და, შესაძლოა, გაცილებით ღრმად ის დევს, რომ იგი ჩემი მეწყვილე იყო. არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ შეგრძნება, რომელსაც ახლაც კი იწვევს ჩემში ეს სიტყვა, როგორ აგიხსნათ მისი მნიშვნელობა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, თუ როგორ შემოვივლიდით ხოლმე ოთახებს ცარიელ სახლში, - პისტოლეტი ორი ხელით გვეჭირა და რიგრიგობით ყველა კუთხეს ვამოწმებდით, - წყნარ ოთახებს, სადაც ყოველი კარის უკან შეიარაღებული დამნაშავეები იმალებოდნენ; როგორ ვუთვალთვალებდით ობიექტს დაღამებიდან გათენებამდე, როდესაც ჩაბნელებულ მანქანაში ორნი ვისხედით, თერმოსიდან ცხელ ყავას ვსვამდით და ფარნის შუქზე კარტის თამაშს ვცდილობდით. ერთხელ ვიღაც

---

[88] ტომას უეითსი (დაიბ. 1949) - ამერიკელი კომპოზიტორი, სიმღერების ავტორი და მსახიობი.

ნახევრად შეშლილ მანქანის გამტაცებლებს მათსავე რაიონში მივდევდით: ფანჯრებს მიღმა გრაფიტი და ნაგვის ურნები მოჩანდა; საათში სამოცი მილი, სამოცდაათი, სატერფულს ბოლომდე ვაწვებოდი, სპიდომეტრს აღარც კი ვუყურებდი - უეცრად ისინი კედელს შეეჯახნენ და ჩვენ წინ მტირალა მოზარდი აღმოჩნდა. დავპირდით, რომ წუთი წუთზე "სასწრაფოც" მოვიდოდა და დედამისიც, ის კი ხელში ჩაგვაკვდა. ერთხელ ერთ-ერთ საეჭვო სახლში - იქ რომ მოხვედრილიყავით, კაცობრიობაზე შეხედულება რადიკალურად შეგეცვლებოდათ - ნარკომანი შპრიცით დამესხა თავს: სიმართლე გითხრათ, მასთან კი არა, მის ძმასთან მივედით და ნორმალურადაც ვსაუბრობდით. უეცრად შეუმჩნეველი მოძრაობით ბასრი ნემსი ყელზე მომაბჯინა. სანამ ვიდექი, ოფლში ვიწურებოდი და ღმერთს ვევედრებოდი, რომელიმე ჩვენგანს შემთხვევით არ დაეცემინებინა, კესი ნოხზე ფეხმორთხმით დაჯდა, კაცს სიგარეტი შესთავაზა და მას საათისა და ოცდახუთი წუთის განმავლობაში ესაუბრა (თავდამსხმელის მოთხოვნები რამდენჯერმე შეიცვალა: მანქანა; ჩვენი საფულეები; დოზა, "სპრაიტით" სავსე ბოთლი; მისთვის თავის დანებება), თანაც ისე ჭკვიანურად და ისეთი გულწრფელი ინტერესით, რომ, ბოლოს და ბოლოს, დამნაშავემ შპრიცი გადააგდო, კედელთან დაჯდა და თავისი ცხოვრების ისტორიას მანამ უყვებოდა, სანამ გონს არ მოვეგე და ხელბორკილი არ დავადე.

გოგონები, რომლებზეც ვოცნებობ, რომანტიკული არსებები არიან, ვარდის კოკრებივით სუსტები და ნაზები. მათ გრძელი თმა გაუშვიათ, გაღებულ ფანჯარასთან მოწყენილნი სხედან ან ფორტეპიანოზე უკრავენ, მაგრამ სულ სხვაა ქალიშვილი, რომელიც შენ მხარდამხარ იბრძვის და ზურგიდან გიცავს. ამისგან ტანში ჟრუანტელი მივლის. გაიხსენეთ ის დრო, როდესაც პირველად იწექით ქალთან ან პირველად იყავით შეყვარებული; გაიხსენეთ, როგორ გმუხტავდათ უხილავი ძალა თავიდან ფეხე-

ბამდე, თქვენში შემოდიოდა და ახალ არსებად გაქცევდათ. თუ დამიჯერებთ, გეტყვით, რომ ეს არაფერია, სრულიად არაფერი იმასთან შედარებით, როცა ორი ადამიანი ყოველდღიურად ერთმანეთს საკუთარ სიცოცხლეს ანდობს.

11 თავი

კვირას მშობლებს ვეწვიე სადილზე. მათთან უიკენდზე რამდენიმე კვირაში ერთხელ დავდივარ. თვითონაც არ ვიცი, ასე რატომ ვიქცევი. ერთმანეთთან ახლოს არა ვართ. ყველაზე მეტი, რაც შეგვიძლია, მეგობრული და ოდნავ ნაძალადევი თავაზიანობაა. ეს იმ ადამიანებს ემართებათ, რომლებიც ერთმანეთს ტურისტული მოგზაურობის დროს გაიცნობენ, შემდეგ კი არ იციან, როგორ დაასრულონ ეს ურთიერთობა. ზოგჯერ მათთან კესიც მიმყავდა. მშობლებს ის ძალიან მოსწონდათ. მამაჩემს ეხუმრებოდა, მებაღეობით გატაცებისთვის აჯავრებდა, დედას კი სამზარეულოში ეხმარებოდა და ზოგჯერ მესმოდა, როგორ იცინოდა დედაჩემი ახალგაზრდა ქალივით ხმამაღლა და მხიარულად, თან კმაყოფილი გადაგვიკრავდა ხოლმე სიტყვას ჩემი და კესის ურთიერთობის შესახებ, ჩვენ კი მხოლოდ უსიტყვოდ ვიღიმებოდით.

- სად არის დღეს კესი? - მკითხა დედამ სადილობის შემდეგ.

მას დღეისთვის ყველიანი მაკარონი მოემზადებინა, - რატომ ღაც ის ჩემი საყვარელი კერძი ეგონა (შესაძლოა, ოდესღაც იყო კიდეც) და ყოველთვის გვახვედრებდა, როდესაც ვწერდით, რომ ჩვენი საქმე არცთუ კარგად მიდიოდა, - ერთგვარი სიმპათიის ნიშნად, მაგრამ უკვე მისი სუნიც კი მთრგუნავდა. სამზარეულოში ვიდექით: მე თეფშებს ვრეცხავდი, დედა კი ამშრალებდა. მამა სასტუმრო ოთახში იჯდა და ტელევიზორში "კოლომბოს" უყურებდა. მიუხედავად იმისა, რომ შუადღე იდგა, ოთახში ბნელოდა და შუქი ავანთეთ.

- მგონი, დეიდისა და ბიძის სანახავად წავიდა, - მივუგე მე.

სინამდვილეში ახლა კესი, ალბათ, თავის დივანზე იწვა, ნაყინს მიირთმევდა და წიგნს კითხულობდა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში თავისუფალი დრო თითქმის არ გვქონდა და კე-

სის, ჩემსავით, ცოტა ხნით მარტო დარჩენა უნდოდა. ვიცოდი, როგორ ეწყინებოდა დედას იმის გაგება, რომ იგი კვირადღეს ასე ატარებდა.

- ძალიან კარგი, დაე, დაისვენოს. ალბათ, ძალიან დაიტანჯეთ.

- ჰო, გვარიანად დავიღალეთ, - ვთქვი მე.

- აბა, როგორია ნოკნარიში წინ და უკან სიარული.

მე და ჩემი მშობლები ჩემი სამუშაოს შესახებ მხოლოდ ზოგადად ვლაპარაკობდით ხოლმე და ნოკნარის არასდროს ვახსენებდით. თავი მკვეთრად ავწიე, მაგრამ დედას თეფში თვალებთან მიეტანა და ზედ წვეთებს ათვალიერებდა.

- არც ისე ახლოა, - დავეთანხმე.

- გაზეთები წერდნენ, - ფრთხილად განაგრძო დედამ, - რომ პოლიცია კვლავ გაესაუბრა პიტერისა და ჯემის ოჯახებს. შენ და კესი იყავით?

- სევიჯებთან - არა. სამაგიეროდ, მიზ როუენს ველაპარაკე. შენი აზრით, სუფთაა?

- რა თქმა უნდა, - თქვა დედამ და გამოსაცხობი ფორმა გამომართვა, - ალისია როგორ არის?

მისმა კილომ ყურები დამაცქვეტინა. მან ჩემი მზერა დაიჭირა, გაწითლდა და ხელისგულის ზურგით სახიდან თმა გადაიწია.

- ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით. ალისია... ერთი სიტყვით, ღვიძლ დასავით ვეპყრობოდი, შემდეგ კი კავშირი გავწყვიტეთ. მინდოდა, გამეგო, როგორ არის, მეტი არაფერი.

შიშმა შემიპყრო - დედაჩემისა და ალისია როუენის მეგობრობის შესახებ რომ მცოდნოდა, მის სახლს სათოფეზე არ მივუახლოვდებოდი.

- ვფიქრობ, კარგადაა. რამდენადაც ეს შესაძლებელია. ჯემის ოთახისთვის ხელი არ უხლია.

დედაჩემმა ღრმად ამოიოხრა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ხმაამოუღებლად ვრეცხავდით ჭურჭელს. კოვზები წკარუნებდა, მეზობელი ოთახიდან პიტერ ფოლკის[89] ხმა ისმოდა. ფანჯარასთან, ბალახზე, ორი კაჭკაჭი დაფრინდა, პატარა ბაღში წინ და უკან დადიოდნენ, რაღაცას ეძებდნენ და ერთმანეთს შთაბეჭდილებას უზიარებდნენ.

- აქშა, - მექანიკურად დაიძახა დედამ და კვლავ ამოიოხრა, - საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ალისიასთან ურთიერთობა გავწყვიტე. მას ხომ არავინ დარჩა. ძალიან საყვარელი ქალიშვილი იყო, უმანკო. ყველას ეგონა, რომ ჯემის მამა, ამდენი წლის შემდეგ, ცოლს მიატოვებდა და მასთან იცხოვრებდა... ხომ არ გათხოვილა?

- არა, მაგრამ ვერ ვიტყვი, უბედურია-მეთქი, იოგას ასწავლის.

ნიჟარაში საპნის ქაფი გაცივდა და დაწდომა დაიწყო. ჩაიდანი ავიღე და ცხელი წყალი დავამატე.

- ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც წამოვედით, - განაგრძო დედამ. მან ზურგი მაქცია და უჯრებში დანა-ჩანგლების გადანაწილება დაიწყო, - ალისიას, ენჯელასა და ჯოზეფს თვალს ვეღარ ვუსწორებდი. ჩემი შვილი ცოცხალი და საღ-სალამათი დაბრუნდა, მათ კი ჯოჯოხეთი გამოიარეს... სახლიდან გასვლისა და მათთან შეხვედრის მეშინოდა. ვიცი, სისულელეა, მაგრამ დანაშაულის გრძნო ბა მტანჯავდა. მეგონა, ვძულდი იმის გამო, რომ ჩემი შვილი გადარჩა. აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა?

გავოცდი. ვფიქრობ, ყველა ბავშვი ეგოისტია. აზრადაც არასდროს მომსვლია, რომ სხვა რამეც იყო მნიშვნელოვანი, რაც მე არ მიკავშირდებოდა.

---

[89] პიტერ ფოლკი (1927-2011) - ამერიკელი მსახიობი, ლეიტენანტ კოლომბოს როლის შემსრულებელი ტელესერიალში "კოლომბო".

- რომ არ დაგიმალო, ამაზე არასდროს მიფიქრია, - ვთქვი მე, - თვითკმაყოფილი ეგოისტი ვიყავი.

- არა, ძალიან კარგი, ალერსიანი ბიჭი იყავი, - მოულოდნელად მითხრა დედამ, - შენნაირი დედამიწის ზურგზე არსად მეგულება. როდესაც სკოლიდან ან ეზოდან ბრუნდებოდი, მომეხვეოდი, მკოცნიდი - მაშინ უკვე თითქმის ჩემი სიმაღლის იყავი - და მეკითხებოდი: "დედიკო, მოგენატრე?" ხშირად საჩუქარი მოგქონდა: ლამაზი კენჭი ან ყვავილი. თითქმის ყველაფერი შენახული მაქვს.

- ჩემზე ამბობ?

მადლობა ღმერთს, ეს კესის არ ესმოდა. თითქოს ვხედავდი კიდეც მის თვალებში ანთებულ ეშმაკურ ნაპერწკლებს.

- აბა, ვისზე? ამიტომაც შევშფოთდი, როდესაც იმ დღეს დროულად არ დაბრუნდით, - უეცრად მან მაგრად მომიჭირა ხელი. შევატყვე, ხმა დაეძაბა, - სასოწარკვეთა დამეუფლა. ყველა ამბობდა: "ცხადია, სახლიდან გაიქცნენ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. მალე მივაგნებთ..." მაგრამ მე ვპასუხობდი: "არა, მხოლოდ არა ადამი!" შენ კეთილი ბიჭი იყავი. ვიცოდი, რომ ასე არ მოიქცეოდი.

შევკრთი, ჩემში რაღაც ძველი, ღრმა და საშინელი შეინძრა.

- არ მჯერა, რომ ანგელოზი ვიყავი, - ჩავილაპარაკე ხმადაბლა.

დედას გაეღიმა. იგი სამზარეულოს ფანჯარას მისჩერებოდა. მისი გაფანტული მზერა თითქოს წარსულს ხედავდა, რაც ჩემთვის მიუღწეველი იყო, და ეს მაღიზიანებდა.

- კარგი, ანგელოზი არა, მაგრამ ჭკვიანი ბიჭი იყავი. იმ ზაფხულს სწრაფად მოიწიფე. პიტერი და ჯემი დაიყოლიე, რომ ერთი საცოდავი ბიჭი აღარ გეწვალებინათ... დამავიწყდა, რა ერქვა. სათვალე ეკეთა, საშინელი დედა ჰყავდა, რომელიც ეკლესიისთვის ყვავილებს აგროვებდა.

- ნამცეცა უილი? - ვკითხე მე, - მე არაფერ შუაში ვარ, ეს პიტერმა გააკეთა. ის რომ არა, მას ცხოვრების ბოლომდე გავაწვალებდი.

- არა, შენ იყავი, - მტკიცედ განმიცხადა დედამ, - ერთხელ სამივემ ისე გააწვალეთ, რომ ტირილი დაიწყო. ამან გული აგიჩუყა და გადაწყვიტე, მისთვის ხელი აღარ გეხლოთ. გეშინოდა, რომ პიტერი და ჯემი ვერ გაგიგებდნენ. გახსოვს?

- არა, - ჩავიბურტყუნე მე.

დედასთან ლაპარაკი ნერვებს მიშლიდა. ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ მისი ვერსია ჩემსაზე მეტად მომეწონა. რა თქმა უნდა, შეეძლო, შეუგნებლად შვილი გმირად ექცია. შესაძლოა, მაშინ მოვატყუე კიდეც, მაგრამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მახარებდა ის აზრი, რომ საკუთარ წარსულში ოქროს ზოდივით რაღაც მტკიცე და ურყევი აღმოვაჩინე, და მოულოდნელად გაჩენილი ეჭვი, რომ ეს ყველაფერი ყალბი აღმოჩნდებოდა, ფეხქვეშ მიწას მაცლიდა.

- თუ გასარეცხი ჭურჭელი აღარ დარჩა, წავალ და მამას დაველაპარაკები.

- ძალიან გაუხარდება. წადი, რაც დარჩა, მე დავასრულებ. ორი ქილა "გინესიც"[90] წაიღე, მაცივარშია.

- გმადლობ სადილისთვის, - ვთქვი მე, - შესანიშნავი იყო.

- ადამ! - მოულოდნელად თქვა დედამ, როდესაც კარისკენ გავემართე.

ამ სახელის გაგონებამ სუნთქვა შემიკრა და წამით მომინდა, ისევ იმ ალერსიან ბიჭად გადავქცეულიყავი, დედას მივვარდნოდი, თავი მის მკერდში ჩამერგო და ტირილით დამეწუწუნა, თუ როგორი საშინელი იყო ბოლო რამდენიმე კვირა. შემდეგ მისი

---

[90] გინესი - ერთგვარი ლუდი.

შეცვლილი სახე წარმოვიდგინე და ტუჩი მოვიკვნიტე, რათა ისტერიკულად არ გამცინებოდა.

- მხოლოდ ის მინდა, იცოდე, - განაგრძო მან მორიდებით, თან ხელით ჭურჭლის ტილოს აწვალებდა, - შენს დახმარებას ვცდილობდით. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ რაღაც ისე არ გამოვიდა... მაგრამ გვეშინოდა, რომ რომელიმე... ხომ გესმის... ვთქვათ, უეცრად დაბრუნებულიყო... გვინდოდა, თავი უკეთ გეგრძნო.

- ვიცი, დედა, ყველაფერი კარგადაა.

ეს ვთქვი და სწრაფად, თითქმის სირბილით, თითქოს მეშინოდა, ვინმე არ დამწეოდა, სასტუმრო ოთახისკენ გავვარდი, სადაც მამაჩემი კვლავაც "კოლომბოს" უყურებდა.

- როგორ მიდის სამუშაო? - მკითხა მამამ რეკლამის დროს.

მან ბალიშთან ხელი მოაფათურა, დისტანციური მართვის პულტი აიღო და ხმას დაუწია.

- არა უშავს, - მივუგე მას.

ეკრანზე ტუალეტში მჯდარი ბავშვი ცხარედ ეკამათებოდა მულტფილმის პერსონაჟს - ორთქლში გახვეულ დიდკბილებიან მწვანე ქმნილებას.

- კარგი ბიჭი ხარ, - თქვა მამამ, თან ტელევიზორს ისე უყურებდა, თითქოს ჰიპნოზს უკეთებდა, - და ყოველთვის ასეთი იყავი.

- გმადლობ.

როგორც ჩანს, სანამ მოვიდოდი, მშობლები ჩემზე ლაპარაკობდნენ, თუმცა ვერ ვხვდებოდი, რატომ და რასთან დაკავშირებით.

- მშვენიერი სამუშაო გაქვს.

- ჰო, მშვენიერი.

- დიდებულია, - დაასკვნა მამამ და ტელევიზორის ხმას აუწია.

სახლში რვისთვის დავბრუნდი. გზად მაღაზიაში პროდუქტის ყიდვა დამავიწყდა და სამზარეულოში ლორითა და ჰითერის დაბალკალორიული ყველით სენდვიჩი მოვიმზადე. "გინესმა" გამბერა და უსიამოვნო შეგრძნება გამიჩინა - ლუდის მოყვარული არა ვარ, მაგრამ როცა სხვა რამეს ვსვამდი, მამა წუხდა. მიაჩნდა, რომ ის, ვინც მაგარ სასმელს სვამდა, ფარული ალკოჰოლიკი ან ჰომოსექსუალი იყო. დაბინდულმა გონებამ უცნაური იდეა მომაწოდა: თუ რამეს შევჭამდი, ის ლუდს შეიწოვდა და თავს უკეთ ვიგრძნობდი.

ჰითერი სასტუმრო ოთახში იჯდა. კვირადღის საღამო მისი დღე იყო - "სექსი დიდ ქალაქში" ყურებასა და სააბაზანოს თუ სასტუმრო ოთახს შორის იდუმალებით მოცული გადაადგილების სერიისგან შედგებოდა, რასაც ჰითერი მოღუშული სახით შეუპოვრად აკეთებდა.

ჩემმა ტელეფონმა დაიწრიპინა. კესისგან შეტყობინება მომივიდა: "მიმიყვან ხვალ სასამართლომდე? მკაცრი კოსტიუმი+-გოლფომობილი+ამინდი=ძალიან ცუდ შესახედაობას".

- ჯანდაბა! - შევძახე უნებურად.

შარშან ლიმერიკში მოხუცი ქალი გაძარცვეს და ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს. ბრალდებას სურდა, წინასწარ ჩაეტარებინა ჩვენთვის ინსტრუქტაჟი და ეს მთელი პარასკევის განმავლობაში გვახსოვდა, მაგრამ იმდენი მოვახერხეთ, რომ მაინც დაგვავიწყდა.

- რა მოხდა?

ჰითერი ოთახიდან გამოვარდა. კმაყოფილი იყო, რომ საუბრის საბაბი გაუჩნდა. ყველი სასწრაფოდ მაცივარში შევინახე და კარი მივხურე, თუმცა შემეძლო, ეს არც გამეკეთებინა, ვინაიდან ჰითერმა თავისი მარაგის შესახებ მილიმეტრამდე სიზუსტით იცოდა და ერთხელ ახალი საპონი მხოლოდ იმიტომ მაყიდვინა, რომ ნასვამმა მისი ნატეხით დავიბანე ხელი.

- კარგად ხარ?

ხალათი ეცვა, თავზე პოლიეთილენის ფირის მსგავსი რაღაც დაეხვია და კოსმეტიკის სუნად ყარდა.

- ნორმალურად, - ხელი "პასუხის" ღილაკს დავაჭირე და კესისთვის ტექსტის აკრეფას შევუდექი: "სხვა ვარიანტი არის? შევხვდებით 8:30", - უბრალოდ, დამავიწყდა, რომ ხვალ სასამართლოა.

- ო-ო, - ჩაილაპარაკა ჰითერმა და თვალები დაჭყიტა. ფრჩხილებზე ახალწასმული ლაქი უბზინავდა და ხელებს იქნევდა, რათა სწრაფად შეშრობოდა, - ხომ არ გინდა, დაგეხმარო? ერთად გადავავლებდით თვალს შენს ჩანაწერებს.

- არა, გმადლობ.

სინამდვილეში ჩანაწერები არ მქონდა - ისინი სამსახურში დამრჩა, შეიძლებოდა მათ მოსატანად წასვლა, მაგრამ თავს არც ისე კარგად ვგრძნობდი.

- კარგი, როგორც გინდა, - ჰითერმა თითებს სული შეუბერა, შემდეგ კი ჩემს სენდვიჩს შეხედა, - ა-ა, მაღაზიაში იყავი? ტუალეტის მათეთრებელი გაქვს საყიდელი. ხომ არ დაგავიწყდა, რომ ახლა შენი რიგია?

- ხვალ ვიყიდი, - ვთქვი მე, სენდვიჩი და ტელეფონი ავიღე და ჩემი ოთახისკენ გავემართე.

- ჰმ, რა თქმა უნდა, ხვალამდეც შეიძლება მოცდა. მაშ, ეს ჩემი ყველი იყო?

ჰითერს თავი ძლივს დავაღწიე და სენდვიჩი შევჭამე, მაგრამ შვება, ცხადია, ვერ ვიგრძენი. იმავე ლოგიკას მივყევი, არაყი და ტონიკი დავისხი და საწოლზე წამოვწექი კავენეგის საქმის გასახსენებლად.

ყურადღების მოკრება მიჭირდა. თავში შემთხვევითი, უსარგებლო, მაგრამ საოცრად მკაფიო დეტალები მიტრიალებდა: იესოს წითელი შუქით განათებული სტატუეტი, ორი მოზარდი

მკვლელის დაგუნდავებული თმა, საზარელი ჭრილობა ქალის თავზე, ყვავილებიანი შპალერი იმ სასტუმროში, სადაც მე და კეესი გავჩერდით. სამაგიეროდ, არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: როგორ დავიჭირეთ დამნაშავეები, აღიარეს თუ არა მათ დანაშაული, მოიპარეს თუ არა რამე, მათი სახელები. წამოვდექი და ოთახში გავიარ-გამოვიარე, გასაგრილებლად თავი ფანჯარაში გავყავი, მაგრამ რაც მეტად ვცდი ლობდი კონცენტრირებას, მით უფრო ცოტა რამ მახსენდებოდა. ბოლოს იქამდე მივედი, რომ მოკლულის სახელშიც კი შემეპარა ეჭვი, - ფილომენა თუ ფიონუალა, - თუმცა ორი საათის წინათ ამაზე წამითაც არ დავფიქრდებოდი (ფილომენა მერი ბრიჯეტი).

ამან ბოლო მომიღო. მსგავსი რამე ცხოვრებაში არასოდეს მომსვლია. ტრაბახის გარეშე გეტყვით: ყოველთვის ისეთი საუცხოო მეხსიერებით გამოვირჩეოდი, რომ გაგეცინებოდათ - თუთიყუშივით ვყლაპავდი და გაუაზრებლად ვიმახსოვრებდი ზღვა ინფორმაციას. სწორედ ამის წყალობით ჩავაბარე გამოსაშვები გამოცდები, ამავე მიზეზით არ განვიცდიდი ჩანაწერების უქონლობას. მათ გარეშე უწინაც გამოვსულვარ და ყველაფერი კარგად მთავრდებოდა.

ამასთან, განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებდი. განყოფილების თანამშრომლები ხშირად სამ-ოთხ საქმეს ერთდროულად იძიებენ. როცა განსაკუთრებული შემთხვევა ხდება, როგორიც ბავშვის ან პოლიციელის მკვლელობაა, შესაძლოა, მიმდინარე საქმეებისგან გაათავისუფლონ კიდეც, - ასე შევაჩეჩეთ ტაქსისთან დაკავშირებული საქმე ქვიგლისა და მაკკენს, - მაგრამ საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს, ამაში კი შედის ყველა საჭირო ქაღალდის მომზადება, პროკურორებთან შეხვედრა და სასამართლოში გამოცხადება. შედეგად, მრავალ მნიშვნელოვან ფაქტს მეხსიერების სხვადასხვა კუთხეში ინახავთ და იცით, რომ საჭირო დროს მათ გამომზეურებას მოახერ-

ხებთ. კავენეგის საქმე თავში უნდა მქონოდა და როდესაც იქ არ აღმოჩნდა, პანიკამ მომიცვა.

ღამის ორი საათისთვის გადავწყვიტე, რომ თუ გამოძინებას მოვახერხებდი, დილით ყველაფერი მოგვარდებოდა, ანუ გამახსენდებოდა. ცოტა არაყი კიდევ გადავკარი და შუქი ჩავაქრე, მაგრამ როგორც კი თვალები დავხუჭე, სახეები კარუსელივით დატრიალდა: იესო, ბინძური მოზარდები, ჭრილობა თავზე, უბადრუკი ოთახი... ოთხი საათისთვის გავიფიქრე, ნამდვილი იდიოტი ვარ, სამსახურიდან ჩანაწერები რომ არ წამოვიღე-- მეთქი. ხელი მოვაფათურე, შუქი ავანთე და ჩაცმა დავიწყე, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ხელები მიცახცახებდა და არაყი გამახსენდა, - ასეთ მდგომარეობაში ნამდვილად არ ღირდა მილში ჩაბერვა, - ბოლოს კი საკუთარ თავს ვუთხარი, ჩანაწერები რომც გქონდეს, მათში მაინც ვერაფერს გაარჩევდი-მეთქი.

საწოლში დავბრუნდი და ერთხანს ჭერს მივჩერებოდი. ჰითერი და მეზობელ ბინაში მცხოვრები კაცი ხმაშეწყობილად ხვრინავდნენ, კომპლექსის ჭიშკრის მიღმა იშვიათად თუ ჩაივლიდა მანქანა, რომლის ფარებიც კედელს ანათებდა. ამ დროს შაკიკის საწინააღმდეგო აბი გამახსენდა - ის ყოველთვის ძილს მგვრიდა - და ორი ცალი დავლიე, თან ვცდილობდი, გვერდით ეფექტზე არ მეფიქრა. შვიდისთვის ჩამეძინა, მაღვიძარას დარეკვამდე ცოტა ხნით ადრე.

როდესაც კესის სახლთან დავასიგნალე, იგი ქუჩაში მისი ერთადერთი მკაცრი სამოსით გამოვიდა - შანელის შავი, წვრილზოლებიანი შარვლითა და პიჯაკით. ბებიამისის ნაქონი მარგალიტისთვლიანი საყურე ეკეთა. კესი სწრაფად ჩაჯდა მანქანაში - როგორც მომეჩვენა, ხაზგასმით ენერგიულად, თუმცა, ალბათ, მხოლოდ წვიმისგან თავის შეფარებას ჩქარობდა.

- გამარჯობა! - შესძახა მან. მაკიაჟი ეკეთა, რაც ასაკსა და სოლიდურობას მატებდა, თუმცა ცოტათი აუცხოებდა კიდეც, - სულ არ გძინებია?

- თითქმის. ჩანაწერები თან გაქვს?

- ჰო. შეგიძლია, თვალი გადაავლო, სანამ მე გამოვალ. ჰო, მართლა, პირველი შენ გამოდიხარ თუ მე?

- არ მახსოვს. საჭესთან ხომ არ დაჯდები? უნდა წავიკითხო.

- ამისთვის დაზღვევა არა მაქვს, - თქვა კესიმ და ზიზღით შეხედა ჩემს "ლენდროვერს".

- თუ ასეა, შეეცადე, არავის დაეჯახო.

კესიმ მხრები აიჩეჩა და საჭეს მიუჯდა, მე კი გაჭირვებით გადმოვედი მანქანიდან, თავსხმა წვიმაში შემოვუარე და დავჯექი. კესის სასიამოვნო, მკაფიო ხელწერა ჰქონდა და მის ნაწერს ყოველთვის ვარჩევდი, მაგრამ ისეთი დაქანცული და გაღიზიანებული ვიყავი, სტრიქონები აღმა-დაღმა დახტოდა და სიტყვის წაკითხვასაც ვერ ვახერხებდი. მხოლოდ მოცეკვავე ბატიფეხურსა და უცნაურ ლაქებს ვხედავდი, რომლებიც თვალებს მიჭრელებდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, თავი ცივ შუშას მივადე და დავიძინე.

რა თქმა უნდა, პირველი მე გამომიძახეს. ჩემი შერცხვენის გახსენებაც არ მინდა: ენა მებმოდა, გვარები მერეოდა, არასწორ დროს ვასახელებდი, გამუდმებით ბოდიშს ვიხდიდი და ნათქვამს ვასწორებდი. ბრალმდებელი მაკშერი თავდაპირველად დაბნეული სახით მიყურებდა (ერთმანეთს კარგად ვიცნობდით და სასამართლოში ყოველთვის მშვენივრად გამოვდიოდი), შემდეგ მოუსვენრობა დაეტყო, ბოლოს კი გაშმაგებას ძლივს მალავდა. მას ფილომენას გვამის ახლოდან გადაღებული სურათი ჰქონდა - ჩვეულებრივი ტრიუკი ნაფიც მსაჯულთა დასაშინებლად, რათა ისინი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად განეწყო. გამიკვირდა, როდესაც მოსამართლემ ამის

ნება დართო. მე მხოლოდ მსხვერპლის ჭრილობები უნდა მეჩვენებინა და ისინი ბრალდებულთა ჩვენებებისთვის შემედარებინა, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. თავშეკავებამ საბოლოოდ მიმტყუნა: სურათს შევხედავდი თუ არა, თვალწინ მაშინვე დასახიჩრებული და ნაცემი გვამი წარმომიდგებოდა, კაბაწამოხდილი და პირდაღებული, თითქოს ყვირილით მწყევლიდა იმის გამო, რომ ამ ყველაფერს ხელი არ შევუშალე.

სასამართლოს დარბაზში ისე ცხელოდა, როგორც აბანოში, ფანჯრებზე კონდენსირებული ორთქლის წვეთები ბრწყინავდა. ვგრძნობდი, რომ დახუთული ჰაერი თავზე მაწვებოდა, ზურგზე ოფლი ღვარად მდიოდა. როდესაც ადვოკატმა ჯვარედინი დაკითხვა დაასრულა, ტუჩებზე უხამსი ღიმილი გადაეფინა, როგორც მოზარდს, რომელმაც გოგონას ტრუსში შეაღწია, არადა, მხოლოდ კოცნის იმედი ჰქონდა. ნაფიცი მსაჯულებიც კი შევაცბუნე - ისინი უხერხულად წრიალებდნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

აცახცახებული დარბაზის მხარეს გადავედი. ფეხები მომემჩვარა და ერთხელ მოაჯირსაც კი ვტაცე ხელი, რომ არ წავქცეულიყავი. ჩვეულებრივ, ჩვენების მიცემის შემდეგ მოწმეს შეუძლია, დარბაზში დარჩეს, ალბათ, ამის იმედი კესისაც ჰქონდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ვეღარ გავუძლებდი. ვიცოდი, რომ მას ჩემი მორალური მხარდაჭერა არ სჭირდებოდა და უჩემოდაც კარგად გაართმევდა ყველაფერს თავს, მაგრამ ეს კიდევ უფრო ცუდად მხდიდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ დევლინის საქმე კესისაც და სემსაც ანერვიულებდა, მაგრამ ისინი ამას ზედმეტი ძალისხმევის გარეშე უმკლავდებოდნენ - ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა. მხოლოდ მე ვერ ვისვენებდი, აფორიაქებული დავდიოდი და ყოველ ჩრდილს ვუფრთხოდი, როგორც ფილმ "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" რომელიღაც პერსონაჟი. იმის

ძალაც აღარ შემრჩენოდა, დარბაზში ვმჯდარიყავი და მენახა, როგორ აუღელვებლად ცდილობდა კესი ჩემი გაფუჭებული საქმის გამოსწორებას.

გარეთ წვიმდა. გვერდით ქუჩაზე პაბს მივაგენი (კუთხეში მოკალათებულმა სამეულმა ჩემში მაშინვე ამოიცნო პოლიციელი და საუბრის თემა შეცვალა), ცხელი ვისკი შევუკვეთე და დავჯექი. ბარმენმა ჭიქა დახლზე დამიდგა. ზედაც არ მიყურებდა და დოღის შედეგებს ეცნობოდა. მოზრდილი ყლუპი მოვსვი, სასა ავიწვი, თავი გადავწიე, თვალები დავხუჭე და მოდუნება ვცადე.

კუთხეში მსხდომმა ბიჭებმა ვიღაცის ყოფილ შეყვარებულ გოგოზე დაიწყეს ლაპარაკი.- ჰოდა, ვუთხარი: საიდან მოიტანე, რომ იმ წყეული პ. დიდივით[91] უნდა გამოეწყოს, თუ გინდა, "ნაიკის" ბოტასები ეცვას, ადექი და თვითონ უყიდე-მეთქი...

ისინი სენდვიჩს მიირთმევდნენ, მათგან რაღაც მძაფრი, ცხარე სუნი მოდიოდა და კინაღამ გული ამერია. ფანჯრის მიღმა ჩასადენ მილში წვიმის წყალი ბუყბუყებდა.

უცნაურია, მაგრამ მხოლოდ ახლა მივხვდი, რა საშინელ დღეში ვიყავი, როდესაც სასამართლოში ჩემი გამოსვლა და მაკშერის შეძრწუნებული სახე გამახსენდა: ცოტა მეძინა და ბევრს ვსვამდი, ნერვები ამწეწოდა, ზოგჯერ წარმოსახვაც მღალატობდა. მათგან თითოეული, ცალკე აღებული, დიდ ხიფათს არ შეიცავდა, მაგრამ როდესაც თვალწინ სრული, გადიდებული და საშინელი სურათი წარმომიდგა, შიშის ოფლმა დამასხა.

უკანმოუხედავად უნდა გავქცეოდი ამ საზარელ და საეჭვო საქმეს. დღემაგიერი ბევრი დამგროვებოდა, შემეძლო, დანაზოგის ნაწილი დამეხარჯა, რათა რამდენიმე კვირით პარიზში ან ფლორენციაში პატარა ბინა მექირავა, მშვიდად მეხეტიალა

---

[91] პი დიდი შონ კომბსი (დაიბ. 1969) - ამერიკელი რეპერი და მუსიკალური პროდიუსერი.

ძველ ქვაფენილზე, უცხო ენაზე მოლაპარაკე ადამიანების საუბრებისთვის ყური მიმეგდო და შინ მაშინ დავბრუნებულიყავი, როდესაც ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში ვხვდებოდი, რომ ეს შეუძლებელი იყო. ძალზე ღრმად ჩავეფლე გამოძიებაში. ხომ ვერ განვუცხადებდი ო ' კელის, უეცრად ხილვა მეწვია და მივხვდი, რომ ადამ რაიანი ვყოფილვარ--მეთქი? ნებისმიერი სხვა საბაბი ნერვული აშლილობის აღიარების ტოლფასი იქნებოდა, რაც ჩემს კარიერას წერტილს დაუსვამდა. დიახ, სასწრაფოდ რაღაც უნდა მომეფიქრებინა, რათა არ შეემჩნიათ, რომ ნაწილ-ნაწილ ვიშლებოდი, და ექიმები არ მოესიათ, მაგრამ როგორც არ ვცდილობდი, თავში არაფერი მომდიოდა.

ცხელი ვისკი დავლიე და კიდევ ერთი შევუკვეთე. ბარმენმა ტელევიზორი ჩართო. კომენტატორის ბუტბუტი წვიმის ხმაურს ერწყმოდა. სამი ბიჭი წავიდა, გასვლისას კარი გაიჯახუნეს და ქუჩიდან მათი ხარხარი მომესმა. მალე ბარმენმა ხელის მკვეთრი მოძრაობით აიღო ჩემი ჭიქა და მივხვდი, რომ ჩემი თავიდან მოცილება სურდა.

ტუალეტში შევედი და სახეზე ცივი წყალი შევისხი. ჭუჭყიანი, მომწვანო სარკიდან ზომბებზე გადაღებული ფილმების პერსონაჟი შემომყურებდა: დაღებული პირი, ჩაშავებული თვალის უპეები, აწეწილი თმა. "სასაცილოა, - გავიფიქრე და გულის ამრევი თავბრუდახვევით ვიგრძენი, რომ ფეხქვეშ თითქოს მიწა მეცლებოდა, - ეს როგორ მოხდა? აქამდე როგორ დავეცი?"

სასამართლოს შენობის წინ მდებარე ავტოსადგომზე დავბრუნდი, ჩემს მანქანაში შევძვერი და პირში პიტნის კანფეტი ჩავიდე. ვხედავდი, როგორ მიდი-მოდიოდა ხალხი ჩაქინდრული თავებითა და ბოლომდე შეკრული ლაბადებით. ისე ბნელოდა, როგორც საღამოს, და ქუჩაში უკვე ფარნები აენთოთ. ავტომობილების ფარები წვიმის დაცერებულ ხაზებს ანათებდა. ბოლოს

ტელეფონმაც დაიწრიპინა. ეს კესი მწერდა: "რა მოხდა? სად ხარ?" "მანქანაში", - მივწერე და უკანა ფარები ჩავრთე, რათა ადვილად მოვეძებნე. კესიმ დაინახა, რომ საჭესთან არ ვიჯექი და მძღოლის ადგილი დაიკავა.

- უუფ, - ამოიხვნეშა მან და თმიდან წვიმის წვეთები დაიფერთხა. ერთი მათგანი წამწამებზე დაეცა, ლოყაზე შავ ტუშთან ერთად ჩამოეღვარა და პიეროს[92] დაამსგავსა, - უკვე დამავიწყდა, რომ დარტყმულებთან გვქონდა საქმე. როდესაც ვყვებოდი, როგორ შარდავდნენ მსხვერპლის საწოლზე, იმ იდიოტებმა სიცილი დაიწყეს. ადვოკატი ანიშნებდა, წესიერად მოიქეცითო. შენ რა მოგივიდა? საჭესთან რატომ დამსვი?

- შაკიკი მაქვს, - ვთქვი მე. კესიმ სარკე მოატრიალა მაკიაჟის შესამოწმებლად, მაგრამ ჩემი მზერა დაიჭირა და გაჩერდა, - მაგრად ჩავისვარე, კესი.

რასაკვირველია, ყველაფერი იცოდა. მაკშერი მაშინვე ო ' კელის დაურეკავდა და დღის ბოლოსთვის სიახლე მთელ განყოფილებას ეცოდინებოდა. დაღლილობისგან თვალები მებლიტებოდა, თავში გიჟურმა აზრმა გამიელვა - იქნებ ეს ყველაფერი მხოლოდ ზედმეტი სასმლისგან გამოწვეული კოშმარია, წუთის შემდეგ მაღვიძარა დარეკავს და სასამართლოში წავალ-მეთქი.

- მაშ, ცუდადაა საქმე? - ჩაილაპარაკა კესიმ.

- უარესი არ არსებობს. ფიქრი კი არა, თავის აწევა არ შემეძლო.

კესიმ სარკე მიატრიალა და თითი დაინერწყვა შავი ცრემლის მოსაცილებლად.

- არა, შაკიკზე გეკითხები. სახლში წასვლა გინდა?

---

[92] პიერო - კარლო კოლოდის "პინოქიოს თავგადასავლის" პერსონაჟი.

სევდიანად გავიფიქრე ჩემი საწოლის, უსაშველოდ გაწელილი დასვენების საათების შესახებ. შემდეგ ჰითერი დაბრუნდებოდა და მკითხავდა, ტუალეტის მათეთრებელი ხომ არ იყიდეო, მაგრამ მივხვდი, რომ ასე არ მოხდებოდა - ლოგინში ვიწვებოდი, თვალს ვერ მოვხუჭავდი, ხელებით ზეწარს ჩავაფრინდებოდი და გონებაში ათასჯერ დავატრიალებდი სასამართლოში ჩემი გამოსვლის კადრებს.

- არა, წამოსვლამდე ორი აბი დავლიე. გასაძლები ტკივილია.

- აფთიაქში ხომ არ შეგვევლო?

- წამალი თან მაქვს. ყველაფერი კარგადაა. წავედით.

მინდოდა, უფრო ხატოვნად აღმეწერა გამოგონილი თავის ტკივილი, მაგრამ კარგმა მატყუარამ იცის, როდის უნდა შეჩერდეს, მე კი ამის უტყუარი ალღო მაქვს. ბოლომდე ვერ მივხვდი, დამიჯერა თუ არა კესიმ. იგი თამამი მანევრით გავიდა ავტოსადგომიდან, მინასაწმენდი ჩართო და მარჯვედ შეერია მანქანების ნაკადს.

- შენმა გამოსვლამ როგორ ჩაიარა? - ვკითხე, როდესაც სანაპიროზე მივღოღავდით.

- ნორმალურად. მათმა ადვოკატმა სცადა, იძულებით აღიარებაზე მიენიშნებინა, მაგრამ ნაფიცი მსაჯულები ამ ანკესზე არ წამოეგნენ.

- კარგია, - ვთქვი მე, - ეს ძალიან კარგია.

შტაბში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ო ' კელი მიხმობდა: მაკშერის დრო ტყუილუბრალოდ არ დაეკარგა. უფროსს თავის ტკივილის შესახებ ვუთხარი. შაკიკი იმით არის კარგი, რომ მისით ყველაფრის ახსნა შეიძლება: იგი ადამიანს ჩვეული კალაპოტიდან აგდებს, იმდენ ხანს გრძელდება, რამდენიც მოესურვება, და ვერავინ დაამტკიცებს, რომ ეს ასე არაა. ამასთან, მართლა ცუდად გამოვიყურებოდი. ო ' კელიმ ზიზღით ჩაილაპარა-

კა, შაკიკი ქალური ამბებიაო, და დასვენება შემომთავაზა, მაგრამ ვაჟკაცურად დავიჟინე, სამუშაოს არ მივატოვებ-მეთქი.

შტაბში დავბრუნდი. ამ დროს ტვიდის პალტოში გამოწყობილი, გალუმპული სემიც მოვიდა, რომელსაც სველი ზინზლის სუნი დაჰკრავდა.

- როგორ არის საქმე? - იკითხა მან. უდარდელი კილო ჰქონდა, მაგრამ ჩემ მხარზემოდან კესის სწრაფად რომ გახედა, მივხვდი, ჭორბიუროს თავისი საქმე პირნათლად გაეკეთებინა.

- ნორმალურად. შაკიკი, - მიუგო კესიმ და თავით ჩემზე ანიშნა.

უკვე მეჩვენებოდა, თითქოს მართლა შაკიკი მქონდა. თვალები ავახამხამე და ყურადღების მოკრება ვცადე.

- ოჰ, შაკიკი საშინელებაა, - თქვა სემმა, - დედაჩემს აქვს ხშირად. ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში ბნელი ოთახიდან არ გამოდის, თავზე კი ყინულს იდებს. შეძლებ დღეს მუშაობას?

- კარგად ვარ, - ჩავიბურტყუნე, - შენთან რა ხდება?

სემმა კესის გახედა.

- კარგად არის, - უთხრა კესიმ, - სასამართლოზე გამოსვლა ისეთი რამეა, რომ თავს ვის არ აატკივებს. სად იყავი?

სემმა სველი პალტო გაიხადა, ეჭვის თვალით შეათვალიერა და სკამზე გადაკიდა.

- დიდ სამეულს ველაპარაკე.

- ო ’ კელის გაუხარდება, - ვთქვი მე, მაგიდას მივუჯექი და საფეთქელზე ხელი მივიჭირე, - გაფრთხილებ, რომ ხასიათზე ვერ არის.

- არა, ყველაფერი კარგადაა. მათ ვუთხარი, რომ დემონსტრანტებს შეტაკება მოუვიდათ ერთ-ერთ სამშენებლო ბრიგადასთან - არაფერი დამიკონკრეტებია, მხოლოდ ვანდალიზმის აქტებზე მივანიშნე - და იმის გაგება მინდოდა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა, - სემმა ჩაიცინა და მივხვდი, რომ ემოციით იყო

სავსე, მაგრამ ანგარიშს მიწევდა და თავს იკავებდა, - როდესაც გაიაზრეს, რომ ნოკნარიში მათი აფერის შესახებ ვიცოდი, ლამის პირი დააღეს, თუმცა ისეთი სახე მივიღე, თითქოს ამას არაფრად ვაგდებდი. ცოტა ხანს კიდევ ვესაუბრე, დავარწმუნე, პროტესტანტებმა თქვენი არსებობის შესახებ არაფერი იციან-- მეთქი, და ვურჩიე, ფრთხილად ემოქმედათ. და რა გგონიათ? მადლობაც კი არ გადაუხდიათ. თვითკმაყოფილი იდიოტები არიან.

- კარგი, ეს უკვე გავიგეთ. კიდევ რა გაქვს? - ვკითხე მე.

არ მინდოდა, უკმეხად გამომსვლოდა, მაგრამ საკმარისი იყო, თვალები დამეხუჭა, რომ გონებაში მაშინვე ფილომენა კავენეგის სხეული წარმომიდგებოდა. როდესაც ვახელდი, სემის მხარს უკან, თეთრ დაფაზე, ფოტოსურათებს ვხედავდი, რომლებზეც ქეითის გვამი იყო გამოსახული. რომ არ დაგიმალოთ, ახლა არც სემი მადარდებდა, არც მისი წარმატება და არც მისი დიპლომატია.

- კიდევ, - მშვიდად განაგრძო სემმა, - დავადგინე, რომ ქენეთ მაკკლინტოკმა - ის "დაინემოდან" არის - მთელი აპრილი სინგაპურში გაატარა. თუ არ იცით, გეტყვით, რომ წელს იქ ბევრი დეველოპერი ჩადის. მაშასადამე, დუბლინის ტელეფონიდან ანონიმურად ვერ დარეკავდა. სხვათა შორის, თუ გახსოვთ, რა თქვა დევლინმა მამაკაცის ხმაზე?

- როგორც მახსოვს, სახეირო არაფერი, - ჩავილაპარაკე ხმადაბლა.

- უფრო მაღალი, ვიდრე დაბალი, - თქვა კესიმ, - ნაკლებად გამოკვეთილი პროვინციული კილოთი. სავარაუდოდ, საშუალო ასაკის.

იგი სკამზე გადაწვა, ფეხი ფეხზე გადაიდო და თითები ერთმანეთს გადააჭდო. ელეგანტურად გამოწყობილი კესი ამ ოთახის-

თვის სრულიად შეუფერებლად გამოიყურებოდა - მოდების ჟურ-ნალის ფოტოსესიიდან მოსულს ჰგავდა.

- სწორია, ახლა "გლოუბალელ" კონორ როშზეც ვთქვათ: ის კორკელია, ისეთი აქცენტი აქვს, ყურს მოგჭრით. დევლინი მას წამსვე გამოთვლიდა. მისი პარტნიორი, ჯეფრი ბარნსი, ინგლი-სელია, უხეში ხმა აქვს. აქედან გამომდინარე, რჩება - სემმა ფართო ჟესტით შემოხაზა დაფაზე დაწერილი სახელი - ტერენს ენდრიუსი "ფუტურადან", ორმოცდაცამეტი წლის, წარმოშობით უესტმითიდან, გამყივანი ტენორით. აბა, თუ გამოიცნობთ, სად ცხოვრობს?

- ქალაქში, - სიცილით თქვა კესიმ.

- სანაპიროზე მდებარე პენტჰაუსში. გადასაკრავად სასტუმ-რო "გრიშემში" დადის - სწორედ მას ვურჩიე, სიფრთხილე გა-მოეჩინა, ვინაიდან ამ ლიბერალებისგან ყველაფერია მოსა-ლოდნელი - და სამივე ფასიანი სატელეფონო ჯიხური ამ გზაზეა. ასე რომ, ის ჩვენი ბიჭია, მეგობრებო.

არ მახსოვს, როგორ გავატარე დარჩენილი დღე - როგორც ჩანს, მაგიდასთან ვიჯექი და ქაღალდებს ერთი ადგილიდან მეორეზე ვაწყობდი. სემი თავისი მორიგი საიდუმლო დავალების შესასრულებლად წავიდა, კესი კიდევ ერთი უიმედო ხელჩასაჭი-დის შესამოწმებლად გაემართა და თან ო ’ გორმანი გაიყოლა, ტელეფონთან კი სიტყვაძუნწი სუინი დატოვა. ამ ადამიანების ხმაურისა და ფუსფუსის გარეშე შტაბი მიტოვებული გემივით უც-ნაური და პირქუში ჩანდა, დამხმარეთა მაგიდებზე დასტა--დასტად ეწყო ქაღალდები, მათ შორის კი ყავის ჭიქები იმტვერე-ბოდა, რომელთა ბუფეტში წაღებაც დავიწყებოდათ.

კესის შეტყობინება გავუგზავნე, ავუხსენი, რომ თავს შეუძ-ლოდ ვგრძნობდი და მასთან ვახშამზე ვერ მივიდოდი. ძალიან მიჭირდა მისი ტაქტიანი დუმილის ატანა. სამსახურიდან დროულად წამოვედი, რათა ჰითერისთვის სახლში მისვლა და-

მესწრო, - ორშაბათობით ფიტნესზე დადიოდა, - ბარათზე დავწერე, რომ შაკიკი მქონდა, კარზე გავაკარი და ოთახში შევიკეტე. ჰითერი ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს ფანატიკურად და პედანტურად უდგებოდა, - ზოგიერთი ქალი ასე ყვავილნარებს უვლის ან ფაიფურის სამშვენისებს აგროვებს, - სხვის ავადმყოფობასაც საკუთარივით აღიქვამდა და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ საღამოს არ შემაწუხებდა და ტელევიზორსაც დაბალ ხმაზე ამუშავებდა.

ყველაფერს ისიც ართულებდა, რომ ვერაფრით დამეღწია თავი იმ შეგრძნებისთვის, რომელიც სასამართლოში მთრგუნავდა: თითქოს დასახიჩრებული ფილომენას ფოტოსურათი რაღაცას მაგონებდა. რა თქმა უნდა, საერთო ფონზე ეს წვრილმანს ჰგავდა - ჩემს ადგილას ნებისმიერი ასე იფიქრებდა. ადამიანთა უმრავლესობას თავში აზრადაც არ მოსდის, რომ მეხსიერებას უჩვეულო ძალა აქვს და ერთხელაც, შესაძლოა, გაუხედნავი ცხენივით ყალყზე შედგეს.

როდესაც მეხსიერებას კარგავ, შედეგების განჭვრეტა შეუ ძლებელია. ეს ოკეანის სიღრმეში ტექტონიკური ფილების დაძვრას ჰგავს. ახლა თქვენს თავში გაელვებულ ნებისმიერ წვრილმანს საშინელი აფეთქების პოტენციალი აქვს: იგი თქვენს ცხოვრებას ნამსხვრევებად აქცევს. წლების განმავლობაში თითქოს გეოლოგიური რღვევის პირას ვიდექი, ჩემში ყოველ გაფაჩუნებას ყურადღებით ვუსმენდი და ვიმედოვნებდი - რადგან კატასტროფა აქამდე არ მოხდა, მაშასადამე, აღარც მოხდება-მეთქი, მაგრამ ქეით დევლინის საქმემ ახალი ბიძგები გამოიწვია და დავეჭვდი, მართლა მყარად ვიდექი თუ არა მიწაზე. პირღია, მიწაზე განრთხმული ფილომენა კავენეგის სურათი ან რომელიმე სატელევიზიო შოუს ფრაგმენტს მაგონებდა, ან საშინელ რეალობას, რომელმაც მეხსიერება, სულ ცოტა, ოცი წლით წამიშალა. არ ვიცოდი, რომელი ვარიანტი იყო სწორი.

მოგვიანებით გაირკვა, რომ არც ერთი. შუაღამისას გონება გამინათდა და გველნაკბენივით თვალებგადმოქაჩული და გულამოვარდნილი წამოვხტი. ხელი მოვაფათურე, შუქი ავანთე და კედელს მივაჩერდი. ვხედავდი, როგორ ტრიალებდა ჩემ თვალწინ ცეცხლოვანი ბორბლები.

იმ დღეს ჯერ მდელომდეც არ მიგვეღწია, როდესაც ვიგრძენით, რომ რაღაც ისე არ იყო. გაუგებარი ხმები, შეძახილები, ფუსფუსი - ეს ყველაფერი ერთმანეთში აირია და გაურკვეველ მასად იქცა, რომლიდანაც შიგადაშიგ მოგუდული ყვირილი და მუქარა ისმოდა. "დაწექი", - ჩამჩურჩულა პიტერმა და სწრაფად განვერთხეთ მიწაზე; ფესვები და დამტვრეული ტოტები ტანსაცმელზე გვედებოდა, რეიტუზების შიგნით ფეხები დამდუღრულივით გვეწვოდა. ცხელოდა, ჰაერი არ იძვროდა, ზემოდან ლაჟვარდოვანი ცა დაგვყურებდა. ნელა მივხოხავდით წინ: ენაზე მტვრის გემო, მწველი მზე, მწერები, ჯაჭვური ხერხივით რომ ჩაგვზუზუნებდნენ ყურში, ველური მაყვლის ბუჩქის თავზე მობზუილე ფუტკრების გუნდი, ზურგზე წვრილ ნაკადულებად ჩამოსული ოფლი... მაღალ ბალახში ხან კატასავით მარჯვედ მცოცავი პიტერის იდაყვს ვხედავდი, ხანაც ჯემის მოელვარე თვალებს.

მდელოზე ბევრნი იყვნენ. "მეტალიკას" სანდრასთვის ხელები გაეკავებინა და მიწაზე დაეკრა, შავ სათვალეს - ფეხები, ანტრაქსი კი ზემოდან მოქცეოდა. ქალიშვილს კაბა წამოხდოდა, კოლჰოტზე ნახვრეტები მოუჩანდა. ანტაქსი წინ და უკან მოძრაობდა, სანდრას პირი დაეღო, ზედ წითური თმის კულულები მიჰკვროდა, უცნაურ ხმებს გამოსცემდა - თითქოს დაყვირება უნდოდა, მაგრამ ჰაერი არ ჰყოფნიდა. "მეტალიკამ" მას ხელი გაარტყა და ისიც გაჩუმდა.

ჩვენ კი უკვე უკან გავრბოდით, აღარ გვადარდებდა, დაგვინახავდნენ თუ არა, არც ყვირილი გვესმოდა: "ჯანდაბა!", "მოვტყდეთ!" მეორე დღეს მე და ჯემი სანდრას მაღაზიასთან შევ-

ხვდით. განიერი ჯემპრი ეცვა, თვალის უპეები ჩაშავებოდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ შეგვამჩნია, მაგრამ ისე ჩავუარეთ, ერთმანეთისთვის არ შეგვიხედავს.

ღამით ყურმილი ავიღე და კესის ნომერი ავკრიფე.

- კარგად ხარ? - მკითხა ნამძინარევი ხმით.

- კი. სიახლე მაქვს, კესი.

მან დაამთქნარა.

- ღმერთო... ვიმედოვნებ, რამე ღირებული იქნება. რომელი საათია?

- არ ვიცი. მომისმინე. იმ ზაფხულს პიტერმა, ჯემიმ და მე დავინახეთ, როგორ გააუპატიურეს ჯონათან დევლინმა და მისმა მეგობრებმა ერთი ქალიშვილი.

- დარწმუნებული ხარ? - მკითხა კესიმ შედარებით მხნედ მცირე ხნის შემდეგ, - იქნებ არასწორად შეაფასე...

- ეს სიმართლეა. ქალიშვილმა დაყვირება სცადა, ერთმა მათგანმა კი დაარტყა. მაგრად ჰყავდათ გაკავებული.

- დაგინახეს?

- ჰო... დაგვინახეს. ჩვენ გავიქეცით, ისინი კი რაღაცას მოგვძახოდნენ.

- ჯანდაბა! - ვიგრძენი, რომ თანდათანობით კესი აზრზე მოვიდა: გაუპატიურებული გოგონა, მოძალადე ოჯახში, ორი გაუჩინარებული მოწმე. დაპატიმრების ორდერი ხელის გაწვდენაზე იყო, - ჯანდაბა... კარგი ნამუშევარია, რაიან. გოგონას სახელი თუ იცი?

- სანდრა.

- ის, რომელზეც ადრე მიყვებოდი? ხვალვე დავიწყებთ მის ძებნას.

- მომისმინე, კესი, თუ ყველაფერი გამოგვივა, რას ვიტყვით ინფორმაციის წყაროზე?

- მთავარია, არ ინერვიულო, რობ, კარგი? თუ სანდრას მივაგნებთ, სხვა მოწმე არ დაგვჭირდება. უკიდურეს შემთხვევაში, დევლინს მივაწვებით, დეტალებს გადმოვულაგებთ და მანამ არ მოვასვენებთ, სანამ არ აღიარებს... რამეს მოვახერხებთ.

მისმა თავდაჯერებულობამ ლამის განმაიარაღა. ნერწყვი გადავყლაპე, რათა გამშრალი ყელი გამესველებინა.

- რამდენი წელია გაუპატიურების ხანდაზმულობის ვადა?

- არ მახსოვს. მაგასაც ხვალ გავარკვევთ. შეძლებ დაძინებას, თუ ნერვები არ გასვენებს?

- არ მასვენებს, - შიგნით ყველაფერი ისე მექავებოდა, თითქოს სისხლში სიროფი შეესხათ, - მოდი, ვილაპარაკოთ, კარგი?

- კარგი.

გავიგონე, როგორ შრიალებდა საბანი, სანამ კესი მოხერხებულად არ მოკალათდა საწოლში. ხელის ფათურით არყის ბოთლს მივაგენი, ტელეფონი ყურზე მივიდე და სასმელი დავისხი.

კესიმ მიამბო, ცხრა წლის ასაკში როგორ დაარწმუნა თანატოლები, რომ სოფლის ახლოს, ბორცვებზე, ჯადოსნური მგელი ცხოვრობდა.

- ავუხსენი, რომ საკუთარ სახლში, იატაკის ფიცრის ქვეშ, ბარათს მივაგენი, რომელშიც ეწერა, რომ იგი უკვე ოთხასი წლისაა და კისერზე რუკა აქვს შემოხვეული, რომლის მიხედვითაც განძის პოვნა შეიძლება. შემდეგ ჯგუფი შევქმენი და ყოველ უიკენდზე მგლის მოსაძებნად მივდიოდით. ნაგაზის დანახვაზე სახლისკენ წივილ-კივილით გავრბოდით, მდინარეში ვხტებოდით და ვმხიარულობდით...

საწოლზე გავიჭიმე და არაყი მოვსვი. კესის დამამშვიდებელი ხმა ადრენალინს მაცლიდა, დაღლილობა და სითბო ვიგრძენი მთელი დღის განმავლობაში გარეთ ნარბენი ბიჭივით.

- და ეს გერმანული ნაგაზი ან რამე მისი მსგავსი კი არ იყო...

დარწმუნებული ვარ, რომ მომესმა, როგორ თქვა:
- ეს ძალიან დიდი და სრულიად სხვა ჯიში იყო - ველური...
მაგრამ მე უკვე მეძინა.

12 თავი

დილიდან ვიღაც სანდრას თუ ალექსანდრას ძებნას შევუდექით, რომელიც 1984 წელს ნოკნარიში ან მის სიახლოვეს ცხოვრობდა. მოსახლეობის აღწერის ბიუროში დავრეკე და ქალის გულგრილი ხმა მომესმა, რომელმაც დუდღუნა ხმით მითხრა, რომ მოსამართლის სანქციის გარეშე ინფორმაციის გაცემის უფლება არ ჰქონდა. როდესაც ვუთხარი, რომ საქმე ბავშვის მკვლელობას შეეხებოდა, სხვა ხაზზე გადამრთო (ყურმილში "ღამის პატარა სერენადის"[93] მსგავსი მელოდია გაისმა, რომელიც, სავარაუდოდ, ერთი თითით სრულდებოდა სათამაშო ინსტრუმენტზე).

ჩემ პირდაპირ მჯდომი კესი ცდილობდა, დუბლინის სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქის 1984 წლის ამომრჩევლების სიისთვის მიეგნო. გამოვთვალე, რომ იმ დროისთვის სანდრას ხმის მიცემის უფლება უნდა ჰქონოდა, თუმცა არც იმდენად დიდი იქნებოდა, რომ სახლიდან წასულიყო. ყურმილში დათაფლული ხმა გვიმეორებდა, ჩვენთვის თქვენი ზარი ძალიან მნიშვნელოვანია და რიგითობის მიხედვით გიპასუხებთო. კესი ნერვიულობდა და წამდაუწუმ პოზას იცვლიდა: ხან ფეხს ფეხზე გადაიდებდა, ხან მაგიდას ეყრდნობოდა, ხან მბრუნავ სკამზე ტრიალებდა და ტელეფონის სადენში იხლართებოდა. უძილობისგან თვალები მიჭრელდებოდა, ოფლი მასხამდა - ცენტრალური გათბობა მთელი სიმძლავრით მუშაობდა, თუმცა თბილი დღე იდგა - და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ დამეყვირა.

---

[93] ღამის პატარა სერენადა" - მოცარტის ნაწარმოები.

- წავიდნენ მაგათი... - ვეღარ მოვითმინე და ყურმილი დავაგდე. "ღამის სერენადა" ჯერაც ჩამესმოდა ყურებში, - აზრი არა აქვს.

- თქვენი გაღიზიანება ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, - წაიკრუტუნა კესიმ, სავარძლის საზურგეს თავი მიადო და ზემოდან დამხედა, - და რიგითობის მიხედვით გიპასუხებთ. გმადლობთ, რომ დარეკეთ.

- ამ კრეტინებმა რამე რომც მოგვცენ, ეს დისკი ან მონაცემთა ბაზა ნამდვილად არ იქნება. ალბათ, ფურცლებით სავსე ხუთ მილიონ ყუთს მოგვიტანენ და ყოველი გვარის შემოწმება მოგვიწევს, ეს კი რამდენიმე კვირას წაიღებს.

- თანაც სანდრას შეეძლო, სხვაგან გადასულიყო, გათხოვილიყო, ემიგრაციაში წასულიყო ან მომკვდარიყო. უკეთესი იდეა ხომ არა გაქვს?

უეცრად გონება გამინათდა.

- არის! - შევძახე და ხელი პალტოს ვტაცე, - წავიდეთ.

- ეი, საით გაგიწევია?

კესი სახით კარისკენ შევატრიალე.

- ჩვენ მისის პამელა ფიცჯერალდთან შესახვედრად მივდივართ. მითხარი, ვინ არის ამქვეყნად ყველაზე გენიალური ადამიანი?

- აქამდე ლეონარდ ბერნსტაინი[94] მეგონა, - გამოტყდა კესი, ყურმილი სიამოვნებით დააგდო და სკამიდან წამოხტა, - თუმცა შემიძლია, შენი კანდიდატურაც განვიხილო.

"ლორიში" შევიარეთ და მისის ფიცჯერალდისთვის ერთი კოლოფი ფხვიერი ნამცხვარი ვიყიდეთ - ერთგვარი კომპენსაცია აღმოუჩენელი საფულის სანაცვლოდ, მაგრამ შევცდით: ნამ-

---

[94] ლეონარდ ბერნსტაინი (1918-1990) - ამერიკელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი.

ცხვარმა გულუხვობაში შეჯიბრება გამოიწვია. პასუხად, მისის ფიცჯერალდმა მაცივრიდან გაყინული ბისკვიტის პატარა ნაჭრები გამოიღო, მიკროტალღურ ღუმელში შეათბო, ზემოდან კარაქი წაუსვა და პატარა თეფშზე გადმოღებულ ხილფაფასთან ერთად მოგვართვა. შევყურებდი ამ ყველაფერს და მუხლებს ენერგიულად ვიზელდი, სანამ კესის უკმაყოფილო გამოხედვამ არ გამაჩერა. ვიცოდი, რომ ახლა ამის შეჭმა მოგვიწევდა, თუ არ გვინდოდა, გამასპინძლება რამდენიმე საათს გაგრძელებულიყო.

მისის ფიცჯერალდი ყურადღებით გვაკვირდებოდა, როგორ მივირთმევდით ბისკვიტს, ზედ კი ისეთ მაგარ ჩაის ვაყოლებდით, ლამის ღრანჭი მოგვექცა, შემდეგ კი კმაყოფილი სახით სავარძელზე გადაწვა.

- მიყვარს ასეთი ბისკვიტი, - თქვა მან, - ისეთი მშვენიერია, თუგინდ ბიუსტჰალტერში ჩაიდე.

- მისის ფიცჯერალდ, - დაიწყო კესიმ, - ხომ არ გახსოვთ ორი ბავშვი, რომლებიც ტყეში დაახლოებით ოცი წლის წინათ დაიკარგნენ?

არ მინდოდა აღიარება, რომ ამ შეკითხვის დასმას მისგან ველოდი, რადგან თვითონ ამისთვის გამბედაობა არ მეყოფოდა. შემეშინდა, ათრთოლებული ხმით თავი არ გამეცა - ჩვენი მასპინძელი დაჟინებით დამაკვირდებოდა და მესამე ბავშვი გაახსენდებოდა, ამის შემდეგ კი საღამომდე წასვლა ნამდვილად არ გვეღირსებოდა.

- რა თქმა უნდა, მახსოვს! - შესძახა მან, - საშინელება იყო. საბრალო ბავშვები უკვალოდ გაქრნენ, წესიერად ვერც კი დაკრძალეს.

- თქვენი აზრით, რა დაემართათ? - ჰკითხა მოულოდნელად კესიმ.

გულში შევუკურთხე ასეთი უსარგებლო შეკითხვისთვის, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რატომ ჰკითხა. მისის ფიცჯერალდი ზღაპრულ დედაბერს ჰგავდა, რომელიც ტყეში ძველ ქოხში ცხოვრობს, ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის, მაგრამ არავის არაფერს ეუბნება. ზღაპრებში ასეთებთან მიდიან და საიდუმლოს ამოხსნაში დახმარებას სთხოვენ, თუმცა პასუხი, შესაძლოა, შეკითხვაზე მეტად უცნაური და გაუგებარი გამოდგეს.

მისის ფიცჯერალდმა თავისი ბისკვიტი შეათვალიერა, მოკბიჩა და ტუჩები ხელსახოცით მოიწმინდა.

- ვიღაც ჭკუასუსტმა მდინარეში გადაყარა, - ამოოხვრით თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ, - ღმერთმა აცხონოს მათი სულები. ეს საბრალო შეშლილმა ჩაიდინა, რომელიც ოთახში უნდა ყოფილიყო გამოკეტილი.

ხელები ამიცახცახდა და პულსი ამიჩქარდა - მსგავს ფრაზებზე, ჩვეულებრივ, ასეთი რეაქცია მქონდა. ფინჯანი მაგიდაზე დავდგი.

- მაშასადამე, ფიქრობთ, რომ ისინი დახოცეს, - შევეცადე, ეს ხმადაბლა მეთქვა, რათა ხმა გამეკონტროლებინა.

- რასაკვირველია, აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო? დედაჩემი - ღმერთმა გაანათლოს მისი სული - მაშინ ცოცხალი იყო, მხოლოდ სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა გრიპით... მას მიაჩნდა, რომ ისინი პუკამ წაიყვანა, მაგრამ ის ძველმოდურად უყურებდა ყველაფერს - აცხონოს ღმერთმა.

ესეც მოულოდნელი ვერსია. პუკა - ძველებური საფრთხობელა იყო საბავშვო ზღაპრებიდან, ბოროტი და ეშმაკი სული, პანის[95] შთამომავალი და პაკის[96] წინაპარი. არა მგონია, კირნანსა და მაკკეიბს იგი ეჭვმიტანილთა სიაში შეეყვანათ.

---

[95] პანი - საქონლისა და მწყემსების მფარველი ღმერთი.

- ცხადია, მდინარეში გადაყარეს, თორემ ვინმე აუცილებლად წააწყდებოდა. ხალხი ამტკიცებს, რომ მათი სულები დღემდე დაეხეტებიან ტყეში. საბრალო ბავშვები. ლეინელმა ტერეზა კინგმა ისინი შარშან ნახა, როცა მდინარეზე სარეცხს რეცხავდა.

ამას აღარ ველოდი, თუმცა მზად კი უნდა ვყოფილიყავი. ორი ბავშვი ტყეში ნოკნარის სიახლოვეს დაიკარგა. ბუნებრივია, ისინი ადგილობრივი ფოლკლორის ნაწილი უნდა გამხდარიყვნენ. მოჩვენებების არ მჯერა, მაგრამ ამ სურათისგან - უხორცო ფიგურები ბინდბუნდში, წყნარი ხმები - ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თუმცა, იმავდროულად, უაზრო მრისხანებაც ვიგრძენი: რატომ ლეინელმა ქალმა ნახა ისინი და არა მე?

- დაკითხვის დროს, - განვაგრძე მე, რათა საჭირო თემას დავბრუნებოდით, - თქვენ პოლიციას შეატყობინეთ, თითქოს ტყის სიახლოვეს საეჭვო ბიჭები დადიოდნენ.

- რეგვენები, - ზიზღით ჩაიფრუტუნა მისის ფიცჯერალდმა, - იფურთხებოდნენ და ასე შემდეგ... მამაჩემი ყოველთვის ამბობდა, ეს ცუდ აღზრდაზე მიუთითებსო. თუმცა მათგან ორმა ჭკუას უხმო. კონსეპტა მილზის შვილი ახლა კომპიუტერებს აკეთებს. ის სხვა ქალაქში გადავიდა - ბლექროკში, თუ არ ვცდები. ნოკნარიმ თურმე ვერ დააკმაყოფილა. ერთიც დევლინია, - მის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, - საბრალო ქეითის (ღმერთმა აცხონოს მისი სული) მამა. შესანიშნავი ადამიანია.

- მესამეს რა დაემართა? - ვკითხე მე, - შეინ უოტერსს?

მან ტუჩები მოკუმა და ჩაი მოსვა.

- მასეთების შესახებ არც მინდა, რამე ვიცოდე.

---

[96] პაკი - ტყის სული, შექსპირისა და კიპლინგის ნაწარმოებთა პერსონაჟი.

- აჰ... ცუდ გზას დაადგა? - კესიმ გაგებით დააქნია თავი, - კიდევ ერთი ბისკვიტი თუ შეიძლება, მისის ფიცჯერალდ? საუკუნეა, ასეთი გემრიელი რამ არ მიჭამია.

კესი ბისკვიტს არასდროს ჭამს. ამბობს, არ იჭმებაო.

- რა თქმა უნდა, ჩემო კარგო. კარგი იქნება, თუ ცოტას მოიმატებთ. მე კიდევ ბევრი მაქვს. მას შემდეგ, რაც ქალიშვილმა მიკროტალღური ღუმელი მიყიდა, ერთ ჯერზე ორმოცდაათ ცალს ვაცხობ და საყინულეში ვინახავ.

კესიმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ყველაზე გემრიელის არჩევა უნდოდა და მოზრდილ ნაჭერს დაადგა თვალი. შემეშინდა, ბევრი არ შეეჭამა, თორემ მისის ფიცჯერალდი მორიგ პარტიას გაათბობდა. კესიმ გაჭირვებით დაღეჭა და ჩაილაპარაკა:

- შეინ უოტერსი კვლავაც ნოკნარიში ცხოვრობს?

- არა, მაუნთჯოის ციხეში, - ზიზღით ჩაილაპარაკა ჩვენმა მასპინძელმა, - სწორედ იქ ცხოვრობს, ის და მისი მეგობარი, რომელთან ერთადაც ავტოგასამართი სადგური გაძარცვა... დანა მიაბჯინეს საბრალო თანამშრომელს და მოკვლით დაემუქრნენ. დედამისი ყოველთვის ამბობდა, ცუდი ბიჭი არ არის, ცოტა თავქარიანიაო, მაგრამ, ასეა თუ ისე, უპატიებელი საქციელი ჩაიდინა.

კარგი იქნებოდა, მისის ფიცჯერალდისთვის სემი გაგვეცნო, ადვილად გაუგებდნენ ერთმანეთს.

- პოლიციას შეატყობინეთ, რომ იქ გოგოებიც იყვნენ, - განვაგრძე მე და ბლოკნოტი გადავშალე.

მან უკმაყოფილო სახით დააქნია თავი:

- უსირცხვილო გოგოები. მეც არ ვიყავი წინააღმდეგი, ბიჭებისთვის ფეხი მეჩვენებინა - ეს საუკეთესო ხერხია მათი ყურადღების მისაპყრობად, არა? - მისის ფიცჯერალდმა თვალი ჩამიკრა და ჩაიხითხითა. სახე ღიმილმა გაუნათა და მივხვდით, რომ ოდესღაც ძალზე სიმპათიური ქალიშვილი იქნებოდა: მხიარუ-

ლი, ცელქი, ხალისიანი, - მაგრამ ისინი ისე იცვამდნენ, რომ ტანსაცმელზე ფული არ ეხარჯებოდათ - ლამის შიშვლები დადიოდნენ. ახლა ყველას გამომწვევად აცვია, ნაირ-ნაირი მოკლე მაისური თუ შორტი. მაშინ კი კიდევ არსებობდა წესიერების რაღაც ნორმა.

- ხომ არ გახსოვთ, რა ერქვათ?

- ერთი მერი გალაერის უფროსი ქალიშვილი იყო. უკვე თხუთმეტი წელია, ლონდონში ცხოვრობს, მაგრამ აქ ხშირად ჩამოდის - კაბების საჩვენებლად და სამსახურით სატრაბახოდ, თუმცა ცოტა ხნის წინათ მერის წამოსცდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მდივანია. მას ადრეც უყვარდა ფანტაზიორობა.

გული დამწყდა, - ლონდონი, - მაგრამ მისის ფიცჯერალდმა ჩაის მოზრდილი ყლუპი მოსვა და თითი ასწია:

- კლერი, დიახ. ჯერაც კლერ გალაერია. არ გათხოვილა. რამდენიმე წლის წინათ ვიღაც განქორწინებულზე დაინიშნა, - მერის კინაღამ თავზარი დაეცა, - მაგრამ რატომღაც არ გამოუვიდათ.

- მეორე ქალიშვილი?

- აჰ, ის აქ არის. დედასთან ერთად ნოკნარი-ქლოუზში ცხოვრობს, ქალაქის ღარიბულ ნაწილში, თუ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. ორი შვილი ჰყავს, ქმარი კი არა. აბა, რა ეგონა? თუ უსიამოვნებას ეძებ, ადრე თუ გვიან, მიაგნებ კიდეც. ერთ-ერთი დაა სკალების ოჯახიდან. ჯეკი უიკლოუს გაჰყვა ცოლად, თრეისი ლომბარდში მუშაობს... სანდრა - ეს კი თავისთვისაა. სანდრა სკალი. შეჭამეთ, არ დატოვოთ, ჩემო კარგო, - უთხრა კესის, რომელმაც ბისკვიტი შეუმჩნევლად გადადო და ისეთი სახე მიიღო, თითქოს დაავიწყდა.

- გმადლობთ, მისის ფიცჯერალდ, ძალიან დაგვეხმარეთ, - ვთქვი მე.

კესიმ სწრაფად ჩაიტენა პირში ბისკვიტის ნარჩენი და ჩაი დააყოლა. ბლოკნოტი დავხურე და ავდექი.

- დამელოდეთ! - შეგვაჩერა დიასახლისმა. იგი სამზარეულოში გავარდა, იქიდან გაყინული ბისკვიტის პაკეტი შემოიტანა და კესის მიაჩეჩა, - აი, ეს თქვენ. არა, არა, არა, - გაიქნია ხელი კესის პროტესტის საპასუხოდ (გვეკრძალება მოწმისგან საჩუქრის მიღება, მიუხედავად იმისა, იჭმება ის თუ არა), - მოგიხდებათ. ძალზე სასიამოვნო ქალიშვილი ხართ. თქვენს მეგობარსაც გაუნაწილეთ, თუ დაიმსახურებს. ქალაქის ღარიბული ნაწილი (იქ არასდროს ვყოფილვარ, მშობლები ნებას არ გვრთავდნენ) მდიდრულისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა - ოდნავ უარესი სახლებით და ოდნავ მეტი სარეველებით ბაღებში. ნოკნარი-ქლოუზის ბოლოში კედელს გრაფიტი[97] ამშვენებდა, თუმცა ძალზე მორიდებული: მხოლოდ მარკერით გაკეთებული წარწერები, მაგალითად, "ლივერპული მართავს", "მარტინა+-კონორი=სამუდამოდ". "ჯოუნზი - გეი" - არაფერი ისეთი, რაც დიდ ქალაქებში არ ხდება. აქ მანქანასაც კი დავტოვებდი ღამით, რომ დამჭირვებოდა. კარი სანდრამ გააღო. თავდაპირველად, ვერც ვიცანი. სანდრა იმ ქალიშვილთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც სწრაფად იფურჩქნებიან, თუმცა სწრაფადვე ჭკნებიან. სამუდამოდ დამამახსოვრდა ოქროსფერი კულულები და მოხდენილი ტანი, მკვრივი, მიმზიდველი - მწიფე ატამივით, ახლა კი ზღურბლზე დაღლილი, ზორზოხი ქალი იდგა, ეჭვიანი გამოხედვითა და მქრქალი სპილენძისფერი თმით. წამით დანაკარგის სიმწარე ვიგრძენი. თითქმის მინდოდა, ის არ ყოფილიყო.

---

[97] გრაფიტი - წარწერები ან ნახატები შენობებისა და გადასასვლელების კედლებზე, მატარებლების ვაგონებზე და ა.შ. მიიჩნევა ახალგაზრდობის თვითგამოხატვის ერთ-ერთ სახეობად.

- რით შემიძლია, დაგეხმაროთ? - მისი ხმა უფრო ღრმად და უხეშად ჟღერდა, მაგრამ მაინც დავიჭირე მასში უწინდელი რბილი და ფშვინიერი კილო ("რომელია შენი ბიჭი?" - ხასხასა ფრჩხილმა ჯერ ჩემზე მიუთითა, შემდეგ - პიტერზე, მაგრამ ჯემიმ თავი გადააქნია და შუბლშეკვრით თქვა: "ე-ე!" კედელზე შემომჯდარმა სანდრამ გაიცინა და ფეხები ააქანავა: "მალე სხვანაირად დაიწყებ ფიქრს!").

- მიზ სანდრა სკალი? - ვკითხე მე.

სახემოღუშულმა თავი დაგვიქნია. ჯერ ჟეტონები არ ამოგვეღო, სანდრა კი უკვე მიხვდა, რომ პოლიციელები ვიყავით და თავდაცვისთვის მოემზადა. სახლიდან ბავშვის წივილი ისმოდა, რომელიც რაღაც ლითონის საგანს ახმაურებდა.

- მე დეტექტივი რაიანი ვარ, ეს კი დეტექტივი მედოქსია. ჩემს კოლეგას ცოტა ხნით თქვენთან გასაუბრება სურს.

ვიგრძენი, რომ გვერდით მდგარი კესი ოდნავ შეინძრა. მცირე ეჭვიც რომ გამჩენოდა, "ჩვენ"-ს ვიტყოდი, რასაც ქეით დევლინის შესახებ შეკითხვების ჩვეულებრივი პროცედურა მოჰყვებოდა, მაგრამ ამ დროისთვის საკუთარ თავში ყველაფერი გავარკვიე. ეჭვი არ აღმძვრია, სანდრას კი ქალთან უფრო გაუადვილდებოდა ლაპარაკი, ვიდრე კაცთან.

სანდრას სახე დაეძაბა.

- დეკლენთან დაკავშირებით მოხვედით? გადაეცით ბებერ ძუკნას, რომ იმ შემთხვევის შემდეგ მას მაგნიტოფონი წავართვი... და თუკი რამე ესმის, ეს მხოლოდ ხმებია მის საკუთარ თავში.

- არა, არა, - რბილად შეეპასუხა კესი, - მსგავსი არაფერი ხდება. ჩვენ ერთ ძველ საქმეზე ვმუშაობთ და ვიფიქრეთ, რომ ჩვენი დახმარება შეგეძლოთ. შეიძლება, შემოვიდე?

ქალმა ერთხელ კიდევ შეგვათვალიერა და მხრები აიჩეჩა.

- განა არჩევანი მაქვს?

იგი გვერდზე გადგა და კარი შეაღო. ცხვირში სამზარეულოდან გამოსული სუნი მეცა.

- გმადლობთ, - ღიმილით მიუგო კესიმ, - შევეცდები, დიდხანს არ მოგაცდინოთ.

შესვლისას მან მხარზემოდან გამომხედა და თვალი ჩამიკრა, შემდეგ კარი მიიხურა.

კესი არ ბრუნდებოდა. მანქანაში ვიჯექი და მანამ ვეწეოდი, სანამ სიგარეტი არ გამითავდა. ხან ფრჩხილებს ვიკვნეტდი, ხან საჭეზე "ღამის სერენადას" ვაკაკუნებდი, ხანაც ხელსაწყოების პანელს გასაღებით ვწმენდდი. "რატომ არ მივამაგრე კესის ტანზე მოსასმენი მოწყობილობა? - სევდიანად ვეკითხებოდი საკუთარ თავს, - დახმარება რომ დასჭირდეს?" წლებს სანდრა ძალიან შეეცვალა და მეეჭვებოდა, რომ კესი საუბრის სწორად წარმართვას შეძლებდა. ფანჯარა დავუშვი და გავიგონე, რომ ბავშვი ყვირილსა და ხმაურს განაგრძობდა. შემდეგ სანდრას ხმამაღალი შეძახილი და მირტყმის ხმა გაისმა და პატარა აღრიალდა - უფრო წყენისგან, ვიდრე ტკივილისგან. გამახსენდა, როგორ ანათებდა სანდრას თეთრი კბილები, როდესაც იცინოდა, აგრეთვე იდუმალი ჩაღრმავება მისი ბლუზის ჭრილში.

მომეჩვენა, რომ რამდენიმე საათი გავიდა. ბოლოს კარი გაიღო და იქიდან კესი გამოვიდა, სწრაფი ნაბიჯებით გამოემართა მანქანისკენ, შიგ ჩაჯდა და სული მოითქვა.

- უუფ, მართალი იყავი. თავიდან ვერ ავალაპარაკე, მაგრამ შემდეგ...

შიშისგან თუ სიხარულისგან ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

- რა გითხრა?

კესიმ სიგარეტი ამოიღო და სანთებლის ძებნას შეუდგა.

- მოდი, ცოტა წინ წავიდეთ და შევუხვიოთ. სანდრას არ მოსწონს, მის სახლთან მანქანა რომ დგას - ეშინია, მეზობლებმა მითქმა-მოთქმა არ დაიწყონ.

დასახლებიდან გავედი და გათხრების ადგილთან მდებარე ავტოსადგომზე გავჩერდი, კესის ერთი ღერი ქალის სიგარეტი წავართვი და სანთებელა ავანთე.

- მაშასადამე...

- იცი, რა განმიცხადა? - კესიმ შუშა დაუშვა და ბოლო გარეთ გაუშვა. ახლაღა შევამჩნიე გაშმაგება, - მითხრა: "ეს გაუპატიურება არ ყოფილა, უბრალოდ, მაიძულეს". არანაკლებ სამჯერ გამიმეორა. მადლობა ღმერთს, პატარა შვილები ჰყავს, რათა რამე კავშირი ჰქონდეთ...

- კესი, - ვთხოვე მე, - იქნებ თავიდან დაგეწყო?

- დაწყება - ქეთლ მილზია, რომელიც მაშინ ცხრამეტი წლის იყო, თვითონ კი - თექვსმეტის. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაგარ ბიჭად მიიჩნევდნენ და სანდრა მის გამო ჭკუას კარგავდა. ჯონათან დევლინი და შეინ უოტერსი მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ. შეყვარებულები არ ჰყავდათ. ჯონათანმა სანდრას თვალი დაადგა, ქალიშვილსაც მოსწონდა იგი. ურთიერთობის დაწყებიდან ექვსი თვის თავზე ქეთლმა ქალიშვილს უთხრა, რომ ჯონათანს მასთან - სიტყვასიტყვით ვამბობ: "დაწოლა უნდოდა", რაც, მისი აზრით, კარგი იდეა იყო. თითქოს მეგობარს სიგარეტს ან ლუდის ქილას უწვდიდა. ღმერთო ჩემო, მაშინ ხომ ოთხმოციანი წლები იდგა, ბიჭებს პრეზერვატივიც არ ჰქონდათ...

- კესი...

მან სანთებელა ფანჯრიდან მოისროლა. საუცხოო მსროლელი იყო: ხეს ზუსტად შუაში მოარტყა. ადრეც მინახავს მისი გაშმაგება (ვფიქრობ, ეს ბაბუამისის ფრანგული სისხლის, სამხრეთული ტემპერამენტის ბრალი იყო) და ვიცოდი, რომ საბრალო ხეზე მრისხანების გადმონთხევის შემდეგ კესი დამშვიდდებოდა. იგი სავარძელზე გადაწვა, ნაფაზი დაარტყა და მალე მორჩილად გაიღიმა.

- ჩემთვის სანთებელა გმართებს, პრიმადონა, - ვთქვი მე, - აბა, რა მოხდა?

- შენ კი შარშანდელი შობის საჩუქარი უნდა მომიტანო. კარგი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. სანდრა ჯონათანთან დაწოლის წინააღმდეგი არ იყო. ეს ერთხელ თუ ორჯერ მოხდა, რის შემდეგაც ორივენი თავს უხერხულად გრძნობდნენ, მაგრამ მალე მიეჩვივნენ...

- ეს როდის მოხდა?

- ზაფხულის დასაწყისში, 1984 წლის ივნისში. როგორც ჩანს, შემდეგ ჯონათანმა სხვა გოგო გაიცნო, - ვფიქრობ, კლერ გალაერი, - და, როგორც სანდრა ფიქრობს, მეგობარს ძველი ვალი დაუბრუნა. ქალიშვილი ქეთლს ეჩხუბა, მაგრამ ეს ამბავი თავგზას უბნევდა და გადაწყვიტა, დაევიწყებინა.

- ღმერთო, - ჩავილაპარაკე მე, - მაშასადამე, ლამის ჯერი სპრინგერის შოუში მიცხოვრია. თემა: "თინეიჯერი ბიჭები ცოლების გაცვლაზე საუბრობენ".

მათ გვერდით კი, რამდენიმე იარდისა და რამდენიმე წლის დაშორებით, მე და პიტერი "მკვდარ ხელებს"[98] ვთამაშობდით და დარტსის[99] ისრებს კარმაიკლების ძაღლს ვესროდით. ჩვენ თითქოს პარალელურ სამყაროებში ვცხოვრობდით, რომლებიც შემთხვევით გადაიკვეთა და ერთმანეთს ფენებად დაედო. ჩვენ ფეხქვეშ დამალული სხვა ეპოქების ფენებზე გავიფიქრე, იმ მელაზე, ფანჯრის მიღმა რომ კიოდა თავის, სრულიად განსხვავებულ ქალაქში.

---

[98] მკვდარი ხელები" - ერთგვარი საბავშვო თამაში.

[99] დარტსი - ერთგვარი თამაში: მრგვალ დაფაზე პატარა ისრების ხელით ზუსტად მორტყმა.

- შემდეგ კი, - განაგრძო კესიმ, - თამაშის სურვილი შეინმაც გამოთქვა. ქეთლს, ცხადია, საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, სამაგიეროდ, სანდრას არ უნდოდა - შეინი არ მოსწონდა, "მუწუკებიან მყრალას" ეძახდა. როგორც ჩანს, ის ცოტას თუ მოსწონდა, მაგრამ ბიჭები მასთან მეგობრობდნენ, რადგან ერთმანეთს ლამის დაბადებიდან იცნობდნენ. ქეთლი დიდხანს ცდილობდა ქალიშვილის დაყოლიებას, - უნდა გითხრა, ერთი სული მაქვს, მის ინტერნეტისტორიას გადავავლო თვალი, - სანდრა კი უარზე იდგა, ამბობდა, მოვიფიქრებო. ბოლოს, ტყეში თავს დაესხნენ: ქეთლმა და ჩვენმა მამაცმა ჯონათანმა გოგო გააკავეს, შეინმა კი გააუპატიურა. სანდრა თარიღს ვერ აზუსტებს, მაგრამ ახსოვს, რომ ჩალურჯებები ჰქონდა და ეშინოდა, ვაითუ სწავლის დაწყებამდე არ გამიაროსო. ასე რომ, ეს, ალბათ, აგვისტოში მოხდებოდა.

- ჩვენ თუ დაგვინახა? - ვკითხე ხმადაბლა. სანდრას ნაამბობი ჩემსას დაემთხვა და ამან ამაფორიაქა და დამაფრთხო.

კესიმ შემომხედა. მისი სახე არაფერს გამოხატავდა, მაგრამ ვიცოდი, რომ მამოწმებდა, კარგად ვიყავი თუ არა. შევეცადე, გულგრილი გამომეტყველება მიმეღო.

- ასე არ ვიტყოდი. მან... წარმოიდგინე მისი მდგომარეობა. მაგრამ სანდრას ახსოვს, რომ მინდორზე ფეხების ბრაგაბრუგი მოესმა, სამეული კი აყვირდა. ჯონათანი დაგედევნათ, შემდეგ კი დაბრუნდა და თქვა: "წყეული ბავშვები"... თუ რაღაც ამგვარი.

კესიმ სიგარეტი დაფერფლა. მისი დაძაბული პოზა მაფიქრებინებდა, რომ თხრობა არ დაემთავრებინა. გზის მოპირდაპირე მხარეს მარკი, მელი და კიდევ ორი არქეოლოგი პალოებითა და რულეტით საქმიანობდნენ. მელმა ხმამაღლა, გულიანად გაიცინა და შესძახა:

- აბა, თუ მოახერხებ!

- ჰოდა?.. - ხანგრძლივ პაუზას ვეღარ გავუძელი. სხეული იმ მწევარივით მიცახცახებდა, კვალს რომ მიაგნო. ადრე უკვე ვთქვი, რომ ეჭვმიტანილებს არასდროს ვურტყამ, მაგრამ ახლა თვალწინ სიპოვიცის[100] სტილის მაცდუნებელი სურათები მედგა: დევლინს კედელზე ვაკრავ, სახეში შევღრიალებ და საჭირო პასუხებს ვათქმევინებ.

- იცი, თავშესაქცევი რა არის? - გაეცინა კესის, - სანდრას ქეთლ მილზთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ისინი კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს, სანამ ბიჭმა არ მიატოვა.

"სულ ეს არის?" - მინდოდა, მეკითხა, მაგრამ მხოლოდ ეს ჩავიბურტყუნე:

- ვფიქრობ, არასრულწლოვნის გაუპატიურებისთვის ხანდაზმულობის ვადა გაცილებით მეტია, - თავში დაკითხვის სცენები მიტრიალებდა, - ასე რომ, დრო გვაქვს. სიამოვნებით დავაპატიმრებდი იმ არამზადას ყველას თვალწინ.

კესიმ თავი გადააქნია და თქვა:

- სანდრა არ უჩივლებს. მიაჩნია, რომ თვითონ არის დამნაშავე, რახან ასეთ ბიჭს დაუკავშირდა.

- დევლინს უნდა დაველაპარაკოთ, - ვთქვი და მანქანა დავქოქე.

- მოიცადე, - შემაჩერა კესიმ, - კიდევ არის რაღაც. შესაძლოა, წვრილმანია, მაგრამ... როდესაც ყველაფერი დასრულდა, ქეთლს - გულწრფელად გეუბნები, მისი საქმიანობა უნდა შევისწავლოთ, დარწმუნებული ვარ, რამეს მივაგნებთ - უთქვამს, "ჭკვიანი გოგო ხარო" და უკოცნია. სანდრა იჯდა, ცახცახებდა, ტანსაცმლის გასწორებასა და გონზე მოსვლას ცდილობდა. უეც-

---

[100] სიპოვიცი - ცნობილი ამერიკული ტელესერიალ "ნიუ-იორკის პოლიციის" პერსონაჟი.

რად ტყეში, სადღაც იქვე, რაღაც ხმა გაისმა. სანდრამ მითხრა, მსგავსი არასდროს მსმენიაო. მისი თქმით, ეს უშველებელი ფრინველის ფრთების ტყლაშუნს ჰგავდა, ოღონდ ადამიანის ხმით გამოცემულს, თითქოს ვიღაც ყვიროდა. ყველანი წამოხტნენ და თვითონაც აყვირდნენ, შემდეგ ქეთლმა, ისევ ის წყეული ბავშვები იქნებიანო, და ხეებისკენ ქვა ისროლა, მაგრამ ხმაური არ შემწყდარა. უკვე ბინდდებოდა, ვეღარაფერს არჩევდნენ. შიშისგან თითქოს ხელ-ფეხი წაერთვათ, დაძვრა ვერ გაებედათ, მხოლოდ ისხდნენ და ყვიროდნენ. ბოლოს ყველაფერი მიყუჩდა და მოესმათ, რომ ვიღაც შორდებოდათ და ტყის სიღრმისკენ მიემართებოდა - რაღაც დიდი, არანაკლებ ადამიანის ზომისა. უკანმოუხედავად მოუსვეს. სანდრამ დაამატა, რომ მძაფრი სუნიც იგრძნო - თხის თუ რომელიღაც ცხოველის. ასეთი სუნი ზოოპარკში დგას ხოლმე.

- ეს რაღა ჯანდაბაა? - ვთქვი მე. ასეთ შემობრუნებას არ ველოდი.

- მაშასადამე, თქვენ არ ყოფილხართ.

- ალბათ.

გამახსენდა, რომ თავ-პირის მტვრევით გავრბოდით, ყურებში ქარი გვიწუოდა, ვგრძნობდით, რომ რაღაც ძალიან ცუდი მოხდა. ბოლოს, აქოშინებულები ტყის პირას შევჩერდით და ერთმანეთს მივაჩერდით. მეეჭვება, ამის შემდეგ მდელოზე დაბრუნება და ფრთებ მოფართხუნე ფრინველის მიბაძვით იქ მყოფთა დაშინება გადაგვეწყვიტა, თანაც ამას კიდევ თხის სუნი ემატებოდა.

- იქნებ სანდრას მოეჩვენა?

კესიმ მხრები აიჩეჩა.

- არც ამის გამორიცხვა შეიძლება, მაგრამ იქნებ ტყეში მართლა ცხოვრობს რომელიღაც გარეული ცხოველი?

ირლანდიის ტყეებში მაჩვზე მრისხანე ცხოველი არ ბინადრობს, თუმცა შიგადაშიგ მაინც აგორდება ხოლმე ხმა, განსაკუთრებით მი ვარდნილ პროვინციებში, ძირითადად, მიდლენდსში, რომ ცხვა რს ყელი გამოღადრეს, რომ ღამით ვიღაც გამვლელმა საშინელი ჩრდილი ან ანთებული თვალები დაინახა. ჩვეულებრივ, ეს ადვილად აიხსნება უცნაური განათებით ან გზააბნეული ძაღლით, მაგრამ იდუმალებით მოცული შემთხვევებიც არსებობს.

ჩემს მაისურზე გაჩენილი ნახვრეტები გამახსენდა. კესის არასდროს სჯეროდა ამ საშინელი ცხოველის არსებობისა, თუმცა თვი თონ აზრი მოსწონდა, ვინაიდან შუა საუკუნეების ლეგენდებს აგონებდა "შავი ძაღლის" შესახებ, რომელიც გზაში შეყოვნებულ მგზავრებს თავს ესხმოდა. იგი, როგორც ჩანს, იმედოვნებდა, რომ ქვეყანაში კიდევ იყო გამოუკვლეველი ადგილები, რომლებიც არც რუკაზე აღენიშნათ და არც კამერით გადაეღოთ, და რომ ირლანდიის ზოგიერთ მიყრუებულ ადგილას პუმისხელა საშიში ქმნილებები დაძრწოდნენ და თავიანთ საზარელ საქმეებს ღამის სიბნელეში აგვარებდნენ.

სხვა ვითარებაში ეს იდეა გამიტაცებდა კიდეც, მაგრამ ახლა მისთვის არ მეცალა. გამოძიების დაწყებისთანავე, როგორც კი მანქანით ბორცვის თავზე ავედით და ჩვენ წინ ნოკნარი გადაიშალა, ზღვარი ჩემსა და იმ წარსულ დღეს შორის თანდათანობით წაიშალა. ახლა კი ისე დაიხვეწა, რომ ოდნავი ფაჩუნი და ხმაური, ხელისგულებში მოქცეული ჩრჩილის ფართხალი და ფუსფუსიც მესმოდა. დრო არ მქონდა, ზოოპარკიდან გაქცეულ ვეფხვთან თუ ლოხნესის ურჩხულთან დაკავშირებულ საეჭვო თეორიასა და მსგავს ბოდვაზე მეფიქრა, კესის რომ აეკვიატებინა.

- არა, - ვთქვი მე, - შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად, ამ ტყეში ვცხოვრობდით. იქ რომ მელაზე დიდი ცხოველი ყოფილიყო,

აუცილებლად გვეცოდინებოდა. მსგავსი რამ არც ძებნის დროს აღმოუჩენიათ. ან ბუჩქებში იმალებოდა თვალთვალის მოყვარული ვიღაც ტვინნაღრძობი, ან ეს ყველაფერი სანდრამ მოიგონა.

- შესაძლოა, - მშვიდად დამეთანხმა კესი. კვლავ დავქოქე მანქანა, - მოიცა, დევლინს რაზე უნდა ელაპარაკო?

- რამეს მოვიფიქრებ, ყოველ შემთხვევაში, არხეინად ჯდომას არ ვაპირებ, - ვთქვი მე და ვიგრძენი, რომ სადაც იყო, ხმას ავუწევდი.

კესიმ წარბები ასწია.

- მართალი ხარ, არხეინად ჯდომა არაფერს მოგვიტანს, წავალ, დეიდაშვილებს სხვადასხვა საკითხზე დაველაპარაკები, შენ კი შეტყობინება გამომიგზავნე, როცა გათავისუფლდები. დევლინთან მამაკაცური საუბარი გექნება და არა მგონია, ჩემი თანდასწრებით გაუპატიურებაზე რამე თქვას.

- ჰო, რა თქმა უნდა, - მივუგე ოდნავ შეცბუნებულმა, - გმადლობთ, კესი. ეს კარგი აზრია.

იგი მანქანიდან გადავიდა. მე გვერდით სავარძელზე გადაბობღება დავიწყე - მეგონა, კესის საჭესთან დაჯდომა სურდა, მაგრამ მან ხეებისკენ აიღო გეზი, ბალახი მოქექა და ჩემს სანთებელას მიაგნო.

- გამომართვი, - მითხრა მან, როდესაც დაბრუნდა, - ახლა შენ გმართებს საშობაო საჩუქარი.

13 თავი

მანქანა დევლინების სახლთან გავაჩერე.

- არ ვიცი, რობ, - მითხრა კესიმ, - გიფიქრია თუ არა იმაზე, რომ, შესაძლოა, სხვა მიმართულებით უნდა ვიფიქროთ.

- რას გულისხმობ?

- გახსოვს, რომ გითხარი, ქეითის გაუპატიურება სიმბოლური აქტი მგონია და სექსთან კავშირი არა აქვს-მეთქი? ახლა კი გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც დევლინის ქალიშვილზე ძალადობის არასექსუალური მოტივი ჰქონდა... და მან ამისთვის უცხო საგანი გამოიყენა.

- სანდრაზე ამბობ? აი, ასე, მოულოდნელად, ოცი წლის შემდეგ?

- გაიხსენე გაზეთებში ატეხილი ხმაური, სტატიები ქეითისა და დახმარების ფონდის შესახებ... იქნებ ამან უბიძგა.

- კესი, - ვთქვი და ღრმად ამოვისუნთქე, - მე ერთი უბრალო პროვინციელი ბიჭი ვარ. ნეტავ იმაში გამარკვია, რაც ცხადია, ცხადი კი ჯონათან დევლინია.

- მართალი ხარ, - მან მოულოდნელად ხელი გაიშვირა და უხერხული მოძრაობით თმა ამიჩეჩა, - აბა, წინ, პროვინციელო. წარმატებას გისურვებ.

ჯონათანი შინ დამხვდა. მითხრა, მარგარეტი შვილებთან ერთად დასთან წავიდა, ოღონდ არ უთქვამს, რატომ და რა ხნითო. საშინლად გამოიყურებოდა, გამხდარიყო, სახეზე კანი ძველი ტანსაცმელივით მომჩვაროდა, გატანჯული მზერა ჰქონდა. მოკლედ შეკრეჭილი თმა შუბლზე მიჰკვროდა და რატომღაც გამახსენდა, რომ ძველად სასოწარკვეთილი ნათესავები კულულს იჭრიდნენ და კოცონში აგდებდნენ. დევლინმა დივანზე მიმითითა, თვითონ კი სავარძელში ჩაჯდა, ხელები ერთმანეთს გადააჭდო და იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო. აქაურობა მიტოვებულ

სახლს ჰგავდა. არც ფუსფუსის ხმა ისმოდა, არც ჩართული ტელევიზორის, არც გადაშლილი წიგნის, არც სუნი შემოდიოდა სამზარეულოდან - არანაირი კვალი იმისა, თუ რას აკეთებდა იგი ჩემს მოსვლამდე.

დევლინს ჩაი არ შემოუთავაზებია. ვკითხე მათი საქმეების შესახებ, ავუხსენი, რომ რამდენიმე ვერსიაზე ვმუშაობდით, მოკლედ ვუპასუხე მის პირქუშ შეკითხვებს და დავინტერესდი, რამე დეტალი ხომ არ გაიხსენეთ-მეთქი. აღგზნებამ, მანქანაში რომ დამეუფლა, მაშინვე გამიარა, როგორც კი დევლინმა კარი გააღო. კარგა ხანია, ასეთი თავშეკავებული და მშვიდი არ ვყოფილვარ. მარგარეტი, როზალინდა და ჯესიკა, შესაძლოა, წუთი წუთზე დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ასე არ მოხდებოდა. ფანჯრები მტვერს დაეფარა. იქიდან შემოსული მზის სხივები მაგიდის გალაქულ ზედაპირსა და კარადის შუშის კარებს ეცემოდა, ათინათები ოთახში მიმობნეულიყო. ასე მეგონა, წყალქვეშ ვიყავით. სამზარეულოდან საათის ნელი, მძიმე წიკწიკი მესმოდა, მაგრამ სახლის დარჩენილ ნაწილში და ქუჩაშიც კი სამარისებური სიჩუმე იდგა, თითქოს მთელი ნოკნარი ორთქლად გადაქცეულიყო, ჰაერს შერეოდა და ირგვლივ, მრავალი მილის მანძილზე, მხოლოდ მე და დევლინი დავრჩენილიყავით. ვისხედით და ერთმანეთს შევყურებდით. დევლინის ხმა მკაფიოდ, გარკვევით ისმოდა, მისი ექო სახლის ყველა კუთხიდან მოდიოდა და ვხვდებოდი, რომ საჩქარო არაფერი მქონდა.

- ვინ არის თქვენთან შექსპირის თაყვანისმცემელი? - ვკითხე და გულგრილი სახით ჯიბიდან ბლოკნოტი ამოვიღე.

შეკითხვა საქმეს არ შეეხებოდა, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ეს დაძაბულობის განმუხტვაში დამეხმარებოდა, თანაც, მაინტერესებდა კიდეც.

ჯონათანმა შუბლი შეიკრა.

- რა?

- თქვენი ქალიშვილების სახელებს ვგულისხმობ, - მივუგე, - როზალინდა, ჯესიკა, კატარინა. შექსპირის პიესის პერსონაჟები არიან, ხომ ასეა? თუ ეს მხოლოდ დამთხვევაა?

დევლინმა თვალები აახამხამა, მის მზერაში თითქოს ფარული სითბო გაკრთა. გაიღიმა. სასიამოვნო ღიმილი ჰქონდა, მხიარული, მაგრამ ოდნავ მორცხვი, იმ ბიჭივით, რომელიც ელოდება, როდის შეამჩნევს ვინმე მის ახალ სკაუტის სამკერდე ნიშანს.

- თქვენ პირველი ხართ, ვინც ეს შეამჩნია. დიახ, მიყვარს შექსპირი, - თქვა დევლინმა და თავი დამიქნია, - ქორწინების შემდეგ თვითგანათლებისა და სრულყოფის გზით წავედი... წავიკითხე მილტონი, შექსპირი, ორუელი. მილტონმა ვერ მიმიზიდა, აი, შექსპირმა კი... თავდაპირველად მიჭირდა, მაგრამ თანდათანობით მივეჩვიე. მარგარეტს ხშირად ვაჯავრებდი, ვეუბნებოდი, თუ ტყუპი გვეყოლა, ბიჭს სებასტიანს დავარქმევ, გოგოს კი - ვიოლას-მეთქი.[101] ის კი მპასუხობდა, სკოლაში დასცინებენო...

უეცრად ღიმილი გაუქრა და შეტრიალდა. მივხვდი, რომ შესაფერისი მომენტი დადგა.

- ლამაზი სახელებია, - შევაქე მე. დევლინმა გულგრილად დამიქნია თავი, - ჰო, მართლა, კიდევ ერთი შეკითხვა: ქეთლ მილზი და შეინ უოტერსი - ეს სახელები ხომ არ გეცნობათ?

- რატომ? - მკითხა წარბშეკვრით.

მომეჩვენა, რომ ოდნავ გაფაციცდა, მაგრამ სინათლისკენ ზურგით იჯდა და მის სახეს ცუდად ვხედავდი.

- ისინი გამოძიების დროს ახსენეს.

წარბები ერთმანეთს დაუახლოვა, ტანი საჩხუბრად გამზადებული ძაღლივით დაეძაბა.

---

[101] შექსპირის პიესის, "მეთორმეტე ღამის" პერსონაჟები.

- ეჭვმიტანილები არიან?

- არა, - ვთქვი მტკიცედ. ამას ვერაფრით გავუმხელდი. არა იმიტომ, რომ წესია ასეთი. ვგრძნობდი, რომ ჯონათანი, სადაც იყო, ხელიდან დამისხლტებოდა. გიტარის სიმივით დაიჭიმა, ოდნავი ყოყმანი და მაშინვე კარისკენ მიმითითებდა, - ჩვენ მხოლოდ ყველა ვერსიას ვამოწმებთ. მომიყევით მათ შესახებ.

დევლინმა ორიოდე წამს კიდევ მიყურა, შემდეგ კი მხრები ჩამოყარა და მოდუნდა.

- ბავშვობაში ვმეგობრობდით, მაგრამ წლებია, ურთიერთობა აღარ გვქონია.

- როდის დამეგობრდით?

- როგორც კი ჩვენი ოჯახები აქ დასახლდნენ. თუ არ ვცდები, 1972 წელს. ჩვენ, სამნი, პირველები ვიყავით დასახლებაში, დანარჩენ სახლებს ჯერაც აშენებდნენ. ქალაქი ჩვენ გვეკუთვნოდა. როდესაც მშენებლები შინ მიდიოდნენ, საათობით ვთამაშობდით იქ. ის ადგილი უზარმაზარ ლაბირინთს ჰგავდა. ექვსი--შვიდი წლის ვიქნებოდით.

მის ხმაში სხვანაირმა კილომ გაიჟღერა - ფესვგამდგარმა ნოსტალგიამ - და უეცრად მივხვდი, რომ მარტოსული იყო. არა მხოლოდ ახლა, ქეითის სიკვდილის შემდეგ, არამედ საერთოდ.

- თქვენი მეგობრობა დიდხანს გაგრძელდა?

- როდესაც ცხრამეტი წელი შეგვისრულდა, ჩვენი გზები თანდათან გაიყო, თუმცა კარგა ხნის განმავლობაში კავშირს არ ვწყვეტდით. რატომ მეკითხებით? ამას ჩვენს საქმესთან რა კავშირი აქვს?

- ორი მოწმე გვყავს, - ვთქვი გულგრილი კილოთი, - რომლებიც ამტკიცებენ, რომ 1984 წელს თქვენ, ქეთლ მილზმა და შეინ უოტერსმა ერთი აქაური გოგონა გააუპატიურეთ.

დევლინი წამსვე მხრებში გაიმართა, ხელები მომუშტა.

- რა ჯანდაბაა... თქვენ... ქეითი რა შუაშია? თქვენ ბრალს მდებთ... დალახვროს ეშმაკმა!

- როგორც ვხედავ, არ უარყოფთ იმას, რაშიც ბრალს გდებთ, - ვთქვი მე.

- მაგრამ არც ვადასტურებ! როგორ მოვიქცე, ადვოკატი გამოვიძახო?

ნებისმიერი ადვოკატი მაშინვე პირზე ბოქლომს დაადებდა.

- მომისმინეთ, - წინ გადავიხარე და რბილად, ნდობის კილოთი განვაგრძე, - მე მკვლელობათა გამოძიების განყოფილებაში ვმუშაობ და სექსუალური დანაშაული არ მეხება. ოცი წლის წინანდელი გაუპატიურების ფაქტი მხოლოდ იმიტომ მაინტერესებს...

- სავარაუდო გაუპატიურების.

- რა თქმა უნდა, სავარაუდოსი, მაგრამ მიმიფურთხებია მისთვის, თუკი ის მკვლელობას არ უკავშირდება. აქ სწორედ ამიტომ ვარ.

ჯონათანმა ღრმად ჩაისუნთქა და რაღაცის თქმა დააპირა. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ კარისკენ მიმითითებდა.

- თუ აქ წამით მაინც გსურთ დარჩენა, ერთი საკითხი უნდა გავარკვიოთ, - განაცხადა მან, - არასდროს თითიც კი არ დამიკარებია ჩემი გოგონებისთვის. არასდროს.

- არავინ გაბრალებთ, რომ...

- ამაზე მას შემდეგ მიმანიშნებთ, რაც პირველად გამოჩნდით ჩემს სახლში, მე კი შეურაცხყოფას ვერ ავიტან. მე მიყვარს ჩემი ქალიშვილები. ძილის წინ ვეხვევი მათ, მაგრამ მათ ყოველთვის ისე, როგორც მოსიყვარულე მამა. გასაგებია?

- დიახ, - მივუგე და შევეცადე, ეს უირონიოდ წარმომეთქვა.

- ძალიან კარგი. ახლა კი იმის შესახებ, რაც ბრძანეთ. იდიოტი არა ვარ, დეტექტივო რაიან. რომც ჩამედინა ისეთი რამ,

რისთვისაც, შესაძლოა, ციხეში ჩამსვან, თქვენ რატომ უნდა გადმოგიშალოთ გული?

- ახლავე აგიხსნით. არსებობს ვარაუდი, - ღმერთმა დაგლოცოს, კესი, - რომ გაუპატიურების მსხვერპლმა ქეითი შურისძიების ნიადაგზე მოკლა, - დევლინს თვალები გაუფართოვდა, - ამის ალბათობა მცირეა, თანაც არც მტკიცებულებები გვაქვს, ასე რომ, ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ. კერძოდ, არ მინდა, იმ ქალთან ნებისმიერი სახის კონტაქტი დაამყაროთ. თუ ჩვენი ეჭვი გამართლდება, მთელ საქმეს ჩაგვიშლით.

- მასთან ურთიერთობას არ ვაპირებ.

- კარგია. მიხარია, რომ გამიგეთ. ახლა მინდა მომხდარის თქვენეული ვერსია მოვისმინო.

- რატომ? რათა ბრალი წამიყენოთ?

- გარანტიას ვერ მოგცემთ, - ვთქვი და თავი გადავაქნიე, - ყოველ შემთხვევაში, არ დაგაპატიმრებთ. ამას მე არ ვწყვეტ. ბრალის წაყენება-არწაყენება პროკურორსა და მსხვერპლზეა დამოკიდებული. მაგრამ მეეჭვება, მან სასამართლოში გიჩივლოთ. მხოლოდ გაგება მინდა, რა მოხდა. თვითონ გადაწყვიტეთ, მისტერ დევლინ, გსურთ ქეითის მკვლელს მივაგნოთ?

ჯონათანი დუმდა. იმავე პოზაში იჯდა - წინ გადახრილი და თითებგადაჭდობილი - და ყურადღებით მიყურებდა. შევეცადე, თვალი არ დამეხამხამებინა და მეგობრული სახე მიმეღო.

- ყველაფრის ახსნა რომ შემეძლოს... - ჩაილაპარაკა მან, წამოხტა და გისოსებიან ფანჯარასთან მივიდა. მისი მუქი სილუეტი მკვეთრად მოჩანდა კაშკაშა ფონზე.

- მითხარით, ახლო მეგობრები თუ გაიჩინეთ მას შემდეგ, რაც წამოიზარდეთ? - მკითხა მან.

- ალბათ, არა.

- საკუთარ თავზე უკეთ არავინ იცნობს იმ ადამიანებს, რომ ლებთან ერთადაც გაიზარდა. შემიძლია, ხვალვე მივიდე ქეთ-

ლსა და შეინთან და ახლაც კი, ამდენი წლის შემდეგ, მათ ჩემ შესახებ მარგარეტზე მეტი ეცოდინებათ. ჩვენ ღვიძლი ძმებივით ვართ. ისეთ ოჯახებში არ ვცხოვრობდით, რომლებსაც თქვენ ბედნიერს უწოდებთ: შეინი უმამოდ გაიზარდა, ქეთლის მამა მაწანწალა იყო, ჩემი მშობლები სვამდნენ. ჩვენს გამართლებას არ ვცდილობ, უბრალოდ, მინდა, ყველაფერი ნათლად წარმოიდგინოთ. როდესაც ათი წელი შეგვისრულდა, სისხლისმიერი ძმები, ძმადნაფიცები გავხდით - ოდესმე თუ მონაწილეობდით ასეთ რიტუალში? თითები გაგიჭრიათ და ჭრილობები ერთმანეთზე მიგიდვიათ?

- როგორც მახსოვს, არა.

მართლა არ მახსოვდა, ასეთი რამ გაგვეკეთებინოს, თუმცა ეს ჩვენს ხასიათს შეეფერებოდა.

- შეინს ეშინოდა გაჭრის, მაგრამ ქეთლმა დაიყოლია. იგი, ვისაც გნებავთ, იმას დაითანხმებდა, - დევლინმა ოდნავ გაიღიმა, - როდესაც "სამი მუშკეტერი" ვნახეთ, ქეთლმა გადაწყვიტა, რომ ეს ჩვენი დევიზი იქნებოდა: "ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის". ამბობდა, ერთმანეთი უნდა დავიცვათ, რადგან ყველა ჩვენს წინააღმდეგ არისო, - დევლინმა გამომცდელი მზერა მომაპყრო, - რამდენი წლის ხართ? ოცდაათის? ოცდათხუთმეტის?

თავი დავუქნიე.

- მაშასადამე, გაგიმართლათ. ჩვენ სკოლა ოთხმოციანი წლების დასაწყისში დავამთავრეთ. ქვეყანა მუხლებზე იდგა. სამუშაოს სანთლითაც ვერ იპოვიდით. თუ მამას ბიზნესი არ ჰქონდა, ან ემიგრაციაში უნდა წასულიყავით, ან შემწეობის საშუალებით გეცხოვრათ. მართალია, ფულითა და კარგი ნიშნებით - ეს ჩვენ არ გვეხებოდა - კოლეჯში შესვლა შეიძლებოდა, მაგრამ ამით პრობლემას მხოლოდ გადაავადებდით. დილიდან დაღამებამდე ქალაქში დავეხეტებოდით, არ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა, სად წავსულიყავით. არაფერი გაგვაჩნდა, საკუთარი თავის გარდა.

არ ვიცი, შეძლებთ თუ არა გაიგოთ, რა ძლიერია ასეთი კავშირი... და რა სახიფათოა.

ვხვდებოდი, საითაც მიჰყავდა საუბარი, მაგრამ უეცრად შურის მსგავსი გრძნობა გამიჩნდა. სკოლაში ყოველთვის ვოცნებობდი ასეთ მეგობრობაზე: ჯარისკაცებისა და სამხედრო ტყვეების პირქუშ ძმობაზე, სისხლითა და ომით გამყარებულ კავშირზე.

ჯონათანმა სული მოითქვა.

- კარგი. ქეთლმა ერთი გოგო გაიცნო - სანდრა. თავდაპირველად, ეს უცნაური იყო: გოგონები ადრეც გვყოლია, მაგრამ სერიოზულ ურთიერთობას გავურბოდით, სანდრა კი, მომხიბლავი სანდრა, მაშინვე მოგვეწონა - სიცილი უყვარდა, უმანკო ჩანდა... ვფიქრობ, სწორედ ის იყო ჩემი პირველი სიყვარული... მოკლედ, როდესაც ქეთლმა მითხრა, მასაც მოსწონხარ და შენთან ყოფნა უნდაო, სიხარულისგან კინაღამ ჭკუაზე შევიშალე. საკუთარ ბედნიერებას ვერ ვიჯერებდი.

- ნუთუ ეს ცოტა უცნაურად არ მოგეჩვენათ?

- არც იმდენად, როგორც უნდა მომჩვენებოდა. ცხადია, ახლა ეს სიგიჟედ აღიქმება, მაგრამ მიჩვეული ვიყავით, რომ ყველაფერი უნდა გაგვეყო. მხოლოდ ის გავაკეთეთ, რასაც ყოველთვის ვაკეთებდით. იმ დროს ერთი გოგო მყავდა, რომელიც ქეთლთანაც დაწვა, მაგრამ წარბიც არ შემიხრია. ის გოგო ჩემთან, ალბათ, იმიტომ იყო, რომ ქეთლს სხვა ჰყავდა. მას ჩემზე უკეთესი გარეგნობა ჰქონდა.

- შეინი ამ სქემას ვერ ერგებოდა?

- სწორედ მისგან დაიწყო ყველაფერი. სანდრაზე ისიც გიჟდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად იმას განიცდიდა, რომ ჩვენ მას "ვუღალატეთ", როგორც თვითონ ამბობდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ვჩხუბობდით. შეინი თითქმის აღარ გველაპარაკებოდა. ამან ძალიან შემაწუხა: მეჩვენე-

ბოდა, რომ ჩვენი მეგობრობა იმსხვრეოდა. გეცოდინებათ, მოზარდებისთვის უბრალო წვრილმანი ზოგჯერ სამყაროს დასასრულს ნიშნავს...

იგი გაჩუმდა.

- შემდეგ რა მოხდა? - ვკითხე მე.

- ქეთლმა აიკვიატა, რახან სანდრამ წაგვაჩხუბა, მანვე უნდა შეგვარიგოსო. ამას შეშლილივით იმეორებდა. თუ სამივეს ერთი გოგო გვეყოლება, ეს საბოლოოდ გაამყარებს ჩვენს მეგობრობას, უკეთ, ვიდრე ძმობის შეფიცვის რიტუალიო. არ ვიცი, თვითონ თუ სჯეროდა ამის... ქეთლს ზოგჯერ უცნაური აზრები უჩნდებოდა თავში, განსაკუთრებით მაშინ, როცა... თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე კვლავაც ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ამას ყოველდღე ჩამჩიჩინებდა, და რადგან შეინი ყოველთვის...

- და თქვენ არ გიკითხავთ, რას ფიქრობდა ამაზე სანდრა?

ჯონათანმა ამოიოხრა.

- ცხადია, უნდა გვეკითხა, - მიპასუხა ცოტა ხნის შემდეგ, - არ გეკამათებით, მაგრამ... საკუთარ სამყაროში ვცხოვრობდით. დანარჩენი არცთუ რეალური გვეგონა. დიახ, სანდრაზე ვგიჟდებოდი, მაგრამ, შესაძლოა, ასევე გავგიჟებულიყავი პრინცესა ლეიაზე[102] ან სხვაზე. თავს არ ვიმართლებ, - რაც ჩავიდინეთ, იმის გამართლება შეუძლებელია, - უბრალოდ, გიხსნით.

- შემდეგ რა მოხდა?

დევლინმა შუბლზე ხელი მოისვა.

- ტყეში ვიყავით. ოთხნი - კლერს აღარ ვხვდებოდი. ჩვეულებისამებრ, მდელოზე გავედით. შესაძლოა, არ გახსოვდეთ, მაგრამ იმ წელს ჩვენთან არაჩვეულებრივი ზაფხული იდგა: ცხელი, როგორც საბერძნეთში, უღრუბლო ცა, შუაღამემდე დღე გეგონე-

---

[102] პრინცესა ლეია - "ვარსკვლავური ომების" პერსონაჟი.

ბოდათ. დილიდანვე ტყეში ან მის ახლომახლო დავხეტიალებდით. ვირუჯებოდით - იტალიელ სტუდენტს დავემსგავსე, ოღონდ თვალების გარშემო დამრჩა სითეთრე, რადგან მზის შავ სათვალეს ვატარებდი... ერთი სიტყვით, მოსაღამოვდა. მთელი დღე მდელოზე ვიყავით, დავლიეთ, რამდენიმე ღერი თვითნაკეთი სიგარეტი მოვწიეთ, ვფიქრობ, გვარიანად შევთვერით: არა მხოლოდ სასმლისა და მოსაწევისგან, არამედ საერთოდ, ზაფხულისგან, მზისგან, ახალგაზრდობისგან... შეინს ხელის გადაწევაში შევეჯიბრე და, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ძლიერი და მოხერხებული ვიყავი, განზრახ წავაგე. შემდეგ ხუმრობით ჩხუბი გავაჩაღეთ, ერთმანეთს ხელს ვკრავდით, ბალახზე ვკოტრიალობდით... ხომ იცით, როგორც ხდება ამ ასაკის ახალგაზრდებში. ქეთლი და სანდრა ყვიროდნენ, გვამხნევებდნენ. ქეთლმა მას ღიტინი დაუწყო, ის კი იცინოდა და წიოდა. ორივენი ბალახზე დაეცნენ და ფეხებში შეგვიგორდნენ... ჩვენ ზემოდან აღმოვჩნდით... და უეცრად ქეთლმა იყვირა: "ახლა!"

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა.

- სამივემ გააუპატიურეთ? - ვკითხე ბოლოს.

- არა, მხოლოდ შეინმა. თუმცა ეს არაფერს ცვლის. მე სანდრას ვიჭერდი... - ჯონათანმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოიოხრა, - არ ვიცოდი, თუ ასეც ხდებოდა. ჩვენ თითქოს ცოტათი შევიშალეთ. ყველაფერი არარეალურს ჰგავდა, გესმით? როგორც ღამის კოშმარულ სიზმარში ან ჰალუცინაციის დროს. დრო უსაშველოდ გაიწელა. საშინლად ცხელოდა, ოფლი ღვარად მდიოდა, თავბრუ მეხვეოდა. ზოგჯერ თავს მაღლა ვწევდი და ვხედავდი, რომ ხეები კედელივით აღმართულიყვნენ და წაწვეტებული ტოტებით გვემუქრებოდნენ. მეჩვენებოდა, რომ საცაა, ჩაგვყლაპავდნენ კიდეც. ყველაფერს უცნაური, მომწამვლელი ფერი დასდებოდა, როგორც ძველ ფილმებში. ცა თითქმის გათეთრდა და ზედ თითქოს შავი წერტილები ბრწყი ნავდა. შემდეგ თავი

კვლავ დავხარე - ვგრძნობდი, სხვებისთვის უნდა ამეხსნა, რომ რაღაც არასწორი და არანორმალური ხდებოდა, მაგრამ მაინც ვაკავებდი სანდრას... ხელები ჩამევლო, მაგრამ მათ ვეღარ ვგრძნობდი, თითქოს სხვისი ხელები იყო. ამან შემაშინა. ქეთლი ჩემ გვერდით იყო, მისი სუნთქვა ჭექა-ქუხილივით მაყრუებდა. ვეღარ ვცნობდი მას, ვერ გამეგო, ვინ იყო და რას აკეთებდა. სანდრა გვეწინააღმდეგებოდა, ხმა მესმოდა და... დალახვროს ეშმაკმა... გეფიცებით, წამით მომეჩვენა, რომ მონადირეები ვიყავით, ჩვენ წინ კი წაქცეული ნადირი ეგდო, რომელიც შეინს უნდა მოეკლა...

დევლინის ნაამბობი სულ უფრო ნაკლებად მომწონდა.

- თუ სწორად გავიგე, - ცივად გავაწყვეტინე მას, - თქვენ ალკოჰოლისა და აკრძალული ნარკოტიკების ზემოქმედებას განიცდიდით. შესაძლოა, მზის დარტყმაც მიიღეთ და ძლიერ ემოციურ შოკში იყავით. თქვენი აზრით, შეეძლო თუ არა ამ ყველაფერს ის შეგრძნებები გამოეწვია, რომლებსაც აღწერთ?

ჯონათანმა ერთხანს უსიტყვოდ მიყურა, შემდეგ კი მხრები აიჩეჩა.

- დიახ, - მშვიდად თქვა მან, - შეეძლო. გიმეორებთ, თავს არ ვიმართლებ. მხოლოდ გიყვებით, რა და როგორ მოხდა.

ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი საზიზღარი, ეგოისტური, მელოდრამატიზმით სავსე და წინასწარ ადვილად განსაჭვრეტი ამბავი იყო: დაკითხვების დროს ხშირად მომისმენია ასეთი ზღაპრები, და მათ ყოველთვის ერთი მიზანი ჰქონდათ - დაემტკიცებინათ, რომ მომხდარში ბრალი არ მიუძღოდათ, რომ არცთუ დიდი უბედურება მომხდარა, რომ ყველაფერი შემთხვევით, თავისით მოხდა. მე სხვა რამ მაშფოთებდა - რატომ სჯეროდა მისი ჩემი გონების თუნდაც მცირე ნაწილს? ცხადია, ქეთლის იდეალისტური მოტივები არაფრად მიმაჩნდა, მაგრამ ჯონათანი... მას თითქოს გზა აებნა საკუთარ წარსულში, როდესაც ყველანი ცხრამეტ-

ცხრამეტი წლის იყვნენ და ჰაერი მეგობრებისადმი, ქალებისადმი, მეგობრების ქალებისადმი სიყვარულით იყო დამუხტული. თავგანწირვით ებღაუჭებოდა წარმოუდგენელ შესაძლებლობას, რომელიც დროს უკუღმა დაატრიალებდა და მათი ჩაკეტილი და დამსხვრეული მეგობრობის ნაწილებს შეაკოწიწებდა. მომხდარი მას სიყვარულის გამოვლინებად მიაჩნდა - თუნდაც დამახინჯებული, უცნაური, უცხოებისთვის გაუგებარი სიყვარულის, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა: მე მხოლოდ ის მინდოდა, დევლინისთვის მეტი წვრილმანი მეთქმევინებინა.

- ქეთლ მილზსა და შეინ უოტერსთან ურთიერთობა აღარ გაქვთ? - ვკითხე მე.

- არა, - ჩაილაპარაკა მან, ფანჯარაში გაიხედა და გაიცინა, - მის შემდეგ, რაც მოხდა? მე და ქეთლი ერთმანეთს საშობაო ღია ბარათებს ვუგზავნით, ასევე ჩვენი ცოლებიც. შეინის შესახებ კი კარგა ხანია, არაფერი მსმენია. ერთხელ წერილი მივწერე, მაგრამ არ მიპასუხა, და ამის გაკეთება აღარ მიცდია.

- მაშასადამე, ერთმანეთს იმ შემთხვევის შემდეგ დაშორდით?

- ეს წლების მანძილზე გაგრძელდა, მაგრამ თუ დავუკვირდებით, დიახ, ამას სათავე იმ დღემ დაუდო. ყველანი უხერხულად ვგრძნობდით თავს. ქეთლი ამის შესახებ ლაპარაკს ცდილობდა, შეინი დამნაშავე კატასავით ნერვიულობდა, მე დანაშაულის შეგრძნება არ მასვენებდა და ყველაფრის დავიწყებაზე ვოცნებობდი... სასაცილოა, არა? გვეგონა, საუკუნოდ დავმეგობრდით, - დევლინმა თავი გადააქნია, - მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ადრე თუ გვიან, დავიშლებოდით. ასე ხდება ხოლმე. ქეთლი სხვა ქალაქში გადავიდა, მე ცოლი მოვიყვანე...

- შეინი?

- ვფიქრობ, იცით, რომ შეინი ციხეშია, - ცივად მითხრა ჯონათანმა, - ეს საბრალო, მსუქანი ნაბიჭვარი ათი წლით გვიან რომ

დაბადებულიყო, ახლა მშვენივრად იქნებოდა. იმას არ ვამტკიცებ, რომ უდიდეს წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ არც სამსახურის შოვნა გაუჭირდებოდა და, ალბათ, ოჯახსაც მოეკიდებოდა. ეს სულ ოთხმოციანი წლების ბრალია. მთელი თაობა უფსკრულში გადაიჩეხა. მოგვიანებით ეკონომიკური აღმავლობა კი დაიწყო, მაგრამ ჩვენთვის უკვე გვიან იყო. ამ ასაკში ყველაფერს თავიდან ვეღარ დავიწყებდით. მე და ქეთლს უფრო გაგვიმართლა. მათემატიკაში ვერკვეოდი და ბანკში მოვეწყვე, ქეთლმა კი ვიღაც მდიდარი კაცი გაიცნო, რომელმაც გართობის მიზნით კომპიუტერზე მუშაობა ასწავლა. როდესაც ამ დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნა გაჩნდა, შეინი მათ შორის აღმოჩნდა, ვინც არა მხოლოდ კომპიუტერის ჩართვა-გამორთვა იცოდა. ყოველთვის ვიცოდი, რომ ქეთლი არ დაიკარგებოდა, აი, შეინი კი... არც ოჯახი ჰყავდა, არც სამსახური ჰქონდა, არც განათლება და არც პერსპექტივა. ჰოდა, რა დაკარგა, როცა სხვისი გაძარცვა გადაწყვიტა?

ამ სიტყვების მიუხედავად, საკუთარ თავში შეინ უოტერსის მიმართ თანაგრძნობის ნასახიც ვერ აღმოვაჩინე.

- გაუპატიურებისთანავე რამე უჩვეულო ხომ არ გაგიგონიათ? ვთქვათ, დიდი ფრინველის ფრთების ტყლაშუნი?

გადავწყვიტე, არ მეთქვა, რომ ეს რაღაც ხმა იყო, როგორც სანდრამ მითხრა. რატომ უნდა მოაჩვენო კაცს თავი იმაზე დიდ იდიოტად, ვიდრე სინამდვილეში ხარ? ჯონათანმა გაოცებით შემომხედა.

- ჩვენს ტყეში მრავალი არსებაა, მათ შორის, ფრინველებიც არიან. ტყის ხმებს ყურადღებას იშვიათად ვაქცევ, მაშინ კი ამის თავი სად მქონდა. თქვენ, ალბათ, ვერ მიხვდით, როგორ მდგომარეობაში ვიყავი. არა მხოლოდ მე, ყველამ გავაფრინეთ. ციებცხელებიანივით მაკანკალებდა, თითქმის ვერაფერს ვხედავდი, ყველაფერი ბურუსს მოეცვა. სანდრა თითქოს იხრჩობოდა, სუნ-

თქვა უჭირდა. შეინი ბალახზე იწვა, ხეებს შეჰყურებდა და იკრუნ-ჩხებოდა. ქეთლმა სიცილი დაიწყო. მდელოზე დადიოდა და შეშ-ლილივით იცინოდა. ვუთხარი, ხმა გაკმინდე-მეთქი, თორემ...

დევლინი გაჩუმდა.

- რა მოხდა? - ვკითხე მე.

- დამავიწყდა, - აუჩქარებლად წარმოთქვა მან, - დარწმუნე-ბული არა ვარ, მაგრამ... ძალზე უცნაური რამე მოხდა, თუმცა... იქნებ მოგვეჩვენა. იმის გათვალისწინებით, რა მდგომარეობა-შიც ვიყავით...

ველოდებოდი. ბოლოს მან ამოიოხრა და კისერი ისე შეარ-ხია, თითქოს საყელო უჭერდა.

- კარგი. აი, ძირითადად, რა მახსოვს: ქეთლს ხელი ვტაცე და ვუბრძანე, სიცილი შეეწყვიტა, თორემ დავარტყამდი, ის კი მაისურში ჩამეჭიდა. გიჟივით იყურებოდა და ვიფიქრე, ახლა ვიჩხუბებთ-მეთქი. სიცილი კი გრძელდებოდა, ოღონდ ჩვენ არ ვიცინოდით: ეს ხმა ტყიდან მოდიოდა. სანდრა და შეინი აყვირ-დნენ. იქნებ მეც ვყვიროდი, არ მახსოვს... სიცილი სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმოდა, ბოლოს კი... ქეთლმა ხელი გა-მიშვა და რაღაც შესძახა ბავშვებზე, მაგრამ ვიფიქრე, არა-- მეთქი...

- ბავშვები?

მოულოდნელად საოცრად მომინდა წამოხტომა და სახლი-დან გაქცევა. რა თქმა უნდა, ჯონათანი ვერ მიცნობდა: მაშინ პა-ტარა ბიჭი ვიყავი, გაცილებით ქერა, ვიდრე ახლა. მას შემდეგ თმა გამიმუქდა, აქცენტი შევიცვალე და სახელიც გადავირქვი, მაგრამ თავი მაინც დაუცველად და გაშიშვლებულად ვიგრძენი.

- დიახ, დასახლებაში ათი-თორმეტი წლის ბავშვები ცხოვ-რობდ ნენ, რომლებიც ხშირად თამაშობდნენ ტყეში. ზოგჯერ გვითვალთვალებდნენ, რაღაცას გვესროდნენ ხოლმე და გარ-ბოდნენ, მაგრამ ვერაფრით დავიჯერე, რომ ბავშვი იცინოდა. ეს

ძლიერი ხმა იყო და ახალგაზრდა, შესაძლოა, ჩვენი ასაკის კაცს ეკუთვნოდა... და არა ბავშვს.

წამით კინაღამ ავყევი ცდუნებას, რომ ეს შემთხვევა გამომეყენებინა და კითხვა დამესვა. სიტყვები ნელ-ნელა მოიწევდა ტუჩებისკენ, ძალას იკრებდა, უკვე ენის წვერზე მედგა და სადაც იყო, სუნთქვასავით ჩუმ შეძახილად გადმოხეთქავდა. "ის ბავშვები იმ დღესაც გითვალთვალებდნენ? ხომ არ შეშფოთდით, რომ ნანახს სხვებს მოუყვებოდნენ? რა გააკეთეთ მათ შესაჩერებლად?" მაგრამ ჩემში დეტექტივმა გაიმარჯვა. ვიცოდი, რომ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა მექნებოდა და მისთვის კარგად უნდა მოვმზადებულიყავი.

- რომელიმე თქვენგანს ხომ არ უცდია იმის გარკვევა, ეს რა იყო? - ვკითხე მე. ჯონათანი ჩაფიქრდა და იატაკს ყურადღებით დააცქერდა.

- არა. უკვე გითხარით, რომ შოკირებული ვიყავით, ნერვები დაწყვეტაზე გვქონდა. მე ნამდვილად დამბლადაცემულივით ვიდექი და ნაბიჯის გადადგმას ვერ ვახერხებდი. ხმა კი სულ უფრო ძლიერდებოდა. გვეგონა, მალე მთელი დასახლება აქ შეიყრებოდა ამბის გასაგებად. ჩვენც შეშლილებივით ვყვიროდით... მალე ხმა მიწყდა. შეინი ყვირილს განაგრძობდა, მაგრამ ქეთლმა თავში ხელი წამოარტყა და გააჩუმა. იქაურობას სასწრაფოდ გავეცალეთ. შინ დავბრუნდი, მამას სასმელი გამოვართვი და გამოვთვერი. არ ვიცი, სხვები როგორ მოიქცნენ.

ესეც კესის იდუმალი მხეცი. ალბათ, იმ დღეს ტყეში ვიღაც იყო, რომელმაც გაუპატიურებაც დაინახა და, შესაძლოა, ჩვენც მოგვკრა თვალი.

- თქვენი აზრით, ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო? - ვკითხე დევლინს.

- ვერაფერს გეტყვით. მოგვიანებით, მგონი, ქეთლმა სცადა ამის გარკვევა. ამბობდა, უნდა დავადგინო, ვინ იყო და რა დაინახაო. მეტი არაფერი ვიცი.

წამოვდექი.

- გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ, მისტერ დევლინ. მომავალში, შესაძლოა, კიდევ დაგისვათ რამდენიმე შეკითხვა, ჯერ-ჯერობით კი ჩვენ...

- მოითმინეთ! - გამაწყვეტინა მან, - თქვენ ვარაუდობთ, რომ ქეითი სანდრამ მოკლა?

იგი ფანჯარასთან იდგა - მხრებში მოხრილი, ჯიბეებში ხელ-ჩაწყობილი, დათრგუნვილი და სახემოღუშული, მაგრამ კვლავაც ძველებურად ღირსეულად.

- არა. უბრალოდ, ყველა ვერსიას ვამოწმებთ.

ჯონათანმა თავი დააქნია.

- მაშასადამე, მთავარი ეჭვმიტანილი არა გყავთ, - ჩაილაპარაკა მან, - დიახ, დიახ, ვიცი, რომ ამის თქმის უფლება არა გაქვთ და ასე შემდეგ... თუ სანდრას შეხვდებით, გადაეცით, რომ ძალიან ვწუხვარ. რაც ჩვენ გავაკეთეთ, საშინელებაა. ვიცი, რომ ახლა ლაპარაკს აზრი აღარ აქვს. ამაზე ოცი წლის წინათ უნდა გვეფიქრა. მაგრამ... მაინც გადაეცით.

იმავე დღეს მაუნთჯოის ციხეში წავედი შეინ უოტერსთან დასალაპარაკებლად. დარწმუნებული ვიყავი, კესისთვის რომ მეთხოვა, წამოჰყვებოდა, მაგრამ მინდოდა, ეს მარტოკას გამეკეთებინა.

შეინი მუწუკებიანი და ნერვიული კაცი გამოდგა, ვირთხასავით თავი ჰქონდა. პატარა ულვაშები მოეშვა და ძალიან არ უხდებოდა. ნარკომანს ჰგავდა. რა არ ვცადე, როგორი ტაქტიკა არ გამოვიყენე, ყველაფერს დავპირდი, რაც კი გამახსენდა, - პირობების გაუმჯობესებას, შეღავათს, სწრაფად გათავისუფლებას, - იმ იმედით, რომ არ იცოდა, რა შემეძლო, მაგრამ მისი უტვინო-

ბის მაღალი კოეფიციენტი ვერ გავითვალისწინე. შეინს, როგორც ჩანს, ხელი ჩაექნია შესაძლებლობებისა და შედეგების გაანალიზებაზე, მარტივი ტაქტიკა აერჩია და ვირივით ჯიუტად ერთსა და იმავეს იმეორებდა. "არაფერი ვიცი, - ამბობდა ბრიყვული თვითკმაყოფილებით, რითაც ლამის გამაცოფა, - და ვერაფერს დაამტკიცებთ". ვკითხე სანდრას გაუპატიურების, პიტერისა და ჯემის, ჯონათან დევლინის შესახებაც კი, პასუხად კი მივიღე: "არ ვიცი, რაზე ლაპარაკობთ". დავნებდი, სხვა რა გზა მქონდა, თუმცა სიამოვნებით ჩავცხებდი რამეს.

აქეთობას საკუთარ სიამაყეს მივაფურთხე და კესის დავურეკე, რომელსაც არც კი უცდია ისეთი სახე მიეღო, თითქოს ჩემი მგზავრობის შესახებ არაფერი იცოდა. მას მთელი საღამო სანდრა სკალის ალიბის შემოწმებაზე დაეხარჯა. აღმოჩნდა, რომ მკვლელობის ღამეს იგი ქალაქის სატელეფონო გამოძახების ცენტრში მუშაობდა. მისმა უფროსმა და ცვლის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ იგი იქ ღამის ორ საათამდე იჯდა, რის შემდეგაც ჟურნალში ხელი მოაწერა და სახლში ღამის ავტობუსით გაემგზავრა. ეს კარგი სიახლე იყო, - ყველაფერი ემთხვეოდა და გამიხარდა, რომ ეჭვმიტანილთა სიიდან სანდრას ამოღება შეიძლებოდა, - მაგრამ რატომღაც არ მსიამოვნებდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ იჯდა დახუთულ და მკვეთრად განათებულ დარბაზში დამატებითი შემოსავლის მაძიებელ სტუდენტებსა და უმუშევარ მსახიობებთან ერთად.

დეტალებით თავს აღარ შეგაწყენთ, მაგრამ მე და კესის დიდი ძალისხმევა და გამომგონებლობა დაგვჭირდა, - უმეტეს შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად კანონიერის, - რათა ქეთლ მილზთან სასაუბროდ მისთვის ყველაზე არახელსაყრელი დრო შეგვერჩია. მას მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა რთულად წარმოსათქმელი სახელწოდების მქონე დიდ კომპანიაში, რომლის საქმიანობის მთავარი მიმართულება "პროგრამული პროდუქ-

ციის ლოკალიზაციის კორპორატიული ელექტრონული სწავლება" იყო (ამან განმაცვიფრა: არ ველოდი, თუ ქეთლს რამე უფრო მეტად შემაძულებდა). მას მაშინ გამოვეცხადეთ, როდესაც მნიშვნელოვან პოტენციურ კლიენტთან გადამწყვეტ შეხვედრაზე მიემართებოდა. თვითონ შენობა მეტისმეტად დამთრგუნველი იყო - გრძელი უფანჯრო დერეფნები, ურიცხვი კიბე, სწრაფად რომ გიქვეითებდნენ სივრცეში ორიენტაციის უნარს, სტერილური ჰაერი, რომელშიც აშკარად შეიმჩნეოდა ჟანგბადის ნაკლებობა, კომპიუტერების წყნარი ზუზუნი, დახშული ხმები და შუშის კაბინების ლაბირინთი, თითქოს რომელიღაც შეშლილი მეცნიერის მიერ ვირთხებზე ცდების ჩასატარებლად აგებული. როდესაც კოდირებული პლასტიკური ბარათით გასაღები მეხუთე გასაწევ-გამოსაწევი კარი გავიარეთ, კესიმ თვალები დაჭყიტა და დამცინავად შეშინებული მზერა მომაპყრო.

ქეთლი საკონფერენციო დარბაზში იყო, მაშინვე შევამჩნიეთ - პროგრამული პროდუქციის პრეზენტაციას ხელმძღვანელობდა. სასიამოვნო შესახედაობის კაცი იყო: მაღალი, მხარბეჭიანი, ხასხასა ცისფერი თვალებითა და ნებისყოფიანი სახით, თუმცა წელი ოდნავ შესქელებოდა, ნიკაპქვეშ კი ნაკეცები გასჩენოდა. ხუთი-ექვსი წლის შემდეგ გვარიანად ჩასუქდებოდა. მნიშვნელოვან კლიენტს ერთნაირ შავ კოსტიუმებში გამოწყობილი ოთხი უსახო ამერიკელი წარმოადგენდა.

- მაპატიეთ, მეგობრებო, - მოგვმართა ქეთლმა ძალდაუტანებელი ღიმილით, - მაგრამ დარბაზი დაკავებულია.

- მართალი ბრძანებაა, - დაეთანხმა კესი. მას შემთხვევის შესაფერისად ეცვა: გახეხილი ჯინსი და კაშკაშა ცისფერი მაისური, წარწერით "იაპი - წიწილა", - მე დეტექტივი მედოქსი ვარ...

- მე კი დეტექტივი რაიანი, - დავამატე და ჟეტონი ვაჩვენე, - თქვენთვის რამდენიმე შეკითხვის დასმა გვსურს.

ქეთლი კვლავაც იღიმებოდა, ოღონდ თვალებში ნაპერწკალი გაუჩნდა.

- ახლა შეუფერებელი დროა.

- მართლა? - გაუღიმა კესიმ, მაგიდაზე დაჯდა და პროექტორის სხივს გადაეფარა.

- დიახ, - ქეთლმა ცერად გახედა ახალ კლიენტს, რომელიც უკმაყოფილო სახით ფურცლავდა რაღაცას.

- კარგი ადგილია საუბრისთვის, - განაგრძო კესიმ და დარბაზს მოწონებით შეავლო თვალი, - მაგრამ, თუ გნებავთ, შეგვიძლია, ჩვენს ოფისში წავიდეთ.

- რა საქმეზე მობრძანდით?

მან შეცდომა დაუშვა, რომელსაც მაშინვე მიხვდა. ეს რომ ჩვენ თვითონ გვეთქვა, ქეთლს შეეძლო ჩვენთვის სასამართლოში ეჩივლა მიყენებული უხერხულობის გამო.

- ჩვენ ბავშვის მკვლელობის საქმეს ვიძიებთ, - ხალისიანად აუხსნა კესიმ, - ის კი, როგორც ჩანს, ერთი ქალიშვილის დიდი ხნის წინანდელ გაუპატიურებას უკავშირდება და ვიმედოვნებთ, დაგვეხმარებით.

წამის შემდეგ ქეთლი გონს მოეგო.

- ვერ წარმომიდგენია, როგორ, - მან მხრები აიჩეჩა, - მაგრამ, რადგან საქმე ბავშვს ეხება, ცხადია, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია... მეგობრებო, - მიმართა ქეთლმა ამერიკელებს, - ბოდიშს გიხდით შეყოვნებისთვის, ცოტა ხნით დაგტოვებთ. მანამდე ფიონა ჩვენს შენობას დაგათვალიერებინებთ. რამდენიმე წუთში დავბრუნდები.

- მომწონს ოპტიმიზმი, - გაბადრული სახით თქვა კესიმ.

ქეთლმა მას ცივად შეხედა და თითი სელექტორის ღილაკს დააჭირა.

- ფიონა, თუ შეიძლება, დარბაზში შემოდით და ჯენტლმენებს შენობაში მცირე ექსკურსია მოუწყვეთ.

კარი დავიჭირე კლონირებული კლიენტებისთვის, რომლებიც პოკერის მოთამაშისთვის დამახასიათებელი გაქვავებული სახეებით გავიდნენ დერეფანში.

- სასიამოვნო იყო თქვენთან ერთად ყოფნა, - მივაძახე მათ.

- ჩIA-დან არიან? - ხმამაღალი ჩურჩულით მკითხა კესიმ.

ქეთლმა მობილური ამოიღო და თავის ადვოკატს დაურეკა, - როგორც ჩანს, ჩვენზე შთაბეჭდილების მოხდენა სურდა, - ტელეფონი დაკეცა, სავარძელში მოკალათდა და კესის ხაზგასმული მოურიდებლობით მიაჩერდა. ცდუნება გამიჩნდა, მისთვის რაღაც ამის მსგავსი მეთქვა: "გახსოვს, სიგარეტის მოწევა რომ მასწავლე?" - შემდეგ კი მენახა, როგორ გაუქრებოდა ეს თავხედური ღიმილი. კესიმ წამწამები ააფახულა და კეკლუცად გაიღიმა. ქეთლმა შუბლი შეიკრა, პერანგის სახელოდან მაჯა გამოყო და საათს დახედა.

- გეჩქარებათ? - ჰკითხა კესიმ.

- ჩემი ადვოკატი ოც წუთში მოვა, თუმცა ამას აზრი არა აქვს, რადგან არაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი.

- რა თქმა უნდა, - კესიმ რაღაც ქაღალდები განზე გასწია. ქეთლ მა უკმაყოფილო სახე მიიღო, მაგრამ არაფერი თქვა, - ძვირფას დროს ვაკარგვინებთ მისტერ მილზს, რომელმაც არასწრულწლოვანი მხოლოდ და მხოლოდ გააუპატიურა.

- მედოქს, - ჩავიბურტყუნე მე.

- მე არასდროს არავინ გამიუპატიურებია, - თქვა ქეთლმა მჟავე ღიმილით, - ამის აუცილებლობა არ არსებობდა.

- იცი, რა არის უცნაური, ქეთლ, - განაგრძო კესიმ ნდობის კილოთი, - გარეგნულად სიმპათიური ხარ. ვერ გამიგია, რა პრობლემა გაქვს სექსთან დაკავშირებით. შენ ხომ ქალებს აუპატიურებ, რათა საკუთარ თავს დაუმტკიცო, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ, მიუხედავად წვრილმანი პრობლემებისა?

- მედოქს...

- ვფიქრობ, აჯობებს, - თქვა ქეთლმა, - თუ ახლავე მოკეტავ.

- რა მოხდა? არ გიდგება? ბიჭები გიყვარს? თუ ჯერ პატარა ხარ?

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მაჩვენე! - დაიღრინა ქეთლმა, - უნდა გიჩივლო. სამსახურიდან პანღურის კვრით გაგაგდებენ.

- მედოქს! - ვთქვი ხმამაღლა ო ' კელის მიბაძვით, - უნდა დაგელაპარაკო. ახლავე.

- არ ინერვიულო, ქეთლ, - ღიმილით თქვა კესიმ ოთახიდან გასვლისას, - ჩვენს დროში მედიცინა სასწაულს ახდენს.

ხელი ვტაცე და დარბაზიდან გავიყვანე.

დერეფანში გვარიანად შევახურე, ხმადაბლა ვლაპარაკობდი, ოღონდ ისე, რომ ქეთლსაც გაეგო: "ხომ არ გაგიჟდი? ცოტაოდენი პატივისცემა მაინც გამოამჟღავნე, ის ხომ ეჭვმიტანილიც კი არ არის..." სამწუხაროდ, ეს სიმართლე იყო: დავადგინეთ, რომ აგვისტოს პირველი სამი კვირის განმავლობაში მილზი აშშ-ში იმყოფებოდა კომპანიის საქმეებზე. ამას მისი საკრედიტო ბარათებით გადახდილი მოზრდილი თანხაც ადასტურებდა. კესიმ თვალი ჩამიკრა და ცერი ასწია.

- ძალიან ვწუხვარ, მისტერ მილზ, - ვთქვი ღიმილით დარბაზში დაბრუნების შემდეგ.

- თქვენი ნამდვილად არ მშურს, მეგობარო, - მითხრა მან.

გაშმაგებას არაფერი აკლდა, სახეზე ლაქები გასჩენოდა. კესიმ, როგორც ჩანს, იცოდა, სად დაეჭირა ფეხი. შესაძლოა, სანდრამ ისეთი დეტალები გაუმხილა, რომელთა შესახებაც მე არაფერი მითხრა.

- მომიყევით, რა მოხდა, - ვთხოვე მე, მის წინ მდგარ სავარძელში დავჯექი და დაღლილი კაცივით შუბლზე ხელი გადავისვი, - გულწრფელად გეტყვით, მედოქსი საჩუქარი ნამდვილად არ არის. მასზე ჩივილს აზრი არა აქვს - მაშინვე ქალთა უფლე-

ბების დაცვის კომისიას მიმართავს, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ადრე თუ გვიან, მას თავის ადგილს მივუჩენთ. მხოლოდ ცოტა მადროვეთ.

- ისედაც ცხადია, რა უნდა მაგ ძუკნას, - გაეცინა მილზს.

- ეს ყველამ ვიცით, - მხარი ავუბი მე, - მაგრამ ვინ გაბედავს მასთან მიახლოებას იმის მისაცემად?

ორივემ გესლიანად გავიცინეთ.

- აი, რა, ქეთლ, - განვაგრძე მე, - პირდაპირ გეტყვით, რომ ეს საქმე სასამართლომდე არასდროს მივა, არც არავის დააპატიმრებენ. მნიშვნელობა არა აქვს, ეს სიმართლეა თუ არა, რადგან ხანდაზმულობის ვადა უკვე გავიდა. ამჟამად მკვლელობას ვიძიებ, დანარჩენი კი არ მაღელვებს.

მან ჯიბიდან საღეჭი რეზინის შეკვრა ამოიღო, ერთი ფირფიტა პირში ჩაიდო და მეც შემომთავაზა. თავი დავუქნიე და გამოვართვი, თუმცა საღეჭი რეზინი მეზიზღება. ქეთლი თანდათან დამშვიდდა.

- იმას გულისხმობთ, რაც დევლინის ქალიშვილს შეემთხვა? - დააზუსტა მან.

- დიახ. იცნობდით მამამისს? ოდესმე ქეითი თუ გინახავთ?

- არა. ბავშვობაში ჯონათანს ვიცნობდი, მაგრამ მას შემდეგ ურთიერთობა აღარ გვქონია. საშინელი ცოლი ჰყავს.

- დიახ, - დავეთანხმე და ცალყბად ჩავიცინე.

- აბა, რა გაინტერესებდათ გაუპატიურებასთან დაკავშირებით? - იგი უდარდელი სახით ღეჭავდა საღეჭ რეზინს, მაგრამ გაფაციცებული მხეცივით მახვილი და ყურადღებიანი მზერა ჰქონდა.

- ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყველაფერს ვამოწმებთ, რაც დევლინების ოჯახის ცხოვრებას ეხება და უჩვეულოდ ან უცნაურად გამოიყურება. გავიგეთ, რომ ჯონათან დევლინსა და შე-

ინ უოტერსთან მეგობრობდით და რაღაც უსიამოვნო შემთხვევა მოხდა ერთ გოგონასთან. თქვენ ხომ არ გვეტყოდით რამეს?

მერჩივნა, მამაკაცების სოლიდარობის თემა გამემყარებინა, მაგრამ ამის დრო არ მქონდა. ადვოკატის მოსვლისთანავე ჩემი შანსი ნულს გაუტოლდებოდა.

- შეინ უოტერსი, - ჩაეცინა მილზს, - კარგა ხანია, მის შესახებ არაფერი მსმენია.

- ვალდებული არა ხართ, ადვოკატის მოსვლამდე რამე გვითხრათ, - ვუთხარი მას, - მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მკვლელობასთან კავშირი გაქვთ. ვიცით, რომ იმ დროს ქვეყანაში არ იყავით. მე მხოლოდ ინფორმაცია მჭირდება დევლინების შესახებ.

- გგონიათ, რომ ჯონათანმა, შესაძლოა, საკუთარი შვილი გაასაღა?

- ეს თქვენ უნდა გვითხრათ, - ვთქვი მე, - მას ჩემზე უკეთ იცნობთ.

ქეთლს გაეცინა. იგი მოდუნდა, მხრებში გასწორდა და უეცრად ოცი წლით გაახალგაზრდავდა. პირველად დავინახე მასში რაღაც ნაცნობი: ლამაზი პირი, სახიფათო ნაპერწკლები თვალებში.

- აი, რა, მეგობარო, - მითხრა მან, - მინდა, რაღაც გიამბოთ დევლინზე. მისნაირი მშიშარა დედამიწის ზურგზე არსად დადის. შესაძლოა, გარეგნულად მაგარ ტიპს ჰგავს, მაგრამ ეს მოჩვენებითია. არ მახსოვს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაერისკოს, თუ მე არ ვაიძულებდი. ამიტომაც არის ჯონათანი იქ, სადაც არის, მე კი აქ ვარ.

- მაშასადამე, გაუპატიურების იდეა მისი არ ყოფილა?

ქეთლმა თავი გადააქნია და გაიღიმა:

- ვინ გითხრათ, რომ ეს გაუპატიურება იყო?

- ხომ იცით, რომ მოწმის დასახელების უფლება არა მაქვს.

ქეთლი ერთხანს საღეჭ რეზინს ღეჭავდა და მიყურებდა.

- კარგი, - ჩაილაპარაკა მან. სახეზე ღიმილი ჯერაც არ წაშლოდა, - გეტყვით. გაუპატიურება არ ყოფილა, მაგრამ, რომც ყოფილიყო, ჯონათანი ამას ვერასდროს გაბედავდა, შიშისგან ჩაიფსამდა, თანაც ერთხელ კი არა, რამდენიმე კვირის განმავლობაში. განუწყვეტლივ იწუწუნებდა, ვიღაცამ დაგვინახა და პოლიციაში დაგვაბეზღებს, ყველას ციხეში ჩაგვსვამენ, აჯობებს, ნებაყოფლობით ჩავბარდეთო... ის საბრალო ადამიანის კი არა, კატის კნუტის მოკვლასაც ვერ გაბედავს.

- თქვენ? არ გაწუხებდათ, რომ მოწმეს, შესაძლოა, პოლიციისთვის მიემართა?

- მე? - მას სახე გაებადრა, - არა, მეგობარო. თუ დავუშვებთ კიდეც, რომ ეს მართლა მოხდა, წუთითაც არ შემეპარებოდა ეჭვი, რომ თავს დავიძვრენდი.

- მე მისი დაპატიმრების მომხრე ვარ, - ვუთხარი იმ საღამოს კესის. სემი ბოლსბრიჯში წასულიყო. მის ბიძაშვილს ოცდაერთი წელი შესრულებოდა და ამის აღსანიშნავად წვეულება მოეწყოთ შამპანურით, სტუმრების დაპატიჟებითა და ცეკვებით. ჩვენ ორნი კი დივანზე ვისხედით, ღვინოს ვწრუპავდით და ვფიქრობდით, რა მოგვეხერხებინა ჯონათან დევლინისთვის.

- რა საჭიროა? - გაიოცა კესიმ, - გაუპატიურებისთვის სახრჩობელაზე ვერ ავიყვანთ. შეგვეძლო, პიტერისა და ჯემის გაუჩინარებასთან დაგვეკავშირებინა, მაგრამ მოწმე არა გვყავს, რომელიც დაადასტურებდა, რომ ისინი მდელოზე იყვნენ. მაშასადამე, არც მკვლელობის მოტივი ყოფილა. სანდრას არ დაუნახავხართ. თუ სცენაზე შენ გამოხვალ, ამით ყველაფერს გააუფასურებ, რაც კი გამოძიების პროცესში გაგიკეთებია. იმას აღარ ვამბობ, რომ ო ’ კელი ყვერებს დაგაჭრის და თავის საშობაო ნაძვის ხეზე ჩამოკიდებს. ერთი ძაფიც არა გვაქვს, რომელიც ჯონათანს ქეითის სიკვდილთან აკავშირებს. მხოლოდ ეჭვი გვაქვს,

რომ სექსუალური ძალადობა მოხდა, მაგრამ კონკრეტულად არაფერი ვიცით. ყველაზე მეტი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, დევლინის მოწვევა და მასთან გულახდილი საუბარია.

- მინდა, სახლიდან როგორმე გამოვიყვანო, - ჩავილაპარაკე მე, - როზალინდას გამო ვწუხვარ.

აქამდე ამას საკუთარ თავს არ ვუმხელდი, მაგრამ მისი პირველი სატელეფონო ზარის შემდეგ ეს აზრი აღარ მასვენებდა.

- როზალინდას გამო? რატომ?

- შენ თქვი, "ჩვენი ბიჭი" არავის მოკლავს, სანამ საფრთხეს არ იგრძნობსო. ჯერჯერობით, ყველაფერი ემთხვევა. ქეთლის აზრით, ჯონათანს შეეშინდა, რომ შეგვიძლია, გაუპატიურების საქმე გავახმაუროთ. ამიტომაც ჩვენი თავიდან მოცილება გადაწყვიტა. ქეითმა შეწყვიტა თავის მოკატუნება, დაემუქრა, პოლიციაში წავალო - და მოკლა. თუ დევლინი გაიგებს, რომ როზალინდა მე შემხვდა...

- არა მგონია, რომ მასზე უნდა წუხდე, - მითხრა კესიმ და ჭიქა დაცალა, - ქეითის შესახებ ეს მხოლოდ ვარაუდია. შესაძლოა, ვცდებ ით კიდეც. დიდად არც მილზის სიტყვებს ვენდობი. ნამდვილი ფსიქოპათია, ასეთებს კი სიმართლეზე მეტად ტყუილის თქმა უყვართ.

- შენ მასთან ათი წუთიც არ გისაუბრია და უკვე დიაგნოზსაც უსვამ? მე თუ მკითხავ, მხოლოდ არამზადაა.

კესიმ მხრები აიჩეჩა და თქვა:

- არ ვამბობ, რომ ყველაფერში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ასეთი ტიპების გამოთვლა ადვილია, თუ იცი, ეს როგორ უნდა გააკეთო.

- ეს კოლეჯში გასწავლეს?

კესიმ ჩემი ბოკალი აიღო და ღვინის დასასხმელად ადგა.

- ასე არ ვიტყოდი, - მიპასუხა მან და მაცივარი გამოაღო, - ერთ ფსიქოპათს ვიცნობდი.

მან ზურგი შემაქცია.

- ერთხელ "დისქავერიზე" რაღაც გადაცემა ვნახე, - ვთქვი მე, - რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ მოსახლეობის ხუთი პროცენტი ფსიქოპათია, მაგრამ მათი უმრავლესობა კანონს არ არღვევს, ამიტომაც ვერ ავლენენ. შენი აზრით, რა არის იმის შანსი, რომ ჩვენი ხელისუფლების ნახევარი...

- რობ, - გამაწყვეტინა კესიმ. - გაჩუმდი, თუ შეიძლება. ვცდილობ, რაღაც აგიხსნა.

შევატყვე, რომ ხმა დაეძაბა. იგი დაბრუნდა და ბოკალი მომიტანა, თვითონ კი ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

- შენ გაინტერესებდა, რატომ მივატოვე კოლეჯი, - მშვიდად განაგრძო კესიმ, - მეორე კურსზე ჩემი ჯგუფიდან ერთ ბიჭს დავუმეგობრდი. პოპულარული იყო - სიმპათიური, ჭკვიანი, მომხიბლავი, ძალიან საინტერესო. არ შემყვარებია, მაგრამ მსიამოვნებდა, რომ ჩემ გარდა ვერავის ამჩნევდა. ხშირად ვიპარებოდით ლექციებიდან და საათობით ვისხედით კაფეში. საჩუქრებს მჩუქნიდა - მართალია, იაფფასიანს და ზოგჯერ არცთუ ახალს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი თვითონ ფაქტია, არა? ყველა ამბობდა, რა კარგია, როგორ უხდებით ერთმანეთსო, - კესიმ დიდი ყლუპი მოსვა, - ძალიან მალე მივხვდი, რომ ხშირად იტყუებოდა, უმეტესწილად, წვრილმანებზე, მაგრამ განმიცხადა, რომ საშინელი ბავშვობა ჰქონდა, რომ სკოლაში დასცინოდნენ, და ვიფიქრე, ტყუილის თქმას, ალბათ, თავდასაცავად დაეჩვია-მეთქი. მისი დახმარება გადავწყვიტე. თუ იგრძნობდა, რომ ერთგული მეგობარი ჰყავდა, რომელიც არასდროს მიატოვებდა, მაშასადამე, შიშიც გაუქრებოდა და აღარ იცრუებდა. მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი.

განძრევისაც კი მეშინოდა, ბოკალი ხელში მეჭირა და მაგიდაზე არ ვდგამდი, რათა უხერხულ მოძრაობას კესი არ დაეფრთხო და საუბრის თემა არ შეეცვალა. სევდისაგან პირის გარშე-

მო ნაოჭები შეემატა და თითქოს რამდენიმე წლით დაბერდა. მივხვდი, რომ ამის შესახებ პირველად ჰყვებოდა.

- ვერ ვამჩნევდი, თანდათან როგორ ვშორდებოდი ჩემს ნაცნობ-მეგობრებს, რადგან, როდესაც მათთან დიდ დროს ვატარებდი, ბიჭი მუდამ მებუტებოდა. უბრალო მიზეზის გამოც კი ხასიათი უფუჭდებოდა და უამრავ დროს ვხარჯავდი იმის გასაგებლად, ასეთი რა ჩავიდინე-მეთქი, განუწყვეტლივ ვებოდიშებოდი და დანაშაულის გამოსწორებას ვცდილობდი. როდესაც მასთან შესახვედრად მივდიოდი, არასდროს ვიცოდი, კარგ და მხიარულ განწყობაზე იქნებოდა, კოცნითა და ქათინაურებით ამავსებდა თუ ყინულის ლოდად გადაიქცეოდა და კრინტს არ დაძრავდა. ზოგჯერ კი ისე იქცეოდა... მაგალითად, გამოცდის წინ ჩემს კონსპექტებს გამომართმევდა და დაბრუნება ავიწყდებოდა, მარწმუნებდა, რომ დაკარგა, შმაგდებოდა, თუ მათ თვალს მოვკრავდი და ვეტყოდი, მგონი, ჩანთაში გიდევს-მეთქი. ერთი სიტყვით, ხომ წვრილმანია, მაგრამ მათ გამო მისი დახრჩობის სურვილი წამომივლიდა ხოლმე. თუმცა ხშირად ძალიან საყვარელი იყო და მასთან განშორება არ მინდოდა, - კესიმ გაღიმება სცადა, - მეშინოდა, რომ გული დასწყდებოდა.

კესიმ სანთებლის ანთება სცადა, მაგრამ ეს მხოლოდ მესამე ცდაზე მოახერხა, არადა, ცოტა ხნის წინათ უდარდელი კილოთი მიყვებოდა დანით დაჭრის შესახებ...

- ბევრი რომ არ გავაგრძელო, ასე ორი წელი გრძელდებოდა. მეოთხე კურსზე, იანვარში, როდესაც ჩემს ბინაში ვისხედით, საყვარლობა შემომთავაზა. უარი ვუთხარი - თვითონაც არ ვიცი, რატომ: იმხანად თავგზააბნეული ვიყავი, მაგრამ ინტუიცია კიდევ შემრჩენოდა. ვუთხარი, აჯობებს, მეგობრებად დავრჩეთ-- მეთქი. მიპასუხა, კარგი, მაგაზე არ ინერვიულოო. ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკეთ და წავიდა. მეორე დღეს კოლეჯში რომ მივედი, ყველა ამრეზით მიყურებდა, ახლოს არავინ მეკარებოდა.

ორი კვირა მოვანდომე იმის გარკვევას, რა მოხდა. ბოლოს სარა-ჯეინი მოვიხელთე - პირველ კურსზე ახლო მეგობრები ვიყავით - და მან მითხრა, ყველამ ვიცით, რა დღეში ჩააგდე ის საცოდავი ბიჭიო.

კესიმ ნერვიულად გააბოლა. თვალები ფართოდ გაეღო, მაგრამ თითქოს ვერაფერს ხედავდა. ჯესიკას მთვარეული მზერა გამახსენდა.

- იმ საღამოს, როდესაც უარი ვუთხარი, ჩვენი ჯგუფის გოგოებს ესტუმრა - ისინი სხვა ბინაში ცხოვრობდნენ. აცრემლებული მისულა და უთქვამს, თითქოს ჩვენ საიდუმლო რომანი გვქონდა, მას ჩემგან წასვლა დაუპირებია, მე კი დავმუქრებივარ, თუ მიმატოვებ, განვაცხადებ, რომ გამაუპატიურე, პოლიციას მივმართავ, გაზეთებს შევატყობინებ, ცხოვრებას დაგინგრევ-- მეთქი.

კესიმ სცადა, სიგარეტი საფერფლეში დაეფერფლა, მაგრამ ააცი ლა.

იმ საღამოს მივხვდი, რატომ მიყვებოდა ამას კესი და რატომ მაინცდამაინც ახლა. უცნაურია, მაგრამ მაშინ მთელი თვის განმავლობაში რაღაც გასაოცარი ხდებოდა. როგორც კი კესიმ მითხრა: "ჩვენ მას დავიჭერთ", ჩემს ცხოვრებაში თითქოს შეუქცევადი ტექტონიკური ძვრა დაიწყო: ყოველივე მარტივს ბზარები უჩნდებოდა და რთულად აღსაქმელი ხდებოდა, ნებისმიერი წვრილმანი თავდაყირა მოჩანდა, სამყარო მოქნეული ხანჯალივით მოელვარე და საშიში გახდა. ის, რომ კესიმ თავისი ერთ-- ერთი საიდუმლო ოთახის კარი შემიღო, ამ მეტამორფოზების ბუნებრივი შედეგი იყო. მხოლოდ გაცილებით გვიან მივხვდი, ამით ჩემთვის რისი თქმა სურდა.

- ღმერთო, - ჩავილაპარაკე ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, - მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მის თავმოყვარეობას შეეხო?

- არა, - მიპასუხა კესიმ. მას თხელი ალუბლისფერი ჯემპრი ეცვა. შევამჩნიე, როგორ უცახცახებდა ხელები. გული გაშმაგებით ამიძგერდა, - მოწყენილობისგან. როდესაც უარი ვუთხარი, ჩემგან ვერაფერს გამორჩებოდა და ის ერთადერთი გააკეთა, რითაც გართობა შეეძლო. თუ სიმართლეს თვალებში შევხედავთ, მას ეს ყველაფერი ახალისებდა.

- სარა-ჯეინს არ მოუყევი, რაც სინამდვილეში მოხდა?

- როგორ არა. ყველას მოვუყევი, ვისაც ჯერ კიდევ სურდა ჩემი მოსმენა. არავინ დამიჯერა. ყველა მხოლოდ მას ენდობოდა: თანაკურსელები, საერთო ნაცნობები...

- ოჰ, კესი, - ამოვიოხრე მე.

მომინდა, მივსულიყავი, მოვხვეოდი, გულში ჩამეკრა, დამემშვიდებინა, ეს საშინელი დაძაბულობა მომეხსნა, წარსულის უსიამოვნო სივრცეს გამომერიდებინა. მაგრამ ვუყურებდი კესის ჩამოყრილ მხრებსა და გაქვავებულ სახეს და არ ვიცოდი, ამას როგორ მიიღებდა. გნებავთ, ეს ინტერნატში სწავლას დააბრალეთ, გნებავთ, ჩემი ხასიათის ნაკლს, მაგრამ არ ვიცოდი, ეს როგორ გამეკეთებინა.

- კიდევ ორი კვირა ვსწავლობდი, - განაგრძო კესიმ, სიგარეტის ახალი ღერი ამოიღო და ძველს მოუკიდა, რაც ადრე მისთვის არასდროს შემინიშნავს, - მას მუდამ ამალა დასდევდა თან, მხარში ედგა, მე კი ღვარძლიანად მიყურებდნენ. ვიღაცამ მითხრა, სწორედ შენნაირების გამოა, ნამდვილი მოძალადეები თავის დაძვრენას ყოველთვის რომ ახერხებენო. ერთმა ქალიშვილმა განმიცხადა, რომ მართლა გასაუპატიურებელი ვიყავი ასეთი საშინელი საქციელის გამო. სასაცილოა, არა? ასობით სტუდენტი სწავლობდა ფსიქოლოგიას და ვერავინ მიხვდა, რომ მათ წინ ფსიქოპათი იდგა. ყველაზე უცნაური კი იცი, რა არის? გული დამწყდა, ის რომ არ გავაკეთე, რაც მითხრა. მაშინ ამას რაღაც აზრი მაინც ექნებოდა: იმას მივიღებდი, რაც დავიმსახუ-

რე. მე კი არაფერი გამიკეთებია და იგივე მივიღე. არანაირი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ცოტაც და, გავგიჟდებოდი.

წინ გადავიხარე - ნელა, ფრთხილად, თითქოს შეშინებულ ცხოველს ვეფერებოდი - და მისი ხელი ავიღე. კესიმ გაიცინა, თითები მომიჭირა და მაშინვე გამიშვა.

- ერთხელ ის ბიჭი კოლეჯში ჩემთან მოვიდა. მის გარშემო მყოფი გოგოები მის შეჩერებას ცდილობდნენ, მაგრამ ყველა გაბედულად მოიცილა, ნაბიჯი წინ გადმოდგა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქვა: "ძალიან გთხოვ, ღამღამობით ნუღარ მირეკავ. რატომ არ მასვენებ?" ისე გავოცდი, ვერც მიხვდი, რას მეუბნებოდა და მექანიკურად ვუპასუხე: "მე არ დამირეკავს". მან გაიღიმა და თავი გადააქნია: "ჰო, აბა, რა". შემდეგ დაიხარა და მხიარულად ჩამჩურჩულა: "ახლა ბინაში რომ შემოგეჭრა და გაგაუპატიურო, შენი აზრით, ვინმე თუ დაიჯერებს ამას?" ერთხელაც გამიღიმა და მეგობრებთან დაბრუნდა.

- ღმერთო ჩემო! - შევძახე, - მომისმინე, ეს უკვე სერიოზული საქმეა. არ მინდა, შეგაშინო, მაგრამ...

კესიმ თავი გადააქნია.

- აბა, სახლში დავიმალო? არ მინდა, პარანოიკს დავემსგავსო. კარ გი საკეტები მაქვს, იარაღიც ყოველთვის სასთუმალთან მიდევს, - კარგა ხანია, შევამჩნიე, რომ დეტექტივები უპისტოლეტოდ თავს მოუსვენრად გრძნობდნენ, - ჩემი აზრით, ამას არასდროს გა აკე თებს. ვიცი, რაც მოსწონს - სამწუხაროდ. მუქარის შესრულე ბაზე მეტად ის გაახალისებს, თუ განუწყვეტლივ დაძაბული ვიქნები.

კესიმ ბოლო ნაფაზიც დაარტყა და ნამწვის ჩასაქრობად დაი ხარა.

- მაშინ ამ ყველაფერმა ჩემზე ისე იმოქმედა, რომ კოლეჯის მიტოვება გადავწყვიტე და საფრანგეთში გავემგზავრე. ლიონში

ბიძაშვილები მყავს და ერთი წელი მათთან ვცხოვრობდი, კაფეში კი მიმტანად ვმუშაობდი. შესანიშნავი იყო. "ვესპაც" იქ ვიყიდე. შემდეგ დუბლინში დავბრუნდი და ტემპლმორის კოლეჯში შევედი.

- მის გამო?

- ალბათ. იმ შემთხვევამ რაღაც კარგი მაინც მომცა. და კიდევ: ახლა ფსიქოპათებს ყნოსვით ვგრძნობ. ეს ალერგიასავითაა - ერთხელ გახდები ავად და მთელი ცხოვრება ზემგრძნობიარე ხარ, - მან ღვინო ბოლომდე დალია, - შარშან პაბში სარაჯეინს შევხვდი. მივესალმე. მითხრა, შენი ყველა მცდელობის მიუხედავად, მაინც კარგად არისო, და წავიდა.

- ამიტომაც გაწუხებს კოშმარული სიზმრები?

მე უკვე ორჯერ მომიხდა კესის გაღვიძება (როდესაც მკვლელობის საქმეს ვიძიებდით, რომელსაც წინ გაუპატიურება უძღოდა), როდესაც მუშტებს მირტყამდა და გაუგებარ სიტყვებს ყვიროდა.

- ჰო, მესიზმრება, რომ სწორედ ისაა, ვისაც ვეძებთ, მაგრამ ამის დამტკიცებას ვერ ვახერხებთ. მან კი იცის, რომ საქმეს მე ვიძიებ და იმას აკეთებს, რაც თქვა.

მაშინ კესის სიტყვაზე ვენდე, რომ ძილში თანაკურსელი არ ასვენებდა, რომელიც დაემუქრა. ახლა კი ვფიქრობ, რომ ვცდებოდი. უმთავრესი ვერ დავინახე - საიდან მოდიოდა რეალური საფრთხე. შესაძლოა, ეს ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა იყო.

- რა ჰქვია? - ვკითხე მე.

მინდოდა, რამე მაინც გამეკეთებინა - დავხმარებოდი, იმ ბიჭის წარსული მომექექა, მისი დაპატიმრების მიზეზი აღმომეჩინა... თანაც შევამჩნიე, რომ კესიმ განზრახ არაფერი თქვა ამ ფაქტზე და მაინტერესებდა, როგორი რეაქცია ექნებოდა.

როგორც იქნა, კესიმ ყურადღებით შემომხედა. შევკრთი, რადგან მასში გულცივ სიძულვილს მოვკარი თვალი.

- ლეგიონი, - მიპასუხა მან.

14 თავი

ჯონათანი მომდევნო დღისთვის დავიბარეთ. მე დავურეკე და საქმიანი კილოთი ვთხოვე, სამსახურის შემდეგ ჩვენთან შემოევლო ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად. დაკითხვის მთავარ, დიდ ოთახში, რომელსაც შუშის კედელი ჰქონდა გარედან დასაკვირვებლად, სემი ტერენს ენდრიუსს ესაუბრებოდა.

- დალახვროს ეშმაკმა!- ჩაიბუზღუნა ო ' კელიმ, - ეჭვმიტანილები სოკოებივით მომრავლდნენ. ადრევე უნდა დამეტოვებინეთ უდამხმარეებოდ, თქვე ზარმაცებო.

ჩვენ, პირიქით, პატარა ოთახი უფრო გვაწყობდა. ისე მოვამზადეთ, თითქოს ოთახი კი არა, სცენა იყო. ერთ კედელზე ცოცხალი და გარდაცვლილი ქეითის ფოტოსურათები დავკიდეთ, მეორეზე - პიტერის, ჯემის, ჩემი გადაყვლეფილი მუხლებისა და გასისხლიანებული ბოტასების. მოტეხილი ფრჩხილების ფოტოც მქონდა, მაგრამ გადავწყვიტე, არ გამომემზეურებინა: სპეციფიკური ფრჩხილები მაქვს და თორმეტი წლის ასაკში უკვე დიდისას მიმიგავდა. კესი არ შემწინააღმდეგებია, როდესაც ის საქაღალდეში დავაბრუნე. გამოვკიდეთ, აგრეთვე, რუკები, სქემები, გრაფიკები, სისხლის ანალიზის პასუხები და მრავალი ქაღალდი თუ საშინელი სახის დოკუმენტი.

- უნდა იმუშაოს, - ჩავილაპარაკე, როდესაც ოთახს თვალი მოვავლე: მართლაც, აქაურობა კოშმარულ სიზმარს უფრო ჰგავდა.

მიცვალებულის ერთ-ერთ ფოტოსურათს კუთხე ასძვრა და კესიმ ხელმეორედ მიაკრა. მისი თითები წამით შეჩერდა ქეითის შიშველი ხელის გამოსახულებაზე. ვიცოდი, რაზეც ფიქრობდა: ჯონათანის უდანაშაულობის შემთხვევაში, ასეთი სისასტიკე საჭირო არ იყო. ჩვენს პროფესიაში ხშირად გვიხდება სისასტიკის გამოჩენა, მიუხედავად იმისა, გვინდა ეს თუ არა.

თადარიგში ნახევარი საათი კიდევ გვქონდა, მაგრამ ისე ვიყავით აფორიაქებული, რომ სხვა საქმეს გულს ვერ ვუდებდით. გარეთ გავედით - ფოტოსურათები ნერვებზე მოქმედებდა (გადავწყვიტე, კარგის ნიშანია-მეთქი) - და სათვალთვალო ოთახში შევედით, რათა გვენახა, სემთან რა ხდებოდა.

სემი ენერგიულად განაგრძობდა ძიებას - ტერენს ენდრიუსისთვის ცალკე დაფაც კი გამოეყო. ენდრიუსი საუნივერსიტეტო კოლეჯში კომერციას სწავლობდა და, მიუხედავად იმისა, მაღალი ნიშნებით ვერ დაიკვეხნიდა, მთავარი მაინც აითვისა: ოცდასამი წლისამ დოლორეს ლიჰეინზე იქორწინა, დუბლინის მაღალი საზოგადოებიდან გამოსულ ქალიშვილზე, და სიმამრმა იგი თავის სამშენებლო ბიზნესში ჩართო. ოთხი წლის შემდეგ დოლორესმა ენდრიუსი მიატოვა და ლონდონში გაემგზავრა. უშვილო, მაგრამ სარგებლიანი ქორწინება გამოვიდა. ენდრიუსმა ბიზნესიმპერია შექმნა, რომლის ცენტრიც დუბლინში მდებარეობდა, ფილიალები კი - პრაღასა და ბუდაპეშტში, ამასთან, გავრცელებული ხმების მიხედვით, დოლორესის ადვოკატებმა და საგადასახადო სამსახურმა მისი რეალური ღირებულების ნახევარიც კი არ იცოდნენ.

სხვათა შორის, სემის მონაცემების მიხედვით, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა საპნის ბუშტს. მდიდრული სახლი, პრესტიჟული ავტომობილი (შეკვეთით აწყობილი "პორშე" სრული კომპლექტაციით, მოქრომილი და დაბურული შუშებით) და გოლფ--კლუბის წევრობა თვალის ასახვევი კეთილდღეობა აღმოჩნდა: რეალური ფული ენდრიუსს ჩემზე მეტიც კი არ ჰქონდა, მისი ბანკირი ნერვიულობდა და გასული ექვსი თვის განმავლობაში მიწის ნაკვეთიც გაეყიდა დაგირავებული ქონების პროცენტის გადასახდელად.

- თუ გზატკეცილი ნოკნარისთან არ გაივლის, ამ მშენებლობას გადაავადებენ, - დაასკვნა სემმა, - ბიჭი დაიღუპება.

ენდრიუსი ჯერ კიდევ მისი სახელის გაგებამდე ავითვალწუნე და ისეთი არაფერი გამიგია, რაც აზრს შემაცვლევინებდა. დაბალი და მელოტი - ყასაბს მაგონებდა. ელამიც იყო და დიდი ღიპიც ჰქონდა, მაგრამ თუ სხვები მის ადგილას ნაკლის დაფარვას შეეცდებოდნენ, ენდრიუსი პირიქით იქცეოდა და თავის მთავარ იარაღს დემონსტრაციულად წარმოაჩენდა - განზრახ გამოაგდებდა ხოლმე წინ მუცელს, თითქოს ეს მისი სოციალური სტატუსი იყო ("იაფფასიანი "გინესის" დამსახურება არ გეგონოთ, ისეთ რესტორნებში შევიძინე, არც კი დაგსიზმრებიათ"), და როდესაც სემი შეტრიალდებოდა, რათა დაენახა, იგი საით იყურებოდა, მოზეიმე სახით იღიმებოდა.

ცხადია, ტერენს ენდრიუსს თან ადვოკატიც წამოეყვანა და ათიდან ცხრა შეკითხვას სწორედ ის პასუხობდა. სემმა მოახერხა და დაამტკიცა, რომ ენდრიუსი ნოკნარიში მიწის დიდ ნაკვეთებს ფლობდა. მანამდე ბიზნესმენი ირწმუნებოდა, თითქოს არასდროს სმენოდა ამ ადგილის შესახებ. როდესაც მისი ფინანსური მდგომარეობით დაინტერესდნენ, ენდრიუსს პასუხი არ გაუცია - მხოლოდ მხარზე ხელი მოუთათუნა სემს და უთხრა:

- შვილო, მე რომ პოლიციელის ხელფასზე ვცხოვრობდე, საკუთარ ფინანსებზე უფრო ვიზრუნებდი, ვიდრე სხვისაზე.

მისმა ადვოკატმა ამ ფრაზას გულგრილად დაამატა, რომ მის კლიენტს კომერციული საიდუმლოს გათქმის უფლება არ ჰქონდა. მუქარის ზარებმა ორივე საშინლად განაცვიფრა. წამდაუწუმ საათს დავყურებდი, კესი ზურგით შუშას მიყრდნობოდა, ვაშლს მიირთმევდა და ზოგჯერ მეც მაკბეჩინებდა.

მკვლელობის ღამისთვის ენდრიუსს ალიბი ჰქონდა და აღშფოთებული სახით ყბედობის შემდეგ მის წარმოდგენაზე თანხმობა განაცხადა. იმ ღამეს კოლკენიში პოკერს თამაშობდა "ბიჭებთან" ერთად, ნაშუაღამევს, თამაში რომ დასრულდა, გადაწყვიტა, შინ აღარ დაბრუნებულიყო.

- ახლა პოლიციელები უწინდელივით გულისხმიერები აღარ არიან, - თქვა მან და სემს თვალი ჩაუკრა.

ენდრიუსმა "ბიჭების" გვარები და ტელეფონის ნომრები დაასახელა, რათა სემს მათი გადამოწმება შესძლებოდა.

- შესანიშნავია, - თქვა სემმა, - მხოლოდ ხმაზე შემოწმება დაგვრჩა და იმ პირთა სიიდანაც ამოგშლით, რომელთაც დარეკვა შეეძლოთ.

ენდრიუსი უკიდურესად აღშფოთდა.

- ვიმედოვნებ, ხვდები, სემ, - თქვა მან, - მას შემდეგ, როგორც აქ მომექეცი, ჩვენ შორის ძველებური ურთიერთობა ვეღარ შენარჩუნდება.

კესის გაეცინა.

- ძალიან ვწუხვარ, მისტერ ენდრიუს, - სერიოზული სახით მიუგო სემმა, - მაინც რა არ მოგეწონათ ჩემს საქციელში?

- შენ მე სამუშაოს მომაცდინე და აქ მომიყვანე, თანაც ისე მელაპარაკები, როგორც ეჭვმიტანილს, - განაწყენებული კაცის კილოთი მიუგო ენდრიუსმა, - ვიცი, რომ ათასგვარ ვიგინდარასთან გიწევს ურთიერთობა, მაგრამ მე ხომ მათ არ ვგავარ. სანამ თქვენს დახმარებას ვცდილობ, ჩემი ფირმა უდიდეს ზარალს განიცდის, ახლა კი გინდათ, მთელი დღე აქ დავრჩე და ჩემი ხმა მოვასმენინო კაცს, რომელსაც არც კი ვიცნობ.

სემი მართალი იყო - ენდრიუსს მკივანა ტენორი ჰქონდა.

- ეს რა პრობლემაა, - უთხრა სემმა, - სულაც არ არის აუცილებელი, ამოცნობა დღეს ჩავატაროთ. შეგიძლიათ, თქვენთვის სასურველი დრო შეარჩიოთ ამ საღამოს ან ხვალ დილით. ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებთ.

ენდრიუსი გაიბუტა. ადვოკატმა, - ყველაზე შეუმჩნეველმა კაცმა, რომელიც ოდესმე მინახავს, მისი გარეგნობაც კი არ დამამახსოვრდა, - გაფრთხილების ნიშნად, თითი ასწია და კლიენტთან პირისპირ დარჩენა ითხოვა. სემმა კამერა გამორთო,

ჩვენს ოთახში გამოვიდა და ჰალსტუხი უფრო თავისუფლად მოირგო.

- მოგესალმებით, - ღიმილით გვითხრა მან, - მოგწონთ წარმოდგენა?

- ბრწყინვალეა, - ვუთხარი მე, - თუმცა მასში მონაწილეობა უფრო საინტერესოა.

- დიახ. ამ ტიპთან არ მოიწყენთ. დაინახეთ მისი თვალები? უცებ ვერც მივხვდი, რა ხდებოდა - მეგონა, ყურადღების კონცენტრაციის პრობლემა ჰქონდა.

- ჰო, შენი ეჭვმიტანილი გაცილებით თავშესაქცევი კაცია, - დაეთანხმა კესი, - ჩვენი წარბსაც არ შეატოკებს.

- სხვათა შორის, - დავამატე მე, - ამოცნობა საღამოსთვის არ დანიშნო. ჩვენ დევლინს უნდა გავესაუბროთ, რომლის შემდეგაც არა მგონია, სხვა რამის თავი ჰქონდეს. თუ ბედი გაგვიღიმებს, საქმე - უფრო სწორად, ორივე საქმე - შესაძლოა, დღესვე გაიხსნას და ენდრიუსის დახმარება აღარ დაგვჭირდეს, მაგრამ... აჯობებს, წინასწარ ბევრი არ ვილაპარაკო.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა სემმა, - დამავიწყდა. მაპატიე. გამოძიება კი ცუდად არ მიდის, არა? ორი ეჭვმიტანილი ერთ დღეში.

- მაგრები ვართ, დალახვროს ეშმაკმა! - თქვა კესიმ, - აბა, ენდრიუსის მისალმება!

მან ცალი თვალი დააელმა და სემის ხელისგულზე თავისის მირტყმა უნდოდა, მაგრამ ააცდინა. ყველანი ძალიან დაძაბული ვიყავით.

- წარმოიდგინე, ვიღაცამ კეფაში ისეთი გითავაზა, რომ გაშეშდი, - თქვა სემმა, - ენდრიუსსაც სწორედ ეს დაემართა.

- ჰოდა, ერთიც წამოარტყი, რომ გონზე მოვიდეს, - შესთავაზა კესიმ.

- სად არის შენი პოლიტკორექტულობა? - შევძახე მე, - ელამთა უფლებების დაცვის ეროვნულ კომისიაში ვიჩივლებ.

- დღეს ჯიუტობს და ჩუმადაა, - განაგრძო სემმა, - მაგრამ ეს უკეთესიც კია. არც მქონდა იმედი, რომ დღეს რამეს დავაცდენინებდი. უბრალოდ, მინდა, შევაჯანჯღარო, რათა ამოცნობაზე დამთანხმდეს, შემდეგ კი ზეწოლაც შეიძლება...

- მოიცა! - გააწყვეტინა კესიმ, - ის რა, მთვრალია?

იგი სუნთქვისგან დაორთქლილ შუშას მიეკრო და აკვირდებოდა, როგორ იქნევდა ბიზნესმენი ხელებს და გაცხარებით ეჩურჩულებოდა ადვოკატს.

სემს გაეცინა.

- არაფერი გამოგეპარება. არა მგონია, ბევრი დაელია - სამწუხაროდ, არც იმდენი, რომ ლაპარაკის საღერღელი აშლოდა. ახლოს რომ მიხვიდე, ცხვირში მაშინვე გეცემა სუნი. რადგან აქ მოსვლის წინ დალევა გადაწყვიტა, მაშასადამე, დასამალიც ჰქონია რაღაც. მაგალითად, სატელეფონო ზარები ან...

ენდრიუსის ადვოკატი წამოდგა, ხელისგული შარვალზე ნერვიულად შეიწმინდა და შუშის მიმართულებით ხელი აიქნია.

- მეორე რაუნდი, - გამოაცხადა სემმა და ჰალსტუხი გაისწორა, - მოგვიანებით შევხვდებით. წარმატებას გისურვებთ.

კესიმ ურნას ვაშლის ნახრავი დაუმიზნა, ისროლა და ააცდინა.

- ეს ენდრიუსის ნასროლი იყო, - მითხრა სიცილით და დერეფანში გავიდა.

დრო ჯერ კიდევ გვქონდა და გადავწყვიტეთ, გარეთ გაგვებოლებინა. ბაღის ბილიკის თავზე პატარა ხიდი იყო გადებული. იქ ჩავიცუცქეთ და ზურგით მოაჯირს მივეყრდენით. შენობის კედლებს მზე ოქროსფრად ანათებდა. აქეთ-იქით შორტებიანი, ზურგჩანთებიანი ტურისტები დადიოდნენ და კოშკების ქონგურებს

შეჰყურებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ღმერთმა უწყის, რატომ, მე და კესის სურათი გადაგვიღო. ხელებგაშლილი ბავშვები თავ-დავიწყებით დაქროდნენ აგურით მოკირწყლულ ბილიკებზე.

კესის გუნება წაუხდა, მოზღვავებული ენერგია უკვალოდ გა-უქრა, წყნარად იჯდა, ხელებით მუხლებს დაჰყრდნობოდა და ფიქრებში წასულიყო, ხელში კი ანთებული, დავიწყებული სიგა-რეტი უბოლავდა. ასე ხშირად ემართებოდა, მაგრამ ახლა ეს ხელს მაძლევდა კიდეც, რადგან ლაპარაკი არც მე მინდოდა. მხოლოდ იმაზე შემეძლო ფიქრი, რომ ნახევარი საათის შემდეგ დევლინს თავს დავესხმებოდით, ყველა რეზერვს ბრძოლაში ჩავრთავდით და თუ მისი დამარცხება გვეწერა, ეს სწორედ დღეს უნდა მოგვეხერხებინა. როგორ მოვიქცეოდით, თუ ეს მოხდებო-და? ამაზე არ ვფიქრობდი.

უეცრად კესიმ თავი ასწია და ჩემ მხარს იქით გაიხედა.

- შეხედე, - მითხრა მან.

მივტრიალდი. ეზოს გავლით, მხრებჩამოყრილი ჯონათან დევლინი მოაბიჯებდა, ხელები დიდ, წაბლისფერ პალტოში ჩაეყო. ციხესიმაგრის კედლების ფონზე სულ პატარა მოჩანდა, მაგრამ უცნაური ის იყო, კი არ თრგუნავდნენ, პირიქით, ქვები თითქოს მის გარშემო გიგანტურ ფიგურას ქმნიდა, რათა მის-თვის თავისი ძალა და ენერგია გადაეცა. ჩვენ არ დავუნახავ-ვართ. მზე უჭყიტინებდა და თავი დაეხარა. ხიდზე ჩვენ ნაცვლად, ალბათ, ბუნდოვან სილუეტებს ხედავდა, რომლებიც არაფრით განსხვავდებოდა რომელიმე ცხოველის თუ წმინდანის ქანდაკე-ბისგან. დევლინს უკან დიდი ჩრდი ლი მისდევდა.

მან ჩვენ ქვეშ გაიარა. თვალი გავაყოლეთ, სანამ კარს მიღმა არ გაუჩინარდა.

- აბა, დროა, - ვთქვი მე და სიგარეტი გადავაგდე.

წამოვდექი და კესის ხელი გავუწოდე, რათა წამოდგომაში მივხმარებოდი, მაგრამ იგი არც განძრეულა. ცივი და ყურადღებიანი თვალებით სახეში მომაჩერდა.

- რა მოხდა? - ვკითხე მას.

- ეს დაკითხვა შენ არ უნდა წაიყვანო.

ჩუმად ვიდექი და ხელგაწვდილი ველოდებოდი. წამის შემდეგ კესიმ თავი ნელა დააქნია და უცნაური გამომეტყველებაც გაუქრა, შემდეგ ხელი გამომიწოდა და აყენების უფლება მომცა.

დევლინი დაკითხვის ოთახში შევიყვანეთ. კედლებზე მიმაგრებული სურათების დანახვაზე სახე მოეღუშა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

- ჯონათან დევლინის დაკითხვას დეტექტივი მედოქსი და დეტექტივი რაიანი წარმართავენ, - გამოაცხადა კესიმ და ყუთიდან ფაილებიანი საქაღალდე ამოიღო, - ვალდებული არა ხართ, ისეთ შეკითხვას უპასუხოთ, რომელიც თქვენს ინტერესს ლახავს, მაგრამ ყველაფერი, რასაც იტყვით, ჩაიწერება და, შესაძლოა, მტკიცებულების სახით თქვენს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

- დაპატიმრებული ვარ? - იკითხა დევლინმა. იგი კართან იდგა, - რატომ?

- დაპატიმრებული? - გავიოცე მე, - ა-ა, ამ გაფრთხილების გამო... ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, არა. ეს ჩვეულებრივი პროცედურაა. ჩვენ მხოლოდ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ გიამბობთ და თქვენი დახმარების იმედიც გვაქვს.

- დაპატიმრებული რომ იყოთ, - დაამატა კესიმ და საქაღალდე მაგიდაზე დააგდო, - თავიდანვე გეტყოდით. თქვენი აზრით, რისთვის შეიძლება დაგაპატიმრონ?

ჯონათანმა მხრები აიჩეჩა. კესიმ გაუღიმა და სკამი ისე დაუდგა, რომ იგი სახით საშინელი სცენის პირდაპირ აღმოჩენილიყო.

- დაბრძანდით.

დევლინი ოდნავ შეყოვნდა, პალტო გაიხადა და დაჯდა.

მე მას საქმის ვითარება გავაცანი. ერთადერთი ვიყავი, ვისაც მან თავისი თავგადასავალი გაანდო და ამ ნდობას მძლავრი იარაღივით ვინახავდი, რათა საჭირო დროს გამომეყენებინა. ჯერჯერობით, თავი მის მოკავშირედ მიმაჩნდა. ყველაფერი გულახდილად გადმოვულაგე. ვუამბე ჩვენ მიერ მოპოვებული ყველა ხელჩასაჭიდისა და სამხილის, მათ შორის, ლაბორატორიული ანალიზების მონაცემების შესახებ. გავაცანი ეჭვმიტანილთა სია, ისინი, ვინც მოვძებნეთ და შემდგომში ამოვშალეთ: ადგილობრივები, რომელთა აზრითაც, იგი პროგრესს ეწინააღმდგებოდა, პედოფილები და ნარკომანები, სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი უცნობები, ახალგაზრდა კაცი, რომელიც ქეითის "გამომწვევმა" ტრიკომ აღაშფოთა, სანდრა. ჩემ ზურგს უკან ათობით სურათი მოჩანდა. ჯონათანს თავი კარგად ეჭირა - თითქმის სულ მე მიყურებდა. ვხვდებოდი, რამხელა ძალისხმევის ფასად ახერხებდა ამას.

- მოკლედ, ყველაფერი იქით მიდის, რომ ვერაფერი დაადგინეთ, - ჩაილაპარაკა მან, როდესაც დავამთავრე. დაღლილი სახე ჰქონდა.

- რას ამბობთ, პირიქით, - უთხრა კესიმ. იგი კუთხეში იჯდა და ნიკაპით ხელისგულს დაჰყრდნობოდა, - პირიქით. დეტექტივ რაიანს უნდოდა ეთქვა, რომ უდიდესი სამუშაო ჩავატარეთ. უარვყავით მცდარი ვერსიები, შედეგად კი აი, რა დაგვრჩა, - მან თავი კედლისკენ გაიქნია, მაგრამ დევლინი კესის მისჩერებოდა, - დავასკვენით, რომ თქვენი ქალიშვილის მკვლელი ადგილობრივია, შესანიშნავად იცნობს ნოკნარისა და მის შემოგარენს. გვაქვს მტკიც ებულება, რომ მისი სიკვდილი 1984 წელს პიტერ სევიჯისა და ჯერმინა როუენის გაუჩინარებას უკავშირდება, საიდანაც გამომდინარეობს, რომ დამნაშავე არანაკლებ ოცდათხუთმეტი წლისაა და მთელი ამ დროის განმავლობაში

თქვენს ქალაქთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ბევრ ადამიანს, რომლებიც ამ აღწერას ესადაგებიან, ალიბი აქვს, რაც კიდევ უფრო ამცირებს ეჭვმიტანილთა რიცხვს.

- გარდა ამისა, - დავამატე მე, - გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ დამნაშავეს მოკვლა არ უყვარს, იგი ამას სიამოვნების მისაღებად კი არ სჩადის, არამედ მაშინ, როცა სხვა გზა არა აქვს.

- მაშასადამე, თქვენი აზრით, ის შეშლილია, - თქვა ჯონათანმა და ტუჩები მოკუმა, - გიჟი...

- ეს აუცილებელი არაა, - გავაწყვეტინე მას, - ზოგჯერ ადამიანი ვითარებას ვეღარ აკონტროლებს და ამას მოსდევს ტრაგედია, რომელიც სინამდვილეში არავის უნდოდა.

- ეს კი, მისტერ დევლინ, კიდევ უფრო ამცირებს ეჭვმიტანილთა რიცხვს: ლაპარაკია ადამიანზე, რომელიც სამივე ბავშვს იცნობდა და რომელსაც მკვლელობის მოტივიც ჰქონდა, - თქვა კესიმ. მან მკვეთრი მოძრაობით გასწია სკამი, ხელები კეფაზე შემოიწყო და დევლინს დაჟინებით მიაჩერდა, - ჩვენ ამ კაცის დაჭერას ვაპირებთ. მას სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებით. ამიტომ, თუ რამე სათქმელი გაქვთ, სულერთია, რასთან დაკავშირებით, ახლა სწორედ ამის დროა.

ჯონათანს უცებ არ უპასუხია. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ერთი ლუმინესცენციური ნათურა ტკაცუნობდა და სკამი ჭრაჭუნებდა, რომელზეც კესი ქანაობდა. ბოლოს, ჯონათანმა მზერა მისგან ფოტოსურათებზე გადაიტანა: ქეითი უჩვეულო პირუეტს ასრულებს, ამწვანებულ მდელოზე ქარისგან თმააწეწილი დგას და ხელში სენდვიჩი უჭირავს... არაფრის მთქმელი გამოხედვით მაგიდაზე წევს და ტუჩებზე სისხლი შეხმობია... დევლინის სახეზე ისეთი მძაფრი, დაუფარავი ტკივილი იკითხებოდა, რომ თავი უხერხულად ვიგრძენი და ძლივს მოვახერხე, მზერა არ ამერიდებინა.

მტანჯველი დუმილი ძალიან გახანგრძლივდა. შევნიშნე, რომ ჯონათანს რაღაც ემართებოდა: ტუჩების კუთხეები შესამჩნევად დაეწია ქვევით, სხეული მოემჩვარა, კუნთები თითქოს ჟელედ გადაექცა - ამ კარგად ნაცნობი ნიშნების მიხედვით, ნებისმიერი დეტექტივი დაასკვნის, რომ უკანასკნელი ზღუდეც დაეცა, რასაც აღიარება უნდა მოჰყვეს. კესიმ სკამზე ქანაობა შეწყვიტა და გაშეშდა. ჩემი გული საგულედან ამოხტომას ლამობდა. თითქოს კედელზე გაკრული ფოტოსურათებიც კი სუნთქვაშეკრულნი ელოდნენ დევლინის სიტყვას, რათა მაშინვე ქაღალდიდან ჩამოსრიალებულიყვნენ, ნანატრი თავისუფლება მიეღოთ და სიბნელეს შერწყმოდნენ.

ჯონათანმა ხელისგული სწრაფად მოისვა სახეზე, გულხელი დაიკრიფა, კესის შეხედა და თქვა:

- არა, სათქმელი არაფერი მაქვს.

მე და კესიმ ერთდროულად ამოვისუნთქეთ. ცხადია, ვხვდებოდი, რომ დიდი იმედი არ უნდა მქონოდა, მაგრამ წამით გული მაინც შემიტოკდა. არა, არ მწყენია. რაც მთავარია, ახლა დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჯონათანი რაღაცას მალავდა.

იმდენი ვარაუდი და ჰიპოთეზა დაგვიგროვდა ("კარგი, წუთით დავუშვათ, რომ ეს მარკმა გააკეთა. ავადმყოფობა და ძველი საქმე არაფერ შუაშია, მელმა კი სიმართლე გვითხრა. მაშინ სად იპოვა კაცი გვამის გადასატანად?"), რომ გულდაჯერებულობა ბავშვობის ოცნებასავით შორეული და მიუწვდომელი გვეგონა. ასე მეგონა, თითქოს ბნელ სხვენზე ჩამოკიდებულ ტანსაცმელს შორის დავდიოდი და მოულოდნელად ცოცხალ და თბილ სხეულს წავაწყდი.

- კარგი, - თქვა კესიმ, - კარგი. მოდი, თავიდან დავიწყოთ. სანდრა სკალის გაუპატიურება. ეს როდის მოხდა?

ჯონათანი მკვეთრად შემობრუნდა ჩემკენ.

- ყველაფერი რიგზეა, - დავამშვიდე მე, - ხანდაზმულობის ვადა უკვე გავიდა.

ამის შესახებ ცნობების მოძიება ვერ მოვასწარი, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა - დევლინს ამ ძველ საქმეს ვერაფრით ავკიდებდით.

მან დაძაბული მზერა მომაპყრო.

- ოთხმოცდაოთხი წლის ზაფხულში, - თქვა მან, - უფრო ზუსტად არ მახსოვს.

- თქვენი თქმით, ეს აგვისტოს დასაწყისში, პირველი ორი კვირის რომელიღაც დღეს უნდა მომხდარიყო, - დაამატა კესიმ ფაილში ჩახედვის შემდეგ, - ადასტურებთ?

- შესაძლოა, მაგ დროს მოხდა.

- ჩვენ, აგრეთვე, გვაქვს მტკიცებულება, რომ იქ მოწმეებიც იყვნენ.

დევლინმა მხრები აიჩეჩა და თქვა:

- ამის შესახებ არაფერი ვიცი.

- თუ ასეა, დავაზუსტებ, - განაგრძო კესიმ, - ჩვენ გვითხრეს, რომ თქვენ მათ ტყეში დაედევნეთ, შემდეგ კი დაბრუნდით და "წყეული ბავშვები" ახსენეთ. როგორც ჩანს, იცნობდით მათ.

- შესაძლოა, ვთქვი კიდეც. არ მახსოვს.

- რა აზრი მოგივიდათ თავში იქ ბავშვების ყოფნის გამო, რომლებმაც, შესაძლოა, ყველაფერი დაინახეს?

- არ მახსოვს.

- ქეთლის თქმით... - მან ქაღალდები გადაფურცლა, - ქეთლ მილზის თქმით, თქვენ ძალიან გეშინოდათ, რომ ისინი პოლიციას უამბობდნენ. ისე შეგეშინდათ, ლამის ჩაისვარეთ.

დუმილი. დევლინი უფრო მოხერხებულად მოკალათდა სკამზე, გულხელი დაიკრიფა და კლდესავით გაშეშდა.

- რა მოიმოქმედეთ მათ შესაჩერებლად?

- არაფერი.

კესის გაეცინა.

- კარგი, ჯონათან, ჩვენ ხომ ვიცით, ვინ არიან ეს მოწმეები.

- თუ ასეა, მეც გამაგებინეთ.

მისი სახე კვლავაც არაფერს გამოხატავდა, მაგრამ ნელ--ნელა ლოყები შეუწითლდა: ბრაზი ემატებოდა.

- გაუპატიურებიდან რამდენიმე დღეში ორი მათგანი გაუჩინარდა.

კესი წამოდგა და კედელს მიუახლოვდა.

- აი, პიტერ სევიჯი, - თქვა მან და მის სკოლის დროინდელ სურათზე მიუთითა, - შეხედეთ ამ ფოტოსურათს, მისტერ დევლინ, - კესი ელოდებოდა, სანამ ჯონათანმა თავი არ მიატრიალა და ფოტოსურათს გამომწვევად არ მიაჩერდა, - ხალხი ამბობს, რომ მას ბუნებით მოსდგამდა ლიდერობა. პიტერი რომ ცოცხალი იყოს, თქვენთან ერთად გზატკეცილის მშენებლობის წინააღმდეგ აგორებულ მოძრაობას ჩაუდგებოდა სათავეში. იცოდით, რომ მის მშობლებს აქედან გამგზავრების ეშინიათ? რამდენიმე წლის წინათ ჯოზეფ სევიჯს ის სამუშაო შესთავაზეს, რომელზეც ოცნებობდა, მაგრამ ამისთვის გოლუეიში უნდა გადავიდეს, ისინი კი იმაზე ფიქრობენ, ვაითუ პიტერი დაბრუნდეს და აქ ვერ გვნახოსო.

ჯონათანმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ კესიმ გააწყვეტინა.

- ჯერმინა როუენი, - მან მომდევნო ფოტოზე მიუთითა, - მას ჯემის ეძახდნენ. სკოლის დასრულების შემდეგ ვეტერინარობას აპირებდა. დედამისს მის ოთახში ერთი ნივთიც არ გადაუადგილებია. შაბათობით იქაურობას მტვერს სწმენდს. როდესაც ოთხმოცდაათიან წლებში შვიდნიშნა ტელეფონის ნომრები შემოიღეს, - ხომ გახსოვთ? - ალისია როუენი "ტელეკომ აირიენის" სათავო ოფისში მივიდა და ცრემლმორეულმა სთხოვა, მისთვის ძველი, ექვსნიშნა ნომერი დაეტოვებინათ, რათა ჯემის დარეკვა

შესძლებოდა. აი, ადამ რაიანი, - ჩემი გადაყვლეფილი მუხლების ფოტო, - მისი მშობლები იძულებულნი გახდნენ, ატეხილი ხმაურისა და მკვლე ლის მიმართ შიშის გამო, აქედან აყრილიყვნენ. მათ წარსულთან კავშირი გაწყვიტეს. სადაც უნდა იყოს იგი, გადატანილი შოკი მუდამ მასთან დარჩება. თქვენ გიყვართ ნოკნარი, ჯონათან, ხომ ასეა? ამაყობთ, რომ ბავშვობიდან აქ ცხოვრობთ. ადამსაც შეეძლო, იგივე ეგრძნო, მისთვის შანსი რომ მიეცათ. მას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეუძლია ყოფნა, მაგრამ მშობლიურ სახლს ვერასდროს ნახავს.

მისი სიტყვები რომელიღაც ჩაძირულ ქალაქში ზარის რეკვასავით ჩამესმოდა. კესის ეხერხებოდა ლაპარაკი: წამით ისეთი უსაზღვრო სევდა ვიგრძენი, რომ თავის აწევა და ძაღლივით ყმუილი მომინდა.

- თუ იცით, როგორი დამოკიდებულება აქვთ სევიჯებსა და ალისია როუენს თქვენ მიმართ? - იკითხა კესიმ, - მათ შურთ თქვენი. თქვენ ქალიშვილი დაკრძალეთ, მაგრამ როდესაც შვილს მოგიკლავენ და მას ვერ დამარხავ, ეს უარესია. ხომ გახსოვთ, რა გადაიტანეთ იმ დღეს, როდესაც ქეითი დაიკარგა? მათთვის კი ეს ტრაგედია უკვე ოცი წლის განმავლობაში გრძელდება.

- მისტერ დევლინ, ეს ხალხი იმსახურებს იმას, რომ სიმართლე იცოდნენ, - რბილად დავამატე მე, - თანაც ეს მხოლოდ მათ როდი ეხებათ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთს უკავშირდება. უნდა გვითხრათ, თუ ასე არ არის, თორემ, შესაძლოა, მკვლელი ხელიდან დაგვისხლტეს.

ჯონათანის თვალებში რაღაც გაკრთა - იმედისა და შეძრწუნების უცნაური ნაზავი.

- მაშ, რა მოხდა იმ დღეს? - ჰკითხა კესიმ, - თოთხმეტ აგვისტოს, როდესაც პიტერი და ჯემი გაუჩინარდნენ.

ჯონათანი სკამზე შეინძრა.

- ყველაფერი ვთქვი, რაც ვიცოდი, - განაცხადა მან.

- მისტერ დევლინ, - მისკენ დავიხარე, - ეს ძნელი მისახვედრი არაა. პანიკამ მოგიცვათ სანდრას გამო.

- მაგრამ იცოდით, რომ მისი არ უნდა გშინებოდათ, - მხარი ამიბა კესიმ, - მას გაგიჟებით უყვარდა ქეთლი და მის წინააღმდეგ არ წავიდოდა. ყოველ შემთხვევაში, მის ნათქვამს თქვენს სიტყვებ ზე მეტი ფასი არ ექნებოდა. ხშირად მოსამართლეები არ ენდობიან გაუპატიურების მსხვერპლს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას სამი თავდამსხმელიდან ორთან, ორმხრივი თანხმობის საფუძველზე, სექსი ჰქონდა. შეგეძლოთ, მისთვის ბოზი გეწოდებინათ და არხეინად დაბრუნებულიყავით შინ, მაგრამ ბავშვები... თუ ისინი ალაპარაკდებოდნენ, მაშინვე გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდით. სანამ ისინი ცოცხლები იყვნენ, თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობდით.

კესიმ სკამი აიღო და ჯონათანის გვერდით დაჯდა.

- იმ დღეს სტილორგანში არ გამგზავრებულხართ, ხომ ასეა?

ჯონათანმა წარბი შეიკრა.

- გავემგზავრეთ. მე, ქეთლი და შეინი. კინოში.

- რა ფილმი ნახეთ?

- მაშინ პოლიციას ყველაფერი ვუამბე. ეს ოცი წლის წინათ მოხდა.

კესმა თავი გადააქნია.

- არა, - თქვა მან, - შესაძლოა, იქ ერთ-ერთი თქვენგანი გაგზავნეთ, სავარაუდოდ, შეინი, რათა ფილმის სიუჟეტი მოეყოლა. ან უფრო ეშმაკურად მოიქეცით: კინოთეატრში სამივენი შეხვედით, შუქის ჩაქრობის შემდეგ კი შეუმჩნევლად გარეთ გამოხვედით - ესეც თქვენი ალიბი, მაგრამ საღამოს ექვსი საათისთვის ორნი ან სამნი უკვე ნოკნარიში, ტყეში იყავით.

- რაო? - ჯონათანი შეიჭმუხნა.

- ბავშვები შინ ყოველთვის შვიდის ნახევარზე ბრუნდებოდნენ. იცოდით, რომ ისინი ჯერ უნდა მოგეძებნათ: მაშინ ტყე გაცილებით დიდი იყო, მაგრამ თქვენ მათ მიაგენით. ისინი თამაშობდნენ და დამალვა არ უცდიათ. შესაძლოა, ხმაურობდნენ კიდეც. თქვენ მათ მიეპარეთ - ისევე, როგორც მაშინ ისინი მოგეპარნენ - და შეიპყარით.

ცხადია, მე და კესიმ წინასწარ რეპეტიცია გავიარეთ. ყველაზე სარწმუნო ვერსია დავამუშავეთ და დავხვეწეთ. ახლა ეჭვი გულს გვიღრღნიდა და გვეუბნებოდა: "არა, ასე კი არა, სხვანაირად იყო", მაგრამ უკან ვეღარ დავიხევდით.

- ჩვენ იმ დღეს ტყეში არ წავსულვართ. ჩვენ...

- თქვენ ბავშვებს კედები გახადეთ - ასე უფრო გაუჭირდებოდათ გაქცევა. შემდეგ ჯემი მოკალით. ჩვენ ვერ დავადგენთ, ეს როგორ გააკეთეთ, სანამ გვამებს არ ვნახავთ, მაგრამ, ვფიქრობ, დანა დაარტყით ან ყელი გამოსჭერით. მისი სისხლი როგორღაც ადამის კედზე მოხვდა. შესაძლოა, თვითონ მიაჩოჩეთ გოგოსთან, რათა მიწაზე ნაკლები სისხლი დაღვრილიყო. აპირებდით, რომ კედები გვამებთან ერთად წყალში გადაგეყარათ, მაგრამ სანამ პიტერს ბოლოს უღებდით, ადამი უმეთვალყურეოდ დარჩა. მან კედებს ხელი სტაცა და გაიქცა. მისი მაისური დასერილია - როგორც ჩანს, რომელიღაც თქვენგანმა დანა მოუქნია, მაგრამ ააცდინა... თქვენ მას ვერ დაეწიეთ - ტყეს თქვენზე უკეთ იცნობდა, დაიმალა და იქ იყო, სანამ მაშველებმა არ მიაგნეს. რას გრძნობდით ამ ყველაფრის შემდეგ, ჯონათან? ამდენი იწვალეთ და ყველაფერი მაინც წყალში ჩაგეყარათ? ერთი მოწმე მაინც დატოვეთ.

ჯონათანი იჯდა, პირი მაგრად მოეკუმა და წინ იყურებოდა. ხელები მიცახცახებდა, ამიტომ მაგიდის ქვეშ დავმალე.

- სხვათა შორის, სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ორნი იყავით, - განაგრძო კესიმ, - თუ სამნი იქნებოდით სამი ბავშვის წი-

ნააღმდეგ, მათ გადარჩენის შანსი არ ექნებოდათ. მაშინ მათთვის კედების გახდას აზრი არ ექნებოდა - თითოეული თქვენგანი ერთს დაიჭერდა და ადამიც ვერ გაიქცეოდა, მაგრამ თუ ორნი იყავით სამის წინააღმდეგ...

- მისტერ დევლინ, - ვთქვი მე. ჩემი ხმა ყრუდ ჟღერდა, - თუ თქვენ დანაშაულის ადგილას კი არ იყავით, არამედ კინოში, უნდა გვითხრათ. თანამზრახველსა და მკვლელს შორის დიდი განსხვავებაა.

ჯონათანმა მრისხანე სახით შემომხედა.

- მგონი, ორივენი გაგიჟდით, - ჩაილაპარაკა მან. მძიმედ სუნთქავდა, - იმ ბავშვებისთვის თითიც კი არასდროს დაგვიკარებია.

- ვიცი, რომ მოთავე არ ყოფილხართ, - ვთქვი მე, - ყველაფერი ქეთლ მილზმა დაგეგმა. ეს თვითონ გვითხრა. აი, მისი ზუსტი ნათქვამი: "ჯონათანს ამის გასაკეთებლად გამბედაობა არ ეყოფოდა". გვითხარით, თუ თქვენ მხოლოდ თანამზრახველი ან მოწმე იყავით.

- სისულელეა! ქეთლი მკვლელობას ვერ აღიარებდა, ვინაიდან არავინ მოგვიკლავს. არ ვიცი, რა დაემართათ ბავშვებს და არც მაინტერესებს. მხოლოდ ის მინდა, ქეითის მკვლელი იპოვოთ.

- ქეითის? - გაიმეორა კესიმ და წარბები ასწია, - კარგი, მოდი, ახლა მასზე ვილაპარაკოთ, - მან მკვეთრად გასწია სკამი და სწრაფად მივიდა კედელთან, - აი, მონაცემები ქეითის სამედიცინო ანკეტიდან. ოთხი წლის განმავლობაში მას მუცლის ტკივილი აწუხებდა, ამ წლის გაზაფხულზე კი თავის ბალეტის მასწავლებელს უთხრა, რომ აღარ იავადმყოფებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა ასე მოხდა. იცით, ეს რა აზრს აჩენს? ვიღაც ქეითს წამლავდა. ეს ძალზე მარტივია: ცოტაოდენი გამწმენდი სა-

შუალება, ცოტაოდენი ტუალეტის მათეთრებელი, მარილიანი წყალიც გამოდგება...

ჯონათანს ვაკვირდებოდი. სახე გაუფერმკრთალდა, მკვდარივით გაფითრდა. ჩემში არსებული შინაგანი ხმა მიყუჩდა, მაგრამ ინტუიცია მკარნახობდა, რომ დევლინმა რაღაც იცოდა.

- ეს ვიღაც უცნობი არ ყოფილა, ჯონათან, არც უცხო პირი, რომელიც მიწაში ჩადებულ ფულზე დარდობდა და თქვენ გიპირისპირდებოდათ. არა, ეს ის ადამიანი იყო, რომელიც ქეითს ყოველდღე ხვდებოდა, ვისაც გოგონა ენდობოდა, მაგრამ ნდობა მაშინ გაქრა, როდესაც ამ გაზაფხულზე ქეითს საბალეტო სკოლაში მოხვედრის კიდევ ერთი შანსი გაუჩნდა. მას აღარ სურდა ამასთან შეგუება. შესაძლოა, დაიმუქრა კიდეც, რომ ყველაფერს გაახმაურებდა. რამდენიმე თვის შემდეგ კი, - კესიმ გარდაცვლილი ქეითის სურათს ხელისგული მსუბუქად მიარტყა, - ის მოკლეს.

- მეუღლეს აფარებთ ხელს, მისტერ დევლინ? - ვკითხე ხმადაბლა და ვიგრძენი, რომ ჰაერი არ მყოფნიდა, - როდესაც ბავშვებს სახლში წამლავენ, ეს, როგორც წესი, დედის ბრალია. თუ მხოლოდ ოჯახის შენარჩუნება გსურთ, დაგეხმარებით. მისის დევლინს აუცილებელ დახმარებას გავუწევთ.

- მარგარეტს უყვარს ჩვენი გოგოები! - შესძახა ჯონათანმა, - ის არასდროს...

- არასდროს - რა? - გააწყვეტინა კესიმ, - არასდროს მოწამლავდა ან მოკლავდა ქალიშვილს?

- არასდროს არაფერს დაუშავებდა.

- მაშინ ვინღა რჩება? - დაინტერესდა კესი, კედელზე მიმაგრებულ გარდაცვლილი ქეითის სურათზე მიუთითა და დევლინს დაჟინებით მიაჩერდა, - როზალინდასა და ჯესიკას მყარი ალიბი აქვთ. ვინ რჩება, ჯონათან?

- ამის გაფიქრებაც არ გაბედოთ, - ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა მან, - არც კი გაიფიქროთ, თითქოს მე ჩემს ქალიშვილს რამე დავუშავე.

- მისტერ დევლინ, სამი ბავშვია მოკლული, სამივენი ერთსა და იმავე ადგილას მოკლეს და სრულიად შესაძლებელია, ეს სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით გააკეთეს. სამხილები მხოლოდ ერთ ადამიანზე მიუთითებს და ის თქვენ ხართ. თუ რამის ახსნა გსურთ, ყურადღებით მოგისმენთ.

- ეს... ეს წარმოუდგენელია, დალახვროს ეშმაკმა! - შესძახა ჯონათანმა. მომეჩვენა, რომ ხმა, სადაც იყო, ჩაუწყდებოდა, - ვიღაცამ ქეითი მოკლა, თქვენ კი გინდათ, მე რაღაც აგიხსნათ? ეს თქვენი სამუშაოა და არა ჩემი. ყველაფერი უნდა ამიხსნათ, თქვენ კი მადანაშაულებთ, თითქოს...

წამოვხტი, ბლოკნოტი გვერდზე მოვისროლე და დევლინის წინ აღვიმართე.

- ადგილობრივი მოსახლე, არანაკლებ ოცდათხუთმეტი წლისა, რომელიც ოცდახუთი წელია, ნოკნარიში ცხოვრობს და ალიბი არა აქვს. ვინც პიტერსა და ჯემის იცნობდა, ვინც ყოველდღე ხვდებოდა ქეითს და ვისაც სამივე ბავშვის მკვლელობის მოტივი ჰქონდა. ვინ უნდა იყოს ის, თქვენი აზრით? ერთი ადამიანი მაინც დამისახელეთ, რომელიც ჩამოთვლილ პირობებს აკმაყოფილებს და გეფიცებით, დაუყოვნებლივ გაგიშვებთ და აღარასოდეს შეგაწუხებთ. მიდი, ჯონათან, დაასახელეთ. სახელი. ერთი სახელი.

- ჰოდა, დამაპატიმრეთ! - დაიღრიალა მან და ხელები გამოგვიწოდა, - მიდი, რადგან ასე დარწმუნებული ხართ თქვენი სამხილებითა და ათასგვარი ნაგვით... დამაპატიმრეთ! ახლავე!

ვერ წარმოიდგენთ, - ამას კი ნამდვილად ვერ წარმოიდგენთ, - როგორ მინდოდა ამის გაკეთება. წამში მთელმა ჩემმა ცხოვრებამ თვალწინ ჩამიქროლა (როგორც ამბობენ, ასე იმას ემარ-

თება, ვინც წყალში იხრჩობა): ღამით ტირილი ცივ საძინებელში, "რვიანები" საბავშვო ველოსიპედით ("დედა, შეხედე, უხელებოდ დამყავს!"), თბილი სენდვიჩი შარვლის ჯიბეში, დეტექტივების ხმები, დაუსრულებლად რომ ჩამბუბუნებენ ყურში... მაგრამ ვიცოდი - ნამდვილი სამხილი არ გვქონდა, ჩიხში ვერ მოვაქცევდით და თორმეტი საათის შემდეგ ამ კარიდან ჩიტივით თავისუფალი და თავიდან ფეხებამდე დამნაშავე გავიდოდა.

- ჰო, აბა, რა, - ჩავიბურტყუნე და სახელო ავიკაპიწე, - არა, დევლინ, არა. შენ მთელი საღამო გვატყუებ. ყელში ამომიხვედი.

- ან დამაპატიმრეთ, ან...

დევლინს ვეცი. იგი უკან გადახტა - სკამი იატაკზე დაეცა - კუთხეში დადგა და ხელები მომუშტა. კესი მომვარდა და ხელი დამიჭირა.

- ღმერთო ჩემო, რაიან! გაჩერდი!

ეს ბევრჯერ გაგვითამაშებია, როდესაც ვიცით, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავეა, ის კი ჯიუტად არაფერს აღიარებს, ეს ჩვენი ბოლო შანსია. გაშმაგების შემდეგ ვწყნარდები, კესის ხელებს მშვიდად ვიშორებ, დასაკითხავ ობიექტს კი კვლავაც ბოროტად გავცქერი. ბოლოს მოვდუნდები, ვჯდები და მაგიდაზე თითებს ნერვიულად ვაკაკუნებ, სანამ კესი დაკითხვას განაგრძობს და შიგადაშიგ ჩემკენ იყურება - კიდევ ხომ არ წამოუვლისო. რამდენიმე წუთის შემდეგ თავში ხელს შემოირტყამს, მობილურს ამოწმებს და ამბობს: "დალახვროს ეშმაკმა, წასასვლელი ვარ, რაიან... ოღონდ არ აღელდე, კარგი? გახსოვდეს, რით დასრულდა ყველაფერი ამას წინათ". გადის და ეჭვმიტანილთან მარტო მტოვებს. ჩვეულებრივ, ეს ხერხი ამართლებდა, ხშირად სკამიდან ხელმეორედ წამოდგომა არც კი მჭირდებოდა. რამდენჯერ გაგვიკეთებია ეს? ათჯერ? თხუთმეტჯერ? ყოველი დეტალი ისე გვქონდა დამუშავებული, როგორც კასკადიორებს - თავიანთი ტრიუკი.

მაგრამ ახლა ასე არ იყო: ყველაფერი რეალურად ხდებოდა, თითქოს აქამდე მხოლოდ ვვარჯიშობდით, და ვბრაზობდი, რომ კესი ამას ვერ ხვდებოდა. ხელის გათავისუფლება ვცადე, მაგრამ კესი იმაზე ღონიერი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა - თითები მარწუხივით ჩაევლო. რომელიღაც ნაკერის ფხრეწის ხმაც შემომესმა. ერთ ადგილს მძიმედ ვტკეპნიდით და ერთმანეთს ვებრძოდით.

- მომწყდი თავიდან...

- რობ, არა...

თავი მიგუგუნებდა და მისი ხმა ცუდად მესმოდა. მხოლოდ დევლინს ვხედავდი - ჩემგან ორიოდე ნაბიჯის დაშორებით იდგა, ხელები მოკრივესავით აეწია, თავი ოდნავ დაეხარა. ხელი მთელი ძალით დავქაჩე და ვიგრძენი, როგორ გასრიალდა კესის თითები, მაგრამ ფეხებში სკამი გამებლანდა. სანამ მას გვერდზე მოვისროდი, კესიმ იმარჯვა, მეორე ხელში მწვდა და პროფესიული მოძრაობით ზურგს უკან გადამიგრიხა. შევყვირე.

- შენ რა, გაგიჟდი? - ჩამჩურჩულა ყურში, - მან არაფერი იცის!

მისმა სიტყვებმა გამომაფხიზლა, თავზე თითქოს ცივი წყალი გადამასხეს. ვხვდებოდი, თუკი ცდებოდა კიდეც, ვერაფერს შევცვლიდი. მაშინვე სუსტი და გამოშიგნული თევზივით უმწეო გავხდი.

კესის ეს ცვლილება არ გამორჩენია. ხელი გამიშვა და სწრაფად მომცილდა, თუმცა მორიგი შერკინებისთვისაც მზად იყო. მძიმედ ვსუნთქავდით და ერთმანეთს მტრებივით შევყურებდით.

კესის ქვედა ტუჩზე მუქი ლაქა მოუჩანდა და მივხვდი, რომ ეს სისხლი იყო. წამით შევშინდი, ხომ არ დავარტყი-მეთქი, შემდეგ კი მივხვდი, რაც მოხდა: როდესაც მისგან თავის დახსნას ვცდილობდი, კესის ხელი აუსხლტა, ტუჩებში მოირტყა და კბილებზე გაიჭრა.

- კესი, მე... - ჩავიბურტყუნე.

მან ჩემს სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია.

- მისტერ დევლინ, - თქვა ისე მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყო, მხოლოდ ხმა უთრთოდა ოდნავ. ჯონათანი, რომელიც აღარც მახსოვდა, კუთხიდან გამოვიდა და ალმაცერად მომაჩერდა, - ჯერჯერობით, ბრალს არ წაგიყენებთ და გაგიშვებთ, მაგრამ დაჟინებით გირჩევთ, არსად გაემგზავროთ და გაუპატიურების მსხვერპლ თან კონტაქტის დამყარება არ სცადოთ. გასაგებია?

- დიახ, - ენის ბორძიკით მიუგო ჯონათანმა, - კარგი.

მან წაქცეული სკამი დადგა, დაჭმუჭნილი პალტო აიღო და გაღიზიანებული სახით ჩაიცვა. ჩემკენ შემოტრიალდა და მკაცრი მზერა მომაპყრო, თითქოს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ გადაიფიქრა, თავი ზიზღით გადააქნია და წავიდა.

კესი უკან გაჰყვა და კარი გაიჯახუნა, თუმცა, ამორტიზებული მექანიზმის გამო, მას არცთუ დამაჯერებელი ხმა ჰქონდა.

სკამზე მოწყვეტით დავჯექი და თავი ხელებზე დავუშვი. მსგავსი რამე არასდროს მომსვლია. ყოველთვის მძულდა ძალადობა, მასზე გაფიქრებაც კი გულს მირევდა. არასდროს არავინ გამილახავს, მაშინაც კი, როდესაც პრეფექტი ვიყავი და ძალაუფლებაც მქონდა.

კესის ვატკინე... ვიჯექი და ვფიქრობდი, ხომ არ შევიშალე-მეთქი.

რამდენიმე წუთის შემდეგ კესი დაბრუნდა, კარი მიხურა, ზურგით მიეყრდნო და ხელები ჯინსის ჯიბეებში ჩაიწყო. ტუჩზე სისხლი შეხმობოდა.

- კესი, - ვთქვი და ხელისგულები სახეზე მოვისვი, - ძალიან ვწუხვარ. კარგად ხარ?

- რას ნიშნავდა ეს ყველაფერი?

ლოყებზე ორი წითელი ლაქა მოუჩანდა.

- მომეჩვენა, რომ რაღაც იცოდა. დარწმუნებული ვიყავი.

ხელები ისე მიცახცახებდა, რომ ეს არაბუნებრივად ჩანდა - თითქოს იმის ჩვენება მინდოდა, რომ შოკირებული ვიყავი. ხელები მაგრად მოვმუშტე, რათა კანკალი როგორმე შემეჩერებინა.

- რობ, შენ ამას ვერ შეძლებ, - მითხრა კესიმ.

არაფერი მითქვამს. კარგა ხნის შემდეგ გავიგონე, როგორ გაიხურა კარი.

15 თავი

ღამით, ძილის წინ, გავილეშე. თხუთმეტი წელია, ამდენი არ დამილევია. გათენებამდე დარჩენილი დროის ნახევარი საababazanoში გავატარე, არაფრის მთქმელი თვალებით უნიტაზს მივჩერებოდი და ვიმედოვნებდი, რომ ვაღებინებდი. გუგებში შუქი გულისცემის ტაქტში მირტყამდა, კუთხეებში საზიზღარი ჩრდილები მოძრაობდნენ, დაფუსფუსებდნენ და თვალის დახამხამებისთანავე ქრებოდნენ. ბოლოს გადავწყვიტე, რადგან არ მაღებინებს, გულის რევის შეგრძნებას როგორმე გავუძლებ-მეთქი, ჩემი ოთახისკენ წავლასლასდი და საწოლზე გაუხდელად დავეგდე.

რაღაც პირქუში და საზიზღარი დამესიზმრა. თითქოს უფორმო ტომარაში ვიღაც ბორგავდა და ღრიალებდა, გვერდით კი სანთებელას ანთებდნენ და იცინოდნენ. შემდეგ სამზარეულოში შუშის ნატეხები გაჩნდა. ქალი ტიროდა. მე კვლავაც სტაჟიორი ვიყავი მიყრუებულ რაიონში, ბორცვებზე კი ჯონათან დევლინი და ქეთლ მილზი იმალებოდნენ: ტყეში ცხოვრობდნენ მწევრებთან ერთად, თოფებით შეიარაღებულები, ჩვენ კი ისინი უნდა დაგვეჭირა: მე და კიდევ ორ დეტექტივს - მაღლებსა და ცვილის მუმიასავით გამხდრებს. მინდორში დავხეტიალებდით, ტლაპოში ვეფლობოდით. ერთ-ერთ მომენტში გამეღვიძა, - ოფლისგან დასველებულ ზეწარში ვიკრუნჩხებოდი, - მაგრამ ვერც კი მივხვდი, რომ ეს სიზმარი იყო, და მაშინვე დავიძინე.

სამაგიეროდ, დილით გამოღვიძებულს თავში მხოლოდ ერთი მკაფიო და კაშკაშა სურათი დამხვდა - გონებაში ნეონის შუქით გაბდღვრიალებულ აბრასავით ჩამბეჭდოდა. მას არაფერი ჰქონდა საერთო პიტერთან, ჯემისა და ქეითთან. ეს ემეტი იყო, ტომ ემეტი, ერთ-ერთი იმ ორ დეტექტივთაგან, ჩვენს მიყრუებულ დასახლებაში რომ შემოიხედეს, როცა სტაჟირებაზე ვიყავი. ამ მა-

ღალ და გამხდარ კაცს საუცხოო ყელიანი ფეხსაცმელი ეცვა (ალბათ, სწორედ მაშინ შემექმნა წარმოდგენა მკვლელობათა განყოფილებაში მომუშავე დეტექტივების ჩაცმულობაზე) და საოცრად მკაცრი, გალაქული ხის მსგავსი სახით ძველებური კოვბოური ფილმის პერსონაჟს ჰგავდა. როდესაც განყოფილებაში მოვხვდი, ის ჯერაც იქ მუშაობდა (ახლა უკვე გადამდგარია) და, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგი პიროვნება იყო. მის მიმართ ყმაწვილური აღფრთოვანება ბოლომდე გამყვა და ყოველთვის, როცა გამომელაპარაკებოდა, რაღაცას გაუგებრად, მოწიწებით ვლუღლუღებდი.

მახსოვს, ერთხელ, დღისით, ავტოსადგომზე დავბორიალებდი, ვეწეოდი და ისეთი სახე მქონდა, თითქოს დეტექტივების საუბარი სულ არ მაინტერესებდა. მეორე პოლიციელმა რაღაც ჰკითხა და ემეტმა თავი დაუქნია. "თუ ამას არ იზამს, რაც ვიშრომეთ, წყალში ჩაგვეყრება, - თქვა მან, ნამწვი ასფალტზე დააგდო და ფეხით გასრისა, - მაშასადამე, უკან დავბრუნდებით, თავიდან დავიწყებთ და დავადგენთ, სად შევცდით". შემდეგ ორივენი შეტრიალდნენ და განყოფილებისკენ გაემართნენ შავ პალტოებში გამოწყობილები, ოდნავ მოხრილები და ერთმანეთისკენ თავდახრილები.

სასმელი ყოველთვის თვითგვემისკენ მიდრეკილებას აჩენს: საკუთარ თავს ვუტყდებოდი, რომ მეც წყალში გადავყარე ჩემი ნაშრომი, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან გამოსავალს მივაგენი. როგორც ჩანს, ის, რაც აქამდე მემართებოდა: დევლინის საშინელი დაკითხვა, უძილო ღამეები და ფსიქიკური გაუწონასწორებლობა, მხოლოდ მისასვლელი იყო ამ წუთთან. მზად ვიყავი, ქვეყნის თითოეული მოქალაქე დამეკითხა და ტვინი ამედუღებინა, ოღონდ ნოკნარის ტყისკენ არ გამეხედა. ბოლო წერტილამდე მისვლა მჭირდებოდა, სრულ უღონობამდე, რათა ცხადი და უბრალო რამ დამენახა - ერთა-

დერთი ადამიანი, რომელმაც ზოგიერთი პასუხი იცოდა, მე ვიყავი და მათ პოვნაში დახმარებას მხოლოდ ტყეს შეეძლო.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი ძალზე ადვილია, მაგრამ ვერ გადმოგცემთ, რას ნიშნავდა ჩემთვის ეს დამაბრმავებელი გაელვება, რომელმაც მოულოდნელად არემარე გაანათა და მიმითითა, რომ გზა არ დამკარგვია და ვიცოდი, საითაც წავსულიყავი. დილის მქრქალი შუქით განათებულ საწოლში ვიჯექი და მეცინებოდა. ნაცვლად იმისა, საშინელ ნაბახუსევზე ვყოფილიყავი, ჩემში, როგორც ოცი წლის ჭაბუკში, სუფთა და ახალი ენერგია ჩქეფდა. სწრაფად მივიღე შხაპი, გავიპარსე, გზად ჰითერს მხიარულად ვუსურვე მშვიდობის დილა (მან ეჭვიანი მზერა დამადევნა) და ქალაქისკენ გავქანდი, თან რადიოთი გადმოცემულ რომელიღაც სულელურ სიმღერას ბანს ვაძლევდი.

სტივენგრინზე მანქანის დასაყენებელ ადგილს მივაგენი - კარგი ნიშანი იყო: დილით ეს სასწაულს უტოლდებოდა - და სამსახურში მისვლამდე რამდენიმე ნივთი შევიძინე: გრაფტონსტრიტზე მდებარე წიგნის მაღაზიაში "ქარიშხლიანი უღელტეხილის"[103] ძველ, ლამაზ გამოცემას მოვკარი თვალი - კიდეებზე შეყავისფრებული ფურცლებითა და ოქროს ხვეულით თავფურცელზე: "სარასთვის, შობა, 1922". შემდეგ "ბრაუნ თომასისკენ" გავემართე და კაპუჩინოსთვის პატარა, მაგრამ მოდერნიზებული აპარატი შევიძინე. კესის ძალიან მოსწონდა, როდესაც ყავას ზემოდან ქაფი ედო. დიდი ხანია, მისთვის შობის დღესასწაულზე ამის ჩუქება მინდოდა, მაგრამ სულ მავიწყდებოდა. მანქანა გზის პირას დავტოვე და სამსახურში ფეხით წავედი. ეს გვარიანი თანხა დამიჯდა, მაგრამ ასეთ მზიან და ნათელ დღეს სისულელის გაკეთების ხასიათზე ვიყავი.

---

[103] "ქარიშხლიანი უღელტეხილი" - ემილი ბრონტეს რომანი.

კესი უკვე ქაღალდების სავსე მაგიდასთან იჯდა. საბედნიეროდ, სემი და დამხმარეები ჯერ არ მოსულიყვნენ.

- დილა მშვიდობისა, - ჩაილაპარაკა მან და ცივად გამომხედა.

- აჰა, - ვთქვი და ორივე პაკეტი მაგიდაზე დავდე.

- რა არის? - მკითხა დაეჭვებით.

- ეს, - ხელი ყავის მადუღარისკენ გავიშვირე, - შეპირებული და დაგვიანებული საშობაო საჩუქარია, ეს კი - ბოდიშის ნიშნად. მაპატიე, კესი, ღვთის გულისთვის, არა მხოლოდ გუშინდელი, მთელი კვირის გამო. უკანალში შერჭობილ ხიჭვს ვგავდი და ჩემზე გაბრაზების სრული უფლება გქონდა, მაგრამ გეფიცები, ეს აღარ განმეორდება. დღეიდან სრულიად ნორმალური, კეთილგონიერი და სასიამოვნო ადამიანი გავხდები.

- ცხოვრებაში პირველად, - ჩაილაპარაკა კესიმ და ვიგრძენი, როგორ ჩამეღვარა გულში სითბო. მან წიგნი გადაშალა - ემილი ბრონტე მისი ერთ-ერთი საყვარელი მწერალი იყო - და პირველ გვერდს ხელი გადაუსვა.

- შეწყალებული ვარ? თუ გინდა, დაგიჩოქებ. მართლა.

- სიამოვნებით ვნახავდი, - მითხრა კესიმ, - მაგრამ, შესაძლოა, ვინმემ დაინახოს და მითქმა-მოთქმა დაიწყება, რობ, შე ეშმაკის ფეხო. არადა, როგორ მინდოდა გაბუტვა.

- დიდხანს მაინც ვერ გაძლებდი, - ვთქვი და შვებით ამოვისუნთქე - თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მომხსნეს, - სადილობის დროისთვის შემირიგდებოდი.

- კარგი, ნუ ტრაბახობ. მოდი ჩემთან, - მან ხელები გამომიწოდა. მისკენ დავიხარე და ერთმანეთს გადავეხვიეთ, - გმადლობ.

- არაფრის, - ვუთხარი ღიმილით, - დამიჯერე, ეს აღარ გამეორდება.

სანამ ლაბადას ვიხდიდი, კესი მიყურებდა.

- იცი, - თქვა მან, - საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ნერვებს მიშლიდი. შენ გამო სერიოზულად ვწუხდი. თუ ამ საქმის გაგრძელება აღარ გინდა, - არა, ჯერ ბოლომდე მომისმინე, - შეგიძლია, სემს ადგილი გაუცვალო და ენდრიუსზე გადაერთო, ის კი დევლინებს მიხედავს. მან საკმარისად წინ წაიწია, რათა ეს საქმე რომელიმე ჩვენგანს გადასცეს, ბიძამისის იმედი კი ისედაც აღარ გვაქვს. სემი ზედმეტ შეკითხვას არ დასვამს. არც შენ მოგიწევს თავის გაწირვა.

- კესი, გეფიცები, კარგად ვარ. გუშინ ბოლო შემთხვევა იყო. ღმერთმანი, ვიცი, ამ საქმეს როგორ მოვერიო.

- რობ, თუ გახსოვს, შენ ერთხელ მითხარი, მომცხე, თუ გამოძიების დროს უცნაურად მოვიქცევიო. ჰოდა, ჩათვალე, რომ მოგცხე. ჯერჯერობით, ჰიპოთეზურად.

- ერთი კვირა მომეცი. თუ შვიდი დღის შემდეგ კვლავაც გაიფიქრებ, რომ ამ საქმეს თავს ვერ გავართმევ, სემს ადგილს გავუცვლი.

- კარგი.

ისეთ მშვენიერ ხასიათზე ვიყავი, რომ კესის მოულოდნელმა მზრუნველობამაც ვერაფერი დამაკლო. პირიქით, გული ამიჩუყა. ალბათ, იმიტომ, რომ ეს აღარ მჭირდებოდა. კესის მხარზე ხელი მოვუთათუნე და ჩემი მაგიდისკენ გავემართე.

- რომ იცოდე, - მითხრა კესიმ, როდესაც დავჯექი, - სანდრა სკალის ამბავი ძალიან დაგვეხმარა. ხომ გახსოვს, როგორ გვინდოდა როზალინდასა და ჯესიკას სამედიცინო ბარათების ნახვა? ახლა უკვე მტკიცებულება გვაქვს, რომ ქეითი და ჯესიკა უცნაურად იქცეოდნენ, ამას ჯონათანის აღიარებაც ემატება გაუპატიურების შესახებ. ვფიქრობ, საკმარისი ირიბი სამხილი გვაქვს, რათა ავადმყოფობის ისტორია გამოვითხოვოთ.

- მედოქს, შენ სასწაული ხარ, - ვთქვი და გავიღიმე. დღემდე არ მასვენებდა აზრი, რომ მივქარე და გამოძიება მცდარი გზით

წავიყვანე, კესიმ კი დამამშვიდა, რომ ამას ფუჭად არ ჩაუვლია, - მაგრამ მომეჩვენა, რომ დევლინი მკვლელი არ გგონია.

კესიმ მხრები აიჩეჩა.

- ის რაღაცას მალავს, მაგრამ ეს მხოლოდ ბავშვებზე ძალადობა თუ იქნება, - სიტყვა "თუ" აქ ზედმეტია, თუმცა ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობ, - ან მარგარეტს აფარებს ხელს... შენგან განსხვავებით, დარწმუნებული არა ვარ, რომ დამნაშავეა, მაგრამ მინდა, ჩანაწერებს გადავხედო.

- ბოლომდე დარწმუნებული არც მე ვარ.

კესიმ წარბები ასწია.

- გუშინ ასე არ მომჩვენებია.

- რადგან ამ თემას შევეხეთ... რას იტყვი, ხომ არ მიჩივლებს? ზედმეტი უსიამოვნება არაფერში მჭირდება.

- ვინაიდან ასე ლამაზად მომიბოდიშე, - თქვა კესიმ, - ამ საკითხზე ჩემს აზრს მოგახსენებ. დევლინს არაფერი უთქვამს ჩივილის თაობაზე. არა მგონია, ეს გაეკეთებინა, თორემ ო ' კელის ღრიალს ქუჩაში გავიგონებდით. ვფიქრობ, ქეთლ მილზიც, - მისმა მამაკაცურმა ღირსებამ რომ დამაეჭვა, - ამავე მიზეზით არ დამიპირისპირდა.

- ცხადია, არ დაგიპირისპირდა. ნუთუ შეგიძლია, წარმოიდგინო, რომ რომელიღაც სერჟანტის მაგიდასთან ზის და უხსნის, რომ, შენი აზრით, მას პატარა და ცუდად მომუშავე პენისი აქვს? მაგრამ დევლინი სხვაა. მან, მგონი, გააფრინა.

- ძალიან გთხოვთ, დევლინებს ნუ შეურაცხყოფთ! - შესძახა ოთახში შემოვარდნილმა სემმა. აღელვებული და გაწითლებული იყო, ჰალსტუხი გვერდზე მოქცეოდა, თმა გასწეწოდა, - დევლინი საუცხოო ბიჭია. ტუჩებში ვაკოცებდი, მაგრამ მეშინია, ეს სხვანაირად არ გაიგოს.

- თქვენგან კარგი წყვილი გამოვიდოდა, - ვთქვი სიცილით, - ასეთი რა გააკეთა?

სემი სავარძელში მოწყვეტით ჩაჯდა და ფეხები მაგიდაზე შემოაწყო, ძველებური ფილმის დეტექტივის დარად. შლაპა რომ ჰქონოდა, ჰაერში მოისროდა.

- რა გააკეთა და, ენდრიუსი ამოიცნო ტელეფონით. თავდაპირველად ენდრიუსი და მისი ადვოკატი უარზე იდგნენ, კინაღამ ისტერიკა დაეწყოთ. არც დევლინი ჩანდა აღფრთოვანებული, - ასეთი რა უთხარი? - მაგრამ ბოლოს ყველაფერი მოგვარდა. დევლინს დავურეკე, ვიფიქრე, ასე აჯობებს-მეთქი, - თუ დაჰკვირვებიხარ, რომ ტელეფონში ხმა სხვაგვარად ჟღერს? - შემდეგ ენდრიუსი და კიდევ რამდენიმე კაცი მას განსხვავებულ ფრაზებს ეუბნებოდნენ, როგორიცაა, მაგალითად, "შენ ძალიან საყვარელი გოგო გყავს", "ვერც კი ხვდები, ვისთან გაქვს საქმე"... - მან სიცილით გადაიწია შუბლიდან თმა. სახე ბავშვივით გაბრწყინებოდა, - ენდრიუსი ბურტყუნებდა, ლუღლუღებდა, ხმის შეცვლას ცდილობდა, მაგრამ დევლინმა იგი ათ წამში გამოთვალა! მაშინვე დამიღრიალა ტელეფონის ყურმილში და მკითხა, ეს ვინ იყოო. ენდრიუსი და მისი ადვოკატი კი - ხმას განზრახ ავუწიე, რომ ზედმეტი შეკითხვა არ გასჩენოდათ, - ისეთი სახით ისხდნენ, განავალში ამოთხვრილს ჰგავდნენ. შესანიშნავი იყო.

- დიდებული ნამუშევარია! - მოუწონა კესიმ, მაგიდაზე გადაიხარა და მათ ხელისგულები ერთმანეთს მიარტყეს. სემმა გაიღიმა და მეორე ხელი მე გამომიწოდა.

- არ დაგიმალავთ, საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ. ცხადია, ამის გამო მკვლელობაში ვერ დავადანაშაულებთ, მაგრამ მუქარა და დაშინება აშკარაა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეგვიძლია, ჩვენს გემოზე დავკითხოთ, სანამ ყველაფერს არ დავადგენთ.

- დააკავე? - ვკითხე მე.

სემმა თავი გადააქნია:

- ზედმეტი სიტყვა არ მითქვამს, მხოლოდ მადლობა გადავუხადე და დავპირდი, დაგიკავშირდებით-მეთქი. დაე, იწრიალოს და ინერვიულოს.

- რა ეშმაკი ყოფილხარ, ო ’ ნილ. შენგან ამას არ ველოდი.

მომწონდა სემის გაჯავრება. ანკესზე ყოველთვის არ წამოეგებოდა ხოლმე, მაგრამ როცა ეს ხდებოდა, ბოლომდე მომყვებოდა.

სემმა ტანჯული მზერა მომაპყრო.

- ვიფიქრე, მის ტელეფონს ხომ არ მოვუსმინოთ-მეთქი. მკვლელობა თვითონ რომც დაეგეგმა, მარტო, ალბათ, ვერც გააკეთებდა. მას მყარი ალიბი აქვს, თანაც ხელს არ გაისვრიდა. ენდრიუსმა ვიღაც დაიქირავა. ახლა პანიკა მოიცავს და მკვლელს დაურეკავს, ან რამე წამოსცდება.

- ძველი ზარების შემოწმება არ დაგავიწყდეს, - შევახსენე მას, - დაადგინე, ვის ელაპარაკებოდა ბოლო თვის განმავლობაში.

- ამას უკვე აკეთებს ო ’ გორმანი, - კმაყოფილი სახით მომიგო სემმა, - ენდრიუსს ერთ-ორ კვირას მივცემ, ვნახავ, რა გამოვა, შემდეგ კი დავაპატიმრებ. და კიდევ... - იგი შეყოვნდა, - თუ გახსოვთ, დევლინმა თქვა, რომ ხმა უცნაურად ჟღერდა, ნასვამი კაცისას ჰგავდა. ვიფიქრე, რახან ჩვენს ბიჭს ალკოჰოლთან დაკავშირებით პრობლემა აქვს, იქნებ საღამოს რვა-ცხრა საათისთვის ვეწვიოთ-მეთქი. შესაძლოა, ლაპარაკის საღერღელი აეშალოს. არც ადვოკატს დაურეკავს. ვიცი, რომ ადამიანის სისუსტით სარგებლობა სირცხვილია, მაგრამ...

- რობი მართალია, - თქვა კესიმ და თავი დააქნია, - ახლა სისასტიკის პერიოდი გიდგას.

წამით სემმა თვალები შეშფოთებით მოჭუტა, შეშფოთდა კიდეც, მაგრამ მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

- ჰაიტ, თქვე ცელქებო! - შესძახა სიცილით და სავარძელი მთელი ძალით დაატრიალა.

საღამოს იმ მოსწავლეებივით ვიყავით აღგზნებული, გაკვეთილების ჩატარების ნაცვლად, მოულოდნელად სახლებში რომ გაუშვეს. სემმა, ყველას გასაოცრად, ო ’ კელი დაარწმუნა, რომ მოსამართლე ენდრიუსის ტელეფონის მოსასმენად ორდერი უნდა გაეცა. ჩვეულებრივ, ასეთ ნებართვას მაშინაც კი არ იძლევიან, როდესაც დიდი ოდენობით ასაფეთქებელ ნივთიერებაზეა საუბარი, მაგრამ ოპერაცია "ვესტალი" კვლავაც არ ჩამოდიოდა გაზეთების პირველი გვერდებიდან, - "ქეით დევლინის საქმე წინ ვერ მიიწევს (გვ. 5: "დარწმუნებული ხართ თქვენი შვილების უსაფრთხოებაში?")", - რაც ერთგვარ უპირატესობას გვაძლევდა. სემს სიხარულისგან სახე უბრწყინავდა:

- მეგობრებო, დარწმუნებული ვარ, იმ ნაბიჭვარმა რაღაც იცის. თუ გინდათ, ფულზეც დაგენაძლევებით. მხოლოდ ის გვჭირდება, რომ საღამოს ცოტა მეტი დალიოს - მაშინვე ჩვენს ხელში აღმოჩნდება.

ამ მოვლენის აღსანიშნავად ვახშმისთვის მან კარგი ხარისხის თეთრი ღვინო იყიდა. კესისთან საუბრის შემდეგ მგელივით მშიოდა. ერბოკვერცხის გაკეთებისას მისი გადატრიალება ჰაერში ვცადე და კინაღამ ნაგვის ყუთისკენ მიმავალ გზას გავუყენე. კესი ბინაში ფეხშიშველა დადიოდა, პურს ჭრიდა, მუსიკას ხმას ბოლომდე უწევდა და ქურასთან ჩემს მანევრებს კომენტარებს არ აკლებდა:

- აი, ასეთებს ანდობენ პირად იარაღს. მალე აქეთ-იქით სროლასაც დაიწყებს, რომელიმე წიწკვს თავი რომ მოაწონოს, და ფეხში მოირტყამს. ეს მხოლოდ დროის საქმეა.

ნავახშმევს[104] "კრენიუმი" ვითამაშეთ - იმპროვიზებული ვარიანტი სამი მონაწილისთვის - და მეოთხე ბოკალის შემდეგ დიდხანს ვიმტვრიე თავი, რას აჩვენებდა სემი, რომელსაც სიტყვა "კარბიურატორი" უნდა გამოესახა (C-3PO?[105] ძროხის წველა?... არა, შვეიცარიული საათის კაცუნა!). გაღებული ფანჯრიდან ქარი უბერავდა და გრძელ თეთრ ფარდებს აფრიალებდა, ჩაბნელებულ ცაზე ვერცხლისფერი მთვარე ეკიდა. უეცრად თავში გამიელვა, რომ აღარც კი მახსოვდა, ოდესმე ასეთი ბედნიერი საღამო თუ მქონდა, ყოველგვარი ფარული აზრებისა და ყოველი ფრაზის ბოლოში მომლოდინე წყალქვეშა რიფების გარეშე.

როდესაც სემი წავიდა, კესიმ სვინგის ცეკვა მასწავლა. ვახშმის შემდეგ რამდენიმე ფინჯანი კაპუჩინო დავლიეთ ახალი აპარატის შესამოწმებლად და აბა, რა დაგვაძინებდა. დინამიკებიდან ხრინწნარევი ძველებური მელოდიები იღვრებოდა. კესიმ ხელები ჩამავლო და დივნიდან ჩემი წამოყენება სცადა.

- დალახვროს ეშმაკმა, როგორ ისწავლე სვინგის ცეკვა? - შევძახე გაოცებულმა.

- ბიძაჩემი და დეიდაჩემი ამბობდნენ, ბავშვებმა ბევრი რამე უნდა ისწავლონო. ძალიან უყვარდათ მეცადინეობა. მე ნახშირით ხატვაც ვიცი და ფორტეპიანოზეც ვუკრავ.

- ამდენი რამე? მე კი სამკუთხედზე[106] დაკვრა ვიცი და ორი მარცხენა ფეხი მაქვს.

- ჩემთვის სულერთია. ცეკვა მინდა.

ძალიან პატარა ოთახი იყო.

---

[104] კრენიუმი" - სამაგიდო თამაში, შედგება თავსატეხების, ანაგრამებისა და შარადებისგან.

[105] C-3PO - რობოტი-ანდროიდი, "ვარსკვლავური ომების" პერსონაჟი.

[106] სამკუთხედი (მუს.) - ერთგვარი დასარტყამი საკრავი.

- წამოდი, - მითხრა კესიმ, - ფეხსაცმელი გაიხადე.

მან დისტანციური მართვის პულტი აიღო, ხმას ბოლომდე აუწია, ფანჯრიდან გადაძვრა და სახანძრო კიბით სახურავზე დაეშვა.

ცეკვა არ ვიცი, მაგრამ ძირითადი მოძრაობები იმდენჯერ მიჩვენა, - თან მარჯვედ უსხლტებოდა ჩემს მოუხერხებელ ჟესტებს, - სანამ მოულოდნელად ყველაფერი თავის ადგილას არ დადგა. ჩვენ ერთად ავყევით მათრობელა რიტმს და სახურავის კიდეზე წონასწორობას ვინარჩუნებდით. კესის ტანმოვარჯიშის მოქნილი და ძლიერი ხელები ჰქონდა.

- შენც ცეკვავ!

- რა თქვი? - დავიძახე მე, ფეხები ამებლანდა და კინაღამ წავიქეცი.

ჩვენი სიცილი ქვემოთ გადაშლილი ჩაბნელებული ბაღის თავზე გაისმა.

სადღაც ფანჯარა გაიღო და ვიღაც გაღიზიანებული ხმით დაგვემუქრა:

- მუსიკა გამორთეთ, თორემ პოლიციაში დავრეკავ!

- ჩვენ თვითონ ვართ პოლიცია! - გაეცინა კესის.

როდესაც ფანჯარა ხმაურით მიკეტეს, პირზე ხელი ავიფარე და ორივეს უხმო სიცილი აგვიტყდა. კესი სახანძრო კიბეზე ცალი ხელით დაეკიდა, ფანჯარაში პულტი შეყო, სვინგი შოპენის ნოქტიურნით შეცვალა და ხმასაც დაუწია.

ბრტყელ სახურავზე გავწექით და ხელები კეფაზე შემოვიწყვეთ. იდაყვებით ერთმანეთს ვეხებოდით. ცეკვისა და ღვინისგან თავბრუ მეხვეოდა. თბილი ნიავი სახეზე მელამუნებოდა. ქუჩის ფარნების შუქშიც კი ვხედავდი ვარსკვლავებს: დიდი დათვის თანავარსკვლავედს, ორიონის სარტყელს. ქვემოთ, თანაბრად და განუწყვეტლივ, ფიჭვები ხმაურობდნენ. წამით მომეჩვენა, რომ სამყარო ამოყირავდა და მის გიგანტურ, მუსიკითა და ვარ-

სკვლავებით სავსე შავ თასში მივფრინავდით, და უეცრად გავაცნობიერე, რომ ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნებოდა.

16 თავი

ტყე შაბათ საღამოსთვის შემოვინახე: მასზე მთელი კვირა ვოცნებობდი ნაძვის ხის ქვეშ დადებული საჩუქრის მომლოდინე ბავშვივით. უიკენდზე სემი გოლუეიში გაემგზავრა დისშვილის ნათლობაზე (იმდენი ნათესავი ჰყავდა, რომ თითქმის ყოველ-დღე ვიღაც ინათლებოდა, ვიღაც კვდებოდა ან ქორწინდებოდა), კესი მეგობარ ქალთან შეხვედრას აპირებდა, ჰითერი კი რომე-ლიღაც სასტუმროში გამართულ წვეულებაზე წავიდა. ჩემს არ-ყოფნას ვერავინ შეამჩნევდა.

ნოკნარიში საღამოს შვიდი საათისთვის ჩავედი და მანქანა გზის პირას დავტოვე, თან წავიღე ფარანი, საძილე ტომარა, რამ-დენიმე ბუტერბროდი და თერმოსი ყავით (როდესაც გამგზავრე-ბის წინ ამ ყველაფერს ვაწყობდი, თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობდი იმ მოზარდივით, ლაშქრობისთვის ან სახლიდან გა-საქცევად რომ ემზადება), მაგრამ არაფერი - ცეცხლის დასანთე-ბად. დასახლების მცხოვრებნი ყოველთვის ფხიზლობდნენ და ცეცხლი რომ შეემჩნიათ, მაშინვე პოლიციას გამოიძახებდნენ და სულელურ ვითარებაში აღმოვჩნდებოდი, თანაც, ჩემი ბოის-კაუტური უნარ-ჩვევების წყალობით ტყის მთლიანად გადაწვა არ გამიჭირდებიდა.

წყნარი და თბილი საღამო იდგა. მზის სხივები ცერად ეცემო-და ძველი კოშკის ქონგურებს, მის უხეშ ქვებს ოქროსფრად ღე-ბავდა და მათ სევდიან, რომანტიკულ შესახედაობას აძლევდა. შორს, მინდორში, ცხვარი ბღაოდა. მსუბუქ ნიავს ახალმოთიბუ-ლი ბალახისა და ათასგვარი მინდვრის ყვავილის სასიამოვნო სურნელი მოჰქონდა და შიგადაშიგ ნეხვის სუნსაც ურევდა. ბორ-ცვის თავზე, მოწმენდილ ცაზე, ფრინველები გუნდ-გუნდად დაფ-რინავდნენ. როდესაც კოტეჯს მივუახლოვდი, იქვე მჯდომი ნაგა-ზი წამოდგა და უკმაყოფილოდ დაიწკმუტუნა, მაგრამ გადაწყვი-

ტა, რომ მისთვის საფრთხეს არ წარმოვადგენდი და მიწაზე დაწ-ვა. არქეოლოგების მიერ ხელის ურიკის სიგანეზე გაყვანილი კოლბოხებიანი ბილიკები გავიარე - ახლა ძველი ბოტასები, გა-ხეხილი ჯინსი და სქელი ჯემპრი მეცვა - და ტყეს მივადექი.

თუ ჩემსავით ქალაქელი ხართ, სიტყვა "ტყის" გაგონებაზე თვალწინ, ალბათ, ბავშვის ნახატივით რაღაც უბრალო და ნათე-ლი წარმოგიდგებათ: მცენარეთა თანაბარი მწვანე რიგი, შარ-შანდელი ფოთლების რბილი ხალიჩა, ძველი წიწვების საგებე-ლი. არ ვიცი, ახლა, შესაძლოა, სწორედ ასეთი ტყეებია, მაგრამ ნოკნარის ტყე ნამდვილი ტევრი იყო, იმაზე პირქუში და იდუმა-ლი, ვიდრე ჩემს მეხსიერებას შემორჩენოდა. აქ სხვა წესი და კა-ნონი მოქმედებდა, ბრძო ლები იმართებოდა, სხვადასხვაგვარი ალიანსი იქმნებოდა. მას დაუკითხავად ვეწვიე და მთელი სხეულით ვგრძნობდი, რომ ტყემ შემამჩნია და ათასობით მწვანე თვალით მიყურებდა - უემოციოდ, სიმპათიისა თუ გაკიცხვის გა-რეშე, თითქოს ყველაფერს სასწორზე წონიდა.

მარკის მინდორზე ახალი ფერფლი და რამდენიმე ნამწვი შევ-ნიშნე: მაშასადამე, ის აქ ქეითის სიკვდილის შემდეგაც იყო. ვი-მედოვნებდი, რომ ამაღამ მაინც არ გამოემართებოდა "წინაპარ-თა ძახილზე". ჯიბეებიდან სენდვიჩი, თერმოსი და ფარანი ამო-ვიღე და საძილე ტომარა იმავე ადგილას გავშალე, სადაც მარკი ათევდა ღამეს. შემდეგ ავდექი და ტყეში ნელა შევედი.

მომეჩვენა, თითქოს რომელიღაც ძველი ქალაქის ნანგრე-ვებში შევაბიჯე. უამრავი ხის ტანი ცისკენ მძლავრ კოლონად მიიწევდა - ისინი სივრცისთვის იბრძოდნენ. ტოტებგადახლარ-თული უზარმაზარი მუხის, იფნის, წიფლისა და ჩემთვის უცნობი სხვა ხეების რაზმები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ლამის გა-წოლილიყვნენ ბორცვის ფერდობზე. სინათლის გრძელი შუბები იფილტრებოდა, ფერმკრთალდებოდა და იშვიათად თუ აღწევდა მწვანე თაღებქვეშ. მასიურ ვარჯებს სურო სქლად შემოხვეოდა,

ტოტებიდან ჩანჩქერებად იღვრებოდა, კუნძებამდე ეშვებოდა და მათ ხავსმოკიდებულ ქვებს ამსგავსებდა. ჩემი ნაბიჯების ხმას ფოთლების დრეკადი ფენა ახშობდა. წამით გავჩერდი და ბოტასის წვერით მძიმე მორი გადავატრიალე: ცხვირში ნეშომპალას სუნი მეცა, ნესტისგან გაშავებულ მიწაზე ჭიაყელები ამოძრავდნენ. ფოთლებში ჩიტები ფრთხიალებდნენ და ტკრციალებდნენ და როდესაც გვერდით ჩავუვლიდი, მაშინვე ალიაქოთს ატეხდნენ.

ქვეტყე თითქმის გაუვალი იყო, ყველგან მოჩანდა ქვის კედლის ნატეხები, რომელთაც გარშემო ჩემი ხელის სიმსხო ფესვები შემოხვეოდა. მდინარისკენ ციცაბო ფერდობები ეშვებოდა, რომლებიც მაყვლის ბუჩქებს (აქ ვსხდებოდით და ქვევით სრიალით ვეშვებოდით: "აუჰ! ჩემი ფეხი!"), გაუვალ ტირიფნარსა და ანწლს დაეფარა. წყალი ძველებურ ოქროს მონეტას ჰგავდა, ალაგ-ალაგ წყვეტილი შავი ზოლებით. თხელი, ყვითელი ფოთლები მის ზედაპირზე ცურავდნენ და წონასწორობას ისე ადვილად იცავდნენ, როგორც მყარ სხეულზე. თავში ფიქრების კორიანტელი მედგა. ყოველი ნაბიჯი უამრავ მოგონებას აჩენდა, წარსული მორზეს ანბანივით[107] ჩამესმოდა, თუმცა ისეთ მაღალ სიხშირეზე, რომ გაშიფვრას ვერ ვახერხებდი. აი, აქ, ციცაბო ფერდობის ვიწრო ბილიკებით კისრისტეხით ვეშვებოდით და ერთმანეთის გასწრებას ვცდილობდით, მჟავე ვაშლს ვღიღნიდით. თავი ავწიე და სწორედ ის, უხვად შეფოთლილი ვაშლის ხეები დავინახე, რომლებზეც ველური კატებივით მივცოცავდით და უკან ვიყურებოდით. მინდვრის კიდიდან (წელამდე ბალახი, თავყვითელასა და ველური სტაფილოს ბარდები) ვაკვირდებოდით, როგორ ეჭირათ დევლინსა და მის მეგობრებს სანდრა.

---

[107] მორზეს ანბანი - კოდირების ერთგვარი სისტემა.

სადღაც აქვე, შესაძლოა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა ვიდექი, პიტერი და ჯემი ტყეში შევიდნენ და სამუდამოდ გაუჩინარდნენ.

წინასწარ არ დამიგეგმავს, რას გავაკეთებდი. გადავწყვიტე, ტყესთან მივსულიყავი, იქაურობა შემეთვალიერებინა და ღამის გასათევი მომეწყო. ვფიქრობდი, რომ გეგმის უქონლობა ნაკლი კი არ იქნებოდა, უპირატესობას მომცემდა. მით უმეტეს, რომ ყველაფერი, რაც ბოლო დროს დავგეგმე, ჩამიფლავდა. ჰოდა, ვითომ რატომ არ უნდა შემეცვალა ტაქტიკა, რატომ არ უნდა მოვსულიყავი ყოველგვარი განზრახვის გარეშე და მშვიდად დავლოდებოდი, რა მოხდებოდა? ცხადია, თავისი წილი გავლენა რომანტიკამაც იქონია. გულის სიღრმეში ყოველთვის მინდოდა რომელიღაც მითის გმირი გავმხდარიყავი, - სამწუხაროდ, ჩემი ხასიათით ამ როლისთვის სრულიად არ გამოვდგები, - უშიშარი და სიტყვაძუნწი რაინდი, ბედის შესახვედრად რომ დააქროლებს ველურ ცხენს, ცხენს, რომელთან მიახლოებასაც კი ვერავინ ბედავს.

მაგრამ როდესაც აქ აღმოვჩნდი, მყისვე ყველაფერი შეიცვალა. რომანტიკული ილუზიები გაქრა. თავს უცნაურად, ჰიპივით ვგრძნო ბდი, - ასეთ ვარიანტს სერიოზულად განვიხილავდი: რამდენიმე ნაფაზს დავარტყამდი მოსადუნებლად და "გონების გასათავისუფლებლად", მაგრამ მარიხუანა ყოველთვის ძილს მგვრიდა, - თითქოს დავმუნჯდი კიდეც. უეცრად თავში გამიელვა, რომ ხე, რომლის გვერდითაც ვიდექი, შესაძლოა, სწორედ ის იყო, რომელთანაც მიპოვეს, და თუ კარგად დავაკვირდებოდი, ქერქში საკუთარი ფრჩხილების კვალსაც აღმოვაჩენდი. ისიც შევამჩნიე, რომ ტყეში თანდათან ჩამობნელდა.

ამ მომენტში თითქმის დავნებდი. მინდორში დავბრუნდი, საძილე ტომრიდან ფოთლები გადავფერთხე და მისი დახვევა დავიწყე. გულწრფელად გეტყვით, რომ მხოლოდ მარკზე გაფიქრე-

ბამ შემაჩერა. ვიცოდი, რომ ღამე აქ გაათია და არაფერი მოსვლია. უფლებას ვერ მივცემდი ამ კაცს, ჩემზე გაემარჯვა - მნიშვნელობა არ ჰქონდა, შეიტყობდა თუ არა ამას. მან კოცონი დაანთო, მე კი ფარანი და "სმიტ-ვესონი" მქონდა, თუმცა ამაზე ფიქრიც კი მეუხერხულებოდა. ცივილიზაციისგან, ყოველ შემთხვევაში, დასახლებისგან, ასიოდე იარდი მაშორებდა. ერთხანს საძილე ტომრით ხელში ვიდექი, შემდეგ კი კვლავ გავშალე, წელამდე შიგ შევძვერი და ზურგით ხეს მივეყრდენი.

მალე ვისკიანი ყავა დავისხი. მისი მძაფრი და გამამხნევებელი გემო დამამშვიდებლად მოქმედებდა. ხეებს შორის ცა თანდათან მკრთალდებოდა და ფირუზისფრიდან ინდიგოში გადადიოდა. ხის ტოტებში ჩიტები შრიალებდნენ და ჟივჟივებდნენ, ღამის გასათევად ემზადებოდნენ. მინდორზე უხმაუროდ დაქროდნენ ღამურები, ბუჩქების სიღრმეში რაღაც აფუსფუსდა, ახმაურდა და გაყუჩდა. შორს, დასახლებაში, წკრიალა ხმა მხიარულად და რიტმულად მღეროდა საბავშვო სიმღერას.

ეს აზრი უცებ არ გამჩენია - თანდათანობით ჩამომიყალიბდა, თითქოს კარგა ხანია, ვიცოდი, მაგრამ მხოლოდ ახლა მომაგონდა. გადავწყვიტე, რომ თუ რამე მნიშვნელოვანი გამახსენდებოდა, ო ’ კელის ყველაფერს ვუამბობდი, ოღონდ ახლა კი არა, რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა ყველა საქმეს მოვაგვარებდი - ეს ხომ ჩემს კარიერას დაასრულებდა.

ეს იდეა დღეს მეწვია ანაზდად, მზის წნულში დარტყმასავით, მაგრამ ახლა, ღამით, რაღაცით მაცდურადაც კი მომეჩვენა. თითქოს ვხედავდი კიდეც, როგორ მიმზიდველად ციმციმებდა ჰაერში, და მისი შედეგებით სკოლის მოსწავლესავით ქარაფშუტულად ვტკბე ბოდი. დეტექტივის სამუშაო ერთადერთი საყრდენი იყო, რომელიც ცხოვრებაში ამოვაშენე, მასზე იყო დამოკიდებული ჩემი ტანსაცმელი, საუბრის მანერა, ის განსაზღვრავდა ჩემი დღის წესრიგს, აზრებს, გაღვიძებასა და სიზმრებს. იყო

რაღაც დამათრობელი იმაში, თუ როგორ დაუდევრად, ხელის ერთი მოსმით მოვიცილებდი მას თავიდან, შემდეგ კი დავაკვირდებოდი, ტრიალ-ტრიალით როგორ გაუჩინარდებოდა ჰაერში. შემიძლია, კერძო დეტექტივი გავხდე, ვფიქრობდი მე, რომელიმე ძველ სახლს ვიქირავებ და ოფისს გავხსნი, მქრქალ კარზე კი ოქროსასოებიან ფირფიტას მივაკრავ, სამუშაოზე მაშინ გამოვცხადდები, როცა მომესურვება, მარჯვედ ავუვლი გვერდს კანონს, გაცოფებულ ო ' კელის სამსახურებრივ ინფორმაციას დავცინცლავ. იქნებ კესიც შემომიერთდეს. ფეტრის შლაპას ვიყიდი, გრძელ პალტოს ჩავიცვამ და ცინიკურად ვიხუმრებ, ის კი ბართან იდგება ტანზე შემოტმასნილი წითელი კაბითა და საპომადეში ჩაყენებული ვიდეოკამერით, რათა დოყლაპია ბიზნესმენები მახეში გააბას... უნებურად გამეცინა.

მივხვდი, რომ ძილი მომერია. ეს დაგეგმილი არ მქონდა, ამიტომ შებრძოლება გადავწყვიტე, მაგრამ მოულოდნელად უძილო ღამეები ისარივით მეძგერა. გამახსენდა თერმოსში დარჩენილი ყავა, თუმცა მის ასაღებად ხელი უნდა გამეწვდინა, მე კი განძრევაც მეზარებოდა. საძილე ტომარაში თავს თბილად ვგრძნობდი, ჩემი სხეული მიწის ყოველ უსწორმასწორობას შეჰგუებოდა, მყუდროების შეგრძნება ნარკოტიკივით მაბრუებდა. თერმოსის თავსახურავი ხელიდან გამივარდა, მაგრამ თვალიც არ გამიხელია.

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. კვლავაც ხესთან ვიჯექი. უეცრად გამოვფხიზლდი და კინაღამ შევყვირე - მომეჩვენა, თითქოს ზედ ჩემს ყურთან ვიღაცამ ხმამაღლა და მკაფიოდ მკითხა: "ეს რა არის?"

ვგრძნობდი, როგორ ნელა მოძრაობდა სისხლი დაბუჟებულ კისერში. დასახლებაში შუქი ყველას ჩაექრო. ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ ნიავი შრიალებდა ოდნავ ხეების ტოტებში. ზოგჯერ გამხმარი ტოტი თუ გაიტკაცუნებდა სადღაც.

პიტერი ციხესიმაგრის კედელზე აძვრა, მე და ჯემის ხელით გვანიშნა, არ გაინძრეთო, და იკითხა:

- ეს რა არის?

დილიდანვე, როგორც კი ბალახს ნამი შეაშრა, გარეთ ვიყავით. მიწას ოხშივარი ასდიოდა, საპნის ქაფივით თბილი ქარი უბერავდა, ცა სიცხისგან გაფერმკრთალებულიყო და სანთლის ალივით თრთო და. ბალახში, ხის ძირას, წითელი ლიმონათით სავსე ბოთლები ეყარა წყურვილის მოსაკლავად, მაგრამ უკვე გამთბარიყო და ჭიანჭველები დასეოდა. ქუჩის ბოლოში ვიღაც გაზონს კრეჭდა. იქვე, სამზარეულოს გაღებული ფანჯრიდან, რადიოს ღრიალი ისმოდა. გზის პირას ორი პატარა გოგონა რიგრიგობით დაატარებდა სამთვლიან ველოსიპედს. ტარა, პიტერის საძაგელი და, თავის მეგობართან, ოდრისთან ერთად სკოლობანას თამაშობდა - ერთად უყვიროდნენ რიგებად ჩამწკრივებულ თოჯინებს. კარმაიკლებს მოსარწყავი აპარატი შეეძინათ. სიამოვნებით ვნახავდით, როგორ მუშაობდა, მაგრამ კაპასი მისის კარმაიკლის გვეშინოდა: პიტერმა თქვა, ვისაც თავის ბაღში შეპარულს დაინახავს, ქარცახით თავს გაუპობსო.

ჩვენ ველოსიპედს დავაქროლებდით. პიტერს დაბადების დღეზე "ევილ-ნიველი"[108] უყიდეს - თუ მას სწორად დააყენებდი, ძველი კომიქსების დასტაზეც გადაახტუნებდი - და გადაწყვიტა, მრბოლელი გამოსულიყო. ჰოდა, ვვარჯიშობდით. პიტერის მამის ფარდულში შენახული აგურებისა და ფანერის ფურცლებისგან ტრამპლინი მოვაწყვეთ ("ყოველდღე თითო აგურს დავამატებთ, - დამპირდა პიტერი, - სულ უფრო და უფრო რომ ამაღლდეს"), მაგრამ ყანყალებდა და დაღმართზე ვამუხრუჭებდი.

---

[108] "ევილ-ნიველი"- ბიჭების ერთგვარი სათამაშო.

ჯემი ერთი-ორჯერ გადმოხტა ტრამპლინიდან, შემდეგ კი განზე გადგა და მოღუშული სახით ხან იარლიყს აძრობდა ველოსიპედს, ხან სატერფულებს ფეხს არტყამდა და ატრიალებდა. იმ დილით ჩვეულებრივზე გვიან მოვიდა და მთელი დღე ჩუმად იყო. ჯემი ენაწყლიანობით არც ადრე გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა მის დუმილში რაღაც ახალი გაჩნდა, რაც პიტერსაც და მეც საავდრო ღრუბელივით თავზე გვაწვებოდა, რის გამოც უხერხულად ვწრიალებდით.

პიტერი ტრამპლინიდან ყვირილით გადმოხტა, საჭე მიატრიალ-მოატრიალა და კინაღამ გოგოებს დაეჯახა.

- ფრთხილად, სულელო, არ გაგვჭყლიტო! - მხარზემოდან გასძახა ტარამ. მას გრძელი, ყვავილებიანი ქვედაკაბა ეცვა, რომელიც მიწაზე დასთრევდა, თავზე კი დიდი, ლენტშემოვლებული შლაპა ეხურა.

- შენ ჩემი ბოსი არა ხარ, - ყვირილით შეეპასუხა პიტერი.

მან ოდრის მდელოსკენ შეუხვია, ველოსიპედით გაქანდა და ტარას შლაპა მარჯვედ მოხადა. ტარა და ოდრი ერთად აწივლდნენ.

- ადამ! დაიჭი!

ბაღში დავედევნე - ოდრის დედა რომ გამოსულიყო, უსიამოვნება არ აგვცდებოდა - და შლაპა ისე დავიჭირე, რომ ველოსიპედიდან არ გადმოვვარდნილვარ, თავზე დავიხურე და "საკლასო ოთახში" უხელებოდ ჩავიქროლე. ოდრიმ ჩემი გადმოგდება დააპირა, მაგრამ ხელიდან დავუსხლტი. სიმპათიური გოგო იყო და მხოლოდ მოსაჩვენებლად ბრაზობდა, ამიტომ ვცდილობდი, მის თოჯინებს არ შევხებოდი. ტარამ დოინჯი შემოიყარა და პიტერს ყვირილი დაუწყო.

- ჯემი! - დავიძახე მე, - წავედით!

ჯემი გზასთან იდგა და წინა ბორბალს ბორდიურს ურტყამდა. შემდეგ ველოსიპედი მიაგდო, კედელზე სწრაფად აძვრა და

მეორე მხარეს გაუჩინარდა. მე და პიტერმა ტარა მაშინვე დავივიწყეთ ("გაგიჟდი, პიტერ სევიჯ? მოიცადე, დედა გაიგებს და..."), დავამუხრუჭეთ და ერთმანეთს მივაჩერდით. ოდრიმ ქუდი მომხადა და გაიქცა, თან უკან იყურებოდა, ხომ არ მომდევსო. ველოსიპედები მივატოვეთ და ჯემის უკან მივყევით.

იგი თოკზე ჩამოკიდებულ საბურავში იჯდა და ქანაობდა, თავი დაეხარა და მხოლოდ მის თმასა და ცხვირის წვერს ვხედავდი. კედელზე მოვკალათდით და დაველოდეთ.

- დღეს დილით დედამ გამზომა, - გვაღირსა, როგორც იქნა, ჯემიმ, თან ხელზე ნაკაწრი მოიწუწნა.

უნებურად ჩვენი სახლის კარის ღიობი გამახსენდა: გალაქული ხე ფანქრით მონიშნული ხაზებითა და თარიღებით ჩემი სიმაღლის აღსანიშნავად.

- მერე? - ჰკითხა პიტერმა, - ამისთვის ატეხე ეს ამბავი?

- სკოლის ფორმისთვის! - უღრიალა ჯემიმ, - იდიოტო!

იგი საბურავიდან ჩამოხტა და ტყისკენ გაიქცა.

- ო-ჰო, - პიტერმა დაუსტვინა, - რა დაემართა?

- ინტერნატი, - ვუთხარი მე და ვიგრძენი, რომ შიგნით რაღაც ჩამწყდა.

პიტერმა უნდობლად, პირქუშად შემომხედა.

- არ წავა. დედამისმა თქვა.

- არა. მან მხოლოდ თქვა, ვნახოთო.

- ჰო, მაგრამ მას შემდეგ ამაზე აღარაფერი უთქვამს.

- ჰოდა, მაშასადამე, ახლა უთხრა.

პიტერმა თვალები მოჭუტა.

- წავედით, - თქვა და კედლიდან ჩახტა.

- სად?

პიტერმა ორი ველოსიპედი აიღო, თავისი და ჯემის, და ბაღში წაიყვანა. მე ჩემი წავათრიე.

პიტერის დედა ეზოში სარეცხს ჰფენდა.

- ტარა აღარ გააბრაზო! - უბრძანა ქალმა შვილს.

- კარგი, - ჩაილაპარაკა პიტერმა და ველოსიპედები დააწვინა, - დედა, ტყეში წავალთ, კარგი?

მიწაზე გადასაფარებელი ეფინა და ზედ პატარა ბავშვი დაფოფხავდა - შონ პოლი. მხოლოდ პამპერსი ეკეთა. კედით ოდნავ მივაწექი და გვერდზე გადაბრუნდა. ფეხში ხელი ჩამავლო და გამიცინა.

- გამარჯობა, პატარავ, - გავუღიმე მე.

ჯემის მოსაძებნად წასვლა არ მინდოდა. მერჩივნა, აქ ვმჯდარიყავი და ბავშვისთვის მიმეხედა, სანამ პიტერი არ დაბრუნდებოდა და მეტყოდა, ჯენის სკოლაში გზავნიანო.

- ჩაი შვიდის ნახევარზეა, - თქვა მისის სევიჯმა, ხელი გაიწვდინა და შვილს თმა მოუჩეჩა, - საათი ხომ გაქვს?

- კი. წავიდეთ, ადამ.

პრობლემის გაჩენის შემთხვევაში, ყოველთვის ერთ ადგილას ვიკრიბებოდით - ციხესიმაგრის ზედა მოედანზე. მასთან მისასვლელი კიბე დიდი ხანია, აღარ არსებობდა და ერთბაშად ვერავინ მიხვდებოდა, რომ იქ რამე იყო. გარე კედელზე ავძვერით. თუ ჩავხტებოდით, ქვის იატაკზე აღმოვჩნდებოდით და ჩვენს თავზე სუროთი შემოსილი, ნაპრალებიდან ბუჩქებგამოჩრილი კოშკი ჩიტის ბუდესავით გამოჩნდებოდა.

ჯემი აქ იყო. კუთხეში იჯდა, თავი მოხრილ ხელზე დაედო და უნუგეშოდ ქვითინებდა. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, სირბილისას, ფეხი კურდღლის სოროში ჩაუვარდა და მოიტეხა. ზურგზე მოვიკიდეთ და მთელი გზა ისე გავიარეთ, ერთი ცრემლი არ გადმოუგდია - მაშინაც კი, როდესაც წავბორძიკდი და ფეხი მტკივნეულად შეერხა, მხოლოდ "ეი, ადამ, ცოტა ფრთხილადო", წამოიძახა.

მოედანზე ჩავხტი.

- წადით!- დაგვიყვირა ჯემიმ ტირილისგან დაოსებული ხმით. სახე გასწითლებოდა, თმა გასწეწოდა, - მარტო დარჩენა მინდა.

პიტერი კვლავ კედელზე იჯდა.

- ინტერნატში გგზავნიან? - იკითხა მან.

ჯემიმ მთელი ძალით მოკუმა ტუჩები და თვალებიც დახუჭა, მაგრამ ცრემლები ნიაღვარივით სდიოდა. ძლივს გავიგონე, როგორ წარმოთქვა:

- არაფერი უთქვამს, ისეთი სახე მიიღო, ვითომ ყველაფერი რიგ ზე იყო, თვითონ კი... მატყუებდა!

ტყუილი - აი, რამ გაგვაოცა ყველაზე მეტად. "კარგი, ვნახოთ, - გვეუბნებოდა ჯემის დედა, - არ ინერვიულოთ". ჩვენც გვჯეროდა და არ ვნერვიულობდით. აქამდე უფროსებს არასდროს მოვუტყუებივართ, ყოველ შემთხვევაში, ასეთ მნიშვნელოვან საკითხებში, და ამას ასე ადვილად ვერ შევეგუებოდით. მთელი ზაფხული იმის იმედით გავატარეთ, რომ ერთმანეთს არ დაგვაშორებდნენ.

პიტერმა აჩქარებით გაიარა კედელზე, შემდეგ ცალ ფეხზე გაჩერდა.

- კარგი, თუ ასეა, ყველაფერს გავიმეორებთ. ბოიკოტს გამოვუცხადებთ.

- არა! - შესძახა ჯემიმ, - უკვე ფულიც გადაიხადა, ახლა გვიანია - ორი კვირის შემდეგ გამგზავნიან! ორი კვირა...

მან ხელები მომუშტა და კედელს დაარტყა.

ამის ატანა აღარ შემეძლო. ჩავიჩოქე და ჯემის მხრებზე მოვეხვიე. მან ხელი ამიკრა, მაგრამ ერთხელაც ვცადე და აღარ შემწინააღმდეგებია.

- არ გინდა, - ვთხოვე მე, - ნუღარ იტირებ, გთხოვ.

ჩვენ გარშემო მწვანედ და ოქროსფრად შეღებილი ხის ტოტები მოჩანდა, ჯემი ტიროდა, პიტერი გაოცებული იდგა, გოგონას

აბრეშუმივით კანი რატომღაც მჩხვლეტდა - სამყარო შექანდა და გემბანივით დაირწა...

- ყოველ უიკენდზე ჩამოხვალ...

- მაგრამ ეს ის აღარ იქნება! - შესძახა ჯემიმ.

იგი ხმამაღლა აქვითინდა და სველი თვალები ცისკენ აღაპყრო. მის ხმაში გაჟღერებული სასოწარკვეთა გულში მომხვდა და მივხვდი, რომ ჯემი არ ცდებოდა: დიახ, ყველაფერი დასრულდა და რაც აქამდე იყო, აღარასოდეს იქნებოდა.

- ჯემი, არ გინდა, გთხოვ...

მას ვეღარ ვუყურებდი. ვიცოდი, რომ სულელურად ვფიქრობდი, მაგრამ მინდოდა, მეთქვა, რომ მის ნაცვლად წავიდოდი და ვისწავლიდი ინტერნატში, თვითონ კი აქედან ფეხი არასდროს მოეცვალა... ვერც კი მოვასწარი იმის გააზრება, თუ რას ვაკეთებდი, თავი დავხარე და ჯემის ლოყაზე ვაკოცე. ტუჩებზე სიმლაშე ვიგრძენი. ჯემი მზით განათებული მდელოს თბილ, მათრობელა სურნელს აფრქვევდა.

მან გაოცებისგან ტირილი შეწყვიტა და ჯიქურ შემომხედა ხასხასა ცისფერი თვალებით. ვგრძნობდი, ახლა რაღაცას მოიმოქმედებდა - ხელს მკრავდა, მაკოცებდა ან...

პიტერი კედლიდან ჩამოხტა და ჩვენ გვერდით ჩაიჩოქა, ერთი ხელი ჯემის ჩაავლო მაჯაში, მეორე - მე.

- აი, რა, - თქვა მან, - გავიქცეთ.

ორივენი მას მივაჩერდით.

- სისულელეა, - განვაცხადე მე, - დაგვიჭერენ.

- არა. ყოველ შემთხვევაში, უცებ ვერ შეძლებენ. შეგვიძლია, აქ რამდენიმე კვირა დავიმალოთ. ეს რთული არ იქნება. არ ვამბობ, სამუდამოდ-მეთქი. როდესაც სწავლა დაიწყება და ინტერნატში გამგზავრებას აზრი აღარ ექნება, დავბრუნდებით. მერე რა, თუ მაინც გზავნიან. კიდევ გავიქცევით. დუბლინში წავალთ

და ჯემის გამოვაპარებთ. მაშინ სკოლიდან გააგდებენ და შინ დაბრუნება მოუწევს. ხვდებით?

თვალები უბრწყინავდა. ამ ახალმა იდეამ ყოველი მხრიდან შემოგვიტია და დაგვიპყრო.

- შეგვიძლია, აქ ვიცხოვროთ, - ჩაილაპარაკა ჯემიმ, ღრმად ამოიოხრა და მხრები შეარხია, - ციხესიმაგრეში.

- არა, ადგილს ყოველდღე შევიცვლით. თავდაპირველად მინდორში ვიქნებით, შემდეგ - დიდ ხეზე, რომლის ტოტებიც ბუდესავითაა გადახლართული. ვერასდროს მოგვაგნებენ. გგონიათ, ამას ვინმე მოახერხებს? აბა, სცადონ!

ამ ტყეს ჩვენზე უკეთ არავინ იცნობდა. შეგვეძლო, ინდიელებივით უხმაუროდ გვემოძრავა მაღალ ბალახში, ჩუმად ვმსხდარიყავით ტოტებს შორის და ზემოდან გვეცქირა, როგორ მიდიოდნენ ქვევით მტრის მზვერავები...

- რიგრიგობით დავიძინებთ, - თქვა ჯემიმ და მხრებში გასწორდა, - გუშაგს დავაყენებთ.

- მშობლები? - ვიკითხე მე, დედაჩემის თბილი ხელები გამახსენდა და თვალწინ მისი დამწუხრებული სახე დამიდგა, - ისინი ხომ შეწუხდებიან, იფიქრებენ, რომ...

ჯემიმ ტუჩები მოკუმა.

- დედაჩემი არ შეწუხდება. მას ჩემი თავიდან მოცილება უნდა.

- ჩემი კი მხოლოდ პატარებზე ფიქრობს, - დაამატა პიტერმა, - მამას კი ფეხებზე ვკიდივარ, - მე და ჯემიმ ერთმანეთს გადავხედეთ. ამ თემას გავურბოდით, თუმცა ვიცოდით, რომ პიტერს მამა სიმთვრალეში ხშირად ურტყამდა, - თანაც, ვისი რა საქმეა, რას იფიქრებენ? მათ არც კი უთქვამთ ჩვენთვის, რომ ჯემის ინტერნატში გზავნიან! ასე არაა? ისეთი სახით დაბრძანდებოდნენ, თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო!

"მართალია", - გავიფიქრე და ვიგრძენი, რომ ფეხქვეშ მიწა მეცლებოდა.

- იქნებ წერილი დავუტოვოთ, - ვთქვი მე, - რათა იცოდნენ, რომ კარგად ვართ.

ჯემიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ პიტერმა არ დააცადა:

- მშვენიერი აზრია! დავწეროთ, რომ დუბლინში გავემგზავრეთ, ან კორკში, ან სადმე სხვაგან. იქ დაგვიწყებენ ძებნას, ჩვენ კი აქ ვიქნებით.

პიტერი წამოხტა და ჩვენც წამოგვაყენა.

- თანახმა ხართ?

- ინტერნატში არ წავალ, - მტკიცედ განაცხადა ჯემიმ და თვალები ხელით შეიმშრალა, - არაფრის გულისთვის, ადამ. ყველაფრისთვის მზად ვარ.

- ადამ, შენ? - ტყეში ველურებივით ცხოვრება, თავისუფლება... ხელქვეშ ძველი კედლის სიგრილეს ვგრძნობდი, - სხვა რა შეგვიძლია? ჯემის წაყვანის უფლება მივცეთ თუ მისი დახსნა ვცადოთ?

მან ხელზე ხელი მომიჭირა. ძლიერი თითები ჰქონდა. ვიგრძენი, როგორ ფეთქავდა ჩემი პულსი მის ხელისგულში.

- კარგი, - ვთქვი და ღრმად ამოვისუნთქე.

- ვაშა! - შესძახა პიტერმა და ჰაერში მუშტი ასწია. მისი ხმა საზეიმო ექოსავით გავრცელდა მთელ ტყეში.

- როდის? - იკითხა ჯემიმ. თვალები უელავდა, პირი გაეღო. თითის წვერებზე იდგა და მზად იყო, პიტერის დაძახებისთანავე გზას გასდგომოდა, - ახლა?

- ეი, მოდუნდი, - გაეღიმა პიტერს, - ჯერ უნდა მოვემზადოთ. სახლში წავალთ და ფულს ავიღებთ. საჭმლის მარაგი დაგვჭირდება, მაგრამ ბევრს ვერ ვიყიდით, თორემ იეჭვებენ.

- ძეხვი და კარტოფილი, - ვთქვი მე, - კოცონს დავანთებთ და ჯოხზე წამოცმულს შევწვავთ...

- არა, კოცონის დანთება არ შეიძლება, შეამჩნევენ. მხოლოდ იმას წავიღებთ, რასაც მომზადება არ სჭირდება. კონსერვებს - მათში სპაგეტიც არის, ლობიოც და სხვაც... ვიტყვით, რომ დედამ დაგვავალა.

- მაშინ რომელიმე ჩვენგანმა კონსერვის გასახსნელიც უნდა წამოიღოს...

- მე წამოვიღებ - დედაჩემს ორი აქვს და ვერ შეამჩნევს.

- საძილე ტომრები, ფარნები...

- ჰო, ოღონდ ეს სულ ბოლოს, თორემ ჩანაფიქრს მიგვიხვდებიან.

- ტანსაცმელს მდინარეში გავრეცხავთ...

- შემდეგ კი ფუღუროებში გავფენთ, რათა არავინ შეამჩნიოს.

- ფული რამდენი გაქვთ?

- ჩემთვის კონფირმაციისთვის გადადებული ფული ბანკშია. მე არ მომცემენ.

- მაშინ იმას ვიყიდით, რაც უფრო იაფია - რძეს, პურს...

- ე-ე, რძე გაფუჭდება!

- არ გაფუჭდება, თუ მდინარეში პლასტმასის ჭურჭლით შევინახავთ...

- ჯემი ამჟავებულ რძეს სვამს, - გაეცინა პიტერს. იგი კედელთან მივიდა და აფოფხებას შეუდგა.

ჯემი უკან გაჰყვა.

- არა, ამჟავებულ რძეს შენ თვითონ სვამ, შენ...

მან პიტერს კოჭში ხელი სტაცა და კედელზე ჭიდაობა დაიწყეს, თან კისკისებდნენ. მეც მივირბინე კედელთან, პიტერმა ხელი გამომიწოდა, ასვლაში მომეხმარა და ატეხილ ალიაქოთში ჩამრთო. ერთმანეთს მუჯლუგუნებს ვთავაზობდით, ვყვიროდით, სიცილისგან სუნთქვა გვეკვროდა და კედლის კიდეზე წონასწორობას ვინარჩუნებდით.

- მოიცათ! - შესძახა უეცრად პიტერმა. იგი შეჩერდა, ხელი მაღლა ასწია და გვანიშნა, ხმა არ ამოგვეღო, - ეს რა არის?

გავშეშდით და შეშინებული ბაჭიებივით გავფაციცდით. ტყეში სიჩუმე იდგა, დღის ხმაური - ჩიტების ჟივჟივი, მწერების ზუზუნი, პატარა მხეცების ფუსფუსი - მოულოდნელად ისე შეწყდა, თითქოს დირიჟორმა ჯოხი აიქნიაო. მხოლოდ სადღაც წინ...

- რა... - დავიწყე ჩურჩულით.

- ჩუ-უ.

მუსიკა ხომ არ იყო? იქნებ მდინარე ეთამაშებოდა ქვებს ან ქარი მღეროდა ხის ფუღუროებში? ტყეში ათასგვარი ხმა გაისმის და ის ყოველ სეზონზე, ყოველ წუთს იცვლება. შეუძლებელია ყველაფრის დამახსოვრება.

- წავედით, - შესძახა ჯემიმ და თვალები დააკვესა, - გავიქცეთ!

იგი ციყვივით ჩამოხტა კედლიდან, ტოტს ჩამოეკიდა, გაქანდა, მიწაზე დახტა და გაიქცა. ტოტმა გასწორებაც ვერ მოასწრო, რომ იგივე ტრიუკი პიტერმა გაიმეორა და მეგობარს უკან მიჰყვა. კედლიდან ჩამოვედი და მათ დავედევნე.

- ეი, დამელოდეთ...

ეს ტყე არასდროს ყოფილა ასეთი დიდებული და ასეთი ველური. მზის შუქი ნამიან ფოთლებზე იღვრებოდა და ურიცხვ ნაპერწკლად განიბნეოდა; გზად ისეთი ხასხასა და ტკბილი ფერები გვხვდებოდა, რომ მათი შეჭმა მოგინდებოდათ; ნეშომპალას სუნი ნესტოებში გვიღიტინებდა და ეკლესიის ღვინოსავით გვაბრუებდა. ქინქლების ღრუბლებს მივარღვევდით, ორმოებსა და დამპალ მორებს ზემოდან ვახტებოდით. ტოტებს ჩვენს ტანზე მოხვევა სურდათ, მერცხლები სტვენით აპობდნენ ჰაერს, ჩვენ გვერდით კი - გეფიცებით, არ გატყუებთ - სამი ირემი მოქროდა. ცხოვრებაში არასდროს ვყოფილვარ ასეთი სწრაფი, არასდროს

მიხტუნავია ასე საუცხოოდ მსუბუქად. მეგონა, კიდევ ერთი ბიძგი და, ჰაერში ავფრინდები-მეთქი.

რამდენ ხანს მივრბოდით? ყველა ჩვენი ორიენტირი დაიძრა, გადაადგილდა და გზის პირას ჩამწკრივდა. აი, სამსხვერპლო ქვაზე შევხტით და ერთი ნახტომით გადავევლეთ მდელოს, გზად სტვენით ჩავიქროლეთ მაყვლის ბუჩქებსა და სოროებიდან ცხვირამოყოფილ კურდღლებს შორის, გრიგალივით გავცდით ხეზე ჩამოკიდებულ საბურავს, შემოვუარეთ ბებერ მუხას და ხელითაც კი შევეხეთ მის დაფუღუროებულ ტანს, იქიდან კი, წინიდან, ტკბილად და ამაღელვებლად გვიზიდავდა...

თანდათანობით ვიგრძენი, რომ საძილე ტომარაში ოფლში ვიწურებოდი, ხეს მიყრდნობილი ზურგი გამშეშებოდა, დაძაბულობისგან თავს სათამაშოსავით ვაქიცინებდი. ირგვლივ ისეთი შავი, თვალშეუვალი წყვდიადი იდგა, ვიფიქრე, ხომ არ დავბრმავდი-მეთქი. შორიდან უცნაური, ყრუ ხმა ისმოდა, თითქოს ფოთლებზე წვიმის წვეთები ეცემოდა. ვცდილობდი, მისთვის ყურადღება არ მიმექცია და მეხსიერების ოქროს აბლაბუდას მაგრად ჩავჭიდებოდი - მეშინოდა, თუ მას დავკარგავ, შინ ვერასდროს დავბრუნდები-მეთქი.

ჯემის სიცილი საპნის ბუშტებივით ლივლივებდა ჰაერში, მზის სხივებში ფუტკრები ბზუოდნენ, პიტერს ხელები გაეშალა და ლპობაშეპარულ მორებს ზემოდან ხარხარით ევლებოდა. ზონრები შემეხსნა, ჩემში რაღაც ბუნდოვანი შფოთავდა და ბორგავდა, ვგრძნობ დი, როგორ ქრებოდა ჩვენს ზურგს უკან ჩამოწოლილ ნისლში პატარა ქალაქი... პიტერ, ჯემი, დამელოდეთ, შეჩერდით...

წვრილი წვიმის წვეთები ტყეში აღწევდა, ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, ისინი უკვე ტოტებში იყო ჩვენ თავზემოთ, ბალახშიც - ჩვენს ფეხებქვეშ, სწრაფი, წვრილი, ყველგან მყოფი... ტანში ჟრუან-

ტელმა დამიარა. ეს წვიმაა, უბრალო წვიმა, ვეუბნებოდი საკუთარ თავს, რათა გონება არ ამრეოდა, მაგრამ წვეთებს ვერ ვგრძნობდი. ტყის სიღრმეში რაღაცამ დაიყვირა, დაიჭყივლა... ველური, უაზრო ბგერები.

მიდი, ადამ, სწრაფად, სწრაფად...

ჩემ წინ წყვდიადი მოძრაობდა, თანდათანობით მუქდებოდა. თითქოს ქარიც ქროდა და ფოთლებს აცახცახებდა, ქარი კი არა, გრიგალი, რათა გზა გაეწმინდა. ფარანი გამახსენდა და ანთება ვცადე, მაგრამ თითები არ მემორჩილებოდა. ოქროს აბლაბუდა შეირხა და დაიჭიმა. მინდვრის მოპირდაპირე მხარეს რაღაც სუნთქავდა, რაღაც უზარმაზარი...

ქვემოთ, მდინარის ნაპირისკენ, სანამ არ გაჩერდები... წყლის ზედაპირზე ტირიფებს დაეხარათ თავი და ირხეოდნენ, წყალს სინათლე ნამსხვრევებად, მილიონობით ნამცეცა სარკედ ექცია, რომლებიც თვალს ჭრიდა, აბრუებდა, აბრმავებდა. ბუსავით ოქროსფერი, ხაოიანი თვალები.

გავიქეცი. ტანზე მოტმასნილ საძილე ტომარას თავი დავაღწიე და ისარივით შევვარდი ტყეში, მინდვრიდან შორს. ეკლები თმასა და ფეხებზე მედებოდა, ყურთან რაღაც არსება ხმამაღლა აფართხუნებდა ფრთებს. მთელი ძალით შევეჯახე ხეს და კვნესით დავიხიე უკან. წინ პატარ-პატარა ორმოები და კოლბოხები მხვდებოდა და სწრაფად ვერ გავრბოდი. ბალახი ფეხებზე მედებოდა და მიჭერდა. საშინელება იყო. სუროს წნელი მათრახივით მომხვდა სახეზე და, მგონი, შევყვირე. ვიცოდი, რომ ტყეს თავს ვეღარ დავაღწევდი და მდელოზე მხოლოდ ჩემს საძილე ტომარას მიაგნებდნენ. წამით თვალწინ მკაფიო სურათი წარმომიდგა: წითელ ჯემპრში გამოწყობილი კესი მინდორშია, მუხლებზე დამდგარა, მის ქვეშ გამხმარი ფოთლები ტკაცუნობს, რეზინის ხელთათმანწამოცმული ხელით რაღაც ქსოვილს ეხება - და მეტი არაფერია, აბსოლუტურად არაფერი...

შემდეგ ღრუბლის ნაგლეჯებს შორის ახალი მთვარის წვეტიანი ფრჩხილი დავინახე და მივხვდი, რომ უკვე მინდორზე გავსულიყავი. ფეხქვეშ მიწა მეცლებოდა და სხვადასხვა მხარეს გარბოდა. წავბორძიკდი, ხელები ავიქნიე, ფეხი ქვას მივარტყი, მაგრამ წონასწორობა შევინარჩუნე და გზა კოჭლობით განვაგრძე. ვიღაც ხმამაღლა სუნთქავდა ჩემს ყურთან - ალბათ, მე თვითონ. როგორც ყველა დეტექტივს, საკუთარი თავი მონადირედ მიმაჩნდა და დადევნებას ვიყავი მიჩვეული და არა გაქცევას. რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემზე ინადირებდნენ.ჩემმა თეთრმა "ლენდროვერმა" სიბნელიდან ამოყვინთა და ხსნი სა და ბედნიერების კაშკაშა ხილვად მომევლინა. კარი მეორე თუ მესამე ცდით გავაღე, მაგრამ გასაღები დამივარდა და თავზარდაცემულმა მოვაფათურე ხელი ფოთლებსა და ბალახში. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერასდროს მივაგნებდი, თან შეძრწუნებული ვიყურებოდი მხარზემოდან. უეცრად გამახსენდა, რომ ხელში ფარანი მეჭირა. როგორც იქნა, სალონში შევძვერი, იდაყვი საჭეს მივარტყი, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ყველა კარი ჩავკეტე. ღრმად ვსუნთქავდი, ოფლში ვიწურებოდი. ისე ვცახცახებდი, რომ მანქანას ვერ წავიყვანდი. მეშინოდა, ან ადგილიდან ვერ დავძრავ, ან სადმე თხრილში გადავვარდები-მეთქი. გაჭირვებით ამოვიღე სიგარეტი და გავაბოლე. საშინლად მინდოდა რამე სასმელი ან თვითნაკეთი სიგარეტი. ჯინსი მუხლებზე გამტალახიანებოდა, თუმცა არ დავცემულვარ.

როდესაც თითების ცახცახი დამიცხრა, კესის ნომერი ავკრიფე. შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, მაგრამ მან უკვე მეორე სიგნალის შემდეგ მიპასუხა ცოცხალი ხმით:

- გამარჯობა, რა ხდება?

წამით მომეჩვენა, რომ ლაპარაკი არ შემეძლო.

- სად ხარ?

- შინ ახლახან დავბრუნდი. მე, ემა, და სუზანა კინოში ვიყავით, შემდეგ "ტროკადეროში" ვივახშმეთ. არ დაიჯერებ, მაგრამ ასეთი კარგი ღვინო ჯერ არასდროს დამილევია. ჩვენი შებმა სამ ბიჭს უნდოდა. სუზანამ მითხრა, მსახიობები არიან, ექიმებზე გადაღებულ სერიალში თამაშობდნენო...

ნასვამი იყო, მაგრამ არა - მთვრალი.

- კესი! - გავაწყვეტინე მე, - ნოკნარიში ვარ. გათხრების ადგილას.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ კესიმ თქვა:

- გინდა, წამოგიყვანო?

- ჰო, გთხოვ.

ახლაღა მივხვდი, რატომ დავურეკე.

- კარგი. ახლავე.

მან ყურმილი დაკიდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ველოდი. მეგონა, აღარ მოვიდოდა. რა აღარ წარმოვიდგინე: კესი მთელი სისწრაფით ეჯახება უზარმაზარ სატვირთო მანქანას, საბურავი უსკდება და მას ადამიანებით მოვაჭრეები იტაცებენ. პისტოლეტი ამოვიღე და მუხლებზე დავიდე. ჭკუა მეყო და დამცველზე დავტოვე. სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი. სალონი კვამლით გაივსო, თვალები ამიცრემლდა. გარეთ გამუდმებით რაღაც მოძრაობდა და ფაჩუნი მესმოდა, ტოტები ხმამაღლა ტკაცუნობდა. გული სწრაფად მიძგერდა. პისტოლეტს ხელს ვუჭერდი და თავს აქეთ-იქით ვატრიალებდი. ველოდებოდი, რომ ფანჯრიდან საზარლად მოღიმარი არსება შემოიხედავდა, მაგრამ არავინ გამოჩენილა. ბოლოს სალონში შუქი ავანთე, მაგრამ თავი იმ ველურივით ვიგრძენი, რომლის მიერ დანთებული კოცონისკენ ყოველი მხრიდან ურჩხულები მორბიან, და მაშინვე ჩავაქრე.

როგორც იქნა, "ვესპას" ხმა მომესმა და ბორცვზე სინათლის სხივი გამოჩნდა. პისტოლეტი ბუდეში შევინახე და კარი წინას-

წარ გავაღე, რათა კესის არ შეემჩნია, რომ დიდხანს ვწვალობდი. უკუნეთის შემდეგ ფარის შუქი საოცრად კაშკაშა და არარეალური მომეჩვენა, კესიმ გზაზე დაამუხრუჭა, სკუტერს საყრდენი შეუდგა და დამიძახა:

- ჰეი!

- გამარჯობა, - გავძახე და მანქანიდან გადმოვედი. ფეხები დამბუჟებოდა: მთელი ამ ხნის განმავლობაში იატაკს მთელი ძალით ვაწვებოდი, - გმადლობ.

- არაფრის. მაინც არ მეძინა, - სწრაფად მგზავრობის შემდეგ კესის სახე გასწითლებოდა და თვალები უბრწყინავდა. როდესაც მივუახლოვდი, მისგან წამოსული სიგრილე ვიგრძენი. მან ზურგჩანთა მოიხსნა და იქიდან სათადარიგო ჩაფხუტი ამოიღო, - გამომართვი.

როგორც კი დავიხურე, აღარაფერი გამიგია, ძრავის ხმაურისა და საკუთარი გულისცემის გარდა. ყოველი მხრიდან ღამის ცივი ჰაერი მეკვროდა. ავტომობილების ფარები და ნეონის აბრები ჩვენ უკან შლეიფივით რჩებოდა. ხელები მჭიდროდ შემომეხვია კესის სხეულისთვის და ვგრძნობდი, როგორ იძაბებოდა სიჩქარის გადართვის ან მოსახვევში გვერდზე გადახრის დროს. მეჩვენებოდა, რომ სკუტერი მაღლა, ცაში მისრიალებდა, მინდოდა, ეს გზა არასდროს დასრულებულიყო და მთელი ღამე გვექროლა, როგორც ამერიკის ერთ-ერთ ავტოსტრადაზე, რომელზეც შეგიძლია, მთელი ღამე დაუსრულებლად იარო.

როდესაც კესის დავურეკე, იგი წიგნს კითხულობდა. დივანი გაეშალა, თეთრეული სასთუმალთან დაეწყო "ქარიშხლიან უღელტეხილსა" და დაჭმუჭნილ მაისურთან ერთად. ყავის მაგიდაზე გამოძიების მასალები ეწყო, - ქეითის კისერზე ანაბეჭდების გადიდებულ ფოტოს მოვკარი თვალი, - სკამზე კი საგარეო ტანსაცმელი გადაეკიდა: ალისფერი მოკლე მაისური და ვიწრო

ჯინსის შარვალი. ამ ყველაფერს მრგვალი ლამპის რბილი შუქი მყუდრო იერს აძლევდა.

- ბოლოს როდის ჭამე? - მკითხა კესიმ.

გამახსენდა, რომ სენდვიჩები ტყეში დამრჩა. ალბათ, ახლაც იქ იყო, სადაც საძილე ტომარა და თერმოსი. გადავწყვიტე, დილით წამომეღო, როცა მანქანის წამოსაყვანად მივიდოდი. ამის გაფიქრებაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

- არ ვიცი, - ჩავიბურტყუნე მე.

კესიმ ბოკალი და კონიაკის ბოთლი შემომაჩეჩა.

- დალიე, სანამ რამეს მოვამზადებ. შებრაწულ პურსა და კვერცხზე რას იტყვი?

კონიაკი არც მას უყვარდა და არც მე, მაგრამ ვხვდებოდი, რომ აუცილებლად უნდა დამელია.

- კარგი, გმადლობ, - ვთქვი მე.

დივნის კიდეზე ჩამოვჯექი - ნივთების გადაწყობის თავი არ მქონდა - და ერთხანს ბოთლს მივჩერებოდი, სანამ მოვისაზრე, რა უნდა გამეკეთებინა. ბლომად სასმელი გადავკარი, დავახველე (კესიმ გამომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს) და ვიგრძენი, რომ სითხემ ძარღვებში ცეცხლივით დამიარა. ენა მეწვოდა - როგორც ჩანს, შემთხვევით ვიკბინე. კონიაკი კვლავ დავისხი, მაგრამ ამჯერად აუჩქარებლად შევექეცი. კესი სამზარეულოში ფუსფუსებდა: ცალი ხელით მაცივარს აღებდა, მეორეს კარადაში აფათურებდა, თან თეძოთი უჯრის მიწევასაც ახერხებდა. შემდეგ მუსიკა ჩართო - "კოვბოი ჯანქისი",[109] ნელი, დამამშვიდებელი ქანთრი-ბლუზი. ადრე ეს ბიჭები მომწონდნენ, მაგრამ ახლა მათ ბასებში რაღაც საეჭვო, მოულოდნელი ჩურჩული და ყვირილი, დოლის უცნაური რაკარუკი მომეჩვენა.

---

[109] "კოვბოი ჯანქისი" - კანადური როკჯგუფი.

- შეიძლება, გამოვრთო? - ვკითხე კესის, - თუ წინააღმდეგი არა ხარ.

კესიმ ტაფას თვალი მოსწყვიტა, შემომხედა და ხის კოვზი ასწია.

- რა თქმა უნდა, - მითხრა, მუსიკა გამორთო და შებრაწულ პურზე დაწყობილი დაჭრილი კვერცხი მომიტანა, - მიირთვი.

საჭმლის სუნზე მივხვდი, როგორ მშიოდა. პირში დიდ ლუკმებს ვიტენიდი და თითქმის დაუღეჭავად ვყლაპავდი. ძლივს ვსუნთქავდი. ეს იყო ცეხვილი პური და სანელებლებში მოხარშული არომატული კვერცხი - მასზე გემრიელი ცხოვრებაში არაფერი მეჭამა. კესი დივანზე ფეხმორთხმით იჯდა, მიყურებდა და თავის ტოსტს შეექცეოდა.

- კიდევ ხომ არ გინდა? - მკითხა მან.

- არა, - ძალიან ბევრი ჩავიყარე სწრაფად და მუცელი დამიმძიმდა, - გმადლობ.

- რა მოხდა? - წყნარად მკითხა კესიმ, - რაღაც გაგახსენდა?

ავტირდი. ეს ძალზე იშვიათად მემართებოდა - ერთხელ თუ ორჯერ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, ისიც სიმთვრალეში, ასე რომ, ის არც ითვლებოდა - და უცებ ვერც მივხვდი, რა ხდებოდა. სახეზე ხელისგულები მოვისვი და სველ თითებზე დავიხედე.

- არა, - ჩავილაპარაკე ხმადაბლა, - არაფერი, რაც დაგვეხმარებოდა. მხოლოდ ის დღე მომაგონდა, როცა ტყეში შევედით. ვსაუბრობდით, უეცრად რაღაც მოგვესმა და იქით გავემართეთ... ამ დროს მოულოდნელად შემეშინდა და პანიკამ მომიცვა.

- არაფერია, - კესი ჩემკენ გადმოიხარა და მხარზე ხელი დამადო, - დიდი ნაბიჯი გადაგიდგამს. შემდეგ ჯერზე დანარჩენსაც გაიხსენებ.

- არა, - მივუგე მე, - არა მგონია.

ამის ახსნა არ შემეძლო. დანამდვილებით ვიცოდი, თუმცა ვერ ვხვდებოდი, რატომ ვიყავი ასე დარწმუნებული: ერთადერთი ვაზნა მომცეს, ჩემი უკანასკნელი შანსი, მე კი ის დანიშნულებისამებრ ვერ გამოვიყენე. თავი ხელებში ჩავრგე და ბავშვივით ავტირდი.

კესი არ მომხვევია, არც ნუგეშისცემა უცდია, მხოლოდ იჯდა და მხარზე ხელს მისვამდა, სანამ ვტიროდი. გულწრფელად ვიტყვი, რომ მხოლოდ დაკარგულ ბავშვებზე არ მწყდებოდა გული. მთავარი ჩვენ შორის გაჩენილი წარმოუდგენელი უფსკრული იყო, მილიონობით უსასრულო მილი, ორი პლანეტა, რომლებიც თავბრუდამხვევი სისწრაფით შორდებოდნენ ერთმანეთს; ის, თუ რაოდენ ბევრი დავკარგეთ; როგორი უდარდელები და მოწყვლადები ვიყავით, როდესაც გულუბრყვილოდ გვჯეროდა, რომ ყველა შიშს თუ მოზრდილთა სამყაროს ყველა მუქარას შევერკინებოდით და ამ ბრძოლიდან ცოცხლები და უვნებლები, ცეკვა-ცეკვითა და სიცილით გამოვიდოდით.

- მაპატიე, - ვთქვი და ამოვიოხრე.

წელში გავიმართე და ხელისგულის ზურგით ცრემლები მოვიწმინდე.

- რისთვის?

- იმისთვის, რომ სულელურად მოვიქეცი. არ მინდოდა.

კესიმ მხრები აიჩეჩა და მითხრა:

- მაშასადამე, გავსწორდით. ახლა იცი, რასაც ვგრძნობ, როდესაც კოშმარული სიზმრები არ მასვენებს და ჩემი გაღვიძება გიწევს.

- მართლა? - ადრე ეს თავში არასდროს მომსვლია.

- მართლა, - იგი მუცელზე გაწვა, ყუთიდან ქაღალდის ხელსახოცები ამოიღო და გამომიწოდა, - გამომართვი.

გაღიმება ვცადე და ცხვირი მოვიწმინდე.

- გმადლობ, კესი.

- ახლა როგორ ხარ?

ღრმად შევისუნთქე და მოულოდნელად დავამთქნარე.

- მგონი, ნორმალურად.

- გეძინება?

დაძაბულობა თანდათან მომეხსნა. საშინელი დაღლილობა ვიგრძენი, მაგრამ როგორც კი თვალს დავხუჭავდი, ქუთუთოებ-ქვეშ ცეცხლოვანი წრეებრუნვა მეწყებოდა, ნებისმიერი ხმაური მაკრთობდა. ვიცოდი, როცა კესი შუქს ჩააქრობდა და მარტო დავრჩებოდი, სიბნელიდან ათასობით უხილავი ქმნილება გა-მოძვრებოდა და ყელში მწვდებოდა.

- ჰო, - მივუგე კესის, - შეიძლება, დივანზე დავწვე?

- რა თქმა უნდა, მაგრამ თუ იხვრინებ, მატრასზე გაგაგდებ.

იგი დაჯდა და თმიდან სამაგრი ამოიღო.

- არ ვიხვრინებ, - დავპირდი მას.

დავიხარე, ფეხსაცმელი და წინდები გავიძვრე, მაგრამ ამის იქით გახდა აღარ გავაგრძელე და საბნის ქვეშ ტანსაცმლიანად შევძვერი.

კესიმ ჯემპრი გაიხადა და გვერდით მომიწვა. მისი კულული შემეხო და შემეღიტინა.

- ძილი ნებისა, - ჩავიბურტყუნე, - კიდევ ერთხელ გმადლობ.

მან ხელზე ხელი მომითათუნა და შუქის ჩასაქრობად გაიჭიმა.

- ძილი ნებისა, სულელო, ტკბილ სიზმრებს გისურვებ. გამაღ-ვიძე, თუ რამე ისე არ იქნა.

კესის თმას, ჩაის ფოთოლივით, სინორჩის სურნელი ას-დიოდა. მან ბალიშზე თავი მოხერხებულად დადო და ამოიხვნე-შა. მისგან სითბო მოდიოდა და რაღაც კომპაქტური და გლუვი წარმოვიდგინე, სპილოს ძვლის თუ წაბლის ნაყოფის მსგავსი, აგრეთვე ის მშვენიერი გრძნობა, როდესაც ნივთი ხელში მსუბუ-ქად და სასიამოვნოდ ჩაგისრიალდება. არ მახსოვს, უკანასკნე-ლად როდის ვიგრძენი ეს.

- გძინავს? - ჩურჩულით ვკითხე ხანგრძლივი დუმილის შემდეგ.

- ჰო.

წყნარად ვიწექით. მეჩვენებოდა, რომ ჩვენ ირგვლივ ჰაერი იცვლებოდა - ცხელი ასფალტიდან ასული ოხშივარივით ირხეოდა და თრთოდა. გული გამალებით მიცემდა, თუმცა არ ვიცი, იქნებ ეს კესის გული იყო. მალე ჩემკენ გადმოვაბრუნე და ვაკოცე. ცოტა ხნის შემდეგ მანაც კოცნით მიპასუხა.

უკვე გითხარით, რომ გარკვეულობას ბოლომდე უთქმელობას ვამჯობინებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის სულმოკლე ვიყავი. არა, ყოველთვის არა, მხოლოდ ერთხელ, სწორედ იმ ღამეს.

17 თავი

დილას ჯერ მე გამეღვიძა. ძალიან ადრე იყო, მანქანები არ ხმაურობდნენ, ფარდებგადაწეული ფანჯრიდან - კესი ზედა სართულზე ცხოვრობდა და მის ოთახში ვერავინ შეიჭყიტებდა, ამიტომ ფარდის ჩამოფარებით თავს არ იწუხებდა - ოქროსფრად დაწინწკლული ფირუზისფერი ცა მოჩანდა, რომელზეც წამლად ღრუბლის ნაგლეჯსაც ვერ აღმოაჩენდით. მხოლოდ ორი თუ სამი საათი მეძინა. ზღვაზე უხალისოდ ჭყიოდნენ თოლიები.

დღის სინათლეზე ოთახი გაუკაცრიელებული და მოუვლელი ჩანდა: მაგიდაზე ძველი ჭურჭელი აეხორხლათ, ნიავი გადაშლილი ბლოკნოტის ფურცლებს არხევდა, იატაკზე დაგდებული შავი ჯემპრი დიდ ლაქას მოგაგონებდათ, კუთხეებში ჯერაც იდგნენ დაღვრემილი ჩრდილები. მკერდში მწვავე ტკივილი ვიგრძენი და გავიფიქრე, რომ ეს ნაბახუსევის ბრალი იყო. ტუმბოზე, დივნის გვერდით, წყლით სავსე ჭიქა იდგა, ხელი გავიწვდინე, ავიღე და ბოლომდე დავცალე, მაგრამ ტკივილი არ მომეხსნა.

მეშინოდა, ჩემს მოძრაობას კესი არ გაეღვიძებინა, მაგრამ იგი არც განძრეულა. ღრმად ეძინა ჩემს ხელზე, პირი ოდნავ გაეღო და ხელი ბალიშზე გადაედო. სახიდან თმა გადავუწიე და ნაზი კოცნით გავაღვიძე.

მხოლოდ სამ საათზე ავდექით. ცა უკვე ნაცრისფერ, მძიმე ღრუბლებს დაეფარა და როდესაც თბილი საბნიდან გამოვძვერი, სიცივემ კბილი გამკრა.

- მშია, - ჩაილაპარაკა კესიმ და ჯინსი შეიკრა. აწეწილი თმით, სავსე ტუჩებით, დიდი, იდუმალი, ბავშვივით მეოცნებე თვალებით ამ მოღუშულ დღეს ისე ბრწყინავდა, რომ გული შემეკუმშა, - რამე შეგიწვა?

- არა, გმადლობ.

როდესაც მასთან უიკენდზე ვრჩებოდი ხოლმე, დღე ყოველთვის ირლანდიური საუზმითა და პლაჟზე სეირნობით იწყებოდა, მაგრამ მაშინებდა იმაზე ფიქრი, რომ ტყეში ღამით მომხდარზე საუბარი ან უარესი, მისთვის თავის არიდება მოგვიწევდა. უეცრად ოთახი ძალიან პატარა და ჩახუთული მომეჩვენა. ნაკაწრები და დაჟეჟილობა სრულიად მოულოდნელ ადგილებში ავლენდა თავს: ზურგზე, იდაყვებზე, მუცელზე. თეძოზე უშველებელი დანაბეჟი გამჩენოდა.

- ვფიქრობ, დღეს ჩემს მანქანას უნდა გავუარო.

კესიმ თავზე მაისური გადაიცვა და სასხვათაშორისოდ მკითხა:

- მიგიყვანო?

- არა, ავტობუსს გავყვები, - ფეხსაცმელი მოვძებნე, - ცოტას გავივლი. მოგვიანებით დაგიკავშირდები, კარგი?

- აბა, რა, - მხიარულად მიპასუხა მან, მაგრამ მივხვდი, რომ ჩვენ შორის რაღაც ახალი გაჩნდა.

განშორებისას კართან წამით მაგრად ჩავეხუტეთ ერთმანეთს.

სინდისის ქენჯნა რომ არ მეგრძნო, ცოტა ხანს გაჩერებაზე ვიდექი, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, თავი არ გამეწვალებინა: ავტობუსიდან ავტობუსზე გადაჯდომა, თანაც კვირადღეს - ეს თითქმის მთელ დღეს წამართმევდა, სინამდვილეში კი ნოკნარიში წასვლა არ მინდოდა, სანამ იქ მკვირცხლი და ხმაურიანი არქეოლოგები არ გამოჩნდებოდნენ. ამ სიცივეში უკაცრიელ მინდორზე ფიქრისგანაც კი ტანში ჟრუანტელი მივლიდა. ავტოგასამართ სადგურზე უგემური ყავა დავლიე და შინ წავედი. მონქსთაუნიდან სენდიმაუნთამდე ოთხი-ხუთი მილი იყო, მაგრამ არ ვჩქარობდი: სახლში ჰითერი მელოდებოდა სახეზე დადებული უცნაური მწვანე ნიღბით, აღრიალებული ტელევიზორითა და მასში ნაჩვენები "სექსით დიდ ქალაქში". ჯერ იმას მომიყვებოდა,

სასტუმროში რა გადახდა თავს, შემდეგ გამომკითხავდა, სად ვიყავი, რატომ გამიჭუჭყიანდა ჯინსის შარვალი და რა იქნა ჩემი მანქანა. და საერთოდ, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თავში ვიღაც ერთმანეთის მიყოლებით მიფეთქებდა ღრმად ჩა მალულ ბომბებს.

უკვე მივხვდი, რომ ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვი. ადრეც ვწოლილვარ ქალებთან, რომლებთანაც არ უნდა დავწოლილიყავი, თუმცა ასეთი გრანდიოზული სისულელე არასდროს ჩამიდენია. ამგვარ ვითარებაში, ჩვეულებრივ, ორი ვარიანტია: ან ოფიციალური "ურთიერთობის" დაწყება, ან ყველა კავშირის გაწყვეტა. წარსულში, მეტ-ნაკლები წარმატებით, ერთიც მიცდია და მეორეც, მაგრამ როგორ გამეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ჩემს მეწყვილესთან? რაც შეეხება ურთიერთობას... სამსახურებრივ ეთიკაზე რომ არაფერი ვთქვა, ჭამისა და ძილის პრობლემა მქონდა, ტუალეტის მათეთრებელიც კი ვერ მეყიდა, ეჭვმიტანილებს თავს ვესხმოდი, სასამართლოში სისულელეებს ვროშავდი, ღამით რატომღაც არქეოლოგიური გათხრების ადგილას მეძინა. იმის გაფიქრებაზე, რომ ვინმეს ბოიფრენდი უნდა გავმხდარიყავი და მთელი პასუხისმგებლობა, ერთად ცხოვრების ყველა სირთულე მეტვირთა, მინდოდა, მოვკუნტულიყავი და პატარა ბავშვივით მეკრუსუნა.

ისე დავიღალე, ფეხებს ვეღარ ვგრძნობდი. წვიმა სახეში მცემდა, ჩემში კი, სადღაც შიგნით, თანდათან იზრდებოდა კატასტროფული გაცნობიერება იმისა, თუ რა დავკარგე. ახლა ვეღარ შევძლებდი კესისთან ღამის გათევას, მასთან ერთად დილამდე სმას, ყოფილ მეგობარ ქალებზე მოყოლას, მის დივანზე დაძინებას. ვეღარასოდეს დავინახავდი მას, როგორც "უბრალოდ კესის", როგორც ერთ-ერთ მეგობარს, ოღონდ სხვებზე გაცილებით სიმპათიურს - ამიერიდან ჩემი მზერა ერთხელ და სამუდამოდ შეიცვლებოდა. ჩვენი მეგობრობის სასიამოვნო და

მზით განათებული პეიზაჟი ფეთქებადსაშიში მინიშნებით, ალმაცერა გამოხედვით და ფარული აზრით მოფენილ დანაღმულ ველად გადაიქცა. უეცრად გამახსენდა, რომ რამდენიმე დღის წინათ მან ხელი ინსტინქტურად ჩაყო ხელი ჩემი პალტოს ჯიბეში სანთებლის ამოსაღებად. მაშინ ბაღში ვისხედით, კესი ლაპარაკობდა და საკუთარი ჟესტი ვერც კი შეამჩნია, და ეს ძალიან მომწონდა.

ვიცი, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ყველაფერი ძალზე მოულოდნელად მოხდა. სასაცილოა, სულელურია, რომ თავი ის ადამიანები გვეგონა, რომლებსაც საყოველთაოდ აღიარებული კანონები არ შეეხებოდათ, რომ იშვიათი, გამონაკლისი შემთხვევა ვიყავით, გეფიცებით, კესის ლოგინში ახალშობილ ბავშვზე უმანკო ვიყავი, იგი თმიდან სამაგრებს იღებდა და იჭმუხნებოდა, როცა ისინი ებლანდებოდა, მე კი წინდებს ფეხსაცმელში ვჩურთავდი, რათა კესი მათ დილით არ გადასწყდომოდა. ალბათ, იტყვით, რომ ეს წინასწარგანზრახული გულუბრყვილობა იყო, მაგრამ თუ რამის დაჯერება მაინც შეგიძლიათ, მერწმუნეთ, რომ მსგავსი რამ აზრადაც არ მოგვსვლია.

მონქსთაუნს მივაღწიე, მაგრამ შინ არ წავსულვარ. დანლეერისკენ გავემართე, პირსის ბოლოში კედელზე მოვკალათდი და დაბნელებამდე ვუყურებდი წყვილებს, რომლებიც კმაყოფილი სახით ასრულებდნენ ჩვეულ მოციონს, სანამ ზღვიდან წამოსულმა ქარმა არ შემაწუხა, ნაპირზე მოსიარულე პატრულის თანამშრომელმა კი რამდენჯერმე ალმაცერად არ გამომხედა. ვიფიქრე, ჩარლის ხომ არ დავურეკო-მეთქი, მაგრამ მობილურში მისი ნომერი არ მეწერა, თანაც არც ვიცოდი, რა მეთქვა.

ღამით ხელკეტებით ნაცემივით მეძინა. დილით სამსახურში გაბრუებული და თვალებჩაწითლებული გამოვცხადდი და ჩვენი შტაბი რაღაც სხვანაირი მომეჩვენა. თითქოს ერთი ღამის განმავლობაში შეეცვალათ და რომელიღაც პარალელური სამყა-

როდან გადმოეტანათ. კესის მაგიდა ძველი საქმის მასალებით იყო სავსე. დავჯექი და მუშაობის დაწყება ვცადე, მაგრამ ყურადღების მოკრება მიჭირდა: წინადადების ბოლოში ჩასულს დასაწყისი მავიწყდებოდა და ხელმეორედ კითხვა მიწევდა.

კესი ოთახში ქარისგან აწითლებული შემოვიდა, შოტლანდიური ბერეტი ეხურა.

- გამარჯობა! - შესძახა მან, - როგორ მიდის საქმე?

როდესაც გვერდზე ჩამიარა, თმა მომიჩეჩა, მაგრამ ვიგრძენი, რომ ხელისგული ჩვეულებრივზე წამით მეტხანს გააჩერა, და მოვიბუზე.

- ნორმალურად, - მივუგე.

მან ხელჩანთა სკამის საზურგეზე გადაკიდა. თავჩაქინდრული ვიჯექი. ვგრძნობდი, რომ კესი მიყურებდა.

- როზალინდასა და ჯესიკას სამედიცინო ბარათები ბერნადეტის ფაქსზე გამოგვიგზავნეს. მითხრა, სასწრაფოდ წაიღეთ ეს ქაღალდები და ამიერიდან საკუთარი ფაქსი გამოიყენეთო. სხვათა შორის, დღეს შენ გიწევს საჭმლის მომზადება, მე კი მხოლოდ ქათამი მაქვს. ასე რომ, თუ შენ და სემს სხვა რამ გსურთ...

იგი უდარდელი კილოთი ლაპარაკობდა, მაგრამ მის ხმაში შეკითხვა დავიჭირე.

- სხვათა შორის, დღეს ვახშამზე ვერ მოვალ, - ჩავიბურტყუნე მე, - საქმე მაქვს.

- კარგი, - კესიმ ბერეტი მოიხადა და თმაზე ხელი გადაისვა, - მაშინ სამსახურის შემდეგ სადმე გავიაროთ დასალევად.

- ვერ მოვახერხებ, - ვთქვი მე, - მაპატიე.

- რობ, - მითხრა მან და გაჩუმდა, მაგრამ თავი არ ამიწევია.

წამით მომეჩვენა, რომ კესი ადგებოდა და წავიდოდა, მაგრამ კარი გაიღო და სემი შემოვიდა - სახეგაბრწყინებული და გაახალგაზრდავებული სოფელში გატარებული უიკენდის შემ-

დეგ, ერთ ხელში ორი აუდიოკასეტა ეჭირა, მეორეში - ფაქსის ქაღალდების დასტა. გამიხარდა მისი დანახვა.

- დილა მშვიდობისა, მეგობრებო! ეს თქვენ, კეთილი სურვილებით ბერნადეტისგან. როგორ ჩაიარა უიკენდმა?

- შესანიშნავად, - ერთხმად ვუპასუხეთ ჩვენ, კესი კი ქურთუკის ჩამოსაკიდებლად შეტრიალდა.

სემს ქაღალდები გამოვართვი და თვალის გადავლება ვცადე, მაგრამ სადღა იყო ჩემი კონცენტრაციის უნარი. თანაც აღმოჩნდა, რომ დევლინების ექიმი, თითქოს განზრახ, ბატიფეხურით წერდა, კესი კი ყოველ ფურცელს საეჭვო მოთმინებითა და არაბუნებრივი აკურატულობით მართმევდა და ნერვებს მიშლიდა. ძირითადი ფაქტების გააზრებაც კი უდიდესი ძალისხმევის ფასად მოვახერხე.

ჩანდა, რომ მარგარეტი უფროსი ქალიშვილის ჯანმრთელობას მისი ადრეული ბავშვობის პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევდა უბრალო გაცივების დროსაც კი ექიმს იძახებდა, მაგრამ მთლიანობაში როზალინდას საწუწუნო არაფერი ჰქონდა - არც სერიოზული ავადმყოფობა გადაეტანა და არც ტრავმა მიეღო. ჯესიკას დაბადების შემდეგ სამი დღე ინკუბატორში გაეტარებინა, შვიდი წლისა სკოლის ფიზკულტურის დარბაზში წაქცეულიყო და ხელი მოეტეხა, დაახლოებით ცხრა წლიდან კი ყოველთვის ნორმაზე ნაკლებს იწონიდა. მას და ქეითს ჩუტყვავილა გადაეტანათ. ყველა აცრა დროულად გაეკეთებინათ. შარშან როზალინდასთვის ჩაზრდილი ფრჩხილი ამოეჭრათ.

- ცუდ მოპყრობაზე, ძალადობასა და მიუნჰაუზენის სინდრომზე არაფერი მიუთითებს, - დაასკვნა კესიმ.

სემმა კასეტური მაგნიტოფონი იშოვა. ფირზე ენდრიუსის ხმა იყო ჩაწერილი, გაღიზიანებული ელაპარაკებოდა უძრავი ქონების აგენტს რომელიღაც საქმის დეტალებზე. რომ არა სემი, კესის სიტყვებს ყურადღებას არ მივაქცევდი.

- მაგრამ ეს მათ არარსებობას არ ადასტურებს, - ვთქვი მე.

- როგორ უნდა დავამტკიცოთ ძალადობის არარსებობა? ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მოწმე არა გვყავს, აი, მიუნჰაუზენის სინდრომი კი უნდა გამოვრიცხოთ. უკვე გითხარით, რომ მარგარეტი ამ სქემას ვერ ერგება, ახლა კი... ამ სინდრომის აზრი ავადმყოფობის მეშვეობით ყურადღების მიპყრობაა. აქ კი მსგავსი არაფერია.

- მაშასადამე, ტყუილუბრალოდ გვიწვალია, - დოკუმენტები მკვეთრად გავწიე გვერდზე და ქაღალდები იატაკზე დაცვივდა, - რამხელა მოულოდნელობაა. თავიდანვე უაზრობისთვის მოგვიკიდია ხელი. შეგვიძლია, ახლავე გადავგზავნოთ არქივში და ისეთი საქმე ავიღოთ, რომელშიც მილიონიდან ერთი შანსი მაინც გვექნება. არ მესმის, დრო რატომ უნდა ვფლანგოთ?

ენდრიუსის ლაპარაკი შეწყდა, თუმცა ფირი ერთხანს კიდევ სისინებდა, სანამ სემმა მაგნიტოფონი არ გამორთო. კესი დაიხარა და მიმოფანტული ფურცლების შეგროვებას შეუდგა. არავის არაფერი უთქვამს.

არ ვიცი, სემმა რა იფიქრა. შეუძლებელია, არ შეემჩნია, რომ ჩვენი სამეულის ყოველდღიური მხიარული ვახშმობა მოულოდნელად შეწყდა და შტაბში არსებული ვითარება სარტრის[110] რომანებში აღწერილს დაემსგავსა. არა მგონია, მეტისმეტად ამაყ კესის მისთვის ყველაფერი ტირილით მოეყოლა. სავარაუდოდ, მან სემი სადილზე მიიწვია და აუხსნა, რომ ცუდად გადამქონდა ბავშვების მკვლელობა - რაც სიმართლე იყო - და ცოტა ხნით განმარტოება მსურდა, თან ეს, ალბათ, ისე ბუნებრივად და და-

---

[110] ჟან-პოლ სარტრი (1905-1980) - ფრანგი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსი, დრამატურგი, ნოველისტი, პოლიტიკური აქტივისტი, ბიოგრაფი, ლიტერატურული კრიტიკოსი, ესეისტი.

მაჯერებლად გააკეთა, რომ სემმა თუ არ დაუჯერა, ის მაინც დაასკვნა, რომ შეკითხვები არ უნდა დაესვა.

როგორც ჩანს, სხვებმაც შეამჩნიეს რაღაც. დეტექტივები ძალზე დაკვირვებული ხალხია და მალე "ტკბილი წყვილის" წაკინკლავება ნომერ პირველ სიახლედ იქცა. ის ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ განყოფილებაში ახალ ვერსიებად და კომენტარებით, რომელთაგანაც ზოგიერთი სიმართლეს შეესაბამებოდა.

ან არ შეესაბამებოდა. ვინაიდან ჩვენი კავშირის ფასადი არ შეცვლილა. ინსტინქტი გვკარნახობდა, რომ მეგობრობა მშვიდად უნდა გაგვეცილებინა უკანასკნელ გზაზე, მაგრამ სწორედ ეს იყო ყველაზე გულგამგმირავი: ყოველთვის და ყველგან, როგორც კი ამას ვითარება მოითხოვდა, ჩვენი ძველი კავშირი კვლავაც გაცოცხლდებოდა ხოლმე. შეგვეძლო, დიდი დრო გაგვეტარებინა მტანჯველ დუმილში ან მხოლოდ ორიოდე სიტყვა გაგვემეტებინა, მაგრამ საკმარისი იყო, ო ’ კელი დაგვმუქრებოდა, სუინის ან ო ’ გორმანს წაგართმევთო, რომ მაშინვე ყალყზე ვდგებოდით. მე მეთოდურად ვიწყებდი იმ მიზეზების ჩამოთვლას, თუ რატომ გვჭირდებოდა დამხმარეები, კესი კი მხრებს იჩეჩდა და ამბობდა, რომ სუპერინტენდანტმა თავისი საქმე კარგად იცოდა, ოღონდ იმასაც ამატებდა, ცუდი იქნება, თუ პრესა ამას შეიტყობსო. მეც მხარს ვუბამდი და თავს არ ვზოგავდი. მაგრამ შემდეგ ჩვენს ოთახში ვბრუნდებოდით, მარტო ვრჩებოდით - ან სემთან ერთად, რასაც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა - და ეს წუთიერი გამოცოცხლება საპნის ბუშტივით სკდებო და - გულგრილად ვარიდებდი თვალს კესის ფერმკრთალ და გაოცებულ სახეს და ნაწყენ კატასავით ზურგს ვაქცევდი.

უცნაურია - მართლა მჯეროდა, რომ ძალიან, თანაც დაუმსახურებლად მაწყენინეს. კესის რომ მოეყენებინა ჩემთვის ტკივი-

ლი, წამსვე დაუფიქრებლად ვაპატიებდი, მაგრამ საკუთარი თავისთვის ვერ მეპატიებინა, რომ მას გული ვატკინე.

ჩემს კედებსა და სამსხვერპლო ქვაზე აღმოჩენილი სისხლის ანალიზის პასუხს ველოდებოდით. ის ერთ-ერთი იყო იმ მცირე ორიენტირთაგან, კვლავაც მკაფიოდ რომ მოჩანდა ჩამოწოლილ ნისლში, რომელშიც დილიდან საღამომდე ვიყავი ჩაძირული. ჩვენი ძველი ჰიპოთეზები და ვერსიები ნაცარტუტად იქცა. მხოლოდ ბოლო ხელჩასაჭიდი დაგვრჩენოდა და მას ჯიუტად, სასოწარკვეთით ვებღაუჭებოდი. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ თუ ეს ორი დნმ ერთმანეთს დაემთხვეოდა, ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა - ყოველი დეტალი საოცარი სიზუსტით მოერგებოდა საერთო სურათს და ჭეშმარიტებით გასხივოსნებული ორივე საქმე თავისთავად გაიხსნებოდა.

ცხადია, ბუნდოვნად ვხვდებოდი, რომ თუ ეს მოხდებოდა, ადამ რაიანის სისხლის ნიმუში დაგვჭირდებოდა და მაშინ დეტექტივი რობი კარს სკანდალურად გაიჯახუნებდა და გაქრებოდა, მაგრამ იმ დროს ეს არცთუ ცუდ იდეად მეჩვენებოდა. პირიქით, იყო წუთები, როდესაც წინასწარ ვტკბებოდი გადადგომით. ვფიქრობდი (ვინაიდან არც ნებისყოფა მყოფნიდა და არც ენერგია ამ ვითარებიდან თავის დასაღწევად), რომ ეს პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი ან, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე იოლი გზა იყო.

სოფიმ, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება უყვარდა, მანქანიდან დამირეკა.

- დნმ-ზე მაქვს ინფორმაცია, - მითხრა მან, - ცუდი სიახლეა.

- მართლა? - წელში მკვეთრად გავსწორდი და ოთახში მყოფთ ზურგი შევაქციე, - კერძოდ?

ვცდილობდი, მშვიდად მელაპარაკა, მაგრამ ო ’ გორმანმა სტვენა შეწყვიტა, კესიმ კი ქაღალდები გვერდზე გადადო.

- ორივე ნიმუში სრულიად უსარგებლოა - ფეხსაცმელზეც და ჰელენის ნაპოვნზეც, - სოფიმ ვიღაცას დაუსიგნალა, - ეი, სულელო, სად მოდიხარ? ვერ ხედავ, რომ წითელი გინთია! ერთი სიტყვით, ლაბორატორიამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, თუმცა სისხლი ანალიზისთვის გამოუსადეგარია. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მე გაგაფრთხილე.

- გასაგებია, - ვუთხარი მცირე ხნის დუმილის შემდეგ, - ძალიან დაგვეხმარე, გმადლობ, სოფი.

ყურმილი დავკიდე და ტელეფონს მივაჩერდი. კესიმ ფრთხილად მკითხა:

- რა თქვა?

არაფერი მითქვამს.

იმავე საღამოს, როდესაც შინ ვბრუნდებოდი, როზალინდას დავურეკე. ვიცოდი, ეს არ უნდა გამეკეთებინა. ყველაზე მეტად ის მინდოდა, არ შემეწუხებინა, ჩიხში უხეშად არ მომემწყვდია, სანამ თვითონ არ მოინდომებდა ლაპარაკს მისთვის სასურველ დროს და ადგილას, მაგრამ არჩევანი არ მქონდა.

იგი ხუთშაბათ დილას მოვიდა და მასთან მისაღებში ჩავედი, ისევე, როგორც პირველ ჯერზე. მეშინოდა, ბოლო წამს არ გადაეფიქრებინა, და სიხარულისგან შევკრთი კიდეც, როდესაც დავინახე, რომ დიდ სავარძელში იჯდა და ლოყით ხელისგულს დაჰყრდნობოდა. ხასხასა ვარდისფერი შარფი ეკეთა. საოცრად მესიამოვნა ახალგაზრდა და ლამაზი ქალიშვილის დანახვა - აქამდე არ დავფიქრებულვარ, რომ ყველას დაღლილი, ნაცრისფერი და გატანჯული სახე გვქონდა. მომეჩვენა, რომ როზალინდას შარფი ყველაზე ნათელი ფერი იყო, რომელიც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მენახა.

- როზალინდა! - დავუძახე და დავინახე, როგორ გაუნათდა სახე.

- დეტექტივო რაიან!

- ახლაღა გამახსენდა... შენ ხომ ახლა სკოლაში უნდა იყო?

როზალინდამ შეთქმულივით გამიღიმა და მითხრა:

- მასწავლებელს ისე ვუყვარვარ, რომ პრობლემა არ შემექმნება.

მინდოდა, ლექცია წამეკითხა, თუ რა საზიანოა გაკვეთილების გაცდენა, მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე და გამეცინა.

კარი გაიღო და ოთახში კესი შემოვიდა, რომელიც ჯინსის ჯიბეში სიგარეტის კოლოფს იდებდა. მან ჯერ მე შემომხედა, შემდეგ როზალინდას და კიბისკენ გაემართა.

როზალინდამ ტუჩი მოიკვნიტა და შეწუხებული სახით შემომხედა.

- თქვენს მეწყვილეს არ მოეწონა, რომ აქა ვარ, ხომ ასეა?

- ეს მისი საქმე არაა, - ვუთხარი მე, - მაპატიე.

- ყველაფერი კარგადაა, - მან გაღიმება სცადა, - მას არ მოვწონვარ.

- დეტექტივი მედოქსი კარგი თვალით გიყურებს.

- კარგი, დეტექტივო რაიან, არაფერია. უკვე მივეჩვიე. ბევრ გოგოს არ მოვწონვარ. დედა მეუბნება, - მან დარცხვენით დახარა თავი, - ეს იმიტომ, რომ ეჭვიანობენო, მაგრამ ვერ ვხვდები, ასე რატომ ხდება.

- მე კი ვხვდები, - ვთქვი ღიმილით, - თუმცა, ვფიქრობ, დეტექტივ მედოქსს ეს არ ეხება. ამას შენთან საერთო არაფერი აქვს.

- იჩხუბეთ? - მორიდებით მკითხა როზალინდამ.

- დაახლოებით, - მივუგე მე, - გრძელი ამბავია.

კარი გავაღე და ქვაფენილის გავლით ბაღისკენ გავემართეთ. როზალინდამ ჩაფიქრებული სახით აზიდა წარბები.

- სამწუხაროა, რომ არ მოვწონვარ, მე კი აღფრთოვანებული ვარ მისით. ქალისთვის დეტექტივობა ადვილი არ უნდა იყოს.

- დეტექტივობა ადვილი არავისთვისაა, - ამოვიოხრე მე. კესიზე ლაპარაკი არ მინდოდა, - მაგრამ ვცდილობთ.

- დიახ, მაგრამ ქალი სულ სხვაა, - მითხრა მან საყვედურის კილოთი.

- რატომ?

როზალინდას სერიოზული სახე მიეღო და მეშინოდა, რომ გამეცინოს, ვაითუ ეწყინოს-მეთქი.

- როგორ გითხრათ... დეტექტივი მედოქსი დაახლოებით ოცდაათი წლის იქნება, არა? ალბათ, გათხოვება და შვილების გაჩენა უნდა... ქალებს კაცებივით დიდხანს ლოდინი არ შეუძლიათ. როდესაც დეტექტივი ხარ, ძნელია სერიოზული ურთიერთობის დაწყება, არა? ეს დათრგუნავს.

დავიძაბე.

- არა მგონია, დეტექტივი მედოქსი ბავშვზე ოცნებობდეს, - ვთქვი მე.

როზალინდა მოიღუშა, თან ქვედა ტუჩს იკვნეტდა.

- შესაძლოა, მართალი ხართ, - ფრთხილად თქვა მან, - მაგრამ იცით, როგორ ხდება ხოლმე?.. ზოგჯერ ისე ახლოს ხარ ადამიანთან, რომ ვეღარ ამჩნევ, მასში იმას ვერ ხედავ, რასაც სხვები ხედავენ.

დაძაბულობამ იმატა. მინდოდა, მეკითხა, ისეთს რას ხედავდა კესიში, რასაც მე ვერ ვამჩნევდი, მაგრამ ბოლო დროს მომხდარმა მოვლენებმა მიჩვენა, რომ ცხოვრებაში ისეთი ვითარებაც იქმნებოდა, რომელთა შესახებაც ჯობდა, არაფერი გცოდნოდათ.

- დეტექტივ მედოქსის პირადი ცხოვრება მე არ მეხება, - ჩავიბურტყუნე მე, - როზალინდა...

მაგრამ იგი უკვე გარბოდა მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით, იც ინ ოდა და შიგადაშიგ უკან იყურებოდა.

- დეტექტივო რაიან, შეხედეთ, რა სილამაზეა!

მზის სხივებში თმა უბზინავდა და ღიმილი ვერ შევიკავე. უკან გავყევი - საუბრისთვის მოფარებული ადგილი იყო საჭირო - და ხეებქვეშ მდგარ პატარა ძელსკამთან დავეწიე.

- ჰო, - დავეთანხმე, - მართლა ლამაზი ადგილია. გინდა, აქ დავსხდეთ?

როზალინდა სკამზე დაჯდა და ბედნიერი სახით მიიხედ-მოიხედა.

- ჩვენი საიდუმლო თავშესაფარი.

ბაღში იდილია სუფევდა და მისი გაფუჭება არ მინდოდა. ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე, ყველაფერი ასე დამეტოვებინა: მეკითხა, როგორ მიდიოდა მისი საქმეები, ორიოდე სიტყვა ამინდზე მეთქვა და გამეშვა, რამდენიმე წუთი ბუნებითა და სიმპათიურ გოგონასთან საუბრით მესიამოვნა.

- როზალინდა, - ვთქვი მე, - უნდა დაგელაპარაკო. ვხვდები, რომ ეს ძალიან ძნელია და მინდა, როგორღაც შეგიმსუბუქო, ოღონდ არ ვიცი, როგორ. არჩევანი რომ მქონდეს, არაფერს გკითხავდი, მაგრამ შენი დახმარება მჭირდება. თანახმა ხარ?

სახეზე ჩრდილმა გადაუარა, ძელსკამს ხელები მაგრად ჩასჭიდა და მხრები დაუშვა.

- დიახ.

- მამას და დედას, - განვაგრძე თავშეკავებით და რბილად, - ოდესმე შენთვის და შენი დებისთვის უწყენინებიათ?

როზალინდამ პირზე ხელი მიიფარა და გაფართოებული თვალებით შემომხედა, შემდეგ გონს მოეგო, ხელი მკვეთრად ჩამოსწია და კვლავ ძელსკამს ჩააფრინდა.

- არა, რა თქმა უნდა, არა.

- მგონი, გეშინია, მაგრამ დაგიცავ. გპირდები.

- არა, - როზალინდამ თავი გადააქნია და ტუჩი მოიკვნიტა. მივხვდი, რომ საცაა, ატირდებოდა, - არა.

მისკენ დავიხარე და ხელზე შევეხე. ყვავილებისა და მუშკის სურნელი ვიგრძენი - მოწიფული ქალის სუნამოს სუნი.

- როზალინდა, თუ რაღაც ისე არ არის, უნდა ვიცოდეთ. შენ საფრთხე გემუქრება.

- არაფერი მომივა.

- ჯესიკასაც ემუქრება საფრთხე, ვიცი, რომ მასზე ზრუნავ, მაგრამ ყოველთვის ვერ დაიცავ. უფლება მომეცი, დაგეხმარო.

- თქვენ არ გესმით, - ჩაიჩურჩულა მან და ხელი აუკანკალდა, - არ შემიძლია, დეტექტივო რაიან. უბრალოდ, არ შემიძლია.

გული მიკვდებოდა. ასეთი სუსტი იყო და, იმავდროულად, ასეთი შეუპოვარი. იქ, სადაც მასზე ორჯერ უფროსი ადამიანი ადვილად გატყდებოდა, იგი უკანასკნელ ძალას იკრებდა, ჰაერში დაკიდებულ წვრილ თოკზე მიდიოდა და წონასწორობას იცავდა, და ამას მხოლოდ საკუთარი სიამაყისა და ნებისყოფის ხარჯზე ახერხებდა. როზალინდას მეტი არაფერი გააჩნდა, მე კი ვცდილობდი, მისთვის ეს უკანასკნელი საყრდენიც გამომეცალა.

- მაპატიე... - უეცრად შემრცხვა, - ოდესმე ამის მოყოლის სურვილი გაგიჩნდება და მაშინ შენ გვერდით ვიქნები. მანამდე კი... არ შემიძლია, რომ დაგაძალო. მაპატიე.

- რა კეთილი ხართ, - ჩაილაპარაკა მან, - ვერც კი ვიჯერებ, რომ ასეთი კეთილი ხართ.

- მე მხოლოდ შენი დახმარება მინდა.

- ადამიანებს ვერ ვენდობი, დეტექტივო რაიან, მაგრამ თუ ვინმეს მივენდობი, მხოლოდ თქვენ.

გავჩუმდით. როზალინდას ხელი ჩემს ხელში იდო, მაგრამ არ მართმევდა.

შემდეგ ხელი ოდნავ შეატრიალა და თითები თითებზე გადამაჭდო. პირის კუთხეებში ღიმილი გაუჩნდა.

სუნთქვა შემეკრა. სურვილმა დენივით დამიარა. მომინდა, როზალინდა გულში ჩამეკრა და მეკოცნა. წარმოვიდგინე გაქათქათებული ზეწრები სასტუმროში, მისი გაშლილი თმა, ღილები ჩემს თითებქვეშ, კესის წაგრძელებული სახე... ვიცოდი, რომ მინდოდა ეს ქალიშვილი, რომელიც ასე არ ჰგავდა სხვებს, მიუხედავად მისი მრავალი უცნაურობისა, იდუმალი ტკივილისა და უხერხული მცდელობისა, თავი სხვად მოეჩვენებინა, პირიქით, მათ გამო და მათთან ერთად, იმ ყველაფერთან ერთად, რაც მასში იყო. მის თვალებში საკუთარ თავს ვხედავდი - მისკენ დახრილ ნამცეცა ფიგურას.

მას მხოლოდ თვრამეტი წელი შესრულებოდა. ვცდილობდი, მთავარ მოწმედ მექცია. მოწყვლადი და უმწეო იყო, მაღმერთებდა. ნუთუ როზალინდას იმისთვის უნდა ეტანჯა, რომ ყველაფერს ვანადგურებდი, რასაც კი შევეხებოდი? კბილი კბილს დავაჭირე და ხელი გავითავისუფლე.

- როზალინდა, - ამოვიოხრე.

- უნდა წავიდე, - ცივად თქვა მან.

- შენი წყენინება არ მინდოდა. განსაკუთრებით ახლა.

- მაგრამ ეს გააკეთეთ.

ქალიშვილმა ჩანთა მხარზე გადაიკიდა. ჩემკენ აღარ გამოუხედავს. ტუჩების ადგილას წვრილი ზოლი მოუჩანდა.

- როზალინდა, მოიცადე, გთხოვ... - მინდოდა, ხელი მომეკიდა, მაგრამ თავიდან მომიცილა.

- მეგონა, ჩემზე ზრუნავდით, ახლა კი მივხვდი, რომ ვცდებოდი. ეს თქვენ შთამაგონეთ, რათა ყველაფერი დაგეცინცლათ, რაც ქეითის შესახებ ვიცოდი. ჩემი გამოყენება გსურდათ, სხვების მსგავსად.

- ტყუილია, - ვთქვი მე, მაგრამ იგი უკვე წასულიყო და მისი ქუსლების გაბრაზებული კაკუნი მესმოდა.

ვიცოდი, რომ მის დაწევას აზრი არ ჰქონდა. შეშფოთებული ჩიტები ბუჩქებში მიმოიფანტნენ. თავბრუ მესხმოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ როზალინდას დავურეკე, ვიფიქრე, დამშვიდდებოდა-მეთქი, მაგრამ არ მიპასუხა. ხმოვანი ფოსტით შეტყობინება დავუტოვე, ბოდიში მოვუხადე, კავშირი გავწყვიტე და თავი გადავაქნიე.

- ჯანდაბა! - მივმართე დაცარიელებულ ბუჩქებს.

ოპერაცია "ვესტალის" მიმდინარეობისას ხშირად ვიყავი ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც კაცი ნორმალურს ძნელად უწოდებს. მაგალითად, ტყეში წასვლამდე თითქმის არ მეძინა და არც არაფერი მიჭამია. თუ ამას გამუდმებულ ფსიქიკურ დაძაბულობასა და ბლომად არაყსაც დავუმატებთ, ძნელი დასაჯერებელი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ყველაფერი, რაც ამას მოჰყვა, სიზმარი ან უცნაური ჰალუცინაცია იყო. ამას ვერაფრით შევამოწმებ, თუმცა მეეჭვება, რომელიმე პასუხმა მაინც დამაკმაყოფილოს.

იმ ღამის შემდეგ კვლავ შევძელი ნორმალურად ძილი, მაგრამ ახლა მეორე უკიდურესობაში გადავვარდი, რამაც ძალიან შემაშფოთა. სამსახურიდან დაბრუნებისთანავე თვალები მებლიტებოდა. საწოლი მაგნიტივით მიზიდავდა და დილას აღმოვაჩენდი, რომ ტანსაცმლიანად ვიწექი და თორმეტი-ცამეტი საათი პოზის შეუცვლელად მეძინა. ერთხელ მაღვიძარას დაყენება დამავიწყდა და დღის ორ საათამდე არ გამეღვიძა. მოგვიანებით გაირკვა, თურმე ბერნადეტი დაჟინებით მირეკავდა, მაგრამ ეს არც გამიგია.

მოგონებებიც მას შემდეგ გამიქრა, როგორც ერთგვარი თანამდევი ეფექტი: ყველაფერი უეცრად ჩაქრა, თითქოს შუქი გამორთესო. ამან დიდი შვება მომგვარა, ყველაფერი, რაც ნოკნარის უკავშირდებოდა, ნერვებს მიშლიდა და თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობდი, თუ ამ თემას საერთოდ არ ვეხებოდი. ამას თა-

ვიდანვე უნდა მივმხვდარიყავი და ის სულელური ნაბიჯი არ გადამედგა, როდესაც ყველაფერი დავივიწყე და გახარებული გავიქეცი ტყისკენ. ამისთვის ხშირად ვსაყვედურობდი საკუთარ თავს. მხოლოდ გაცილებით გვიან, როდესაც ყველაფერი დასრულდა და მტვერიც დაჯდა, როდესაც კვლავ დავიწყე ჩემი მეხსიერების საზღვრების ფრთხილად სინჯვა და იქ სიცარიელის მეტი ვერაფერი აღმოვაჩინე, თავში გამიელვა, რომ ეს გათავისუფლება კი არა, უდიდესი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება, უიმედო და აუნაზღაურებელი დანაკარგი იყო.

18 თავი

პარასკევს მე და სემი შტაბში პირველები გამოვცხადდით. ახლა ყოველთვის ადრე მისვლას ვცდილობდი, რათა ტელეფონზე დატოვებული შეტყობინებები მომესმინა და სადმე წასვლის საბაბი მეპოვა. წვიმდა და კესი, ალბათ, სადმე იდგა, "ვესპას" ვერ ქოქავდა და უმისამართო ლანძღვით გულს იოხებდა.

- დღის ანგარიში, - გაიღიმა სემმა და კასეტები გააქნია, - მთელი საღამო ენა არ გაუჩერებია, ექვსი ზარი ზედიზედ, ასე რომ, თუ ღმერთმა ინება...

უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც ენდრიუსს ვუსმენდით და უამრავი, თუმცა არაფრის მომცემი ჩანაწერი მოვიპოვეთ, ამიტომ ო ' კელი თანდათან სულ უფრო ემოციური ხდებოდა და მალე ვულკანივით იფეთქებდა. ენდრიუსი მთელი დღის განმავლობაში ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული, საქმიანად საუბრობდა, საღამოობით კი წარმოუდგენლად ძვირ, გურმანებისთვის განკუთვნილ კერძებს უკვეთდა, რასაც სემმა "ძარცვა სახლში მიტანით" შეარქვა. ერთხელ სემმა "სექსი ტელეფონით" მომსახურების ცენტრში დარეკა, რომელსაც ტელევიზორში ღამით უწევენ რეკლამას. როგორც ჩანს, მოსწონდა, როდესაც საჯდომზე ურტყამდნენ, და მისი ფრაზა "მოდი, უკანალი ამიწითლე, სელესტინა", ჩვენს განყოფილებაში საყვარელ გამოთქმად იქცა.

პალტო გავიხადე და მაგიდას მივუჯექი.

- ჩართე, სემ, - ვთქვი მე.

ბოლო დროს იუმორის გრძნობა მღალატობდა. სემმა მხრები აიჩეჩა და ძველ მაგნიტოფონში კასეტა ჩადო.

კომპიუტერზე ამობეჭდილი მონაცემების მიხედვით, რვა საათსა და ჩვიდმეტ წუთზე ენდრიუსმა შეუკვეთა ლაზანია[111] შებო-

---

[111] ლაზანია - მაკარონისგან მომზადებული ერთგვარი კერძი.

ლილი ორაგულით, პესტოთი[112] და მზეზე გამოყვანილი პომიდ-ვრით.

- ღმერთო ჩემო, - ჩავილაპარაკე მე და დავიღრიჯე.

სემს გაეცინა.

- ჩვენ ყველაზე სანუკვარ და რჩეულ კერძებს მივირთმევთ.

რვა საათსა და ოცდასამ წუთზე მან თავის სიძეს დაურეკა და შეუთანხმდა, რომ კვირას, დღის მეორე ნახევარში, გოლფს ითა-მაშებდნენ, თან ორივენი მამაკაცურად ხუმრობდნენ. რვა საათ-სა და ორმოცდაერთ წუთზე კვლავ დარეკა რესტორანში და შეკ-ვეთის მიმღებს გვარიანად უღრიალა იმის გამო, რომ კერძი ჯე-რაც არ მოეტანათ. ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა - როგორც ჩანს, "ლაზანია ჯოჯოხეთიდან" უკვე დანიშნულების ადგილას იყო.

თორმეტ საათსა და რვა წუთზე ენდრიუსმა ყოფილ ცოლს ლონდონში დაურეკა, იგი სენტიმენტალურ ხასიათზე იყო და ურ-თიერთობის გარკვევა სურდა.

- დოლორეს, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა მა-შინ დავუშვი, როდესაც წასვლის უფლება მოგეცი,- ლუღლუღებ-და ცრემლიანი ხმით, - თუ სწორად მოვიქეცი? შენ კარგი ქალი ხარ, უკეთესი, ვიდრე მე ვიმსახურებ. ასჯერ უკეთესი. არა, ათას-ჯერ. მართალს არ ვამბობ, დოლორეს? რას იტყვი, სწორად მო-ვიქეცი?

- არ ვიცი, ტერი, - დაღლილი ხმით მიუგო დოლორესმა, - თვითონ მითხარი.

იგი სამზარეულოში რაღაცას საქმიანობდა: ან თეფშებს რეც-ხავდა, ან სუფრას ალაგებდა - გავიგონე, როგორ წკარუნობდა

---

[112] პესტო - პოპულარული იტალიური საწებელი.

ჭურჭელი. როდესაც ენდრიუსი ატირდა, მან ყურმილი დაკიდა. ორიოდე წუთის შემდეგ კაცმა ისევ დაურეკა და შეუღრინა:

- ნუ მიკიდებ ყურმილს, შე ძუკნა, ხომ გესმის? თორემ მე თვითონ დაგიკიდებ, - კავშირი კვლავ გაწყდა.

- რას ერჩი, ლოველასი ყოფილა, - ვთქვი მე.

- ნაგავია, - თქვა სემმა, რომელიც სკამზე გადაწოლილიყო და სახეზე ხელისგულებს ისვამდა, - ნამდვილი ნაგავი. კიდევ ერთი კვირა დარჩა. როგორ მოვიქცე, თუ ყველაფერი პიცითა და გატეხილი გულით დასრულდება?

ჩანაწერში რაღაც გატკაცუნდა.

- დიახ? - გაისმა მამაკაცის ბოხი ხმა.

- ეს ვინ არის? - ვკითხე სემს.

- დაურეგისტრირებელი მობილური ნომერი, - მიპასუხა მან, - ორს ოთხი წუთი აკლია.

- ნაძირალავ! - დაიღრიალა ფირზე ენდრიუსმა. გალეშილი იყო. სემი გაიმართა.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ მამაკაცის ხმამ წარმოთქვა:

- მგონი, გითხარი, არ დამირეკო-მეთქი.

- აჰა, ასე, - ჩავიცინე მე.

სემმა ხელი ისე გაიწვდინა, თითქოს მაგნიტოფონის აღებას აპირებდა, მაგრამ მხოლოდ ახლოს მოსწია. ორივენი წინ გადავიხარეთ და სმენად ვიქეცით. სემი გაიტრუნა.

- ფეხებზე მკიდია, რა მითხარი! - დაიღრინა ენდრიუსმა, - შენ მე ბევრი რამე მითხარი. მითხარი, რომ მალე ყველაფერი მოგვარდებაო, გახსოვს? ამის ნაცვლად კი დადგენილებებით ამავსეს...

- გითხარი, დამშვიდდი და ნება მომეცი, ყველაფერი მოვაგვარო-მეთქი. შემიძლია, კიდევ გაგიმეორო. ვითარებას ვაკონტროლებ.

- ეგ კონტროლი უკან გაიკეთე. ნუ მიბედავ ისე ლაპარაკს, თითქოს მე შენი ხელ... შენი ხელქ... შენი ხელქვეითი ვიყო. ეს შენ ხარ ჩემი ხელქვეითი. მე გიხდი ფულს. დალახვროს ეშმაკმა... ათასობით და ათასობით... "ეი, ტერი, კიდევ ხუთი ათასი გვინდა ამისთვის, ტერი, რამდენიმე ათასი ახალი მრჩევლისთვის..." რაღა შენთვის მომიცია და რაღა ტუალეტში ჩამიყრია. ხომ მუშაობდი ჩემზე? ჰოდა, ახლა გათავისუფლებ. ჯანდაბამდე გზა გქონია შენი უკანალიანად. აი, ასე.

- მე ყველაფერი გავაკეთე, რისთვისაც გადამიხადე. მხოლოდ ერთი პატარა გაუგებრობა დარჩა. გავერკვევი. არაფერი შეცვლილა. ხომ გესმის?

- რა თქმა უნდა, გაარკვევ. არამზადა ხარ, მეტი არაფერი. მოხვეტე ჩემი ფული და გაიქეცი, მე კი უამრავი უსარგებლო მიწა და აბეზარი პოლიციელები შემრჩა. ჯანდაბა... დალახვროს ეშმაკმა, როგორ გაიგეს, რომ ეს ჩემი მიწაა? არადა, გენდობოდი.

დუმილი. სემმა სული მოითქვა და გაინაბა. უცნობმა ხმამ მკვეთრად იკითხა:

- რომელი ტელეფონიდან მირეკავ?

- რა შენი საქმეა, - უხეშად მიუგო ენდრიუსმა.

- პოლიციამ რა გკითხა?

- იმ გოგოზე, - ენდრიუსმა დააბოყინა, - აი, იმაზე, რომელიც მოკლეს. მამამისი ის წყეული ტიპია, სასამართლო რომ ჩართო... იმ სულელებს ჰგონიათ, რომ მე ვარ ამაში გარეული.

- ტელეფონი გათიშე, - ცივად თქვა ბოხმა ხმამ, - პოლიციას უადვოკატოდ არ დაელაპარაკო. სასამართლოს შესახებ კი არ ინერვიულო... და აღარ დამირეკო.

მან ყურმილი დაკიდა.

- აჰა, - ვთქვი მცირე ხნის დუმილის შემდეგ, - ესეც შენი პიცა და გატეხილი გული.

სასამართლო ამ ჩანაწერებს სამხილად, ალბათ, არ აღიარებდა, მაგრამ იმისთვის კი გამოდგებოდა, რომ ენდრიუსს მივწოლოდით. ვცდილობდი, მოწონება გამომეხატა, მაგრამ გულის სიღრმეში მწარე ფიქრი არ მასვენებდა, რომ ყველაფერი ლოგიკურად ხდებოდა: სანამ მარცხს მარცხზე განვიცდიდი, სემი კვლავ წარმატებით ტკბებ ოდა. მე რომ მომესმინა ენდრიუსის სატელეფონო საუბრები, ის ორი კვირის განმავლობაში, ალბათ, მხოლოდ საკუთარ დედას დაურეკავდა.

- ო ’ კელი კმაყოფილი იქნება, - დავამატე მე.

სემს არაფერი უთქვამს. მისკენ შევტრიალდი. მკვდარივით გაფითრებულიყო.

- რა მოხდა? - ვკითხე შეშფოთებულმა, - კარგად ხარ?

- ჰო, ყველაფერი შესანიშნავადაა.

სემი დაიხარა და მაგნიტოფონი გამორთო. ხელი უკანკალებდა, თვალები ავადმყოფურად უელავდა.

თავში გამიელვა, სიხარულისგან გულის შეტევა ან რამე ამის მსგავსი ხომ არ დაემართა-მეთქი. იქნებ რამე საშიში დაავადება სჭირდა, რომლის შესახებაც არაფერი იცოდა. ჩვენს განყოფილებაში ხშირად იხსენებდნენ დეტექტივებს, რომლებმაც დამნაშავეთა დევნისას საოცარი გამძლეობა და ამტანობა გამოავლინეს და სწორედ მაშინ დაიღუპნენ, როდესაც მათთვის ხელბორკილების დადებას აპირებდნენ.

- ექიმს ხომ არ დავუძახო?

- არ ღირს, - ჩაილაპარაკა სემმა.

- აბა, რა ჯანდაბა ხდება?

მხოლოდ ახლა მივხვდი. უცნაურია, აქამდე როგორ არ მომივიდა ეს აზრი თავში. კილო, ხმის ტემბრი, საუბრის მანერა... ამას ყოველდღე ვისმენდი, ოღონდ უფრო მსუბუქი ფორმით.

- მომისმინე, - შევძახე მე, - ის, რა, ბიძაშენია?

სემმა ჯერ მე მტყორცნა მზერა, შემდეგ კარისკენ გაიხედა, მაგრამ იქ არავინ იყო. სწრაფად და მძიმედ სუნთქავდა.

- ჰო, - მიპასუხა სემმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ, - ის არის.

- დარწმუნებული ხარ?

- ვცნობ მის ხმას.

სამწუხარო ამბავი იყო, მაგრამ გამოგიტყდებით, გაცინება მინდოდა. სემი მასზე ყოველთვის ისე მოწიწებით ლაპარაკობდა ("პატიოსნების განსახიერებაა!"), ისე საზეიმოდ, როგორც ამერიკელი ოფიცერი დროშის შესახებ ომზე გადაღებულ რომელიმე საშინელ ფილმში. ერთ დროს ეს ძალიან მხიბლავდა (აბსოლუტური ნდობა - უმანკოებაა: მას მხოლოდ ერთხელ კარგავ და ისეთ ადამიანს არასდროს შევხვედროდი, რომელსაც ეს ოცდაათ წლამდე შემოენახა), მაგრამ ახლა მივხვდი, რომ აქამდე სემს მხოლოდ საოცრად უმართლებდა, და ის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ბანანის კანზე ფეხი აუსხლტა და ძირს დაენარცხა, ჩემში დიდ თანაგრძნობას არ იწვევდა.

- როგორ მოიქცევი? - ვკითხე მე.

სემი დუმდა და მოკაშკაშე ნათურის ქვეშ თავს აქნევდა. ცხადია, შექმნილ ვითარებაზე ფიქრობდა: ოთახში მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით. თავის ერთი გაქნევა, ღილაკზე თითის ერთხელ დაჭერა და ფირზე მხოლოდ გოლფის შესახებ საუბარი დარჩებოდა.

- ორშაბათამდე მადროვე, - მთხოვა სემმა, - შემდეგ ო ' კელის წავუღებ. ოღონდ... ახლა არა. უიკენდმა ჩაიაროს.

- რა თქმა უნდა, - ვთქვი მე, - ბიძაშენთან დალაპარაკება გინდა?

სემმა შემომხედა.

- თუ მას ვეტყვი, კვალს წაშლის - გამოძიების დაწყებამდე ყველა სამხილს გაანადგურებს. განა არა?

- ალბათ.

- მაგრამ თუ არ შევატყობინებ და გაიგებს, რომ გაფრთხილება შემეძლო და ეს არ გავაკეთე...

- ძალიან ვწუხვარ.

უეცრად შევშფოთდი, კესი რატომ აგვიანებს-მეთქი.

- იცი, რა არის ყველაზე სასაცილო? - განაგრძო სემმა ცოტა ხნის შემდეგ, - დღეს დილით რომ გეკითხა, ვის მიმართავ, დახმარება რომ დაგჭირდესო, გიპასუხებდი, რედს-მეთქი.

ვუყურებდი სემის შეწუხებულ სახეს და უცნაურ გაუცხოებას ვგრძნობდი - არა მხოლოდ მისდამი, არამედ ამ სცენის მიმართ: თითქოს მაღლიდან ვიყურებოდი და ვხედავდი, რომ სადღაც, ქვევით, ორი ადამიანი საუბრობდა. ასე დიდხანს ვისხედით, სანამ ოთახში ო ' გორმანი არ შემოიჭრა და სულმოუთქმელად შეუდგა რაგბიზე ლაპარაკს. სემი წამოდგა, კასეტა ჯიბეში ჩაიდო, თავისი ნივთები შეაგროვა და წავიდა.

იმავე დღეს, როდესაც მოსაწევად გარეთ გავედი, კესი შემომიერთდა.

- სანთებელა გაქვს? - მკითხა მან.

იგი შესამჩნევად გამხდარიყო, ლოყები ჩასცვივნოდა, მაგრამ ვერ ვიხსენებდი, ეს თანდათანობით მოხდა, გამოძიების პარალელურად, თუ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში. სანთებელა ამოვიღე და გავუწოდე.

ცივი, პირქუში დღე იდგა. კედელთან გამხმარი ფოთლების გროვა მოჩანდა. კესი ქარისკენ ზურგით შეტრიალდა, რათა სიგარეტისთვის მოეკიდებინა. მაკიაჟი ეკეთა - წამწამებზე შავი ტუში წაესვა, ლოყებზე კი - რაღაც ვარდისფერი, მაგრამ პეშვად ქცეული ხელის მტევნისკენ დახრილი მისი სახე მაინც ფერმკრთალი, თითქმის განაცრისფრებული მომეჩვენა.

- რა ხდება, რობ? - მკითხა მან, როდესაც თავი ასწია.

გული შემეკუმშა. ოდესღაც ყველას უწევს ურთიერთობის გარკვევა, მაგრამ ჯერ არ შევხვედრივარ კაცს, რომელიც ამაში რამე აზრს ხედავდეს ან რამე სარგებელი ენახოს. უკანასკნელ წუთამდე მჯეროდა, რომ კესი ერთ-ერთი იქნებოდა იმ იშვიათ ქალთაგან, რომლებიც მსგავსი საუბრის გარეშეც გადიან ფონს.

- არაფერი, - მივუგე მე.

- რატომ იქცევი ასე უცნაურად?

მხრები ავიჩეჩე.

- დავიღალე, საქმე გაიჭედა, ნერვები დამეჭიმა. პირადი არაფერია.

- გეყოფა, რობ, ნუ ცრუობ. ისე გამირბიხარ, თითქოს კეთროვანი ვიყო, მას შემდეგ...

ერთიანად დავიძაბე. კესის ხმა ჩაუწყდა.

- არა, - ვთქვი მე, - უბრალოდ, მეტი თავისუფალი ადგილი მჭირდება. ხვდები?

- ვერაფერს ვხვდები. მხოლოდ იმას ვხედავ, რომ გამირბიხარ, და არ ვიცი, რატომ.

გავაცნობიერე, რომ ამჯერად თავს ვერ დავიძვრენდი.

- არ გაგირბივარ, - ვთქვი მისკენ გაუხედავად, - არ მინდა, ვითარება გავართულო. ახლა სრულიად ძალაგამოცლილი ვარ ურთიერთობის დასაწყებად და არ მინდა, შთაბეჭდილება შეგექმნას...

- ურთიერთობა? - კესიმ წარბები სწრაფად აზიდა, - ღმერთო ჩემო, სულ ეს არის? არა, რაიან, სულაც არ ველოდები, რომ ცოლად მომიყვან და შვილები გვეყოლება. რამ გაფიქრებინა, რომ რაღაც ურთიერთობა მჭირდება? მინდა, ყველაფერი ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდეს, ვინაიდან ეს... სასაცილოა.

მისი არ მჯეროდა. არა, კარგად კი გაითამაშა - უდარდელი პოზა, გაოცებული მზერა. სხვა ჩემს ადგილას შვებით ამოისუნთქავდა, მეგობარს ზურგზე ხელს უხერხულად მოუთათუნებდა

და ისინი ხელიხელგადახვეულნი მკვირცხლად დაიწყებდნენ "ნორმალურ მდგომარეობაში" დაბრუნებას, მაგრამ კესის მანერებს საკუთარი ხუთი თითივით კარგად ვიცნობდი. გახშირებული სუნთქვა, დაძაბული მხრები, სულ ოდნავი გაუბედაობა ხმაში...

- ჰო, - ვთქვი მე, - ეგრე იყოს.

- შენ ხომ იცი ეს, რობ, ასე არაა?

კვლავ მცირე გაუბედაობა.

- მეეჭვება, - ვთქვი მე, - რომ მსგავს ვითარებაში ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნება შეიძლებოდეს. იმ შაბათ ღამეს შეცდომა დავუშვით. ვისურვებდი, ეს არასდროს მომხდარიყო, მაგრამ მაინც მოხდა და ახლა ვეღარ გამოვასწორებთ.

კესიმ სიგარეტი ქვაფენილზე დააფერფლა. დავინახე, როგორ შეუტოკა ტკივილმა სახე - თითქოს მისთვის სილა გამეწნას. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი ჩაილაპარაკა:

- ვერ გამიგია, რატომ არის ეს შეცდომა.

- ეს არ უნდა გაგვეკეთებინა, - კედელს ისე ძლიერად ვაწვებოდი, რომ ზურგით მისი ყველა უსწორმასწორო ადგილი შევიგრძენი, - ამას არც გავაკეთებდით, მე რომ ასე არ ავრეულიყავი სხვა მიზეზის გამო. მაპატიე, მაგრამ ასეთია რეალობა.

- კარგი, - თქვა კესიმ, - ასე იყოს. მერე რა? ჩვენ მეგობრები ვართ, ახლოს ვართ... და კიდევ უფრო დავახლოვდებით. მეტი არაფერი.

იგი საღად, გონივრულად მსჯელობდა, მე კი გაფხორილი მოზარდივით ვიქცეოდი და ეს კიდევ უფრო მეტად მწყინდა... მაგრამ მისი თვალები... ერთხელ უკვე ვნახე მისი ასეთი მზერა - ბინაში, სადაც იგი შპრიცმომარჯვებული ნარკომანის პირდაპირ იჯდა და მაშინაც საღად და გონივრულად ლაპარაკობდა.

- კარგი, - ვთქვი მე და შევტრიალდი, - შესაძლოა, მართალი ხარ. უბრალოდ, ყველაფერში უნდა გავერკვე.

კესიმ ხელები გაშალა.

- რობ, - ჩაილაპარაკა მოგუდული ხმით, - რობ, ეს ხომ მე ვარ.

მაგრამ მისი ხმა აღარ მესმოდა. მას ვერც ვხედავდი - კესი უცხო, უცნობი ადამიანი მეგონა, რომელსაც ადრე არასდროს შევხვედრივარ. ოჰ, როგორ მინდოდა, ახლა სხვა ადგილას ვყოფილიყავი!

- უნდა წავიდე, - ვთქვი მე და სიგარეტი გადავაგდე, - სანთებელას დამიბრუნებ?

არ ვიცი, რატომ არ მჯეროდა, რატომ არ განვიხილავდი იმის შესაძლებლობას, რომ კესი შეულამაზებელ სიმართლეს მეუბნებოდა. უწინ არასდროს მოვუტყუებივარ და საფუძველი არ მქონდა, ახლა სხვანაირად მეფიქრა, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი ტანჯვის მიზეზი უპასუხო ვნება იყო და არა საუკეთესო მეგობრის დაკარგვა - სწორედ ასეთად მიმაჩნდა თავი.

რასაკვირველია, ეს ყოყოჩობას ჰგავდა, - თითქოს კაზანოვა ვიყავი, - მაგრამ მართლა არ ვფიქრობდი, რომ საქმე ასე მარტივად იყო. კესი ასეთ მდგომარეობაში არასდროს მენახა. ვერ ვიხსენებ, რომ ოდესმე ეტირა. ძალზე იშვიათად, რომ რამეს შეეშინებინა, ახლა კი მკვეთრი მაკიაჟის ქვეშ თვალები დასივებოდა, მის მზერაში სასოწარკვეთა და შიში იკითხებოდა, რა უნდა მეფიქრა? თავში მომაბეზრებელი მოტივივით მიტრიალებდა როზალინდას სიტყვები: "ოცდაათი წელი, ბიოლოგიური საათი, ლოდინი არ შეუძლია", ყველაფერი, რაც ამ თემაზე წამეკითხა (ჟურნალები ექიმის მისაღებში, ჰითერის "კოსმო", რომელსაც ზოგჯერ საუზმობის დროს ვფურცლავდი), მხოლოდ ადასტურებდა ჩემს ეჭვს: "ოცდაათს გადაცილებული ქალის ბოლო შესაძლებლობა", "რა საფრთხეს შეიცავს დაგვიანებული მშობიარო-

ბა", "რატომ არის საშიში სექსი მეგობართან: უიღბლო სიყვარული - ქალს, პასუხისმგებლობის შიში - კაცს"...

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ კესი შორს იდგა ამ შაბლონებისგან, მაგრამ უწინ ბევრი სხვა რამისაც მჯეროდა ("ზოგჯერ ისე ახლოს ხარ ადამიანთან, რომ ვეღარ ამჩნევ") - მაგალითად, იმის, რომ ორივენი გამონაკლისი ვიყავით, არადა, აგერ, რა გამოვიდა. მართალია, იმის თქმაც შეიძლება, თითქოს თვითონ ვიქცეოდი შაბლონურად, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მხოლოდ კესის როდი აერია ცხოვრება. მეც თავგზააბნეული, დაბნეული, თავზარდაცემული ვიყავი და იმ მომენტში იმ ტაქტიკით ვმოქმედებდი, რომელზეც ხელი მიმიწვდებოდა.

მე ადრეულ ასაკში გავაცნობიერე, რომ იმის სიღრმეში, რაც შენთვის ძვირფასია და გიყვარს, შესაძლოა, რაღაც ბნელი და სასიკვდილო იმალებოდეს. როდესაც მას ვერ აღმოვაჩენდი, ისე ვიქცეოდი, როგორც ინსტინქტი მკარნახობდა,L მას თვითონ ვქმნიდი.

ახლა ჩემთვის ცხადია, რომ ყველაზე ძლიერ ადამიანებსაც კი აქვთ სუსტი ადგილები. კესის მთელი ძალით იმ იუველირის სიზუსტით დავარტყი, რომელმაც იცის, სად შეეხოს ქვას ფრაგმენტის მოსატეხად. შესაძლოა, იმ დროს ხშირად იხსენებდა თავის სეხნიას, კასანდრას, რომელიც ღმერთმა სასტიკი ტანჯვისთვის გაწირა: ყოველთვის სიმართლე ელაპარაკა, ოღონდ ისე, რომ მისთვის არასდროს დაეჯერებინათ.

სემი ჩემთან ორშაბათ საღამოს, გვიან, ათი საათისთვის მოვიდა. ახალი ამდგარი ვიყავი, ვახშმისთვის პურს ვიბრაწავდი და ნახევრად მეძინა. როდესაც ქვემოდან ზარი დარეკეს, შიშისგან კინაღამ გული გადამიცივდა - მეგონა, კესი მოვიდა საქმის გასარჩევად, შესაძლოა, ნასვამიც კი. ამბის გასაგებად ჰითერი გავუშვი. მალე მან კარზე მომიკაკუნა და გაღიზიანებული კილოთი ჩაიბურტყუნა:

- შენთან ვიღაც კაცია, სემი.

ისე გამიხარდა, მხოლოდ შემდეგ გავიაზრე, რომ ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო - სემი ჩემს ბინაში არასდროს ყოფილა და არ მეგონა, თუ ჩემი მისამართი იცოდა.

პერანგი ჩავიტანიე, კართან მივედი და გავიგონე, როგორ ამოდიოდა კიბეზე.

- გამარჯობა, - ვთქვი მე, როდესაც ის კიბის ბაქანზე გამო ჩნდა.

- გამარჯობა, - მითხრა სემმა.

ერთმანეთი პარასკევ დილის აქეთ არ გვენახა. ტვიდის განიერი პალტო ეცვა, გაუპარსავი იყო, ჭუჭყიანი თმა შუბლზე ჩამოშლოდა.

ველოდებოდი, რით ახსნიდა თავის ვიზიტს, მაგრამ სემი დუმდა და ამიტომ სასტუმრო ოთახში შევიყვანე. ჰითერი აგვედევნა და ლაქლაქს მოჰყვა: - გამარჯობა, მე ჰითერი ვარ, მიხარია, რომ გაგიცანით, არ ვიცი, სად გმალავდათ რობი ამდენ ხანს, თუმცა ის ხომ არასდროს პატიჟებს მეგობრებს, ასე როგორ შეიძლება, ახლა "უბრალო ცხოვრებას" უჩვენებენ, ალბათ, უყურებთ ხოლმე, ღმერთო, რა საშინელებაა წელს, მას კი კვლავაც აგრძელებენ და აგრძე ლებენ... ჩვენმა მოკლე-მოკლე პასუხებმა მასზე, როგორც იქნა, იმოქმედა და განაწყენებული კილოთი გვკითხა:

- ბიჭებო, ალბათ, განმარტოებით საუბარი გსურთ, არა?

ვინაიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოგვითქვამს, მან სემს თბილად გაუღიმა, მე - ცივად, და წავიდა.

- მაპატიე, გაუფრთხილებლად რომ მოვედი, - მითხრა სემმა და ოთახი, ცოტა არ იყოს, გაოცებით მოათვალიერა - გამომწვევი სტილის დივნის ბალიშები, თაროები ფაიფურის გრძელწამწამებიანი ცხოველებით.

- ყველაფერი რიგზეა, - ვთქვი ღიმილით, - დალევ რამეს?

ვერ ვხვდებოდი, რატომ მოვიდა. აზრი, რომ ეს რაღაცით კესის უკავშირდებოდა, აბსურდულად მომეჩვენა. "ღმერთო ჩემო, - გავიფიქრე, - მართლა ხომ არ სთხოვდა ჩემთან დალაპარაკებას?"

- ვისკი კარგი იქნებოდა.

სამზარეულოს კარადაში ნახევარ ბოთლ "ჯემისონს" მივაგენი. როდესაც ოთახში დავბრუნდი, სემი სავარძელში იჯდა, იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა, თავი ხელებზე ჩამოედო. ჰითერს ტელევიზორი ჩართული დაეტოვებინა და ახლა ეკრანზე ორი ნარინჯისფერგრიმიანი ისტერიკული ქალი რაღაცაზე გაშმაგებით, მაგრამ უხმოდ კამათობდა.

ტელევიზორი გამოვრთე და სემს ბოკალი გავუწოდე, მან თავი დამიქნია და სწრაფად მოსვა ნახევარი. მომეჩვენა, რომ ნასვამი იყო. მართალია, ნორმალურად ლაპარაკობდა და თავიც კარგად ეჭირა, მის ხმასა და მოძრაობის მანერაში ცვლილება შევამჩნიე - თითქოს დიდხანს ეზიდებოდა მძიმე ტვირთს.

- აბა, რა პრობლემაა? - ვკითხე ბოლოს.

სემმა კვლავ მოსვა ვისკი. გვერდით მდგარი ტორშერი მას ორ ნაწილად ყოფდა - მუქად და განათებულად.

- გახსოვს ის ნივთი, პარასკევს რომ გაჩვენე? - მკითხა მან, - კასეტა?

გულზე ოდნავ მომეშვა.

- რა თქმა უნდა, მერე?

- ბიძაჩემისთვის არაფერი მითქვამს.

- არა?

- არა. შაბათ-კვირას სულ მასზე ვფიქრობდი, მაგრამ მაინც არ დავურეკე, - სემმა ყელი ჩაიწმინდა, - ამის ნაცვლად, ო ' კელისთან წავედი, - მან ჩაახველა, - დღეს დილით. კასეტასთან ერთად. მაგნიტოფონში ჩავდე, მოვასმენინე და ავუხსენი, რომ მეორე თანამოსაუბრე ბიძაჩემი იყო.

- მაგარია, - გამეცინა მე.

გულწრფელად ვიტყვი, მისგან ასეთ საქციელს არ ველოდი. ამან ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა.

- არა, - სემმა თავი გადააქნია, თავის ბოკალს დახედა და მაგიდაზე დადგა, - იცი, რა მითხრა?

- რა?

- მკითხა: "შენ, რა, გაგიჟდი?" - სემს გაეცინა, - ღმერთო ჩემო, მეგონა, გამიგებდა... ო ' კელიმ მომთხოვა, ფირი წამეშალა, მიყურადება გამეუქმებინა და ენდრიუსი დამევიწყებინა. "ეს ბრძანებაა", - თქვა მან, მისი სიტყვებით, მტკიცებულება არ გვქონდა, რომ ენდრიუსს მკვლელობასთან შეხება ჰქონდა, და თუ ყველაფერს დაუყოვნებლივ არ შევწყვეტდით, განყოფილებიდან ორივეს გაგვიშვებდა. შესაძლოა, არა დაუყოვნებლივ და სხვა საბაბით, მაგრამ შედეგი იგივე იქნებოდა: საპატრულო პოლიციელებად გაგვგზავნიდა რომელიმე მიყრუებულ ადგილას, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ჩავლპებოდით. ო ' კელიმ მითხრა: "წარმოიდგინე, რომ ამ თემაზე არ გვისაუბრია, ფირი კი არასდროს არსებულა".

სემი სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდა. ჰითერის საძინებლის კარი სასტუმრო ოთახში გამოდიოდა და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გასაღების ჭუჭრუტანიდან ყურს გვიგდებდა.

- მაშასადამე, უნდა, რომ მას ხელი დააფაროს? - ვკითხე სემს ხმადაბლა, იმ იმედით, რომ ისიც მომბაძავდა.

- აშკარად ამის მსგავსზე მიმანიშნა, - პირქუში ირონიით მითხრა სემმა. მისი სარკაზმი უჩვეულოდ ჟღერდა: იგი სემს მრავლისმნახველ ცინიკოსს კი არა, იმედგაცრუებულ ყმაწვილს ამსგავსებდა. ჩემი სტუმარი სავარძელზე გადაწვა და თმა აიწეწა, - უნდა გითხრა, რომ ამას არ ველოდი. ყველა ვარიანტი განვიხილე, მაგრამ ეს... თავში აზრადაც არ მომსვლია.

უნდა ვაღიარო, რომ ამ წუთამდე სემის გამოძიებას სერიოზულად არ აღვიქვამდი. საერთაშორისო კომპანიები, მოხერხებული შემსყიდველები, ფარული გარიგებები: ეს ყველაფერი შორეული, მოგონილი, თითქმის სასაცილო მეგონა, როგორც რომელიმე ბლოკბასტერი ტომ კრუზის მონაწილეობით, რომელსაც რეალურ ცხოვრებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ამიტომ იმან, რაც სემის თვალებში ამოვიკითხე, სახტად დამტოვა. მთვრალი აშკარად არ იყო და თუ კალაპოტიდან ამოვარდა, ეს ორ დარტყმას, ორ ღალატს გამოეწვია: ბიძამისისა და ო ' კელისას. სემისთვის ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. წამით მისი ნუგეშისცემა და იმის ახსნა მომინდა, რომ ეს ყველას ემართებოდა და ცხოვრება ამით არ მთავრდებოდა.

- როგორ მოვიქცე? - მკითხა მან.

- არ ვიცი, - მივუგე მე. ერთად ხშირად ვიყავით, მაგრამ ამას ერთგულ მეგობრებად არ გადავუქცევივართ. ყოველ შემთხვევაში, იმ მდგომარეობაში არ ვიყავი, რომ მისთვის გონივრული რამე მერჩია, - არ მინდა, უსულგულო ადამიანად მიმიჩნიო, მაგრამ ჩემთან მოსვლა რატომ გადაწყვიტე?

- აბა, ვისთან მივსულიყავი? - ხმადაბლა მკითხა სემმა. მან თავი ასწია და მისი ჩასისხლიანებული თვალები დავინახე, - ოჯახს ამას ვერ გავუმხელ - ეს მათ გაანადგურებს, ხომ გესმის? მეგობრები მყავს, მაგრამ ისინი პოლიციელები არ არიან, აქ კი პოლიციაა საჭირო. კესი... არ მინდა, ამაში გავრიო. თავისი გასჭირვებია. ბოლო დროს საშინლად გამოიყურება. შენ კი... შენ ისედაც ყველაფერი იცი, ვინმეს უნდა დავლაპარაკებოდი გადაწყვეტილების მიღებამდე.

მეგონა, ბოლო დროს კესიზე უკეთ არც მე გამოვიყურებოდი, და მესიამოვნა იმის გაფიქრება, რომ ამას თურმე კარგად ვმალავდი.

- გადაწყვეტილება? მერედა, რა შეგიძლია?

- მე მაიკლ კილი მყავს, - შემახსენა სემმა, - შემიძლია, ფირი გადავცე.

- ღმერთო ჩემო! სტატია ჯერ გამოქვეყნებულიც არ იქნება, რომ ქუჩაში აღმოჩნდები, თანაც, დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს კანონიერი ქმედებაა.

- ვიცი, - მან თვალები ხელისგულის ზურგით მოიწმინდა, - შენი აზრით, ასე უნდა მოვიქცე?

- ეს არ მითქვამს.

ცარიელ კუჭზე დალეულმა ვისკიმ კარგი არაფერი მომიტანა. ჭიქაში ძველი ყინული ჩავაგდე და ახლა მას შმორის სუნი ასდიოდა.

- და თუ ამას მაინც გავაკეთებ, რა მოხდება, შენი აზრით?

- სამსახურიდან გაგიშვებენ. შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმე აღძრან, - სემი დუმდა, - ერთგვარი ტრიბუნალი მოაწყონ, და თუ გაირკვევა, რომ ბიძაშენმა რაღაც ცუდი ჩაიდინა, ყურს აუწევენ, ერთი-ორი წლით საქმეებს ჩამოაშორებენ, შემდეგ კი ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება.

- მაგრამ ავტოსტრადა... - სემმა სახე მოისრისა, - ცუდად ვაზროვნებ... თუ გავჩუმდები, გზატკეცილს პირდაპირ გათხრების ადგილას გაიყვანენ, თუმცა ეს სულაც არ არის აუცილებელი.

- მას იქ ისედაც გაატარებენ. თუ პრესას მიმართავ, ჩინოვნიკები იტყვიან: "ოჰ, რა სამწუხაროა, მაგრამ ახლა ძალზე დაგვიანებულია", - და მშვიდად განაგრძობენ მშენებლობას.

- ასე გგონია?

- ჰო, რა თქმა უნდა.

- მერე ქეითი? - ჩაილაპარაკა სემმა, - იქნებ სწორედ ამის გამო მოკლეს. იქნებ ენდრიუსმა მკვლელი დაიქირავა? ჩვენ კი მას გავუშვებთ.

- არ ვიცი, - ჩავიბურტყუნე და საკუთარ თავს ვკითხე, ნეტავ სემი რამდენ ხანს აპირებს ჩემთან დარჩენას-მეთქი.

ერთხანს ჩუმად ვისხედით. მეზობლად წვეულება დაიწყო: მუსიკა უკრავდა, ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, ვიღაც ქალიშვილი გაიძახოდა: "ხომ გეუბნებოდით, ხომ გეუბნებოდით!" ჰითერმა კედელზე დააკაკუნა. ხმაური წამით შეწყდა, შემდეგ კი სიცილმა იფეთქა.

- იცი, რა არის ჩემი ბავშვობის ყველაზე ადრეული მოგონება? - მკითხა სემმა, - როდესაც რედი პარლამენტში აირჩიეს, სამი თუ ოთხი წლის ვიყავი. იმ დღეს მთელი ოჯახი დუბლინში ჩავედით სესიის გახსნაზე დასასწრებად. საუცხოო, მზიანი და ნათელი დღე იდგა. ახალთახალ კოსტიუმში გამომაწყვეს. არ ვიცოდი, რა ხდებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს მნიშვნელოვანი იყო. ყველა ბედნიერი ჩანდა, მამას სიამაყისგან სახე უბრწყინავდა. მან მხრებზე შემისვა, რათა ყველაფერი უკეთ დამენახა, და შესძახა: "ეს ბიძაშენია, შვილო!" რედი კიბის საფეხურზე იდგა, ხელს გვიქნევდა და იღიმებოდა. "ეს ბიძაჩემია!" - დავიყვირე მე. ირგვლივ მყოფთ გაეცინათ, მან კი თვალი ჩამიკრა... სასტუმრო ოთახში ფოტოსურათი გვიკიდია.

ჩემი აზრით, სემის მამას ძმასთან დაკავშირებული ახალი ამბავი თავზარს, ალბათ, არ დასცემდა, მაგრამ ეს სემს ვერ ანუგეშებდა.

მან თმა აიჩეჩა და განაგრძო:

- თანაც სახლი... შენ ხომ იცი, რომ სახლი მაქვს?

თავი დავუქნიე. უკვე ვხვდებოდი, რის თქმას აპირებდა.

- ჰო, კარგი სახლია, ოთხი საძინებლით. თავდაპირველად მე მხოლოდ ბინას ვეძებდი, მაგრამ რედმა მითხრა, რომ... მოკლედ, თუ ოჯახს მოვეკიდებოდი... ვიფიქრე, საკუთარ თავს რამე ამგვარის უფლებას ვერ მივცემ-მეთქი, მაგრამ მან... რედმა მშენებელი გამაცნო. მითხრა, ძველი მეგობრები ვართ, ყველაფერზე მოვრიგდებითო.

- გასაგებია, - ვუთხარი და თავი დავუქნიე, - თქვენც მოილაპარაკეთ. არა მგონია, რამის შეცვლა შეძლო.

- შემიძლია, სახლი იმავე ფასად გავყიდო. მაგალითად, რომელიმე ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მივყიდი, ეს მათთვის გვარიანი შეღავათი იქნება.

- რატომ? - ეს საუბარი უკვე ნერვებს მიშლიდა. სემი თავდადებულ და შეცბუნებულ წმინდა ბერნარდს მაგონებდა, რომელიც თავგანწირვით ცდილობდა თავისი მოვალეობის აღსრულებას, მაგრამ საშინელი ქარბუქი ამის საშუალებას არ აძლევდა, - თავის გაწირვა მშვენიერი საქციელია, მაგრამ დიდი ვერაფერი სარგებელი მოაქვს.

- თავის გაწირვა არ მიგულისხმია, - მოღუშული სახით მითხრა სემმა და ბოკალი აიღო, - მაშასადამე, შენი აზრით, ხელი უნდა ჩავიქნიო?

- არ ვიცი, როგორ უნდა მოიქცე, - უეცრად დაღლილობა და გულისრევა ვიგრძენი. "ეს რა კვირა გამოვიდა", - ვუთხარი საკუთარ თავს, - მე ის ადამიანი არა ვარ, რომელსაც შეუძლია, რამე გიკარნახოს. უბრალოდ, ვერ ვხვდები, რატომ უნდა გაიწამო თავი და რატომ უნდა დაკარგო სახლი და კარიერა, თუ ამით ვერავის ვერაფრით დაეხმარები. შენ ხომ ცუდი არაფერი გაგიკეთებია, ხომ ასეა?

სემმა შემომხედა.

- ასეა, - თქვა მან ოდნავ ნაღვლიანად, - არაფერი გამიკეთებია.

ამ დღეებში მხოლოდ კესი როდი გახდა. აღარც კი მახსოვდა, ბოლოს როდის ვისადილე ნორმალურად - პირველი, მეორე, მესამე და ასე შემდეგ. დილაობით თითქმის ვერ ვამჩნევდი, როგორ აკურატულად უვლიდა გვერდს ჩემი სამართებელი ყვრიმალებზე გაჩენილ უცნობ ფოსოებს, მაგრამ იმ საღამოს, როდესაც კარადიდან კოსტიუმი გამოვიღე, აღმოვაჩინე, რომ ტანზე ისე

მეკიდა, როგორც საკიდარზე. გამოძიების მიმდინარეობისას ზოგი დეტექტივი წონაში იკლებს, ზოგი, პირიქით, იმატებს (სემი და ო ' გორმანი ასეთ დღეებში არაჯანსაღი საკვებისგან საშინლად სივდებოდნენ). ჩემი სიმაღლის გამო ეს არ მემუქრებოდა, მაგრამ ახლა ძალზე შორს შევტოპე: ან ახალი კოსტიუმი უნდა მეყიდა, ან იმ აზრს შევგუებოდი, რომ ჩარლი ჩაპლინს დავემსგავსე.

აი, ის, რაც კესიმაც კი არ იცოდა: თორმეტი წლისა მსუქანი ბიჭი ვიყავი. არა, უფორმო ბავშვებს არ ვგავდი, ძლივს რომ დაბაჯბაჯებენ კაცობრიობის საშინელი მომავლისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემებში. იმდროინდელ ფოტოზე ზორბა, ოდნავ ტანსრული, ასაკთან შედარებით ძალიან მაღალი და უგერგილო ვარ. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხეულმა მიღალატა და მონსტრად ვიქეცი. რამდენიმე თვის განმავლობაში სიმაღლესა და სიგანეში ისე მოვიმატე, რომ საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი და ეს სულელური და შეუბრალებელი გათამაშება მეგონა, რომელიც ყოველდღე მეორდებოდა. პიტერი და ჯემი კი ძველებურად გამოიყურებოდნენ - კვლავაც გრძელფეხება, გამხდარი და მსუბუქი მოზარდები იყვნენ და მხოლოდ ოდნავ მომატებოდათ სიმაღლე და ასაკი.

ჩემი სიმსუქნის პერიოდი მალე დასრულდა: ინტერნატში, როგორც წესი, საზიზღარ კერძებს ამზადებდნენ და მათ, ვინც თავს კარგად გრძნობდნენ, სახლი არ ენატრებოდათ და სწრაფად იზრდებოდნენ, ნორმალური საჭმელი აკლდათ. რაც შემეხება მე, პირველ წელს თითქმის არაფერს ვჭამდი. თავდაპირველად აღმზრდელი მაიძულებდა, მაგიდასთან მანამ ვმჯდარიყავი, - ზოგჯერ ეს საათობით გრძელდებოდა, - სანამ რამდენიმე ლუკმას მაინც არ გადავყლაპავდი, შემდეგ კი იმდენს ვახერხებდი, რომ საჭმელს შეუმჩნევლად წინასწარ მომზადებულ პატარა პაკეტში ვდებდი და ჯიბეში ვმალავდი, რათა მოგვიანებით სადმე

გადამეგდო. ჩემი აზრით, მარხვა ლოცვის ღრმად ჩამარხული, ინსტინქტური, ანგარიშმიუცემელი ფორმაა. ბუნდოვნად მჯეროდა, რომ თუ დიდხანს ვიტყოდი საკვებზე უარს, პიტერი და ჯემი დაბრუნდებოდნენ და ყველაფერი კვლავ კარგად იქნებოდა. მეორე წლის დასაწყისისთვის მაღალი, გამხდარი და მოუხეშავი ვიყავი, როგორც ნორმალურ მოზარდს შეეფერება.

არ ვიცი, ასე საგულდაგულოდ რატომ ვმალავდი ამ საიდუმლოს. როგორც ჩანს, მეგონა, რომ სწორედ ამის გამო ჩამოვრჩი მაშინ ტყეში. მსუქანი და მოუქნელი ვიყავი, ნელა დავრბოდი და კედლიდან ჩამოხტომის მეშინოდა. ზოგჯერ იმ მყიფე და შეუმჩნეველ ხაზ ზე ვფიქრობ, რომელიც გადარჩენილებს დაღუპულებისგან ყოფს, ზოგჯერ კი უძველეს ღვთაებებზე, რომლებიც მსხვერპლად ყველაზე წმინდა და უშიშარ ადამიანებს ითხოვდნენ. ვინ იცის, იქნებ ვიღაცამ ან რაღაცამ, პიტერი და ჯემი რომ წაიყვანა, მე ამის ღირსადაც არ ჩამთვალა?

19 თავი

სამშაბათს, როგორც იქნა, ნოკნარიში წავედი ჩემი მანქანის წამოსაყვანად. არჩევანი რომ მქონოდა, იმ ადგილს არასდროს გავიხსენებდი, მაგრამ მომბეზრდა სამსახურში ხალხით გაჭედილი ავტობუსით სიარული და ოფლის ღვრა. გარდა ამისა, კვირას სუპერმარკეტში ვაპირებდი შევლას პროდუქტის საყიდლად, სანამ ჰითერს არ ეფეთქა.

ავტომობილი გზის პირას იდგა. იმავე მდგომარეობაში დამხვდა, როგორშიც დავტოვე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ხნის განმავლობაში ჭუჭყს დაეფარა და ვიღაცას კარზე თითით დაეწერა: "სინამდვილეში თეთრი ვარ". გადასატან სახლებს გავცდი (შიგნით არავინ იყო, მხოლოდ ჰანტი იხოცავდა ცხვირს ხმამაღლა) და მინდორზე გავედი, რათა თერმოსი და საძილე ტომარა მეპოვა.

გათხრების ადგილას შეცვლილი ვითარება დამხვდა: აღარ ისმოდა მხიარული შეძახილები, აღარც წყალს ასხამდნენ ერთმანეთს. ყველანი პირქუშად და მდუმარედ მუშაობდნენ, როგორც კატორღელები გალერაზე, და ცდილობდნენ, სწრაფ ტემპს არ ჩამორჩენოდნენ. ჩემი ანგარიშით, მშენებლობა ორშაბათს დაიწყებოდა, მაშასადამე, მხოლოდ ერთი კვირაღა რჩებოდათ. დავინახე, როგორ შეწყვიტა მელმა თოხის ქნევა, წელში გაიმართა და ხელი ზურგზე დაიდო. მცირე ხანს მძიმედ სუნთქავდა, თავი დაეხარა, თითქოს სწორად დაჭერას ვერ ახერხებდა, შემდეგ სული მოითქვა და მუშაობა განაგრძო. ცა მძიმე, ნაცრისფერ ღრუბლებს დაეფარა, დასახლებაში სიგნალიზაცია ღრიალებდა.

ტყე მიუვალი და პირქუში ჩანდა. შევხედე თუ არა, მივხვდი, რომ იქით წასვლა არ მინდოდა. საძილე ტომარა, ალბათ, უკვე დარბილდა და აფუვდა და მასში ჭიანჭველები ან სხვა ქმნილე-

ბები ცხოვრობდნენ. აღარც ივარგებდა. ღირდა კი მის გამო ტყის სიღრმეში შესვლა? დაე, რომელიმე არქეოლოგს ან ადგილობრივ ბავშვს მიეგნო მისთვის და წაეღო, თუ იმ დროისთვის საბოლოოდ არ დალპებოდა.

სამსახურში მაგვიანდებოდა, მაგრამ ტყის დანახვაზე დაღლილობა მომეძალა და დასვენება გადავწყვიტე. რომელიღაც ნახევრად დანგრეულ კედელთან ჩამოვჯექი, მოხერხებულად მოვკალათდი და სიგარეტი გავაბოლე. ჩასკვნილმა ახალგაზრდამ, რომელსაც შუბლზე მოკლედ შეკრეჭილი მუქი თმა მოუჩანდა, ჯორჯ მაკ-ვიღაცამ, - იგი ბუნდოვნად მახსოვდა დაკითხვის პროცესიდან, - თავი ასწია და შემამჩნია. როგორც ჩანს, ჩემმა მაგალითმა მასზეც იმოქმედა: მან ფითხი მიწაში ჩაარჭო, ჩაცუცქდა და ჯინსის ჯიბიდან სიგარეტის დაჭმუჭნილი კოლოფი ამოიღო.

მარკი უფრო მაღლა მუშაობდა, ჩამუხლული პატარა მონაკვეთს მიწისგან ენერგიულად ასუფთავებდა, მაგრამ როგორც კი ახალგაზრდამ სიგარეტი ამოიღო, ეს მაშინვე შეამჩნია, მისკენ გავარდა - ქარი თმას უფრიალებდა - და თავზე დააცხრა:

- ეი, მაკერ, რა ჯანდაბას აკეთებ?

მაკერი დამნაშავესავით წამოხტა, ღმერთო ჩემოო, შესძახა და სიგარეტის კოლოფი ტალახში დაუვარდა. დაიხარა და აიღო.

- სიგარეტს ვეწევი. რა მოხდა?

- შესვენების დროს მოსწიე.

- რამდენიმე წამში დავამთავრებ. შემიძლია, ერთდროულად ვთხარო და კიდეც მოვწიო. ხუთი წამი მჭირდება სანთებლის ასანთებად და...

მარკმა არ დაასრულებინა.

- არა გვაქვს ეს ხუთი წამი. წამიც არა გვაქვს ზედმეტი. შენ, რა, გამოშტერდი? სკოლაში ხომ არ გგონია თავი, შე უქნარა! თამაში მოგინდა?

მან ხელები მომუშტა და ისე დაიძაბა, თითქოს ჩხუბს აპირებდა. სხვა არქეოლოგებმა მუშაობა შეწყვიტეს, სამუშაო იარაღები დაუშვეს და მათ მიაჩერდნენ. ვიფიქრე, ახლა ერთმანეთს დასცხებენ-მეთქი, მაგრამ მაკერმა ყალბად ჩაიცინა, უკან დაიხია და ხელები ხუმრობით მაღლა ასწია.

- დამშვიდდი, ძმობილო, - თქვა მან, სიგარეტი ორი თითით აიღო და ხაზგასმული აკურატულობით კოლოფში მოათავსა.

მარკს მაკერისთვის თვალი არ მოუცილებია, სანამ ეს უკანასკნელი კვლავ არ ჩაცუცქდა, ფითხი მოიმარჯვა და მუშაობა განაგრძო. შემდეგ შეტრიალდა და თავისი ნაკვეთისკენ გაემართა. მაკერი უხმაუროდ წამოხტა და უკან გაჰყვა, თან მაიმუნივით იგრიხებოდა და მარკის მოძრაობას ჰბაძავდა. ვიღაცამ ჩუმად ჩაიხითხითა. საკუთარი თავით კმაყოფილმა მაკერმა ფითხი საზარდულთან მიიდო და თეძოები მარკის მიმართულებით აამოძრავა. ცის ფონზე მისი სილუეტი უხამსად და გროტესკულად გამოიყურებოდა, როგორც უცნაური მუქი ფიგურა ძველ ბერძნულ ფრიზზე. ჰაერი დაიმუხტა და ეს კლოუნადა გულს მირევდა. ფრჩხილებით კედელს ჩავაფრინდი. მინდოდა, მასხარა გამებაწრა ან გამელახა, ოღონდ კი მანჭვა-გრეხა შეეწყვიტა.

არქეოლოგებს მისი გამოხდომა მალე მოჰბეზრდათ და თავ--თავიანთ სამუშაოს დაუბრუნდნენ. მაკერმა მარკს თითი უჩვენა და უკან კოჭლობით ისე წამოვიდა, თითქოს ვინმე კიდევ უყურებდა. ღმერთს გულში მადლობა შევწირე, რომ მოზარდი ვეღარასოდეს გავხვდებოდი, სიგარეტი ქვაზე ჩავაქრე, პალტო შევიკარი და ის იყო, მანქანისკენ წასვლა დავაპირე, რომ უეცრად თავი ისე ვიგრძენი, თითქოს მუცელში მუშტი ღონივრად ჩაეცხოთ: ფითხი.

წამით შევჩერდი და ნაბიჯი ვეღარ გადავდგი. გული გამალებით მიძგერდა. შემდეგ პალტო ბოლო ღილზეც შევიკარი, მიწაზე მომუშავე არქეოლოგებს შორის შონი მოვძებნე და მისკენ აჩქა-

რებით გავემართე. თავბრუ მეხვეოდა, მეგონა, ჰაერში მივდიოდი ორი ფუტის სიმაღლეზე. ახალგაზრდები ალმაცერად მიყურებდნენ, მაგრამ მათ მზერაში დაღლილობა იგრძნობოდა და არა უკმაყოფილება.

შონი ქვების გროვის გარშემო ფითხით მიწას თხრიდა. შავი ნაქსოვი ქუდი დაეხურა, ყურსასმენები წამოეცვა და თავს რომელიღაც მელოდიის ტაქტს აყოლებდა.

- შონ! - დავუძახე მე. საკუთარი ხმა სადღაც უკნიდან ჩამესმა.

მას არაფერი გაუგონია, მაგრამ როდესაც მივუახლოვდი, ჩემი ჩრდილი დაეცა და თავი ასწია, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ხმა გამორთო და ყურსასმენი მოიხსნა.

- შონ, უნდა დაგელაპარაკო.

მარკმა გამოგვხედა, თავი გაბრაზებით გადააქნია და გაშმაგებით განაგრძო თავისი საქმე.

შონი ჩემს ავტომობილთან მივიყვანე. იგი "ლენდროვერის" კაპოტზე დაჯდა და ქურთუკიდან ქაღალდში შეხვეული კრემიანი ფუნჩულა ამოიღო.

- რა მოხდა? - მეგობრულად მკითხა მან.

- ის დღე თუ გახსოვს, როდესაც ქეითის გვამს მიაგნეს და მარკი დასაკითხავად წავიყვანეთ? - ვკითხე მშვიდად და სასხვათაშორისოდ, თითქოს რაღაც წვრილმანზე ვაპირებდი საუბარს. როცა დეტექტივი ხარ, ეს ძვალსა რბილში გაქვს გამჯდარი: რაც უნდა მოხდეს, როგორი გატანჯული ან განცვიფრებული უნდა იყო, შენი ხმა მაინც წყნარად და თანაბრად უნდა ჟღერდეს, მეტყველება კი - მდოვრედ, - მას შემდეგ, რაც ის უკან მოვიყვანეთ, შენ დაიჩივლე, ფითხი დაკარგეო.

- დიახ, - მიპასუხა მან და თავი დააქნია, - მითხარით, წინააღმდეგი ხომ არა ხართ, რომ ვჭამ? შიმშილით კუჭი მეწვის, მაგრამ დიქტატორი შავ დღეს დამაყრის, სამუშაოზე რომ შევჭამო.

- ნუ გეშინია, - დავამშვიდე მე, - შენს ფითხს თუ მიაგენი?

შონმა თავი გადააქნია და თქვა:

- არა. ახლის ყიდვა მომიხდა. არამზადები!

- კარგი, ახლა კი შეეცადე, გაიხსენო, - განვაგრძე მე, - როდის ნახე ის უკანასკნელად?

- საცავში, - მიპასუხა დაუფიქრებლად, - როდესაც იმ მონეტას მივაგენი. იმის დაპატიმრებას ხომ არ აპირებთ, ვინც ამწაპნა?

- ასე არ ვიტყოდი. მონეტაზე რას ამბობდი?

- რას და, მე ვიპოვე... დიდი ამბავი ატყდა - ის ხომ ძალიან ძველი აღმოჩნდა. მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ათ მონეტას მივაგენით. ჰოდა, საცავში დოქტორ ჰანტს მივუტანე, - რასაკვირველია, ფითხით, ვინაიდან ხელით შეხება არ შეიძლება, თორემ თითებიდან ცხიმი გადავა და დააზიანებს, და ასე შემდეგ, - რომელიც ძალიან აღელდა და ცნობარებში დაიწყო ქექვა მის განსასაზღვრავად. ამასობაში ექვსის ნახევარიც გახდა და დავიშალეთ, მე კი ჩემი ფითხი საცავში დამრჩა, მაგიდაზე, დილით მისულს კი იქ აღარ დამხვდა.

- და ეს ხუთშაბათს მოხდა, - ჩავილაპარაკე მე და შიგნით თითქოს რაღაც ჩამწყდა, - იმ დღეს, როდესაც მარკთან სასაუბროდ მოვედით.

მართალია, შანსი ძალიან მცირე იყო, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ იმედი ასე სწრაფად გამიცრუვდებოდა. თავი იდიოტი მეგონა, საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი. ერთი სული მქონდა, შინ წავსულიყავი და დამეძინა.

შონმა თავი გადააქნია, თან ჭუჭყიანი თითებიდან შაქრის პუდრი ალოკა.

- არა, უფრო ადრე, - თქვა მან, - ფითხი გვიან გამახსენდა, რადგან ძალიან არ მჭირდებოდა: მაშინ თოხს ვუბაგუნებდით იმ წყეულ საწრეტ არხს. მოგვიანებით ვიფიქრე, ალბათ, ვინმეს ვათხოვე და დაბრუნება დაავიწყდა-მეთქი. სწორედ იმ დღეს

დამჭირდა, როდესაც მარკთან ერთად მოხვედით, მაგრამ ყველა მეუბნებოდა, მე არ ამიღია, მე არ ამიღიაო.

- რამე ნიშნით გამოირჩევა?

- რა თქმა უნდა. ტარზე ჩემი ინიციალები აქვს, - შონმა პირში გვარიანი ლუკმა ჩაიდო, - დიდი ხნის წინათ ამოვწვი მასზე ასოები, - განაგრძო მან, - როდესაც წვიმდა და საქმე არ გვქონდა. მე შვეიცარიული დანა მაქვს. სანთებლით კორპსაძრობი გავახურე და...

- მაშინ თქვი, მაკერმა აიღოო. რატომ?

შონმა მხრები აიჩეჩა.

- არ ვიცი, უყვარს ასეთი რამეები... მაგრამ რა აზრი ჰქონდა ფითხის მოპარვას, როცა ზედ ჩემი ინიციალები ეწერა? ჰოდა, ვიფიქრე, ჩემს გასაჯავრებლად აიღო-მეთქი.

- ახლაც გგონია, რომ მან აიღო?

- არა. მოგვიანებით გამახსენდა, რომ დოქტორმა ჰანტმა კარი ჩაკეტა, მაკერს კი გასაღები არ ჰქონდა... - იგი უეცრად გაჩუმდა, - მოიცა, ის, რა, მკვლელობის იარაღია? ჯანდაბა!

- არა. ხომ არ გახსოვს, მონეტას რომელ დღეს მიაგენი?

შონი იმედგაცრუებული ჩანდა, მაგრამ შეეცადა, გაეხსენებინა, თან ცას შეჰყურებდა და ფეხებს აქნევდა.

- გვამი ოთხშაბათს აღმოაჩინეს, არა? - მან ფუნჩულას ბოლო მოუღო, ქაღალდი დააგუნდავა, ააგდო, ხელისგული მოარტყა და ბალახში მოისროლა, - წინადღეს იმ წყეულ არხს ვთხრიდით. მაშასადამე, სამშაბათი არ იყო. კიდევ ერთი დღით ადრე. ორშაბათს.

შონთან საუბარს ზოგჯერ ახლაც ვიხსენებ ხოლმე. ამ დროს სასიამოვნო შეგრძნება მეუფლება, თუმცა მას სიმწრის გემოც დაჰყვება. ამის თქმა, ალბათ, ჯერ ადრეა, მაგრამ ასე მგონია, ეს ჩემი კარიერის პიკი იყო. ოპერაცია "ვესტალში" ცოტაა ჩემთვის საამაყო ეპიზოდი, მაგრამ იმ დილას, მიუხედავად ყველაფრისა,

რაც მანამდე ან შემდეგ მოხდა, უშეცდომოდ და ზუსტად ვმოქმედებდი.

- დარწმუნებული ხარ? - ვკითხე დასაზუსტებლად.

- დიახ. დოქტორი ჰანტიც დაადასტურებს - მან ის ჟურნალში დააფიქსირა. მე, რა, მოწმე ვიქნები? სასამართლოში გამოვალ?

- სრულიად შესაძლებელია, - დავუდასტურე მე. დაღლილობა გამიქრა, ტვინი მკაფიოდ და გამართულად მუშაობდა და ყველა შესაძლებლობას წონიდა, - შეგატყობინებ.

- გადასარევია, - გაეცინა შონს. როგორც ჩანს, ამან მკვლელობის იარაღთან დაკავშირებული უიღბლობა გადაავიწყდა, - მოწმეთა დაცვის პროგრამაშიც ჩამსვამენ?

- არა, მაგრამ შენთან ერთი თხოვნა მაქვს. დანარჩენებთან დაბრუნდი და უთხარი, რომ იმ უცნობზე გეკითხებოდი, რომელსაც მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მოჰკარი თვალი. ვითომ მისი დაწვრილებით აღწერა გთხოვე. გააკეთებ? - არ მინდოდა, ნადირი დამეფრთხო, სანამ რამე ფაქტი ან სამხილი არ მექნებოდა.

- რა თქმა უნდა, - ენერგიულად დამიქნია თავი შონმა, - ყველაფერს ისე გავაკეთებ, ვერავინ ვერაფერს მიხვდება.

- გმადლობ, - ვუთხარი მე, - შემდეგ კი დაგიძახებ.

იგი კაპოტიდან ჩამოხტა და თავისიანებისკენ გაემართა, თან შავი ქუდის ქვეშ კეფას იფხანდა. პირი ტკბილი პუდრით მოთხვროდა. ინფორმაცია ჰანტთან გადავამოწმე. მან ნაპოვნი ნივთების ჟურნალში ჩაიხედა და შონის ნათქვამი დაადასტურა: მონეტა ორშაბათს აღმოეჩინათ, ქეითის სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე.

- საუცხოო რამაა, - მითხრა ჰანტმა, - გადასარევი. მის იდენ-ტიფიცირებას დიდი დრო მოვანდომეთ. ნუმიზმატი[113] არა გვყავს. მე შუა საუკუნეების სპეციალისტი ვარ.

- კიდევ ვის აქვს საცავის გასაღები? - ვიკითხე მე.

- ედუარდ VI-ის ეპოქის პენი, დაახლოებით XVI საუკუნის 50--იანი წლების დასაწყისი, - ჩაილაპარაკა ჰანტმა, - საცავის? სწორად გავიგე?

- დიახ, საცავის. როგორც მითხრეს, ღამით გასაღებით კეტავენ. ასეა?

- დიახ, დიახ, ყოველთვის ვკეტავთ. იქ, ძირითადად, ნაპოვნი თიხის ჭურჭელია, მაგრამ ვინ იცის...

- გასაღები ვის აქვს?

- მე, ცხადია, - მან სათვალე მოიხსნა და ჯემპრის კიდით გაწმინდა, თან თვალებს ბეცივით ახამხამებდა, - კიდევ მარკსა და დემიენს - ექსკურსიების ჩასატარებლად. ხალხს მოსწონს ძველებური ნივთების დათვალიერება, ხომ ასეა?

- დიახ, ძალიან მოსწონთ.

მანქანასთან დავბრუნდი და სემს დავურეკე. "ლენდროვერი" დიდი წაბლის ხის ქვეშ იდგა და სახურავზე მისი ნაყოფი ეყარა. სანამ ველოდებოდი, როდის აიღებდა სემი ყურმილს, ერთ ცალს მჩხვლეტავი გარსი მოვაცილე და წაბლი ჰაერში რამდენჯერმე ავაგდე: ჩვეულებრივ ზარს ჰგავდა. იქნებ ვინმეს შეხვედრას ვუნიშნავდი ან შინ ვრეკავდი, არაფერი სერიოზული.

- ო ’ ნილი ვარ, - მიპასუხა სემმა.

- სემ, რობი გელაპარაკება, - ვთქვი და წაბლს ხელი მოვუჭირე, - ნოკნარიში ვარ, გათხრების ადგილას. მინდა, შენ, კესი და ორიოდე დამხმარე სასწრაფოდ მოხვიდეთ აქ განყოფილების

---

[113] ნუმიზმატი - მონეტების სპეციალისტი.

ოპერჯგუფთან ერთად. თუ მოახერხებ, სოფი მილერიც წამოიყვანე. მეტალოდეტექტორიც წამოიღონ. ჰო, არც მასთან მუშაობის სპეციალისტი დაგავიწყდეთ. დასახლების შესასვლელთან გელოდებით.

- გასაგებია, - თქვა სემმა და ყურმილი დაკიდა.

მას თითქმის ერთი საათი დასჭირდა ჯგუფის შესაკრებად და ნოკნარიში ჩამოსასვლელად. ავტომობილი ბორცვს იქით გადავაყენე, არქეოლოგებისგან მოშორებით, და კაპოტზე დავჯექი. ჰაერში ბალახისა და მოახლოებული ავდრის სუნი ტრიალებდა. შორეული გორაკები ღრუბლებს დაეფარა, ტყე თითქმის ნისლში გაუჩინარებულიყო და ისე ჩანდა, თითქოს ამქვეყნად აღარაფერი არსებობდა, ნოკნარის გარდა. ახლა ბავშვებს კვლავ უშვებდნენ გარეთ - მათი წკრიალა შეძახილები და სიცილი აქაც აღწევდა. სადღაც კვლავ მუშაობდა სიგნალიზაცია. ძაღლის უხალისო ყეფაც ისმოდა.

ნებისმიერ ხმაურზე ძარღვებში სისხლი მძლავრად მიჩქეფდა. თავი ქვაბივით მითუხთუხებდა, ფაქტების ნაგლეჯებს ახარისხებდა და აწყობდა, თან იმ სიტყვებს არჩევდა, რომლებიც გამოძახებული ჯგუფისთვის უნდა მეთქვა. ადრენალინს პირდაპირ ვაფრქვევდი, მაგრამ სულ უფრო ვაცნობიერებდი, რომ თუ მართალი ვიყავი, ქეით დევლინის სიკვდილს თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო პიტერისა და ჯემის გაუჩინარებასთან. ყოველ შემთხვევაში, არაფერი იყო ისეთი, რისი წარდგენაც სასამართლოში შეიძლებოდა.

ფიქრებში წასულს კინაღამ დამავიწყდა, აქ რისთვის ვიდექი. თავი ავწიე და თითქოს გვერდიდან, უცხო თვალით დავინახე მუქი მანქანები და თეთრი ფურგონი, რბილად, თითქმის უხმაუროდ რომ მოვიდნენ პატარა ქალაქთან და კარები მდოვრედ გააღეს. იქიდან შავებში გამოწყობილი მამაკაცები და ექსპერტები გადმოვიდნენ, რომლებსაც ხელში ქირურგის ინსტრუმენტე-

ბივით მბზინავი ხელსაწყოები ეჭირათ და მზად იყვნენ, მთელი ეს არემარე არქეოლოგთა ნებისმიერ ჯგუფზე სუფთად გამოეშიგნათ. ნესტით გაჯერებულ ჰაერში ყველა მანქანის კარი ყრუდ გაჯახუნდა.

- რა მოხდა? - შესძახა სემმა.

მას თან ო ' გორმანი, სუინი და ერთი წითური ახალგაზრდა კაცი წამოეყვანა, რომელიც ოპერატიულ შტაბში მუშაობის პირველი დღეებიდან მახსოვდა. ისინი სოფისთან ერთად მომიახლოვდნენ, რომელიც გზადაგზა ხელთათმანს იცვამდა. კესი სემის ზურგს უკან მოჩანდა.

- იმ ღამეს, როდესაც ქეით დევლინი მოკლეს, - ვთქვი მე, - გათხრების ადგილას მდებარე დაკეტილი ფარდულიდან ფითხი გაქრა. არქეოლოგების ფითხს გულის ფორმის ლითონის პირი და ხუთი-ექვსი დუიმის სიგრძის ხის ტარი აქვს, რომელიც ბოლოში მომრგვალებულია, თავისკენ კი ვიწროვდება. დაკარგული ფითხი ჯერაც არ უპოვიათ. იგი სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ ტარზე "შ" და "კ" ასოებია ამომჭვარი მისი მფლობელის, შონ კალაგანის ინიციალების მიხედვით. ის ამტკიცებს, რომ ინსტრუმენტი ორშაბათს, საღამოს ექვსის ნახევრისთვის დარჩა არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ნივთების საცავში. ეს ფითხი იმ საგნის აღწერას ემთხვევა, რომელიც ქეითზე სექსუალური ძალადობის დროს გამოიყენეს. არავინ იცოდა, რომ ის საცავში აღმოჩნდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს იმპროვიზებული იარაღია და მკვლელობა, შესაძლოა, ამ ქოხში მოხდა. სოფი, შეგიძლია, პირდაპირ იქიდან დაიწყო?

- აბა, ლუმინოლის კომპლექტი, - უთხრა სოფიმ თავის ერთ-ერთ თანაშემწეს, რომელიც წამსვე გამოეყო ჯგუფს და ფურგონში შეძვრა.

- საცავის გასაღები სამ კაცს აქვს, - განვაგრძე მე, - იეინ ჰანტს, მარკ ჰენლისა და დემიენ დონელის. არც შონ კალაგანის

გამორიცხვა შეიძლება - ხომ არ ვიცით, იქნებ მოიგონა კიდეც ფითხის დაკარგვის ამბავი. ჰანტსა და ჰენლის მანქანა ჰყავთ, მაშასადამე, შეეძლოთ გვამი საბარგულში დაემალათ და ისე გადაეტანათ. როგორც ვიცი, კალაგანსა და დონელის ავტომობილი არ ჰყავთ, ამიტომ მოუწევდათ, გვამი სადმე ახლომახლო, მაგალითად, გათხრების ადგილას დაემალათ. აქაურობა საგულდაგულოდ უნდა შევისწავლოთ და ვილოცოთ, რომ რამე სამხილი მაინც იყოს დარჩენილი. უნდა ვეძებოთ ფითხი, პოლიეთილენის პაკეტი სისხლის კვალით და დანაშაულის ადგილი.

- სხვა სახლების გასაღებები თუ აქვთ? - იკითხა კესიმ.

- ეს გასარკვევია.

ამ დროს სოფის თანაშემწე დაბრუნდა, რომელსაც ერთ ხელში ლუმინოლის კომპლექტი ეჭირა, მეორეში კი - შემოსახვევი ქაღალდის რულონი. ერთმანეთს გადავხედეთ, თავი დავიქნიეთ და ქვევით, გათხრების ადგილისკენ დავეშვით.

გამოძიების საქმეში გარღვევა მდინარის მიერ ჯებირის განგრევას ჰგავს. მოვლენები ზვავივით დაიძვრება ხოლმე და შეუჩერებლივ მიექანება ქვევით. საქმისთვის დახარჯული ძალა და ენერგია შემოგიტრიალდებათ, თავს დაგატყდებათ და თავის მორევში გაგიტაცებთ. ახლა აღარ მახსოვდა, რომ ო ' გორმანს ვერ ვიტანდი, რომ ნოკნარის ლამის ჭკუაზე შევეშალე, რომ ათჯერ მაინც კინაღამ დავღუპე საქმე. ისიც დამავიწყდა, რაც ჩემსა და კესის შორის მოხდა. ალბათ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რითაც სამუშაო მიტაცებს - შესაძლებლობა, თავიდან ამოიგდო ყველაფერი, აღარ იდარდო ათას წვრილმანზე და საუცხოოდ შეზეთილი ცოცხალი მანქანის ნაწილად იქცე.

მინდორში რომ გავედით, ყოველი შემთხვევისთვის, ფართოდ გავიშალეთ. არქეოლოგები მოღუშული სახით იყურებოდნენ ჩვენს მხარეს, თუმცა მუშაობას განაგრძობდნენ.

- მარკ! - დავუძახე ჰენლის, რომელიც თხრას განაგრძობდა. ჩემს დაძახილზე შეკრთა, მკვეთრად წამოდგა და შემომხედა, - მინდა, რომ ხალხი სასადილოში შეკრიბოთ.

- რა ჯანდაბა ხდება! - იფეთქა მარკმა, - კიდევ რა გჭირდებათ? რისი გეშინიათ? თუნდაც წმინდა გრაალი ვნახოთ, ორშაბათ დილას აქაურობას ასფალტად გადააქცევენ. ნუთუ არ შეგიძლიათ, რამდენიმე დღე წყნარად მუშაობა გვაცალოთ?

ვიფიქრე, ახლა მომვარდება-მეთქი, მაგრამ ჩემ გვერდით ო ' გორმანი და სუინი გაჩნდნენ.

- ეი, დამშვიდდი, ბიჭო! - დაემუქრა ო ' გორმანი.

- მომწყდი თავიდან შენი ბიჭიანად! მუშაობას პარასკევ საღამოს ვამთავრებთ და ყველაფერი, რის თქმასაც აპირებთ, მანამდე მოიცდის, ჩვენ არსად გავრბივართ.

- მარკ! - შესძახა კესიმ და გვერდით დამიდგა, - გზის მშენებლობა არაფერ შუაშია. აი, როგორ მოვიქცევით: ჩვენთან ერთად წამოხვალთ შენ, დემიენ დონელი და შონ კალაგანი. ეს საკითხი კამათისთვის დახურულია. თუ ხელს არ შეგვიშლით, დანარჩენი გუნდი დეტექტივ ჯონსტონის მეთვალყურეობით მუშაობას განაგრძობს. თანახმა ხართ?

მარკმა იგი ერთხანს თვალებით ბურღა, შემდეგ ტალახში გადააფურთხა და მელისკენ შეტრიალდა, რომელიც უკვე მოიჩქაროდა მისკენ. მან სწრაფად მისცა ქალს რამდენიმე მითითება, თან ხელს მინდვრის სხვადასხვა მხარეს იქნევდა, შემდეგ მხარზე მსუბუქად მოეფერა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გაბრაზებული სახით გადასატანი სახლებისკენ გაემართა. მას ო ' გორმანი გაჰყვა.

- შონ, დემიენ! - დავიძახე მე.

შონი სწრაფად მოვიდა და ხელი გამომიწოდა და როცა მის ჟესტს ყურადღება არ მივაქციე, შეთქმულივით თვალი ჩამიკრა. დემიენი ძლივს მოჩანჩალებდა და გზადაგზა სამუშაო შარვალს

ზევით ექაჩებოდა. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, კონტუ-ზია დაემართაო, მაგრამ ამას არ გავუოცებივარ.

- უნდა დაგელაპარაკოთ, - ვუთხარი მათ, - ცოტა ხანს სასადი-ლოში დარჩით, შემდეგ კი შტაბში წაგიყვანთ.

ორივენი პირდაღებულნი მომაჩერდნენ. სანამ რამის კით-ხვას მოისაზრებდნენ, შევტრიალდი და წავედი.

ისინი აფორიაქებულ დოქტორ ჰანტთან ერთად სასადილოში შევიყვანეთ, რომელიც ხელში რაღაც ქაღალდებს აწვალებდა, და სამეთვალყურეოდ ო ' გორმანი მივუჩინეთ. ჰანტმა უყოყმა-ნოდ მოგვცა მინდვრის დათვალიერების უფლება, რითაც კიდევ უფრო ქვევით გადაინაცვლა ეჭვმიტანილთა სიაში. მარკმა ორ-დერის ჩვენება მოგვთხოვა, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა, როდესაც მივუგე, რომ ამას სიამოვნებით გავაკეთებდი, თუ რამდენიმე სა-ათს დამელოდებოდა. სოფი თავის გუნდთან ერთად მაშინვე სა-ცავისკენ გაემართა და ფანჯრებზე ქაღალდის გაკვრას შეუდგა. ჯონსტონს ხელში ბლოკნოტი ეჭირა, ფითხებს ამოწმებდა და არ-ქეოლოგები განზე გაჰყავდა პირისპირ ხანმოკლე დაკითხვის ჩასატარებლად.

- გასაღებები ყველა სახლს ერგება, - თქვა კესიმ, როდესაც სამზარეულოში შემოვიდა, - თითო ეგზემპლარი აქვთ ჰანტს, მარკსა და დემიენს. შონისთვის გასაღები არ მიუციათ. არც დუბ-ლიკატები არსებობს. ყველა ამტკიცებს, რომ არასდროს დაუკარგავთ და არც სხვებისთვის უთხოვებიათ.

- თუ ასეა, სახლებიდან დავიწყოთ, - ვთქვი მე, - შემდეგ კი, თუ დაგვჭირდა, გარე პერიმეტრიც დავათვალიეროთ. სემ, კესი, ინსტრუმენტები აიღეთ, მე და სუინი კი ოფისში წავალთ.

ოფისი პატარა ოთახი აღმოჩნდა. ჩაზნექილ თაროებზე წიგნე-ბი და ყვავილებიანი ქოთნები ეწყო. მაგიდაზე მოჩანდა ქაღალ-დის დასტები, ჭიქები, თიხის ნატეხები, სპილოს ძვლისგან დამ-ზადებული პატარა ფიგურები და ძველი კომპიუტერი. მე და

სუინი სწრაფად და თავდაჯერებულად ვმუშაობდით, ვათვალიერებდით უჯრებს, თაროებიდან ვიღებდით და უკან ვაბრუნებდით წიგნებს. არც ვიცოდი, რისი პოვნა მინდოდა. გვამს აქ ვერ დამალავდნენ, რაც შეეხება ფითხსა და პოლიეთილენის გასისხლიანებულ პარკს, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ან მდინარეში გადააგდებდნენ, ან გათხრების ადგილას ჩაფლავდნენ, სადაც მოსაძებნად იღბალი, დრო და მეტალოდეტექტორი დაგვჭირდებოდა. იმედს, ძირითადად, სოფისა და მის გუნდზე, აგრეთვე იმ იდუმალ რიტუალებზე ვამყარებდი, რომლებსაც ისინი საცავში ახლა მართავდნენ. თაროებზე ხელებს მექანიკურად ვაფათურებდი და დაძაბულად, ისე, რომ ყურებიც კი ამტკივდა, სოფის ნაბიჯებისა და ხმის მოახლოებას ველოდებოდი. როდესაც სუინის ყუთი დაუვარდა და შეიკურთხა, ლამის დავუღრიალე, ხმა გაკმინდე-მეთქი.

თანდათანობით გავაცნობიერე, რა ხათაბალაში გავეხვიე. შემეძლო, მხოლოდ სოფისთვის დამერეკა და მოსვლა და საცავის შემოწმება მეთხოვა, რათა, თუ არაფერი გამოვიდოდა, ყველაფერი ჩვენ შორის დარჩენილიყო. ამის ნაცვლად, საქმეში ჩართული თითქმის ყველა ადამიანის შეკრება გადავწყვიტე. იმაზე ფიქრიც კი მზარავდა, რა დღეში ჩამაგდებდა ო ’ კელი, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მიზანს ავაცილე.

მეგონა, მთელი საათი გავიდა-მეთქი, როდესაც გარედან შეძახილი მომესმა:

- რობ!

ისე სწრაფად წამოვხტი, რომ ქაღალდები მიმოვფანტე. ეს კესიმეძახდა წკრიალა, სუფთა და მხიარული ხმით. იგი კიბეზე ამოფრინდა, კარი ფართოდ გამოაღო და ოთახში შემოვარდა.

- რობ, ფითხს მივაგენით. ინსტრუმენტების სახლში, დახვავებული ბრეზენტის ქვეშ...

სირბილისგან სახე გასწითლებოდა და სუნთქვა ეკვროდა, აღარ ახსოვდა, რომ ერთმანეთს თითქმის აღარ ველაპარაკებოდით. ეს არც მე გამხსენებია. მისი ხმისგან გულში ნაცნობი სითბო ჩამეღვარა.

- აქ დარჩი და ძებნა განაგრძე, - ვუთხარი სუინის და კესის დავედევნე, რომელიც უკვე უკან მიიჩქაროდა და გზად გუბეებსა თუ ორმოებს ახტებოდა.

ინსტრუმენტების ფარდულში ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინათ: გადაყირავებული ურიკები, კუთხეში დაყრილი ნიჩბები და თოხები, ერთმანეთზე შემოწყობილი და საეჭვოდ მოყანყალე ბადიანი კალათები, პენოპლასტის ჭილოფები და ხასხასა ყვითელი სასიგნალო კომბინეზონები (ზედაზე ვიღაცას ქვემოთ მიმართული ისარი დაეხატა და დაეწერა: "ფეხი აქ ჩადგით"). ყველაფერი გამხმარი ტალახის სქელ ფენას დაეფარა. ზოგიერთი აქ ველოსიპედსაც კი ინახავდა. კესი და სემი მარცხნიდან მარჯვნივ მუშაობდნენ: უკვე გამოკვლეული მარცხენა ნაწილი იდეალური სისუფთავითა და აკურატულობით გამოირჩეოდა.

სემი მუხლებზე იდგა სახლის შორეულ კუთხეში, გატეხილ ურიკასა და წყალგაუმტარი ბრეზენტის გროვას შორის, და ერთი მათგანი რეზინის ხელთათმანწამოცმული ხელით ოდნავ აეწია. სასწრაფოდ გავძვერით ნაგავსა და ჯართს შორის და მის გვერდით ჩავცუცქდით.

ფითხი ბრეზენტის გადასაფარებლების უკან გაჭედილიყო, მათსა და კედელს შორის. ვიღაცას ისეთი ძალით ჩაეტენა, რომ მკვრივი ქსოვილიც კი გაეხია. ჭერზე ნათურა არ ეკიდა, ამიტომ სახლში, ბოლომდე გაღებული კარის მიუხედავად, ბინდბუნდი იდგა. სემმა ფარანი აანთო და ფითხის სახელურს მიუშვირა: გალაქულ ხეზე შავად მოჩანდა ორი დიდი, უსწორმასწორო, გოტიკური შრიფტით გამოყვანილი ასო "შ" და "კ".

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. სადღაც, შორს, ძაღლის ყეფა და სიგნალიზაციის გულის გამაწვრილებელი ხმა ისმოდა.

- ბრეზენტს, სავარაუდოდ, ძალზე იშვიათად იყენებდნენ, - თქვა სემმა, - ის ყველაზე შორეულ კუთხეში დევს, გატეხილი ინსტრუმენტებისა და სხვა ხარახურის იქით. თუ არ ვცდები, კუპერი ამბობდა, მკვლელობის შემდეგ გვამი რაღაცაში გაახვიესო, არა?

წამოვიმართე და მუხლებიდან მტვერი მოვიცილე.

- მაშასადამე, აქ ყოფილა, - ჩავილაპარაკე ხმადაბლა, - გოგონას ოჯახი ლამის ჭკუაზე შეიშალა, გარშემო ყველაფერი გადააქოთეს, ის კი აქ იწვა.

როგორც ჩანს, მკვეთრად წამოვდექი: ოთახი შექანდა და თვალთ დამიბნელდა, ყურებმა წუილი დამიწყო.

- ფოტოაპარატი ვის აქვს? - იკითხა კესიმ, - სანამ ყველაფერს შევაგროვებთ, ჯერ სურათები უნდა გადავიღოთ.

- სოფის აქვს, - მივუგე მე, - მის თანაშემწეებსაც აქვთ სამუშაო.

- შეხედეთ! - გაგვაწყვეტინა სემმა და ფარანი სახლის მარჯვენა ნაწილს მიანათა, სადაც პოლიეთილენის მოზრდილ პარკებში ახალი ხელთათმანები ეწყო - ისეთი, როგორსაც მებაღეები იყენებენ: წინიდან რეზინის, უკნიდან კი ბადიანი, - მე რომ დამჭირვებოდა ხელთათმანი, ავიღებდი, შემდეგ კი კვლავ აქ დავდებდი.

- ეი, დეტექტივებო! - დაგვიძახა სოფიმ.

კესი მკვეთრად შეტრიალდა და ფითხს გახედა.

- ვინმე უნდა... - დაიწყო მან.

- მე დავრჩები, - შეაგება სემმა, - თქვენ ორნი წადით.

სოფი საცავის პარმაღზე იდგა და ხელში ულტრაიისფერი ფარანი ეჭირა.

- აჰა, - ჩაიცინა მან, - ესეც დანაშაულის ადგილი. მას აქაურობის გასუფთავება უცდია, მაგრამ... შემოდით.

ექსპერტები კუთხეში შეგროვილიყვნენ: ერთს ორი დიდი შავი საფრქვეველი ეჭირა, ჰელენს ფოტოაპარატი მოემარჯვებინა და დამფრთხალი თვალებით გვიყურებდა პირზე აკრული დოლბანდის ზემოდან. ოთახი ხუთი კაცისთვის აშკარად პატარა იყო, მათი ავის მომასწავებელი გარეგნობა - ნიღბები, ინსტრუმენტები, რეზინის ხელთათმანები - სახლს მეამბოხეთა ბანაკში არსებულ გადასატან საწამებელ საკანს ამსგავსებდა. ამ შთაბეჭდილებას ქაღალდაკრული ფანჯრები და შიშველი ნათურა აძლიერებდა.

- მაგიდასთან იდექით, - გაგვაფრთხილა სოფიმ, - თაროებს არ მიუახლოვდეთ.

მან კარი მიხურა - ყველანი უნებურად შევკრთით - და ღიობთან დარჩენილ განათებულ ღრეჩოს ლენტი მიაკრა.

ლუმინოლი სისხლის უმცირეს ნაწილაკებთანაც კი შედის რეაქციაში, რომლებიც შემდეგ ულტრაიისფერ სხივებში იოლი დასანახია. შეგიძლიათ, გადაღებოთ დასვრილი კედელი, საგულდაგულოდ გახეხოთ დაწინწკლული ნოხი, ათობით წელი დაემალოთ მართლმსაჯულებას, მაგრამ ლუმინოლი წამსვე და შეუბრალებლად გამოავლენს მკვლელობის ყველა წვრილმანს. "აი, კირნანსა და მაკკეიბს რომ ჰქონოდათ ლუმინოლი, - გავიფიქრე მე, - ითხოვებდნენ პატარა თვითმფრინავს, რომელსაც მარცვლეულის დასათესად იყენებენ, და მთელ ტყეს მოაფრქვევდნენ". ძლივს შევიკავე თავი ისტერიკული სიცილისგან. მე და კესი მაგიდასთან დავდექით. სოფიმ ექსპერტებს საფრქვეველი სთხოვა, თავისი ფარანი აანთო და ჭერზე ჩამოკიდებული ნათურა ჩააქრო. უკუნეთი ჩამოწვა. მხოლოდ იქ მყოფი, მტვრიან ჰაერთან მებრძოლი ადამიანების ხუთი წყვილი ფილტვის ხმაურიანი სუნთქვა ისმოდა.

მალე პულვერიზატორი აშიშინდა, ვიდეოკამერის ნამცეცა წითელი თვალი ამოძრავდა. სოფი ჩაცუცქდა და ულტრაიისფერი სხივების ფარანი იატაკისკენ, თაროებისკენ დაუშვა.

- აი, აქ, - თქვა მან.

კესიმ მოკლედ, მკვეთრად ამოისუნთქა. იატაკზე ისეთი მბზინავი ლურჯ-თეთრი უცნაური მოხატულობები გაჩნდა, გროტესკული, აბსტრაქტული ნახატი გეგონებოდათ: მრუდე ხაზები იქ, სადაც სისხლმა იფეთქა, მარცვლოვანი ლაქები შემხმარ გუბეებთან, ფართო მონასმები იმ ადგილებში, სადაც ვიღაც მძიმედ სუნთქავდა და გულმოდგინედ ცდილობდა კვალის წაშლას. სისხლი რადიაციული მტვერივით ნათდებოდა ფიცრების ღრეჩოებში, ჩაღრმავებებსა თუ ამობურცულობებში. სოფიმ ულტრაიისფერი სხივების ფარანი ასწია და ერთხელაც შეაფრქვია: მეტალის თაროების ქვედა ნაწილში პატარ-პატარა წვეთები გამოჩნდა, თითქოს ვიღაცას მსუქანი თითები მიედო და ანაბეჭდი დაეტოვებინა. ოთახი სიბნელეში ჩაიძირა, გაქრა ქაღალდის გროვები და თიხის დამტვრეული ნივთებით სავსე ტომრები, დარჩა მხოლოდ უკუნეთი და აღმაშფოთებელი მკვლელ ობა, რომელიც კვლავ და კვლავ ხდებოდა ჩვენ თვალწინ.

- ღმერთო დიდებულო, - ჩავილაპარაკე ჩუმად.

ქეით დევლინი ამ იატაკზე მოკვდა. მკვლელს დანაშაულის ადგილას თავზე დავადექით.

- ხომ არ შეიძლება, ეს მათეთრებელი ან რამე ამის მსგავსი იყოს? - ყოველი შემთხვევისთვის იკითხა კესიმ. ლუმინოლს ნებისმიერ ნივთიერებასთან შეუძლია მცდარი რეაქციის მოხდენა, საყოფაცხოვრებო მათეთრებლით დაწყებული და სპილენძით დამთავრებული, მაგრამ ვიცოდით, რომ სოფი არ დაგვიძახებდა, ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად რომ არ შეემოწმებინა.

- ჩვენ ნაცხი ავიღეთ, - თქვა სოფიმ და მის ხმაში სიცივე მომესმა, - ეს სისხლია.

გულის სიღრმეში ჩემ წინ არსებული რეალობის არ მჯეროდა. ბოლო დროს ხშირად ვფიქრობდი კირნანზე, რომელიც სანაპიროზე მდებარე მყუდრო სახლში ცხოვრობდა და ღამით კოშმარულ სიზმრებს ხედავდა. ცოტა დეტექტივი თუ ახერხებს პენსიაზე ისე გასვლას, ზურგზე ტვირთად ერთი ჩაფლავებული საქმე მაინც არ ეკიდოს. იქედნური ხმა ხშირად ჩამჩურჩულებდა, შენთვის ასეთი ოპერაცია "ვესტალი" იქნებაო, ახლა კი ჩემში რაღაც სწრაფად და თითქმის უმტკივნეულოდ გადაეწყობოდა და იმას ეჩვეოდა, რომ მკვლელი არსაიდან მოსული და არსაით წასული უსახო ფიგურა არ იყო - იგი ახლა სასადილოში იჯდა, ტალახიან ჩექმებს იშრობდა და, წარბშეკრული ო ' გორმანის ზედამხედველობით, ჩაის შეექცეოდა.

- ესეც ასე, - თქვა სოფიმ.

იგი წელში გაიმართა. ოთახი კვლავ განათდა. დაბნეული სახით მივაჩერდი სუფთა, უმანკო იატაკს.

- შეხედეთ, - თქვა კესიმ.

ერთ-ერთ ქვედა თაროზე პოლიეთილენის დიდი პარკი იდო, რომელშიც სხვა, ასეთივე პარკები ეწყო, ისეთები, რომლებშიც არქეოლოგები თიხის ნაკეთობებს ინახავენ.

- თუ ფითხი შემთხვევით ჩაუვარდათ ხელში...

- კარგი, - ჩაიბუზღუნა სოფიმ, - ერთი მილის რადიუსში ყველა პაკეტს შევამოწმებთ.

შემდეგ წამს მოგვესმა, რომ რაღაც ხმამაღლა აკაკუნდა ფანჯრებსა და სახურავზე: გაწვიმდა.

20 თავი

მთელი დღე კოკისპირულად წვიმდა - სახლიდან მანქანამდე რომ მიგერბინათ, თავიდან ფეხებამდე გაილუმპებოდით. შიგადაშიგ ბორცვების თავს ელვა ანათებდა და გრუხუნი ისმოდა. კრიმინალისტებს მათი საქმე დავუტოვეთ, ჰანტი, მარკი, დემიენი და განაწყენებული შონი ("მეგონა, პარტნიორები ვიყავით!") ჩვენთან, სამსახურში წავიყვანეთ. დაკითხვისთვის შესაფერისი ოთახი შევარჩიეთ და მათი ალიბის შემოწმება დავიწყეთ.

შონის საქმე სწრაფად გაირკვა. იგი რეტმაინსში სამ ბიჭთან ერთად ცხოვრობდა, რომლებსაც ქეითის მკვლელობის ღამე ახსოვდათ. საღამოს მეგობარი გოგონა დაბადების დღეს იხდიდა და ისინი წვეულებაზე წავიდნენ, სადაც შონი დილის ოთხ საათამდე მხიარულობდა, სანამ ვიღაცას ფეხსაცმელზე არ არწყია, რის შემდეგაც დივანზე მიიძინა. ოცდაათ კაცს მაინც შეეძლო დაედასტურებინა შონის ადგილსამყოფელი და მუსიკა, რომელსაც ის უსმენდა.

დანარჩენი სამი - კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ჰანტის ალიბის მხოლოდ მისი ცოლი ადასტურებდა, მარკისას - მელი. დემიენი რეტფარნემში ცხოვრობდა დაქვრივებულ დედასთან ერთად, რომელიც დასაძინებლად ადრე წვებოდა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი შვილი დილამდე შინ იყო. დეტექტივებს ძალიან არ მოსწონთ ასეთი არასაიმედო და ჯიუტი მოწმეები. შემიძლია, ათობით შემთხვევა გავიხსენო, როდესაც ვიცოდით "ვინ, როგორ, სად და რატომ", მაგრამ საქმეს რომელიმე დედიკო აფუჭებდა, რომელიც თვალცრემლიანი ირწმუნებოდა, ჩემი შვილი მთელი საღამო ტელევიზორს უყურებდაო.

- კარგი, - თქვა ო ’ კელიმ, როდესაც შონი გამოვრიცხეთ და სახლში გავუშვით. მან მაპატია და მეგობრულად ჩამომართვა

ხელი, რის შემდეგაც დაინტერესდა, ნებას ხომ არ დამრთავთ, ეს ამბავი გაზეთებს მივყიდოო. დავპირდი, თუ ამას გააკეთებ, ყოველ საღამოს პირადად მოვალ შენი ბინის გასაჩხრეკად-მეთქი, - ერთი გავარდა, სამი დარჩა. აბა, ბიჭებო, რომელზე ჩამოდიხართ ფსონს?

ახლა, როდესაც ეჭვმიტანილი მეზობელ ოთახში იჯდა, - თუმცა მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ერთ-ერთი იყო სამთაგან, - ო ' კელის ხასიათი გამოსწორებოდა.

- დემიენზე, - თქვა კესიმ, - შესაფერისი ტიპია.

- მარკმა აღიარა, რომ იმ დღეს იქ იყო, - ვთქვი მე, - თანაც ერთადერთია, რომელსაც რაღაც მოტივი მაინც აქვს.

- როგორც ვიცით, - მივუხვდი მინიშნებას, მაგრამ დაქირავებულ მკვლელზე ლაპარაკს არ ვაპირებდი, ყოველ შემთხვევაში, ო ' კელისა და სემის თანდასწრებით, - მაგრამ მას ამ როლში ვერ ვხედავ.

- მე კი ვხედავ.

კესიმ თვალები დაატრიალა - ეს ნორმალური რეაქცია იყო, მე უარესს ველოდი.

- ო ' ნილ? - იკითხა ო ' კელიმ.

- დემიენი, - თქვა სემმა, - მე მათ ჩაი მივუტანე. მხოლოდ მან გამომართვა ფინჯანი მარცხენა ხელით.

მე და კესიმ ჯერ პირი დავაღეთ, შემდეგ კი გადავიხარხარეთ. ხუმრობას მაშინვე ვერ მივხვდით, - აღარც კი მახსოვდა მარცხენა ხელთან დაკავშირებული ამბები, - მაგრამ ნერვები ისე გვქონდა დაჭიმული, რომ ვიცინოდით და შეჩერებას ვეღარ ვახერხებდით. სემმა ჩაიცინა და მხრები აიჩეჩა - კმაყოფილი ჩანდა გამოწვეული ეფექტით.

- არ ვიცი, რატომ ხვიხვინებთ, - ჩაილაპარაკა ო ' კელიმ, მაგრამ მასაც კი შეუტოკდა ტუჩები, - ნეტავ თქვენ გქონდეთ ასეთი

დაკვირვების უნარი, თორემ სულ "მგონიას" და "არა მგონიას" გაიძახით.

სიცილისგან ვიგუდებოდი, სახე გამიწითლდა, თვალებზე ცრემლი მომადგა. დასაწყნარებლად ტუჩი მოვიკვნიტე.

- ღმერთო ჩემო, სემ, - თქვა კესიმ, - რა გვეშველებოდა უშენოდ?

- კარგი, მოვრჩეთ გართობას! - ბრძანა ო ' კელიმ, - თქვენ ორმა დონელის მიხედეთ. ო ' ნილ, სუინი და კიდევ ვინმე წაიყვანე და ჰენლის მიაწექით, მე კი ორ ბიჭს ვიპოვი, რათა ჰანტს გაესაუბრონ და ალიბის მოწმეებში გაერკვნენ. რაიან, მედოქს, ო ' ნილ - ჩვენ აღიარება გვჭირდება. სხვა არაფერი. აბა, გაინძერით, - მან ყურისწამღები ხმაურით შეატრიალა თავისი სკამი და ოთახიდან გავიდა.

- გავინძრეთ? - იკითხა კესიმ. ისეთი სახე ჰქონდა, სადაც იყო, სიცილის მორიგი შეტევა დაეწყებოდა.

- ყოჩაღ, მეგობრებო! - შესძახა სემმა და მე და კესის ხელი მაგრად და თბილად ჩამოგვართვა, - წარმატებას გისურვებთ.

- თუ მკვლელი ენდრიუსმა დაიქირავა, - ვთქვი მე, როდესაც კესისთან პირისპირ დავრჩი, - საუკუნის სკანდალი იქნება.

კესიმ უსიტყვოდ აიჩეჩა მხრები და ყავა ბოლომდე დალია - ძალიან გრძელი დღე იყო და ყველანი კოფეინით ვიმხნევებდით თავს.

- როგორ მივუდგეთ ამ საქმეს? - ვიკითხე მე.

- საუბარი შენ უნდა წაიყვანო. ქალებში ის საყრდენსა და თანაგრძნობას ეძებს, ამიტომ ზოგჯერ თავზე ხელს გადავუსვამ. მამაკაცები აშინებს და ძალიან მკაცრად ნუ მოექცევი. თუ გადაამეტებ, გაჩუმდება და ჩაიკეტება. არ იჩქარო და სინდისი უხსენე. ვფიქრობ, თავიდანვე ყოყმანობდა და ეს ძალიან თრგუნავს. თუ დანაშაულის შეგრძნებას მივაწვებით, ადრე იქნება თუ გვიან, გატყდება.

- კარგი, წავედით, - ვთქვი მე.

ტანსაცმელი გავისწორეთ, თმაზე ხელი გადავისვით და დერეფნის გავლით გავემართეთ დაკითხვის ოთახისკენ, სადაც დონელი გველოდებოდა.

ეს ჩვენი ბოლო პარტნიორობა იყო. მინდოდა, დაწვრილებით მო მეყოლა დაკითხვის ხელოვნების შესახებ, მის უცნაურ და მკაცრ სილამაზეზე, რომელსაც კორიდას[114] შევადარებდი; იმაზე, თუ რო გორ ბრწყინავს ის დაძაბული, სრულყოფილებამდე დახვეწილი დიალოგების თითოეულ ფრაზაში, თითოეულ სიტყვაში, თუნდაც ეს იდიოტის მიერ ჩადენილ ყველაზე საზიზღარ დანაშაულს შეეხებოდეს; იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ დიდებულ დეტექტივებს, დიდებული მოცეკვავეების დარად, ერთმანეთის აზრისა და მოძრაობის გამოცნობა, ერთ არსებად გადაქცევა და საუცხოო ცეკვის შესრულება. არ ვიცი და, ალბათ, ვერც გავიგებ, ვიყავით თუ არა მე და კესი დიდებული დეტექტივები, - სავარაუდოდ, არა, - მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ისეთი გუნდი შევქმენით, რომელიც ისტორიის სახელმძღვანელოებსაც დაამშვენებდა და ბარდების სიმღერებსაც. ეს ჩვენი უკანასკნელი და საუკეთესო ცეკვა იყო, და მას ვიწრო ოთახში ვასრულებდით - არა ფართო აუდიტორიის, არამედ ერთადერთი განწირული და მონუსხული მაყურებლის წინაშე. გარეთ კი გადაუღებლად წვიმდა.

მიყუჩებული და დაძაბული დემიენი სკამზე მოკუნტულიყო, ჩაისთვის ხელი არ ეხლო. როდესაც სტანდარტული გაფრთხილება წავუკითხე, ისე შემომხედა, თითქოს ურდუს ენაზე ველაპარაკებოდი.

---

[114] კორიდა - ხარების ბრძოლა, მასობრივი სანახაობა ესპანეთსა და ზოგიერთ ქვეყანაში.

ქეითის სიკვდილის შემდეგ გასული ერთი თვე სასიკეთოდ არ წასდგომოდა. განიერი ხაკისფერი შარვალი და ფართო ჯემპრი ეცვა, მაგრამ მაინც შევამჩნიე, რომ წონაში გვარიანად დაეკლო, რის გამოც გამხდარი და დაპატარავებული მომეჩვენა. ბიჭების ბენდის მონაწილის მიმზიდველობა გაჰქრობოდა, თვალები შესივებოდა, წარბებს შორის პირველი ნაოჭი გასჩენოდა. გაფურჩქნის ახალგაზრდული პერიოდი, რომელიც რამდენიმე წელი მაინც უნდა გაგრძელებულიყო, თვალსა და ხელს შუა ჭკნებოდა. ამ ძნელად შესამჩნევ ცვლილებას გათხრების ადგილას ყოფნისას ვერ დავაფიქსირე, ახლა კი ყურადღება მივაქციე.

მარტივი შეკითხვებით დავიწყეთ - ისინი განსაკუთრებულ ფიქრს არ მოითხოვდა: - რეტფარნემიდან ხარ, არა? კოლეჯში სწავლობ? მეორე კურსი დაამთავრე? გამოცდებმა როგორ ჩაიარა? დემიენი მოკლედ გვპასუხობდა, თან ჯემპრის კიდეს აწვალებდა და აშკარად ცდილობდა ჩვენი ჩანაფიქრის გამოცნობას, მაგრამ შეკითხვის დასმას ვერ ბედავდა. კესი არქეოლოგიაზე გადაერთო და დემიენიც თანდათან მოდუნდა: ჯემპრს ხელი გაუშვა, უფრო გრძელი ფრაზებით ალაპარაკდა და ჩაიც კი მოსვა, როდესაც ისინი სასიამოვნოდ საუბრობდნენ ექსპედიციის წარმატებებსა და მოულოდნელ აღმოჩენებზე. ოცი წუთი ვისმენდი მათ დიალოგს, შემდეგ კი ჩავერთვე (შემწყნარებლური ღიმილით: "მაპატიეთ, მეგობრებო, მაგრამ იქნებ საქმეზე გადავიდეთ, თორემ სამივეს პრობლემა შეგვექმნება"). - ღვთის გულისთვის, რაიან, კიდევ ორი წამი, - მთხოვა კესიმ, - არასდროს მინახავს კელტური ბროში.[115] როგორია?

---

[115] კელტური ბროში - ირლანდიასა და ინგლისში ძველთაგანვე გავრცელებული ბეჭედივით მრგვალი ბროში, რომლის ქინძისთავი შეიძლება მის გარშემო მოძრაობდეს, ან დამაგრებული იყოს თავად რგოლზე.

- ყური მოვკარი, შესაძლოა, ბრიტანეთის მუზეუმში გადაგზავნონო, - თქვა დემიენმა და სახე გაუნათდა, - დიდი ზომისაა, ბრინჯაოსგან დამზადებული, მოხატულობით...

მან გაუგებრად დაატრიალა თითები, როგორც ჩანს, ამის გამოსახვა სცადა.

- დამიხატავ? - ჰკითხა კესიმ და ბლოკნოტი და ფანქარი შეაჩეჩა. დემიენმა დამჯერად, სერიოზული სახით დაიწყო ხატვა.

- აი, დაახლოებით ასეთია, - თქვა მან და ბლოკნოტი დააბრუნა, - ცუდად ვხატავ.

- ოჰო, - მოწიწებით ამოისუნთქა კესიმ, - და ამას შენ მიაგენი? ღმერთო ჩემო, მე რომ მსგავსი რამე აღმომეჩინა, სიხარულისგან ცაში ავფრინდებოდი.

მის მხარზემოდან გადავიხედე: ფურცელზე დიდი წრე და კლაკნილი ხაზებით შემკული მოზრდილი ქინძისთავის მსგავსი რაღაც ეხატა.

- ძალიან კარგია, - ჩავილაპარაკე.

დემიენი მართლა ცაცია იყო. ტანთან შედარებით, დიდი, ლეკვის თათებივით ხელები ჰქონდა.

- ჰანტი გამოირიცხა, - შეგვატყობინა დერეფანში ო ' კელიმ, - მისი ჩვენების მიხედვით, ორშაბათს მთელი საღამო ჩაის სვამდა და ტელევიზორს უყურებდა, სამეცნიერო ფილმებს ვიღაც სურიკატებისა და რიჩარდ III-ის[116] შესახებ - დაწვრილებით მოგვიყვა, ლამის ყურები წაგვაჭამა. ცოლმაც იგივე გაიმეორა, ტელეპროგრამაშიც ასე წერია. მათ მეზობელს ძაღლი ჰყავს, აი, ისეთი, მთელი ღამე რომ ყეფს. ამბობს, მესმოდა, ღამით ჰანტი როგორ უყვიროდაო. მის ადგილას თვითონ მას ვურჩევდი გაჩუმებას... თარიღის შესახებ დარწმუნებულია. ამტკიცებს, ახალ ვერანდას

---

[116] რიჩარდ III (1452-1485) - ინგლისის მეფე, იორკების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი.

გვიკეთებდნენ და ძაღლი მუშებმა გაანერვიულესო. მოკლედ, ვიფიქრე, სანამ არ გამიფრენია, ამ აინშტაინს შინ გავუშვებ-- მეთქი, და ასეც მოვიქეცი. დისტანციაზე ორი ცხენი დაგვრჩა, ძმებო.

- სემს რა აქვს მარკთან? - ვკითხე მე.

- ჯერჯერობით, არაფერი. ჰენლი ბრაზობს და დაჟინებით იმეორებს თავის რომანტიკულ თავგადასავალს. ქალიშვილიც ეთანხმება. თუ ორივენი ცრუობენ, სწრაფად ვერ გავტეხთ. სხვათა შორისმ ცაცია არ არის. თქვენი?

- ცაციაა, - მიუგო კესიმ.

- მაშასადამე, ჩვენი ფავორიტი ყოფილა. თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. კუპერს ველაპარაკე და... - ო ' კელი შეიჭმუხნა, - მსხვერპლის პოზა, თავდამსხმელის პოზა, შესაძლებლობათა ბალანსი... ერთი სიტყვით, ლაყბობა მეტია, ვიდრე საქმე, მაგრამ იქით იხრება, რომ ჩვენი ობიექტი, შესაძლოა, ცაცია აღმოჩნდეს, თუმცა ამაზე თავს არ დებს. გაქნილი პოლიტიკოსივით ლაპარაკობს. დონელი როგორ იქცევა?

- ნერვიულობს, - ვუპასუხე მე.

ო ' კელიმ დაკითხვის ოთახის კარს ხელისგული მიარტყა და გვითხრა:

- კარგია. არ მოასვენოთ.

ოთახში დავბრუნდით და დემიენის განერვიულება განვაგრძეთ.

- აბა, მეგობრებო, - ვთქვი მე და სკამი მივიჩოჩე, - ახლა საქმესაც მივხედოთ. ქეით დევლინზე ვილაპარაკოთ.

დემიენმა გაგებით დააქნია თავი, მაგრამ შევამჩნიე, რომ მოიბუზა. დიდი ხნის გაცივებული ჩაი მოსვა.

- პირველად როდის ნახე?

- როდესაც ბორცვის წვერამდე მანძილის ნახევარზე ოდნავ ნაკლები დარჩა. ჩვენ კოტეჯებსა და სახლებზე მაღლა ვიყავით, ფერდობია ისეთი, რომ...

- არა, - გააწყვეტინა კესიმ, - იმ დღეზე არ გეკითხებით, როდესაც გვამი აღმოაჩინეთ. მანამდე.

- მანამდე? - დემიენმა უმწეოდ აახამხამა თვალები და კვლავ მოსვა ჩაი, - მაგრამ მე არ... ანუ მანამდე არ მინახავს. პირველად მაშინ იყო.

- მანამდე არასდროს შეხვედრიხარ? - კესის კილო არ შეუცვლია, მაგრამ ვიგრძენი, რომ კვალზე დამდგარი მწევარივით დაიძაბა, - დარწმუნებული ხარ? კარგად დაფიქრდი, დემიენ.

მან ენერგიულად გადააქნია თავი:

- არა, გეფიცებით. არასდროს მინახავს.

დუმილი ჩამოვარდა. დემიენს ვუყურებდი, ვცდილობდი, მხოლოდ ინტერესი გამომეხატა, ამ დროს კი გამალებით ვფიქრობდი.

მარკზე ფსონს პირადი ანტიპათიის გამო არ ვდებდი, როგორც შესაძლოა, ფიქრობდეთ, არა იმიტომ, რომ რაღაცით მაღიზიანებდა და უსიამოვნო გრძნობას მიჩენდა. არჩევანის გაკეთების უფლება რომ მოეცათ, ვამჯობინებდი, რომ დამნაშავე ის აღმოჩენილიყო. დემიენს სერიოზულად არ აღვიქვამდი - მასში ვერც მამაკაცს ვხედავდი, ვერც მოწმეს და, მით უმეტეს, ვერც ეჭვმიტანილს. იგი ჩვარი იყო, დოყლაპია, გულისწამღებად მოწუწუნე და წვინტლიანი, უძლური და სუსტი, ბაბუაწვერა, რომელსაც მცირე ნიავიც კი ჰაერში გაფანტავს. მაცოფებდა იმის გაფიქრება, რომ ბოლო თვის ყველა წვალების მიზეზი, შესაძლოა, ეს საცოდავი არსება ყოფილიყო. რაც უნდა მეფიქრა მარკზე, მას სერიოზულ მეტოქედ და ღირსეულ სამიზნედ მივიჩნევდი მაგრამ რატომ ცრუობდა დონელი ასე უაზროდ? იმ ზაფხულს დევლინების ქალიშვილები ხშირად ტრიალებდნენ გათხრების ადგილას

და არქეოლოგებს ისინი ახსოვდათ. მელმა მაშინვე იცნო ქეითი, თუმცა გვამს არც მიახლოებია. დემიენი ექსკურსიებს ატარებდა და ქეითთან შეხვედრისა და ურთიერთობის სხვებზე მეტი შანსი ჰქონდა. ის არა მხოლოდ მიუახლოვდა ქეითს, არამედ დაიხარა კიდეც მის თავზე, რათა შეემოწმებინა, სუნთქავდა თუ არა (უცნაური გაბედულება მისნაირი ადამიანისთვის). მას ამ ნაცნობობის დამალვის საფუძველი არ ჰქონდა. მხოლოდ მაშინ თუ იცრუებდა, ქეითი ადრე არასდროს მინახავსო, თუ შეეშინდებოდა, რომ მისთვის მახე არ დაგვეგო, და ასე, მოუხერხებლად ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. შესაძლოა, თვით აზრმა, რომ მას მსხვერპლთან რამენაირად დავაკავშირებდით, ისე დააფრთხო დემიენი, რომ თავგზა აებნა.

- კარგი, - თქვა კესიმ, - მამის, ჯონათან დევლინის შესახებ რას იტყვი? მოძრაობა "გადაიტანეთ ავტომაგისტრალის!" წევრი ხარ?

დემიენმა ცივი ჩაი დალია და თავი დაგვიქნია, რითაც სხვა თემაზე გადასვლის შესაძლებლობა მოგვცა, რაც მაშინვე გამოვიყენეთ, სანამ მოისაზრებდა, რა მოხდა.

სამ საათზე მე, კესი და სემი პიცერიისკენ გავემართეთ - მარკი აბუზღუნდა, მაშიმშილებთო, ჩვენ კი გვინდოდა, ის და დემიენი მაძღრები და კმაყოფილები ყოფილიყვნენ. ისინი ჯერ არ დაგვეპატიმრებინა და, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეეძლოთ შენობის დატოვება. მათი შეჩერების უფლება არ გვქონდა. აქამდე, ჩვეულებრივ, იმით გაგვქონდა თავი, რომ ნებისმიერ ადამიანს სურს ხელისუფლებასთან კარგი დამოკიდებულება და სასიამოვნო შთაბეჭდილების მოხდენა. დემიენთან კი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ტაქტიკა გაამართლებდა, მარკზე კი ეჭვი მეპარებოდა.

- დონელისთან რა ხდება? - გვკითხა სემმა, როდესაც პიცერიაში მივედით.

კესი უკვე დახლს დაჰყრდნობოდა და სიცილით ესაუბრებოდა შეკვეთის მიმღებ ბიჭს.

მხრები ავიჩეჩე.

- რთული სათქმელია. მარკი რას შვრება?

- გაცოფებულია. ამბობს, ნახევარი წელი შევალიე მოძრაობას "გადაიტანეთ ავტომაგისტრალი!" და რატომ უნდა მომეკლა მისი ლიდერის ქალიშვილი და ამით ყველაფერი გამეფუჭებინაო? მისი აზრით, ამ ყველაფერს პოლიტიკური სარჩული უდევს... - სემი შეიჭმუხნა, - აჯობებს, დონელიზე ვისაუბროთ. თუ დამნაშავეა, რა მოტივი უნდა ჰქონდეს?

- ჯერჯერობით, არ ვიცით, - მივუგე მე.

ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდოდა.

- თუ რამე გაირკვევა... - სემმა ხელები ჯიბეში ღრმად ჩაიყო, - ისეთი, რაც უნდა ვიცოდე... დამირეკავ?

- კი, - მთელი დღე პირში ლუკმა არ ჩამედო, მაგრამ ჭამაზე ვერ ვფიქრობდი, დემიენთან დაბრუნება მინდოდა, პიცერიაში კი დრო უსაშველოდ იჭიმებოდა, - აუცილებლად. დემიენმა "7 Up"[117] აიღო, პიცაზე კი უარი გვითხრა, თქვა, არ მშიაო.

- მართლა? - გაიკვირვა კესიმ და თითებით გაწელილი ყველის დაჭერა სცადა, - როდესაც სტუდენტი ვიყავი, თავში აზრადაც არ მომივიდოდა, უფასო პიცაზე უარი მეთქვა.

- შენ ახლაც არ იტყვი უარს მუცლის ამოყორვაზე, - ვთქვი მე, - ჰუვერის[118] კაცი ხარ, პირგამოტენილმა კესიმ თავი მხიარულად დამიქნია და ორივე ხელის ცერი მაღლა ასწია, - გეყოფა,

---

[117] "7 Up" - უკოფეინო გაზირებული სასმელი ლიმონისა და ლაიმის გემოთი.

[118] ჯონ ედგარ ჰუვერი (1895-1972) - ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს დირექტორი.

დემიენ, ცოტა მაინც შეჭამე. ძალა უნდა მოიკრიბო. აქ დიდხანს მოგვიწევს ჯდომა.

დონელიმ თვალები დაჭყიტა. პიცა გავუწოდე, მაგრამ თავი გადააქნია. მხრები ავიჩეჩე და ჩემთვის დავიტოვე.

- კარგი, - განვაგრძე მე, - მოდი, მარკ ჰენლიზე ვისაუბროთ. რას ფიქრობ მასზე?

დემიენმა თვალები აახამხამა.

- მარკზე? რა უნდა ვთქვა, ნორმალური კაცია. ცოტა მკაცრია, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია. ჩვენ ხომ ცოტა დრო გვაქვს.

- ოდესმე განრისხებული თუ გინახავს? აგრესიული?

კესის ხელი დავუქნიე და მან ქაღალდის ხელსახოცი მომაწოდა.

- დიახ... ანუ, არა... მინახავს, როგორ გაბრაზებულა, მაგრამ ისე, რომ ვინმესთვის დაერტყას... არა.

- უფრო ძლიერ რომ გაბრაზებულიყო, დაარტყამდა?

ხელები გავიწმინდე და ბლოკნოტი გადავფურცლე, ვცდილობდი, არ დამესვარა.

- როგორი ფეთხუმი ხარ, - მითხრა კესიმ. ბრანწი ვუჩვენე. გაოცებული დემიენი ხან მას მისჩერებოდა, ხან მე.

- რა?

- შენი აზრით, შესაძლებელია თუ არა, მარკი გაცოფდეს, თუ გამოიწვევენ?

- ალბათ. არ ვიცი.

- შენ? ვინმე გაგილახავს?

- არა!

- ნივრიანი პური უნდა აგვეღო, - ჩაურთო კესიმ.

- ერთ პატარა ოთახში სამი ადამიანი და ნივრიანი პური - მეტისმეტია. დემიენ, რამ შეიძლება გაიძულოს, რომ ვინმეს დაარტყა?

დემიენმა პირი დააღო.

- ძალადობისკენ მიდრეკილ ადამიანს არ ჰგავხარ, მაგრამ ყველას აქვს კრიტიკული ზღვარი. დაარტყამდი თუ არა ვინმეს, თუ ის, ვთქვათ, დედაშენს შეურაცხყოფდა?

- მე...

- ან ფულის გამო? ან თავდაცვის მიზნით? რა გიბიძგებს ამისკენ?

- მე არ... - დემიენმა თვალები აახამხამა, - არ ვიცი. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ არასდროს... თუმცა, როგორც თქვით, ყველა ადამიანს აქვს ზღვარი... არ ვიცი.

თავი დავუქნიე და ბლოკნოტში რაღაც ჩავინიშნე.

- იქნებ სხვანაირი გინდა? - ჰკითხა კესიმ და თავისი პიცა შეათვალიერა, - მე ყველაზე უფრო ლორითა და ანანასით მიყვარს, მაგრამ მეზობელ ოთახში პეპერონი აქვთ სოსისით.

- რა? აჰ... არა, გმადლობთ. ვინ... - ველოდებოდით და საჭმელს გულმოდგინედ ვღეჭავდით, - ვინ არის მეზობელ ოთახში?

- იქ მარკია. დოქტორი ჰანტი და შონი უკვე გავუშვით, მაგრამ მარკი ჯერ აქ არის, - მივუგე მე.

შევამჩნიეთ, რომ სანამ ამ ინფორმაციის იაზრებდა, თანდათან გაფითრდა.

- რატომ? - წყნარად იკითხა მან.

- ამას ვერ გეტყვით, - უთხრა კესიმ და ხელი ახალი ნაჭრისკენ გაიწვდინა, - მაპატიე.

დემიენი აწრიალდა, მე და კესის რიგრიგობით გვიყურებდა.

- სამაგიეროდ, შეგვიძლია გითხრათ, - დავამატე სახემოღუშულმა, - რომ ამ საქმეს სერიოზულად, ძალზე სერიოზულად ვუდგებით. კარიერის განმავლობაში ბევრი საზიზღრობა მინახავს, დემიენ, მაგრამ ეს... ბავშვის მკვლელობაზე უარესი რა უნდა იყოს. მას სიცოცხლე წაართვეს, მეგობრები შოკიდან ვერ გამოდიან, მოსახლეობა დაშინებულია, ოჯახი საშინელ დღეშია...

- მწუხარებისგან, - დაასრულა კესიმ ღეჭვა-ღეჭვით.

დემიენმა ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა, "7 Uპ"-ის ქილას ისე შეხედა, თითქოს პირველად დაინახაო, და მისი გახსნა სცადა.

- ვინც უნდა იყოს ამის ჩამდენი... - ვთქვი და თავი გადავაქნიე, - არ მესმის, როგორ შეუძლია ასე ცხოვრება.

- აქ მოიწმინდე, - მითხრა კესიმ და პირის კუთხეზე მიმითითა, - აუცილებლად უნდა მოიზუზნო.

პიცა თითქმის მთლიანად შევჭამეთ. არ მშიოდა, საჭმლის სუნიც კი გულს მირევდა, მაგრამ დემიენზე ჩვენი მანიპულაციები ჯადოსავით მოქმედებდა. ბოლოს დაგვთანხმდა და ერთი ნაჭერი აიღო, იქიდან ანანასი ამოჩიჩქნა და ლოღნას შეუდგა. სემს თანავუგრძნე - მარკზე ყველიანი პეპერონი ასე ვერ იმოქმედებდა.

ჯიბეში მობილურის ვიბრაცია ვიგრძენი. ეკრანს დავხედე - სოფი იყო. დერეფანში გასვლისას გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა კესიმ ჩემ ზურგს უკან.

- გამარჯობა, სოფი, - ვთქვი მე.

- გამარჯობა. აი, სიახლე: ერთი საკეტიც არ გაუტეხიათ. დავადგინეთ, რომ ფითხი გაუპატიურებისთვის გამოიყენეს. როგორც ჩანს, მოგვიანებით გარეცხეს, მაგრამ ტარის ბზარებზე სისხლის კვალი დარჩა. სისხლი ბრეზენტის ერთ გადასაფარებელზეც აღმოჩნდა. პაკეტებსა და ხელთათმანებს ჯერაც ვამოწმებთ და, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე ვერ დავასრულებთ მათ შემოწმებას. ბრეზენტების ქვეშ პატარა ფარანს მიაგნეს. მასზე ბევრი თითის ანაბეჭდია, მაგრამ პატარა ზომის, ზედ კი "ჰელოუ, ქითი"[119] აწერია. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, თითე-

---

[119] "ჰელოუ, ქითი" - საბავშვო სათამაშოებისა და ტანსაცმლის ცნობილი ბრენდი.

ბის ანაბეჭდიც და პატარა ფარანიც მსხვერპლს ეკუთვნის. თქვენთან რა ხდება?

- ჰენლისა და დონელისთან ვმუშაობთ. კალაგანი და ჰანტი გავუშვით.

- ამას ახლა მეუბნები? ღმერთო ჩემო, რობ! დიდი მადლობა. გადავყევით მაგ ჰანტის წყეულ მანქანას. ცხადია, ვერაფერს მივაგენით. სისხლი არც ჰენლის ავტომობილშია, სამაგიეროდ, უამრავი თმის ღერი, ძაფი და ათასგვარი ნაგავია. თუ მას მართლა გადაჰქონდა გვამი, სალონის გარეცხვით თავი არც შეუწუხებია. მოკლედ, შანსი არის, თუმცა, მგონია, სალონი არასდროს გაურეცხავს. თუ ოდესმე არქეოლოგია მოჰბეზრდება, შეუძლია, გათხრები საკუთარ მანქანაში აწარმოოს.

კარი მივხურე, კამერას მივაჩერდი და ჩავილაპარაკე:

- დეტექტივი რაიანი დასაკითხ ოთახში დაბრუნდა.

პიცის ნარჩენების ალაგება დავიწყე.

- ტექნიკური განყოფილებიდან დარეკეს სამხილების თაობაზე, - ვთქვი მე, - ყველაფერი ისეა, როგორც ვფიქრობდით. დემიენ, შენ დაამთავრე?

პასუხს არ დავლოდებივარ, პიცის ნაჭერი ავიღე და ყუთში შევინახე.

- კარგი სიახლეა, - გამომეხმაურა კესი. მან ხელსახოცი აიღო და მაგიდიდან ნამცეცები გადაფერთხა, - დემიენ, კიდევ ხომ არ გინდა რამე, სანამ მუშაობას გავაგრძელებდეთ?

დემიენი მოგვაჩერდა, აზრების თავმოყრას ცდილობდა. ბოლოს თავი გადააქნია.

- შესანიშნავია, - ყუთი კუთხეში გადავდე და სკამი მოვიჩოჩე, - მოდი, იმით დავიწყოთ, რაც დღეს ვიპოვეთ. შენი აზრით, აქ რატომ მოგიყვანეთ?

- ალბათ, იმ გოგონას, ქეით დევლინის გამო, - ჩაიბურტყუნა მან.

- რასაკვირველია, მაგრამ რაღა მაინცდამაინც თქვენ ოთხნი და არა მთელი ჯგუფი?

- თქვენ თქვით... - დემიენმა კესისკენ "7 Uპ"-ის ქილა გაიშვირა, რომელიც ორი ხელით ეჭირა, თითქოს ეშინოდა, არ წამართვანო, - თქვენ გასაღების შესახებ მკითხეთ. ვის ჰქონდა სახლების გასაღებები.

- ბინგო,[120] - უთხრა კესიმ და მოწონების ნიშნად თავი დაუქნია, - სწორად შეგიმჩნევია.

- იქნებ თქვენ... - დემიენმა ნერწყვი გადაყლაპა, - იქნებ ერთ-ერთ სახლში რამე აღმოაჩინეთ?

- სწორია, - დავუდასტურე მე, - მართალია, ერთში კი არა, ორში, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. დეტალებს ნუ ჩავეძიებით, მთავარი კი აი, ეს არის: მოვიპოვეთ მტკიცებულება, რომ ორშაბათ ღამეს ქეითი საცავში მოკლეს, სამშაბათს კი ინსტრუმენტების შესანახ სახლში ჰყავდათ, თანაც საკეტი არ გაუტეხიათ. შენი აზრით, ეს რას უნდა მოწმობდეს?

- არ ვიცი.

- იმას, რომ გასაღებებიან კაცს ვეძებთ. ანუ, შენ, მარკსა და დოქტორ ჰანტს, მაგრამ ჰანტს ალიბი აქვს.

დემიენმა ხელი მოსწავლესავით ასწია.

- ალიბი ხომ მეც მაქვს.

მან იმედიანად შემოგვხედა, მაგრამ ჩვენ თავი გადავაქნიეთ.

- მაპატიე, - თქვა კესიმ, - ღამით დედაშენს ეძინა და ამაზე თავს ვერ დადებს, თანაც ხომ იცი, დედები... - მან გაიღიმა და მხრები აიჩეჩა, - ცხადია, დედაშენის სიტყვების სამართლიანობაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ ისინი, ჩვეულებრივ, ყველაფერზე მიდიან გასაჭირიდან შვილის დასახსნელად. ღმერთი დალო-

---

[120] ბინგო - ლოტოს მსგავსი პოპულარული აზარტული თამაში; შეძახილი გამარჯვებისას.

ცავს მათ, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ეს ნიშნავს, რომ მის სიტყვებს ვერ ვენდობით.

- მარკსაც იგივე პრობლემა აქვს, - ვთქვი მე, - მელი ამბობს, ღამით ჩემთან იყოო, მაგრამ შეყვარებულია, შეყვარებულები კი თითქმის ისეთივე არასანდოები არიან, როგორიც დედები.

- ასე რომ, დემიენ, თუ რამე გაქვს სათქმელი, ახლა სწორედ ამის დროა.

დუმილი. მან ქილიდან სასმელი მოსვა, უცოდველი ცისფერი თვალებით შემოგვხედა და მხრები აიჩეჩა.

- კარგი, - თავი დავუქნიე მე, - მინდა, რაღაცას შეხედო.

აუჩქარებლად დავიწყე საქაღალდეში ქექვა - დემიენი ჩემს ხელებს თვალს არ აცილებდა - და ფოტოსურათების დასტა ამოვიღე. სანამ მაგიდაზე მის წინ დავაწყობდი, სათითაოდ ვიღებდი მათ, დიდხანს ვათვალიერებდი და დემიენს ლოდინს ვუხანგრძლივებდი.

- ქეითი და მისი დები გასულ შობას, - განვუმარტე მას.

ხელოვნური ნაძვის ხე, წითლად და მწვანედ აციმციმებული; ხავერდის ლურჯ ქვედაკაბაში გამოწყობილი როზალინდა ეშმაკური ღიმილით გადახვევია ტყუპს. მოცინარ ქეითს ხელოვნური, თეთრი ჯუბაჩა აცვია, ჯესიკას - ჩალისფერი. ისიც იღიმება, ოღონდ თავდახრილი, გაუბედავად, როგორც ჯადოსნურ სარკეში არეკლილი გამოსახულება. დემიენს უნებურად გაეღიმა.

- ქეითი ოჯახურ პიკნიკზე, ორი თვის წინათ, მწვანე მდელოზე, სენდვიჩით.

- რა ბედნიერია, არა? - მკითხა კესიმ, - საბალეტო სკოლაში შესვლას აპირებდა, მისთვის ყველაფერი ახლიდან იწყებოდა... იცი, მიხარია, რომ ბედნიერი იყო, სანამ...

ფოტოსურათი დანაშაულის ადგილიდან: სამსხვერპლო ქვაზე გართხმული გოგონა.

- ქეითი, როდესაც მას შენ მიაგენი. გახსოვს?

სკამზე მჯდარი დემიენი შეინძრა, მაგრამ თავი ხელში აიყვანა და გაყუჩდა.

კიდევ ერთი ფოტო დანაშაულის ადგილიდან, ახლოდან გადაღებული: სახეზე შემხმარი სისხლი, გახელილი თვალი.

- იმავე ადგილას: იქ, სადაც მკვლელმა დატოვა.

პროზექტურაში გადაღებული ფოტოსურათი.

- ქეითი მომდევნო დღეს.

დემიენმა მოკლედ ამოისუნთქა. ჩვენ მას ყველაზე საშინელი სურათი ვუჩვენეთ: თავის ქალიდან ნახევრად ამძვრალი სახე, ვიღაცის ხელთათმნიანი ხელი ყურთან ჩამტვრეულ ადგილზე მიუთითებს, ერთმანეთზე მიკრული თმა, ძვლის ნატეხები.

- ძნელია ამის ყურება? - თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა კესიმ.

იგი თითებით შეეხო ბოლო ფოტოსურათს, ქეითის ლოყას, და დემიენს შეხედა.

- დიახ, - გაჭირვებით თქვა ახალგაზრდა კაცმა.

- ჩემი აზრით, - ვთქვი მე, სკამზე გადავწექი და სურათზე თითი დავაკაკუნე, - პატარა გოგოს ასე მხოლოდ შეშლილი თუ მოექცეოდა. უტვინო ცხოველი, რომელსაც უმწეო ბავშვების წვალება მოსწონს... მაგრამ მე მხოლოდ დეტექტივი ვარ. აქ დეტექტივი მედოქსიცაა, იგი ფსიქოლოგიას სწავლობდა. დემიენ, იცი, ვინ არის პროფილისტი?

მან თავი გადააქნია. მზერა ფოტოსურათებისთვის მიეპყრო, მაგრამ მეეჭვება, რომ ხედავდა.

- სპეციალისტი, რომელიც დამნაშავის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ადგენს. დეტექტივი მედოქსი ჩვენი ოფიციალური პროფილისტია და მას საკუთარი თეორია აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ადამიანს შეეძლო ამის ჩადენა.

- დემიენ, - თქვა კესიმ, - აი, რისი თქმა მინდა შენთვის: თავიდანვე ვფიქრობდი, რომ ეს დანაშაული იმ ადამიანმა ჩაიდინა,

რომელსაც ამის გაკეთება არ უნდოდა. იგი მოძალადე არ არის, არც მკვლელია, არც ტკივილის მიყენება უყვარს. უბრალოდ, იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო. არჩევანი არ ჰქონდა. ამას გამოძიების პირველივე დღიდან ვამბობდი.

- მართალია, - დავუდასტურე მე, - ეს ყველას ბოდვა გვეგონა, მაგრამ იგი მტკიცედ იცავდა საკუთარ პოზიციას: არც ფსიქოპათია, არც სერიული მკვლელი და არც პედოფილიო, - დემიენს სახე შეუტოკდა, - ამაზე რას ფიქრობ, დემიენ? ვის შეეძლო მისი მოკვლა - ავადმყოფ ნაძირალას თუ ადამიანს, რომელსაც ცუდი არავისთვის უნდოდა?

დემიენმა მხრების აჩეჩა სცადა, მაგრამ დაძაბულობისგან ისე გაშეშებოდა, რომ ამის ნაცვლად, გროტესკული ჟესტი გამოუვიდა. წამოვდექი, მაგიდას ნელა შემოვუარე და კედელს მივეყრდენი.

- ცხადია, დანამდვილებით არ ვიცით, სანამ თვითონ არ გვეტყვის, მაგრამ, მოდი, ერთი წუთით დავუშვათ, რომ დეტექტივი მედოქსი მართალია. რაც უნდა იყოს, პროფესიულად სწავლობდა ფსიქოლოგიას და მზად ვარ ვაღიარო, რომ ამ საკითხში ჩემზე უკეთ ერკვევა. დავუშვათ, კაცი მოძალადე არ არის და არავის მოკვლა არ უნდოდა. უბრალოდ, ასე გამოვიდა.

დემიენი გაიტრუნა.

- ასეთებს უწინაც შევხვედრივარ. იცი, რა ემართებათ მათ შემდეგ, დემიენ? ცოცხალ ლეშად გადაიქცევიან. ამასთან ერთად ვეღარ ცხოვრობენ. ბევრ ასეთ ახალგაზრდას ვიცნობ.

- ჩვენ გვესმის, ეს რა მძიმეა, - რბილად განაგრძო კესიმ, - ვიცით, რაც მოხდა, და დამნაშავემაც იცის, რომ ვიცით, მაგრამ აღიარების ეშინია. ჰგონია, ციხეში მოხვედრა ყველაზე ცუდია, რაც მას შეიძლება შეემთხვეს, მაგრამ ცდება. ვინაიდან მთელი დარჩენილი ცხოვრება იმ შეგრძნებით გაიღვიძებს, თითქოს ეს

ყველაფერი გუშინ მოხდა. კოშმარული სიზმრები გააწამებს. იმედოვნებს, რომ დრო გავა და გაუვლის, მაგრამ აქაც ცდება.

- ადრე იქნება თუ გვიან, - დავამატე მე, - ნერვული აშლილობა დაემართება და დარჩენილ სიცოცხლეს შეშლილთა საკანში გაატარებს წამლებით გაჭყეპილი და ტვინგადაბრუნებული. ან გისოსებს თოკს გამოაბამს და თავს ყულფში გაყოფს. ხშირად, დემიენ, ძალიან ხშირად, ისინი იმასაც კი ვერ აიძულებენ საკუთარ თავს, დილამდე მაინც გაძლონ.

ცხადია, სისულელეს ვამბობდი. რამდენიმე ათეული გაუხსნელი დანაშაულიდან მხოლოდ ერთი შემთხვევა ვიცოდი, როდესაც ბოროტმოქმედმა სიცოცხლე მოისწრაფა, და ისიც ფსიქიკურად დაავადებული იყო და წამალს არ სვამდა. უმრავლესობა კი ისე განაგრძობდა ცხოვრებას, თითქოს არაფერი მომხდარაო, მუშაობდნენ, ლუდხანაში დადიოდნენ, შვილები ზოოპარკში დაჰყავდათ, და თუ სინდისის ქენჯნა შეაწუხებდათ, ამას თავისთვის ინახავდნენ. ბევრზე უკეთ მესმოდა, რომ ადამიანი ამქვეყნად ყველაფერს ეჩვევა. ის, რაც თავიდან წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, თანდათანობით დასაშვები, ბოლოს კი ცხოვრების ნორმა ხდებოდა. მაგრამ ქეითი მხოლოდ ერთი თვის წინათ მოკვდა და დემიენს ამის გასაცნობიერებლად დრო არ ჰქონდა. სკამზე იჯდა, ხელში ქილა ეჭირა და ისე სუნთქავდა, თითქოს თითოეული სიტყვა ტკივილს აყენებდა.

- იცი, ვინ უძლებს ამ ყველაფერს და ვინ ცოცხლობს, დემიენ? - თქვა კესიმ. იგი მაგიდაზე გადაიხარა და მას ხელზე ხელი დაადო, - ის, ვინც აღიარებს. ის, ვინც პატიმრობის ვადას იხდის. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი ციხიდან გამოდიან და ცხოვრებას აგრძელებენ. თვალის დახუჭვისას მსხვერპლის სახე წინ აღარ უდგათ. ყოველდღე, ყოველ წუთს იმის არ ეშინიათ, რომ ხელს სტაცებენ და დააპატიმრებენ. პოლიციელის დანახვისას და კარზე დაკაკუნებისას შიშით არ კრთებიან. დამიჯერე: საბო-

ლოოდ, მხოლოდ ეს ადამიანები არიან ჭეშმარიტად თავისუფალი.

დემიენს ისე ძლიერ ჩაებღუჯა ქილა, რომ ტკაცატკუცი აუყენა. შევკრთით.

- დემიენ, რაც ითქვა, შენთვის ნაცნობი თემაა? - ჩუმად შევაპარე მე.

მთელი საუკუნე გავიდა, სანამ თავს დახრიდა.

ეს სუსტი, თითქმის შეუმჩნეველი თავის დაქნევა იყო.

- გინდა, დარჩენილი ცხოვრება მასთან ერთად გაატარო?

კესიმ გასამხნევებლად ხელი მოუჭირა, მაგრამ მაშინვე უკან წაიღო - არ უნდა გადაეჭარბებინა.

- შენ ქეითის მოკვლა არ გინდოდა, ხომ ასეა? - წყნარად ჰკითხა მან, - უბრალოდ, ასე გამოვიდა.

- დიახ, - მან ეს ძალზე ხმადაბლა წაიჩურჩულა, მაგრამ მაინც გავიგონე. ისე გაფაციცებით ვუსმენდი, რომ მისი გულისცემაც კი მესმოდა, - ასე გამოვიდა.

წამით ოთახი შეიკუმშა და წერტილად იქცა, თითქოს უხმაურო აფეთქებამ მისგან მთელი ჰაერი განდევნა. გაუნძრევლად ვისხედით. დემიენს ხელები მოუდუნდა, ქილა, რომელიც ეჭირა, ნელ-ნელა ჩაცურდა და მაგიდას ხმაურით დაენარცხა. გაჩახჩახებულ ნათურას მისი ხუჭუჭი თმა ბაც ბრინჯაოსფრად შეეღება. შემდეგ ოთახი კვლავ გაივსო ჰაერით და გამოცოცხლდა.

- დემიენ ჯეიმზ დონელი, - წარმოვთქვი კვლავაც კედელთან მდგარმა. შემეძლო მივახლოებოდი, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ნაბიჯის გადადგმას შევძლებდი, - ამ წუთიდან დაპატიმრებული ბრძანდებით. ეჭვმიტანილი ხართ იმაში, რომ ამა წლის ჩვიდმეტ აგვისტოს ნოკნარიში, დუბლინის საგრაფოში, მკვლელობა ჩაიდინეთ - ქეით დევლინი მოკალით.

21 თავი

დონელი კანკალს აეტანა. ჩვენ ფოტოსურათები ავიღეთ და ცხელი ჩაი მოვუტანეთ, შევთავაზეთ, რომ დარჩენილ პიცას შევუთბობდით და სადმე თბილ ჯემპრს მოვუძებნიდით, მაგრამ ის მხოლოდ უსიტყვოდ აქნევდა თავს და არ გვიყურებდა. დემიენს თვალს ვერ ვაცილებდი. ლამის ჭკუაზე შევიშალე, როდესაც საკუთარ ბავშვობას ვიხსენებდი, უღრან ტყეშიც შევედი, კარიერაც საფრთხეში ჩავაგდე, კინაღამ მეწყვილეც დავკარგე, და ვისთვის? - ამ პატარა ბიჭისთვის.

კესიმ მას მისი უფლებები აუხსნა. ეს ისე წყნარად და ფრთხილად გააკეთა, თითქოს დემიენი მკვლელი კი არა, უბედური შემთხვევის მსხვერპლი იყო. გავიტრუნე, მაგრამ მან ადვოკატის აყვანაზე უარი განაცხადა.

- რა აზრი აქვს? თქვენ ყველაფერი იცით, ადვოკატი რას უშველის... ციხეში გამგზავნიან, არა? პირდაპირ ციხეში?

კბილებს აკაწკაწებდა. აშკარად ჩაიზე მაგარი სასმელი სჭირდებოდა.

- ახლა ამაზე არ იფიქრო, კარგი? - დამამშვიდებელი კილოთი უთხრა კესიმ. შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, საკმაოდ უცნაური შეთავაზება იყო, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, დემიენი ცოტათი მაინც დააწყნარა, - უბრალოდ, დაგვეხმარე, ჩვენ კი ვეცდებით, შენ დაგეხმაროთ.

- მე არ... თქვენ სწორად თქვით, ცუდს არაფერს ვაპირებდი. გეფიცებით, - იგი კესის ისე შეჰყურებდა, თითქოს მისი სიკვდილ-სიცოცხლის ბედს ის განაგებდა, - თქვენ მათ ამას ეტყვით, არა? ხომ ეტყვით მოსამართლეს? მე არც შეშლილი ვარ და არც სერიული მკვლე ლი... ანუ... ასეთი არა ვარ. მისთვის ტკივილის მიყენება არ მინდოდა, გეფიცებით, არ მინდოდა, არა...

- ჰო, ჰო, ვიცი, - კესიმ კვლავ აიღო მისი ხელი და მოეფერა, - ნუ ღელავ, დემიენ, ყველაფერი კარგად იქნება. ყველაზე ცუდი უკვე უკან მოიტოვე. ახლა მხოლოდ ის უნდა მოგვიყვე, ეს როგორ მოხდა. გააკეთებ ამას ჩემთვის?

დემიენმა რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა და თავი მტკიცედ დააქნია.

- ყოჩაღ, - შეაქო კესიმ, მხარზე ხელი მოუთათუნა და ნამცხვარი მისცა.

- ჩვენ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ, დემიენ, - ვთქვი მე და სკამი მივიჩოჩე, - ნაბიჯ-ნაბიჯ. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

- რა? - იკითხა მან პაუზის შემდეგ, თითქოს შეკითხვამ დააბნიაო, - მე... რა?

- შენ თქვი, რომ მისთვის ტკივილის მიყენება არ გინდოდა. მაშ, ასე რატომ მოხდა?

- მე არ... ანუ... ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ. არ მახსოვს. შეიძლება, იმ საღამოს შესახებ მოგიყვეთ?

მე და კესიმ ერთმანეთს გადავხედეთ.

- კარგი, - დავეთანხმე, - იმ მომენტიდან დაიწყე, როდესაც ორშაბათს მუშაობა დაამთავრე. შემდეგ რას აკეთებდი?

ვხვდებოდით, რომ დემიენი რაღაცას მალავდა. პრობლემა ცუდი მეხსიერება და ვერგახსენება არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ ჩავაჟინდებოდით, შესაძლოა, ხმა აღარ ამოეღო და ადვოკატი მოეთხოვა.

- მე... - დემიენმა მხრები შეარხია, ღრმად ამოისუნთქა და გამოცდაზე გასულ მოსწავლესავით ხელისგულები მუხლებს შორის მოიქცია, - შინ ავტობუსით წავედი. დედასთან ერთად ვივახშმე, შემდეგ სქრაბლი[121] ვითამაშეთ. მას უყვარს სქრაბლის თა-

---

[121] სქრაბლი - ერთგვარი სამაგიდო თამაში სიტყვების შედგენაზე.

მაში. დედაჩემს გული აწუხებს... ერთი სიტყვით, დასაძინებლად ათ საათზე დაწვა, როგორც ყოველთვის. მე ჩემს ოთახში ველოდებოდი, როდის დაიძინებდა... ხვრინვას ამოუშვებდა და შევძლებდი... კითხვა ვცადე, მაგრამ ყურადღების მოკრება მიჭირდა, რადგან...

მან კვლავ ააკაწკაწა კბილები.

- ჩუმად, ჩუმად, - დაუყვავა კესიმ, - ყველაფერი კარგადაა. განაგრძე.

დემიენმა თითქოს ამოისლუკუნა და თავი დააქნია.

- სახლიდან რომელ საათზე გახვედი? - ვკითხე მე.

- თერთმეტზე. გათხრების ადგილას დავბრუნდი... ის ჩემი სახლიდან რამდენიმე მილითაა დაშორებული, მაგრამ ავტობუსი იქ მისვლას დიდ დროს ანდომებს, ვინაიდან ჯერ მთელი ქალაქი უნდა მოიაროს. თემშარას მივუყვებოდი, რათა დასახლებაზე არ გამევლო. მართალია, გზად კოტეჯი შემხვდებოდა, მაგრამ ძაღლი მცნობდა. ვუთხარი, კარგი ძაღლი ხარ, ლედი-მეთქი და არ დამიყეფა. ბნელოდა, თუმცა თან პატარა ფარანი მქონდა. ინსტრუმენტების ქოხში შევიარე და... ხელთათმანს მივაგენი, ჩავიცვი და... ის ავიღე, - მან ნერწყვი გადაყლაპა, - დიდი ქვა ავიღე. იქვე ეგდო, მინდვრის კიდეზე. შემდეგ საცავისკენ გავემართე.

- რომელი საათი იყო? - ვკითხე მე.

- შუაღამე იქნებოდა.

- ქეითი როდის მოვიდა?

- შევთანხმდით, რომ... - დემიენმა თვალები აახამხამა და თავი მხრებში ჩარგო, - ზუსტად პირველი საათისთვის შევთანხმდით, მაგრამ ადრე მოვიდა, თხუთმეტი წუთით ადრე. როდესაც კარზე დააკაკუნა, კინაღამ გული გამიჩერდა.

მას ეშინოდა გოგონასი! მისთვის სილის გარტყმა მომინდა.

- და შენ შეუშვი.

- დიახ... შოკოლადის ნამცხვარი მოიტანა. ალბათ, სახლიდან წამოიღო. ერთი ცალი მე მომცა, მაგრამ ჭამა არ შემეძლო და ჯიბეში ჩავიდე, ის კი თან ჭამდა და თან საბალეტო სკოლასა და კიდევ რაღაცაზე მიყვებოდა... რამდენიმე წუთი გავიდა... შემდეგ ვუთხარი: "აი, იქ ნახე, თაროზე". იგი შეტრიალდა. მე კი... ჩავარტყი. ქვა ჩავარტყი. კეფაში. დიახ, ჩავარტყი.

დემიენი ისე ლაპარაკობდა, თითქოს საკუთარი თავის არ სჯეროდა. გუგები გაფართოებოდა, თვალები გაშავებოდა.

- რამდენჯერ?

- არ ვიცი. მე... ღმერთო ჩემო... ეს აუცილებელია? ხომ ვთქვი, დავარტყი-მეთქი, ნუთუ არ შეიძლება, რომ მხოლოდ... მხოლოდ...

იგი ფრჩხილებით მაგიდის კიდეს ჩააფრინდა.

- დემიენ, - წყნარად, მაგრამ მტკიცედ თქვა კესიმ, - ჩვენ ყველა დეტალი უნდა ვიცოდეთ.

- კარგი, კარგი, - მან ნიკაპი ხელით მკვეთრად მოისრისა, - ერთხელ დავარტყი, მაგრამ, როგორც ჩანს, არასაკმარისად ძლიერად, ვინაიდან იატაკზე დაეცა, შემდეგ კი... შემდეგ მოტრიალდა და პირი დააღო, თითქოს დაყვირება სურდა, ასე რომ, მე... მე ხელი ვტაცე. იმის თქმა მინდა, რომ მეშინოდა, ძალიან მეშინოდა, არ დაეყვირა... - დემიენი სულ უფრო სწრაფად და გაუგებრად ლაპარაკობდა, - პირზე ხელი ავაფარე და კიდევ ვცადე დარტყმა, მაგრამ ხელები ჩამავლო, კაწვრა, რტყმა და მისთანები დამიწყო. იატაკზე ვიწექით და სიბნელეში ვერაფერს ვხედავდი, რადგან ფარანი მაგიდაზე დამრჩა, შუქი კი არ ამინთია. ვცდილობდი, დამეჭირა, ის კი კარისკენ მიიწევდა, იკლაკნებოდა, მეწინააღმდეგებოდა... არ მეგონა, ამდენი ღონე თუ ჰქონდა, ვინაიდან...

დემიენი გაჩუმდა და იატაკს ჩააშტერდა. სწრაფად და არათანაბრად სუნთქავდა.

- ვინაიდან ასეთი პატარა იყო, - გულგრილად დავასრულე მის ნაცვლად.

მან პირი დააღო, მაგრამ არაფერი უთქვამს. სახე გაუმწვანდა, ჭორფლი უფრო მკვეთრად დაეტყო.

- თუ გინდა, შევისვენოთ, - შესთავაზა კესიმ, - მაგრამ, ადრე თუ გვიან, ამის მოყოლა მაინც მოგიწევს.

დონელიმ თავი გადააქნია და თქვა:

- არა, ნუ შევისვენებთ. მხოლოდ ის მინდა... კარგად ვარ.

- შესანიშნავია, - ვთქვი და თავი დავუქნიე, - თუ ასეა, განვაგრძოთ. შენ პირზე ხელი ააფარე, ის კი გეწინააღმდეგებოდა.

- დიახ, მართალია, - დემიენმა ხელები ჯემპრის სახელოებში ღრმად შეიყო, - იგი მუცელზე გადაბრუნდა და კარისკენ გაფოფხდა, მე კი კვლავ დავარტყი - თავში, ოღონდ გვერდიდან. ამჯერად უფრო ღონივრად, - არ ვიცი, შესაძლოა, ადრენალინმა იმოქმედა, - ვინაიდან მაშინვე გაყუჩდა. უგონოდ დაეცა. თუმცა მაინც სუნთქავდა და ხმამაღლა კვნესოდა. მაშინ მივხვდი, რომ უნდა... მაგრამ ვეღარ დავარტყამდი, არ შემეძლო. მე არ... - მან სუნთქვას მოუხშირა, - მე... არ მინდოდა... ტკივილი მიმეყენებინა.

- როგორ მოიქეცი?

- თაროზე პოლიეთილენის პარკები ეწყო. ნაპოვნი ნივთებისთვის. ერთ-ერთი ავიღე, თავზე ჩამოვაცვი და ასე მეჭირა, სანამ...

- სანამ რა?

- სანამ სუნთქვა არ შეწყვიტა, - წყნარად დაასრულა დემი ენმა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ქარი უსტვენდა სა ვენტი ლაციო ხვრელში და წვიმის ხმაური ისმოდა.

- შემდეგ?

- შემდეგ? - დემიენს თავი აუცახცახდა, მზერა ჩაუქრა, უსინათლოს დაემსგავსა, - წამოვაყენე. სახლში ვერ დავტოვებდი, მიაგნებდნენ, გადავწყვიტე, მინდორში წამეღო. ის... ყველგან სისხლი მოჩანდა... ალბათ, თავის გამო. პაკეტი აღარ მომიხსნია, რათა სისხლი აღარ გამოსულიყო. როდესაც ბანაკიდან გავედი, ტყეში შუქი და კოცონი დავინახე. იქ ვიღაც იყო. ძალიან შემეშინდა, ფეხზე ძლივს ვიდექი, კინაღამ გვამი გამივარდა... იქნებ დამინახეს-მეთქი? - მან უმწეოდ ასწია ხელები, ხმა ჩაუწყდა, - არ ვიცოდი, სად დამესვენებინა.

ფითხის შესახებ არაფერი უთქვამს.

- მერედა, რა მოიფიქრე?

- კვლავ ბანაკში წავიღე. ინსტრუმენტების სახლში ბრეზენტი გვქონდა, ძლიერი წვიმის დროს გათხრების ადგილს ვაფარებდით. გვამი მასში გავახვიე... არ მინდოდა... მწერები და მისთანები... - მან ნერწყვი გადაყლაპა, - შემდეგ გვამი დავმალე. თავდაპირველად ვიფიქრე, სადმე მიწაზე ხომ არ დავდო-მეთქი, მაგრამ ეს როგორღაც... აქ მელიები დაძრწიან, ვირთხებიც, სხვა ცხოველებიც... შესაძლოა, დიდი დრო გასულიყო, სანამ მიაგნებდნენ. და საერთოდ, ასე მიტოვებაც არ მინდოდა... მაშინ ცუდად ვაზროვნებდი. ვიფიქრე, იქნებ ხვალ მომივიდეს თავში რამე აზრი-მეთქი...

- შინ დაბრუნდი?

- არა... ჯერ საცავში ყველაფერი გავწმინდე. სისხლს ვგულისხმობ. ის ყველგან იყო - იატაკზე, საფეხურებზე, ფეხსაცმელზე, ჩექმებზე... ვედროში წყალი ჩავასხი და მუშაობას შევუდექი, თან წამდაუწუმ ვჩერდებოდი, რადგან... ეს სუნი... მეშინოდა, არ ვაღებინო-მეთქი.

დემიენმა ისე შემოგვხედა, თითქოს თანაგრძნობას ელოდა.

- ჰო, ეს საშინელება იქნებოდა, - გაგებით თქვა კესიმ.

- დიახ, ასე იყო, - დემიენმა მადლიერებით შეხედა მას, - საშინელება. დრო ძალიან ნელა გადიოდა. მეგონა, მალე გათენდებოდა და ბიჭები მოვიდოდნენ, ამიტომ ვჩქარობდი. ზოგჯერ ვფიქრობდი, ეს ყველაფერი კოშმარული სიზმარია და ახლა გამეღვიძება-მეთქი. შემდეგ თავბრუ დამესხა და... თითქმის ვერაფერს ვხედავდი, ვინაიდან ფარანს ვერ ვანთებდი: მეშინოდა, ტყეში მყოფი ხალხი არ მოსულიყო და ყველაფერი არ ენახა... ბნელოდა, ყველგან სისხლი ეცხო. როგორც კი რამე გახმაურდებოდა, მეგონა, მოვკვდებოდი, მართლა მოვკვდებოდი... გამუდმებით ისეთი ხმა ისმოდა, თითქოს ვიღაც სახლის კედლებს ფხაჭნიდა. ერთხელ კარს მიღმა ფშვინვაც კი მომესმა. ვიფიქრე, ლედი იქნება-მეთქი, მაგრამ ის დაბმული იყო, - ასე რომ, კინაღამ... ღმერთო ჩემო, ეს რა იყო...

იგი გაჩუმდა და თავი გადააქნია.

- მაგრამ შენ მაინც ყველაფერი გაწმინდე, - ვთქვი მე.

- დიახ. როგორც შემეძლო. არაქათი აღარ მქონდა, გესმით? ქვა ბრეზენტის უკან დავმალე, გოგონას პატარა ფარანიც იქ მოვათავსე. როდესაც გადასაფარებელი ავწიე, ჩრდილი უცნაურად ამოძრავდა და მომეჩვენა, რომ... ის იყო. ღმერთო ჩემო...

დემიენს სახეზე კვლავ მწვანე ფერმა გადაჰკრა.

- მაშასადამე, ქვა და პატარა ფარანი ინსტრუმენტების სახლში დატოვე, - ჩავილაპარაკე მე.

ფითხის შესახებ კვლავაც არაფერი უთქვამს. ეს არცთუ ძალიან მაწუხებდა: თუკი რომელიმე დეტალს გამოტოვებდა, ამას შემდგომში მის წინააღმდეგ გამოვიყენებდით.

- დიახ. ხელთათმანები გავრეცხე და პაკეტში ჩავაბრუნე. ორივე სახლი დავკეტე და... შინ წავედი.

დემიენი ატირდა.

დიდხანს ტიროდა და შეკითხვებზე პასუხის გაცემის თავი არ ჰქონდა. კესი გვერდით ეჯდა, ხელზე ეფერებოდა, ჩურჩულით

ამშვიდებდა და ქაღალდის ხელსახოცებს აწვდიდა. ბოლოს დონელის თავზემოდან მისი მზერა დავიჭირე. თავი დამიქნია. მარტო დავტოვე და ო ’ კელისკენ გავემართე.

- ის პატარა დედიკოს ბიჭი? - შესძახა მან და წარბები ასწია, - დალახვროს ეშმაკმა. ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ამას შეძლებდა. მე ჰენლიზე ვფიქრობდი. სხვათა შორის, ახლახან წავიდა. ო ’ ნილს განუცხადა, შენი შეკითხვები უკან გაიკეთეო, და გავარდა. კიდევ კარგი, რომ დონელიც ასე არ მოიქცა. ახლა უკვე შემიძლია, პროკურორისთვის მოხსენებითი ბარათი დავწერო.

- ჩვენ მისი სატელეფონო ზარები და ფინანსური დოკუმენტები გვჭირდება, - ვთქვი მე, - გარდა ამისა, სხვა არქეოლოგები, მეგობრები და სკოლის ამხანაგები უნდა დავკითხოთ, ყველა, ვინც მას იცნობდა. მოტივის შესახებ ჯერ არაფერს ამბობს.

- მოტივი რა ჯანდაბად გვინდა? - ჩაიბურტყუნა ო ’ კელიმ მოჩვენებითი გაღიზიანებით, მაგრამ ვიცოდი, რომ კმაყოფილი იყო.

წესით, მეც უნდა გამხარებოდა, მაგრამ ამას რატომღაც ვერ ვგრძნობდი. როდესაც ვოცნებობდი, როგორ გავხსნიდი ამ საქმეს, ყველაფერი სხვაგვარად წარმომედგინა. მოვლენა, რომელიც ჩემი კარიერის ტრიუმფად უნდა ქცეულიყო, არცთუ ამაღელვებლად და ცოტა დაგვიანებულად გამოიყურებოდა.

- ამ საქმეში - გვინდა, - ვუთხარი მე. ო ’ კელი ერთ რამეში მართალი იყო: როდესაც დანაშაულის ფაქტი დამტკიცებულია, მოტივის ჩვენება აუცილებელი არაა. მაგრამ ტელევიზიის ეპოქაში აღზრდილ ნაფიც მსაჯულებს ის ყოველთვის აინტერესებდათ, რაშიც მათ სრულად ვეთანხმებოდი, - სასტიკი დანაშაული ბავშვის წინააღმდეგ - და უმიზეზოდ? დაცვის მხარე გონებრივ არასრულფასოვნებას დაიჟინებს, მაგრამ თუ მოტივს დავადგენთ, არაფერი გამოუვათ.

ო ’ კელიმ ამოიხვნეშა.

- მართალი ხარ. კარგი, ორიოდე კაცს გამოვნახავ დაკითხვისთვის, ახლა კი წადი და ბოლომდე გამოწურე. ჰო, მართლა, რაიან, - მომაძახა, როდესაც უკვე კართან ვიდექი, - კარგი ნამუშევარია. ორივემ იყოჩაღეთ.

კესის დემიენის დამშვიდება მოეხერხებინა: ახალგაზრდა კაცი ჯერაც ცახცახებდა და შიგადაშიგ ქსუტუნებდა კიდეც, მაგრამ აღარ ტიროდა.

- შეძლებ გაგრძელებას? - ჰკითხა კესიმ და ხელზე ხელი მოუჭირა, - ბევრი აღარ დაგვრჩა. შენ ეს კარგად გამოგდის.

დემიენს სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

- დიახ, - თქვა მან, - მაპატიეთ... ახლა კარგად ვარ.

- მშვენიერია. თუ შეწყვეტა მოგინდება, მაშინვე მითხარი.

- მაშასადამე, - დავიწყე მე, - შენ შინ წახვედი. მეორე დღეს რა მოხდა?

- აჰა, მეორე დღეს, გასაგებია, - მან ამოიოხრა, - ეს ნამდვილი კოშმარი იყო. დაღლილობისგან თვალს ძლივს ვახელდი. როდესაც ვინმე ინსტრუმენტების სახლში შედიოდა, ლამის გული მიმდიოდა, არადა, ჩვეულებრივად უნდა მოვქცეულიყავი: მემხიარულა, უდარდელი სახე მიმეღო - მე კი გამუდმებით მასზე ვფიქრობდი. საღამოს კვლავაც ის გავაკეთე, რაც წინა ჯერზე: დაველოდე, როდის დაიძინებდა დედა, სახლიდან გავიპარე და გათხრების ადგილას დავბრუნდი. არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი, კვლავაც რომ შემემჩნია კოცონი, მაგრამ არც კოცონი ჩანდა და არც სინათლე.

- და შენ ინსტრუმენტების სახლისკენ გაემართე, - ვუკარნახე მე.

- დიახ. ხელთათმანი ჩავიცვი, გვამი ავიღე და... გარეთ გავიტანე. იგი... მეგონა, გაშეშდებოდა, მსმენოდა, რომ ასე ემართებათ, მაგრამ... - მან ტუჩი მოიკვნიტა, - მაგრამ არა, გაშეშებული არა, მაგრამ ძალიან ცივი იყო. არ მინდოდა, შევხებოდი.

დემიენს სახე მოებრიცა.

- მაგრამ სხვა გზა არ გქონდა.

მან თავი დამიქნია და ცხვირი მოიხოცა.

- მინდორში წავიღე და სამსხვერპლო ქვაზე დავდე. ვინაიდან იქ... მოკლედ, ვირთხები რომ არ მისწვდომოდნენ... და სწრაფად რომ მიეგნოთ, სანამ არ... ისე დავაწვინე, მძინარეს ჰგავდა. არ ვიცი, ასე რატომ მოვიქეცი. ქვა გადავაგდე, პაკეტი გავრეცხე და თავის ადგილას დავდე, მაგრამ პატარა ფარანს ვერ მივაგენი - ბრეზენტის იქით ჩამივარდა სადღაც.

- რატომ მიწაში არ ჩამარხე გვამი? - ვკითხე მე, - მაგალითად, მინდორში ან ტყეში? ეს ხომ უფრო გონივრული იქნებოდა, თუმცა ბევრს ვერაფერს შეცვლიდა.

დემიენი პირდაღებული მომაჩერდა.

- ეს თავში აზრადაც არ მომსვლია, - აღიარა მან, - მინდოდა, ყველაფერი სწრაფად დამემთავრებინა. თანაც... მხოლოდ ასე ჩამარხვა? როგორც ნაგვის?

ჩვენ კი ერთი თვის განმავლობაში თავს ვიმტვრევდით.

- მეორე დღეს, - განვაგრძე მე, - იმაზე იზრუნე, რომ გვამის პოვნა არავის დაესწრო. რატომ?

- აჰ, დიახ, - დემიენი მკვეთრად შეინძრა, - ხელთათმანი მეკეთა, ასე რომ, ანაბეჭდს არ დავტოვებდი, მაგრამ ყური მომეკრა, რომ მსხვერპლზე, შესაძლოა, ჩემი თმის ღერი ან ტანსაცმლის ძაფი დარჩენილიყო და მაინც მომაგნებდით. გადავწყვიტე, თვითონ მეპოვა. ღმერთო ჩემო, სულაც არ მინდოდა მისი დანახვა, მაგრამ... მთელი დღის განმავლობაში ბორცვზე წასვლის საბაბს ვეძებდი, თან მეშინოდა, საეჭვოდ არ გამოჩნდეს-მეთქი. თავში არაფერი მომდიოდა. ვოცნებობდი, ყველაფერი სწრაფად დასრულებულიყო. მალე მარკმა მელს სთხოვა, სამსხვერპლო ქვასთან წაემუშავა.

მან ამოიოხრა. ძალიან დაღლილი სახე ჰქონდა.

- შემდეგ... ეს გაცილებით იოლი იყო, ხომ ხვდებით? აღარ მიწევდა თავის მოკატუნება, თითქოს კარგ ხასიათზე ვიყავი.

დემიენი პირველი დაკითხვის დროს გაოგნებული ჩანდა, თუმცა არც იმდენად, რომ ეჭვი აღეძრა. ახალბედის კვალობაზე, როლს თავი კარგად გაართვა.

- როდესაც გელაპარაკებოდით... - დავიწყე მე და გავჩუმდი.

მე და კესის ერთმანეთისთვის არ შეგვიხედავს, სახეზე ნაკვთი არ შეგვტოკებია, მაგრამ თავში ერთმა და იმავე აზრმა გაგვიელვა. მიზეზი, რომლის გამოც სერიოზულად აღვიქვით ჯესიკას სიტყვები სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცზე, ის იყო, რომ დემიენმაც ის შემოგვაჩეჩა ეჭვმიტანილად.

- მაშასადამე, უცნობი და სპორტული კოსტიუმი კვალის ასაბნევად გამოიყენე?

- დიახ, - თქვა დემიენმა შეწუხებული სახით, - მაპატიეთ, მეგონა...

- დაკითხვაზე შესვენება ცხადდება, - თქვა კესიმ და ოთახიდან გავიდა.

უკან გავყევი. ვგრძნობდი, როგორ მეკუმშებოდა გული, ზურგიდან კი დემიენის შეშინებული ხმა ჩამესმოდა:

- მოიცადეთ, მოიცადეთ...

ჩვენ არც დერეფანში დავრჩენილვართ და არც შტაბში დავბრუნებულვართ - მეზობელ ოთახში შევიარეთ, სადაც სემმა მარკი დაჰკითხა. იქ უამრავი ნაგავი მოჩანდა: დაჭმუჭნილი ხელსახოცები, პლასტმასის ჭიქები, მუქი გუბე მაგიდაზე (ვიღაცას მკვეთრად გაეწია სკამი ან მუშტი დაერტყა).

- არის! - შესძახა გახარებულმა კესიმ, - ჩვენ ეს შევძელით, რობ!

მან ბლოკნოტი მაგიდაზე დააგდო და მაგრად გადამეხვია. ეს გულწრფელი, მოულოდნელად გაჩენილი აღტყინება იყო, ყოველგვარი ფარული აზრების გარეშე, მაგრამ მაინც მეხამუშა.

მართალია, დაკითხვა ძველი მეგობრებივით შეთანხმებულად, მწყობრად და გამართულად ჩავატარეთ, მაგრამ ეს მხოლოდ გამოძიების გულისთვის გავაკეთეთ, დემიენის გამოსატეხად. არ მეგონა, თუ კესი ამას ვერ გააცნობიერებდა.

- როგორც ჩანს, - ჩავიბურტყუნე მე.

- როდესაც მან, ბოლოს და ბოლოს, თქვა... ღმერთო ჩემო, მეგონა, ყბა ჩამომივარდებოდა. დღეს ზღვა შამპანური გველის, თუნდაც დაკითხვა შუაღამისას დასრულდეს, - მან ღრმად ამოისუნთქა, მაგიდაზე ჩამოჯდა და თმაზე ხელი გადაისვა, - ვფიქრობ, ახლა როზალინდას უნდა მიხედო.

მაშინვე დავიძაბე.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მას მე არ მოვწონვარ.

- ვიცი, მაგრამ რატომ უნდა მიხედოს მას ვინმემ?

კესიმ თმის წვალება შეწყვიტა და მზერა მომაპყრო.

- რობ, მან და დემიენმა ერთნაირი, მცდარი ჩვენება მოგვცეს. აქ რაღაც კავშირი უნდა არსებობდეს.

- არა, - ვთქვი მე, - ეს დემიენმა და ჯესიკამ გააკეთეს.

- შენი აზრით, ჯესიკასა და დემიენს შორის რამე არსებობს? არა, არა მგონია.

- მე ის ვიცი, რომ როზალინდამ ბოლო დროს ბევრი რამე გადაიტანა და დის მკვლელობაში მისი მონაწილეობის შანსი ნულის ტოლია, ამიტომ უაზრობაა მისი აქ მოყვანა და შეუხორცებელი ჭრილობის გაღიზიანება.

კესიმ თავი ოდნავ უკან გადასწია და ისე შემომხედა. მის თვალებში რაღაც უცნაური გაკრთა.

- როგორ ფიქრობ, - თქვა მკაფიოდ, - ეს დოყლაპია ამ საქმეს თავს მარტო გაართმევდა?

- არ ვიცი და არც მაინტერესებს, - ვგრძნობდი, რომ ო ’ კელივით ვლაპარაკობდი, მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე, - იქნებ დო-

ნელი ენდრიუსმა ან მისმა რომელიმე მეგობარმა დაიქირავა? ამით ისიც აიხსნება, თუ რატომ დუმს დემიენი მოტივის შესახებ: ეშინია, რომ მოკლავენ, თუ მათ ჩაუშვებს.

- ჰო, მაგრამ მასსა და ენდრიუსს შორის კავშირზე არაფერი მეტყველებს.

- ჯერჯერობით.

- სამაგიეროდ, მასსა და როზალინდას შორის არსებობს კავშირი.

- ნუთუ ვერ გაიგე, რა გითხარი? ჯერჯერობით-მეთქი. ო ' კელი მის ფინანსებსა და სატელეფონო ზარებს ამოწმებს. როდესაც შედეგს მივიღებთ, მაშინ მივხვდებით, ვინ ვის უკავშირდება.

- იმ დროისთვის დემიენი დამშვიდდება და ადვოკატს დაუძახებს, როზალინდა კი მისი დაპატიმრების შესახებ ახალი ამბებიდან შეიტყობს და მომზადებას მოასწრებს. ჩვენ მას ახლავე უნდა მოვკიდოთ ხელი და ორივეს მივაწვეთ, სანამ არ გავარკვევთ, რა მოხდა.

უეცრად კირნანისა და მაკკეიბის ხმები და ის თავბრუდამხვევი შეგრძნება გამახსენდა, როდესაც ჩემს გონებას რაღაც დაემართა და მხოლოდ მოწმენდილ ცისფერ ცას ვხედავდი.

- არა, - არ დავუთმე კესის, - ასე არ უნდა მოვიქცეთ. ახლა როზალინდა ძალიან მოწყვლადია, მედოქს. ნერვები დაჭიმული აქვს, დათრგუნვილია, რადგან და დაკარგა და არ იცის, ეს როგორ მოხდა. შენ კი გინდა, ქეითის მკვლელს დაუპირისპირო? დალახვროს ეშმაკმა, კესი, ასე ვერ მოვიქცევით. პასუხისმგებლობა გვაკისრია მის გამო.

- არაფერიც, - მიპასუხა კესიმ, - ეს მსხვერპლთა დახმარების განყოფილების საქმეა, ჩვენ კი ქეითის მკვლელობის საქმეს ვიძიებთ და სიმართლის დადგენა და იმის გარკვევა გვევალება, რა, როგორ და რატომ მოხდა. დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

- მაგრამ ვაითუ ჩვენი ზეწოლისგან როზალინდას დეპრესია ან ნერვული აშლილობა დაემართოს, მაშინაც ყველაფერს მსხვერპლთა დახმარების განყოფილებას მიუგდებ? ასე ხომ ცხოვრებას დავუნგრევთ! სანამ ხელში არაფერი გვიჭირავს, უმნიშვნელო თანამთხვევის გარდა, ქალიშვილს ხელი არ უნდა ვახლოთ.

- უმნიშვნელო თანამთხვევის გარდა? - კესიმ ხელები ჯიბეში მკვეთრად ჩაიყო, - მითხარი, რობ, როზალინდას ადგილას ვინმე სხვა რომ იყოს, მაშინაც ასე მოიქცეოდი?

ვიგრძენი, როგორ მომაწვა ბრაზისა და მრისხანების ტალღა. ამას უპასუხოდ ვერ დავტოვებდი.

- არა, მედოქს, არა! ამის გაფიქრებაც კი არ გაბედო! რახან ასე წავიდა საქმე, მოდი, ამას სხვა კუთხითაც შევხედოთ. შენ თავიდანვე აითვალწუნე როზალინდა, ხომ ასეა? პირველივე შეხვედრის შემდეგ ეძებდი საბაბს, რომ გასწორებოდი. ახლა ის დემიენმა მოგიგდო და ისე ეცი, როგორც ძაღლი დააცხრება ხოლმე ძვალს. ის საბრალო მეუბნებოდა, ჩემზე ბევრი ქალი ეჭვიანობსო, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ეს შენც შეგეხებოდა. როგორც ჩანს, შევცდი.

- ვეჭვიანობ?.. ღმერთო, რობ, ხომ არ გაგიჟებულხარ? ვერც მე ვიფიქრებდი, თუ ეჭვმიტანილს მხოლოდ იმიტომ დააფარებდი ხელს, რომ გეცოდება, მოგწონს ან ჩემთან დაკავშირებული რაღაც სისულელე აიკვიატე და თავში ჩაიტენე.

კესი გაწიწმატდა და ეს მსიამოვნებდა. საერთოდ, გაბრაზების დროს თავშეკავებული და ყინულივით ცივი ვარ. კესის აფეთქებასთან გამკლავება ძალზე ადვილად შემეძლო.

- გირჩევ, ხმას დაუწიო, - ვთქვი მე, - თავს ნუ ირცხვენ.

- მართლა? შენ კი მთელ განყოფილებას არცხვენ! - მან ისე გაშმაგებით ჩაიდო ბლოკნოტი ჯიბეში, რომ კინაღამ ფურცელი გახია, - მე გამოვიძახებ როზალინდა დევლინს...

- არა, ღვთის გულისთვის! ისე მოიქეცი, როგორც დეტექტივს ეკადრება, და არა შურისძიების წყურვილით შეპყრობილ ისტერიკულ გოგოს.

- მე მას გამოვიძახებ, რობ. შენ და დემიენი კი ისე მოიქეცით, როგორც მოგეპრიანოთ. თუ გინდათ, ერთმანეთს უკანალი აულოკეთ, ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი...

- აჰა, აი, შეურაცხყოფაც დაიწყო, - ვთქვი მე, - ნამდვილი პროფესიონალივით იქცევი.

- ღმერთმანი, რობ, რა ხდება შენს თავში? - მიღრიალა კესიმ.

იგი ოთახიდან გავარდა და კარი გაიჯახუნა. დერეფნიდან მისი ფეხის ხმა მომესმა.

ერთხანს დავყოვნდი, რათა თვალს მოჰფარებოდა, და მოსაწევად გასვლა გადავწყვიტე. დემიენი პატარა აღარ იყო და ბღავილს არ ატეხდა. ბინდდებოდა. კოკისპირულად წვიმდა. ქურთუკის საყელო ავიწიე, მოვიბუზე და გარეთ გავედი. ხელები მიკანკალებდა. მე და კესის ადრეც გვიჩხუბია: მეწყვილეები ამაში შეყვარებულებს ჰგვან ან. ერთხელ ისე გავაბრაზე, რომ მაგიდას მუშტი მთელი ძალით დასცხო და ხელი იტკინა. ერთმანეთს ორი დღე არ ველაპარაკებოდით, მაგრამ მაშინაც კი არ ყოფილა ასე.

სიგარეტი ბოლომდე არ მომიწევია, გადავაგდე და შენობაში დავბრუნდი. გულის სიღრმეში მინდოდა, დემიენი ციხეში გამეშვა და შინ წავსულიყავი. დაე, კესის თვითონ გაერკვია, სად გავქრით, მაგრამ საკუთარ თავს ასეთი ფუფუნების უფლებას ვერ მივცემდი. დემიენის მოტივი უნდა დამედგინა, თანაც მანამ, სანამ კესი როზალინდას მოიყვანდა და მიკერძოებულად დაჰკითხავდა.

დემიენმა თანდათან გააცნობიერა, რა ხდებოდა. მოუსვენრად წრიალებდა, ფრჩხილებს იკვნეტდა, განუწყვეტლივ რაღაცას მეკითხებოდა: "შემდეგ რა მოხდება?" "ციხეში ჩამსვამენ,

არა?" "დიდი ხნით?" "თუ დედაჩემს გულის შეტევა დაემართება, ვერ გადაიტანს... ციხე მართლა საშინელებაა, როგორც ეს ტელევიზორში ჩანს?" ვიმედოვნებდი, რომ "ოზის ციხე"[122] ნანახი არ ჰქონდა - მისთვის ასე ჯობდა.

როგორც კი სიტყვას მოტივზე გადავუკრავდი, დემიენი პირში წყალს იგუბებდა: აქეთ-იქით იყურებოდა და მარწმუნებდა, არაფერი მახსოვსო. როგორ ჩანს, კესისთან შელაპარაკებამ რიტმიდან ამომაგდო, ყურადღების მოკრებას ვერ ვახერხებდი და არაფერი გამომდიოდა: დემიენი დუმდა, მაგიდას დასჩერებოდა და თავს აქნევდა.

- კარგი, - ვთქვი ბოლოს, - მოდი, შენს წარსულზე ვისაუბროთ. მამა ცხრა წლის წინათ გარდაგეცვალა, არა?

- დიახ, - დემიენი გაფაციცდა და თავი ასწია, - თითქმის ათი წლის წინათ. ოქტომბერში წლისთავი იქნება. როდესაც დაკითხვას დავასრულებთ, გირაოს სანაცვლოდ გამათავისუფლებენ?

- გირაოს საკითხს მოსამართლე წყვეტს. დედაშენი მუშაობს?

- არა. უკვე გითხარით, ავადმყოფობს-მეთქი... - მან ხელი ჩაიქნია, - ინვალიდია. მამამ მიგვატოვა... ღმერთო ჩემო, დედაჩემი! - დემიენი მკვეთრად გაიმართა, - ის ახლა, ალბათ, ლამის ჭკუაზე იშლება... რომელი საათია?

- ნუ დარდობ. ჩვენ უკვე დავუკავშირდით და ვუთხარით, რომ გამოძიებაში გვეხმარები. მამაშენს ფული რომც დაეტოვებინა, ჩვენს დროში მაინც ძნელია თავის გატანა.

- რა?.. არა, ამ მხრივ, არაფერი გვიჭირს.

- და მაინც, - არ მოვეშვი მე, - ვინმეს შენთვის დიდი თანხის სანაცვლოდ დავალების შესრულება რომ შეეთავაზებინა, მაცდუნებელი წინადადება იქნებოდა, არა?

---

[122] "ოზის ციხე"- ამერიკული ტელესერიალი, რომელშიც მოქმედება ციხეში ხდება.

"ჯანდაბას სემი! ჯანდაბას ო ' კელი! თუ დემიენი რედმა დაიქირავა, ეს უნდა ვიცოდე".

გულწრფელად გაოცებულმა დემიენმა წარბები ასწია.

- რა?

- ვიცნობ ხალხს, რომელთაც უამრავი მიზეზი აქვთ დევლინების ოჯახთან ანგარიშის გასასწორებლად. პრობლემა ისაა, რომ ბინძურ საქმეში ხელების გასვრა არ სურთ. მათ დამხმარეები სჭირდებათ.

გავჩუმდი და დემიენის რეაქციას დაველოდე. იგი დაბნეული სახით დუმდა.

- თუ ვინმესი გეშინია, - განვაგრძე შეძლებისდაგვარად რბილად, - ჩვენ დაგიცავთ. ამასთან, თუ ვინმემ დაგიქირავა, ნამდვილი მკვლელი არა ხარ, ხომ ასეა? მკვლელი - შემკვეთია.

- თუ... რა? მე... იმის თქმა გინდათ, რომ ვიღაცამ ფული გადამიხადა? ღმერთო ჩემო, არა, რა თქმა უნდა!

დემიენმა აღშფოთებისგან პირიც კი დააღო.

- კარგი, თუ საქმე ფულს არ ეხება, მაშ, რამ გაიძულა?

- ხომ გითხარით, არ მახსოვს-მეთქი! არ მახსოვს!

უეცრად თავში უსიამოვნო აზრმა გამიელვა, - იქნებ მართლა მეხსიერების პრობლემა ჰქონდა? და თუ ასე იყო, რა სახის? - მაგრამ ის მალევე უკუვაგდე. ჩვენ ხშირად გვეუბნებიან მსგავს რამეს, თანაც დავინახე მისი სახის გამომეტყველება, როდესაც ფითხზე კრინტი არ დაუძრავს.

- იცი, თავდაუზოგავად ვცდილობ შენს დახმარებას, - ვთქვი მე, - მაგრამ ვერაფერს გავხდები, თუ გულახდილი არ იქნები.

- გულახდილი ვარ, ოღონდ ჩემს მეხსიერებას რაღაც...

- არა, დემიენ, ეგ ტყუილია, - ვუთხარი მე, - ახლავე აგიხსნი, რატომ. ხომ გახსოვს ჩემ მიერ ნაჩვენები ფოტოსურათი? გახსოვს სახეატყავებული გოგონა? ეს გვამის გაკვეთის შემდეგ

გააკეთეს, გაკვეთამ კი ყველაფერი უჩვენა, რაც იმ გოგოს დამართე.

- უკვე გითხარით...

მაგიდაზე მკვეთრად გადავიხარე და სახეში ჯიქურ შევხედე.

- დემიენ, დღეს დილით ერთ-ერთ სახლში ფითხს მივაგენით. შენ ჩვენ იდიოტები ხომ არ გგონივართ? აი, ის, რისი თქმაც დაგავიწყდა: მკვლელობის შემდეგ ქეითს ჯინსის შარვალი შეუხსენი, ქვედა საცვალი ჩაუწიე და ფითხის ტარი შეურჭვე.

დემიენმა ხელები საფეთქლებზე მიიდო.

- არა... მე არ...

- ახლა კიდევ მეტყვი, რომ ყველაფერი "ასე გამოვიდა"? გოგოს გაუპატიურება თავისთავად არ გამოდის. ამისთვის მიზეზია საჭირო, ასე რომ, მორჩი ლაყბობას და მითხარი, რა მოხდა. იქნებ საზიზღარი გარყვნილი ხარ, ჰა? გამოვიცანი?

აქ კი ზედმეტი მომივიდა. გარდაუვალობით გულდამძიმებულ დემიენს, რომელმაც დღეს ბევრი რამ გადაიტანა, კვლავ ტირილი წასკდა.

დიდხანს ვისხედით მდუმარედ. დემიენს თავი ხელებზე დაედო და ქვითინებდა, ტანი უცახცახებდა. ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა, და როგორც კი წამით ტირილს წყვეტდა, რათა ღრმად შეესუნთქა, შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებდი და მორიგ შეკითხვას ვუსვამდი მოტივის შესახებ. იგი არ მპასუხობდა - თითქოს ჩემი არც ესმოდა. ოთახში ძალიან ცხელოდა, კვლავაც პიცის გულის ამრევ სუნს ვგრძნობდი. აზრების თავმოყრას ვერ ვახერხებდი. მხოლოდ კესისა და როზალინდაზე ვფიქრობდი: მოვიდა თუ არა როზალინდა დაკითხვაზე, და თუ მოვიდა, თავი როგორ ეჭირა? ხომ არ მოაკაკუნებდა კესი, რათა ის დემიენისთვის დაეპირისპირებინა?

მალე ვეღარ გავუძელი და დავნებდი. უკვე ცხრის ნახევარი იყო და საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. დემიენს

ძალ-ღონე გამოლეოდა და მსოფლიოს საუკეთესო დეტექტივიც კი გონივრულს ვერაფერს ათქმევინებდა. ამას დიდი ხნის წინათ უნდა მივმხვდარიყავი.

- კარგი, დავამთავროთ, - ვთქვი მე, - ახლა ივახშმებ და დაისვენებ. ხვალ გავაგრძელებთ.

მან თავი ასწია, ცხვირი გასწითლებოდა, დასივებული თვალებიდან თითქმის ვეღარ იყურებოდა.

- შეიძლება... შინ წავიდე?

"გენიოსო, ახლახან მკვლელობის გამო დაგაპატიმრეს, შენ კი..." სარკაზმის თავი აღარ მქონდა.

- ღამით აქ დაგტოვებთ, - მივუგე მე, - ვინმეს ვეტყვი, რომ წაგიყვანოს.

შემდეგ ხელბორკილი მოვიმარჯვე, დემიენი მას ისე მიაჩერდა, როგორც წამების იარაღს.

სათვალთვალო ოთახის კარი ღია იყო. როდესაც ჩავუარე, დავინახე, რომ შუშასთან ო ' კელი იდგა და წინ და უკან ქანაობდა. გული შემეკუმშა. დაკითხვის მთავარ ოთახში, ალბათ, კესი და როზალინდა ისხდნენ. წამით გავიფიქრე, ხომ არ შევიდე-- მეთქი, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარვყავი: არ მინდოდა, როზალინდას შექმნილი ვითარება ჩემთან დაეკავშირებინა. კვლავაც ბავშვივით მოსლუკუნე, გაფითრებული და თვალებდასივებული დემიენი ერთ-ერთ პოლიციელს გადავეცი და შინ წავედი.

22 თავი

როდესაც ტელეფონმა დარეკა, შუაღამის დადგომას თხუთმეტი წუთი აკლდა. მაშინვე ყურმილს ვეცი, რადგან ჰითერს არ უყვარდა, როცა ასე გვიან აწუხებდნენ.

- ალო?

- მაპატიე, ასეთ დროს რომ გირეკავ, მაგრამ აქამდე ვერაფრით დაგიკავშირდი, - მითხრა კესიმ.

- ახლა ვერ დაგელაპარაკები, - ჩავიბურტყუნე მე.

- რობ, ღვთის გულისთვის, ეს ძალზე მნიშვნელოვანია...

- ბოდიში, მაგრამ უნდა წავიდე, - გავაწყვეტინე მე, - ხვალ დავილაპარაკოთ სამსახურში, ან ბარათი დამიტოვე.

კესიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ყურმილი დავდე.

- ვინ რეკავდა? - კართან საყელოიან ღამის პერანგში გამოწყობილი, ნამძინარევი და უკმაყოფილო ჰითერი იდგა.

- მე მირეკავდნენ.

- კესი?

სამზარეულოში შევედი, პატარა ლანგრით ყინული გამოვიღე და ბოკალში კუბების ჩაყრა დავიწყე.

- ო-ო-ოჰ, - გაწელვით თქვა ჰითერმა, - მაშასადამე, მაინც იწექი მასთან, არა?

ლანგარი კვლავ საყინულეში შევაგდე. როდესაც ჰითერს ვთხოვ, თა ვი დამანებოს, ასეც იქცევა, თუმცა ამას კარგი არაფერი მოსდევს: მისი უხასიათობა, გაღიზიანებული კილოთი წარმოთქმული საყვე დური და საკუთარ მგრძნობიარობაზე წუწუნი გაცილებით ძვირი მიჯდება.

- ის ასეთ მოპყრობას არ იმსახურებს, - განაცხადა ჰითერმა.

გავოცდი. ჩემს დიასახლისს კესი გულზე დიდად არ ეხატებოდა. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, კესი ვახშამზე მოვიწვიე. მთელი საღამო ჰითერი მას მკვახედ, თითქმის უხეშად ელაპარაკებოდა,

მისი წასვლის შემდეგ კი ორი საათის განმავლობაში ასწორებდა ბალიშებსა და ნოხებს და ხმამაღლა ოხრავდა, კესის კი იგი არასოდეს უხსენებია. ქალური სოლიდარობის ამ გამოვლინებამ ძალიან დამაეჭვა.

- არც მე, - დაამატა ჰითერმა, გავიდა და კარი გაიჯახუნა.

ყინული ჩემს ოთახში წავიღე და მაგარი არაყი და ტონიკი მოვიმზადე.

ცხადია, დაძინება ვერ შევძელი. როდესაც შტორებიდან დილის სინათლე შემოიპარა, დავნებდი: გადავწყვიტე, სამსახურში ადრიანად მივსულიყავი და გამერკვია, რა უთხრა კესიმ როზალინდას, შემდეგ კი პროკურატურისთვის დემიენის დოკუმენტების მომზადებას შევუდგებოდი. მაგრამ კვლავაც კოკისპირულად წვიმდა, ქუჩები ტრანსპორტს გაევსო და მერიონროუდამდე გზის ნახევარი მაინც მექნებოდა დარჩენილი, როდესაც ჩემს "ლენდროვერს" საბურავი დაეშვა. იძულებული გავხდი, ამ თავსხმა წვიმაში სათადარიგოთი შემეცვალა და სხვა მძღოლების გააფთრებული სიგნალები მომესმინა - თითქოს მე რომ არა, სადმე გაძვრებოდნენ. მალე სახურავზე გამაფრთხილებელი ციმციმა დავაყენე და მათმა აქტიურობამაც საგრძნობლად იკლო.

ამის გამო სამსახურში რვისთვის მივედი. ტელეფონმა სწორედ მაშინ დარეკა, როდესაც პალტოს ვიხდიდი.

- შტაბი, რაიანი, - ვთქვი მე.

წყალი წურწურით ჩამომდიოდა და სიცივისგან ვკანკალებდი. ერთი სული მქონდა, შინ წავსულიყავი, ცხელი აბაზანა მიმეღო და ვისკი დამელია - სხვა არაფერი მაინტერესებდა.

- ჩემს კაბინეტში მოდი. ახლავე! - მიბრძანა ო ’ კელიმ და ყურმილი დააგდო.

უფროსის ნათქვამზე რეაგირება გონებაზე სწრაფად სხეულმა მოახდინა: ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ისე ავიწურე, სუნთქვაც

კი მიჭირდა. თვითონაც არ ვიცი, როგორ მივხვდი. მთელი არსებით შევიგრძენი, რომ პრობლემა შემექმნა: როდესაც ო ' კელის ჩვეულებრივად დალაპარაკება სურდა, ოთახში თავს შემოყოფდა ხოლმე და ამბობდა: "რაიან, მედოქს, ჩემთან", და მაშინვე მიდიოდა, რათა კაბინეტში, მაგიდასთან მჯდომი დაგვხვედროდა. ტელეფონით გამოძახება სერიოზულ გაჯორვას გულისხმობდა. ამას, შესაძლოა, ბევრი მიზეზი ჰქონოდა, მაგალითად, ის, რომ ჯონათან დევლინმა მიჩივლა, რომ გამოძიების პროცესში რაღაც გამომრჩა, რომ სემი არასასურველ პოლიტიკოსს გადაეყარა, მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ საუბარი სხვა მიმართულებით წარიმართებოდა.

ო ' კელი ფანჯრისკენ ზურგით იდგა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო.

- ადამ რაიან! - შესძახა მან, როგორც კი შევედი, - ნუთუ არასდროს გიფიქრია იმაზე, რომ ეს უნდა მცოდნოდა?

კინაღამ სირცხვილისგან დავიწვი. სახე წამომენთო. ასეთი საშინელი, გამანადგურებელი დამცირება მხოლოდ სკოლაში თუ განმეცადა: როდესაც თვალსა და ხელს შუა პატარავდები და საშინელი შიში გიპყრობს, რომ ყველაფერი დასრულდა. შენ თავზე დაგადგნენ, წაგასწრეს. ახლა ვერც თავს იმართლებ, ვერც გაიქცევი და ვერც ვერაფერს გამოასწორებ. ო ' კელის მაგიდას მივაჩერდი და შევეცადე, რამე მოხატულობა მაინც შემემჩნია ამ ვითომდა ძვირფას ხის მასალაში. იმ დამნაშავე მოსწავლეს ვგავდი, განწირული სახით რომ ელოდება წკეპლის შემორტყმას, თუმცა ისიც იცის, რომ შემდეგ გაუშვებენ. ადრე დუმილი ვაჟკაცურ და დიდებულ საქციელად მიმაჩნდა, - ასე კლინტ ისტვუდის[123] მარტოხელა გმირები იქცეოდნენ, - მაგრამ მხოლოდ

[123] კლინტ ისტვუდი (დაიბ. 1930) - ცნობილი ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი.

ახლა მივხვდი, რა იყო ის სინამდვილეში: სიბეცე, ბავშვური ქცევა, ინფანტილურობა, ღალატი და სისულელე, სისულელე და კიდევ სისულელე.

- ხვდები მაინც, როგორ გააფუჭე ყველაფერი? - ცივად მკითხა ო ' კელიმ. განრისხებული ყოველთვის მჭევრმეტყველებით გამოირჩეოდა: კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ მიმაჩნდა იგი იმაზე ჭკვიანად, ვიდრე ცდილობდა, ეჩვენებინა, - წარმოიდგინე, რას მოიმოქმედებს გამოცდილი ადვოკატი, თუკი ეს ინფორმაცია სასამართლომდე მივა. წამყვანი დეტექტივი - ამ საქმესთან დაკავშირებული დანაშაულის ერთადერთი მოწმე და ერთადერთი გადარჩენილი მსხვერპლია... ღმერთო ჩემო! ადვოკატები ისე ოცნებობენ ასეთ დეტექტივებზე, როგორც მოზარდები ტკბილ სექსზე. რაშიც გინდა, იმაში დაგადანაშაულებენ: გამოძიების მიუკერძოებლად წარმართვის უუნარობით დაწყებული, მკვლელობაში თანამონაწილეობით დამთავრებული. პრესა, სკანდალის მოყვარულები და კიდევ ათასი ვიგინდარა საშინლად ახმაურდებიან, ერთი კვირის შემდეგ კი ნამდვილი მკვლელი აღარავის გაახსენდება.

გაშტერებული შევცქეროდი ო ' კელის. წელს ქვევით დარტყმამ გამაოგნა და გამაშეშა. უცნაურია, მაგრამ ამ ოცი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მიფიქრია იმაზე, რომ პიტერისა და ჯემის გაუჩინარებაში ჩემი დადანაშაულება შეეძლოთ. საქმეში ამაზე მინიშნებასაც კი არ წავწყდომივარ. 1984 წელს ირლანდია რუსოს[124] ქვეყანა უფრო იყო, ვიდრე ორუელისა:[125] ბავშვებს უცოდველ არსებებად მიიჩნევდნენ და ვარაუდის გამოთ-

---

[124] ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) - ფრანგი კომპოზიტორი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი.

[125] ჯორჯ ორუელი (1903-1950) - ინგლისელი მწერალი და ესეისტი.

ქმა, რომ რომელიმე მათგანი, შესაძლოა, მკვლელი ყოფილიყო, თავში აზრად არავის მოუვიდოდა. ახლა კი ვიცით, რომ მოკვლა ყველას შეუძლია. თორმეტი წლის ასაკში მოზრდილს ვგავდი, ჩემს კედებში სხვისი სისხლი აღმოაჩინეს, გარდატეხის ასაკს აგრესიულობა ახასიათებს. უეცრად კესის სახე გამახსენდა იმ დღეს, როდესაც იგი კირნანთან შეხვედრის შემდეგ დაბრუნდა: ტუჩები მოეკუმა, თითქოს რაღაცას მალავდა. სკამზე დაჯდომა მომინდა.

- ახლა იმ ტიპებს, რომლებიც ციხეში გაუშვი, შეუძლიათ, საქმის გადახედვა მოითხოვონ იმის საფუძველზე, რომ მტკიცებულებას მალავდი. გილოცავ, რაიან, ყველა გამოძიება ჩააფლავე, რომელშიც კი ოდესმე მონაწილეობა მიგიღია.

- მაშასადამე, საქმეს ჩამოშორებული ვარ, - ჩავილაპარაკე მე.

ტუჩებს ძლივს ვამოძრავებდი. უეცრად თვალწინ მოღრიალე ჟურნალისტების ბრბო წარმომიდგა, რომელიც ჩემს ბინაში შემოჭრას ლამობდნენ, სახეში მიკროფონს მჩრიდნენ, ადამს მეძახდნენ და საზარელი დეტალების გახსენებას მთხოვდნენ. ჰითერს ეს მოეწონებოდა: იმდენი მელოდრამატიზმი და ტანჯვა გაჩნდებოდა, რომ მთელი წელი ეყოფოდა. ღმერთო დიდებულო!..

- არა, ჩამოშორებული არა ხარ! - დაიღრინა ო ' კელიმ, - ჩამოშორებული არა ხარ, ვინაიდან არ მინდა, რეპორტიორებმა იყნოსონ, რატომ მოგისროლე კინწისკვრით. ახლა მთავარი - ზიანის მინიმუმამდე დაყვანაა. ამიერიდან მოწმეებს აღარ დაჰკითხავ, არც საქმის მასალებს შეეხები. მაგიდასთან იჯდები და შეეცდები, მეტი არაფერი გააფუჭო. ყველა ზომას მივიღებთ და ინფორმაცია არ გაჟონავს. როდესაც დონელის სასამართლო პროცესი დასრულდება, - თუკი სასამართლო შედგება, - განყო-

ფილების მუშაობაში მონაწილეობის უფლება შეგიჩერდება. თავში სიტყვა "შეგიჩერდება" ამეკვიატა.

- ძალიან ვწუხვარ, სერ, - ვთქვი მე, რადგან უფრო ჭკვიანური არაფერი მომაფიქრდა.

რას ნიშნავს "შეგიჩერდება"? გამახსენდა ერთი ფილმის ეპიზოდი, რომელშიც პოლიციელი უფროსის მაგიდაზე ხმაურით დებს ჟეტონსა და ტაბელურ იარაღს, შემდეგ ოპერატორი ახლო პლანზე გადადის და ფინალური ტიტრები ჩნდება.

- მანამდე კი რამით დაკავდი, - ცივად განაგრძო ო ' კელიმ, - სატელეფონო ზარები იკითხე და დაახარისხე, მაგრამ თუ მათში ძველი საქმე იქნება ნახსენები, მედოქსს ან ო ' ნილს გადაეცი.

ო ' კელი მაგიდას მიუჯდა, ყურმილი აიღო და ნომრის აკრეფას შეუდგა. კიდევ რამდენიმე წამი შევყურებდი, სანამ არ მივხვდი, რომ თავისუფალი ვიყავი.

შტაბში წავლასლასდი: სატელეფონო ზარების კითხვა არ მინდოდა, ახლა მხოლოდ ავტოპილოტით ვმოძრაობდი. კესი ვიდეომაგნიტოფონისკენ დახრილიყო, იდაყვებით მუხლებს დაჰყრდნობოდა და დონელის დაკითხვის ჩანაწერს უყურებდა.

უეცრად გულ-მუცელი ამომიტრიალდა. აქამდე არ დავფიქრებულვარ, როგორ შეიტყო ო ' კელიმ ყველაფერი. მხოლოდ ახლა, როდესაც შტაბის ზღურბლზე გავჩერდი, მივხვდი, რომ სხვაგვარად, უბრალოდ, ვერ მოხდებოდა. ვგრძნობდი, რომ კესის საზიზღრად მოვექეცი, თუმცა თავის გასამართლებლად შემეძლო მეთქვა, რომ არაორდინარული ვითარება შეიქმნა. მაგრამ ისეთი არაფერი ჩამიდენია და ვერც ჩავიდენდი, რაც ამგვარ საქციელს იმსახურებდა. ამ დონის ღა-

ლატს ვერაფრით წარმოვიდგენდი. "ჯოჯოხეთშიც არ არის ასეთი მრისხანება".[126] კინაღამ ფეხები მომეკეცა.

როგორც ჩანს, რაღაც ხმა გამოვეცი ან უნებლიეთ გავინძერი: კესიმ მკვეთრად მოატრიალა სავარძელი. დამინახა თუ არა, კადრი გააჩერა და პულტი გვერდზე გადადო.

- რა თქვა ო ’ კელიმ?

დიახ, მან იცოდა, მან ყველაფერი იცოდა. იმედის უკანასკნელი ნაპერწკალიც ჩამიქრა. მკერდში რაღაც მძიმე და ბლაგვი მომხვდა.

- როდესაც გამოძიება დასრულდება, უფლებამოსილებას შემიჩერებენ, - მივუგე და მომეჩვენა, რომ ჩემ მაგივრად სხვა ლაპარაკობდა.

კესის თვალები გაუფართოვდა.

- ღმერთო, - ჩაილაპარაკა მან, - ჯანდაბა, რობ... მაგრამ განყოფილებაში ხარ? მან... არ დაგითხოვა?

- არა, არ დავუთხოვივარ.

პირველმა ელდამ თანდათან გამიარა. ახლა ცივმა მრისხანებამ შემიპყრო. შემაჟრჟოლა.

- ეს უსამართლობაა, - კესის ხმა აუთრთოლდა, - ვცდილობდი, გამეფრთხილებინე. გუშინ საღამოს ასჯერ მაინც დაგირეკე.

- მაგრამ განა უკვე დაგვიანებული არ იყო? ადრე უნდა გეფიქრა.

კესი გაფითრდა და პირდაღებული მომაჩერდა. როგორ მინდოდა, მისი სახიდან ეს გაოცებული, განცვიფრებული გამომეტყველება ჩამომერეცხა.

- ადრე?

---

[126] ციტატა XVII საუკუნის ინგლისელი დრამატურგის უილიამ კონგრივის პიესიდან.

- ჰო, ადრე, სანამ გადაწყვეტდი, რომ ო ’ კელისთვის ჩემი პირადი ცხოვრების დეტალები გაგემხილა. ახლა გულზე მოგეშვა, მედოქს? გიხარია, კარიერა რომ დამინგრიე, რაკი ბოლო კვირის განმავლობაში შენთან საკმარისი სინაზე არ გამოვიჩინე? ეს საკმარისია თუ კიდევ გაქვს შემონახული კოზირები?

ხანმოკლე დუმილის შემდეგ კესიმ წყნარად მკითხა:

- გგონია, მე შევატყობინე?

- რა თქმა უნდა. ამქვეყნად მხოლოდ ხუთმა კაცმა იცოდა ამის შესახებ და ძალიან მეეჭვება, ჩემს მშობლებს ან მეგობარს, რომელსაც თხუთმეტი წლის ასაკიდან ვიცნობ, ბოსისთვის დაერეკათ და ეთქვათ: "ჰო, მართლა, იცით, რომ რაიანის ნამდვილი სახელი ადამია?" იდიოტი ხომ არ გგონივარ?

ერთხანს კესი კვლავ მიყურებდა, შემდეგ მზერა შეეცვალა და მივხვდი, რომ ჩემსავით გაშმაგებული იყო. მან მკვეთრი მოძრაობით ხელი მაგიდაზე დადებულ ვიდეოკასეტას სტაცა და მთელი ძალით მესროლა. ინსტინქტურად გვერდზე გავიწიე, კასეტა კედელს მოხვდა და იატაკზე დავარდა.

- ჩანაწერი ნახე, - მითხრა კესიმ.

- არ მინდა.

- ახლავე ნახე, თორემ გეფიცები, ხვალ დილით საკუთარ ფოტოსურათს დილის გაზეთებში იხილავ.

იმდენად მუქარამ არ გამაოცა, რამდენადაც მისმა ხმამაღლა გაჟღერებამ - კოზირი ასე არ უნდა გაეფლანგა. უეცრად ჩემში რაღაც ამოძრავდა - ცნობისმოყვარეობა, რომელიც თანდათან ბუნდოვან წინათგრძნობაში გადაიზარდა (თუ გასული რიცხვით არ მოვიგონე). კასეტა ავიღე, მაგნიტოფონში ჩავდე და ხელი ჩართვის ღილაკს დავაჭირე. კესის გულხელი დაეკრიფა და უსიტყვოდ მომჩერებოდა. სავარძელი ეკრანისკენ შევატრიალე და მისკენ ზურგით აღმოვჩნდი.

ეს როზალინდას გუშინდელი დაკითხვის ჩანაწერი იყო. მის ქვედა ნაწილში დროის მაჩვენებელი ოც საათსა და ოცდაშვიდ წუთს უჩვენებდა. მაშასადამე, მეზობელ ოთახში ჯერ კიდევ ვისხედით მე და დემიენი. როზალინდა ოთახში მარტო იდგა და პატარა სარკის წინ ტუჩებზე პომადას ისვამდა. საიდანღაც ყრუ ხმაური ისმოდა და უცებ ვერ მივხვდი, ეს რა იყო: დონელის ხმამაღალი, უმწეო სლუკუნი თუ ჩემი იმედგადაწურული ხმა, რომელიც იმეორებდა: "დემიენ, უნდა ამიხსნა, ეს რატომ გააკეთე". კესის ხმამაღალი კავშირი ჩაერთო და ჩემს ოთახზე გადმოეყვანა. როზალინდამ თავი ასწია და შუშას სრულიად გულგრილად, არაფრის მთქმელი სახით შეხედა.

კარი გაიღო და კესი შემოვიდა. როზალინდამ პომადა ხელჩანთაში შეინახა. დემიენი ქვითინს განაგრძობდა.

- ჯანდაბა! - თქვა კესიმ, როდესაც სელექტორს შეხედა, - ბოდიშს გიხდით.

მან კავშირი გამორთო. როზალინდამ ცივად გაუღიმა.

- დეტექტივი მედოქსი როზალინდა ფრენსის დევლინის დაკითხვას იწყებს, - ჩაილაპარაკა კესიმ ვიდეოკამერის მიმართულებით, - დაბრძანდით.

როზალინდა არ განძრეულა.

- სამწუხაროდ, თქვენთან ურთიერთობის სურვილი არა მაქვს, - თქვა მან ყინულივით ცივი ხმით, რომელიც მისგან არასდროს მომესმინა, - მირჩევნია, დეტექტივ რაიანს დაველაპარაკო.

- მაპატიეთ, მაგრამ ეს შეუძლებელია, - ჩაიცინა კესიმ და სკამი მიიჩოჩა, - იგი სხვა მოწმესთანაა. ალბათ, მოისმინეთ, - დაამატა მან და ხელები დანანებით გაშალა.

- თუ ასეა, მაშინ მოვალ, როცა გათავისუფლდება, - თქვა როზალინდამ, ხელჩანთა იღლიაში ამოიდო და კარისკენ გაემართა.

- ერთი წუთით, მის დევლინ, - კესის ხმამ მკაცრად გაიჟღერა. როზალინდამ ამოიოხრა, შემოტრიალდა და წარბები ზიზღით ასწია, - იქნებ ამიხსნათ, რატომ აღარ გსურთ თქვენი დის მკვლელობასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა?

შევამჩნიე, როგორ გახედა როზალინდამ კამერას, თუმცა ტუჩებზე კვლავაც ცივი ღიმილი აღბეჭდოდა.

- ვფიქრობ, ამას თვითონაც მშვენივრად ხვდებით, დეტექტივო, - თქვა მან, - გამოძიებას ყოველმხრივ დავეხმარები, მაგრამ თქვენთან საუბარი არ მინდა, და ამის მიზეზიც იცით.

- მოდი, დავუშვათ, რომ არ ვიცი.

- თავიდანვე მივხვდი, რომ ჩემი და არ გადარდებდათ. მხოლოდ დეტექტივ რაიანთან ფლირტი გაღელვებდათ. განა მეწყვილესთან დაწოლა წესებს არ ეწინააღმდეგება?

ისე გავშმაგდი, კინაღამ სუნთქვა შემეკრა.

- ღმერთო ჩემო! აი, თურმე რა ყოფილა! მხოლოდ იმიტომ, რომ გეგონა, თითქოს მე ვუთხარი მას...

როზალინდა ალალბედზე ლაპარაკობდა. მსგავსი რამ არც მისთვის მიმინიშნებია, არც სხვისთვის, მაგრამ კესიმ ჩემზე შურისძიება ისე გადაწყვიტა, არც კი უცდია გადამოწმება...

- მოკეტე! - თქვა მან ჩემ ზურგს უკან.

ხელები მოვმუშტე და ყურება განვაგრძე. გაცოფებისგან თვალთ მიჭრელდებოდა.

კესის ეკრანზე თვალიც არ დაუხამხამებია. იგი სკამის საზურგეზე გადაწვა და თავი ღიმილით დააქნია.

- მაპატიეთ, მისის დევლინ, მაგრამ ასე ადვილად თავგზას ვერ ამიბნევთ. მე და დეტექტივ რაიანს ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს თქვენი დის მიმართ: მკვლელის პოვნა გვინდა. რატომ არ გსურთ ამ თემაზე ლაპარაკი?

როზალინდას გაეცინა.

- ერთნაირი? ოჰ, მე კი სხვაგვარად არ ვფიქრობ, დეტექტივო. თქვენს მეწყვილეს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ამ საქმის მიმართ, ასე არ არის?.

ამ გადღაბნილ კადრშიც კი შევამჩნიე, რომ კესი შეცბა, როზალინდას კი სახე ველური აღტყინების ღიმილმა დაუმშვენა: მან, როგორც იქნა, მოახერხა მისი დაცვის გარღვევა.

- თქვენ, რა თქმა უნდა, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ, არა? - იკითხა ქალიშვილმა დათაფლული ხმით.

მეტი ეფექტისთვის როზალინდა წამით შეყოვნდა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ეს დრო უსაშველოდ გაიწელა. უკვე ვიცოდი, რასაც იტყოდა. ალბათ, ამასვე გრძნობს კასკადიორი საშინელი, არასწორი დაცემის წინ, ან ჟოკეი, რომელიც გაქანებული ცხენის უნაგირიდან ვარდება - ეს ერთი გრძელი წამია, სანამ სხეული ძირს არ გართხმულა, და ერთი ფიქრი: "აი, ახლა, აი, ახლა მოხდება".

- ის ბიჭია, ვისი მეგობრებიც ნოკნარიში მრავალი წლის წინათ დაიკარგნენ, - თქვა როზალინდამ. სასიამოვნო, წკრიალა, თითქმის მხიარული ხმა ჰქონდა. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მასში თანაგრძნობას ან სინანულს კი არა, კმაყოფილებას იწვევდა, - ადამ რაიანი. მაშასადამე, მას თქვენთვის ყველაფერი არ მოუყოლია, ხომ ასეა?

ჯერ კიდევ რამდენიმე წუთის წინათ ვფიქრობდი, რომ უარეს ხასიათზე ვერაფერი დამაყენებდა, მაგრამ ესეც გამოვცადე.

ეკრანზე კესი წინ გადაიხარა და ჩაფიქრებული სახით ყური მოისრისა. რომ არ გაღიმებოდა, ტუჩებს იკვნეტდა. იმის გამოცნობასაც კი აღარ ვცდილობდი, რას მოიმოქმედებდა.

- ეს თვითონ გითხრათ?

- დიახ. ჩვენ ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვართ.

- ისიც ხომ არ უთქვამს, რომ ძმა ჰყავდა, რომელიც თექვსმეტი წლისა გარდაიცვალა? ან რომ ბავშვთა სახლში გაიზარდა? და რომ მამამისი ლოთობდა?

როზალინდას არაფერი უთქვამს. ღიმილი გაუქრა, სახე კი დაეძაბა.

- რატომ მეკითხებით? - თქვა მან ბოლოს.

- უბრალოდ, მაინტერესებს. ზოგჯერ ამაზე ლაპარაკობს ხოლმე. როზალინდა, - დაამატა კესიმ ბოდიშის კილოთი, - არ ვიცი, მან რა გითხრათ, მაგრამ დეტექტივები ზოგჯერ მოწმესთან კონტაქტის დამყარებას ცდილობენ და ამ დროს შეიძლება არცთუ გულწრფელები იყვნენ. ეს ერთ-ერთი ხერხია მისი ნდობის მოსაპოვებლად და საჭირო ინფორმაციის მისაღებად. ხვდებით?

როზალინდა გაშტერდა და მას უსიტყვოდ მიაჩერდა.

- მომისმინეთ, - რბილად განაგრძო კესიმ, - დანამდვილებით ვიცი, რომ დეტექტივ რაიანს ძმა არასდროს ჰყოლია, ძალზე სიმპათიური მამა ჰყავს, რომელიც სასმელს ახლოს არ ეკარება, თვითონ კი უილტშირში გაიზარდა, - აქცენტიც ამიტომ აქვს, - ნოკნარიდან ძალიან შორს, და, ცხადია, არა ბავშვთა სახლში. მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ რა გიამბოთ, ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ თქვენ ქეითის მკვლელის პოვნაში დაგვეხმარეთ. მასზე არ გაბრაზდეთ, კარგი?

ამ დროს კარი ფართოდ გაიღო - კესი კინაღამ შეხტა, როზალინდა კი არ განძრეულა, თვალიც არ დაუხამხამებია, - და ზღურბლზე ო ' კელი გამოჩნდა, რომელიც კამერაში ჯუჯას ჰგავდა, თუმცა მისი ცნობა მაინც ადვილად შეიძლებოდა მოტვლეპილი თავისა და შემორჩენილი თმის ვარცხნილობის მიხედვით.

- მედოქს! - თქვა მან, - ორი წუთით, თუ შეიძლება.

როდესაც დემიენის დაკითხვა დავასრულე, ო ' კელი შუშასთან იდგა და მოუთმენლად ქანაობდა წინ და უკან. ყურება აღარ

შემეძლო. ხელი მოვაფათურე, პულტი ავიღე, ხელი გაჩერების ღილაკს დავაჭირე და მოციმციმე ეკრანს მივაჩერდი.

- კესი, - ჩავილაპარაკე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

- მან მკითხა, ეს სიმართლეა თუ არაო, - ჩაილაპარაკა კესიმ მშვიდად, თითქოს ანგარიშს აბარებსო, - ვუპასუხე, არა-მეთქი. ისიც დავამატე, ასე რომც იყოს, მაინც არ ეტყოდა-მეთქი.

- ჰო, - ჩავილუღლუღე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მას დაეჯერებინა, - გულახდილად გეუბნები, არ მითქვამს. მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ბავშვობაში ორი მეგობარი დამეკარგა. მინდოდა, მეგრძნობინებინა, რომ ვიცოდი, რაც გადაიტანა. რას წარმოვიდგენდი, თუ პიტერისა და ჯემის შესახებ იცოდა და ამ ორ ამბავს ერთმანეთს დაუკავშირებდა.

კესი მელოდებოდა, როდის დავამთავრებდი ლაპარაკს.

- ო ’ კელიმ მეც დამადანაშაულა, რომ ხელს გაფარებდი, - განაგრძო მან, როდესაც გავჩუმდი, - და დაამატა, დიდი ხანია, თქვენი წყვილი უნდა დამეშალაო. განაცხადა, დაუყოვნებლივ შევამოწმებ მისი თითების ანაბეჭდს ძველ საქმეში არსებულ ყველა ნივთზე. თუნდაც ამისთვის კრიმინალისტების საწოლებიდან წამოყრა დამჭირდეს, დადგნენ და მთელი ღამე იმუშაონო. თუ ანაბეჭდები ერთმანეთს დაემთხვევა, უნდა ვილოცოთ, რომ სამსახურიდან ორივენი არ გაგვყარონ. ბრძანა, როზალინდა გაგვეშვა. ქალიშვილი სუინის გადავულოცე და შენთან დაკავშირება ვცადე.

ჩემს თავში თითქოს რაღაც გატკაცუნდა - მშვიდად და მომაკვდინებლად. გასული რიცხვით, ადამიანს ყველაფერი უფრო კატასტროფულად ეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ამ შეგრძნების ასე მარტივად გაჩენამ დამცა თავზარი. დიდხანს ვისხედით ოთახში და ვდუმდით. გარეთ ქარი ქროდა და წვიმდა. ერთხელ მომესმა, რომ კესიმ ღრმად ამოიოხრა და ვიფიქრე, ხომ არ ტირის-მეთქი, მაგრამ თავი ასწია და ცრემლები ვერ და-

ვინახე, ფერმკრთალი, მშვიდი და ძალიან დამწუხრებული სახე ჰქონდა.

23 თავი

ჯერაც ოთახში ვიყავით, როდესაც სემი შემოვიდა.

- რა მოხდა? - იკითხა მან, თმიდან წვიმის წვეთები ჩამოიფერთხა და შუქი აანთო.

კესი შეირხა და თავი ასწია.

- ო ’ კელის სურს, ჩვენ დონელისთან მორიგი რაუნდი გავმართოთ. მას მალე მოიყვანენ.

- შესანიშნავია, - თქვა სემმა და თავი დააქნია, - ვიმედოვნებ, ახალი დეტექტივის გამოჩენა მას ცოტათი მაინც გამოაფხიზლებს.

მან სწრაფად გადმოგვხედა და გავიფიქრე, რომ უკვე ყველაფერი იცოდა.

სემმა სკამი მიიჩოჩა, კესის გვერდით მიუჯდა და იმაზე დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ გაეტეხათ დემიენი. ადრე დაკითხვა ერთად არასდროს წარემართათ. ფრთხილად და სერიოზულად ლაპარაკობდნენ, ყველა შეკითხვასა და დეტალს აზუსტებდნენ: "შენი აზრით, იქნებ...", "რას იტყვი, ხომ არ..." კესიმ კვლავ ჩართო ვიდეომაგნიტოფონი და წუხანდელი დაკითხვის ჩანაწერის ფრაგმენტები გაუშვა. ფაქსმა კოსმოსური ხმა გამოსცა და დონელის სატელეფონო საუბრების ამონაბეჭდი გადმოაგდო. კესი და სემი მათ დააცქერდნენ, რაღაცას ბუტბუტებდნენ და ალაგ-ალაგ ფლომასტერს უსვამდნენ.

როდესაც წავიდნენ, - სემი თავის დაქნევით დამემშვიდობა, - ერთხანს კიდევ ვიჯექი და ველოდებოდი, მუშაობას როდის შეუდგებოდნენ, შემდეგ კი სათვალთვალო ოთახისკენ გავემართე. კესი და სემი მთავარ დასაკითხ ოთახში იყვნენ. ჩუმად შევიპარე, ყურები მოზრდილთა მაღაზიაში შესულ სკოლის მოსწავლესავით მიხურდა. ვიცოდი, რომ არ უნდა მეყურებინა, მაგრამ გარეთ დარჩენა ჩემს ძალას აღემატებოდა.

ოთახს თითქმის მყუდრო იერი ჰქონდა, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია მსგავს ვითარებაში: სკამებზე პალტოები და ჩანთები ეწყო, მაგიდა ყავიანი ფინჯნებითა და შაქრის პაკეტებით იყო მოფენილი, იქვე წყლის გრაფინი და მეზობელ კაფეში ნაყიდი ფხვიერი ნამცხვრით სავსე თეფში მოჩანდა. მობილური ტელეფონებიც აქ დაეტოვებინათ. დემიენს ძველი ჯემპრი და განიერი შარვალი ეცვა - გეგონებოდათ, ლოგინში არც გაუხდიაო. იჯდა, ხელები მხრებზე მოეხვია და დაბნეული სახით აქეთ-იქით იყურებოდა. საპატიმროს ცივი ჯოჯოხეთის შემდეგ აქაურობა, ალბათ, სამოთხე ეგონა - თბილი, სასიამოვნო და შინაურული. ნიკაპზე წვერი წამოზრდოდა.

მაგიდაზე ჩამომსხდარი სემი და კესი ერთმანეთს ამინდზე ესაუბრებოდნენ. დემიენს რძე შესთავაზეს. დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მომესმა და დავიძაბე: თუ ეს ო ’ კელი იყო, კინწისკვრით გამაგდებდა და სატელეფონო ზარების დასახარისხებლად გამგზავნიდა, - სხვა რამის გასაკეთებლად მაინც არ გამოვდგებოდი, - მაგრამ ხმა თანდათანობით მიწყდა. შუბლით შუშას მივეყრდენი და თვალები დავხუჭე.

სემმა და კესიმ დაკითხვა წვრილმანებით დაიწყეს. ისინი მარჯვედ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და დემიენს მარტივი შეკითხვები დააყარეს, რომლებიც წყნარად, იავნანასავით ჟღერდა: - როგორ მოახერხე სახლიდან გასვლა ისე, რომ დედას არ გაეღვიძა? მართლა? მეც ასე ვაკეთებდი, როდესაც მოზარდი ვიყავი... ასეთი რამე ადრეც მომხდარა? ღმერთო ჩემო, რა საშინელი ყავაა; "კოკა-კოლა" ან წყალი ხომ არ გირჩევნია? - კესი და სემი მარჯვედ მუშაობდნენ, უდავოდ მარჯვედ. დემიენი მოდუნდა. ერთხელ გაეცინა კიდეც.

- შენ მოძრაობა "გადაიტანეთ ავტომაგისტრალის" წევრი ხარ, არა? - ჰკითხა კესიმ სასხვათაშორისოდ. ჩემ გარდა ვერავინ შეამჩნევდა მის ხმაში მცირე შეყოვნებას, რაც იმას ნიშნავ-

და, რომ საქმეს შეუდგა. თვალი გავახილე და გავიმართე, - იქ როდის აღმოჩნდი?

- ამ გაზაფხულზე, - ხალისით მიუგო დემიენმა, - მარტში. ჩვენს კოლეჯში განცხადებების დაფაზე ფურცლები გამოაკრეს დემონსტრაციაზე წასვლის მოწოდებით. უკვე ვიცოდი, რომ ზაფხულში ნოკნარიში ვიმუშავებდი, ამიტომაც გადავწყვიტე... როგორ გითხრათ... მონაწილეობა მიმეღო. ჰოდა, წავედი კიდეც.

- ოც მარტს ხომ არ ჰქონდათ საპროტესტო გამოსვლა? - ჰკითხა სემმა, რომელიც ქაღალდებს ფურცლავდა და კეფას იფხანდა: სურდა, თავი პროვინციელ, მეგობრულად განწყობილ, ცოტათი მძიმედ მოაზროვნე პოლიციელად წარმოეჩინა.

- მგონი, კი. თუ არ ვცდები, პარლამენტის წინ.

დემიენს მშვიდი, თითქმის უდარდელი სახე მიეღო. მაგიდაზე გადახრილი დაუძაბავად საუბრობდა, ხელში ყავის ჭიქას ატრიალებდა, თითქოს სამუშაოზე მოსაწყობად მოსულიყო. მსგავსი რამ უკვე შემემჩნია პირველად დაკავებულებისთვის: ისინი ჯერ მტრად არ აღგვიქვამდნენ და დაპატიმრებით გამოწვეული შოკის გავლის შემდეგ მეგობრულად იქცეოდნენ, მზად იყვნენ, დაგვხმარებოდნენ, თითქოს ეს მათ დიდ შვებას ჰგვრიდა.

- მოძრაობაშიც მაშინ გაწევრდი?

- დიახ. ნოკნარი ძალზე საინტერესო ადგილია. პირველი დასახლება იქ...

- მარკმა უკვე გვიამბო, - ღიმილით გააწყვეტინა კესიმ, - ამას, ალბათ, მიხვდი კიდეც. მაშასადამე, როზალინდა დევლინი იქ გაიცანი. თუ მანამდეც იცნობდით ერთმანეთს?

მცირე, უხერხული პაუზა.

- რა თქვით? - იკითხა დემიენმა.

- იმ დღეს მანაც დაადასტურა ხელმოწერით, რომ პროცესში მონაწილეობას მიიღებდა. მაშინ გაიცანი?

- ვერ ვხვდები, რას მეკითხებით, - თქვა ბოლოს დემიენმა.

- გეყოფა, დემიენ, - კესი წინ გადაიხარა, რათა მისი მზერა დაეჭირა. დემიენი ჭიქას მიშტერებოდა, - აქამდე ყველაფერი კარგად გამოგდიოდა, ასე რომ, ახლა ნუ გააფუჭებ. შევთანხმდით?

- შენ ხშირად ურეკავდი მას მობილურით და შეტყობინებებს უგზავნიდი, - დაამატა სემმა და ფლომასტერით მონიშნული ფურცლები უჩვენა.

დემიენი ახლა ამ ფურცლებს მიაჩერდა.

- რატომ არ გინდა აღიარო, რომ მეგობრობდით? - ჰკითხა კესიმ, - ეს ხომ ვერავის მოუტანს ზიანს.

- არ მინდა, ამ საქმეში ჩავითრიო, - ჩაიბურტყუნა დემიენმა და მხრები დაეძაბა.

- სულაც არ ვაპირებთ, ვინმე სადმე ჩავითრიოთ, - რბილად შეეპასუხა კესი, - მხოლოდ იმის გაგებას ვცდილობთ, რა მოხდა.

- უკვე გითხარით.

- ჰო, მაგრამ ცოტა კიდევ მოითმინე, კარგი? ზოგიერთი დეტალი უნდა დავაზუსტოთ. მაშასადამე, როზალინდა იმ დემონსტრაციაზე გაიცანი?

დემიენი წინ გადაიხარა და ამობეჭდილ ფურცლებს თითით შეეხო.

- დიახ, როცა ვეწერებოდი, ერთმანეთს გამოველაპარაკეთ.

- სასიამოვნოდ ისაუბრეთ და გადაწყვიტეთ, ურთიერთობა გაგეგრძელებინათ?

- დიახ, რა თქმა უნდა.

სემმა და კესიმ დროებით უკან დაიხიეს: - როდის დაიწყე მუშაობა ნოკნარიში? რატომ მაინცდამაინც იქ? ჰო, ეს მართლა განსაცვიფრებელია... - თანდათანობით დემიენი უფრო მოდუნდა. გარეთ კვლავაც წვიმდა და ფანჯრებზე წყალი ჩამოდიოდა. კესი ყავის მოსატანად გავიდა. როდესაც დაბრუნდა, ეშმაკური სახით ვანილიანი ნამცხვარი აიღო. ახლა, დემიენის აღიარების

შემდეგ, აღარ ეჩქარებოდათ. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლო, ადვოკატის მოთხოვნა იყო, მაგრამ ადვოკატი მას სწორედ იმის თქმას ურჩევდა, რისი მოსმენაც მისგან გვსურდა: თანამზრახველი დანაშაულის ნაწილს ჩამოაცილებდა, საქმეს გაართულებდა და სემი და კესი შეძლებდნენ, მასთან მთელი დღე ან მთელი კვირა ესაუბრათ - იმდენი, რამდენიც მოესურვებოდათ.

- როდიდან ხვდებოდით ერთმანეთს შენ და როზალინდა? - იკითხა კესიმ.

დემიენი სატელეფონო ზარების ამონაბეჭდი ფურცლების კიდეებს აწვალებდა, ამ სიტყვების გაგონებაზე კი შეშინებულმა ასწია თავი.

- რა? ჩვენ... ისეთს არაფერს ვაკეთებდით. მხოლოდ ვმეგობრობდით.

- დემიენ, - საყვედურის კილოთი უთხრა სემმა და თითი ქაღალდზე დააკაკუნა, - შეხედე. შენ მას დღეში სამ-ოთხჯერ ურეკავდი, ოცამდე შეტყობინებას უგზავნიდი, ღამღამობით სამი საათი ელაპარაკებოდი...

- რა ნაცნობი ვითარებაა, - ჩაურთო კესიმ ერთგვარი ნოსტალგიით, - როდესაც შეყვარებული ხარ, ტელეფონისთვის ფული არასდროს გყოფნის...

- სხვა მეგობრებს კი, როზალინდასთან შედარებით, ოთხჯერ იშვიათად ურეკავდი. მას ახარჯავდი საუბრებზე დახარჯული თანხის ოთხმოცდათხუთმეტ პროცენტს. მომისმინე, მეგობარო, ამაში ცუდი არაფერია. როზალინდა მომხიბლავი გოგონაა, შენც კარგი ყმაწვილი ხარ - ვითომ რატომ არ უნდა შეხვედროდით ერთმანეთს?

- მოიცა, - შესძახა უეცრად კესიმ და მხრებში გაიმართა, - ის რა, ამაში გარეულია?

- არა! - თითქმის იღრიალა დემიენმა, - მას არ შეეხოთ!

კესიმ და სემმა წარბები ასწიეს.

- მაპატიეთ, - ჩაიბურტყუნა დემიენმა წუთის შემდეგ და მხრები ჩამოყარა. სახე გასწითლებოდა, - მე მხოლოდ... მას ამასთან საერთო არაფერი აქვს. თავი დაანებეთ!

- მაშინ რა საჭიროა ასეთი იდუმალება, დემიენ? - გაეცინა სემს, - თუ ის არაფერ შუაშია?

დონელიმ მხრები აიჩეჩა და თქვა:

- ჩვენ ვმალავდით, რომ ერთმანეთს ვხვდებოდით.

- რატომ?

- როზალინდას მამა გაცოფდებოდა.

- არ მოსწონდი? - გაოცებული სახით იკითხა კესიმ.

- მთავარი სხვა რამე იყო. მას ბიჭებთან შეხვედრას უკრძალავდნენ, - დემიენმა ნერვიულად შეხედა მათ, - შეგიძლიათ, მას... ამის შესახებ არ უთხრათ?

- მაინც რა დონემდე გაცოფდებოდა? - დაინტერესდა კესი, - რას გააკეთებდა?

დემიენი პლასტმასის ჭიქას აწვალებდა.

- არ მინდა, როზალინდას რამე პრობლემა შეექმნას, - სახე კვლავაც გასწითლებოდა, გახშირებულად სუნთქავდა - რაღაცას მალავდა.

- ჩვენ მოწმე გვყავს, - თქვა სემმა, - ის ამტკიცებს, რომ დევლინმა, სულ ცოტა, ერთხელ მაინც დაარტყა როზალინდას. ხომ არ იცი, ეს სიმართლეა?

დემიენმა თვალები დაახამხამა და მხრები აიჩეჩა.

კესიმ და სემმა ერთმანეთს სწრაფად გადახედეს და კვლავ უკან დაიხიეს.

- როგორ ახერხებდით ერთმანეთთან ისე შეხვედრას, რომ მამამისი ვერაფერს მიმხვდარიყო? - იკითხა კესიმ შეთქმულის სახით.

- თავდაპირველად უიკენდებზე ქალაქში ვხვდებოდით და კაფეში ან მსგავს ადგილას მივდიოდით. როზალინდა მშობლებს ეუბნებოდა, რომ თავის სკოლის მეგობართან, კარენთან მიდიოდა, ამიტომ არავინ ეწინააღმდეგებოდა. ზოგჯერ ღამითაც ვხვდებოდით. გათხრების ადგილას. მივდიოდი იქ და ველოდებოდი, როდის დაიძინებდნენ მისი მშობლები, რათა გამოპარვა მოეხერხებინა. სამსხვერპლო ქვაზე ვსხდებოდით. თუ წვიმდა, ინსტრუმენტების ფარდულს ვაფარებდით თავს და დილამდე ვლაპარაკობდით.

ეს ადვილი წარმოსადგენი იყო: ვარსკვლავებით მოჭედილი სოფლის ცა, მხრებზე მოსხმული პლედი და მთვარის შუქი, რომელიც არემარეს წალკოტად აქცევდა. რასაკვირველია, კონსპირაცია და სირთულე, რომლის გადალახვაც უწევდათ, ამას რომანტიკასაც მატებდა. ყველაფერი ძველებურ ზღაპარს ჰგავდა: სასტიკი მამა, ცხრაკლიტულში გამომწყვდეული მშვენიერი ქალიშვილი, მის დასახსნელად მისული უშიშარი ვაჟკაცი. მათ საკუთარი, პატარა, ღამის სამყარო შეექმნათ და დემიენის აღფრთოვანებას, ალბათ, საზღვარი არ ჰქონდა.

- ის გათხრების ადგილას დღისითაც მოდიოდა ჯესიკასთან ერთად და მე მათ ექსკურსიას ვუწყობდი. ცხადია, ერთმანეთს თითქმის არ ველაპარაკებოდით, რათა ვინმეს რამე არ შეემჩნია, სამაგიეროდ, ვუყურებდით... ერთხელ, მგონი, მაისში, - დემიენს სახე დარცხვენილმა ღიმილმა გაუნათა, - როდესაც ერთ-ერთ სასაუზმეში ვმუშაობდი და სენდვიჩებს ვამზადებდი, პროდუქტი მოვიმარაგე და უიკენდზე გავემგზავრეთ. დონეგალამდე მიმავალ მატარებელში ჩავსხედით, პატარა სასტუმროში გავჩერდით და ცოლ-ქმრად დავრეგისტრირდით. როზალინდამ სახლში დაიბარა, რომ დასვენების დღეებს კარენთან გაატარებდა და გამოცდისთვის მოემზადებოდა.

- მალე კი რაღაც მოხდა, არა? - იკითხა კესიმ და მას ხმაში კვლავ შევამჩნიე დაძაბულობა, - თქვენი შეხვედრის შესახებ ქეითმა შეიტყო?

დემიენი მას გაოცებული სახით მიაჩერდა.

- არა, ღმერთო ჩემო, არა. ჩვენ ძალზე წინდახედულად ვმოქმედებდით.

- მაშ, რა მოხდა? იგი როზალინდას აღიზიანებდა? უმცროსი დები უფროსებს ზოგჯერ თავს აბეზრებენ.

- არა...

- იქნებ როზალინდას ქეითის წარმატების შურდა? ასე იყო?

- არა! როზალინდას არასდროს... პირიქით, უხაროდა! მეც არ მოვკლავდი ვინმეს... არა ვარ... მე არა ვარ შეშლილი!

- არც აგრესიული ხარ, - დაამატა სემმა და მხარზე ხელი დაადო, - ჩვენ ბევრ ადამიანს ველაპარაკეთ. მასწავლებლები ირწმუნებიან, რომ ჩხუბში არასდროს მონაწილეობდი და განზე იდექი ხოლმე. მართალია?

- მე...

- იქნებ თვითონ იდეა მოგეწონა? - გააწყვეტინა კესიმ, - მძაფრი შეგრძნება? გინდოდა, გაგეგო, რას განიცდიან, როდესაც ადამიანს კლავენ.

- არა! რას...

მოულოდნელად სემმა მაგიდას შემოუარა და დონელის თავზე დაადგა.

- შენი კოლეგა არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ჯორჯ მაკმეჰონი გემასხრებოდა, ისევე, როგორც სხვებს, მაგრამ ერთადერთი იყავი, ვისაც მოთმინება არასდროს გღალატობდა. ასე რამ გაგაბრაზა მშვიდი ადამიანი, რომ უმანკო გოგონას მოკვლა გადაწყვიტე?

დემიენი ჯემპრის სახელოს მთელი ძალით ჩააფრინდა, ნიკაპი მკერდზე დაუშვა და თავი გადააქნია.

- ჰეი, შემომხედე, - სემმა დემიენს სახესთან თითი გაუტკაცუნა, - აბა, მითხარი, ვგავარ შენს დედიკოს?

- რა? არა...

ამ შეკითხვამ დემიენი დააბნია. იგი შეშინებული და გასაცოდავებული სახით მიაჩერდა სემსა და კესის.

- მართალია. და იცი, რატომ? იმიტომ, რომ შენი დედიკო არა ვარ და რაღაც უმნიშვნელო წვრილმანზე კი არ ვსაუბრობთ, როდესაც შეგიძლია, გაიბუტო და თავი ამით დაიძვრინო. ეს უაღრესად სერიოზული საქმეა. ღამით გოგონა სახლიდან გამოიტყუე, თავი გაუტეხე, გაგუდე და უყურებდი, შენ თვალწინ სულს როგორ ღაფავდა, შემდეგ ფითხის ტარი შეურჭვე, - დემიენს გააჟრჟოლა, - ახლა კი გვარწმუნებ, თითქოს ეს ისე, სრულიად უმიზეზოდ გააკეთე? მოსამართლესაც ამას ეტყვი? შენი აზრით, როგორ განაჩენს გამოგიტანს?

- თქვენ ვერაფერს მიხვდით! - შესძახა დემიენმა ცამეტი წლის ბავშვივით წვრილი ხმით.

- ვიცი, ვიცი, რომ ვერ მივხვდით, მაგრამ მინდა, მივხვდე. დამეხმარე, დემიენ, - კესი წინ გადაიხარა, მისი ხელები თავის ხელისგულებში მოიქცია და თვალებში შეხედა.

- თქვენ არ გესმით! უმანკო გოგონა? დიახ, ყველა ასე ფიქრობდა, ლამის წმინდანად, სრულყოფილებად მიაჩნდათ, მაგრამ ეს სისულელეა და მეტი არაფერი! რახან ბავშვი იყო, არ ნიშნავს... რომ მოგიყვეთ, რას სჩადიოდა, ვერც კი დაიჯერებთ.

- დაგიჯერებ, - მშვიდად და სერიოზულად უთხრა კესიმ, - ყველაფერს დავიჯერებ, რასაც იტყვი, დემიენ. მუშაობისას ბევრი რამ მინახავს. გარწმუნებ, დაგიჯერებ. სცადე.

დემიენს სახე ასწითლებოდა, ხელები უკანკალებდა.

- ყველაფერს აკეთებდა, მამა როზალინდასა და ჯესიკას რომ გაბრაზებოდა. ყოველთვის, განუწყვეტლივ. მათაც ყოველთვის ეშინოდათ. ქეითი ათასგვარ ტყუილს იგონებდა: თითქოს როზა-

ლინდა ცუდად ექცეოდა, თითქოს ჯესიკა მის ნივთებში იქექებოდა... მაგრამ იტყუებოდა, განზრახ აბრალებდა მათ და ყველას აჯერებდა. ერთხელ როზალინდამ სცადა, აეხსნა, რომ ეს სიცრუე იყო, ჯესიკას დაცვა სურდა, მაგრამ მამამ, მამამ...

- რა გააკეთა?

- ორივეს სცემა! - მიახალა დემიენმა. მან თავი ასწია და გაწითლებული და აგზნებული თვალებით კესის მიაჩერდა, - დიახ, ცემით კინაღამ სიკვდილის პირას მიიყვანა! როზალინდას ქარცახით თავი გაუტეხა! ჯესიკა კედელს მიანარცხა და ხელი მოსტეხა! ქეითი კი უყურებდა და იცინოდა!

დონელიმ კესის ხელები გამოსტაცა და ხელისგულების ზურგით სახიდან ცრემლების მოწმენდას შეეცადა. სუნთქვა უჭირდა.

- იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ჯონათან დევლინს საკუთარ ქალიშვილებთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა? - მშვიდად ჰკითხა კესიმ, რომელსაც თვალები გაჰფართოებოდა.

- დიახ, დიახ, სამივესთან ჰქონდა. ქეითს კი... - დემიენს სახე დაეღრიჯა, - ქეითს ეს მოსწონდა. წარმოგიდგენიათ? როგორ შეიძლება... ამიტომაც იყო მისი საყვარელი ქალიშვილი. როზალინდა კი სძულდა...

დემიენი კბილებით ჩააფრინდა თავის ხელს და ატირდა.

სადაც იყო, გული წამივიდოდა. შუბლი ცივ შუშას მივადე და რამდენჯერმე ღრმად შევისუნთქე და ამოვისუნთქე. სემმა ხელსახოცი აიღო და დემიენს მიაწოდა.

ან ნამდვილი იდიოტი ვიყავი, ან დემიენს გულწრფელად სჯეროდა, რასაც ამბობდა. რატომაც არა? ტელევიზორში უარეს ამბებსაც ვუყურებთ: გაუპატიურებული სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სარდაფებში მცხოვრები მშიერი პატარები, კიდურებმოგლეჯილი ახალშობილები. თუკი მათი ურთიერთობა ზღაპარს უფრო წააგავდა, რატომ არ უნდა გაგვეხსენებინა ბოროტი და, რომელსაც კონკია სძულდა?

გულწრფელად გეტყვით, კინაღამ მეც დავიჯერე. ამას ბევრი იწილობიწილო არ სჭირდებოდა. ყველაფერი ემთხვეოდა და ლოგიკურ სურათს ქმნიდა. თუმცა, დემიენისგან განსხვავებით, სამედიცინო ანკეტები და აუტოფსიის დასკვნაც წამეკითხა. ჯესიკა ასამდე ადამიანის თვალწინ წაიქცა და ხელი მოიტეხა, როზალინდას თავს არაფერი სჭირდა, ქეითი ქალწულად გარდაიცვალა. შუბლი ცივმა ოფლმა დამინამა.

- ალბათ, როზალინდას ძალიან გაუჭირდა ამ ყველაფრის მოყოლა, - რბილად თქვა კესიმ, - ის ძალიან მამაცი გოგოა. შენი აზრით, ვინმესთვის თუ მოუყოლია ამის შესახებ?

დემიენმა თავი გადააქნია.

- მამამ უთხრა, თუ ვინმეს ეტყვი, მოგკლავო. მე პირველი ვარ, ვისაც გაენდო.

მის ხმაში გაოცება და სიამაყე ჟღერდა, ცრემლიანი სახე სიხარულით უბრწყინავდა. რაღაც მომენტში წმინდა გრაალის საძებნელად წასულ ახალგაზრდა რაინდს დაემსგავსა.

- ეს როდის გიამბო? - ჰკითხა სემმა.

- ერთბაშად - არა, თანდათანობით მომიყვა. მართალი ხართ, ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდა. მაისამდე სიტყვა არავისთან დაუძრავს, მოგვიანებით კი... - დემიენი კიდევ უფრო გაწითლდა, - ჩვენ იმ პატარა სასტუმროში გავჩერდით. ერთმანეთის კოცნა დავიწყეთ. მინდოდა, როზალინდას მკერდზე შევხებოდი, მაგრამ იფეთქა, ხელი მკრა და განმიცხადა, ისეთი არა ვარო, მე კი ამან... თითქოს გამაოცა - ეს ხომ განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავდა, არა? ჩვენ უკვე ერთი თვე ვხვდებოდით ერთმანეთს; ცხადია, ეს უფლებას არ მაძლევდა, რომ... ერთი სიტყვით, დავიბენი, როზალინდამ კი იფიქრა, რომ ვბრაზობდი, და მომიყვა, რაც... მამამისმა გაუკეთა, რათა აეხსნა, თუ რატომ იყო წინააღმდეგი.

- შენ როგორი რეაქცია გქონდა? - ჰკითხა კესიმ.

- ვურჩიე, სახლიდან გაიქეცი-მეთქი. ჩვენ ბინას ვიქირავებდით, ფულს ვიშოვიდით, - წინ გათხრები მელოდა, - როზალინდა მოდელად იმუშავებდა. ერთი დიდი სააგენტოს წარმომადგენელი სთავაზობდა კიდეც ამას, არწმუნებდა, სუპერვარსკვლავი გახდებიო, მაგრამ მამამ ნება არ მისცა... არ მინდოდა, შინ დაბრუნებულიყო, თუმცა როზალინდა არ დამეთანხმა. ასე თქვა, ჯესიკას ვერ მივატოვებო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში იყო? იგი მხოლოდ დის დასაცავად დაბრუნდა. ასეთ თავგანწირულ ადამიანებს არასდროს შევხვედრივარ.

დემიენი ორი წლით უფროსი რომ ყოფილიყო, მაშინვე პოლიციაში ან ნდობის სამსახურში დარეკავდა, მაგრამ მას ჯერ მხოლოდ ცხრამეტი შესრულებოდა და მოზრდილები უცხოებად მიაჩნდა, მათ არაფერი ესმოდათ და არც მათი ნდობა შეიძლებოდა, ყველაფერს ანგრევდნენ და აფუჭებდნენ. როგორც ჩანს, დახმარების თხოვნა არც გახსენებია.

- როზალინდამ ისიც თქვა... - დემიენმა განზე გაიხედა. იგი კვლავ ატირდა. ნიშნის მოგებით გავიფიქრე, რომ თუ ყველაფერზე ასე აღრიალდებოდა, ციხეში კარგი დღე არ დაადგებოდა, - როზალინდამ მითხრა, შენთან ვერასდროს დავწვებიო... საშინელი მოგონებების გამო... და იმიტომაც, რომ ვეღარავის ენდობოდა... და თუ მისი მიტოვება და ნორმალური გოგოს პოვნა მინდოდა, - სწორედ ეს სიტყვა თქვა: "ნორმალური", - არ ეწყინებოდა, ოღონდ ეს ახლავე უნდა მეთქვა, სანამ მომეჩვეოდა.

- მაგრამ შენ ეს არ გინდოდა, - ჩაილაპარაკა კესიმ.

- ცხადია, არ მინდოდა. როზალინდა მიყვარს.

დემიენს ისეთი გულუბრყვილო და ერთგული გამომეტყველება ჰქონდა, რომ მისი შემშურდა კიდეც.

სემმა მას ახალი ხელსახოცი გაუწოდა.

- ერთ რამეს ვერ მივხვდი, - დამამშვიდებელი კილოთი წარმოთქვა სემმა, - გასაგებია, რომ როზალინდას დაცვა გინდოდა -

შენ ადგილას ნებისმიერი მამაკაცი ასე მოიქცეოდა, მაგრამ რატომ გადაწყვიტე ქეითის მოცილება? და არა ჯონათანის? საკუთარი ხელით დავახრჩობდი მაგ საზიზღარს.

- მეც ეს ვუთხარი როზალინდას, - თქვა დემიენმა და წამით პირდაღებული გაშეშდა, თითქოს იგრძნო, რომ ზედმეტი წამოროშა.

სემი და კესი უსიტყვოდ მისჩერებოდნენ და ელოდებოდნენ.

- როგორ გითხრათ, - თქვა მან მცირე ყოყმანის შემდეგ, - ასე გამოვიდა... ერთხელ, ღამით, როზალინდას მუცელი ასტკივდა და, როგორც იქნა, ვათქმევინე, - თვითონ ამის თქმა არ უნდოდა, - რომ მამამ... ერთი სიტყვით, მამამ მუცელში დაარტყა. სამჯერ თუ ოთხჯერ. ქეითს დაუჩივლია, ტელევიზორში ბალეტის ყურება მინდა, მაგრამ როზალინდა უფლებას არ მაძლევსო. ეს, ცხადია, ტყუილი იყო - რომ ეთხოვა, როზალინდა არ შეეწინააღმდეგებოდა... მე... ამის ატანა აღარ შემეძლო. ყოველდღე იმაზე ვფიქრობდი, როგორ წვალობდა, იტანჯებოდა... ძილი და მოსვენება დავკარგე... ეს უნდა შემეჩერებინა!

მან სული მოითქვა და სცადა, ათრთოლებული ხმა გაეკონტროლებინა. სემმა და კესიმ თანაგრძნობით დაიქნიეს თავი.

- როზალინდას ვუთხარი, მოვკლავ-მეთქი. ვერაფრით იჯერებდა, რომ მისთვის ამის გაკეთება შემეძლო. მეც არ მჯეროდა. არ ვხუმრობდი, არა... მაგრამ არ ვიცოდი, ეს როგორ უნდა გამეკეთებინა. მსგავსი ფიქრი თავში არასდროს მომსვლია, მაგრამ, როდესაც მივხვდი, ეს მისთვის რას ნიშნავდა... აქამდე ხომ მისი დაცვა არავის უცდია... როზალინდა ატირდა, თუმცა იმ გოგოების რიცხვს არ მიეკუთვნება, რომლებიც ხშირად ტირიან, იგი ძალიან ძლიერია.

- რა თქმა უნდა, ძლიერია, - დაეთანხმა კესი, - მაშ, რატომ გადაწყვიტე, ჯონათან დევლინისთვის ხელი არ გეხლო? რადგან ასეთი აზრი თავში მოგივიდა?

- იმიტომ, რომ თუ ის მოკვდებოდა, - დემიენი წინ გადაიხარა და აღელვებულმა ხელები აიქნია, - დედა მათ აღზრდას ვეღარ შეძლებდა. მას ხომ არც ფული აქვს და თვითონაც... როგორ გითხრათ... ვერ არის დაწყობილი. ბავშვებს ერთმანეთს დააშორებდნენ და სხვადასხვა ოჯახში გადაანაწილებდნენ. როზალინდა ჯესიკაზე ზრუნვას ვეღარ შეძლებდა. როზალინდა მას საშინაო დავალებებსაც უწერდა, ყველაფერში ეხმარებოდა. ქეითი კი წავიდოდა... აი, ქეითი რომ არ ყოფილიყო სახლში, ყველაფერი კარგად იქნებოდა. მამა მათ მხოლოდ იმიტომ უბრაზდებოდა, რომ ქეითს უჯერებდა. როზალინდამ მითხრა, - ამის თქმა ძლივს მოახერხა, თან დამნაშავესავით იყურებოდა, - ზოგჯერ მინდა, ქეითი გაუჩინარდესო.

- და ამან თავში ახალი აზრი გაგიჩინა, - მოზომილად თქვა კესიმ, - და ქეითის მოკვლა შესთავაზე.

- დიახ, ეს ჩემი იდეა იყო, - სწრაფად ჩაილაპარაკა დემიენმა, - როზალინდა არაფერ შუაშია. თავდაპირველად უარზე იდგა. განმიცხადა: არ მინდა, ჩემ გამო სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო. ამდენი წელი ვითმინე და ცოტას კიდევ მოვიცდი, სანამ ჯესიკა არ წამოიზრდება და სახლიდან არ წავაო, მაგრამ შინ დარჩენის უფლებას ვერ მივცემდი. მაშინ, როდესაც მამამ თავი გაუტეხა, ორი თვე საავადმყოფოში წოლილა. ხომ შეიძლებოდა, მომკვდარიყო!

უეცრად ძალიან გავბრაზდი. ნუთუ დემიენი იდიოტია, უიმედო დოყლაპია, რომელიც რომელიღაც მულტფილმის პერსონაჟის მსგავსად მორჩილად მიდის იქით, სადაც თავში აგური დაეცემა? ცხადია, ვიცოდი, რომ ამ ყველაფერს ფსიქოლოგები ახსნიდნენ, მაგრამ იმ მომენტში მინდოდა, ოთახში შევვარდნილიყავი, მისთვის ხელში სამედიცინო ანკეტები ჩამეჩარა და მეყვირა: "ამას თუ ხედავ, კრეტინო? სად არის აქ გატეხილი თავი? ნუთუ არ შე-

გეძლო, გეთხოვა მაინც მისთვის, ნაიარევი ეჩვენებინა, სანამ იმ საცოდავ გოგონას სიცოცხლეს მოუსწრაფებდი?"

- მაშასადამე, დაიჟინე, - განაგრძო კესიმ, - და მაინც მოახერხე მისი დაყოლიება?

ამჯერად დემიენს სიფრთხილე დაავიწყდა.

- მხოლოდ ჯესიკას გულისთვის! როზალინდას საკუთარი თავი აღარ ადარდებდა, მაგრამ ჯესიკა... როზალინდას ეშინოდა, ნერვული აშლილობა ან მსგავსი რამე არ დაემართოსო. მისი აზრით, ჯესიკა ამ ყველაფერს კიდევ ექვსი წელი ვერ გაუძლებდა.

- მაგრამ ქეითი მალე ისედაც უნდა გამგზავრებულიყო, - შეახსენა სემმა, - ის ხომ ლონდონში წასვლას და სამეფო საბალეტო სკოლაში სწავლას აპირებდა და იმ დროისთვის აქ აღარ იქნებოდა. იცოდი?

დემიენმა ყრუდ დაიკვნესა.

- ვეუბნებოდი, ვეკითხებოდი, მაგრამ... თქვენ არ გესმით... ქეითის ცეკვა სულ არ ადარდებდა. მოსწონდა, როდესაც ყურადღებას აქცევდნენ. საბალეტო სკოლაში არაფერი გამოუვიდოდა, შობისთვის იქაურობას მიატოვებდა და შინ დაბრუნდებოდა!

ყველაზე მეტად ქეითის წინააღმდეგ დაგეგმილ და განხორციელებულ საზარელ შეთქმულებაში ბოლო დეტალმა განმაცვიფრა - ჯოჯოხეთურმა გაუკუღმართებამ და გულცივმა სიზუსტემ, რომლითაც ამოირჩიეს, მიზანში ამოიღეს და გათელეს ყველაზე ძვირფასი, რაც ქეითს გულში ჰქონდა. ჩემი კარიერის განმავლობაში ასე აშკარად არასდროს შემიგრძნია ბოროტების არსებობა - მისი მომწარო-მოტკბო გემო, უხილავი საცეცები, რომლებიც მაგიდის ფეხებს ეხვეოდნენ, საზიზღარი შემპარაობით სახელოებში ძვრებოდნენ და ყელისკენ მიიწევდნენ. ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

- მაშასადამე, ეს თავდაცვა იყო, - დაასკვნა კესიმ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, რომლის დროსაც დემიენი სკამზე მოუსვენრად წრიალებდა, ისინი კი მას განგებ არიდებდნენ თვალს.

- დიახ. რა თქმა უნდა. არჩევანი რომ გვქონოდა, ამაზე არც ვიფიქრებდით.

- გასაგებია. მსგავსი რამ ადრეც მომხდარა, დემიენ - ცოლები ქმრებს ხოცავდნენ, რომლებიც მათ აბუჩად იგდებდნენ. ნაფიცი მსაჯულები ამას ითვალისწინებენ.

- მართლა? - დემიენმა თავი ასწია და თვალებში იმედის ნაპერწკალი გაუკრთა.

- რასაკვირველია. როდესაც მოისმენენ, რისი გადატანა მოუხდა როზალინდას... არა მგონია, ვინმემ დაადანაშაულოს. ხვდები?

- არ მინდა, პრობლემა შეექმნას.

- თუ ასეა, აბსოლუტურად სწორად იქცევი, როდესაც ყველა დეტალს გვიყვები. მეთანხმები?

დემიენმა შვებით ამოისუნთქა.

- დიახ.

- ყოჩაღ, - თავი დაუქნია კესიმ, - მოდი, განვაგრძოთ. ეს როდის გადაწყვიტეთ?

- ივლისში. შუა რიცხვებში...

- თარიღი როდის დანიშნეთ?

- რამდენიმე დღით ადრე, სანამ ეს მოხდა. როზალინდას ვუთხარი, რომ მყარი ალიბი უნდა ჰქონოდა. ვიცოდით, რომ ოჯახის წევრებს დაჰკითხავდით. როზალინდას სადღაც წაეკითხა, რომ პირველ რიგში ყოველთვის ოჯახის წევრებზე მიაქვთ ეჭვი. იმ ღამეს - მგონი, პარასკევი იყო - ჩვენ ერთმანეთს შევხვდით და როზალინდამ მითხრა, ყველაფერი მოვაგვარეო. მომდევნო ორშაბათს ღამით დეიდაშვილებთან დარჩებოდნენ და ორ საათამდე ილაქლაქებდნენ. უკეთეს დროს ვერც ვინატრებდით,

ოღონდ ყველაფერი ორამდე უნდა დასრულებულიყო, რათა პოლიციას...

მას ხმა აუთრთოლდა.

- რა უპასუხე? - ჰკითხა კესიმ.

- მე... მე შემეშინდა. ანუ... ადრე ყველაფერი არარეალურად მეჩვენებოდა. როგორც ჩანს, არ მჯეროდა, რომ ამას ჩავიდენდით. მეგონა, მხოლოდ ვილაპარაკებდით. ხომ იცნობთ შონ კალაგანს ჩვენი ჯგუფიდან? ერთ დროს ის ბენდის წევრი იყო, რომელიც შემდეგ დაიშალა, ის კი სულ ამბობს: "ო-ო, აი, როცა კვლავ შევიკრიბებით, ისეთს მოვაწყობთ..." შონმა იცის, რომ ეს არასდროს მოხდება, მაგრამ სიამოვნებს ამაზე ლაპარაკი.

- ეს არც ჩვენთვისაა უცხო ხილი, - გაეღიმა კესის.

დემიენმა თავი დაუქნია.

- მაგრამ, როდესაც როზალინდამ შემატყობინა, შემდეგ ორშაბათსო, უეცრად ვიგრძენი, რომ... რომ ეს სიგიჟე იყო. ვუთხარი, ხომ არ აჯობებს, პოლიციაში წავიდეთ-მეთქი, ის კი აქვითინდა, მე შენი მჯეროდა, მე შენი ისე მჯეროდაო...

- სჯეროდა, - გაიმეორა კესიმ, - მაგრამ არც იმდენად, რომ შენთან ფიზიკური სიახლოვე ჰქონოდა?

- არა, უფრო სწორად, ამდენად, - თქვა დემიენმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ, - როგორც კი ქეითის შესახებ შევთანხმდით, როზალინდასთვის ყველაფერი შეიცვალა... გააცნობიერა, რომ მისი გულისთვის მზად ვიყავი... მოკლედ, ჩვენ... ამბობდა, ვერასდროს შევძლებო, მაგრამ... მოსინჯვა უნდოდა. მაშინ გათხრებზე ვმუშაობდი, ამიტომ შემეძლო, კარგი სასტუმროს ნომერი ამეღო - როზალინდა ყოველივე საუკეთესოს იმსახურებს, ხომ გესმით? პირველ ჯერზე მან... ვერ შეძლო, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ კვლავ წავედით იქ და... - დემიენი ტუჩებს იკვნეტდა, თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ატირებულიყო.

- და ამის შემდეგ, - დაასრულა კესიმ, - უკვე ვეღარ გადაიფიქრებდი.

- როდესაც ვუთხარი, აჯობებს, პოლიციაში წავიდეთ-მეთქი, მან გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ლოგინში მის შესატყუებლად ვპირდებოდი. როზალინდა ძალიან სუსტია, მას კი ამდენი ტკივილი მიაყენეს... ახლა კი გამოდიოდა, რომ მხოლოდ გამოიყენეს... ამას ვერ დავუშვებდი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდა?

კვლავ დუმილი. დემიენმა თვალები ხელისგულით მოიწმინდა და ღრმად ამოიოხრა.

- მაშასადამე, შენ ამის გაკეთება გადაწყვიტე, - ჩაილაპარაკა კესიმ. დემიენმა თავი დააქნია, - როგორ მოახერხე ქეითის სახლიდან გამოტყუება?

- როზალინდამ დას უთხრა, არქეოლოგებს შორის მეგობარი მყავს, რომელმაც ძალიან საინტერესო ნივთი აღმოაჩინაო... - დემიენმა გაუგებარი ჟესტი გააკეთა, - მედალიონი. ძველებური მედალიონი მოცეკვავე ქალის გამოსახულებით, ძველებური და თითქოს ჯადოსნური. ამიტომ ვითომ მთელი თავისი ფული შეაგროვა და ის მისგან, ანუ ჩემგან, ქეითისთვის საჩუქრად იყიდა, რათა მას საბალეტო სკოლაში მისთვის იღბალი მოეტანა. ოღონდ ქეითს ის თვითონ უნდა წამოეღო, რადგან მის მეგობარს იგი დიდებულ მოცეკვავედ მიაჩნდა და ავტოგრაფის აღება სურდა. ეს ღამით უნდა გაეკეთებინათ, ვინაიდან ნაპოვნი ნივთების გაყიდვა არ შეიძლება და ეს საიდუმლო იყო.

გამახსენდა, როგორ იდგა კესი სკოლის დამხმარე სათავსის კართან, დარაჯი კი ეკითხებოდა: "გინდა ბუნჩულები?" ბავშვები სხვაგვარად აზროვნებენო, თქვა ერთხელ კესიმ. ქეითიც კესის მსგავსი მიზეზის გამო გაემართა იქ, რათა თავისი ჯადოსნური შესაძლებლობა ხელიდან არ გაეშვა.

- ხვდებით, რას ვგულისხმობ? - დემიენის ხმაში ვედრების კილო გაისმა, - მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ხალხი მისი ავტოგრაფის მისაღებად ერთ ამბავს ატეხდა.

- ვფიქრობ, ჰქონდა საფუძველი, ასე ეფიქრა, - თქვა სემმა, - ბოლო დროს, განსაკუთრებით შემოწირულობის შეგროვებისას, მას ბევრი სთხოვდა ავტოგრაფს.

დემიენს არაფერი უთქვამს.

- რა მოხდა, როდესაც ქეითი ქოხში მოვიდა? - იკითხა კესიმ.

დემიენმა მხრები ნერვიულად აიჩეჩა და თქვა:

- უკვე გითხარით. მედალიონი ყუთში იდო, თაროზე. როდესაც მის ასაღებად შეტრიალდა, მე... მე ქვა ავიღე და... ეს თავდაცვა იყო, როგორც თქვენ თქვით, ანუ მე როზალინდას დაცვა მინდოდა. არ ვიცი, ამას სხვა რა ვუწოდო...

- ფითხზე რას იტყვი?- თქვა სახემოღუშულმა სემმა, - ესეც თავდაცვის მიზნით გააკეთე?

დემიენი მანქანის ფარების შუქში მოხვედრილ ბაჭიასავით იყურებოდა.

- ე-ე... დიახ. ანუ... ის ვიგულისხმე, რომ... არ შემეძლო... - მან ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა, - ამას ვერ ვუზამდი. ქეითი ისეთი იყო... ჯერაც მესიზმრება. შემდეგ მაგიდაზე ფითხი დავინახე და ვიფიქრე...

- გადაწყვიტე, რომ უნდა გაგეუპატიურებინა? ყველაფერი კარგადაა, - დაუყვავა კესიმ, როცა შიშისგან დაღრეჯილი დემიენი დაინახა, - გვესმის, როგორ მოხდა ყველაფერი. არ გინდა, როზალინდას პრობლემა შეექმნას.

- ალბათ, - ჩაილაპარაკა დემიენმა. მას სახეზე კვლავ მწვანე ფერმა გადაჰკრა, - როზალინდამ თქვა... გაბრაზებული იყო და ამბობდა, უსამართლობა იქნება, თუ ქეითი იმას არ გაივლის, რაც ჯესიკამ გადაიტანაო, ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, მეც ვუპასუხე... მაპატიეთ, მე, მგონი...

მან უცნაური ხმა გამოსცა, რაღაც საშუალო - ხველასა და ამოოხვრას შორის.

- ისუნთქე, - უბრძანა კესიმ, - წყალი უნდა დალიო.

მან კიდემოგლეჯილი ერთჯერადი ჭიქა გადააგდო, ახალი აიღო და წყლით გაავსო. დემიენმა ორივე ხელით გამოართვა და სმას შეუდგა. კესის ცალი ხელი მის მხარზე ედო.

- ესეც ასე, - თქვა მან, როდესაც დემიენმა სული მოითქვა და მოფერიანდა, - ყოჩაღ. მაშასადამე, ქეითი უნდა გაგეუპატიურებინა, შენ კი მხოლოდ ფითხი გამოიყენე მისი სიკვდილის შემდეგ, არა?

- შემეშინდა, - ყრუდ ჩაილაპარაკა დემიენმა, - ისე გაიტანჯა, მე კი შემეშინდა.

- ესე იგი, - თქვა სემმა და სწრაფად გადაფურცლა ზარების ამონაბეჭდი, - ამ მიზეზის გამო შეწყდა თქვენ შორის სატელეფონო საუბრები ქეითის სიკვდილის შემდეგ? ორი ზარი სამშაბათს, მკვლელობის მომდევნო დღეს განხორციელდა, ერთი - ოთხშაბათ დილას და ერთიც - ხუთშაბათს. სულ ეს არის. როზალინდას ის არ მოეწონა, რომ დავალება ვერ შეასრულე?

- ვერ მივმხვდარვარ, როგორ გაიგო. მეშინოდა მისთვის ამის თქმა. ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთი-ორი კვირა ერთმანეთს აღარ დავეკონტაქტებოდით, რათა პოლიციას რამე არ ეყნოსა, მაგრამ უკვე ერთი კვირის შემდეგ როზალინდამ განმიცხადა, ჯობს ურთიერთობა გავწყვიტოთ, რადგან სინამდვილეში არ გყვარებივარო. დავურეკე, რათა გამერკვია, რა ხდებოდა. ცხადია, გაცოფებული შემხვდა! - დემიენი სულ უფრო და უფრო ხმამაღლა და სწრაფად ლაპარაკობდა, - არა, ჩვენ შევრიგდებით, მაგრამ... ღმერთო ჩემო, ის აბსოლუტურად მართალი იყო! იმის გამო, რომ პანიკამ მომიცვა, გვამს მხოლოდ ოთხშაბათს მიაგნეს, ამან კი მისი ალიბი გაანადგურა, და მე... მე არ... როზალინ-

და მენდობოდა, ჩემ გარდა არავინ ჰყავდა, მე კი... ერთი რამეც ვერ შევუსრულე, რადგან მხდალი ვარ.

კესი დუმდა. იგი ჩემკენ ზურგით იდგა. ვხედავდი მის სუსტ მალებს კისრის ქვემოთ და ვგრძნობდი, რომ ყელში ბურთი მეჩხირებოდა. ამის მოსმენა აღარ შემეძლო. ქეითისთვის განკუთვნილმა მედალიონმა მოცეკვავე ქალის სურათით საბოლოოდ გამანადგურა. მინდოდა, ყველაფერი დამევიწყებინა, დამეძინა და ხვალ დილით გამეღვიძა, როდესაც ახალი დღე დადგებოდა და მთელ ამ ჭუჭყს კოკისპირული წვიმა გადარეცხავდა.

- იცით, რა? - თქვა დემიენმა წასვლისას, - ჩვენ დაქორწინებას ვაპირებდით. როცა ჯესიკა ცოტათი გამომჯობინდებოდა და როზალინდა მის დატოვებას შეძლებდა. ახლა ეს შეუძლებელია, არა?

ისინი მთელი დღე მუშაობდნენ. დაახლოებით წარმომედგინა, რას აკეთებდნენ: ამ ამბის საერთო სქემა ჰქონდათ და ახლა ის უნდა შეემოწმებინათ, ყველა დეტალი და წვრილმანი გაერკვიათ, გამოტოვებული ადგილები შეევსოთ და შეუსაბამობა აღმოეფხვრათ. აღიარების მოპოვება მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგ ყველაფერი საიმედოდ უნდა დაეფიქსირებინათ, რათა ადვოკატები და ნაფიცი მსაჯულები ვერაფერში შესდავებოდნენ, აკურატულად ჩაეწერათ ყოველი სიტყვა, სანამ დაკითხვის ობიექტს ლაპარაკი ჯერ არ გადაეფიქრებინა და ახალ-ახალი ვერსიების შეთხზვა არ დაეწყო. სემი კირკიტა კაცი იყო და მსგავსი სამუშაო სწორედ რომ შეეფერებოდა.

შტაბში გამუდმებით შემოდიოდნენ სუინი და ო ' გორმანი, მოჰქონდათ ახალი დოკუმენტები, როზალინდას სატელეფონო საუბრების ამონაბეჭდები, დემიენის შესახებ მოწმეთა ახალი ჩვენებები. მე მათ დაკითხვის ოთახში ვგზავნიდი. ზოგჯერ ო ' კელი შემოყოფდა ხოლმე თავს და ისეთ სახეს ვიღებდი, თითქოს ზარებს ვეცნობოდი. შუადღისთვის ქვიგლიც შემოვიდა, რათა

საქმის შესახებ თავისი აზრები გაეზიარებინა. ეს ცუდად მენიშნა: იგი ყნოსვით გრძნობდა ათვალწუნებულებს და იმ მცდელობების გამოკლებით, როცა ჩვენი ნდობის მოპოვება სურდა, აქამდე მე და კესის ზედმეტი ჩაციებით თითქმის არ გვაწუხებდა და ახალბედებზე, წარუმატებელ და სხვა თანამშრომლებზე იყო გადართული, რომელთა კარიერა, მიზეზთა გამო, თავდაღმა მიემართებოდა, ახლა კი ლამის გვერდით მომიჯდა და ბუნდოვნად გადამიკრა, რომ დამნაშავის პოვნა გაცილებით ადრე შეგვეძლო; და მე რომ მისთვის სათანადო პატივისცემით მიმემართა, მეტყოდა კიდეც, ამის გაკეთება როგორ შეიძლებოდა. მისი აზრით, დიდი ფსიქოლოგიური შეცდომა დავუშვი, როდესაც სემს დაკითხვის პროცესზე ჩემი ადგილის დაკავების უფლება მივეცი. შემდეგ დემიენის სატელეფონო ზარების შესახებ მკითხა და უეცრად შემომიგდო, რომ ამ საქმეში, ალბათ, დაც იყო გარეული. სრულიად გადამავიწყდა, როგორ ვახერხებდი ადრე ქვიგლისგან თავის დახსნას და ახლა მისი ჩემს ოთახში ყოფნა არა მხოლოდ მაღიზიანებდა, არამედ ავის მომასწავებლადაც მეჩვენებოდა. ის ერთხანს უშველებელი თავხედი ალბატროსივით ტრიალებდა ჩემი მაგიდის გარშემო, უაზროდ კაკანებდა და ჩემს ქაღალდებში იქექებოდა.

ბოლოს, სკოლის შფოთისთავ მოსწავლესავით იგრძნო, ძალზე დათრგუნვილი ვიყავი საიმისოდ, რომ ჩემგან რამეს გამორჩენოდა და უკმაყოფილო სახით თავის საქმეს მიუბრუნდა. სატელეფონო ზარებზე ხელი საბოლოოდ ჩავიქნიე და ფანჯარასთან მივედი. ვუყურებდი, როგორ წვიმდა და თან სხვადასხვა ოთახიდან შემოსული ნაცნობი ხმები მესმოდა: ბერნადეტის სიცილი, მოწკრიალე ტელეფონი, მოკამათე მამაკაცების ხმაური, რასაც შიგადაშიგ კარის გაჯახუნება ახშობდა.

უკვე რვის ოცი წუთი ხდებოდა, როდესაც გავიგონე, რომ კესი და სემი დერეფანს მოუყვებოდნენ. ძალიან ხმადაბლა და

გაუგებრად ლაპარაკობდნენ. ვერაფერი გავარჩიე, თუმცა ინტონაცია მეცნო. სასაცილოა, როგორ იცვლება ხმების აღქმა ვითარების მიხედვით: მხოლოდ დემიენის დაკითხვის მოსმენის დროს მივხვდი, რომ სემს დაბალი ბარიტონი ჰქონდა.

- სახლში მინდა, - დაიკვნესა კესიმ, როდესაც ისინი შტაბში შემოვიდნენ, სკამზე მოწყვეტით დაჯდა და თავი ხელებზე დაუშვა.

- თითქმის დავამთავრეთ, - თქვა სემმა.

ძნელი მისახვედრი იყო, რას გულისხმობდა - დღევანდელ დღეს თუ საქმის გამოძიებას. როდესაც მაგიდას ჩაუარა, ჩემდა გასაოცრად, კესის თავზე ხელი დაადო.

- როგორ ჩაიარა ყველაფერმა? - ვიკითხე ხმადაბლა.

კესი არ განძრეულა.

- შესანიშნავად, - მიპასუხა სემმა, თვალები მოიფშვნიტა და შეიჭმუხნა, - დონელისთან დაკავშირებით ყველაფერი კარგადაა.

ტელეფონმა დარეკა და ყურმილი ავიღე. ბერნადეტმა მითხრა, არსად წახვიდეთ, ო ' კელის თქვენი ნახვა უნდაო. სემმა თავი დააქნია, სკამზე მძიმედ დაეშვა და მძიმე სამუშაო დღის შემდეგ შინ დაბრუნებული ფერმერივით ფეხები ფართოდ გაშალა. კესიმ გაჭირვებით ასწია თავი და უკანა ჯიბიდან დაჭმუჭნილი ბლოკნოტის ამოღებას შეუდგა.

ო ' კელიმ გვალოდინა, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო. უსიტყვოდ ველოდებოდით. კესი ბლოკნოტში შავ, პირქუშ, მაჩვზღარბივით გაფხორილ ხეს ხატავდა. სემი მაგიდაზე ჩამოჯდა და არაფრის გამომხატველი თვალებით დაფაზე თეთრ წერტილს მიაჩერდა, მე ფანჯარასთან ვიდექი და ეზოს ნაცრისფერ კვადრატს გავყურებდი, სადაც ბუჩქები ქარისგან ყოველთვის იდრიკებოდა. ეს ყველაფერი დადგმას ჰგავდა, სადაც მოქმედი პირების პოზასა და განლაგებას იდუმალი, ავის მომასწავებელი

დატვირთვა ჰქონდა. ჭერზე ნათურა ციმციმებდა. ერთგვარ ტრანსში ვიყავი, მეჩვენებოდა, თითქოს ეგზისტენციალურ ფილმში მოვხვდი, რომელშიც საათი გაჩერდა, პერსონაჟები კი სამუდამოდ გაშეშდნენ. როდესაც ო ' კელიმ ხმაურით შემოაღო კარი, ამან შოკის ეფექტი მოახდინა.

- ჯერ მთავარს მივხედოთ, - თქვა წარბშეკვრით, მაგიდას მიუჯდა და ქაღალდები დასტად დააწყო, - ო ' ნილ, შემახსენე, რა გადაწყვიტე ენდრიუსთან დაკავშირებით.

- ხელს აღარ ვახლებ, - ხმადაბლა მიუგო სემმა.

ძალიან დაღლილი ჩანდა. მართალია, თვალები არ შესივებოდა და უცხო თვალს, შესაძლოა, მხნედაც მოსჩვენებოდა, მაგრამ სოფლური, ჯანსაღი იერი გაჰქრობოდა და ახლა მასში რაღაც ძალზე ახალგაზრდული და მოწყვლადი მოჩანდა.

- მშვენიერია. მედოქს, ხუთდღიან შვებულებას გაძლევ.

კესიმ მას სწრაფად შეხედა და თქვა:

- დიახ, სერ.

სემს ცერად გავხედე - მაინტერესებდა, გააოცა თუ არა ამ სიახლემ, მაგრამ მის სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე.

- რაიან, ახალი განკარგულების მიღებამდე ქაღალდებს მიხედავ. არ ვიცი, როგორ მოახერხა თქვენმა სამეულმა იმ წყეულ დონელიზე გასვლა. გაგიმართლათ, რომ ასე მოხდა, თორემ კარიერას დაემშვიდობებოდით. ყველაფერი გასაგებია?

პასუხის გაცემის თავი არავის გვქონდა. ფანჯარას მოვცილდი და უშორეს სკამზე დავჯექი. ო ' კელიმ პირქუშად შეგვათვალიერა და ჩვენი დუმილი თანხმობად მიიღო.

- კარგი, დონელისთან რა ხდება?

- ყველაფერი ნორმალურადაა, - ჩაილაპარაკა სემმა, როდესაც გაირკვა, რომ მის გარდა არავინ უპასუხებდა, - სრული აღიარება, მათ შორის, ყველა ძირითადი დეტალის, საკმაოდ კარგი სამხილებიც გვაქვს. ახლა მისთვის თავის დაძვრენის ერ-

თადერთი შესაძლებლობა შეურაცხადობაა, რასაც მიაღწევს კიდეც, თუ კარგ ადვოკატს აიყვანს. ჯერჯერობით, აღელვებულია და ამაზე არ ფიქრობს, მაგრამ ციხეში გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი სწრაფად შეიცვლება.

- ეს არ უნდა დავუშვათ, - თქვა ო ' კელიმ და შუბლი შეიჭმუხნა, - არ მინდა, ვიღაც კრეტინმა სასამართლოში განაცხადოს: "იგი უდანაშაულოა, თქვენო ღირსებავ, საქმე ისაა, რომ დედამისმა ძალიან ადრეული ასაკიდან დააწყებინა ტუალეტების ხეხვა, ჰოდა, იძულებული შეიქნა, იმ პატარა გოგოსთვის წირვა გამოეყვანა". არა, ბატონებო. ის ისეთივე შეშლილია, როგორიც მე. რომელიმე ჩვენიანმა შეამოწმოს და დასკვნა წარმოადგინოს.

სემმა ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა. ო ' კელიმ ქაღალდები გადაფურცლა და ანგარიში აიღო.

- კარგი. დის შესახებ რას იტყვით?

ოთახში ვითარება დაიძაბა.

- როზალინდა დევლინი, - თქვა კესიმ და თავი ასწია, - დონელის ხვდებოდა. მკვლელობა მან მოიფიქრა და დემიენი დაიყოლია.

- ჰო, აბა, რა. როგორ?

- დემიენის თქმით, როზალინდამ უთხრა, რომ ჯონათან დევლინს სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა საკუთარ ქალიშვილებთან - ის და ჯესიკა გააუპატიურა. ქეითი, რომელიც მისი საყვარელი შვილი იყო, გამუდმებით ცდილობდა დების მიმართ ძალადობის წაქეზებას. როზალინდა ირწმუნებოდა, რომ ქეითის თავიდან მოცილებით ყველაფერი გამოსწორდებოდა.

- ამის მტკიცებულება თუ არსებობს?

- პირიქით. დემიენი მის სიტყვებზე დაყრდნობით ამბობს, რომ დევლინმა როზალინდას ქარცახით თავი გაუტეხა, ჯესიკას კი ხელი მოსტეხა, მაგრამ სამედიცინო ბარათებში როგორც

ამის, ისე სექსუალური ძალადობის შესახებ არაფერი წერია. ქეითი კი, რომელიც თითქოს წლების განმავლობაში თანაცხოვრობდა მამასთან, ქალწული აღმოჩნდა.

- თუ ასეა, რატომ კარგავთ დროს ამ სისულელეზე? - ო ' კელიმ ანგარიში მაგიდაზე დააგდო, - დამნაშავე დაკავებულია, მედოქს. სახლში წადით, დანარჩენს კი იურისტები მიხედავენ.

- იმიტომ, რომ ეს როზალინდამ მოიგონა და არა დემიენმა, - მიუგო კესიმ და მის თვალებში მოულოდნელად ნაპერწკალმა გაიელვა, - ვიღაც, მაგრამ არა დემიენი, დიდი ხნის განმავლობაში წამლავდა ქეითს. როდესაც იგი პირველად აპირებდა სამეფო საბალეტო სკოლაში შესვლას, - ეს კი იმაზე გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე დემიენი მისი არსებობის შესახებ შეიტყობდა, - მას ისე ძლიერ წამლავდნენ, რომ გამოცდებზე ვეღარ გავიდა. მალე იმავე ადამიანმა დემიენი დაარწმუნა, ის გოგო მოეკლა, რომელიც მას მანამდე მხოლოდ ორჯერ თუ ენახა. სერ, თვითონ ბრძანეთ, ის შეშლილი არაა. მისთვის დანაშაულის ჩადენა იდუმალ ხმებს არ ჩაუგონებიათ, ეს ადამიანი კი მხოლოდ როზალინდა თუ იქნებოდა.

- მოტივი?

- როზალინდა ბრაზობდა, რომ ქეითს ყურადღებას აქცევდნენ და აქებდნენ. დარწმუნებული ვარ, სერ. როზალინდამ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო ქეითის მოწამვლა, როდესაც გაირკვა, რომ მას ცეკვის ნიჭი აღმოაჩნდა. ამის გაკეთება ძნელი არ იყო: ქლორი, პირღებინების საშუალებები, თუნდაც ჩვეულებრივი მარილი - მრავალი ხერხი არსებობს, რომლებსაც ქალიშვილის ორგანიზმში უცნაური კუჭნაწლავური დაავადების გამოწვევა შეუძლია, მთავარია, დაარწმუნონ, რომ დალიოს. შესაძლოა, უთხრან, რომ ამ გზით გამოჯანმრთელდება. და თუ რვა-ცხრა წლის გოგოს ამას მისი უფროსი და ურჩევს, იგი დაუჯერებს... მაგრამ, როდესაც ქეითს მეორედ მიეცა სკოლაში მოხვედრის შესაძლებ-

ლობა, მას ეჭვი შეეპარა. უკვე თორმეტი წელი შესრულებოდა და შეეძლო, შეეფასებინა, ვინ, რას და რატომ ეუბნებოდა. მან "წამლის" მიღებაზე უარი განაცხადა, რაც უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა - ამას ხომ საგაზეთო სტატიები, დახმარების ფონდი და ქეითის გაზრდილი პოპულარობა უძღოდა წინ. მან როზალინდა ბრძოლაში გამოიწვია. დემიენის გაცნობის შემდეგ როზალინდა მიხვდა, რომ ის მისი შანსი იყო. დემიენი სუსტის ნებისყოფის და დოყლაპიაა, ეტყობოდა, რომ ადვილად ექცეოდა სხვისი ზეგავლენის ქვეშ, ჭკუითაც არ ბრწყინავდა და ქალიშვილის გულის მოსაგებად ყველაფერზე წავიდოდა. მომდევნო რამდენიმე თვე როზალინდამ იმაზე დახარჯა, რომ ყველანაირი ხერხით - ცდუნებით, სულის შემძვრელი ამბების მოყოლით, პირფერობითა და მარჯვედ გამოწვეული დანაშაულის შეგრძნებით - დაერმუნებინა იგი, რომ ქეითი მოეკლა, თანაც ბოლო თვეში ისე აუბნია თავგზა, დემიენმა გადაწყვიტა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ვფიქრობ, ამ დროისთვის იგი უკვე ჭკუაზე იყო შეშლილი.

- ამის შესახებ სასამართლოზე არაფერი წამოგცდეთ, - ჩაიბურტყუნა ო ' კელიმ.

კესიმ მხრები აიჩეჩა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ეს, თავისთავად, საზარელი ამბავი იყო, - კაენისა და აბელის ურთიერთობასავით ძველი, ოღონდ ახალი საზიზღარი დეტალებით გამდიდრებული, - და მიჭირს იმის გადმოცემა, თუ რას ვგრძნობდი, როდესაც კესის ვუსმენდი. იგი ყოველთვის ლამაზი, მოქნილი და სუფთა ხმით გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა თითქოს სისინებდა, სიტყვები კედლებზე მიცოცავდნენ, სინათლეს შავი ლაქებით ფარავდნენ და ბნელ კუთხეებში იდებდნენ ბინას.

- მტკიცებულება არსებობს? - დაინტერესდა ო ' კელი, - თუ მხოლოდ დონელის ნათქვამის გჯერათ?

- მყარი სამხილები არა გვაქვს, - მიუგო კესიმ, - შეგვიძლია, დემიენსა და როზალინდას შორის კავშირის არსებობა დავამტკიცოთ, - ისინი ერთმანეთს მობილურით უკავშირდებოდნენ, ორივემ ერთი და იგივე, მცდარი ჩვენება მოგვცა, როდესაც სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი ახსენეს, რაც ირიბად ადასტურებს ქალიშვილის მონაწილეობას, - მაგრამ ერთი პირდაპირი სამხილიც კი არა გვაქვს იმისა, რომ მან მკვლელობის შესახებ მანამდე იცოდა, სანამ ის მოხდებოდა.

- რა თქმა უნდა, არა გვაქვს, - სინანულით გადააქნია თავი ო ' კელიმ, - მეც გეკითხები, რა!.. აბა, ამას სამივენი ეთანხმებით თუ ეს მხოლოდ მედოქსის პირადი მოსაზრებაა?

- მხარს ვუჭერ დეტექტივ მედოქსს, სერ, - მტკიცედ განაცხადა სემმა, - მე დემიენი დავკითხე და დარწმუნებული ვარ, სიმართლეს ამბობს.

ო ' კელიმ მძიმედ ამოიოხრა და მე შემომხედა. როგორც ჩანს, მიაჩნდა, რომ სემი და კესი ვითარებას ართულებდნენ, მას კი დონელისთან დაკავშირებული ყველა საჭირო ქაღალდის დროულად გაფორმება და საქმის დახურვა სურდა, მაგრამ, მიუხედავად ძალისხმევისა, ბოსი გულის სიღრმეში დესპოტი არ იყო და გუნდის ერთსულოვანი აზრის უგულებელყოფა არ უნდოდა. ლამის შემებრალა კიდეც - ახლა მას მხოლოდ ჩემი იმედიღა ჰქონდა.

თავი დავაქნიე.

- შესანიშნავია, - დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა ო ' კელიმ, - გადასარევია. კარგი. დონელის სიტყვები საკმარისი არაა ქალიშვილისთვის ბრალის წასაყენებლად, მით უმეტეს, განაჩენის გამოსატანად. მაშასადამე, აუცილებელია აღიარება. რამდენი წლისაა?

- თვრამეტის, - ხრინწიანი ხმით ვთქვი მე. იმდენი ხანი ვდუმ-
დი, რომ ხმა დამიჯდა, - თვრამეტი, - გავიმეორე ჩახველების შე
მდეგ.

- მადლობა ღმერთს... მისი დაკითხვისთვის მშობლებისგან
თან ხმობის მიღება მაინც არ დაგვჭირდება. კარგი. ო ' ნილ, მე-
დოქს, ქალიშვილს მოიყვანთ, ჩიხში მოაქცევთ, დააშინებთ და
ყვე ლაფერს აღიარებინებთ.

- არ გამოვა, - შეეპასუხა კესი, - ფსიქოპათები განგაშის ძალ-
ზე დაბალი დონით გამოირჩევიან. როზალინდა რომ ძლიერ შე-
შინდეს, შუბლზე იარაღი უნდა დაადოთ.

- ფსიქოპათები? - გავიკვირვე მე.

- ღმერთო ჩემო, მედოქს, - ჩაიბუზღუნა ო ' კელიმ, - ჰოლივუ-
დი ნაკლები დოზით გვჭირდება. მას ხომ საკუთარი და არ შეუჭა-
მია.

კესიმ ბლოკნოტს თვალი მოსწყვიტა და ცივად თქვა:

- ფილმში არსებულ ფსიქოპათებზე არ მოგახსენებთ. იგი
კლინიკურ აღწერას ერგება. სინდისის ქენჯნისა და თანაგრძნო-
ბის უნარის უქონლობა, პათოლოგიური მიდრეკილება ტყუილი-
სა და ადამიანებით მანიპულირებისკენ, კარგი ინტუიცია, სხვისი
მოხიბვლისა და ყურადღების მიქცევის სურვილი, ნარცისიზმი.
ადვილად მოიწყენს ხოლმე და შეკამათებას ვერ იტანს... შესაძ-
ლოა, რამე გამომრჩა, თუმცა, ვფიქრობ, საკმაოდ დამაჯერებე-
ლია, არა?

- საკმარისზე მეტად, - კვერი დაუკრა სემმა, - მაშასადამე, სა-
სამართლოზე, შესაძლოა, შეურაცხადად გამოაცხადონ?

გაღიზიანებულმა ო ' კელიმ რაღაც ჩაიბურტყუნა, საზოგა-
დოდ, ფსი ქოლოგიასა და, კერძოდ, კესიზე.

- გოგონა საღ გონებაზეა, - ცივად მიუგო კესიმ, - ამას ნების-
მიერი ფსიქიატრი დაადასტურებს. აქ გონებრივ დაავადებაზე არ
ვსაუბრობთ.

- დიდი ხანია, ეს იცი? - ვკითხე კესის.

მან ცერად გამომხედა.

- პირველივე შეხვედრისას მივხვდი, მაგრამ მაშინ ამას გამოძიებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა: მკვლელი აშკარად არ იყო ფსიქოპათი, როზალინდას კი მყარი ალიბი ჰქონდა. ისე, კი მინდოდა, შენთვის მეთქვა, მაგრამ დამიჯერებდი?

"გეცადა მაინც", - გავიფიქრე და კინაღამ წამომცდა კიდეც. შევნიშნე, რომ სემმა შეწუხებული სახით შემოგვხედა.

- ასეა თუ ისე, - განაგრძო კესიმ, - თუ აღიარების მოპოვება გვსურს, როზალინდას დაშინებით ამას ვერ მივაღწევთ. ფსიქოპათებმა არ იციან, რა არის ნამდვილი შიში. მათთვის უფრო მნიშვნელოვანი აგრესია, მოწყენილობა და ტკბობაა.

- კარგი, - თავი დააქნია სემმა, - უმცროს დაზე, ჯესიკაზე რას იტყვით? იქნებ მან იცის რამე?

- შესაძლებელია, - ვთქვი მე, - ისინი ერთმანეთთან ახლოს არიან.

ამ სიტყვების გაგონებაზე კესიმ ტუჩები უკმაყოფილოდ და ბრიცა.

- ღმერთო, - ჩაილაპარაკა ო ' კელიმ, - თორმეტი წლისაა? მაშასადამე, მშობლების თანხმობა დაგვჭირდება აუცილებლად.

- რომ არ დაგიმალოთ, - თქვა კესიმ თავაუღებლად, - არა მგონია, ჯესიკასგან რამე ვიხეიროთ. და მას მთლიანად აკონტროლებს. არ ვიცი, როზალინდამ ეს როგორ მოახერხა, მაგრამ ჯესიკას დამოუკიდებლად აზროვნება თითქმის არ შეუძლია. თუ როზალინდას წინააღმდეგ საქმის აღძვრას მოვახერხებთ, მაშინ, ადრე თუ გვიან, შესაძლოა, ჯესიკასგანაც შევიტყოთ რამე, მაგრამ სანამ როზალინდა სახლში იქნება, უმცროსი და კრინტსაც არ დაძრავს.

ო ’ კელის მოთმინების ფიალა აევსო. ვერ იტანდა, როცა აწ-ყვეტინებდნენ და თავგზას უბნევდნენ, ოთახში არსებული დაძა-ბულობა კი საქმეზე არანაკლებ აღაშფოთებდა.

- შესანიშნავია, მედოქს. უღრმესი მადლობა. რას გვთავაზობ, დალახვროს ეშმაკმა? იქნებ მრავალფეროვნებისთვის რამე სა-სარგებლო მოიფიქრო, ნაცვლად იმისა, არხეინად იჯდე და ნე-ბისმიერი იდეა გააცამტვერო?

კესიმ ხატვას თავი მიანება და ფანქარი ხელში აათამაშა.

- რა თქმა უნდა, - თქვა მან, - ფსიქოპათებს მოსწონთ სხვებ ზე მბრძანებლობა - მანიპულირება, ტკივილის მიყენება. სწო-რედ ეს უნდა გამოვიყენოთ. მოდი, მას იმდენი ძალაუფლება მივცეთ, რამდენსაც მოერევა, და ვნახოთ, რა გამოვა.

- რას გულისხმობ?

- წუხელ როზალინდამ დამადანაშაულა, თითქოს დეტექტივ რაიანთან ვწევარ.

სემი ჩემკენ მკვეთრად შემოტრიალდა, მე კი ო ’ კელის მივჩე-რებოდი.

- ჰო, სულ დამავიწყდა, ბოდიშს ვიხდი, - თქვა სახემოღუშულ-მა ბოსმა, - ვიმედოვნებ, ასე არ არის. ისედაც ყელამდე ნაგავში ვართ.

- რა თქმა უნდა, სიცრუეა, - თქვა კესიმ და ღრმად ამოისუნ-თქა, - როზალინდას უნდოდა, მოთმინება დამკარგოდა. ეს ვერ მოახერხა, მაგრამ არ იცის, გამოიცნო თუ არა. როგორც ჩანს, საკუთარ გრძნობებს კარგად ვმალავ.

- მერე? - დაინტერესდა ო ’ კელი.

- შემიძლია, მასთან წავიდე და ვაღიარო, რომ მართლა მაქვს რომანი დეტექტივ რაიანთან, და ვთხოვო, არ გაგვცეს. ვეტყვი, რომ ეჭვი გვაქვს ქეითის მკვლელობაში მის თანამონაწილეობა-ზე, და შევთავაზებ, ყველაფერს მოგვიყვეს, რაც იცის, მისი დუ-მილის სანაცვლოდ.

ო ’ კელის ჩაეცინა.

- და გგონია, გატყდება?

კესიმ მხრები აიჩეჩა და თქვა:

- რატომაც არა? დიახ, ადამიანთა უმრავლესობას არ უყვარს იმის აღიარება, რომ რაღაც საშინელი ჩაიდინეს, თუნდაც ამისთვის დასჯა არც ემუქრებოდეთ. ისინი განიცდიან ამას და არ უნდათ, სხვებმა მათზე ცუდად იფიქრონ. როზალინდასთვის კი სხვა ადამიანები, უბრალოდ, არ არსებობენ, მისთვის ისინი ვიდეოთამაშის პერსონაჟები არიან, "კარგი" და "ცუდი" კი მხოლოდ სიტყვებია. მას არც სინანული აწუხებს და არც დანაშაულის შეგრძნება იმის გამო, რომ დემიენმა ქეითი მოკლა. ნაძლევს ჩამოვალ, ამაყობს კიდეც. მისთვის ეს დიდი წარმატებაა და სურს, ვინმესთან წაიტრაბახოს. თუ რო ზალინდა დარწმუნებული იქნება, რომ ხელში კოზირი უჭირავს, მე კი ტანზე მოსასმენი მოწყობილობა არა მაქვს დამაგრებული, - ლოგიკურად, მართლაც არ უნდა დავიმაგრო, რადგან ჩემს მეწყვილესთან კავშირს ვაღიარებ, - იგი ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებს. იფიქრებს, მოდი, დეტექტივს ყველაფერს ვუამბობ, მას ხომ მაინც ხელ-ფეხი აქვს შეკრულიო. ამით ხომ უდიდეს სიამოვნებას მიიღებს. ცდუნებას ვერ გაუძლებს.

- მას შეუძლია, ყველაფერი თქვას, რაც თავში მოუვა, - გაეცინა ო ’ კელის, - წინასწარი გაფრთხილების გარეშე სასამართლო მის ნათქვამს არ მიიღებს.

- მაშასადამე, გავაფრთხილებ.

- შენი აზრით, მაინც ილაპარაკებს? შენ ხომ თქვი, როზალინდა გიჟი არააო.

- არ ვიცი, - თქვა კესიმ. წამით ის თითქოს გაიხსნა, უკმაყოფილება და დაღლილობა გამოაჩინა, უეცრად ძალზე გაახალგაზრდავდა და იმ მოზარდს დაემსგავსა, რომელსაც მოზრდილთა იდიოტური სამყარო აღიზიანებს, - ვფიქრობ, ეს ჩვენი საუკე-

თესო შანსია. თუკი დაკითხვაზე გამოვიძახებთ, მაშინვე გაფა-ციცდება, ყველაფერს უარყოფს და შინ წავა, თანაც ეცოდინება, რომ მის საწინააღმდეგოდ არაფერი გვაქვს. ასე კი შესაძლოა, ანკესზე წამოეგოს და ლაპარაკი ისურვოს.

ო ' კელიმ ცერა თითი მაგიდაზე ააფხაჭუნა. კესის წინადადე-ბამ, როგორც ჩანს, სერიოზულად დააფიქრა.

- თუ ასე გადავწყვეტთ, მოსასმენ მოწყობილობას დაიმაგრებ. სხვაგვარად სასამართლოში მხოლოდ შენი სიტყვა იქნება მისი სიტყვის წინააღმდეგ.

- სხვაგვარად არც მე დავთანხმდები, - ცივად თქვა კესიმ.

- კესი, - რბილად თქვა სემმა და მაგიდაზე გადაიხარა, - დარ-წმუნებული ხარ, რომ ამას შეძლებ?

უეცრად საშინელი, მტკივნეული, თუმცა უსაფუძვლო ბრაზი მომაწვა: გავიფიქრე, რომ ეს შეკითხვა მე უნდა დამესვა და არა მას.

- ყველაფერი კარგადაა, - მიუგო კესიმ და ოდნავ გაიღიმა, - მე რამდენიმე თვე ვმუშაობდი სხვისი სახელით და ვერ გამშიფ-რეს. შეგიძლიათ, "ოსკარზეც" კი წარმადგინოთ.

არა მგონია, რომ სემმა ეს იგულისხმა. როდესაც კესი იმ უნი-ვერსიტეტელი ბიჭის შესახებ მიყვებოდა, ლამის გაშტერდა. ახ-ლაც ისეთივე არაფრის მთქმელი მზერა დავინახე, მის ხმაშიც ისეთივე განკერძოებული კილო გაისმა. გამახსენდა პირველი საღამო ძრავაჩამქრალი "ვესპას" გვერდით: როგორ მინდოდა, მისთვის ჩემი პალტო გადამეფარებინა და წვიმისგანაც კი და-მეცვა.

- მე შემიძლია ამის გაკეთება, - განვაცხადე ხმამაღლა, - რო-ზალინდას მოვწონვარ.

- არა! - მომიჭრა ო ' კელიმ.

კესიმ ცერითა და საჩვენებელი თითებით ჯერ თვალები მოისრისა, შემდეგ - ცხვირის ძგიდე, თითქოს თავის ტკივილი ეწყებაო, და თქვა:

- როზალინდას შენც ისევე მოსწონხარ, როგორც მე. მისთვის ასეთი გრძნობები უცხოა. ფიქრობს, რომ შენი გამოყენება შეუძლია, მეტი არაფერი. იცის, რომ საკმარისია, თითი დაგიქნიოს და უკან გაჰყვები - უფრო სწორად, უკან გაჰყვებოდი. თუ რაღაც ისე არ მოხდება, ერთადერთი პოლიციელი იქნები, ვინც როზალინდას დანაშაულს არ დაიჯერებს და მის დაცვას შეეცდები. იგი არ მოისურვებს, ყველაფერს მოგიყვეს და ამით ის შესაძლებლობა ხელიდან გაუშვას. სამაგიეროდ, მე არაფერში ვჭირდები და ჩემთან ურთიერთობით არაფერს დაკარგავს. როზალინდამ იცის, რომ არ მომწონს, ამიტომ მეტ სიამოვნებას მიანიჭებს იმის ცოდნა, თითქოს მის ხელში ვარ.

- კარგი, - თქვა ო ' კელიმ, თავისი ფურცლები კვლავ საქაღალდეში ჩადო და სკამი მკვეთრად გასწია, - ასე გავაკეთოთ. მედოქს, ვიმედოვნებ, იცი, რასაც ამბობ. ხვალ დილით მოსასმენ მოწყობილობას მიგამაგრებთ და როზალინდა დევლინთან პაემანზე გაგიშვებთ. ვიზრუნებ, რომ რამე ხმოვანსიგნალიანი ნივთიც მოგცენ, რათა ღილაკზე ხელის დაჭერა არ დაგავიწყდეს.

- არა, - არ დაეთანხმა კესი, - არანაირი ჩამწერი მოწყობილობა. მე დისტანციური გადამცემი და ფურგონი მჭირდება დამხმარე რაზმთან ერთად, სახლიდან არა უმეტეს ორასი იარდის დაშორებით.

- თვრამეტი წლის გოგონასთან სასაუბროდ? - ჩაეცინა ო ' კელის, - რას ამბობ, მედოქს? ტერორისტთან შესახვედრად ხომ არ მიდიხარ?

- არა, ფსიქოპათთან მივდივარ, რომელმაც საკუთარი და მოკლა.

- თვითონ არ არის შემჩნეული აგრესიაში, - ჩავურთე მე.

შევეცადე, ეს მწვავედ არ გაჟღერებულიყო, მაგრამ კესიმ ისე შემომხედა, როგორც ცარიელ ადგილს.

- გადამცემი და ფურგონი დამხმარე რაზმთან ერთად, - გაიმეორა მან.

იმ საღამოს შინ არ წავსულვარ. გადავწყვიტე, ღამის სამ საათამდე მომეცადა, რათა თავი დამეზღვია და ჰითერი ფეხზე არ დამხვედროდა. ბრეის სანაპიროზე გავედი და რამდენიმე საათი იქ, მანქანის ჩაბნელებულ სალონში გავატარე. წვიმას გადაეღო და ჰაერში ნოტიო ორთქლი იდგა. ამ დროს მოქცევა დაიწყო - მესმოდა, როგორ ხმაურობდა და ტყლაშუნობდა წყალი, მაგრამ მხოლოდ ნაცრისფერ ბინდბუნდს ვხედავდი, რომელშიც ზოგჯერ ტალღები ბრწყინავდნენ. გეების პატარა პავილიონი ხან გამოჩნდებოდა, ხან ქრებოდა და თავისი არსებობას ბრიგადუნის[127] მსგავსი სიმღერებით ადასტურებდა. საიდანღაც სირენის ერთფეროვანი და ნაღვლიანი ხმა გაისმოდა, სანაპიროს გასწვრივ შინისკენ მიმავალი ადამიანები თითქოს არსაიდან ჩნდებოდნენ და ჰაერში მუქ სილუეტებად მიცურავდნენ.

იმ ღამეს ბევრი ფიქრი მეწვია. ვფიქრობდი კესიზე, რომელსაც ოფიციანტის წინსაფარი ეკეთა, ლიონის ერთ-ერთ კაფეში მზით განათებულ ვერანდაზე მდგარ მაგიდებს შორის ყავას დაატარებდა და კლიენტებს ფრანგულად ესაუბრებოდა; მახსენდებოდა ჩემი დედ-მამა, ცეკვებზე წასასვლელად რომ ემზადებოდნენ - მამის შუაზე გაყოფილი, ბრიოლინწასმული თმა, დედის სუნამოს ამაღელვებელი სუნი და ყვავილებიანი კაბა, რომლითაც ის კარში გამოჩნდებოდა ხოლმე; გრძელფეხება და სწრაფი ჯონათანის, ქეთლისა და შეინის სიცილი, როდესაც სან-

---

[127] "ბრიგადუნი" - ლირიკული სიმღერების კრებული.

თებლით ერთობოდნენ; სემი დებისა და ძმების ხმაურიან გარე-მოცვაში დიდი სასადილო მაგიდის გარშემო; დემიენი, რომე-ლიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წყნარ კუთხეში ბლანკს ავ-სებდა ნოკნარიში გამგზავრების წინ; მარკის ანთებული თვალე-ბი და მისი სიტყვები: "მე მხოლოდ იმისი მწამს, რაც მიწაშია, რომელსაც ახლა ვთხრით"; რევოლუციონერები, დაფლეთილ დროშებს რომ აფრიალებდნენ; დევნილები, ღამით ცურვით რომ გადადიოდნენ მდინარის მეორე ნაპირზე, - ყველა, ვინც ცხოვრების გზაზე გაბედულად და მსუბუქად მიაბიჯებდა, თვალს უსწორებდა ნებისმიერ განსაცდელს, მისი ბედის თავდაყირა და-ყენება რომ შეეძლო, და სამყაროს თავბრუდამხვევი სიმაღლი-დან რომ უმზერდა. გამახსენდა, - პირველად მრავალი წლის განმავლობაში, - რომ დიდი ხანია, დედაჩემისთვის მინდვრის ყვავილების თაიგულის ჩუქება მინდოდა.

24 თავი

ო ' კელი ჩემთვის ყოველთვის გამოცანა იყო. მას არ უყვარდა კესი, ეზიზღებოდა მისი თეორია და იგი უკანალში შერჭობილ ხიჭვად მიაჩნდა, მაგრამ განყოფილება მის თვალში რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანი, თითქმის წმინდა იყო, და თუკი თავისი გუნდის რომელიმე წევრის მხარდაჭერას საჭიროდ მიიჩნევდა, ამისთვის არაფერს იშურებდა. ო ' კელიმ კესის გადამცემი და ფურგონი მისცა, თუმცა ფიქრობდა, რომ ამ გზით ვერაფერს მიაღწევდნენ და მხოლოდ დროს დაკარგავდნენ. როდესაც მეორე დღეს სამუშაოზე ადრე გამოვცხადდი, - ვიმედოვნებდით, რომ როზალინდას სკოლაში წასვლამდე შევხვდებოდით, - კესი უკვე შტაბში იყო და ტანზე მოსასმენ მოწყობილობას იმაგრებდა.

- თუ შეიძლება, ჯემპრი გაიხადე, - სთხოვა ტექნიკური დახმარების ჯგუფის წევრმა, ტანდაბალმა, პირთეთრმა ახალგაზრდამ, რომელსაც პროფესიონალისთვის დამახასიათებელი მარჯვე ხელები ჰქონდა.

კესიმ ექიმთან მყოფი დამჯერი ბავშვივით გაიხადა ჯემპრი, მის ქვეშ თხელი მაისური ეცვა. მაკიაჟი, რომელიც ბოლო დღეებში ეკეთა, ჩამოებანა და თვალის უპეები ჩაშავებოდა. ეძინა კი საერთოდ იმ ღამეს? წარმოვიდგინე, რომ კესი დილამდე ფანჯრის რაფაზე იჯდა, მაისური ფეხებზე ჩამოეწია, სიბნელეში სიგარეტის წითელი თავი ხან აინთებოდა, ხან ჩაქრებოდა, ქვემოთ კი შავად მოჩანდა დაცარიელებული ბაღი. სემი სახით ფანჯრისკენ იდგა, ო ' კელი დაფაზე რაღაცას წერდა, შლიდა და კვლავ წერდა.

- თუ შეიძლება, სადენი მაისურის ქვეშ გაატარეთ, - თქვა ტექნიკოსმა.

- სატელეფონო ზარები გელოდება, - მითხრა ო ' კელიმ.

- თქვენთან ერთად მინდა წამოსვლა, - ვთქვი მე.

სემი დაიძაბა, კესის თავი არ აუწევია - მიკროფონს იმაგრებდა.

- როდესაც ჯოჯოხეთი გაიყინება და აქლემები გორგოლაჭებით ივლიან, - გაეცინა ო ' კელის.

ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ ყველაფერს თითქოს ნისლში ვხედავდი.

- წამოსვლა მინდა, - გავიმეორე მე. ამჯერად ყურადღება არავინ მომაქცია.

ტექნიკოსმა ბატარეა კესის შარვალზე მიამაგრა, მისი მაისურის კიდეზე პატარა ნახვრეტი გააკეთა და მიკროფონი შიგ გააძვრინა. შემდეგ სთხოვა, ჯემპრი ჩაეცვა - სემი და ო ' კელი შეტრიალდნენ - და რამე ეთქვა. კესი ვერ მიხვდა, რა უნდა გაეკეთებინა, ო ' კელიმ კი მოუთმენლად უთხრა:

- მედოქს, ის თქვი, რაც თავში მოგივა, მაგალითად, უიკენდზე რას აპირებ. კესიმ ლექსი წაიკითხა - იმას ჰგავდა, ბავშვებს სკოლაში რომ ასწავლიან. დიდი ხნის შემდეგ, როდესაც მტვრიან მაღაზიაში წიგნს ვფურცლავდი, ამ სტრიქონებს წავაწყდი:[128]

"მე წაგიკითხეთ თქვენ ჩემი ლოცვა,
ვისიტყვამრავლე, როგორიც სულ ვარ,
საჩუქრად რა გსურთ, ჩქარა მითხარით,
რა მოგიტანოთ, სანამ წავსულვარ?
პასუხად მერგო: მუხა და დაფნა,
ზედ დააყოლე მხურვალე ცრემლი,
იცხოვრე მფლანგველ საყვარელივით,
რასაც გთხოვთ, იმას შენგან არ ველით.

კესიმ ეს სტროფები თანაბარი და მშვიდი ხმით, გამოთქმის გარეშე წაიკითხა. მიკროფონმა მისი ხმა ყრუდ მოგუგუნე ჩურ-

---

[128] ჩარლზ კოსპის (1917-2003) ლექსის ნაწყვეტი (თარგმნა პ. ჩხეიძემ).

ჩულად აქცია, თან რაღაც გაუგებარი ხმაურიც შეურია, თითქოს სადღაც შორს ქარი ზუზუნებდა. გამახსენდა ამბები მოჩვენებათა შესახებ, რომლებშიც პარალელურ სამყაროებსა დ დაკარგულ ქვეყნებში მოხეტიალე მიცვალებულები თავიანთ შეყვარებულებს გაფუჭებული ტელევიზორების ან რადიოეთერში არსებული დაბრკოლებების საშუალებით მიმართავდნენ. ტექნიკოსმა ფრთხილად დაარეგულირა ხმა.

- გმადლობთ, მედოქს, ძალიან გულის ამაჩუყებელი იყო, - თქვა ო ' კელიმ, როდესაც გადამცემის პრობლემა მოგვარდა, - აჰა, აი, დასახლება, - მან სემის რუკას ხელისგულის ზურგი დაარტყა, - ჩვენი ფურგონი ნოკნარი-ქრესენთზე იდგება, პირველ შესახვევში ქალაქის შესასვლელიდან. მედოქს, შენი ჯაბახანით წახვალ, დევლინების სახლთან გააჩერებ და გოგონას სასეირნოდ წაიყვან. უკანა ჭიშკრიდან გახვალთ, მარჯვნივ, მინდვრის გასწვრივ შეუხვევთ, შემდეგ კვლავ მარჯვნივ, გვერდითი კედლისკენ და კვლავ შესასვლელისკენ. თუ სეირნობისას მარშრუტიდან გადახვევა მოგიწევს, ამას მიკროფონში იტყვი. ადგილმდებარეობა ხშირ-ხშირად დააფიქსირე. როდესაც საკმარის ინფორმაციას შეიტყობ, მაშინვე დააპატიმრე. თუ იგრძნობ, რომ როზალინდა ყველაფერს მიხვდა ან აღარაფერს გეტყვის, საუბარი დაასრულე და წადი. თუ დახმარება დაგჭირდა, მხოლოდ მიგვანიშნე და შენთან გავჩნდებით. თუ იარაღს დაინახავ, ეს მიკროფონში თქვი, მაგალითად, "დანა შეინახე" ან რამე ამგვარი. მოწმე არ გეყოლება, ამიტომ პისტოლეტს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ამოიღებ.

- იარაღს არ წავიღებ, - თქვა კესიმ, პისტოლეტის ბუდე შეიხსნა, სემს მისცა და ხელები ასწია, - გამჩხრიკე.

- რატომ? - გაიოცა სემმა და პისტოლეტს დაბნეული სახით შეხედა.

- დარწმუნდი, რომ იარაღი არა მაქვს, - კესიმ მის მხარზემოთ გაიხედა, - თუ რამე წამოსცდება, შემდეგ იტყვის, ლულა მომიშვირა და ძალით მათქმევინაო. ჩემი სკუტერიც შეამოწმე.

ახლაც ვერ ვიხსენებ, როგორ მოვხვდი ფურგონში. ალბათ, იმის წყალობით, რომ ჯერაც კესის მეწყვილე ვიყავი, თუნდაც შერისხული, დეტექტივები კი ამას ყოველთვის გაგებით ეკიდებიან. შესაძლოა, ო ' კელი აღარ მოვასვენე, იმ ბავშვივით გავჯიუტდი, რომელიც გამუდმებით ერთსა და იმავეს იმეორებს, სანამ იმას არ მისცემენ, რაც უნდა, ოღონდ კი გააჩუმონ. ისეთი სასოწარკვეთილი ვიყავი, აღარ მადარდებდა, თუ თავს ვიმცირებდი. როგორც ჩანს, ო ' კელი მიხვდა, რომ თუ უარს მეტყოდა, "ლენდროვერში" ჩავჯდებოდი და უკან საკუთარი პასუხისმგებლობით გავყვებოდი.

სამი მხრიდან საიმედოდ დახშული და პირქუში შესახედაობის თეთრი ფურგონი მოგვცეს, რომელსაც გვერდებზე ფიქციური ფირმის ლოგოტიპი ეკრა. ასეთებს ხშირად უჩვენებენ პოლიციის მიერ გადაღებულ ვიდეოკადრებში. შიგნიდან კიდევ უფრო საშინელი სანახავი იყო: მსხვილი შავი კაბელები, მოზუზუნე და მოციმციმე აპარატურა, მბჟუტავი ნათურები ჭერზე და მტკიცე, ხმაშეუღწევი კედლები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, გეგონებოდათ, ამოგვქოლესო. საჭესთან სუინი დაჯდა, ო ' კელი, სემი, ტექნიკოსი და მე უკანა ნაკვეთურში მოვთავსდით, გრძელ სკამებზე ვისხედით და კრინტს არ ვძრავდით. ო ' კელიმ თერმოსი წამოიღო და ფუნთუშა, რომლის ღეჭვასაც დაუყოვნებლივ შეუდგა. სემი შარვალზე წარმოსახვით ლაქებს იწმენდდა. მე თითებს ვატკაცუნებდი, სანამ არ მივხვდი, რომ ეს ყველას საშინლად აღიზიანებდა, და საგულდაგულოდ ვმალავდი, რომ მოწევა მინდოდა. ტექნიკოსი "აირიშ თაიმსში" კროსვორდს ხსნიდა.

ჩვენ ნოკნარი-ქრესენთში გავჩერდით. ო ’ კელიმ კესის მობილურზე დაურეკა. იგი სიგნალის გავრცელების ზონაში იმყოფებოდა და მისი ხმა მკაფიოდ და გარკვევით ისმოდა.

- მედოქსი.

- სად ხარ? - ჰკითხა ო ’ კელიმ.

- დასახლებას ვუახლოვდები. არ მინდოდა, თვალში გავჩხეროდი ვინმეს.

- ჩვენ დანიშნულების ადგილას ვართ. განაგრძე.

ხანმოკლე დუმილის შემდეგ კესიმ უპასუხა:

- დიახ, სერ.

დინამიკებიდან "ვესპას" ძრავის ხმა მომესმა. ამას უცნაური სტერეოეფექტი მოჰყვა და სულ მალე მისმა ექომ ქრესენთის ქუჩის ბოლომდეც მოაღწია, ჩვენგან რამდენიმე იარდის დაშორებით. ტექნიკოსმა გაზეთი გადადო და თავის მოწყობილობებზე გადაერთო. ჩემ წინ მყოფმა ო ’ კელიმ ჯიბიდან ტკბილეულით სავსე პოლიეთილენის პარკი ამოიღო და სკამზე მოხერხებულად მოკალათდა.

მიკროფონში ჯერ ნაბიჯების, შემდეგ კი კარზე ზარის დარეკვის ხმა გაისმა. ო ’ კელიმ პარკით ტკბილეული შემოგვთავაზა, მაგრამ როცა მისი მსურველი ჩვენ შორის არ აღმოჩნდა, მხრები აიჩეჩა და რამდენიმე კარამელი ამოიღო.

კარი გატკაცუნდა.

- დეტექტივო მედოქს? - გაისმა როზალინდას უკმაყოფილო ხმა, - ვშიშობ, უდროო დროს მოხვედით.

- ვიცი, - მიუგო კესიმ, - შეწუხებისთვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ... იქნებ ერთი წუთი დამითმოთ?

- თქვენ ამის შესაძლებლობა გუშინ გქონდათ, თუმცა შეურაცხყოფა მომაყენეთ და მთელი დღე გამიფუჭეთ. თქვენი გულისთვის დროის დაკარგვას არ ვაპირებ.

- ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სხვა საქმეზე მოვედი. უბრალოდ... უბრალოდ, მინდა, ერთ საკითხზე დაგელაპარაკოთ.

დუმილი. წარმოვიდგინე, როგორ იდგა როზალინდა კარში და კესის თვალებმოჭუტული შესცქეროდა, მას კი ხელები ჯიბეებში ჩაეყო და დაძაბული ელოდებოდა. უკანა ფონზე მარგარეტის ხმა გაისმა. როზალინდამ მკვახედ უპასუხა:

- ჩემთან არიან, დედა, - შემდეგ კარი გაიჯახუნა და იკითხა, - აბა, რა მოხდა?

- შეგვიძლია... - გაფაჩუნება: კესიმ მხრები ნერვიულად შეარხია, - იქნებ ცოტა გაგვევლო? ეს კერძო საუბარია.

წესით, როზალინდა უნდა დაინტერესებულიყო, მაგრამ ხმა არ შესცვლია:

- უკვე წასვლას ვაპირებდი.

- სულ ხუთ წუთს წაგართმევთ. დასახლებას წრე დავარტყათ ან სადმე... გთხოვთ, მის დევლინ. ეს მნიშვნელოვანია.

ბოლოს როზალინდამ ამოიოხრა:

- კარგი. რამდენიმე წუთი გაქვთ.

- გმადლობთ, - მიუგო კესიმ, - ძალიან დამავალეთ.

გავიგონეთ, როგორ გაუყვნენ ბილიკს.

დარიანი დილა იდგა. როდესაც ფურგონში ვსხდებოდით, მზე უკვე ფანტავდა ნისლს, თუმცა ცალკეული ნაგლეჯები ჯერაც ეკიდა ბალახის თავზე და ცისფერ ცას ფარავდა. ჩიტები ხმამაღლა ჟღურტულებდნენ, აი, ხის ჭიშკარი აჭრიალდა დასახლების გასასვლელში და კესისა და როზალინდას ნაბიჯებმა ტყისპირა ბალახი ააშრიალა. გავიფიქრე, რომ ადრეული გამვლელი ამ წყვილით დატკბებოდა კიდეც: შავგვრემანი და ტანადი კესი და ფერმკრთალი, დახვეწილი, რომელიმე პოემის მთავარი გმირის მსგავსი როზალინდა. სექტემბრის დილა, ორი ქალიშვილის კოხტა თავი კაშკაშა მზის ქვეშ, ყვითელი ფოთლები, მათი გამოჩენით დამფრთხალი და მიმოფანტული ბაჭიები...

- შეიძლება, შეგეკითხოთ? - თქვა კესიმ.

- სწორედ ამიტომ ვართ აქ, - როზალინდას კილოს მიხედვით კესი ტყუილუბრალოდ ხარჯავდა მის ძვირფას დროს.

- რა თქმა უნდა. მაპატიეთ, - კესიმ ღრმად ამოისუნთქა, - კარგი. მხოლოდ იმის გაგება მინდა, როგორ შეიტყვეთ...

- დიახ? - თავაზიანად ჰკითხა როზალინდამ.

- ჩემსა და დეტექტივ რაიანის შესახებ, - დუმილი, - ის, რომ ჩვენ... რომანი გვაქვს.

- აი, თურმე რა! - გაეცინა როზალინდას. საკმაოდ გულგრილი სიცილი იყო, თუმცა მასში კმაყოფილებაც შეიმჩნეოდა, - თქვენ როგორ გგონიათ, დეტექტივო მედოქს?

- ვიფიქრე, რომ როგორღაც მიხვდით. ან... ან, შესაძლოა, კარგად ვერ დავმალეთ. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია... მე კი მინდა, ვიცოდე.

- ეს თვალში საცემი იყო, არა? - ეშმაკურად თქვა როზალინდამ, - დეტექტივო მედოქს, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ჩემთვის სრულიად უინტერესოა თქვენი პირადი ცხოვრების თვალთვალი.

კვლავ დუმილი. ო ' კელიმ კარამელი აახრაშუნა.

- მაშ, როგორ? - შესძახა კესიმ.

- ცხადია, დეტექტივ რაიანისგან, - თავაზიანად მიუგო როზალინდამ.

სემი და ო ' კელი ისე მომაჩერდნენ, კინაღამ თავის მართლება დავიწყე.

ბოლო წუთამდე ვიმედოვნებდი, რომ საშინელი გაუგებრობა მოხ და. ახალგაზრდა კაცი, რომელიც მზად იყო, ყველაფერი მოეყოლა, რისი მოსმენაც მისგან გვსურდა, მწუხარებით თავზარდაცემული ქალიშვილი და სურვილის უქონლობა, რომ სიმართლისთვის თვალი გამესწორებინა - ამ ნაზავისგან ყველაფრის მომზადება შეიძლებოდა. და მხოლოდ ახლა, როდესაც რო-

ზალინდას უდარდელი ტყუილი მოვისმინე, მივხვდი, რომ ის როზალინდა, რომელსაც ვიცნობდი, - მშვენიერი, მგრძნობიარე, საბრალო გოგონა, რომელთან ერთადაც სასტუმრო "ცენტრალში" ვიცინოდი და რომლის ხელებიც ჩემსაში მეჭირა ბაღში ძელსკამზე ჯდომისას, - არასდროს არსებობდა. ყველაფერი, რასაც აკეთებდა, გარეგნულ ეფექტზე გათვლილი და დეტალურად გააზრებული იყო, როგორც მსახიობის როლი. ამ ნიღბის ქვეშ მავთულხლართის ფოლადის მომაკვდინებელი კბილები იმალებოდა.

- ტყუით! სისულელეა! - ხრინწიანი ხმით შესძახა კესიმ, - ის არასდროს...

- როგორ მიბედავ ასე ლაპარაკს! - გააწყვეტინა როზალინდამ.

- მაპატიეთ, - წყნარად ჩაილაპარაკა კესიმ მცირე პაუზის შემდეგ, - უბრალოდ... არ ველოდი. არ მეგონა, თუ ამას ოდესმე ვინმეს ეტყოდა.

- მან კი მაინც თქვა. ადამიანებთან ურთიერთობისას მეტი წინდახედულობაა საჭირო. სულ ეს არის, რაც გაინტერესებდათ?

- არა. მინდოდა, რაღაც მეთხოვა, - კვლავ შრიალი. კესიმ ხელი თმაზე ან სახეზე მოისვა, - ჩვენ მეწყვილესთან არაფორმალური ურთიერთობა აკრძალული გვაქვს. თუ ბოსი გაიგებს, ორივეს გაგვათავისუფლებს ან პატრულად გაგვიშვებს, მაგრამ ეს სამსახური... ის ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, კატორღელებივით ვმუშაობდით მკვლელობათა გამოძიების განყოფილებაში მოსახვედრად. თუ გაგვაგდებენ, ცხოვრება დაგვენგრევა.

- ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ!

- დიახ... მაგრამ... იქნებ ამის შესახებ არავის უთხრათ? არავის?

- გინდათ, თქვენს სასიყვარულო ურთიერთობას ხელი დავაფარო? ამას მეუბნებით?

- ოჰ, მე... დიახ.

- ვერ გამიგია, რატომ გადაწყვიტეთ, რომ უნდა დაგეხმაროთ, - ცივად თქვა როზალინდამ, - თქვენ ძალიან უხეშად მომექეცით, ახლა კი ასეთ რამეს მთხოვთ. არ ვაპირებ თქვენს დახმარებას.

- ბოდიშს გიხდით უხეშობისთვის, - კესის ხმა სიმივით დაეჭიმა, - მომეჩვენა, რომ თქვენგან რაღაც მემუქრებოდა... ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. მაპატიეთ.

- რა თქმა უნდა, ბოდიში გაქვთ მოსახდელი, თუმცა მთავარი ეს არაა. მიმიფურთხებია თქვენი უხეშობისა და შეურაცხყოფისთვის, მაგრამ მე თუ ასე მექცევით, სხვასთანაც იმავეს გაიმეორებთ, არა? რატომ უნდა დავიცვა ადამიანი, რომელიც არაპროფესიულად იქცევა? პირიქით, ვალდებული ვარ, თქვენს უფროსობას ავუხსნა, ვინ ხართ სინამდვილეში.

- პატარა ძუკნა, - ჩაილაპარაკა სემმა თავაუღებლად.

- უსიამოვნებას ეძებს, - ჩაიბურტყუნა ო ' კელიმ. ეტყობოდა, რომ მასში დაინტერესება მატულობდა, - გოგო რომ არ იყოს, ერთ-ორს გვარიანად მოვცხებდი...

- მომისმინეთ, - სასოწარკვეთილი ხმით თქვა კესიმ, - საქმე მხოლოდ მე არ მეხება. დეტექტივ რაიანზე რაღას იტყვით? ის ხომ უხეშად არ მოგქცევიათ? პირიქით, ძალიან მოსწონხართ.

როზალინდას გაეცინა.

- მართლა?

- დიახ. თქვენთვის ჭკუას კარგავს.

- რა გითხრათ... თუ ის თქვენ შეაცდინეთ, მისი ბრალი არც ისე დიდია. უსამართლობა იქნება, რომ ამისთვის დაისაჯოს.

- დიახ, მართალი ხართ, - თვითგამკიცხავად ჩაილაპარაკა კესიმ, - ეს ნაბიჯი მე... მე გადავადგმევინე.

- დიდი ხანია, რომანი გაქვთ?

- ხუთი წელია. მცირე შესვენებებით.

ხუთი წლის წინათ მე და კესი ერთმანეთს არათუ არ ვიცნობ-დით, ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ვცხოვრობდით. უეცრად თავ-ში გამიელვა, რომ ეს სიტყვები ო ' კელისთვის იყო განკუთვნი-ლი. კესის სურდა, იგი თავის სიმართლეში დაერწმუნებინა - იმ შემთხვევისთვის, თუ ჩვენზე რამე ეჭვი გაუჩნდა. ახლა მივხვდი, რა რთულ და შორს გათვლილ თამაშს თამაშობდა.

- სანამ იმაზე დავფიქრდები, როგორ მოვიქცე, - თქვა როზა-ლინდამ, - უნდა ვიცოდე, რომ ეს ყველაფერი უკვე დასრულდა.

- ყველაფერი დასრულდა, გეფიცებით. მან... მან ორი კვირის წინათ მიმატოვა. ახლა უკვე სამუდამოდ.

- რატომ?

- ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

- ვფიქრობ, არჩევანი არა გაქვთ.

კესიმ ამოიოხრა.

- არ ვიცი, რატომ, - თქვა მან, - გეფიცებით, არ ვიცი. ვკითხე, მა გრამ მითხრა, ძნელი ასახსნელია, თავს კარგად ვერ ვგრძნობ, სე რიოზული ურთიერთობისთვის მზად არა ვარო. ან ვიღაც ჰყავს, ან... ახლა ერთმანეთს თითქმის აღარ ველაპარა-კებით. ჩემკენ აღარც კი იყურება. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, - მას ხმა აუთრთოლდა.

- ერთი ამას მოუსმინეთ, - გაეცინა ო ' კელის, - მედოქსი პრო-ფესიის არჩევისას შეცდა. მსახიობი უნდა გამოსულიყო.

მაგრამ ის არ თამაშობდა და როზალინდამ ეს იგრძნო.

- უნდა გითხრათ, - თქვა როზალინდამ ოდნავ შესამჩნევი კმა-ყოფილებით, - ეს არ მაოცებს. შეყვარებულად არასდროს მო-გიხსენიებდათ.

- რას ამბობდა?

კესი აშკარად ცდილობდა, როზალინდასთვის ყველაზე სუსტი ადგილები ეჩვენებინა, განზრახ აძლევდა მტკივნეულ წერტი-ლებში დარტყმის უფლებას, ყველაფერს აკეთებდა, რათა ქა-

ლიშვილს მასთან ანგარიში გაესწორებინა, თანაც აუჩქარებ-ლად და სრული სიამოვნების მიღებით. გული შემეკუმშა.

როზალინდა დიდხანს დუმდა.

- მითხრა, რომ ძალზე მომაბეზრებელი ხართ, - თქვა ბოლოს წკრიალა, სუფთა და მშვიდი ხმით, - სასოწარკვეთილიაო - დიახ, ეს სიტყვა გამოიყენა. იმიტომ, რომ ჩემს წინააღმდეგ იყავით მო-მართული: ეჭვიანობდით და გეშინოდათ, არ შევყვარებოდი. არა, ცდილობდა, თქვენზე ცუდი არაფერი ეთქვა, - როგორც ჩანს, უბრალოდ, ებრალებოდით, - მაგრამ აშკარად არ იცოდა, თავიდან როგორ მოეცილებინეთ.

- რა სისულელეა! - ჩავიჩურჩულე გაშმაგებულმა, თავს ვე-ღარ ვიკავებდი, - არასდროს...

- მოკეტე! - მითხრა სემმა, ო ’ კელიმ კი ჩაიბურტყუნა, - ვისი რა საქმეა?

- ჩუმად, თუ შეიძლება, - გვთხოვა ტექნიკოსმა.

- ვუთხარი, რასაც თქვენზე ვფიქრობდი, - ფიქრიანად განაგ-რძო როზალინდამ, - ნუთუ დამიჯერა?

- დიახ, - შემკრთალი ხმით მიუგო კესიმ, - როგორც ჩანს, და-გიჯერათ.

- რას წარმოვიდგენდი, - როზალინდას ხმაში კვლავ კმაყო-ფილების კილო გაისმა, - ძალიან გიყვართ?

სიჩუმე.

- ასეა?

- არ ვიცი, - კესი ყრუდ, გაჭირვებით ლაპარაკობდა, მაგრამ როდესაც დაიქსუტუნა, მივხვდი, რომ ტიროდა, - ამაზე არას-დროს მიფიქრია, სანამ... უბრალოდ... მასთან ასე ახლოს არას-დროს ვყოფილვარ, ახლა კი თავში ყველაფერი მერევა და არ შემიძლია...

- ეჰ, დეტექტივო მედოქს, - ამოიოხრა როზალინდამ, - თუ ჩემთან არ გინდათ გულახდილობა, საკუთარ თავს მაინც გაუმ-ხილეთ სიმართლე.

- არ შემიძლია, - კესი ძლივს ლაპარაკობდა.

მომეჩვენა, რომ ფურგონი პირქუშ აკლდამად გადაიქცა, მისი კედლები კი ისე მოიწევდა ჩვენკენ, როგორც კოშმარულ სიზ-მარში, ორი ხმა კი ამ ყველაფერს შემაძრწუნებელ შიშს ამატებ-და, თითქოს ორი გარდაცვლილი ადამიანის სულს ვუსმენდით, რომლებიც ერთმანეთს ულმობლად ებრძოდნენ. კარის სახე-ლური სიბნელეში აღარ ჩანდა. ო ' კელის გამაფრთხილებელი მზერა შევნიშნე.

- ეს თვითონ მოინდომე, რაიან, - მითხრა მან.

სუნთქვა მიჭირდა.

- იქ უნდა წავიდე.

- რატომ? ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, როგორც გვინდოდა, ნუ წრიალებ.

დინამიკებიდან გულამომჯდარი ქვითინი ისმოდა.

- არა, - ვთქვი მე, - მომისმინეთ.

- ის თავის სამუშაოს ასრულებს, - ჩაილაპარაკა სემმა. მბჟუ-ტავი ნათურების ბაც ყვითელ შუქში სახეზე შეუვალობა აღბეჭ-დოდა, - დაჯექი.

ტექნიკოსმა თითი ასწია.

- თავი შეიკავეთ, - ზიზღით თქვა როზალინდამ, - ძალიან ძნე-ლია ისტერიკულ ადამიანთან საუბარი.

- მაპატიეთ, - კესიმ კვლავ დაიქსუტუნა და ღრმად ამოიოხრა, - გთხოვთ. ყველაფერი დასრულდა და ეს დეტექტივ რაიანის ბრალი არ არის. იგი თქვენთვის ყველაფერს გააკეთებს. ნუთუ არ შეგიძლიათ, რომ... ეს დაივიწყოთ? და არავის უთხრათ? გეხ-ვეწებით.

- ჰმ! - როზალინდას ჩაეცინა, - მე და დეტექტივი რაიანი ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ ჩვენი ბოლო შეხვედრისას ისიც უხეშად მომექცა, თანაც მომატყუა თავისი ორი მეგობრის შესახებ, მე კი მატყუარები არ მიყვარს. არა, დეტექტივო მედოქს, არა მგონია, თქვენი ან მისი რამე მმართებდეს.

- კარგი, - თქვა კესიმ, - ასე იყოს. იქნებ შემიძლია, სანაცვლოდ რამით დაგეხმაროთ?

მსუბუქი სიცილი.

- არა მგონია, თქვენგან რამე მინდოდეს.

- ცდებით. კიდევ ხუთი წუთი დამითმეთ, კარგი? პირდაპირ წავიდეთ მთავარი გზისკენ. თქვენთვის რაღაცის გაკეთება შემიძლია. გეფიცებით.

როზალინდამ ამოიხვნეშა.

- დრო მანამდე გაქვთ, სანამ ჩემს სახლამდე არ მივსულვართ, ოღონდ გაფრთხილებთ, დეტექტივო მედოქს, რომ ყველა ადამიანი როდია ამორალური. თუ თქვენი უფროსობისთვის რამის მოყოლას გადავწყვეტ, ქრთამით ვერ გამაჩუმებთ.

- ეს ქრთამი კი არა, დახმარებაა.

- თქვენგან? - კვლავ სიცილი: სუფთა და ცივი, რომელიც ერთ დროს მომწონდა.

- ორი დღის წინათ, - განაგრძო კესიმ, - ჩვენ დემიენ დონელი დავაკავეთ. იგი ქეითის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

სემი წინ გადაიხარა და იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო.

- მართლა? მაშასადამე, თქვენი პირადი ცხოვრებიდან ჩემს დაზე გადავდივართ? ვინ არის დემიენ დონელი?

- როგორც ამბობს, რამდენიმე კვირის წინათ თქვენი ბოიფრენდი იყო.

- სისულელეა! ჩემი ბოიფრენდი რომ ყოფილიყო, ამის შესახებ, ალბათ, მეც მეცოდინებოდა, არა?

- არსებობს ჩანაწერი, - ფრთხილად შეაპარა კესიმ, - თქვენი სატელეფონო საუბრების ჩანაწერი.

- თუ გსურთ, სამსახური გაგიწიოთ, დეტექტივო, - ყინულივით ცივი ხმით თქვა როზალინდამ, - არა მგონია, სიცრუეში ჩემი დადანაშაულება ღირდეს.

- თქვენ არაფერში გადანაშაულებთ, - შეეპასუხა კესი და მომეჩვენა, რომ ახლა ხმა აუკანკალდებოდა, - მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ეს თქვენი პირადი საქმეა და მიზეზი არა გაქვთ, მენდოთ.

- მართალია.

- მაგრამ შევეცდები, აგიხსნათ, რა სახის დახმარებას გთავაზობთ. დემიენი მენდობა. იგი მელაპარაკება.

როზალინდას ჩაეცინა.

- ეგ არც მიკვირს. დემიენი ყველას დაელაპარაკება, ვინც მას მოუსმენს. ამ მხრივ გამონაკლისი არა ხართ.

სემმა თავი დააქნია - პირველი ნაბიჯი გადაიდგა.

- ვიცი, ვიცი. საქმე ისაა, რომ მიამბო, ეს რატომ ჩაიდინა. დემიენის მტკიცებით, ეს თქვენთვის გააკეთა. თქვენ სთხოვეთ მას.

ხანგრძლივი დუმილი.

- აი, რატომ გამოგიძახეთ წუხელ, - განაგრძო კესიმ, - რათა შექმნილი ვითარების შესახებ გვესაუბრა.

- ოჰ, გთხოვთ, დეტექტივო მედოქს, - როზალინდას ხმა გაუმკაცრდა და ვერ გამეგო, ეს კარგის ნიშანი იყო თუ ცუდის, - ისე ნუ მექცევით, თითქოს სულელი ვიყო. თქვენ რომ ჩემს წინააღმდეგ რამე გქონდეთ, კარგა ხნის წინათ დამაპატიმრებდით, ახლა აქ არ ვიდგებოდი და არ მოვისმენდი, როგორ მისტირით დეტექტივ რაიანს.

- არა, მსგავსი არაფერი ხდება, - უთხრა კესიმ, - არავინ იცის, რა თქვა დემიენმა, მაგრამ როგორც კი შეიტყობენ, მაშინვე დაგაპატიმრებენ.

- ვიმედოვნებ, არ მემუქრებით?

- არა, მხოლოდ ვცდილობ... კარგი, აი, რა ხდება, - კესიმ სული მოითქვა, - მკვლელობაში თქვენი დადანაშაულებისთვის ჩვენ მოტივი არ გვჭირდება. დემიენმა ყველაფერი აღიარა, რაც დაკითხვის ოქმებშიც არის დაფიქსირებული და ვიდეოზეც. სრულიად საკმარისი მასალაა იმისთვის, რომ ციხეში ჩავსვათ. არავის ადარდებს, ეს რატომ ჩაიდინა. როგორც უკვე გითხარით, იგი მენდობა. თუ გადავუკრავ, რომ მოტივის შესახებ არაფერი თქვას, ასეც მოიქცევა. თქვენ ხომ იცნობთ მას.

- დიახ, თანაც თქვენზე გაცილებით უკეთ. ღმერთო ჩემო, დემიენი, - შესაძლოა, ჩერჩეტი ვარ, მაგრამ როზალინდას კილომ საშინლად განმაცვიფრა. ეს ზიზღიც კი არ იყო: სრული, გამანადგურებელი უარყოფა, - ის არც მე მადარდებს. იგი მკვლელია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ნუთუ გგონიათ, მას ვინმე დაუჯერებს? ჩემზე მეტად?

- მე დავუჯერე, - ამოოხვრით თქვა კესიმ.

- მართლა? ეს არცთუ კარგად გახასიათებთ და, როგორც დეტექტივს, ჩრდილსაც კი გაყენებთ. დემიენს იმის ტვინიც არა აქვს, ზონრები შეიკრას, ის კი რაღაც ამბავს თხზავს და თქვენ მას ენდობით? მართლა გგონიათ, რომ ასეთ ადამიანს, სურვილის შემთხვევაშიც კი, შეუძლია ნორმალურად ახსნას, როგორ მოხდა ყველაფერი? დემიენს მხოლოდ უმარტივესი აზრების გადახარშვა შეუძლია. აქ კი მარტივი არაფერია.

- ჩემთვის ძირითადი ფაქტებიც საკმარისია, - აჩქარებით თქვა კესიმ, - დეტალები არ მჭირდება. თუ ინფორმაციის დამალვა მომიწევს, მირჩევნია, ის, შეძლებისდაგვარად, ნაკლები იყოს.

როზალინდა ერთხანს დუმდა, თითქოს მის სიტყვებს წონიდა, შემდეგ კი გაიცინა და თქვა:

- რას ამბობთ, თქვენ ხომ დეტექტივი ხართ, ბოლოს და ბოლოს? ნუთუ არ გაინტერესებთ, როგორ მოხდა ყველაფერი?

- ისედაც ყველაფერი ვიცი, რაც უნდა ვიცოდე. რასაც მეტყვით, ვერაფერს შემმატებს.

- აჰა, გასაგებია! - მხიარულად შესძახა როზალინდამ, - ამ ინფორმაციას ხომ ვერ გამოიყენებთ, მაგრამ თუ სიმართლე უხერხულ მდგომარეობაში გაყენებთ, ეს მხოლოდ თქვენი ბრალია, ასე არაა? თვითონ მოიქციეთ თავი ჩიხში. არა მგონია, თქვენი სისუსტის შემწყნარებლობა მმართებდეს.

- მაგრამ მე, როგორც თვითონ აღნიშნეთ, დეტექტივი ვარ, - კესიმ ხმას აუწია, - არ შემიძლია მოვისმინო, როგორ მოხდა დანაშაული და...

- მოგიწევთ ამის გაკეთება, - ცივად გააწყვეტინა როზალინდამ, - ქეითი მშვენიერი გოგო იყო, მაგრამ ცეკვის სკოლისა და წარმატების შემდეგ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა შეექმნა. ის ქალი, სიმონა, მასზე ცუდ გავლენას ახდენდა. ეს მაღიზიანებდა. ვიღაცას ქეითი ღრუბლებიდან მიწაზე უნდა დაეშვა. ეს მისთვისვე იქნებოდა კარგი, ამიტომაც მე...

- თუ რამის მოყოლა გსურთ, - ხმამაღლა თქვა კესიმ, - უნდა გაგაფრთხილოთ. სხვაგვარად...

- ნუ მემუქრებით, დეტექტივო. ამას აღარ გაგიმეორებთ.

პაუზა. სემმა თვალი სივრცეს გაუშტერა, მუშტი პირთან მიიტანა და კბილებით ჩააფრინდა.

- ჰოდა, - განაგრძო როზალინდამ, - გადავწყვიტე კიდეც: ყველაფერს აჯობებდა, ქეითისთვის მეჩვენებინა, რომ იგი სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ის საბრალო ჭკუით ვერ დაიკვეხნიდა. როდესაც რაღაც ისეთი შევაპარე...

- ვალდებული არა ხართ, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ რამე თქვათ, - შესძახა კესიმ, - ყველაფერი, რასაც იტყვით, წე-

რილობით დაფიქსირდება და შესაძლოა, მტკიცებულების სახით იქნეს გამოყენებული თქვენს წინააღმდეგ.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მესმოდა, როგორ შრიალებდა ფოთლები მათ ფეხებქვეშ, კესის ჯემპრი მიკროფონს ეხახუნებოდა. ტყეში რომელიღაც ჩიტი წყნარად ღუღუნებდა. სემმა შემომხედა და მბჟუტავი ნათურების შუქზე მომეჩვენა, რომ მის მზერაში გაკიცხვას ვხედავდი. ბიძამისი გამახსენდა.

- მედოქსმა ის დაკარგა, - ჩაილაპარაკა ო ' კელიმ. იგი გაიზმორა, მხრებში გასწორდა და კისერი გაატკაცუნა, - ყველაფერი კი იმ წყეული გაფრთხილების ბრალია. როდესაც მუშაობა დავიწყე, ასე არ ვიქცეოდით: ერთი-ორჯერ ვუთავაზებდით, შევიტყობდით, რაც გვინდოდა და მოსამართლესთან მიგვყავდა. არა უშავს, ახლა სხვა საქმეებს მაინც მივხედავთ.

- მოიცადეთ, - შეეპასუხა სემი, - კესი როზალინდას დააბრუ ნებს.

- მომისმინეთ, - თქვა, როგორც იქნა, კესიმ და ღრმად ამოისუნთქა, - ჩემს უფროსობასთან წასვლის შესახებ...

- ერთი წუთით! - ცივად გააწყვეტინა როზალინდამ, - ჯერ არ დაგვისრულებია.

- დავასრულეთ, - არ დაუთმო კესიმ, მაგრამ ხმა ოდნავ აუთრთოლდა, - ყოველ შემთხვევაში, ქეითთან დაკავშირებით. არ შემიძლია, ასე ვიდგე და მოვისმინო, როგორ...

- მე კი არ მიყვარს, როდესაც მაშინებენ, დეტექტივო. იმას ვილაპარაკებ, რაც მომეწონება, თქვენ კი მოსმენა მოგიწევთ. თუ ერთხელ მაინც გამაწყვეტინებთ, საუბარი დამთავრდება, ოღონდ, თუ ჩემს ნათქვამს ვინმეს შეატყობინებთ, თქვენ შესახებ ყველაფერს ვიტყვი, დეტექტივი რაიანი კი დამემოწმება. ასე რომ, არავინ დაგიჯერებთ და თქვენთვის ძვირფას სამსახურსაც დაემშვიდობებით. გასაგებია?

სიჩუმე. მუცლის გვრემა დამეწყო. ნერწყვი ძლივს გადავყლაპე.

- თავდაჯერებულობა, - ჩაეცინა სემს, - წყეული თავდაჯერებულობა.

- თვალი არ ეცეს, - ჩაილაპარაკა ო ' კელიმ, - ყოჩაღ, მედოქს.

- დიახ, - ძლივს გასაგონად მიუგო კესიმ, - გასაგებია.

- შესანიშნავია, - როზალინდას ხმაში კმაყოფილებამ გაიჟღერა. იმავდროულად, ბეტონზე მისი ფეხსაცმლის ქუსლების კაკუნიც გაისმა. კესისა და როზალინდას გზისკენ გადაეხვიათ და ქალაქის შესასვლელისკენ მიემართებოდნენ, - როგორც უკვე გითხარით, ქეითი ვინმეს ჭკუაზე უნდა მოეყვანა, რათა საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ ჰქონოდა. ცხადია, ეს ჩემს მშობლებს ევალებოდათ. ასე რომ მოქცეულიყვნენ, მე არაფრის გაკეთება არ მომიწევდა, მაგრამ განზე დგომა არჩიეს. ვფიქრობ, ეს ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობის ერთ-ერთი ფორმაა. არ მეთანხმებით?

- არ ვიცი.

- ჩემი აზრით, ეს აშკარაა. მოკლედ, ქეითს განვუცხადე, რომ ცეკვისთვის თავი უნდა დაენებებინა, რადგან ეს მასზე ცუდად მოქმედებდა, მაგრამ არ დამიჯერა. უნდა ამეხსნა მისთვის, რომ მას არ ჰქონდა ღვთისგან მინიჭებული უფლება საყოველთაო ყურადღების მისაპყრობად, რომ სამყარო მის გარშემო არ ტრიალებდა. ამიტომაც ვუშლიდი ხელს მეცადინეობაში. არ გაინტერესებთ, როგორ?

კესის სუნთქვა გაუხშირდა.

- არა, არ მაინტერესებს.

- ავად გავხადე, დეტექტივო მედოქს. საინტერესოა, თქვენ თუ დაფიქრებულხართ ოდესმე ამაზე?

- დიახ. ჩვენ დედათქვენზე მივიტანეთ ეჭვი.

- მართლა? - კვლავ სრული უპატივცემულობის გამოვლენა, - ნუ მაცინებთ. ასე რომ მოქცეულიყო, დედაჩემს თქვენნაირი ვაიდეტექტივებიც კი ერთ კვირაში დაიჭერდნენ. მე წვენში სარეცხ საშუალებას, მათეთრებელს ან რამე მსგავსს ვურევდი და ქეითს ვეუბნებოდი, რომ მოცეკვავეების საიდუმლო წამალი იყო, რათა უკეთ ეცეკვათ. ის სულელი კი მიჯერებდა. მაინტერესებდა, ამას ვინმე თუ შეამჩნევდა, მაგრამ ვერავინ შეამჩნია. წარმოგიდგენიათ?

- ღმერთო ჩემო, - ჩაიჩურჩულა კესიმ.

- მიდი, კესი, - ჩაილაპარაკა სემმა, - ეს სხეულის მძიმე დაზიანებაა. მიდი.

- ამას არ იზამს, - ვთქვი მე და ჩემმა ხმამ არაბუნებრივად გაიჟღერა, - სანამ მკვლელობის საქმეს არ გაარკვევს.

- მოითმინეთ, - თქვა კესიმ და გავიგონე, როგორ გადაყლაპა ნერწყვი, - ახლა დასახლებაში შევდივართ, თქვენ კი მითხარით, რომ მხოლოდ იმდენ დროს მომცემდით, რამდენიც სახლამდე მისვლას დასჭირდებოდა... უნდა ვიცოდე, რა გადაწყვიტეთ...

- შეიტყობთ. დასახლებაში კი მაშინ შევალთ, როცა ამას მე მოვისურვებ, ახლა უკან დავბრუნდებით და დანარჩენსაც მოგიყვებით.

- კვლავ დასახლებას შემოვუვლით?

- თვითონ გინდოდათ ჩვენთან საუბარი, - მკაცრი კილოთი განაცხადა როზალინდამ, - უკვე დროა, თანამიმდევრულობას მიეჩვიოთ.

- ჯანდაბა, - ჩაილაპარაკა სემმა. ისინი ჩვენს ფურგონს თანდათან შორდებოდნენ.

- კესის დახმარება არ დასჭირდება, ო ’ ნილ, - დაამშვიდა ო ’ კელიმ, - მართალია, ის გოგო ნამდვილი ძუკნაა, მაგრამ არა მგონია, "უზი"[129] ჰქონდეს.

- სამწუხაროდ, ქეითმა ვერაფერი ისწავლა, - როზალინდას ხმა კვლავ გაუმკაცრდა, - როგორც იქნა, მიხვდა, რატომაც ავადმყოფობდა, - ამასობაში რამდენიმე წელი გავიდა, - და სცენა მომიწყო. განმიცხადა, რომ აღარასდროს დალევდა იმას, რასაც ვაძლევდი, დამემუქრა, რომ ყველაფერს მშობლებს უამბობდა... ცხადია, არ დაუჯერებდნენ - ის ხომ უბრალო მიზეზის გამოც კი ერთ ამბავს ატეხდა ხოლმე, მაგრამ თვითონ ფაქტი... ქეითი პატარა, გაფუჭებული, უვარგისი ადამიანი იყო. ყოველთვის თავის ჭკუაზე უნდოდა გავლა. და თუ რამე არ გამოსდიოდა, მაშინვე ტირილით გარბოდა დედიკოსა და მამიკოსთან.

- ქეითს მხოლოდ ის სურდა, მოცეკვავე გამოსულიყო, - შეახსენა კესიმ.

- მე კი ვუთხარი, რომ ეს მიუღებელი იყო. მას რომ ის გაეკეთებინა, რასაც ეუბნებოდნენ, არაფერი მოხდებოდა. მაგრამ ქეითი მემუქრებოდა. აი, რა დღეში ჩააგდო იგი საბალეტო სკოლამ, ატეხილმა ხმაურმა, გაზეთებში გამოქვეყნებულმა სტატიებმა, საქველმოქმედო ფონდებმა. ქეითმა მითხრა, - სერიოზულად გეუბნებით, მის სიტყვებს გადმოგცემთ, იდგა და პრიმადონასავით დოინჯი შემოეყარა, - ჩემთვის ეს არ უნდა გაგეკეთებინაო. ვინ ეგონა თავი, დალახვროს ეშმაკმა? ხელიდან წავიდა, გამომწვევად მექცეოდა. ამას ვერ მოვითმენდი.

სემს ხელები მოემუშტა, მე ძლივს ვსუნთქავდი და ცივი ოფლი მასხამდა. გონებაში როზალინდას წარმოდგენას ვეღარ ვახერხებდი - თეთრ კაბაში გამოწყობილი ნაზი ქალიშვილის სახე

---

[129] უზი - ერთგვარი ცეცხლსასროლი იარაღი.

ატომური ბომბის აფეთქებას ნამსხვრევებად ექცია და მის ნაცვლად რაღაც უფორმო და საშინელი დარჩენილიყო, როგორც გარსი, რომელიც მწერის მიერ კანის გამოცვლის შემდეგ რჩება - წვიმისგან ატალახებული და დარბილებული.

- მეც შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც ცდილობდნენ, მიეთითებინათ, რა უნდა მეკეთებინა, - თქვა კესიმ. იგი ჩვენზე უკეთ იყო მომზადებული იმისთვის, რასაც მოისმენდა, მაგრამ როზალინდას სიტყვებმა ისიც კი ამოაგდო კალაპოტიდან, - მაგრამ არავისთვის მითხოვია მათი მოკვლა.

- მეც არაფერი მითხოვია დემიენისთვის, - გაეცინა როზალინდას, - მაგრამ რადგან მამაკაცებს მოსწონთ, როდესაც ჩემთვის რამეს აკეთებენ... შეგიძლიათ, ჰკითხოთ: პირველმა მან შემომთავაზა. თუმცა ამას დიდი დრო მოანდომა - მაიმუნს უფრო ადვილად გაწვრთნიდა კაცი, - ო ' კელიმ ჩაიცინა, - როდესაც ამას, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მსოფლიო მიზიდულობის კანონი აღმოაჩინაო, თითქოს გენიოსი იყო, მაგრამ მალე ეჭვი შეეპარა. ღმერთო ჩემო, როგორ დამტანჯა დემიენმა - კიდევ ორი კვირა და, მივატოვებდი, თორემ ჭკუაზე შემშლიდა.

- სამაგიეროდ, ის გააკეთა, რაც გინდოდათ, - თქვა კესიმ, - მაშ, რატომ გაწყვიტეთ მასთან ურთიერთობა? საბრალო ბიჭი სასოწარკვეთამ შეიპყრო.

- იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც რაიანმა მიგატოვათ. მოწყენილობისგან გული მერეოდა, თანაც დემიენი დავალებას ვერ გაუმკლავდა, კინაღამ ყველაფერი გააფუჭა, - როზალინდამ ხმას აუწია. გაშმაგება დაეტყო, - პანიკამ მოიცვა, გვამი არ დამალა და კინაღამ სერიოზული პრობლემა შემიქმნა. გულწრფელად გეტყვით, ზოგჯერ ისე იქცევა, ვერც კი წარმოიდგენთ. მოვიგონე კიდეც ერთი ვერსია, რათა დემიენს თქვენთვის ეთქვა და კვალი აერია, მაგრამ ესეც კი ვერ მოახერხა.

- სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცს გულისხმობთ? - ჰკითხა კესიმ და გავიგონე, როგორ დაეძაბა ხმა, - არა, რატომ, გვითხრა, თუმცა არცთუ დამაჯერებელი ჩანდა. ვიფიქრეთ, რომ უმნიშვნელო წვრილმანის გაბუქება სურდა.

- ხვდებით, რას ვგულისხმობ? მას ქეითთან სექსი უნდა ჰქონოდა, თავში ქვა ჩაერტყა და გვამი არხში ან ტყეში დაეგდო. აი, რა მინდოდა. ეს თითქოს დემიენსაც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ არა. ყველაფერი სხვაგვარად გააკეთა. გაუმართლა, რომ მაშინვე არ მივატოვე. პოლიციისთვის უნდა ჩამებარებინა. მან ეს დაიმსახურა.

ახლა უკვე ყველაფერი ვიცოდით. ღრმად, მტკივნეულად ამოვიოხრე. სემი მოეშვა, ფურგონის კედელს მიეყრდნო და ხელები თმაზე გადაისვა, ო ' კელიმ გაბმით, ხმადაბლა დაუსტვინა.

- როზალინდა ფრენსის დევლინ, - თქვა კესიმ, - თქვენ დაპატიმრებული ბრძანდებით. ეჭვმიტანილი ხართ იმაში, რომ ამა წლის ჩვიდმეტ აგვისტოს ნოკნარიში, დუბლინის საგრაფოში, ქეითლინ ბრიჯით დევლინი მოკალით.

- ხელი გასწიე! - იღრიალა როზალინდამ.

მათ ფეხქვეშ ტოტების ტკაცუნის ხმა გაისმა, ამას მსტვინავი ბგერები მოჰყვა, თითქოს კატამ დაისისინაო, შემდეგ კი კესიმ შეჰყვირა.

ფურგონიდან გადმოვხტით და დასახლებაში შემოსასვლელი ჭიშკრისკენ გავიქეცით. გრძელი ფეხების წყალობით, ადვილად გავუსწარი სემსა და ო ' კელის. ჩემ თვალწინ მთელი ქუჩა ირწეოდა: ჭიშკრები და ჭრელი კარები, ველოსიპედზე მჯდარი ბავშვი, რომელიც ჩვენ მოგვშტერებოდა, მოხუცი კაცი, ვარდის ბუჩქს რომ სხლავდა. ბინდბუნდის შემდეგ დილის მზე საშინლად კაშკაშებდა და თაფლივით მდოვრედ ეფინებოდა არემარეს, ჯერაც ისმოდა ფურგონის კარის მიჯახუნების ექო. როზალინდას შეეძლო წვეტიანი ტოტი, ქვა, გატეხილი ბოთლი აეღო - მოსაკ-

ლავად ყველაფერი გამოდგებოდა. საკუთარ ფეხებს ვერ ვგრძნობდი. ჭიშკრის ბოძს შემოვუარე, მთავარი გზისკენ გავიქეცი და კედლის გასწვრივ ვიწრო ბილიკზე შევუხვიე. თვალში მომხვდა სველი ბალახი, ფეხების ანაბეჭდი თიხაზე. სახეში ფოთლები მხვდებოდა. მეჩვენებოდა, თითქოს ჰაერს შევერიე, შემოდგომის ქარი მიბერავდა, ჩემში აღწევდა და ძარღვებში მიედინებოდა.

ისინი კედლის კუთხეში იდგნენ, იქ, სადაც ტყე მინდორს უახლოვდება. კესის როზალინდასთვის ხელი დაეჭირა, - გამახსენდა მისი თითების ძალა დაკითხვის ოთახში, - მაგრამ გოგონა გააფთრებით ებრძოდა, გაბოროტებით, გაშმაგებით ჩხუბობდა, იმდენად თავის დახსნას არ ცდილობდა, რამდენადაც კესისთვის დარტყმას. ფეხებს უბაგუნებდა, ფრჩხილებით დაკაწვრა სურდა, შემდეგ თავი გადასწია და სახეში შეაფურთხა. რაღაც შევძახე, მაგრამ ვერ გაიგონეს.

უკნიდან სწრაფი ნაბიჯების ხმა გაისმა და წინ სუინი გაიჭრა, რომელიც მინდორზე მორაგბესავით მირბოდა და ხელბორკილი მოემარჯვებინა. მან როზალინდას მხარში ხელი ჩაავლო, შემოატრიალა და კედელს მიანარცხა. როზალინდა უმაკიაჟოდ იყო, თმა ლენტით უხეშად შეეკრა. მხოლოდ ახლა დავინახე, - და გულზე მომეშვა, - რაოდენ მახინჯი იყო კოსმეტიკისა და მარჯვედ აფუებული კულულების გარეშე: მომჩვარული ლოყები, გაშმაგებისგან მობრეცილი ვიწრო პირი, თოჯინასავით არაფრის მთქმელი შუშის თვალები. სკოლის ფორმა ეცვა - მოჯაჯული ლურჯი ქვედაკაბა და ასეთივე, გადანაკეცზე გერბმიმაგრებული ჟაკეტი, და რატომღაც განსაკუთრებით საშინელი შთაბეჭდილება ჩემზე სწორედ ამ ჩაცმულობამ მოახდინა.

კესიმ უკან დაიხია, ხეს ჩაეჭიდა და თავი ძლივს შეიკავა, რომ არ წაქცეულიყო. როდესაც ჩვენკენ შემობრუნდა, თავდაპირველად მხოლოდ მისი თვალები დავინახე: უზარმაზარი, შავი,

თითქოს დაბრმავებული. შემდეგ ლოყაზე ჩამოღვრილი სისხლიც შევამჩნიე. ხის ჩრდილში იდგა და ოდნავ ირწეოდა, მის ფეხებთან კი მზის სხივი თამაშობდა.

მისგან რამდენიმე ნაბიჯიღა მაშორებდა, როდესაც მოულოდნელად რაღაც ძალამ შემაჩერა. გაფითრებული, თვალებზე ბინდგადაკრული, სახეგასისხლიანებული კესი ტაძრიდან ახალგამოსულ წარმართ ქურუმ ქალს ჰგავდა, რომელსაც სასტიკი რიტუალი დაესრულებინა და ჯერაც არამიწიერი შუქით იყო განათებული. ასე დაუკითხავად ვერ მივეახლებოდი. ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

- კესი, - ჩავილაპარაკე და მისკენ ხელები გავიწვდინე. გული საგულედან ამოხტომას ლამობდა, - კესი...

მანაც ასწია ხელები და წამით, - გეფიცებით, დავინახე, - მთელი სხეულით ჩემკენ გამოიწია, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო, ხელები ჩამოუშვა, ზევით აიხედა და ცისფერ ცას თვალი უმიზნოდ მოავლო.

სემმა მხარი გამკრა, გვერდზე მიმაგდო და მის გვერდით უხერხულად გაჩერდა.

- ღმერთო ჩემო, კესი... - სემი ქოშინებდა, - რა გაგიკეთა? აქ მოდი.

მან პერანგის კალთა აიწია და კესის ფრთხილად მოსწმინდა გასისხლიანებული ლოყა, მეორე ხელი მისი კეფის ქვეშ ამოედო.

- ჯანდაბა! - შესძახა უკნიდან სუინიმ, როდესაც როზალინდამ ფეხში დაარტყა.

- გამკაწრა, - თქვა კესიმ. საშინელი, მაღალი, არაბუნებრივი ხმა ჰქონდა, - შემეხო, სემ, შემეხო ეს საზიზღარი ქმნილება. ღმერთო ჩემო, შემაფურთხა... მომწმინდე! ჩქარა მომწმინდე!

- კარგი, კარგი, - უთხრა სემმა, - ყველაფერი დამთავრდა. ყოჩაღ, ახლა კი დამშვიდდი.

მან კესის ხელი მოხვია და მიიზიდა. კესიმ თავი მხარზე დაადო. წამით სემმა შემომხედა, შემდეგ კი მზერა თავის ხელზე გადაიტანა, რომლითაც კესის თმაზე ეფერებოდა.

- რა ხდება აქ? - გაისმა ო ' კელის გაღიზიანებული ხმა.

როდესაც კესის სახე გაუწმინდეს, ყველაფერი არც ისე ცუდად აღმოჩნდა, როგორც თავდაპირველად მოგვეჩვენა. როზალინდას ფრჩხილებს ღაწვზე სამი მუქი ზოლი დაეტოვებინა, მაგრამ ჭრილობები ღრმა არ იყო. ტექნიკოსმა, რომელმაც პირველადი დახმარების წესები იცოდა, თქვა, რომ ნაკერების დადება არ დასჭირდებოდა, და რომ კესის გაუმართლა, რადგან ფრჩხილი თვალში არ მოხვდა. მან ჭრილობების გადახვევაც შესთავაზა, მაგრამ კესიმ უარი უთხრა, ვინაიდან ჯერ დეზინფექცია უნდა გაეკეთებინა. მას კვლავაც აძაგძაგებდა. ტექნიკოსის აზრით, ეს შოკის გამო ხდებოდა. მომხდარით დაბნეულმა და ანერვიულებულმა ო ' კელიმ მას კარამელი შესთავაზა.

- შაქარია, - თქვა მან.

კესი მანქანის წაყვანას ვერ შეძლებდა, ამიტომ მისი "ვესპა" გზის პირას დავტოვეთ და ყველანი ფურგონით გავემგზავრეთ. საჭესთან სემი დაჯდა, როზალინდას უკან მიუჩინეს ადგილი დანარჩენებთან ერთად. მას შემდეგ, რაც სუინიმ ხელბორკილი დაადო, იგი გაყუჩდა და გაუნძრევლად, წელგამართული და სახეგაქვავებული იჯდა. ყოველი შესუნთქვისას ცხვირში მისგან სუნამოს მძაფრი და კიდევ რაღაცის მძიმე, გულის ამრევი სუნი მცემდა, თუმცა ეს, ალბათ, მეჩვენებოდა. სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ უტოკავდა, არც ბრაზი ეტყობოდა, არც გამოწვევა, არც შიში - აბსოლუტურად არაფერი, მაგრამ თვალებზე ვამჩნევდი, რომ დაძაბულად ფიქრობდა.

სამსახურში დავბრუნდით. ო ' კელის ხასიათი გამოუკეთდა. არ შემკამათებია, როდესაც სათვალთვალო ოთახში კესისთან ერთად შევედი.

- ეს გოგონა ერთ ბიჭს მაგონებს, რომელსაც სკოლაში ვიცნობდი, - თქვა მან, სანამ ველოდებოდით, როდის შეავსებდა სემი საჭირო ქაღალდებს და როზალინდას დაკითხვის ოთახში შეიყვანდა, - შეეძლო, დღეში ათჯერ მაინც მოვეტყუებინეთ, შემდეგ კი ახერხებდა და გვარწმუნებდა, თითქოს ეს ჩვენი ბრალი იყო. გიჟების მეტი რა გვყავს.

კესი ზურგით კედელს მიეყრდნო, ცხვირსახოცი დაინერწყვა და გასისხლიანებულ ლოყაზე მიიდო.

- ის გიჟი არ არის, - ჩაილაპარაკა მან. ხელები უკანკალებდა.

- ფიგურალურად რომ ვთქვათ, მედოქს, - შეეპასუხა ო ' კელი, - კარგი იქნება, თუ ბრძოლაში მიღებულ ჭრილობებს შეამოწმებინებ.

- ყველაფერი კარგადაა.

- ისე კი, მშვენიერი ნამუშევარია, - ო ' კელიმ კესის მხარზე ხელი უხერხულად მოუთათუნა, - ის, რომ იგი დას მისივე კეთილდღეობისთვის წამლავდა... შენი აზრით, მართლა სჯერა ამის?

- არა, - მიუგო კესიმ და ცხვირსახოცი გაშალა, რათა მასზე სუფთა ადგილი ეპოვა, - არც კი იცის, რას ნიშნავს სიტყვა "სჯერა". მისთვის არც სწორი ან არასწორი არსებობს; არის მხოლოდ ის, რაც მას გამოადგება ან არ გამოადგება. დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს. შეგიძლიათ, სიცრუის დეტექტორზეც შეამოწმოთ - თვალდაუხამხამებლად გაივლის და ერთ ტყუილსაც ვერ აღმოუჩენთ.

- პოლიტიკისთვის ყოფილა დაბადებული... აჰა, აი, ისინიც, - ო ' კელიმ თავი შუშისკენ გაიქნია: სემს როზალინდა ოთახში შეჰყავ და, - ვნახოთ, ამჯერად როგორ დაიძვრენს თავს. კარგად გავერთობით.

როზალინდამ ოთახი მოათვალიერა და ამოიოხრა.

- მშობლებს უნდა დავურეკო, - უთხრა სემს, - რათა ადვოკატი აიყვანონ ჩემთვის და აქ მოვიდნენ, - მან ჯიბიდან ბლოკნოტი და პატარა ავტოკალამი ამოიღო, რაღაც დაწერა, ფურცელი ამოხია და სემს ისეთი სახით გაუწოდა, თითქოს ის შიკრიკი იყო, - აი, მათი ტელეფონი. წინასწარ გიხდით მადლობას.

- მშობლებს ჩვენი საუბრის შემდეგ შეხვდებით, - უთხრა სემმა, - თუ ადვოკატი გჭირდებათ...

- ვფიქრობ, მათ გაცილებით ადრე ვნახავ, - გააწყვეტინა როზალინდამ, ქვედაკაბა გაისწორა და პლასტმასის სკამზე ზიზღიანი სახით დაჯდა, - განა არასრულწლოვნის დაკითხვას მშობელი ან მეურვე არ უნდა დაესწროს?

წამით ყველანი გავშეშდით, გარდა როზალინდასი, რომელმაც ფეხი ფეხზე გადაიდო და გაიღიმა - იგი გამოწვეული ეფექტით ტკბებოდა.

- დაკითხვა გადადებულია, - თქვა სემმა კამერის მიმართულებით, მაგიდაზე დაწყობილ ქაღალდებს ხელი დაავლო და კარისკენ გავარდა.

- ღმერთო დიდებულო, - ჩაილაპარაკა ო ' კელიმ, - რაიან, ხომ მითხარი...

- როზალინდა, ალბათ, იტყუება, - თქვა კესიმ, რომელსაც ცხვირ სახოცი მუჭში ეჭირა და შუშას დაჟინებით მისჩერებოდა.

წამით გული გამიჩერდა, შემდეგ კი გაშმაგებით ამიძგერდა.

- რა თქმა უნდა, იტყუება. შეხედეთ, როგორ გამოიყურება, ის ხომ...

- აჰა. თუ იცი, რამდენი კაცი აღმოჩენილა გისოსებს მიღმა მაგ ფრაზის წარმოთქმის შემდეგ?

სემმა ისე მკვეთრად შემოაღო კარი, რომ ის კედელს მიენარცხა.

- რამდენი წლისაა? - იკითხა გაცხარებით.

- თვრამეტის, - მივუგე მე და კინაღამ თავბრუ დამესხა, - მან მითხრა...

- დალახვროს ეშმაკმა! შენ მას ენდე და არ გადაამოწმე? - პირველად ვხედავდი მოთმინებადაკარგულ სემს. შთამბეჭდავი სანახაობა იყო, - სამის ნახევარზე რომ ჰკითხო, რომელი საათიაო, მაშინაც კი მოგატყუებს, გეტყვის, სამიაო, და ამ ტყუილით დატკბება. რატომ არ გადაამოწმე?

- ერთი ამას დამიხედეთ, რამდენს ლაპარაკობს! - გაბრაზდა ო ' კელი, - ნებისმიერ თქვენგანს ათასჯერ მაინც შეეძლო ამის გადამოწმება...

სემს მისი სიტყვები არც გაუგონია. იგი თვალებით მბურღავდა.

- ჩვენ დაგიჯერეთ, იმიტომ, რომ დეტექტივი ხარ, ეშმაკმაც წაგიღოს! მეწყვილე საბრძოლველად გაუშვი და არც...

- შევამოწმე! - ვიღრიალე მე, - ვნახე დოსიე!

მაგრამ მაშინვე ყველაფერს მივხვდი. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, მზიან დღეს, როდესაც დოკუმენტებს ვათვალიერებდი, ცალ ხელში ტელეფონი მეჭირა, ო ' გორმანი კი ჩემს ყურთან რაღაცას ბუბუნებდა. როზალინდასთან ვრეკავდი, თან იმის გარკვევას ვცდილობდი, სრულწლოვანი იყო თუ არა, რათა ჯესიკასთან საუბარს მოწმედ დასწრებოდა (მაშასადამე, უკვე მაშინ არ ვენდობოდი მას, თორემ რატომ დამაეჭვებდა ასეთი წვრილმანი?). ფურცელი ავიღე, რომელზეც ინფორმაცია ეწერა ოჯახის წევრების შესახებ, მოვძებნე როზალინდას დაბადების წელი...

სემი უკვე გამალებით ფურცლავდა ქაღალდებს და წამის შემდეგ დავინახე, როგორ ჩამოყარა მხრები.

- ნოემბერი, - ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა მან, - ორ ნოემბერს დაბადებულა. აი, როდის შეუსრულდება თვრამეტი წელი.

- გილოცავთ, - თქვა ო ’ კელიმ მცირე ხნის დუმილის შემდეგ, - ყოჩაღ. სამივეს.

კესიმ ხმაურით ამოისუნთქა.

- სასამართლო ამას არ მიიღებს, - თქვა მან, - ერთ სიტყვასაც კი.

იგი კედელთან იდგა. ნელ-ნელა ჩაიკეცა, თითქოს ფეხები მოეკვეთაო, და თვალები დახუჭა.

დინამიკიდან რაღაც ხმა გაისმა. როზალინდა ლოდინს დაეღალა და მოწყენილობისგან თავისთვის ბუტბუტებდა.

25 თავი

იმ საღამოს ჩვენ - სემი, კესი და მე - შტაბის ოთახის დაცლას შევუდექით. უსიტყვოდ და მეთოდურად ვმუშაობდით: ვხსნიდით ფოტოსურათებს, ვწმენდდით დახაზულ დაფას, ვახარისხებდით საქაღალდეებსა და ანგარიშებს და დიდ ლურჯ კოლოფებში ვაწყობდით. წუხელ პარნელსტრიტზე ვიღაცას ბინისთვის ცეცხლი წაეკიდებინა, ნიგერიელი ქალი და მისი ექვსი თვის შვილი კი მოეკ ლა. კოსტელოსა და მის მეწყვილეს ოთახი სჭირდებოდათ.

ო ' კელიმ და სუინმა როზალინდა ჯონათანის თანდასწრებით დაჰკითხეს. მეგონა, მისტერ დევლინი აყალმაყალს ატეხდა და ვინმესკენ საჩხუბრად გაიწევდა, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. როდესაც ო ' კელიმ ცოლ-ქმარი გამოიძახა და აცნობა, თუ რა აღიარა როზალინდამ, მარგარეტი მას პირდაღებული მიაჩერდა, შემდეგ ძლივს მოახერხა შესუნთქვა და იყვირა:

- არა! - მისი უხეში და ხრინწიანი ხმა მთელ დერეფანში გავრცელდა, - არა, არა, არა! ის თავის დეიდაშვილებთან იყო. როგორ გაბედეთ? როგორ არ... თქვენ... ღმერთო ჩემო, ის მაფრთხილებდა, რომ სწორედ ასე მოიქცეოდით! თქვენ, - მარგარეტმა აცახცახებული თითი ჩემკენ გამოიშვირა. უნებლიეთ უკან დავიხიე, - თქვენ მას გამუდმებით ურეკავდით, ითხოვდით, რომ შეგხვედროდათ, არადა, ის ხომ ბავშვია, უნდა გრცხვენოდეთ... მან კი, - მარგარეტმა კესიზე მიუთითა, - იგი თავიდანვე შეიძულა. როზალინდა ყოველთვის ამბობდა, ცდილობს, საქმე ამკიდოსო... რისი მიღწევა გსურთ? მისი მოკვლა გინდათ? ეს გაგაბედნიერებთ? ოჰ, ჩემი საბრალო ბავშვი... ცილს რატომ სწამებთ? რატომ?

მან ხელები თავზე წაივლო და აქვითინდა.

ო ’ კელიმ მარგარეტის დამშვიდება სცადა. ჯონათანი ჩუმად იდ გა კიბეზე, მოაჯირს დაყრდნობოდა და შიგადაშიგ პირქუშად გვიყურებდა. კოსტიუმი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. უცნაურია, მაგრამ მისი კოსტიუმი კარგად დამამახსოვრდა: მუქი ლურჯი, უზადოდ სუფთა, ოდნავ მბზინავი, თითქოს ასჯერ მაინც გაეუთოებინათ - არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემზე დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდა.

როზალინდა მკვლელობისა და პოლიციელზე თავდასხმისთვის დააპატიმრეს. მშობლების მოსვლის შემდეგ მან მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა: ათრთოლებული ხმით განაცხადა, რომ კესიმ მას მუცელში დაარტყა და ამიტომ იძულებული გახდა, თავი დაეცვა. ორივე საქმე პროკურატურაში გადავგზავნეთ, თუმცა ვიცოდით, რომ წარმატების შანსი თითქმის არ გვქონდა. სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცზეც კი ვერაფერს ვიტყოდით, რათა თანამზრახველთან როზალინდას კავშირი დაგვემტკიცებინა: ჯესიკას უფროსების გარეშე ვესაუბრე და იმასაც ვერ დავამტკიცებდი, რომ ეს საუბარი საერთოდ შედგა. ჩვენ მხოლოდ დემიენის აღიარება და მრავალი სატელეფონო ზარი გვქონდა.

უკვე საღამოს რვა საათი ხდებოდა, შენობაში თითქმის არავინ იყო. მხოლოდ ჩვენი ხმები და წვიმის ხმაური ისმოდა, რომელიც ფანჯრებზე აკაკუნებდა. შევაგროვე მორგიდან წამოღებული, დე ვ ლინების ოჯახისა და სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი სახემოღუშული კაცების, აგრეთვე პიტერისა და ჯემის მსხვილად გადაღებული ფოტოსურათები, ბლუთექი[130] გავუკეთე და მაგიდიდან ავიღე. კესიმ ყუთები შეამოწმა, თავი დაახურა და მარკერით მონიშნა. სემს ოთახში ნაგვისთვის განკუთვნილი

[130] ბლუთექი - მსუბუქი საგნების სამაგრი წებო.

ტომარა დაჰქონდა და მასში პლასტმასის ჭიქებს, მაგიდაზე დაყრილ ნამცეცებს ყრიდა, ქაღალდებით სავსე ურნებს აპირქვავებდა. პერანგზე შემხმარი სისხლის ლაქები მოუჩანდა.

ნოკნარის დახატული რუკა კუთხეებში აიპრიხა. როდესაც ავიღე, ერთი ნაწილი მოსძვრა. ვიღაცას ზედ წყალი დასხმოდა, საღებავი გადღაბნილიყო და კესის მიერ დახატულ მიწათმფლობელს კარიკატურული სახე ისე უსიამოვნოდ დაჰბრეცოდა, თითქოს ინსულტი დამართოდა.

- ესეც დავურთო საქმეს? - ვკითხე სემს.

რუკა გავუწოდე. ის ერთად შევათვალიერეთ: ხუჭუჭი ხეები, პატარა სახლები, სახურავების ზემოთ ასული კვამლი - ყველაფერი პატარა და ლამაზი, როგორც ჯადოსნურ ზღაპარში.

- არ გვინდა, - თქვა სემმა პაუზის შემდეგ, დაახვია და ნაგვის ტომარაში ჩააგდო.

- ერთი თავსახურავი აკლია, - გაისმა კესის ხმა, რომელსაც განაკაწრ ადგილებზე ქერქი გადაჰკროდა, - არავის უნახავს?

- მგონი, მაგიდის ქვეშ ეგდო, - ჩაილაპარაკა სემმა, - აჰა, აი, ისიც...

მას თავსახურავი კესის გადაუგდო. კესიმ ბოლო ყუთიც გაამზადა და წელში გაიმართა.

გაჩახჩახებულ ოთახში დაცარიელებულ მაგიდებსა და ყუთებს შორის ვიდექით და ერთმანეთს შევყურებდით. "დღეს ვახშამს მე ვაკეთებ, ჩემი ჯერია..." - ეს სიტყვები კინაღამ წამომცდა და შევამჩნიე, რომ სემსა და კესისაც იგივე გაახსენდათ - სულელური, დაუჯერებელი აზრი, რომელიც გულს მიკლავდა.

- კარგი, - თქვა კესიმ, ამოიოხრა, ცარიელ ოთახს თვალი მოავლო და ხელები ჯინსის შარვალზე გაისვა, - მგონი, დავასრულეთ.

ვხვდები, რომ ეს ამბავი არცთუ კარგად წარმომაჩენს. როზალინდასთან ორიოდე შეხვედრაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მის

ერთგულ, კარგად გაწვრთნილ ძაღლად ვქცეულიყავი: კიბეზე დავრბოდი მისთვის ყავის მისატანად, თავს ვუქნევდი, როდესაც ჩემს მეწყვილეს ცუდად მოიხსენიებდა, ყმაწვილის მგზნებარეებით წარმოვიდგენდი, რომ მასში თითქოს ახლობელი სული აღმოვაჩინე. მაგრამ სანამ ჩემს გაკიცხვას შეუდგებოდეთ, გაითვალისწინეთ, რომ როზალინდამ თქვენც გაგასულელათ. მე და თქვენ ერთნაირ მდგომარეობაში ვიყავით. ყველაფერი გიამბეთ, რასაც მაშინ ვხედავდი და როგორც ვხედავდი. და თუ დაასკვნით, რომ მოტყუვდით, გაიხსენეთ, რომ თავიდანვე გაგაფრთხილეთ: მე ვცრუობ.

ძნელია იმის აღწერა, თუ როგორ საშინლად და საზიზღრად ვგრძნობდი თავს, როდესაც გავაცნობიერე, რომ როზალინდამ გამაცურა. კესი, ალბათ, იტყოდა, რომ ჩემი მიმნდობობა ადვილი გამოსაცნობი იყო. დამნაშავეები და მატყუარები, რომლებსაც მანამდე შევხვედროდი, მოყვარულები იყვნენ როზალინდასთან, ამ სიცრუის ეტალონთან შედარებით. თვითონ მახეში მხოლოდ იმიტომ არ გაება, რომ მისნაირებს ადრეც შეხვედროდა. ამის თქმა კესის შეეძლო, მაგრამ იგი ჩემ გვერდით არ იყო. გამოძიების დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ო ’ კელიმ მითხრა, რომ განაჩენის გამოტანამდე არა მთავარ შენობაში, არამედ ჰარკორტსტრიტზე ვიმუშავებდი, რათა "კიდევ რამე არ წამებილწა", როგორც თვითონ აღნიშნა. ამის საწინააღმდეგო ერთი არგუმენტიც არ მომსვლია თავ ში. ოფიციალურად კვლავ განყოფილებაში ვირიცხებოდი, ამიტომ არავინ იცოდა, კონკრეტულად რა უნდა მეკეთებინა. გამომიყვეს მაგიდა, ო ’ კელიმ რაღაც ქაღალდები გამომიგზავნა, მაგრამ სამუშაო დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში დერეფნებში დავდიოდი, საუბრის ნაწყვეტებს ვისმენდი, სხვათა ცნობისმოყვარე მზერას გავურბოდი და თავი მოჩვენება მეგონა.

ღამღამობით ცუდად მეძინა, წარმოსახვას გასაქანი მივეცი და ვინ მოთვლის რამდენი სისხლიანი, დეტალურად დამუშავებული, წარმოუდგენელი გეგმა დავსახე როზალინდაზე შურის საძიებლად. მხოლოდ მის სიკვდილზე როდი ვოცნებობდი, მინდოდა, პირისაგან მიწისა აღგვილიყო: ხან ჭაობში ვახრჩობდი, ხან ფერფლად ვაქცევდი, ხანაც ხორცსაკეპში ვატარებდი. საკუთარ თავში სადიზმისკენ მიდრეკილება არასოდეს შემიმჩნევია, ამიტომ გვარიანად შევშინდი, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩამოთვლილ სასჯელთაგან ბევრს თვითონაც სიამოვნებით აღვასრულებდი. თავში განუწყვეტლივ მიტრიალებდა ჩემი და როზალინდას საუბრები და ულმობლად ცხადად ვხედავდი, როგორ მარჯვედ მიყენებდა: უშეცდომოდ პოულობდა ყველაზე სუსტ წერტილებს - პატივმოყვარეობას, მწუხარებას, ფარულ შიშს - და საჭირო მომენტში საკუთარ ნებაზე მათამაშებდა თავისი მიზნის მისაღწევად.

როგორც ჩანს, ყველაზე მეტად სწორედ ეს მთრგუნავდა: როზალინდას არც მიკროჩიპი ჩაუსვამს ჩემს თავში და არც ტრანსში შევუყვანივარ ნარკოტიკების გამოყენებით. მე თვითონ, საკუთარი ნებით დავარღვიე ყველა აკრძალვა და უკან დასახევი გზა მოვიჭერი. მას მხოლოდ წაბიძგებითაც შეეძლო ჩემი საჭირო მიმართულებით წაყვანა. მან ერთი შეხედვით შეგვაფასა მე და კესი, მიხვდა, რომ ის არ გამოადგებოდა, ჩემში კი რაღაც ბუნდოვანი, მაგრამ მისთვის სასარგებლო აღმოაჩინა.

დემიენის სასამართლო პროცესზე მოწმედ არ გამოვსულვარ. პროკურორ მეთიუზის აზრით, ეს ძალზე სარისკო იქნებოდა: არსებობდა ალბათობა, რომ როზალინდამ დემიენს ჩემი "პირადი ამბავი", როგორც მან უწოდა, ჩაუკაკლა. პროკურორი კაშკაშა ფერის ჰალსტუხებს ატარებდა, "დინამიკური" სტილი უყვარდა და საშინლად მღლიდა. როზალინდა ამ თემას აღარ ეხებოდა: როგორც ჩანს, კესიმ იგი გადაარწმუნა და ისიც სხვა, უფ-

რო პერსპექტიულ ვარიანტებზე გადაერთო. მეეჭვებოდა, რომ მან დემიენს რამე უთხრა, მაგრამ გაჩუმება ვარჩიე.

სამაგიეროდ, კესის გამოსვლის მოსასმენად წავედი. მაყურებლებით გაჭედილი დარბაზის ერთ-ერთ ბოლო რიგში დავჯექი - პროცესის შესახებ გაზეთებშიც ბევრს წერდნენ და რადიოშიც ლაპარაკობდნენ. კესი ლამაზი რუხ-ცისფერი კოსტიუმით გამოცხადდა, კულულები საგულდაგულოდ გაესწორებინა. იგი რამდენიმე თვე არ მენახა. გამხდარიყო, ლოყები ჩაცვივნოდა, უწინდელივით ცოცხლად აღარ მოძრაობდა, სახეც უფრო გამოკვეთოდა, - ნატიფი რკალები ქუთუთოებს ზემოთ, ლამაზი პირი, - ამიტომ ისე მივჩერებოდი, თითქოს პირველად ვხედავდი. ასაკმომატებულივით გამოიყურებოდა, იმ ყაჩაღანა გოგონას აღარ ჰგავდა, ძრავაჩამქრალ "ვესპასთან" რომ იდგა, მაგრამ ნაკლებად ლამაზი სულაც არ ჩანდა. მისი სილამაზის საიდუმლო კანის ფერსა და სიგლუვეში კი არ იმალებოდა, არამედ ღაწვების დახვეწილ ფორმაში. ვუყურებდი უცნობ კოსტიუმს და მის კისერთან ამოზრდილ რბილ, თბილ და მზის სურნელით გაჟღენთილ თმაზე ვფიქრობდი: ის, რომ ამ თმას ოდესღაც ვეხებოდი, ამქვეყნად ყველაზე უჩვეულო და სევდიან სასწაულად მიმაჩნდა.

იგი კარგად გამოვიდა. კესი სასამართლოში ყოველთვის მშვენივრად გამოიყურებოდა. ნაფიცი მსაჯულები ენდობოდნენ, ყოველთვის ყურადღებით უსმენდნენ, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია, განსაკუთრებით ხანგრძლივად მიმდინარე სხდომებზე. მეთიუზის შეკითხვებზე მკაფიოდ და გარკვევით პასუხობდა, ხელები, როგორც წესი, მუხლებზე ეწყო. ჯვარედინი დაკითხვის დროს დემიენისთვის ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო: დიახ, აფორიაქებული და თავგზააბნეული ჩანდა; გულწრფელად სჯეროდა, რომ ქეითის მკვლელობა აუცილებელი იყო როზალინდა და ჯესიკა დევლინების დასაცავად. მისი აზრით, დონელი როზა-

ლინდას გავლენას განიცდიდა, რომელმაც წააქეზა კიდეც იგი დანაშაულის ჩადენისკენ. სკამზე მოკუნტული დემიენი თვალებგაფართოებული შესცქეროდა მას საშინელებათა ფილმის საყურებლად მოსული ბავშვივით. თურმე, როდესაც შეიტყო, რომ როზალინდა სასამართლოში მის წინააღმდეგ აპირებდა ჩვენების მიცემას, ციხის ზეწრების საშუალებით თავის მოკვლაც კი სცადა.

- როდესაც დემიენმა მკვლელობა აღიარა, განმარტა თუ არა, ეს რატომ ჩაიდინა? - იკითხა ადვოკატმა.

კესიმ თავი გადააქნია და მიუგო:

- იმ დღეს - არა. მე და ჩემმა მეწყვილემ ვკითხეთ, მაგრამ ის ან არ გვპასუხობდა, ან ამბობდა, არ მახსოვსო.

- ეს უკვე აღიარების შემდეგ ხდებოდა, როდესაც მოტივის შესახებ საუბარი ზიანს ვეღარ მოუტანდა? თქვენი აზრით, რატომ იქცეოდა ასე?

- ვაპროტესტებ! მისახვედრი კითხვებია...

ჩემი მეწყვილე... კესის კილოსა და მხრების ოდნავ მოტრიალების მიხედვით მივხვდი, რომ დარბაზში თვალი მომკრა. თუმცა ჩემს მხარეს ერთხელაც არ გამოუხედავს, მაშინაც კი, შემაღლებული ადგილიდან რომ ჩამოვიდა და კარისკენ გაემართა. სწორედ მაშინ კირნანი გამახსენდა: რა იგრძნო მან, როდესაც გულის შეტევით მაკკეიბი გარდაიცვალა, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში მისი მეწყვილე იყო. ცხოვრებაში არაფერი შემშურებია ისე ძლიერ, როგორც ეს განუმეორებელი და ჩემთვის მიუწვდომელი მწუხარება.

ამის შემდეგ, მოწმის სახით, როზალინდა გამოიძახეს. დამსწრეთა ყრუ დრტვინვის თანხლებით იგი ტრიბუნისკენ ფრთხილად, ლამის თითის წვერებზე გაემართა, რათა ფეხსაცმელს არ ეკაკუნა, და მეთიუზს მორიდებით და დარცხვენით გაუღიმა. მე წავედი. მეორე დღეს გაზეთებში წავიკითხე, რომ ქეითზე საუბ-

რისას თურმე ქვითინებდა, ათრთოლებული ხმით ჰყვებოდა, როგორ ემუქრებოდა დემიენი დების მოკვლით, თუ მას მიატოვებდა, და როდესაც დემიენის ადვოკატი სიღრმისეულ შეკითხვებზე გადასულა, უყვირია: "როგორ მიბედავთ! მე მიყვარდა ჩემი და!" და გული წასვლია, რის გამოც სხდომა ერთი დღით გადაედოთ.

როზალინდა პასუხისგებაში არ მისცეს. ვფიქრობ, ეს მისმა მშობლებმა გადაწყვიტეს - თვითონ საკუთარი თავისადმი ყურადღების მიპყრობის ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. მეთიუზმა მშვიდობიანად მორიგება არჩია. დანაშაულში თანამონაწილეობის დამტკიცება ყოველთვის რთულია. როზალინდას წინააღმდეგ საიმედო სამხილები არ არსებობდა, მის აღიარებას სასამართლო ვერ მიიღებდა, თუმცა მასზე თვითონაც უარს იტყოდა (მაგალითად, განაცხადებდა, რომ კესიმ ხელი მოუღერა და დაემუქრა), მაგრამ სასწაული რომ მომხდარიყო და მისი ბრალეულობა დაემტკიცებინათ, არასრულწლოვნობის გამო მაინც მოკლე ვადით ჩასმა ემუქრებოდა. ამასთან, როზალინდა ამტკიცებდა, რომ ჩემთან იწვა, ეს კი საქმეში დიდ აურზაურს, მის პარალიზებას, ო ’ კელისა და ჩემში კი საშინელ გააფთრებას იწვევდა.

მეთიუზმა ეს ყველაფერი გათვალა და გადაწყვიტა, მთელი ყურადღება დონელიზე გადაეტანა. დემიენის წინააღმდეგ ჩვენებაზე უარის თქმის სანაცვლოდ, მან როზალინდას სამწლიანი პირობითი სასჯელი შესთავაზა "საფრთხეში წინდაუხედავად დატოვებისა"[131] და დაკავების დროს გაწეული წინააღმდეგობის-

---

[131] საფრთხეში წინდაუხედავად დატოვება (იურიდ.) - დანაშაული, რომელიც გულისხმობს საფრთხეში ჩავარდნილი, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მიტოვებას, დახმარებაზე უარის თქმას.
სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა კრიტერიუმი აქვს, რომელთა მიხედვითაც დახმარების გაუწევლობას დანაშაულის კვალიფიკაცია ენიჭება.

თვის. ჭორბიუროს თანახმად, მას უკვე მიეღო ხელისა და გულის რამდენიმე შეთავაზება, გამომცემლობები კი მისი თავგადასავლის გამოცემის უფლების მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

როდესაც სასამართლოს შენობიდან გამოვედი, ჯონათან დევლინს შევხვდი, რომელიც კედელთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა. ხელი მკერდის დონეზე ეჭირა, თავი გვერდზე გადაეხარა და ცაში აფრენილ თოლიებს აკვირდებოდა. ჯიბიდან ჩემი კოლოფი ამოვიღე და მივუახლოვდი. შემომხედა და მზერა ამარიდა.

- როგორ მიდის საქმე? - ვკითხე მე.

დევლინმა მხრები აიჩეჩა და მიპასუხა:

- დაახლოებით ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. ჯესიკამ თავის მოკვლა სცადა. საწოლზე დაწვა და ჩემი სამართებლით ვენები გადაიჭრა.

- ძალიან ვწუხვარ, - ვთქვი მე, - კარგად არის?

მას ტუჩები შეუტოკდა და მწარედ გაეღიმა.

- დიახ. საბედნიეროდ, არ გამოუვიდა - სიგრძეზე იჭრიდა და არა სიგანეზე.

ალს ხელისგული მოვაფარე და სიგარეტს მოვუკიდე: ქარიანი დღე იყო, ცა ღრუბლებით იფარებოდა.

- შეიძლება, ერთი შეკითხვა დაგისვათ? - ვკითხე მე, - არაოფიციალურად.

დევლინმა თავი მოატრიალა და მის თვალებში უიმედობა და ზიზღი ამოვიკითხე.

- რატომაც არა.

- თქვენ ყველაფერი იცოდით, არა? - ვთქვი მე, - ყველაფერი თავიდანვე იცოდით?

ჯონათანი დიდხანს დუმდა, ისე დიდხანს, რომ მეგონა, აღარ მიპასუხებდა. ბოლოს ამოიოხრა და მითხრა:

- არ ვიცოდი. როზალინდა ამას მარტო ვერ ჩაიდენდა. ამაში მისი დეიდაშვილების ხელიც ერია, დემიენის შესახებ კი არაფერი მსმენია, მაგრამ ვეჭვობდი - როზალინდას კარგად ვიცნობდი.

- მაგრამ არაფერი გააკეთეთ, - მინდოდა, ეს სიტყვები გულგრილად მეთქვა, მაგრამ მათში გაკიცხვამ გაიჟღერა. დევლინს შეეძლო, პირველივე დღეს მოეყოლა ჩვენთვის როზალინდას შესახებ, ასევე შეეძლო, ვინმესთვის ეამბა მრავალი წლის წინათ, როდესაც ქეითი პირველად გახდა ავად. ვხვდებოდი, რომ, საბოლოოდ, ეს ბევრს არაფერს შეცვლიდა, მაგრამ რამდენი უბედურება მოიტანა მისმა დუმილმა, რამდენი ბოროტება გააღვიძა.

ჯონათანმა სიგარეტი გადააგდო, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო და ჩემკენ შემობრუნდა.

- თქვენი აზრით, რა უნდა გამეკეთებინა? - მკაცრად ჩაილაპარაკა მან, - ის ხომ ჩემი ქალიშვილია. ქეითი უკვე დავკარგე. მარგარეტი ვერ გადაიტანს, თუ მის წინააღმდეგ ერთ სიტყვას მაინც ვიტყვი. როდესაც რამდენიმე წლის წინათ როზალინდას ფსიქოლოგთან მიყვანა მინდოდა, ვინაიდან გამუდმებით გვატყუებდა, მარგარეტმა თავი გაიგიჟა - დამემუქრა, მიგატოვებ და გოგონებსაც თან წავიყვანო. მე არაფერი ვიცოდი. რისი თქმა შემეძლო? მხოლოდ თვალს ვადევნებდი როზალინდას და ვლოცულობდი, რომ დამნაშავე რომელიმე მშენებელი ან მიწის მფლობელი ყოფილიყო. თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილას?

- არ ვიცი, - ვუპასუხე გულწრფელად.

დევლინი კვლავ მიყურებდა, მძიმედ სუნთქავდა და ნესტოები ებერებოდა. შევტრიალდი და ნაფაზი დავარტყი. წუთის შემდეგ სული მოითქვა და კვლავ კედელს მიეყრდნო.

- მეც მინდა, რაღაც გკითხოთ, - თქვა მან, - როზალინდა მართალი იყო - თქვენ მართლა ის ბიჭი ხართ, რომელსაც მეგობრები დაეკარგა?

შეკითხვას არ გავუოცებივარ. დევლინს როზალინდას დაკითხვის ყველა ჩანაწერის წაკითხვისა და მოსმენის შესაძლებლობა ჰქონდა, ასე რომ, ადრე თუ გვიან, ეს უნდა ეკითხა. ვიცოდი, რომ ყველაფერი უნდა უარმეყო, - ოფიციალური ვერსიის მიხედვით, მე ეს განზრახ მოვიფიქრე, რისი კანონიერი უფლებაც მქონდა, რათა როზალინდას ნდობა მომეპოვებინა, - მაგრამ ძალა გამომლეოდა, თუმცა ახლა უარის თქმის აზრს ვერ ვხედავდი.

- დიახ, - ვთქვი მე, - ადამ რაიანი.

ჯონათანმა თავი მოაბრუნა და დიდხანს მიყურებდა, როგორც ჩანს, რაღაცის გახსენებას ცდილობდა.

- ჩვენ ამ საქმესთან საერთო არაფერი გვქონია, - ჩაილაპარაკა მან რბილად, თითქმის ბოდიშის კილოთი, რამაც გამაკვირვა, - მინდა, ეს იცოდეთ. აბსოლუტურად არაფერი.

- ვიცი, - მივუგე მას, - მაპატიეთ, მაშინ თავს რომ დაგესხით.

მან თავი დამიქნია და მითხრა:

- თქვენს ადგილას, ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი. უცოდველი კრავი არა ვარ. თქვენ ხომ დაინახეთ, რა დავმართეთ სანდრას, არა? თქვენ იქ იყავით.

- მართალია, - დავუდასტურე, - მაგრამ ის არ გიჩივლებთ.

ჯონათანმა თავი ისე გაიქნია, თითქოს ამ აზრმა შეაშფოთაო. მდინარე მუქი და მღვრიე იყო, უსიამოვნო ფერი დაჰკრავდა. წყალში რაღაც მიცურავდა - მკვდარი თევზი ან ნაგავი - და თოლიები გუნდ-გუნდად დასტრიალებდნენ თავს და ყურისწამღებად ყვიროდნენ.

- ახლა რას აპირებთ? - ვკითხე მე.

დევლინმა თავი ასწია და მოღრუბლულ ცას ახედა. ძალიან დაღლილი ჩანდა, მაგრამ ეს ის დაღლილობა არ იყო, რომელსაც დასვენებით ან ძილით მოიცილებ - მას მის სისხლსა და ხორცში, ძვლებამდე შეეღწია, სახე ნაოჭებით დაეფარა.

- სხვა ადგილას გადავალ. ჩვენი სახლის ფანჯრებს ქვებს ესვრიან, ვიღაცამ მანქანაზე საღებავით "პიდოფილი" დაწერა - შეცდომით, მაგრამ აზრი ხომ გასაგებია. სანამ გზატკეცილის ამბავი არ გაირკვევა, დავრჩები, შემდეგ კი...

განცხადებას ბავშვებზე ძალადობის შესახებ, თუნდაც უსაფუძვლოს, სამართალდამცავები ყოველთვის ამოწმებენ. გამოძიებამ ერთ სამხილსაც ვერ მიაგნო, რომელიც დემიენის მიერ დევლინის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას დაადასტურებდა. პირიქით, ამის უარმყოფელი ფაქტები დაადგინა. სექსუალურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებამ საქმე დახურა, მაგრამ მეზობლებს შორის ჭორი ელვის სისწრაფით ვრცელდება და ყოველთვის აღმოჩნდება ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს.

- მოსამართლის განკარგულებით, როზალინდას ფსიქოლოგის კონსულტაცია სჭირდება. საკმაოდ ბევრი წავიკითხე ამის შესახებ. თითქმის ყველა წიგნში წერია, რომ მისნაირ ადამიანს ეს არაფერში წაადგება: რაც უნდა გავაკეთოთ, ისეთივე იქნება, როგორიც არის, თუმცა მე მაინც ვცდი. შევეცდები, დროის უმეტესი ნაწილი სახლში გავატარებინო, თვალს მივადევნებ, რომ მისმა ფოკუსებმა ვინმე არ გააბრიყვოს. ოქტომბერში როზალინდა ტრინიტი-კოლეჯ ში აპირებს შესვლას მუსიკის შესასწავლად, მაგრამ გავაფრთხილე, რომ ბინის ქირის საფასურს არ გადავუხდი - ან შინ დარჩეს, ან რამე სამუშაო იშოვოს. მარგარეტს სჯერა, რომ მისი ქალიშვილი უდანაშაულოა და ეს ყველაფერი თქვენ მოუწყვეთ, თუმცა უხარია, რომ ჩვენთან იცხოვრებს. მისი თქმით, როზალინდა ძალზე მგრძნო ბიარეა, - დევლინმა ისე ჩა-

ახველა, თითქოს ეს ბოლო სიტყვა ყელში გაეჩხირაო, - ჯესიკა ეტლონში გადავა ჩემს დასთან - წავიყვან, როგორც კი ჭრილობები ცოტათი მაინც შეგვიხორცდება. იქ ვერავინ ვერაფერს დაუშავებს, - მას კვლავ შეუტოკდა ტუჩები, - ვერაფერს დაუშავებს... საკუთარ დას.

უეცრად წარმოვიდგინე, როგორი იყო ეს სახლი ბოლო თვრამეტი წლის განმავლობაში და როგორი გახდა ახლა.

- იცით, რა? - შესძახა მოულოდნელად დევლინმა და სახე ტკივილმა დაუღრიჯა, - მარგარეტი ჩვენი შეხვედრებიდან ორი თვის თავზე დაფეხმძიმდა. ამან შეგვაშინა. გადავუკარი, ხომ არ აჯობებს... ასე ვთქვათ, ცოტა ხნით ინგლისში გაემგზავრო-- მეთქი. მაგრამ... იგი ძალზე რელიგიურია. მასზე დაქორწინებამდე დაფეხმძიმებამაც კი იმოქმედა, აქ კი... კარგი ქალია და არ ვნანობ, ცოლად რომ მოვიყვანე, მაგრამ რომ მცოდნოდა... როგორი იქნებოდა როზალინდა, - ღმერთო, ნუ მიწყენ, - მარგარეტს ინგლისში ძალით წავიყვანდი.

მინდოდა, მეთქვა, დასანანია, ეს რომ არ გააკეთეთ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე.

ჯონათანმა ერთხანს მიყურა, შემდეგ ამოიოხრა, მხრები შეარხია და პალტო მჭიდროდ მოირგო.

- წავალ, ვნახავ, როზალინდამ ხომ არ დაასრულა.

- ვფიქრობ, მალე გამოვა.

- დიახ, - ცივად ჩაილაპარაკა მან, შეტრიალდა და კიბისკენ გაემართა.

ნაფიცმა მსაჯულებმა დემიენი დამნაშავედ ცნეს. ეს არც იყო გასაკვირი წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით. პროცესის დროს ცხარე დისკუსია გაჩაღდა მის შეურაცხადობაზე და ფსიქიატრები უხვად იყენებდნენ ნაკლებად გასაგებ ტერმინებს (ეს სხვებისგან შევიტყვე, როდესაც მათ საუბარს შემთხვევით ყურს მოვკრავდი ხოლმე, თანაც ქვიგლი სულ ტელეფონზე

იყო ჩამოკიდებული. მას ცხოვრების მიზნად, როგორც ჩანს, იმის გარკვევა დაესახა, თუ რატომ გადამიყვანეს საკანცელარიო სამუშაოზე). დონელის ადვოკატმა დაცვა ორი მიმართულებით წაიყვანა: პირველი - დემიენი დროებით ჭკუაზე შეიშალა; მეორე - დარწმუნებული იყო, რომ როზალინდას მძიმე ფიზიკური ტრავმებისგან იცავდა. ეს მას პერიოდულად გონებას ურევდა და "გონივრული ეჭვის" საბაბს აძლევდა. მაგრამ ჩვენ დემიენის აღიარება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გვამის გაკვეთის შემდეგ გადაღებული ფოტოსურათები გვქონდა. დემიენი დამნაშავედ ცნეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, რაც, რეალურად, ათ-თხუთმეტ წელს ნიშნავდა.

ბედის ირონიით, ფითხმა მას სიცოცხლე შეუნარჩუნა და ციხეშიც მრავალი უსიამოვნებისგან იხსნა. მისი საქციელი სექსუალური ხასიათის დანაშაულად გადაკვალიფიცირდა და იგი მაღალი რისკის ბლოკში მოათავსეს, სადაც პედოფილები, მოძალადეები და იმ ჯურის დამნაშავეები იხდიდნენ სასჯელს, რომლებსაც ჩვეულებრივ პატიმრებთან ვერ ჩასვამდნენ. ამ ერთგვარმა წყალობამ იმის შანსი მაინც მისცა, რომ ციხიდან ცოცხალი, ინფექციური დაავადებების გარეშე გამოსულიყო.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ სასამართლოს შენობასთან ლინჩის წესით გასამართლების მომხრეთა მცირერიცხოვანი, ათი-თხუთმეტი კაცისგან შემდგარი ჯგუფი შეიკრიბა. "ახალ ამბებს" სანაპიროზე მდებარე პირქუშ ლუდხანაში ვუყურებდი. გავიგონე ჩემ გარშემო მყოფთა მოწონების შეძახილები, რაც იმას გამოეწვია, რომ, როდესაც უნიფორმაში გამოწყობილმა დაცვის წევრებმა დემიენი გაცოფებულ ბრბოს გაარიდეს და ციხის ფურგონში ჩასვეს, დაძრულ მანქანას მუშტები დააყარეს, ვიღაცამ კი აგურის ნატეხიც ესროლა.

- ასეთები უნდა ჩამოახრჩო, - ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ვიცოდი, რომ დემიენისთვის უნდა თანამეგრძნო: მას ერთი შანსიც არ ჰქონდა იმ ავბედითი საპროტესტო აქციის შემდეგ, და ერთადერთი ვიყავი, რომელსაც ესმოდა, რა გამოიარა მან, - მაგრამ არ შემეძლო, უბრალოდ, არ შემეძლო.

არ მინდა, დეტალურად აღვწერო ის, რასაც "შიდა გამოძიება" ჰქვია. ეს, ჩვეულებრივ, სხდომათა უსასრულო მწკრივია, რომლის დროსაც საგულდაგულოდ გაუთოებულ კოსტიუმებში გამოწყობილი ხელისუფლების წარმომადგენლები თქვენს საცოდავ თავის მართლებასა და დამამცირებელ ახსნა-განმარტებას ისმენენ. გრძნობთ, - ეს დამთრგუნველი გრძნობაა, - რომ დაკითხვისას, შემთხვე ვით, შუშის მეორე მხარეს აღმოჩნდით. უცნაურია, მაგრამ ყველაზე თავგამოდებით ო ' კელი მიცავდა: დაჟინებით აღნიშნავდა ჩემ მიერ გახსნილი საქმეების მაღალ მაჩვენებელს, მიქებდა ოსტატობას დაკითხვის პროცესის წარმართვისას, სხვა ღირსებებზეც ამახვილებდა ყურადღებას, რაც ადრე არასდროს უხსენებია. ცხადია, ვიცოდი, რომ ამას ჩემ მიმართ უეცრად გაჩენილი სიმპათიის გამო კი არ აკეთებდა, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს იცავდა, - ჩემი საქციელი ცუდად აისახებოდა მის რეპუტაციაზე და როგორმე უნდა აეხსნა, რატომ მუშაობდა ჩემნაირი რენეგატი მის განყოფილებაში ამდენი ხნის განმავლობაში, - მაგრამ მაინც მისი მადლიერი ვიყავი, უაღრესად მადლიერი, ზოგჯერ თვალზე ცრემლიც კი მადგებოდა. მისი სახით ჩემს უკანასკნელ მოკავშირეს ვხედავდი. ერთ-ერთი ასეთი მოსმენის შემდეგ იგი დერეფანში შემეჩეხა და მისთვის მადლობის გადახდა ვცადე. როგორც კი პირველი სიტყვები მოისმინა, ისეთი ზიზღით შემომხედა, რომ რაღაც ჩავიბურტყუნე და სასწრაფოდ გავეცალე.

ბოლოს, უფროსობამ გადაწყვიტა, რომ არც ჩემი გათავისუფლება ღირდა და არც პატრულის თანამშრომლად გადაყვანა, რაც გაცილებით უარესი იქნებოდა. სულაც არ ვფიქრობ, რომ

ამით კიდევ ერთი შანსი მომცეს. უბრალოდ, ჩემი გათავისუფლება ჟურნალისტების ყურადღებას მიიპყრობდა, რაც მათ უხერხულობას შეუქმნიდა, მაგრამ მკვლელობათა გამოძიების განყოფილებიდან კი გამაგდეს. ოპტიმისტური განწყობის იშვიათ წუთებშიც კი არასდროს გამჩენია იმედი, რომ იქ დამტოვებდნენ. დამხმარეებში გამამწესეს და მიმანიშნეს, რომ სწრაფად დაბრუნების იმედი არ უნდა მქონოდა. ისიც საკითხავი იყო, ოდესმე თუ შევძლებდი დაბრუნებას. ზოგჯერ ქვიგლი, რომელიც იმაზე სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა, მთხოვდა, რომ ტელეფონთან დავმჯდარიყავი ან მოწმეები დამეკითხა.

ცხადია, ყველაფერს ისე მარტივად არ ჩაუვლია, როგორც აღვწერე. იყო დრო, როდესაც გაშტერებული ვიჯექი სახლში და უკანასკნელ ფულს ვხარჯავდი. ზოგჯერ დედაჩემი მორიდებით შემომიტანდა ხოლმე ყველიან მაკარონს იმის იმედით, რომ ცოტას მაინც შევჭამდი, ჰითერი კი სულის საცხონებელი საუბრებით არ მასვენებდა და ჩემი პრობლემების წარმოქმნის ღრმად ჩამარხულ მიზეზს ეძებდა. მისი აზრით, თურმე მეტი ყურადღება უნდა გამომეჩინა ადამიანების, განსაკუთრებით კი მის მიმართ, საკუთარი ფსიქოთერაპევტის ტელეფონის ნომერსაც კი მაძლევდა.

როდესაც სამუშაოზე დავბრუნდი, კესი იქ აღარ იყო. ზოგი ამბობდა, თუ დარჩებოდა, დაწინაურებას ჰპირდებოდნენო; ზოგი კი, პირიქით - სწორედ იმიტომ წავიდა, რომ გაშვებას უპირებდნენო; ზოგსაც კესი ლუდხანაში ენახა სემთან ერთად. ერთმა ისიც კი თქვა, უნივერსიტეტში შევიდა არქეოლოგიის შესასწავლადო, მაგრამ ამ ყველაფრიდან მხოლოდ ერთი მორალის გამოტანა შეიძლებოდა - მკვლელობათა გამოძიების განყოფილებაში ქალს არაფერი ესაქმებოდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ კესი პოლიციაში დარჩა, ოღონდ ოჯახური ძალადობის თავიდან აცილების განყოფილებაში გა-

დავიდა და ითხოვა, რომ მისთვის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შესაძლებლობა მიეცათ - სწორედ ამის გამო გავრცელდა ხმა უნივერსიტეტის შესახებ. არ მიკვირს, რომ მის გადასვლას მითქმა-მოთქმა მოჰყვა: ამ განყოფილებაში მუშაობა რთული და მომქანცველი იყო - ოჯახურ ძალადობას ხშირად ახლავს თან მკვლელობისა და სექსუალური დანაშაულის ელემენტები, თავგამოდებას კი აქ არავინ აფასებდა. ამიტომაც ვერ ხვდებოდნენ, რატომ მიატოვა კესიმ ამის სანაცვლოდ ელიტური განყოფილება. ჭორბიუროს აზრით, კესის ნერვებმა უმტყუნა.

სამაგიეროდ, მე არ ვფიქრობდი ასე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სიტყვები შემწყნარებლურად და ეგოისტურად გაიჟღერებს, მაგრამ მაინც ვიტყვი: ეჭვი მეპარებოდა, რომ ეს მე მიკავშირდებოდა, ყოველ შემთხვევაში, არა იმ აზრით, რომელმაც, შესაძლოა, თავში გაგიელვათ. თუ მთავარი პრობლება ის იქნებოდა, რომ ერთ ოთახში მუშაობას ვერ შევძლებდით, კესი სხვა მეწყვილეს აიყვანდა და სამსახურში ისე გამოცხადდებოდა, ვითომც არაფერი მომხდარაო, სანამ ან შევეგუებოდი ამას, ან სხვაგან გადავიდოდი. ჩვენ ორ შორის ის უფრო ჯიუტი იყო. როგორც ჩანს, კესი იმიტომ წავიდა, რომ ო ’ კელი და როზალინდა მოატყუა, მათ კი დაუჯერეს. და კიდევ იმიტომ, რომ სიმართლე მითხრა, მე კი გადავწყვიტე, რომ მატყუებდა.

გამოგიტყდებით, ცოტათი კი გამიცრუვდა იმედი, რომ არქეოლოგიის შესწავლასთან დაკავშირებული ჭორი არ გამართლდა. ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე სურათს, რომელზე ფიქრიც ძალიან მიყვარდა: კესი ამწვანებულ ბორცვზე ზის, განიერი შარვალი აცვია, ხელში თოხი უჭირავს, მზე მოჰკიდებია, მტვერში ამოგანგლულა და იცინის.

თავდაპირველად პრესას თვალს ვადევნებდი, მაგრამ ნოკნარიში გზატკეცილის გაყვანასთან დაკავშირებული სკანდალი არ ატეხილა. რომელიღაც ბულვარულ გაზეთში კი ახსენეს ბიძია

რედი, - იმ პოლიტიკოსების გრძელი სიის ბოლოში, რომლებიც გადასახადის გადამხდელების ფულს ფლანგავდნენ, - მაგრამ ყველაფერი ამით დასრულდა. იმის გათვალისწინებით, რომ სემი კვლავაც მკვლელობათა გამოძიების განყოფილებაში მუშაობდა, სავარაუდოდ, ისე მოიქცა, როგორც ო ' კელიმ ურჩია. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ფირი მაიკლ კილის გადასცა და ამ მასალის გამოქვეყნებაზე ყველა გაზეთმა უარი განაცხადა.

სემს არც თავისი სახლი გაუყიდია. ყური მოვკარი, რომ ნომინალურ ფასად მიაქირავა ახალგაზრდა ქვრივ ქალს, რომელსაც ქმარი ტვინის ანევრიზმით გარდაეცვალა, თვითონ კი ფეხმძიმედ დარჩა პატარა ბავშვით, თანაც უდაზღვევოდ. ვინაიდან იგი შტატგარეშე ვიოლონჩელისტად მუშაობდა, უმუშევრობის შემწეობასაც კი არ უხდიდნენ. უწინდელი ბინის ქირის გადახდა ვეღარ შეძლო და მეპატრონემ გამოასახლა, ამიტომ ბავშვებთან ერთად ერთ მივარდნილ სასტუმროში ცხოვრობდა რომელიღაც საქველმოქმედო ფონდის ხარჯით. არ ვიცოდი, როგორ მიაგნო სემმა ამ ქალს - უკანასკნელად მსგავსი ამბები, ალბათ, ვიქტორიას ეპოქის ინგლისში ხდებოდა. ვერ გეტყვით, შესაძლოა, განზრახ ეძებდა კიდეც ასეთ ადამიანს, თვითონ კი ბლანჩარდსთაუნში - ეს გარეუბანში მდებარე ნამდვილი ჯოჯოხეთია - გადასულიყო ქირით. გავრცელებული ხმების მიხედვით, სემი პოლიციიდან წასვლასა და მღვდლობას აპირებდა, თანაც უკურნებელი სენი სჭირდა.

სოფის ერთი-ორჯერ შევხვდი - რაც უნდა იყოს, მისი ორი სადილი და სამი კოქტეილი მმართებდა. კარგად გავერთეთ, უსიამოვნო შეკითხვებს არ მისვამდა და ეს კარგად მენიშნა, მაგრამ რამდენიმე პაემნის შემდეგ, რომლებსაც, თეორიულად, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი გაგრძელება მოჰყოლოდა, სოფიმ მიმატოვა. მანამდე კი მითხრა, რომ მშვენივრად ხვდებოდა განსხვავებას სექსსა და რომანს შორის. "უფრო ახალგაზრდა ქა-

ლი უნდა იპოვო, - მირჩია მან, - მათ ხშირად ერევათ ერთმანეთში ეს ცნებები".

შინ გატარებულმა დაუსრულებელმა თვეებმა, როდესაც ღამღამობით პასიანსს ვაწყობდი და "რადიოჰედისა"[132] და ლეონარდ კოენის[133] ლეტალურ დოზებს ვიღებდი, შედეგად ის მოიტანა, რომ ფიქრებით კვლავ ნოკნარის დავუბრუნდი. ადრე დავიფიცე, რომ აღარასოდეს დავიბინძურებდი გონებას იმ ამბით, მაგრამ ადამიანი ხომ უსაზღვროდ ცნობისმოყვარეა - ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ცოდნა ძალიან ძვირი არ უჯდება.

წარმოიდგინეთ, როგორ გავოცდი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ გასახსენებელი არაფერი მქონდა. ყველა მოვლენა, რომელიც პირველ სასწავლო დღემდე მოხდა, სრულიად წამეშალა, თითქოს ქირურგს ამოუჭრიაო. პიტერი, ჯემი, ბაიკერები, სანდრა, ტყე, ყოველი წვრილმანი და დეტალი, რომლებიც საგულდაგულოდ ამოვქექე ჩემი მეხსიერებიდან, გაქრა. დამრჩა მხოლოდ ბუნდოვანი შეგრძნება, რომ ოდესღაც ჩემი წარსულის ეპიზოდების გახსენება შემეძლო, მაგრამ ახლა ისინი ძალიან შორს წასულიყვნენ და ნაცრისფრად, ბუნდოვნად მოჩანდნენ, როგორც ძველი ფილმი ან ვიღაცის მიერ მოყოლილი ამბავი. მართალია, ჯერ კიდევ ვარჩევდი გაცვეთილ მოკლე შარვლებში გამოწყობილ სამ გარუჯულ ბავშვს, რომლებიც ხიდან "ნამცეცა უილის" თავზე ანერწყვებდნენ და სიცილით გარბოდნენ, მაგრამ თავში ის აზრი განმიმტკიცდა, რომ ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი სცენებიც მალე დამშორდებოდა და ჰაერს შეერეოდა. ისინი მე აღარ

---

[132] "რადიოჰედი" - ინგლისური როკჯგუფი.

[133] ლეონარდ კოენი (დაიბ. 1934) - კანადელი სიმღერების ავტორი, მუსიკოსი, პოეტი და პროზაიკოსი.

მეკუთვნოდა და ვერაფრით ვიცილებდი თავიდან პირქუშ და დამთრგუნველ შეგრძნებას, რომ მათზე უფლება ერთხელ და სამუდამოდ დავკარგე.

მხოლოდ ერთი მოგონება დამრჩა: ზაფხული, შუადღე, პიტერი და მე ბაღში ბალახზე ვიწექით. ძველ ჟურნალში მოთავსებული ინსტრუქციის მიხედვით პერისკოპის დამზადებას ვცდილობდით, მაგრამ ამისთვის მუყაოს მილი გვჭირდებოდა, რომელზეც სამზარეულოს პირსახოცი ეხვია, პიტერი კი დედამისს ვერ სთხოვდა, რადგან მშობლებს არ ველაპარაკებოდით. ამიტომ მილი გაზეთებისგან გავაკეთეთ, მაგრამ ის განუწყვეტლივ იკეცებოდა, ასე რომ, პერისკოპში მხოლოდ სპორტული ამბების გვერდს ვხედავდით.

ცუდ ხასიათზე ვიყავით. არდადეგების პირველი კვირა მიდიოდა, მზე ანათებდა, საუცხოო ამინდი იდგა - მდინარეზე წასვლა ან ხეებზე სახლის მოწყობა შეგვეძლო, მაგრამ სწავლის ბოლო დღეს, როცა შინ ვბრუნდებოდით, ჯემიმ ძირს დაიხედა და ჩაილაპარაკა:

- სამი თვის შემდეგ ინტერნატში გამგზავნიან.

- გაჩუმდი! - დაუყვირა პიტერმა და იდაყვში ხელი გაჰკრა, - არსადაც არ გაგგზავნიან. გადაიფიქრებს.

იმ წუთიდან ჩვენთვის მზე ჩავიდა, თითქოს ცას შავი ღრუბლები გადაეფარაო. შინ ვერ წავიდოდით, ვინაიდან ბოიკოტის გამო მშობლები ჩვენზე გაბრაზებული იყვნენ, არც ტყეში წასვლა ან რამის მოფიქრება შეგვეძლო. ყველაფერი სულელურად და უსარგებლოდ მიგვაჩნდა, არც ჯემის ნახვა და მისი გარეთ გამოყვანა გვინდოდა, რადგან პასუხად თავს დაგვიქნევდა და გვეტყოდა, რა აზრი აქვსო, ეს კი უარესი იქნებოდა, ბაღში ვეყარეთ, მოწყენილობა გვკლავდა, ერთმანეთსა და პერისკოპზე ვბრაზობდით, სამყარო პირქუში და უხალისო გვეჩვენებოდა. პიტერი ბალახს გლეჯდა, ბოლოს აკვნეტდა და მიწაზე აფურთხებ-

და. მე მუცელზე ვიწექი, ცალი თვალით მოფუსფუსე ჭიანჭველებს ვაკვირდებოდი და ვგრძნობდი, რომ ოფლი მასხამდა. "რა მნიშვნელობა აქვს, ზაფხულია თუ არა? - გავიფიქრე ნაღვლიანად, - ჯანდაბას ზაფხული".

უეცრად ჯემის სახლის კარი გაიღო და იქიდან ტყვიასავით გამოვარდა გოგონა. დედამ რაღაც მიაძახა, კარი გრუხუნით დაშორდა კედელს და ბრაზიანმა ძაღლის ლეკვმა საშინელი ყეფა ატეხა. მე და პიტერი წამოვჯექით. ჯემი ჭიშკართან წამით შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და როდესაც დავუძახეთ, ბილიკის გავლით ჩვენკენ გამოიქცა, ბაღის კედელს გადაევლო, ხელები კისერზე მოგვხვია, ბალახზე დაეცა და ჩვენც წაგვაქცია. ყველამ ერთდროულად შევყვირეთ და მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ კი გავიაზრე, ჯემი რას ყვიროდა:

- მე ვრჩები! მე ვრჩები! ინტერნატში არ მივდივარ!

ზაფხული წამსვე გაცოცხლდა. ნაცრისფერი დღე ცისფრად და ოქროსფრად აელვარდა, აგუგუნდა გაზონსაკრეჭები, აჭრიჭინდნენ კუტკალიები, ჰაერი ფოთლების შრიალმა, ფუტკრების ზუზუნმა და ბაბუაწვერების თესლმა აავსო. თბილი და ათქვეფილი ნაღებივით რბილი და ტკბილი ნიავი უბერავდა. კედლის მიღმა მდებარე ჩამუქებული ტყე საოცრად ლამაზი და მიმზიდველი გახდა, ათასგვარი ჩუმი ხმით გვეძახდა და ურიცხვ საიდუმლოსა და განძს გვპირდებოდა. მისი გამოგზავნილი სურო ხელებსა და მხრებზე გვედებოდა და თავისკენ გვექაჩებოდა. ზაფხული ჩვენ თვალწინ ლაღობდა, იფურჩქნებოდა და ნაირგვარად გვეკეკლუცებოდა.

ერთმანეთს ხელი გავუშვით და დავსხედით, მძიმედ ვსუნთქავდით და ძლივს ვიჯერებდით, რომ ამხელა ბედნიერება გვერგო წილად.

- ხომ არ ხუმრობ? - ვიკითხე მე, - მართლა?

- მართლა. დედამ მითხრა, ვნახოთ, ყველაფერს ავწონ--დავწონი, რაღაცას მოვიფიქრებთო, - ეს კი ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ, არ უნდა, პირდაპირ მითხრას. მე აღარ მივდივარ!

ჯემის სიტყვები არ ჰყოფნიდა, ამიტომ მიწაზე წამაქცია. თავი დავიძვრინე, ზევიდან დავაჯექი და ხელის გადაგრეხა დავუწყე. პირი ყურებამდე გამხეოდა, ბედნიერი ვიყავი და ვერ დამეჯერებინა, რომ ეს ოდესმე დასრულდებოდა.

პიტერი წამოხტა.

- ეს უნდა აღვნიშნოთ. პიკნიკი ციხესიმაგრეში. ახლა სახლებში მივდივართ, პროდუქტს ვიღებთ და იქ ვხვდებით.

შინ მისვლისთანავე სამზარეულოში შევვარდი, დედა ზევით მტვერსასრუტს ამუშავებდა.

- დედა! ჯემი რჩება. შეიძლება, პიკნიკისთვის რამე წავიღო? - ჩიფსის პაკეტები და ნახევარი შეკვრა ნამცხვარი მაისურის ქვეშ ჩავიყარე, გარეთ გავხტი, ფანჯარასთან მდგარ გაოცებულ დედას ხელი დავუქნიე და კედელზე გადავძვერი.

"კოკა-კოლას" ქილებიდან ქაფმა იფეთქა. კოშკის კედელზე ვიდექით. ქილები ერთმანეთს მივუჭახუნეთ.

- მოვიგეთ! - ასძახა პიტერმა შეფოთლილ ტოტებსა და მათ შორის შემოჭრილ სინათლის სვეტებს. - ჩვენ ეს შევძელით!

- მე სამუდამოდ აქ ვრჩები! - შეჰყვირა ჯესიკამ და კედელზე ნიავივით მსუბუქად აცეკვდა, - სამუდამოდ და უკუნითი უკუნისამდე!

მეც შევძახე რაღაც გაუგებარი. ტყემ ჩვენი ხმები მიიღო და ტალღებად გაუშვა ყოველ მხარეს, ყოველი ბგერა ფოთლებსა და ფესვებს, მდინარის ყურეებსა და მორევებს, ჩიტების ჟრიამულს, ბაჭიებისა და უამრავი არსების ფაჩუნში ჩააწნა და ეს მრავალხმიანობა ხმამაღალ და საზეიმო ჰიმნად აქცია.

მხოლოდ ეს ერთი, ერთადერთი ეპიზოდი არ გაქრა და არ შეერია ჰაერს. ის ჩემთან დარჩა და აქამდე რჩება სასიამოვნოდ თბილი და მძიმე, როგორც მუჭში მოქცეული უკანასკნელი ოქროს მონეტა. ტყეს რომ ეთქვა, მხოლოდ ერთი მოგონების არჩევის უფლება გაქვ სო, სწორედ ამას ავირჩევდი.

სამუშაოზე გასვლიდან ცოტა ხანში სიმონა ქემერონმა დამირეკა - ხშირად ხდება, რომ ასეთ საქმეებს პატარ-პატარა კუდები რჩება, რომლებიც მოულოდნელად შეგვახსენებენ ხოლმე თავს. ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი იმ ბარათზე ეწერა, რომელიც მას დავუტოვე. მან არ იცოდა, რომ ახლა ჰარკორტსტრიტზე ვმუშაობდი მოპარული მანქანების შემოწმებაზე და ქეით დევლინის საქმესთან აღარაფერი მაკავშირებდა.

- დეტექტივო რაიან, - მითხრა სიმონამ, - რაღაც ვიპოვეთ, აუცილებლად უნდა ნახოთ.

ეს ქეითის დღიური იყო, რომელიც როზალინდას მოსაწყენი მოეჩვენა და გადააგდო. სიმონას ცეკვის აკადემიის დამლაგებელი საოცარი აკურატულობით გამოირჩეოდა: მან აღმოაჩინა, რომ დღიური კედელზე ჩარჩოში ჩასმულ ანა პავლოვას სურათზე იყო უკნიდან მწებვარე ლენტით მიკრული. როდესაც ყდაზე დაწერილი სახელი წაიკითხა, აღელვებულმა მაშინვე სიმონას დაურეკა. წესით, მისთვის სემის ტელეფონის ნომერი უნდა მიმეცა და ყურმილი დამედო, მაგრამ მანქანების გატაცების საქმეები გადავდე და სტილორგანში გავემგზავრე.

დილის თერთმეტი საათი იყო და აკადემიაში მხოლოდ სიმონა დამხვდა. სტუდიაში მზის სხივები იღვრებოდა, ქეითის ფოტოები განცხადებების დაფაზე აღარ ეკიდა, მაგრამ როგორც კი კანიფოლის, გალაქული იატაკისა და მასში ჩამჯდარი ოფლის სუნი მეცა, ჩემს გონებაში წამში აღდგა ყველაფერი: სკეიტბორდებზე შემდგარი მოზარდების ყვირილი ქვევით მდებარე ჩაბნელებულ ქუჩაზე, ჟრიამული და ფეხების ბრახუნი დერეფანში, კე-

სის ხმა ზურგს უკან, ჩვენი სიმკაცრე და სერიოზულობა ამ სასწრაფო ვიზიტის დროს.

ჩარჩოში ჩასმული სურათი იატაკზე იდო. უკნიდან თითქოს ქაღალდის ჯიბე ჰქონდა მიკრული, ზემოდან კი ქეითის დღიური იდო - ცალხაზიანი, მწვანეყდიანი რვეული, რომელსაც მოსწავლეები სკოლაში იყენებენ.

- მას პაულამ მიაგნო, - მითხრა სიმონამ, - უკვე წავიდა, მაგრამ შემიძლია, მისი ტელეფონის ნომერი ჩაგაწერინოთ.

რვეული ავიღე.

- თქვენ უკვე წაიკითხეთ? - ვკითხე მას.

სიმონამ თავი დამიქნია.

ცეკვის მასწავლებელს ვიწრო შავი შარვალი და ფაფუკი შავი სვიტერი ეცვა. უცნაურია, მაგრამ ამ ტანსაცმელში სიმონა უფრო ეგზოტიკურად გამოიყურებოდა, ვიდრე გრძელ ქვედაკაბასა და ტრიკოში. უზარმაზარი თვალები ისევე დაბინდული და უმოძრაო ჰქონდა, როგორც იმ დღეს, როდესაც ქეითის სიკვდილი შევატყობინეთ.

პლასტმასის სკამზე დავჯექი. რვეულს ყდაზე ეწერა: "ქეით დევლინი ძალზე პირადულია თქვენთვის არაა არ გადაშალოთ!!!" მე მაინც გადავშალე. დაახლოებით სამ მეოთხედამდე შეევსო. აკურატულად, მომრგვალებულად წერდა, უკვე ამჟღავნებდა ინდივიდუალურობას - ამას ზოგიერთი ასოს მოხაზულობა ამტკიცებდა. სანამ ვკითხულობდი, სიმონა იჯდა და ხელები მუხლებზე დაეწყო.

დღიურში დაახლოებით რვა თვის მოვლენები იყო აღწერილი. თავდაპირველად ყოველდღე წერდა ნახევარ-ნახევარ გვერდს, შემდეგ - უფრო იშვიათად, ორ-სამ კვირაში ერთხელ. თითქმის ყველა მათგანი ბალეტს ეძღვნებოდა. "სიმონა მეუბნე-

ბა, რომ არაბესკი[134] გავაუმჯობესე, მაგრამ მე კვლავაც მთელი სხეულის მოძრაობაზე ვფიქრობ და არა მხოლოდ ერთი ფეხისაზე, განსაკუთრებით მარცხნიდან, სადაც ხაზი ლარივით უნდა გაიჭიმოს". "საახალწლო საღამოსთვის ახალ ცეკვას ვსწავლობთ, მუსიკა "ჟიზელიდან" + ჩემი ფუეტეები. სიმონა ამბობს - გახსოვდეს, ჟიზელმა ასე აჩვენა თავის შეყვარებულს, როგორ გაუტეხა მან გულიო + როგორ ენატრება იგი, ეს მისი ბოლო შანსია, ასე რომ, სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა შევასრულო, მაგალითად, ასე", - ამას რამდენიმე გაუგებარი ნახატი და ნიშანი მოსდევდა, მუსიკალური შიფრის მსგავსი. იმ დღეს, როდესაც ქეითი სამეფო საბალეტო სკოლაში მიიღეს, ფურცელი ძახილის ნიშნებითა და ვარსკვლავებით იყო აჭრელებული, ჩანაწერი კი დიდი ასოებით შეესრულებინა: "ჩავირიცხე ჩავირიცხე მართლა მართლა ჩავირიცხე!!!!!!" ქეითი წერდა, როგორ ატარებდა დროს მეგობრებთან: "ღამით ქრისტინასთან დავრჩით, დედამისმა უცნაური, ზეთისხილიანი პიცა მოგვიტანა + ვითამაშეთ "სიმართლე თუ მოქმედება".[135] ბეტს მეთიუ მოსწონს. მე არავინ მომწონს. მოცეკვავეთა უმრავლესობა კარიერის დასრულების შემდეგ თხოვდება, მაშინ ოცდათხუთმეტი ან ორმოცი წლის ვიქნები. მაკიაჟი გავიკეთეთ. მარიანას ძალიან მოუხდა, ქრისტინამ კი ბევრი ტუში წაისვა და დედამისს დაემსგავსა!" როდესაც ის და მისი მეგობრები პირველად გაუშვეს ქალაქში მარტო: "ჩვენ ავტობუსში ჩავსხედით და საყიდლებზე "მის სელფრიჯში" წავედით. მარიანამ და მე ერთნაირი მაისურები ვიყიდეთ, ოღონდ მისი ვარდისფერია მეწამული წარწერით, ჩემი კი - ღია

---

[134] არაბესკი - მოძრაობა, რომლის დროსაც სხეული ეყრდნობა ერთ ფეხს, მეორე კი გაშვერილია.

[135] სიმართლე თუ მოქმედება" - საბავშვო თამაში.

ცისფერი წითლით. ჯესიკა ვერ წამოვიდა და მე მას ყვავილიანი თმის სამაგრი ვუყიდე. იქიდან "მაკდონალდსში" შევიარეთ. ქრისტინამ ჩემს საწებელში ჩაყო თითი, მე კი - მის ნაყინში. ისე ვხარხარებდით, რომ ოფიციანტი დაგვემუქრა: თუ არ გაჩუმდებით, გაგყრითო. ბეთმა ჰკითხა, საწებლიანი ნაყინი ხომ არ გინდაო..."

ქეითი ლუიზას პუანტებს იზომებდა, ვერ იტანდა კომბოსტოს, ირლანდიური ენის გაკვეთილზე კლასიდან გაეგდოთ, რადგან ბეტს წერილებს სწერდა. ჩვეულებრივი ბავშვი იყო, მხიარული, მიზანდასახული, ფიცხი, პუნქტუაციაში ოდნავ უგულისყურო. არაფერი განსაკუთრებული, ცეკვის გამოკლებით, მაგრამ სტრიქონებს შორის, გაღვივებული ალივით, შიში იკითხებოდა: "ჯესიკა მოწყენილია, რადგან საბალეტო სკოლაში ვაპირებ წასვლას. ტირის. როზალინდა მეუბნება, თუ წახვალ, ჯესიკა თავს მოიკლავსო + ეს ჩემი ბრალი იქნება. ასე ეგოისტურად არ უნდა მოვიქცე. არ ვიცი, რა გავაკეთო: დედას და მამას რომ ვკითხო, შესაძლოა, აღარ გამიშვან. არ მინდა, ჯესიკა მოკვდეს".

"სიმონამ მითხრა, რომ აღარ უნდა ვიავადმყოფო, ამიტომ საღამოს როზალინდას განვუცხადე, აღარ დავლევ-მეთქი. როზალინდა კი მეუბნება, რომ უნდა დავლიო, თორემ კარგად ვერ ვიცეკვებ. შემეშინდა, რადგან ძალიან გაბრაზდა, მაგრამ მეც ძალიან გავბრაზდი და ვუთხარი, რომ მისი არ მჯერა, რომ მხოლოდ ის უნდა, რომ ვიავადმყოფო. მეუბნება, რომ ვინანებ + ჯესიკას ჩემთან ლაპარაკის უფლებას არ მისცემს".

"ქრისტინა ჩემზე ბრაზობს. სამშაბათს მოვიდა + როზალინდამ უთხრა, ვითომ მე ვთქვი, რომ ის საკმარისად კარგი არაა ჩემთვის, რახან მე საბალეტო სკოლაში მივდივარ + ქრისტინას არ სჯერა, რომ არ მითქვამს. ახლა ქრისტინა და ბეთი აღარ დამელაპარაკებიან, მარიანა ჯერჯერობით მელაპარაკება. ვერ ვიტან როზალინდას მძულს მძულს მძულს".

"გუშინ დღიური საწოლქვეშ მედო, დღეს კი ვეღარ მივაგენი. არაფერი მითქვამს. მაგრამ როცა დედამ როზალინდა და ჯესიკა დეიდა ვერასთან წაიყვანა, როზალინდას ოთახში მოვძებნე. კარადაში ედო, ფეხსაცმლის ყუთის ქვეშ. თავიდან შემეშინდა - რომ ავიღო, მიხვდება და ძალიან გაბრაზდება-მეთქი, მაგრამ ახლა სულერთია. სიმონასთან შევინახავ და იქ დავწერ, როცა მარტო დავრჩები სამეცადინოდ".

ბოლო ჩანაწერი ქეითის სიკვდილამდე სამი დღით ადრე გაეკეთებინა. "როზალინდა ნანობს, გული სწყდება, რომ მივდივარ, მას ჯესიკას გამო ეშინოდა + განიცდის, ასე შორს რომ მივემგზავრები. მასაც მოვენატრები. დამპირდა, რომ ბედნიერების მომტან ავგაროზს მაჩუქებს, რათა კარგად ვიცეკვო".

დაწერილი გვერდებიდან მისი სუფთა და წკრიალა ხმა გაისმოდა და მზის სხივში მტვრის ნამცეცებთან ერთად ცეკვავდა. უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ქეითი გარდაიცვალა, მისი ნეშტი ნოკნარის ნაცრისფერ და დაღვრემილ სასაფლაოზე განისვენებდა. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ქეითზე თითქმის აღარ მიფიქრია. რომ არ დაგიმალოთ, ამას ხშირად არც გამოძიების დროს ვაკეთებდი. მსხვერპლი - ადამიანია, რომელსაც ვერასდროს გაიცნობთ. ჩემთვის ქეითი სხვათა სიტყვებით გადმოცემული ნახევრად გამჭვირვალე და წინააღმდეგობრივი სახეების ერთობლიობა იყო. მნიშვნელობა მხოლოდ მის სიკვდილსა და ამის შემდგომ მომხდარ მოვლენათა ფეიერვერკს ჰქონდა. იმან, რაც ნოკნარიში მოხდა, ყველაფერი დაჩრდილა - ისიც, ვინც ქეითი წარსულში იყო, და ისიც, ვინც მომავალში გახდებოდა. წარმოვიდგინე ცარიელი სტუდია და ხის იატაკი, მუცელზე გაწოლილი ქეითი დღიურს წერს, მუსიკა სპირალივით ეხვევა გარშემო.

- ეს რომ ადრე გვეპოვა, რამე თუ შეიცვლებოდა? - მკითხა სიმონამ.

მისი ხმის გაგონებაზე შევკრთი: დამავიწყდა, რომ მარტო არ ვიყავი.

- არა მგონია, - ვიცრუე მე, მაგრამ მას სწორედ ამის გაგონება სურდა, - აქ არაფერია, რაც რომელიმე დანაშაულში როზალინდას მონაწილეობაზე მიუთითებს. ნახსენებია, რომ როზალინდა ქეითს რაღაცის დალევას აიძულებდა, მაგრამ ის ამას მარტივად ახსნის. იტყვის, რომ, მაგალითად, ვიტამინს აძლევდა. ავგაროზიც არაფერს ამტკიცებს.

- მაგრამ ეს რომ მანამ გვეპოვა, სანამ მოკლავდნენ, - წყნარად თქვა სიმონამ, - მაშინ...

აქ კი ვეღარ შევეკამათებოდი.

დღიური და ქაღალდისგან გაკეთებული ჯიბე სამხილების პაკეტში მოვათავსე და სემს გავუგზავნე. ის მას სარდაფში გამოუნახავს ადგილს ჩემი ძველი კედების გვერდით. საქმე დახურულია და სამხილები საჭირო აღარ არის, სანამ - და თუ - როზალინდა იმავეს ვინმე სხვას არ გაუკეთებს. მერჩივნა, დღიური კესისთვის გამეგზავნა, - პატიების უსიტყვო და არაფრის მაქნისი თხოვნის სახით, - მაგრამ ის ამ საქმეს აღარ მისდევდა და დარწმუნებული არ ვიყავი, სწორად გამიგებდა თუ არა.

რამდენიმე კვირის შემდეგ შევიტყვე, რომ სემი და კესი დაინიშნენ. ბერნადეტამ თანამშრომლებს ელექტრონული წერილები დაუგზავნა და სთხოვა, საქორწილო საჩუქრისთვის ფული დაედოთ. საღამოს ჰითერთან ჩავილაპარაკე, თანამშრომლის შვილს ქუნთრუშა დაემართა-მეთქი, ოთახში ჩავიკეტე და დილის ოთხ საათამდე აუჩქარებლად, მაგრამ მიზანმიმართულად ვსვამდი არაყს. შემდეგ კესის მობილურზე დავურეკე.

მან მესამე სიგნალის შემდეგ მიპასუხა:

- მედოქსი.

- კესი, - ვთქვი მე, - კესი, ნუთუ მართლა აპირებ, ცოლად მაგ ტეტიას გაჰყვე? მითხარი, არა-თქო.

იგი დუმდა.

- მაპატიე, - განვაგრძე მე, - ყველაფრისთვის მაპატიე. საშინლად ვწუხვარ. მიყვარხარ, კესი. მაპატიე, ღვთის გულისთვის.

კვლავ დუმილი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ტკაცუნი გავიგონე, რასაც სადღაც სიღრმიდან სემის ხმა მოჰყვა:

- ვინ არის?

- ნომერი შეეშალათ, - შორიდანვე მიუგო კესიმ, - ვიღაც მთვრალი კაცია.

- თუ ასეა, ამდენ ხანს რას აკეთებ?

სემს კესის გაბრაზება სურდა. ზეწრების შრიალი მომესმა.

- მითხრა, რომ ვუყვარვარ, და მინდოდა, გამეგო, ვინ იყო, - მიუგო კესიმ, - მაგრამ ბრიტნი ნდომებია.

- როგორც ყველა ჩვენგანს, - თქვა სემმა და მაშინვე შეჰყვირა, კესიმ კი გაიცინა, - შენ მე ცხვირზე მიკბინე!

- მოგიხდება, - კვლავ სიცილი, შრიალი, კოცნა, შემდეგ ხანგრძლივი და კმაყოფილი ხვნეშა. სემმა ალერსიანად წაიჩურჩულა: - ჩემო პატარავ...

შემდეგ მხოლოდ მათი სუნთქვა ისმოდა, რომელიც ზოგჯერ ძილის რიტმის მიხედვით ნელდებოდა და ერთმანეთს ერწყმოდა.

დიდხანს ვიჯექი საწოლზე და ვუყურებდი, როგორ ნათდებოდა ცა ჩემი ფანჯრის მიღმა. გვიან მივხვდი, რომ კესის ეკრანზე ჩემი სახელი არ დაიწერა. ვგრძნობდი, როგორ მიედინებოდა არაყი ჩემს ძარღვებში. თავის ტკივილი მეწყებოდა. მაინც ვერ მივხვდი, მართლა ეგონა კესის, რომ ტელეფონი გათიშა, თუ ჩემთვის ტკივილის მოყენება სურდა. იქნებ, პირიქით, ეს მისი უკანასკნელი საჩუქარი იყო - უკანასკნელი შესაძლებლობა, გამეგონა, როგორ სუნთქავდა იგი ძილში.

ავტომაგისტრალი იქ გაიყვანეს, სადაც გეგმავდნენ. მოძრაობა "გადაიტანეთ ავტომაგისტრალი!" საქმეს ყველანაირად

აჭიანურებდა: ახალი პეტიციები, თხოვნა, პროტესტი. მგონი, ევროპის სასამართლომდეც კი მივიდნენ. ბოლოს, ორივე სქესის საეჭვო დემონსტრანტების მცირერიცხოვანი ჯგუფი, სახელწოდებით "თავისუფალი ნოკნარი" (ეჭვი არ მეპარება, მათ შორის მარკიც იქნებოდა), გათხრების ადგილას დაბანაკდა, რათა ბულდოზერებისთვის ხელი შეეშალა, და რამდენიმე კვირით შეაჩერა მშენებლობა, სანამ ხელისუფლებამ მათი დაშლის ბრძანება არ გასცა. მათ მცირედი შანსიც არ ჰქონდათ. გული დამწყდა, რომ ჯონათან დევლინს არ ვკითხე, სჯეროდა თუ არა მას, მიუხედავად ყველაფრისა, რომ საზოგადოებრივ აზრს რამის შეცვლა შეუძლია, თუ ხვდებოდა, რომ აქცია განწირული იყო, მაგრამ მაინც ცდილობდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი მშურდა.

როდესაც გაზეთში მშენებლობის დაწყების შესახებ წავიკითხე, იქ ჩასვლა გადავწყვიტე, წესით, ტერენურში ადგილობრივებისთვის უნდა მეკითხა, თვალი ხომ არ მოეკრათ გატაცებული ავტომობილისთვის, რომელიც ძარცვის დროს გამოეყენებინათ, მაგრამ ერთი-ორი საათი არაფერს წყვეტდა. თვითონაც არ ვიცოდი, რატომ მივემგზავრებოდი. არა, დრამატული დასკვნის გაკეთებას არ ვაპირებდი, უბრალოდ, იმ ადგილის ნახვა მომინდა.

იქ ქაოსი სუფევდა. დაახლოებით ვიცოდი, რა დამხვდებოდა, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ ბორცვამდე არ მიმეღწია, რომ სამშენებლო მანქანების ღრიალი მომესმა. იქაურობას ვეღარ იცნობდით. ნარინჯისფერ სამოსში გამოწყობილი ათასობით ადამიანი ჭიანჭველებივით დაფუსფუსებდა მიწაზე და საერთო ხმაურის გადაფარვას ხმამაღალი ბრძანებებით ცდილობდა. უშველებელი ჭუჭყიანი ბულდოზერები მძიმე ბელტებს ატრიალებდნენ და უხამსი დელიკატურობით ყნოსავდნენ ქვის კედლის ნარჩენებს.

მანქანა მოშორებით გავაჩერე და გზაზე გავედი. მოედანზე - მისთვის ჯერ ხელი არ ეხლოთ, აქ ჯერაც ცვიოდა წაბლი - დემონსტრანტთა მცირე ჯგუფს ხელში პლაკატები ეჭირა, რომლებზეც ეწერა: "გადაარჩინეთ ჩვენი წარსული!", "ისტორია არ იყიდება!"

- როგორც ჩანს, ჟურნალისტების მოსვლის იმედი ჰქონდათ. ამოტრიალებული მიწის ბელტები ჰორიზონტამდე მოჩანდა. მომეჩვენა, რომ ამ ხნის განმავლობაში მინდორი გაზრდილიყო - ერთბაშად ვერ მივხვდი ამის მიზეზს: ტყის უკანასკნელი ზოლი აღარსად ჩანდა. ნაცრისფერი ცის ქვეშ რამდენიმე წაქცეული ხე და ფესვებიანად ამოთხრილი კუნძი ეგდო. დარჩენილ ორ თუ სამ ხეს ძრავიანი ხერხით ჭრიდნენ.

უეცრად გამახსენდა - თითქოს თავში დამკრესო - ციხესიმაგრის უსწორმასწორო კედელი, პაკეტების ტკაცუნი მაისურქვეშ, მდინარის ჩქრიალი ქვევით. პიტერის ფეხი ჩემს თავთან საყრდენს ეძებს, ჯემის გრძელი თმა დროშასავით ფრიალებს... მთელი სხეულით ვიგრძენი ეს, ნაცნობი ქვის შერხევა ჩემი ხელისგულის ქვეშ, კუნთების დაძაბვა, როდესაც ზევით მივძვრებოდი, მზის სხივები, რომლებიც ფოთლებს შორის აღწევდა და თვალებში მიჭყიტინებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ტყეში მხოლოდ იდუმალ და ძლიერ მტერს ვხედავდი, რომელიც ჩემი ფიქრების კუთხე-კუნჭულებში იმალებოდა. აღარ მახსოვდა, რომ ოდესღაც ტყე ჩვენთვის მხოლოდ დასვენებისა და თამაშის საყვარელი ადგილი იყო. სანამ ჩემ თვალწინ არ დაიწყეს მისი გაჩეხა, მის სილამაზეზე არც კი დავფიქრებულვარ.

მინდვრის კიდეზე, გზასთან ახლოს, ერთმა მუშამ სამუშაო ხალათის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ჯიბეები მოიჩხრიკა - როგორც ჩანს, სანთებელას ეძებდა. ჩემი გავუწოდე.

- გმადლობ, შვილო, - მითხრა პირში სიგარეტგაჩრილმა და ალს ხელისგული მოაფარა. ორმოცდაათი წლის იქნებოდა, ტან-

დაბალი, დაძარღვული, ტერიერის მსგავსი სახით, გულღია, ხშირი წარბებითა და სქელი ულვაშით.

- როგორ მიდის საქმე? - ვკითხე მე.

მან მხრები აიჩეჩა, პირიდან კვამლი გამოუშვა და სანთებელა დამიბრუნა.

- ნორმალურად. უარესიც გვინახავს. ცუდია, რომ ბევრი რიყის ქვაა.

- ციხესიმაგრის ნანგრევები იქნება. ადრე აქ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ.

- ჰო, ჩანს კიდეც, - ჩაიცინა მან და თავი დემონსტრანტებისკენ გაიქნია.

- რამე საინტერესოს ხომ არ მიაგენით? - ვკითხე ღიმილით.

მუშამ ყურადღებით შემომხედა, თითქოს იმის გარკვევა სურდა, თუ ვინ ვიყავი: არქეოლოგი, დემონსტრანტი თუ სახელმწიფო ჩინოვნიკი.

- მაგალითად?

- არ ვიცი, რამე ძველი. ცხოველების ან ადამიანების ძვლები.

მან წარბები ასწია.

- პოლიციელი ხარ?

- არა, - მივუგე მე. მძიმე და ტენიანი ჰაერი იყო, მიწისა და მოახლოებული წვიმის სურნელით გაჯერებული, - ოთხმოციან წლებში აქ ჩემი ორი მეგობარი დაიკარგა.

მუშას არ გაჰკვირვებია, ჩაფიქრებული სახით თავი დამიქნია.

- ჰო, მახსოვს ეგ ამბავი, - ჩაილაპარაკა მან, - ორი ბავშვი. შენ ის მესამე, მათი მეგობარი ხარ?

- კი, მე ვარ, - მივუგე მას.

მან ღრმად ამოიოხრა, ნაფაზი დაარტყა, ზომიერი ინტერესით ცერად შემომხედა და მითხრა:

- ბოდიშს გიხდი, თუ შეგაწუხე.

- არა უშავს, ეს დიდი ხნის წინათ მოხდა.

- არ მსმენია, რომ აქ ძვლები ეპოვოთ. შესაძლოა, მხოლოდ კურდღლის ან მელიის. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიციას გამოვიძახებდით.

- რა თქმა უნდა, - ვუთხარი მე, - ისე ვიკითხე.

იგი ჩაფიქრდა და დაბნეულად გახედა მინდორს.

- ცოტა ხნის წინათ ერთმა ჩვენიანმა რაღაცას მიაგნო, - მან ჯიბე მოიჩხრიკა, - შენი აზრით, რა უნდა იყოს?

მან ბრტყელი, ვიწრო, ფოთლის ფორმის, თითქმის ჩემი ცერის სიგრძის ნივთი მომაწოდა - რომელიღაც გლუვი ლითონისგან დაემზადებინათ, წლებისგან სიშავე გადაჰკვროდა. ცალი გვერდი დაკბილოდა, თითქოს მრავალი წლის წინათ რაღაცაზე ჩამოემტვრიათ. გაწმენდა უცდიათ, მაგრამ თიხა მაინც მიხმობოდა.

- არ ვიცი, - მივუგე მე, - შესაძლოა, ისრის წვერი ან რამე სამკაული იყოს.

- ჩემმა ამხანაგმა შესვენების დროს აღმოაჩინა. როცა სიგარეტს ეწეოდა, ფეხსაცმლის ძირზე მიეკრო, - თქვა კაცმა, - მე მომცა ჩემი ქალიშვილის მეგობარი ბიჭისთვის, რომელიც ძველ ნივთებს აგროვებს.

ცივი და მძიმე იყო, მოსალოდნელზე გაცილებით მძიმე. ერთ მხარეს ნახევრად წაშლილი, რაღაც ნახატის მსგავსი ნაღარები გასდევდა. სინათლისკენ შევატრიალე და ადამიანის თავი გავარჩიე, რომელსაც თავზე ირმის დიდი რქები ედგა.

- თუ გინდათ, დაიტოვეთ, - მითხრა მუშამ, - ის ბიჭი რას დაკარგავს, რაც არ ჰქონია.

ლითონს ხელი მოვუჭირე. წვეტიანი გვერდი კანზე დამაწვა და ვიგრძენი, როგორ დაიწყო სისხლმა ფეთქვა იმ ადგილებში. ასეთი ნივთი მუზეუმს უფრო მოუხდებოდა. მარკი ჭკუაზე შეიშლებოდა.

- არა, - ვთქვი მე, - გმადლობთ. ვფიქრობ, თქვენს შვილიშვილს მოეწონება.

მან მხრები აიჩეჩა და წარბები ასწია. ნივთი დავუბრუნე.

- გმადლობთ, რომ მაჩვენეთ.

- არაფრის, - მითხრა მუშამ და ლითონი ჯიბეში ჩაიდო, - წარმატებას გისურვებთ.

- თქვენც.

წვრილი, ნისლივით მსუბუქი წვიმა წამოვიდა. კაცმა ნამწვი მუხლუხისგან დატოვებულ ღრმა კვალში ჩააგდო, საყელო აიწია და თავისიანებისკენ გასწია.

სიგარეტს ვეწეოდი და ვუყურებდი, როგორ მუშაობდნენ. ბასრმა ნივთმა ხელისგულზე წითელი ზოლი დამიტოვა. რვა-ცხრა წლის ორი ბავშვი ქვის კედელზე მუცლით გაწოლილიყო და წონასწორობას ისე ინარჩუნებდა. მუშებმა ხელი დაუქნიეს და მანქანების ღრიალში რაღაც დაუყვირეს. ბავშვები გაუჩინარდნენ, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ კვლავ გამოჩნდნენ. დემონსტრანტებმა ქოლგები გაშალეს და ერთმანეთს სენდვიჩები მიაწოდეს. დიდხანს ვიჯექი, სანამ ჯიბეში დაჟინებით არ ამიზუზუნდა ტელეფონი და წვიმა არ გაძლიერდა. სიგარეტი გადავაგდე, პალტო ყველა ღილზე შევიკარი და მანქანისკენ გავემართე.